ილია ჭავჭავაძე

ბერლინი
ანუ
ცხოვრება
დავით
გურამიშვილისა

8 Г 1 [გურამიშვილი]
8ღ9. ღ62. 1 [გურამიშვილი]
მ 96

ეს წიგნი არაა დავით გურამიშვილის ცხოვრების მეცნიერული გამოკვლევა, არც ბიოგრაფიული რომანია, არც მონოგრაფია გახლავთ, არც წმინდა რომანის პრეტენზიები გააჩნია. ესაა მწერლის შემოქმედებიდან ნაჟონი და თითქოს მოსმენილი შინაგანი მონოლოგებითა და ხმებით აღდგენილი ისტორიული სინამდვილის მხატვრული გააზრება.

მეორე გამოცემა

70202—041
М————————бრძ—76. © გამომ(ე)მლობა „ნაკადული", 1974
М—602(08)—76

გოდება

„ვისაც თავის დროში სამაგალითოდ უცხოერია,
ის ყველა დროში ცოცხლობს“.

გოეთე

ყური მოჰკრა — საქართველოს უფლისწული ეკატერინე მეორის ფავორიტის შტაბში იმყოფებაო. რა ეს გულის გასახარი ამბავი ესმა, ისედაც გამკრთალი ძილი და მოსვენება ერთიანად დაკარგა. მთელი ცხოვრება დაკარგულ, სათაყვანო სამშობლოზე გულგასენილის დრტვინვით, სევდით, კაეშნით, საკუთარ უთვისტომობაზე სოფლის სამდურავით, უძეოდ გადაგებაზე წუხილით, მოთქმით და ვაებით გაატარა. გარნა მუხთალმა საწუთრომ ესეც არ აკმარა, შორეული მაგდებურგის ნესტიან ციხეში გამომწყვდეულს გონების ნაყოფი-ნაჭირნახულევი უკვალოდ გაუნიავა და განცდილის ეტრატზე გადასატანად უკვე სიჭარმაგეში შესულს მოუხდა კვლავ წერად დაჯდომა. აურაცხელი ჭირ-ვარამის ამტანმა და თმენით გაკაჟებულმა უტეხმა სულმა ამჯერადაც გაუძლო გამოცდას და, შთამომავალთა საბედნიეროდ, გამარჯვება იზეიმა. საწუთროსა და მოახლოებულ სიკვდილთან მორკინალი, საიქიო სულთა სასუფევლის არსებობაში ღრმად შეეჭვებული პოეტი ამ ცოდვილ ქვეყანაში ფიქრობს თავისი გონითი ნაღვაწითა და კეთილი საქმით დარჩენას. უძეომა და „ბერწმა“ თავისი ლექსების წიგნი იშვილა, ამ ნალოლიავებ იმედს ანდო თავისი გულის ზრახვანი, სულის საიდუმლო რხევანი და ირწმუნა, რომ შთამომავალთა შორის მხოლოდ თავისი გონითი ნაღვაწით შეძლებდა არსებობის გაგრძელებას, მომავალი თაობები მისი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების საიდუმლოთა წვდომას, მისი ნაგრძნობისა და განცდილის აღქმას მხოლოდ მისი ნაწერებით შეიძლებდნენ. ეს კი კარგად გაიცნობიერა, მაგრამ ვერასგზით ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ თავის ამ უკანასკნელ იმედს — უკვდავების იმედს, შთამომავალთა შორის დარჩენის იმედს, დიდებული შოთასავით მარადიული სიცოცხლის იმედს, უნდა საბოლოოდ გამოსთხოვებოდა. ხსნის სხვა რამ გზა კი არც მიწაზე ჩანდა, არც

ქვესკნელში ეგულებოდა და არც ცად კიაფებდა. იძულებული იყო დაფრთიანებული მერცხალი თავის ქვეყანაში გაეშვა, მისი ჭიკჭიკი და გალობა ევარაუდა და უსასოქმნილი, მარტოდმარტო შთენილი ამ განწირულის სულისკვეთებით განშორებოდა მუხთალ წუთისოფელს. კარგად უწყოდა ისიც, რომ არც საქართველოსკენ სავალი გზა იყო უხიფათო და არც ქვეყანა ეგულებოდა მტერთაგან მოსვენებული. ამიტომ იყო, რომ გული ეთანაღრებოდა და ვერა და ვერ გადაეწყვიტა წასულიყო თუ არა კრემენჩუკს მირიან ბატონიშვილთან. არა და თვითონ უსამშობლოოდ ქცეულზე უკეთ ვინ იცოდა, რომ მის ნაშვილებსა და უკვდავების იმედს სამშობლო სჭიროდა... მშობელი ხალხისა და ენის გარეშე წიგნი ხომ უპატრონო მკვდრად უნდა ეგულა. იგი იყო კეთილი ნერგი, რომელსაც ჯერ მაინც საკუთარი მიწის სითბო, სინოყივრე და სურნელი სჭიროდა. გახარებული და აყვავებული კი შეიძლებოდა სხვაგანაც გადარგულიყო, მას ვეღარც ზამთრის სუსხი დააზრობდა, ვერც მზის მცხუნვარება მოერეოდა დასაჭკნობად. იგი ხშირად გადაწყვეტდა ხოლმე ამა და ამ დღეს წავალო კრემენჩუკს, მაგრამ დადგებოდა ის დღე და მიღებული გადაწყვეტილება ირღვეოდა, წასვლის მტკიცე ვადად ახლა მომავალი შვიდდღიურის ისევ რომელიმე დღეს აინიშნებდა და ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე არ შეიტყო, რომ კრემენჩუკიდან ბატონიშვილის გამგზავრების დღე შორს აღარ იყო. მაშინ კი მეტი რა ჩარა ჰქონდა, შეკრიბა ნაწერები, ერთ წიგნად შეკონა, ორთვალა ეტლში ჩაჯდა და კრემენჩუკისაკენ გასწია. რის ვაი-ვაგლახით ჩავიდა ადგილამდე, ბატონიშვილთან. შესვლაზეც ბევრი იწვალა, იდავიდარაბა, გარნა დარბაისლურად მიდგა-მოდგა, ძველი ფხა და მარიფათი გამოიჩინა. და როცა ბატონიშვილის წინაშე წარსდგა, გული აუჩუყდა, ყიყვები ყელში გაეჩხირა, თუმცა გვრინი დაიოკა, დროზე მოუსწრო შვების მომგვრელმა ცრემლმა. ლული უსინათლო თვალიდანაც დაედინა. ცრემლი არ შეუმშრალებია, არც დაბლა გადმოუყრია; წელთა სიმრავლით დაღარულმა, სასოებით სავსე, მავედრებელმა, მწვავე განცდათაგან ცეცხლივით გავარვარებულმა სახემ თვალთაგან მონაწური ობოლი მარგალიტები თვითონვე შეიწოვა, ალბათ, იმ რწმენა-იმედით აღვსილმა, რომ ამიერიდან მისი გასაგისი ცივ ტრამალებში უთვისტომოდ, უკვალოდ აღარ დაინთქმებოდა და მშობელ ხალხთან ერთად სამარადჟამოდ იცოცხლებდა საუკუნეებში. მას მხოლოდ ამ ერთხელ არ უმტყუნა ბედმა-მდევარმა, ახდა მისი უსასოო იმედი. „დავითიანი“ ქართველ ხალხს დაუბრუნდა.

ბიოგრაფიული ცნობები დავით გურამიშვილზე ძუნწია და ნაკლებმეტყველი. ჩამომავლობით თავადიშვილი. დაბადების ადგილი საგურამო — ყოფილი თეზმის-ხევი. დაბადების წელი — 1705. მკვლევარებმა ეს თარიღიც იმ ერთადერთი ცნობის წყალობით დაადგინეს, რაც პოეტს, საბედნიეროდ, სიბერის ჟამს „წამოსცდა". „კაცისა და საწუთროს ცილობაში" საწუთრო ეუბნება პოეტს:

დასაბამითგან მოგითხრა რიცხვი ჩემისა ხნისაო:
შვიდ-ათას ორას-ოთხმოც-და-ორისა მე ვარ წლისაო;
შენ მე საწუთროს მეძახი, წლისა სამოცდაცხრისაო!

შვიდ-ათას-ორას-ოთხმოც-და-ორი (7282) მესამე იმპერიის წინადროინდელი კალენდრის ანგარიშია, „დასაბამიდან ქვეყნისა", ახალი კალენდრით ეს 1774 წელს ეფარდება, როცა პოეტი 69 წლისა ყოფილა. პოეტის მიერ ამ აშკარად თქმული ამბის მერეც ბევრი იდავეს სწავლულებმა და დიდი კამათისა და ფაქტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ბოლოსდაბოლოს, შეთანხმდნენ, რომ პოეტი მართლა 1705 წელს დაბადებულა.

დ. გურამიშვილი პირველი ქართველი პოეტია, ვინც საკუთარი შემოქმედების ძირითად თემად ავტობიოგრაფია გაიხადა. მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ გურამიშვილის ცხოვრების გზა დაწვრილებით ვიცით. პირიქით, მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი და, კიდევ მეტიც, მთელი ათეული წლების ცხოვრების ამბავი სრული ბურუსითაა მოცული.

პოეტის მამა თავადი გიორგი გურამიშვილი მთელს კახეთში ერთერთი მდიდარი და პატივცემული კაცი ყოფილა. სახელოვან დიდგვაროვანთა ამაყ შთამომავალს მომხდურ მტრებთან — ლეკებთან, სპარსელებთან და თურქებთან ბრძოლებში ბევრჯერ გამოუჩენია თავი და სწორუპოვარი ჩუბინისა და ხმალში უძლეველი მეომრის სახელი ჰქონია მოხვეჭილი. გიორგის თავისი ვაჟკაცური შემართებითა და გერგილიანობით თუ რამე მიუმატებია გურამიანთ წინაპართა დევკაცური მხარმკლავების ოდინდელი დიდებისათვის, თორემ არა დაუკლიარა. მისი სახელი დაღესტნამდე ყოფილა გავარდნილი. ვაჟკაცობით გამორჩეულ, ტანად ვეება და პირად მშვენიერ გიორგის სათნო, ნაზი და ღვთისმოსავი ქალი, კახეთში კარგად ცნობილი თავადების ვახვახიშვილთა ასული მზევინარი შეურთავს. სწორედ მათი ქორწინების შედეგად გაჩენილან ქვეყნად ქრისტეფორე, გიორგი, დავითი და რამდენიმე ქალიშვილი.

დავით გურამიშვილი დედას, მზევინარს, ჩვეულებრივი მოკვდავი-

ვით უშვია ამქვეყნად. მისი დაბადებისას არც მოკაშკაშე-მოელვარე ვარსკვლავი უხილავს ვინმეს აღმოსავლით ცაზე აღბრწყინებული და არც თაყვანისცემად მოსულან [1]. მზევინარს არც დაფნის გვირგვინით თავშემკული პირმშო სჩვენებია სიზმრად [2] და არც ის ჰგონებია, რომ ცხრა თვეს მუცლით მოგიზგიზე მუგუზალს დაატარებდა [3].

დავითი საგურამოს ზედა ნაწილში დაბადებულა, გორისუბანში [4], არაგვის მარცხენა მხარეს, მაღლიდან რომ ტყიანი ფერდობები გადმოსცქერიან. რა იცოდა ჩვილმა, რა ბედი ელოდა მის უმწე მამულს. საგურამოს სანახები ხომ მისი დაბადებიდან სულ მალე ოსმალთა სათარეშო მოედნად იქცა.

დაბადებულა თუ არა, სახლ-კარი და საგურამოს შემოგარენი ტირილითა და ჭყივილით აუკლია. ყრმას იმთავითვე საკმაოდ ძლიერი, გამყივანი საკუთარი ხმა დაჰყოლია და სწორედ იმ საკუთარი ხმით უმცნია ახლობელთა და ქვეყნიერებისათვის თავისი მოსვლა. ამის თაობაზე სიჭარმაგეში შესულ პოეტს კარგად უთხუნჯია: ან კი მეტი რა შემეძლო, რომ არ მეტირა და მეჭყივლა. ჩემს ამქვეყნად მოსვლას ხომ ბუკის დაკვრით, მალემსრბოლებითა და ნაღარით ვერ შევატყობინებდი დუნიასო. რაც იმჟამად დახსნის ძალი მქონდა, ის გამოვიყენე, ჭყივილით გავაყრუე ყველანი, ჩემი გაჩენით თურმე ბევრი ძალიან გავახარე, უფრო მეტი სიხარული მომავალ თაობებს შემოვუნახე, ბევრნი თურმე მაშინვე, ჯერ კიდევ ყრმამ მარტო იმით დავმდუღრე და დავანაღვლიანე, რომ დედა-ჩემს მესამე ვაჟიშვილი გავუჩნდი და, რაკი მამრი ვიყავი, მოშურნეებს, ეტყობა, გონებაში ცუდმა აზრმა გაუსრიალათ — ვაჟკაცად გაიზრდება და მამას მხარში მალე ამოუდგებაო. ეს ფიქრები მერმინდელი ამბებია, თორემ მინდა გულწრფელად დამიჯეროთ, რომ მაშინ შურსა, მტრობასა და სიყვარულზე არა ვიცოდი რაო.

---

1 მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ ქრისტეს დაბადებას წინ უძღოდა აღმოსავლით ვარსკვლავის აღბრწყინება ცაზე. „სადა არს, რომელი იგი იშვა შეფეთა ჰურიათაი? რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავლით და მოვედით თაყუანისცემად მისა“. მათე, 2,2.

2 ცნობილია, რომ რომაელი დიდი პოეტის ვერგილიუსის დედას, ვერგილიუსზე ფეხმძიმობისას ესიზმრებოდა ხოლმე, თითქოს დაფნის რტო უნდა ეშვა.

3 ალექსანდრე დიდის (მაკედონელის) დედას, ალექსანდრეზე მუცელქმნილ ოლიმპიადას, ვიდრე დიდ სარდალს დაბადებდა, ცხადლივ ეჩვენებოდა, რომ საშოში მოგიზგიზე მუგუზალს დაატარებდა.

4 ვახუშტი ბაგრატიონი ამის თაობაზე წერს: „ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა, და არს ამათ შორის ზერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თეზმის-ხევი, აქუს ხერკს: აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი: სამხრით მთა ზედაძნისა, ჩრდილოეთ ნიკორწმა-ბოკოწანს შორისი, გორანი, ჩამოსული თიანეთს მთიდან არაგვამდე, დასავლით არაგვი.“

დაბადებულა იგი შუადღისას, როცა მწველი მზის ალი და ხორშაკი ბუგავდა თურმე მტერთაგან ისედაც იავარქმნილ ქართლ-კახეთის ნაყოფიერ, მაგრამ ტყისაგან განძარცულ ქვეყანას. გორისუბნელ მუცლითმეზღაპრე დედაკაცებს და მჩხიბავებს მის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე უწინასწარმეტყველებიათ ყრმის მომხვალი: „ჩვენს მძიმე დროში იცხოვრებს, უზრუნველად, მოციქულის მიერ დათქმულ ასაკამდე მიაღწევს და თავის წუთისოფელს მშვიდად და უშფოთველად მოჰამსო“. გურამიშვილმა მოციქულის მიერ ადამიანთათვის ამ ქვეყნად დათქმულ დროს — 80 წელს კი გვარიანად გადააჭარბა, მაგრამ როგორი უშფოთველი, უზრუნველი ცხოვრებაც განვლო და რა სიამენიც იგემა, ამის თაობაზე ხომ „დავითიანში“ თვითონვე მოგვითხრო. მაცხოვარს რომ მართლაც შესძლებოდა ტყუილის, სიყალბისა და ჭორებისათვის მკითხავთა, ქადაგთა და წინასწარმეტყველთა დასჯა, მაშინ იმ დედაკაცებს ჯერ ამქვეყნად მიუსჯიდა არაადამიანურ სატანჯველს, იმქვეყნად კი ცეცხლსა და გეენაში ჩაჰყრიდა.

გურამიშვილები, საერთოდ, მდიდარი და გავლენიანი თავადები ყოფილან, მათ თავიანთი აზნაურებიც კი ჰყოლიათ. ამის საბუთად საკმარისია დავიმოწმოთ ზაალ გურამიშვილის ერეკლე მეორისადმი მირთმეული მოხსენება მისი ყმის მიქელისშვილის საჩივრის პასუხად. ზაალს მიქელისშვილისათვის ხარი წაურთმევია. ყმას ერეკლესთან უჩივლია. კახთბატონი გაჯავრებულა, მაგრამ ზაალს თავი უმართლებია. „ქ. ღ-თან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს გურამიშვილს ზაალს. ჩემს ყმას მიქელისშვილს თქვენთვის არზა მოურთმევია: „ბატონმა ჩემმა ერთი ხარი წამართოო“. ხარის წართმევის მიზეზი ეს არის: შემძლებელი კაცი არის, დავკარგე და არაფრით დამადგა, დედა მომიკუდა, რიგი იყო, რომ უნდა შემოეწია რამ და არაფერი შემომაწია. თუ აზნაურიშვილობს, მსახური უნდა მახლდეს ამისი, და თუ მოყალნეა, რაც სხუა მოყალნე კაცი მემსახურება, რატომ ესეც არ მემსახურება?“

ერეკლეს საქმის გარჩევა მსაჯულთათვის დაუვალებია და მიქელიშვილისათვის ასეთი რამ უბრძანებია: მიქელისშვილო! ამ არზით ბატონი შენი რომ ასე გიჩივის, ამის მოხსენებული თუ მართალი არის, ამას კაის გზით შეურიგდი, თორემ თუ სამართალში ლაპარაკი მოგიხდათ და სამართალში გაგამტყუნა, ავათ მოგივა“ [1].

მე-15-17 საუკუნეებში გურამიშვილები არაერთხელ იხსენიებიან მატიანეებსა და ქრონიკებში. გურამ ზედგინიძე, ალბათ, გურამიშვილთა გვარის მამამთავარი და გვარგუჯაბის დამდები, წიწამურის ბატონი ყოფილა [2].

---

1 საქართველოს სიძველენი, თბ., 1910. III, გვ. 503—504.

2 თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. 11, გვ. 205.

ზედგინიძეები შიდა ქართლის ამილახორებად ყოფილან. ამილახორი, ვახუშტის მიხედვით, „არა არს გვარი". ისინი მეფეების მეჯინიბეთუხუცესებად ითვლებოდნენ „ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგანი მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი"[1].

ზედგინიძე-გურამიშვილებს ვრცელი და ნაყოფიერი მამულები ჰქონიათ. „ავჭალა არს მტკვრის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ ავჭალის ბოლოს არს ხევძმარი, ჩამოვარდების მშრალი ხევი ქვიტკირის-ლილოდამ მტკვრამდე. და ესე არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთსა. აქამდე უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ გურამიაანთ გამო. გარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თვინიერ ბრინჯ ბამბისა, პირუტყვით ნადირითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მთით შემკობილი" [2].

გურამიშვილთა გვარის დიდებაზე ისიც თვალსაჩინოდ მეტყველებს, რომ ქსნის ძლიერ ერისთავებთან ჰქონიათ ნათესაური კავშირი. ქსნის ერისთავებს კი სახნავ-სათესიც უხვად ჰქონდათ, საქონელიც უამრავი დაუდიოდათ და ქალ-რძალნიც კარგად ჩაცმულ-დახურულნი ჰყავდათ. მათ არც პურ-ღვინო ჰკლებიათ და არც საჭმელ-სასმელი. მათი სიუხვით და მადლით პოეტის ოჯახსაც დღეკეთილად უცხოვრია, ვიდრე ამინდი შეიცვლებოდა.

ამინდი კი უემური მდგარა და არც რაიმე ნიშანი ყოფილა გამოკეთებისა.

ვახუშტი ბატონიშვილისავე ერთი ცნობის მიხედვით, გურამიშვილები მღვიმელი ზედგინიძეების ჩამომავალნი ყოფილან. ამ ცნობას პოეტიც აშკარად არა, მაგრამ ნართაულად მაინც ადასტურებს თავისი ანდერძითა და „საფლავის ქვაზედ დასაწერი" ლექსით.

„წმინდა იონე კახეთს ზედაძენს
სახსწაულობით ქვიტკირს ცრემლს ადენს,
ქართლს წმინდა შიო ღვიმეს ძვლებს აცლენს, —
ორნივ შვრებიან სახსწაულს ამდენს.
ამ ორ მონასტერს შაქვნდა ალაგი,
სასაფლაო და ძვალთ შასალაგი,
ორივ ქვიტკირით აღშენებული,
სახლ-გალავნებით დამშვენებული..."

პოეტისაგან დასახელებული საგვარეულო სამარხები ზედგინიძეებს მეფე გიორგი მერვესაგან მიუღიათ საჩუქრად იმ დიდი ერთგულებისა და თავგანწირვისათვის, რაც განსაცდელში მყოფი მირონცხებული გვირგვინოსნისათვის აღმოუჩენია მათ სახელოვან წინაპარს.

---

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 24.

2 იქვე, გვ. 94.

დავით გურამიშვილის ერთი წინაპართაგანი — თაყა ზედგინიძე — სწორედ იმავე სასაფლაოს იხსენიებს თავიანთ საგვარეულო სამარხად და საძვალედ, რომელსაც პოეტი აღწერს. სასაფლაოს ჩუქების ამბავი კი ასე ყოფილა: მეთხუთმეტე საუკუნეში ქართლში უმეფია მეფე გიორგი მერვეს, რომელსაც სამთავროებად დაჭუცმაცებული საქართველოს კვლავ გაერთიანება ჰქონია გულში ამოჭრილი. გიორგი მერვეს, პირველ ყოვლისა, სამცხის დალაშქვრა და ყვარყვარე ათაბაგისათვის ჭკუის სწავლება ჰქონია განზრახული. გურამიშვილთა წინაპარი იოთამ ზედგინიძე, მეფის ერთგული თანამდგომი, მისი მორჩილი და ბრძანების უსიტყვო აღმასრულებელი ყოფილა. იმხანად მეფე თავისი ჯარით ჯავახეთში ფარავნის ტბის ნაპირას მდგარა. ყვარყვარესა და მის მომხრეთ მეფე გიორგის მოკვლა უჩუმრად, დაქირავებული მკვლელების ხელით განუზრახავთ. ეს ამბავი იოთამ ზედგინიძეს შეუტყვია და მეფე წინასწარ გაუფრთხილებია — შეთქმულნი მალულად მოკვლას გიპირებენო. კეთილშობილსა და სულგრძელ გიორგი მერვეს მოწინააღმდეგეთა ასეთი ვერაგობა მაინც არ დაუჯერებია: „მეფემან არა ირწმუნა“ ამბავიო, ამბობს თავის ისტორიაში ვახუშტი, „ვინაიდგან უგონებელი (დაუჯერებელი) იყო მათგან ღალატი მეფისა“. იოთამ ზედგინიძეს ვერა და ვერ დაურწმუნებია გვირგვინოსანი თავის სიმართლეში, რის გამო იმ ღამით მეფის საგებელში თავად ჩაწოლილა. გიორგი მეფე დარწმუნებული ყოფილა, რომ მის წინააღმდეგ სინამდვილეში არავითარი შეთქმულება არ არსებობდა. იგი დათანხმებია იოთამ ზედგინიძეს და ნება დაურთავს, იმ ღამით მის საგებელში ჩაწოლილიყო. შეთქმულნი უთენია წასდგომიან თავს მეფის კარავში მწოლ ზედგინიძეს, მძიმედ დაუჭრიათ, მაგრამ შეუტყვიათ რა, რომ გვირგვინოსნის მაგიერ საგებელში სხვა იწვა, ზედგინიძე აღარ მოუკლავთ, თუმცა ერთგული მოყმის ჭრილობები იმდენად მძიმე ყოფილა, რომ სული დილააღრიან მეფის ხელში დაუღევია. მეფე გიორგის „ნასისხლად და ერთგულების გამოჩენისათვის მღვიმე მიუცია არმაღანად იოთამის ძისათვის სასაფლაოდ. უჩუქებია სოფელი ახალციხეც არაგვის ხეობაში, სადაც „სამოცი კუამლი კაცი ესახლა და ხუთი დახატული ჩარდახი მოწყობილი უბოძა სისხლად“ [1].

ადვილი შესაძლებელი და სავარაუდებელია, რომ გურამიშვილთა წინაპარი და გვარის დამდები სწორედ იოთამ ზედგინიძის შვილი გურამ ზედგინიძე იყოს, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნის მცხეთის გუჯარში იხსენიება და წიწამურის პატრონი ყოფილა.

1627 წელს კახთა მეფეს თეიმურაზ პირველს გივი გურამიშვილისათვის სოფელი ლერწამი უჩუქებია:

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948 წ. გვ. 89.

„1627, მარტის 5.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე წყალობისა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ მეფემან, ხელმწიფემან ბატონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმა, დედოფალმან ხვარაშან... თქვენ, ჩვენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს, ყმასა გურამიშვილს გივსა და ზაალს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე... გიბოძეთ სოფელი ლერწამი... ყოვლითავე მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა, სასაფლავოთა... გქონდეს და გიბედნიეროს... თეიმურაზ“ [1].

ცხადია, გურამიშვილების, თვითონ თეიმურაზისა და თვით საქართველოს ბედკეთილობა ცაზე მოწყვეტილი ვარსკვლავის გადასრიალებასავით წამისი იყო და მარტის დღესავით ცვალებადი, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა თვით ფაქტი, რომ ეს საკმაოდ ძველი, ქეყნისათვის ნამსახური გვარი იმთავითვე იქცევდა გვირგვინოსანთა ყურადღებას. პოეტს ღირსეული წინაპრები ჰყოლია. გურამიშვილები საქართველოსათვის ძნელბედობის წლებშიც ახლოს ყოფილან ჯიღოსნებთან. პოეტის მამას გიორგი გურამიშვილს ძვირფასი ქათიბით მორთულს უვლია სამეფო ნადიმებში.

ზედაზენს ჩვენი სასიქადულო მეცნიერი ვახუშტიც „ზედაძენს“ ეძახის: „მთა კუხეთისა ანუ აწ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თეზმის-ხევი...“

ვახუშტი შემდეგაც საგანგებოდ ჩერდება საგურამოზე, რაც უხსოვარი დროიდან გურამიშვილების სამკვიდრო ყოფილა. „ხოლო ამის შესართავსა და ნარეკუავის შესართავის ქუეით არს, არაგვის დასავლით, მთა სარკინეთისა და, აღმოსავლით, მთა მაღალი კუხეთისა, გაკუეთილი არაგვით. ორნი ესე მთანი პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული ამისთვის, რამეთუ, თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი. ამ მთის თხემსა ზედა, მჭურეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი. შემდგომად მამათაგანმა მამამან იოვანემ ჰყო აქა მონასტერი და ეკლესია სადგურად თვისად, და დაფლულ არს მუნვე. ამ ეკლესიის კამარიდამ სწუეთს წყალი, და უდგს ქუემორ ავაზანი ქვისა და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოვსებით მოაკლდების, უკეთუ აღმოიღო რითმე, და ჰკურნებს სენთაცა“.

აი, როგორი დამაჯერებელი ლეგენდების ბურუსითაა მოცული პოე-

[1] საქართველოს სიძველენი, ტომი III, გვ. 537—538.

ტის მშობელი კუთხე. მთაზე წმინდა იოანეს მონასტერია. წმინდა წყალი სწვეთს, ძირს ავაზანია ქვისა, არც ივსება, არც იცლება და სამკურნალოდ იყენებენ.

ზედაზნის ტყიანი მთა არაგვის მარცხენა მხარესაა აღმართული და მცხეთის სანახებს ამაყად გადმოსცქერის. თუ ზედაზნის მთის ხევ-ხუვებში სქელი რძისფერი ნისლი ჩადგება, წინ რამდენიმე ნაბიჯზეც აღარაფერი ჩანს. ნიავი ხევ-ხუვების იშვიათი სტუმარია, რის გამოც ირგვლივ ისეთი სამარისებური სიჩუმე დაისადგურებს ხოლმე, თითქოს ყოველივე მარადისობის იდუმალებაშია დანთქმულიო. მყუდროებას აქ ხშირად სანადიროდ გამოსულ მტაცებელ ფრინველთა ფრთების ტლაშუნი და მათ უმწე მსხვერპლთა ქოთქოთი და გნიასი არღვევს. ზედაზნიდან დანისლული კავკასიონის დათოვლილი მწვერვალებიც ჩანს და მუხრანის მწვანედ მოღაღანე ველებიც. იალაღებიცა და ბაღ-ვენახებიც. დიდი ყოფილა მათი ეშხი, ლაზათი, ჯადო და ანდამატი, რომ სიჭაბუკიდანვე სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი, თუ გატაცებული პოეტი ღრმა სიბერემდე არა მარტო პოეტურ ხილვებში, არამედ ცხადად ჭვრეტდა მათ და ვერავითარმა ძნელბედობის ბურუსმა, სხვათა სამოთხემ, ომის კვამლმა და ხანძარმა ვერ ჩააქრო ის ეროვნული საბმილი, რამაც პოეტური სულის წვა და წვალება, აქ, გორისუბანში, ზედაზნის მთის ფერდობებზე, ზედა-ველაზე, ქსანზე და ლამისყანაში დაიწყო და ბოლო შორეულ მირგოროდში მოადევნა.

ზედაზენზე ერთი ციხის ნანგრევებია შემორჩენილი, ჟამთა სიავისაგან ნატანჯი ციხე ჩამონგრეული ქონგურებით. ირგვლივ უზარმაზარი ლოდები ყრია, თითქოს დევ-გმირთა მხარ-მკლავებს ვეღარ უზიდავთ სადოლაბე ქვები და ძირს დაუყრიათო.

აქ დარბოდა ყმაწვილი დავითი და ქვეყანა თავისი ეგონა, მის ქვეყანას კი ათასი ჯურის გადამთიელი მუდრეგი ეპატრონებოდა, ყალყზე იყო შემდგარი ივერიელთა ქვეყნის ბედის ეტლი და ქრისტე ღმერთის ჭომაგობისა ძალიან ცოტა ვინმესღა თუ სჯეროდა.

მომავალი პოეტი, მაშინდელი წესისამებრ, ადრევე გაუძიძავებიათ. ესეც ასახულია პოემაში. „სიტყვა ესე ღვთისა“-ში ქრისტე ეუბნება:

„აწ შენც ადამის ტომი ხარ, მით შემეცოდეო:
სოფელსა შინა პატარა ხოჭიჭით ეგდეო.
შიგიღე, ძიძას შიგგეარე, ძუძუს მოგკიდეო:
გასვი, გაჭამე, ჩაგაცვი, ჩჩვილი გაგზარდეო“.

ღმუილაანთ მიხა ყოფილა ის გლეხი, ვისაც წილად ხვდა თურმე ბედნიერი სვე, აღეზარდა საქართველოს მომავალი დიდი პოეტი. მიხა გიორგი გურამიშვილის გლეხი ყოფილა, მაგრამ ბატონის ვაჟიშვილების აღმზრდელს და ამით განებივრებულს, თურმე ხმის ავად გაცემას ხე-

ლისუფლებით გათავხედებული მოურავი სტეფანე ოზიაშვილიც კი ვერ უბედავდა. მიხა ახმახი, ფერმკრთალი, მაგრამ ჯანღონით აღსავსე, საქმიანი. ზრდილი ვაჟკაცი ყოფილა. ნადირობას გადაყოლილ მიხას ოჯახური მეურნეობა მაინც კარგად ჰქონია მოკვარახჭინებული. სახლკარიც ვვარიანი ედგა თურმე და შეძლებითაც ბევრ აზნაურიშვილს ტოლს არ უდებდა. მამაცი და შეუპოვარი გლეხი სად არ უთრევია საწუთროს. მეფის მცველ ჯარშიც უმსახურია, მრავალი ბრძოლა გადაუხდია, ნახმლევ-ნაიარევი სახე ჰქონია და წინაპრებივით თავზარდამცემი მჭექარე ხმის პატრონი ყოფილა. სწორედ ამიტომ შეურჩევიათ თანასოფლელებს მათი გვარ-გუჯრისათვის ღმუილაანი. თავისი ხაფიანი შეძახილით მიხას თურმე ბევრჯერ დაუფრთხია მტერი, მაგრამ, რაც მთავარია, მათზე მისვლა გულდაგულ და ხმალდახმალ ჰყვარებია. ბრძოლაში გართულ ლევან მეფისათვის ერთხელ ლეკების ათკაციან რაზმს ალყა შემოურტყამს და მისი დატყვევება მოუწადინებიათ. სად იყო და სად არა, უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ღმუილაანთ მიხა გაჩენილა. ვიდრე რომელიმე მომხდურს ხმალს დაჰკრავდა, ერთი ისეთი შეუძახებია, რომ ორი-სამი კაცი მარტო მისი ხმის გაგონებაზე დაზაფრულა და ხმლებისათვის ხელი უშვიათ. გულმოცემული მიხა მომხდურთ ჯიქურ მიხტომია. იქით მეფეს უმარჯვნია და თავდამსხმელნი, ორ კაცს, ადგილზევე აუჩეხიათ. აი, ამ კაცს არგუნა ბედმა პატარა დავითის პირველი აღმზრდელი, მასწავლებელი და მწურთნელი ყოფილიყო.

დავითი წამოჩიტულა თუ არა, მიხა თურმე უთენია მის სასთუმალთან გაჩნდებოდა, გააღვიძებდა, ტანზე ჩაცმაში წაეხმარებოდა და მერე მთელი დღე აღსაზრდელიცა და მწურთნელიც ტყე-ველად დაეხეტებოდნენ. დავითმა მისგან ისწავლა ქარივით მიმქროლავ ცხენზე უძრავად დგომა, ქვე ხტომა, ისევ შეხტომა, ხმლით ჩეხვა. კაფვა, ქვის სამიზნესათვის ჯირითის ტყორცნა, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა უკვე დახელოვნებული მოისარი, მოფარიკავე, სრულყოფილი მხედარი ყოფილა. დროს თავისი მოთხოვნები ჰქონდა და დავითიც დროის ჭეშმარიტი შვილი აღმოჩნდა. თურმე ყველაზე დიდი გასართობი მისთვის თანატოლების ხმალში გაწვევა ყოფილა.

გონების პირველი სალესი პატარა დავითისათვის მაინც ბუნება იყო. ბუნების წიაღში საკუთარი თვალით იხილა და ჩასწვდა იგი ცხოვრების უკუღმართ კანონებს. მის სპეტაკ სულში უსამართლობასთან ბრძოლისა და ჰიდილის ცხოველი სურათები, აქ. ბუნების წიაღში, აღიბეჭდა და მერე მთელი ცხოვრების მანძილზე განუშორებლად სტანჯავდა და აწვალებდა იმისი შეგნება, თუ რაოდენ უმწეო იყო ადამიანი ბუნებასა და ადამიანთა შორის გამეფებულ უსამართლობასთან ბრძოლაში. ბუნებაში ნახა მან, ძლიერი როგორ ჩაგრავდა სუსტს, აქ ჰირ-

ველად იხილა, როგორი დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამართული არსებობისათვის. ერთის მხრივ, თვალშეუდგამი მწვანედ მოხასხასე მთები, ანკარა წყაროები, მორაკრაკე ნაკადულები, მთიდან ზათქით დაქანებული მდინარეები, უბიწო, ფეხდაუდგამი ლორთქო ბალახი, ულამაზესი ყვავილები; მეორე მხრივ, ფრინველთა და ცხოველთა სამყარო, სირთა გალობა, ყაშყაში, ყიპყიპი, სტვენა, ჭახჭახი, კმინვა, ყრიყინი, ჟღურტული, გნიასი და მათი ყოვლად დაუნდობელი ურთიერთ ბრძოლა-ჭიდილი არსებობის შესანარჩუნებლად. მერე ყველა მათზე მაღლა მდგომი, ღმერთთან მოდავე არსება-ადამიანი, რომელსაც სწამდა და სჯეროდა, რომ არსთაგამრიგემ იგი შექმნა ბუნების ბატონ-პატრონად, მისი იყო ეს ვრცელი ველ-მინდვრები და იალაღები, ტყე, წყალი, თვითონ ისინიც — ურთიერთთან ქიშპს გადაყოლილი ფრინველნი და ცხოველები, ერთი სიტყვით, მთელი სამყარო. მაგრამ ბუნებაზე ბატონობასაც რომ არ სჯერდებოდა თვითონ ბუნების ეს უძლები შვილი და თავისივე თანამოძმეთა და სხვათა და სხვათა დაჩაგვრასა და დაწიხვლას ლამობდა!..

ადამიანთა ბუნების ამ უსამართლობის მხილველმა ყრმა გურამიშვილმა ცხოვრება ერთიან სასაკლაოდ წარმოიდგინა, სადაც ერთნი, „რაკი შემოქმედმა ასე ინება“, გულდაჯერებულნი და თავის ღვთის მოიმედენი, მათი განგების თანახმად, „წესისამებრ“ მუსრავდნენ მეორეთ და სინდისის ხმაც სრულიად დამშვიდებული ჰქონდათ იმ ვეფხვივით, რომელმაც მინდორში მობალახე ხარი ნახა, ტორი დაჰკრა, მოკლა, გადასანსლა და ლაზათიანად დანაყრებულმა თავისი ბუნაგისკენ არხეინად გასწია. მკვირცხლი გონების, ცნობისმოყვარე და მგრძნობიარე ბავშვზე, რომლის გული და გონება აღტყინებასა და სულიერ ძრწოლასაც ერთნაირად ეძლეოდა, თვალით ხილულმა ასეთმა სურათებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა და იგი თავიდანვე დაჩაგრულთა და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულთა მხარეს დააყენა. ალბათ, შორეულ, ან სრულიად ახლო წინაპრისაგან მიიღო მემკვიდრეობად უსაზღვრო ოცნების ფრთების შესხმისა და ზეცის თაღებში ლაღად სრბოლის დაუოკებელი სურვილი, რადგან თავი ურჩხულთა, ზღაპრული დევებისა, ეშმათა და, საერთოდ, ადამიანს ჩასაფრებული მტრების წინააღმდეგ უძლეველ მებრძოლად წარმოიდგინა. საშინელი და იდუმალებით მოცული ამბები იზიდავდა, გაუვალ, დაბურულ, ფეხშეუდგამ ტევრში ყიალი უყვარდა, ფათერაკებს ეძებდა, სადმე წასასვლელად მრუმე, უმთვარო ღამეს რჩეობდა, რომ სხვებზე თავისი უპირატესობა ამითაც დაემტკიცებინა. თავი იმ გმირად ესახებოდა, ვისაც გველეშაპისათვის უკვდავების წყალი უნდა გამოეტაცებინა და მშობელი ხალხისათვის დასარწყულებლად და გადასარჩენად მოეტანა.

დავითი ცხრა წლისა რომ შესრულებულა, მიხას მამისეულ სახლში

მიუყვანია. მამას საკუთარი თვალით უხილავს, როგორ გამოქომაგებია მისი პირმშო ყმა-გლეხს, მაგრამ დიდჭირნახულსა და მრავალ განსაცდელგამოვლილ გიორგის სწორად ვერ აუხსნია შვილის საქციელი. მკათათვე მდგარა. ჰაერში თურმე სიცხის ბუღი ტრიალებდა და ჭრიჭინობლების გაბმული სიმღერა სიცხეს კიდევ უფრო აუტანელსა ხდიდა. გიორგის ყმა-გლეხებს კალოობა ჰქონიათ. ალიონიდან კევრზე შემდგარ, სიცხისაგან გასავათებულ ანანია პავლიაშვილს კევრზე დგომაში თავისი თორმეტიოდე წლის ბიჭი შენაცვლებია. ბიჭი მაღალი ტანისა ყოფილა, მაგრამ მამაზე წონით, რალა თქმა უნდა, მჩატე იქნებოდა. გიორგის მოურავს, გრილოში მოსვენებით მჯდარ სტეფანე ოზიაშვილს, დაუნახავს, შვილი რომ მამას შენაცვლებია, გაჯავრებულა, ჯერ მის ყიამყრალ გინებას გაუკვეთავს ჰაერი და მერე შეუძახებია: — ემაგ წეროსავით აყლარწულ ციწდალს რა წონა გაქვს, რომ კევრზე მდგომმა ჩაშლილი ძნა გალეწო და თავთავს მარცვალი გააყრევინო, ეხლავე დააყეთ ცხენები, გადმოხე კევრიდან, შე არგასაზრდელო, შენა, და კევრზე ისევ მამაშენი შედგეს, თორემ ორთავეს ცემით სულს ამოგხდით.

ანანია მოურავის ბრძანების შესასრულებლად ზლაზვნით დაძრულა. ბიჭსაც დროზე ვერ შეუჩერებია ცხენები, გრილოში მჯდარი სტეფანე კი ქორივით წამოჭრილა და მამა-შვილს სწორედ მაშინ წასდგომია თავზე, როცა ბიჭს ცხენები როგორც იყო დაუურვებია. იმით განრისხებულს სტეფანეს, რომ მისი ბრძანება ფიცხლად არ შეასრულეს, ცალკე სიცხისა და ცალკე შიშით გათანგული ყმებისათვის მათრახი გადაუკრავს, ფანჩატურში მამაპაპურად მოკალათებულ გიორგის ყოველივე ეს საკუთარი ბედნიერი ბატონის თვალით უხილავს, მაგრამ მოურავისათვის, ერთი სიტყვა რა არის, ისიც არ უთქვამს. ყრმა დავითი უცებ წამოფრენილა ადგილიდან, მოურავს მივარდნია და პატარა მუშტები გულმკერდში დაუშენია. გიორგი გურამიშვილი შვილს გასწყრომია. პატარა დავითს უსამართლობისაგან გულში დაგუბებული ბოღმისათვის რომ გზა ვერ მიუცია, გაანჩხლებულა, აყვირებულა, მერე მიწაზე გაშხლართულა და ავზნიანივით მოჰყოლია ხელ-ფეხის ქნევას. ბატონყმურ ჩვეულებრივ წესრიგსა თუ ადათს მიჩვეულ გიორგის კი შვილის უმიზეზოდ გაანჩხლება ვერა და ვერ აუხსნია და მეუღლისათვის შეუჩივლია: — ეს ბიჭი ავზნიანი კი არ გაგვეზარდოსო. მზევინარს სწყენია მეუღლის ნათქვამი და ტუჩაბზუებით უთქვამს — რა ვიცი, ჩვენს გვარ-გუჯაბში ავზნიანი არავინ გვირევიაო.. მაშინ არც ცოლსა და არც ქმარს არ უფიქრიათ იმაზე, რომ არსებობს ძველისძველი, ლათინელ ავტორთაგან საყოველთაოდ ცნობილი ამბავი: რომ ბავშვი არასოდეს არ ამბობს იმას, რაზეც სინამდვილეში გულმოსულია. იგი დიდი გულმოდგინებით მალავს ბოღმის მიზეზს და თავის ვარამს, ნაღველსა და


დარდს ერთი შეხედვით უმიზეზო ისტერიული აფეთქებით გვიმხელს.

ღმუილაანთ მიხას ერთხელ ათიოდე წლის დავითი ვენახში ჩაუყვანია, ხელთ ოყიანი თოხი მიუცია და თურმე ალიონიდან საუზმობამდე აბაყუნებინა. ვიღაც მეჭორეს ეს ამბავი გიორგი გურამიშვილის ყურამდე მიუტანია. ამპარტავან ბატონს წარბები შეუყრია, მიხა მკაცრად დაუტუქსავს, მაგრამ ერთგული გლეხკაცისათვის ბოლოს მაინც შემარიგებლურად უთქვამს:

„შენი მომავალი ბატონისთვის ასეთი უკაცრაული არ უნდა გეკადრებინაო“. დავითს მიხას თავზე დამტყდარი რისხვა უჩუმრად მოუსმენია, მამას არ შეპასუხებია, მაგრამ მიხას უსამართლო დასჯაზე თავისი აღშფოთება იმით გამოუხატავს, რომ მეორე დღეს ბალახმოდებულ ზვარში ჩასულა და მთელი დღე უთოხნია. ღამის მეხრეთაგან ბულაყზე დასარწყულებლად გარეკილ საქონელს თან რამდენჯერმე გაჰყოლია. გუთნისდედებთან ერთად ალიონზე დგებოდა თურმე, რათა საქონლის უღელში გაბმისათვის ეცქირა და უთენია ცაში აჭრილი ტოროლების კივკივი მოესმინა. ზედაზნის ხევხუვებში კუს, ზღარბებისა და გველხოკერების დევნა ჰყვარებია. პოულობდა თურმე ამ საცოდავ არსებათა და ტოლსწორებში მათი წვალებით ერთობოდა. ახატნელ ბიჭებთან ერთად უვლია სამწყემსურში. არაგვზე ჩარეკილ ბატებსა და ინდაურებსაც სდგომია მწყემსად და რქოსანი საქონლის მოვლა-პატრონობასაც ჩემულობდა თურმე. უყვარდა სათიბში სიარული. თივის ბულულებში კოტრიალი და გამხმარი თივის სურნელებისათვის სული ელეოდა. რამდენიმე თვე ცხვარშიც ყოფილა და მწყემსების მკაცრი ცხოვრებაც ზედმიწევნით სცოდნია.

საგურამოს ზედა უბანში ყოფილა აღმართული საგვარეულო ციხე. აქ, ამ „ვენახოვან, ხილიან და ყოვლითა“ შემკულ შემოგარენში, ქართლ-კახეთის მიჯნაზე, ქართლის შუაგულსა და არაგვის ჭალებში, ზედაზნის მთის დამრეც ფერდობებსა და ჯვრისმონასტრის ციცაბოებზე უძებნია ცნობისმოყვარე, ყოვლის ცოდნის წყურვილით გახელებული ყმაწვილის გონებას გზა ხსნისა. და მაშინ ჯერ კიდევ კარგად არა სცოდნია, რა ნარეკლით იყო აღსავსე მისი მშობლიური შემოგარენი, წინაპართა რამდენი თაობის ძვლებითა და სისხლით იყო გაპოხიერებული ხსნის ის მტანჯველი გზა-ბილიკი, საგურამოში რომ დაიწყო და შორეულ ცისქვეშეთში დასრულდა.

ღმუილაანთ მიხა წელმაგარი და შეძლებული გლეხი კი ყოფილა, მაგრამ მისი მეუღლე პატარა დავითს თურმე სავსე ტაბლას მაინც არ უდგამდა. აქაო და, ბავშვი გაჭირვებას უნდა შეეჩვიოსო. ამიტომაა, რომ პოეტს გაჭირვებისა და სიდუხჭირის ხსოვნა ღრმად ჩარჩენია გონებაში და სიბერეშიც ემდურის წუთისოფელს: „გამზარდა ჭირით, ძუძუთ და პირით, სხვას მიმცა ჭირით ფასითა ძვირით, ბევრჯერ მა-



მამამძუძუ ღმუილიანთ მიხა და მისი აღსაზრდელი მთელი
ღღე ტყე-ველად დაეხეტებოდნენ

ტირით მუცლითა მშივრით...“ ეს იქნება ტყვეობისდროინდელი სამდუ-
რავიც იყოს საწუთროსი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: დავით გურამი-
შვილს სოფლად გატარებულმა წლებმა ბევრი კარგი რამ შესძინა, რაც
შემოქმედების ეკლიან გზაზე ჰეშმარიტად წაადგა. ცოდვა გამხელი-
ლი სჯობსო, ასე მოძღვრიდა სამწყსოს მამაზეციერი და, გულახდილად
რომ ითქვას, სამადლო და სასიკეთო დავითის წინაშე ბევრი არაფერი
მიუძღვის. პოეტური ნიჭი, მახვილი გონება, გარეგნული სიმშვენიერე
მიჰმადლა და სწავლის გასრულება არ აცალა, ბედი შეუკრა, ჯერ ლეკ-
თა ტყვეობა არგუნა ხვედრად და მერე სად არ ათრია. „ქაცვია მწყემს-
ში“ შვილი მამას შესთხოვს, მასწავლეო. პოეტი ჩივის, „არც მე ვარ
სწავლით კარგად ნაზარდი, ძლივს მისწავლია ან-ბან-გან-დონი“. და-
ვითს შინაური განათლება მიუღია. ჯერ კიდევ სრულიად პატარას ზამ-
თრის გრძელ ღამეებში ენაწყლიანი ძიძისაგან მოუსმენია ქართული თუ
სპარსული ზღაპრები. ყრმა დავითის ძიძას თავისი ქვეყნის სახელოვან
შვილთა თავსგადახდენილი ამბებიც კარგად სცოდნია. ყმაწვილი
თურმე სულგანაბული უგდებდა ყურს გლეხისქალის მონათხრობს და
გულში ამაყობდა, რომ მისი ქვეყანა და ხალხი თურმე ამდენი ჯურის
მომხდურთ ერკინებოდნენ. დავითი გამორჩეულად იმ დევკაცთა სიჩა-
უქეზე აამბობინებდა ხოლმე ძიძას, ვისაც ბრძოლებში ბევრი „გადა-
მთიელი“, „მუდრეგი“ (ეს მისი ძიძის სიტყვებია) დაეხოცა. სახელოვან
გმირთა ვაჟკაცობით აღტკინებული „მცირე ყრმა წკეპლასა ზედა ჯდებო-
და“ და სულ იმის ცდაში იყო, რომ მისი ჯირითი, მომხდურთა მოჩვენები-
თი ხოცვა-ჟლეტა, „ჯოხის ცხენით რბენა და ხლდომანი“ მის ახლობელ
თუ შორეულ წინაპართაგან მტერთა მუსვრას დამსგავსებოდა. იგი მომხ-
დურთ იმ გმირთა სახელით ებრძოდა, ვისი საარაკო საქმენიც ძიძისაგან
მოესმინა. ამიტომ ხან ცოტნე დადიანი იყო და ხან გიორგი ბრწყინვალე,
ხან უსამართლოდ დასჯილი დემნა უფლისწული და ხან გიორგი სააკაძე.
საღამოობით ბუხართან გატვრენილი კვლავ ხარბად ისმენდა ტკბილ-
მოუბარი ძიძის მონაყოლ ქართველ გმირთა სადიდებელ საგალობლებს.
გაოცებული და სასიამოვნოდ გაკვირვებული იყო, რომ ამდენი ბრძო-
ლის გადამტანი მისი ქვეყანა და ხალხი ჯერ კიდევ ვერ გაენადგურები-
ნათ და პირისაგან მიწისა საბოლოოდ ვერ აღეგავათ. სპარსელები, რო-
მაელები, არაბები, ბერძნები, მონღოლები, თურქმანები და ვინ იცის,
ვის არ დაელაშქრა თურმე მისი ქვეყანა, ვის არ წაესხა ტყვედ თვალ-
ტანადობით დარჩეული გოგო-ბიჭები, ვის არ გადაუწვავს ტაძრები,
გაუტაციათ განძეული, დაუქცევიათ ქართველთა სახლ-კარი, გაუქუ-
ქავთ მტერთან უთანასწორო ომებში მედგრად მორკინალი ვაჟკაცები,
დაუმდაბლებიათ ქალ-რძალნი, გაუკაფავთ წალკოტივით აყვავებული
ბაღ-ვენახები, გაუნიავებიათ მის წინაპართა დოვლათი და, რაც ჯორ-
აქლემებისთვის ვერ აუკიდიათ, ცეცხლისა და გეენისათვის მიუციათ.

მაკრამ მოშხდურნი ვაბრუნებულან თუ არა, ქართველი კაცის გამრჯე მარჯვენას კვლავ ფეროფლიდან აღუდგენია და უღორძინებია ყოველივე და ყველაფერი, — იქნებ ჩვენი მოსისხლე მტრები დაწყნარდნენ და აღარ გვერჩიან, ძიძავ, — წამოსცდენია ერთხელ თემურ ლენგის ურდოებისაგან ხალხის უწყალო ხოცვა-ჟლეტის ამბით შეძრწუნებულ ყრმას.

— ეჰ, შვილო, ჩვენი მტრების დაწყნარება რომ მართლაც შეიძლებოდეს, თვითონ ჩვენი ღვთის პირისაგან გადავარდნილი დიდებულები არ მოისვენებენ, აშლიან ქვეყანას, ძმათამკვლელ ომებს გააჩაღებენ და სამოთხეში ისევ ჯოჯოხეთის მოციქულებს მოიწვევენ. ზოგს სპარსეთის ყაენის ნაწყალობევი თაჯი, თომარი, მურასა ხმალი და ხალათი ენატრება, ზოგს კი თურქთა ხონთქრის ქურქის ჩაცმის სურვილი არ ასვენებს...

იმდროინდელი ჩვენი ცხოვრება არავის ანებივრებდა, ქვეყანას გასაჭირი ადგა და ქალ-ვაჟნი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ადრე მომწიფდებოდნენ ხოლმე. მოზარდთათვის და მით უფრო ყმაწვილებისათვის ოჯახური იდილია უცხო რამ ხილი გახლდათ. მათ მკაცრი სპარტანული წესითა და რიგით ზრდიდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ დავითიცა და მისი ძმებიც გიორგი გურამიშვილმა აღსაზრდელად ღმუილაანთ მიხას, გლეხკაცს, მისცა. საბედნიეროდ, დავითს მარტო ღმუილაანთ მიხა არა წურთვნიდა, თორემ ასეთი მასწავლებლის ხელში ნაზარდ ყრმას მხოლოდ ხმლის ვაჟკაცური მოხმარება, ცხენოსნობა, ნადირობა, უცხო ტომელი მარბიელი ლაშქრის ცხელ კვალზე მიყოლა, ციხე-სიმაგრეთა საალყო გარსშემოდგომა, იერიშზე გულდაგულ მისვლა, თავდაცვითი სანგრების მოწყობა და ბრძოლაში საჭირო სამხედრო თადარიგის დაჭერა ეცოდინებოდა.

დავითის დედას, დარბაისელ მანდილოსანს ღვთისმოსავ მზევინარს შვილის სულიერ აღმზრდელად ვარსკვლავთმრიცხველობასა და მათემატიკაში ღრმად განსწავლული, ბერძნული და ლათინური ენების მცოდნე, ზედაზნის იოანეს ტაძარს შეხიზნული მღვდელი პავლე ლეკურიანიშვილი შეურჩევია. მამაო პავლე მალე დარწმუნებულა, რომ საქმე ძალიან მკვირცხლი და გამჭრიახი გონების ბავშვთან ჰქონდა და მათემატიკასა და ვარსკვლავთმრიცხველობასთან ერთად აღსაზრდელისათვის ხაზვა და მილებში წყლის მოძრაობის კანონები (ჰიდრავლიკაც) უსწავლებია.

განსწავლულ მღვდელს შეგირდისათვის არც ციურ სხეულთა სრბოლასა და შვიდი ცის საიდუმლოებაზე დაუკლია ცოდნა, მაგრამ ყველაზე მეტად ყრმა მაინც ფილოსოფიურ-რელიგიურ სწავლანში უწვრთნია. თეოლოგიაში ყრმა დავითის განსწავლამ თავისი ნაყოფი პოეტის შემოქმედებაშიც გამოიღო. მამაო პავლეს ხავერდოვანი ბარი-

ტონი ჰქონია და, როცა ღაღადებდა, თურმე ზედაზნის ეკლესია თუ გურამიანთ პატარა სამლოცველო სმენად საამო სიმღერით ივსებოდა. პატარა დავითს ძალიან ჰყვარებია ხმელ-ხმელი, წარმოსადეგი, მომხიბლავი გარეგნობის ანაფორიანი თეთრწვერა ხუცესი და, როცა ჭარმაგი მოხუცი იტყოდა: — „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!“ — თითქოს მღვდლის პირიდან პირველად გაიგონაო, ყრმა მაშინვე ჰკითხავდა: — თუ ჭეშმარიტი ღმერთი ერთია, მაშინ ძე და სულიწმინდა ვინღა არიან, მამაო?

— ამ სიტყვებით, შვილო, ჭეშმარიტი ქრისტიანე ამბობს: მამა, ძე და სულიწმიდა არს ერთარსება ჭეშმარიტი ღმერთი სამებითა. სწორედ ამიტომ მართლმადიდებელნი ღმერთს წმიდა სამებას ვეძახით. სიტყვით „ამინ“ ვადასტურებთ, რომ ეს ნამდვილად ასეა. — მერე მამაო პავლეს ერთხანს ფიქრი წაიღებდა და ბავშვის საზრიანობით განაოცები ჩუმად წარმოსთქვამდა: — „დიდება შენდა, ღმერთო, დიდება შენდა, რა სხარტი გონების ბავშვია“.

შეგირდიც კითხვას არ დაუგვიანებდა.

— ეს რაღას ნიშნავს, მამაო?

— დიდება და ქება ეკუთვნის მარტო ღმერთსა, სამყაროს შემქმნელს, დაუსაბამოსა და უსასრულოს, სხვას რაღას უნდა ნიშნავდეს?

— აბა, ჩვენ რომ ვამბობთ: „დიდება მამასა, ძესა და სული წმიდასა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“, ამაში რაღა იგულისხმება, მამაო?

— აჰ, შვილო ჩემო, ის აზრი გამოსჭვივის, რომ ჩვენ ერთნაირად უნდა ვაქებდეთ და ვადიდებდეთ მამა ღმერთს, ძესა და სული წმიდასა. ეს დიდება ეკუთვნით ამჟამად, ეკუთვნოდათ ყოველთვის და უნდა ეკუთვნოდეთ დაუსრულებლად, უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ აქ ხდებოდა საოცრება და ღვთის სამებაში და მისსავე ერთ არსებაში შეეჭვებული შეგირდის ურწმუნო გონება თავისივე უნდობლობის გასაფანტავად მათემატიკას მიმართავდა.

— თუ სამი ეტოლება ერთს, მამაო, და ერთი ეტოლება სამს, მაშინ ერთს რომ მივუმატოთ ერთი — იქნება ექვსი და ორჯერ ორი ოთხი რადაა?

ყრმის საოცარი ლოგიკით განაოცები და უხერხულ ყოფაში ჩავარდნილი, მაგრამ ვარსკვლავთმრიცხველობაში ღრმად განსწავლული მღვდელი საშველად იმწამსვე ციურ სხეულთ მოუხმობდა ხოლმე.

ჩვენი მნათობი — მზე არს ცხოველმყოფელი, განმანათლებელი და განმაცვიფრებელი და ეგრეთ ერთობა მზისა სამეობითაა: ცხოველმყოფელობა, ბრწყინვალება და სითბო და ამავე დროს სამივენი არიან ერთნი და აქვთ ისეთი სხვაობა, თითქოს არიან სამნი, ასევე მამა, ძე და სული წმიდა შეადგენს ერთ ღმერთს. მამა არის — ნათელი უზენა-

ესი, ყოვლად ცხოველი, ძე ბრწყინვალება დიდად მშვენიერი, სული წმიდა მცხუნვარება უძლიერესი, გავარვარებული, სიცხე სიყვარულისა.

„დავითიანში“, ალბათ მამაო პავლეს თეოლოგიაში განსწავლულობის გავლენით, ასეთი სტრიქონები გვხვდება:

„დიდება შენდა ნათელო, ერთო სამ-სახეო!“

ან

„დავით თქვა ღვთისა ქებანი...
აქებდა ღმერთსა ცათაგან,
ყოველთა მისთა ძალთაგან,
იროკა, ისამა,
საბაოთ ღწამა,
მამის და ძისამა
და სულის თქმისამა“.

დარჯაკგამოვლილი, განსწავლული და დაბრძენებული გურამიშვილი „დავითიანში“ ერთ ადგილას ჩასწერს:

მამას და ძესა და სულსა სიტყვით აქვსთ განყოფილება,
მაგრამ ერთ ღმერთად ითქმიან, ამას არ უნდა ცილება.
მამა უვნებლად მაღლა ჯდა, ქვე ძეს ხვდა მოცაკვდინება,
სულს რაღა შაეხებოდა, თვალთაგან არ იხილვება.

ახლა ძნელი სათქმელია, სად ჰქონდა ამოკითხული სამებისა და ერთარსების განმარტება მამაო პავლეს, თეოლოგიის რომელ ძველის-ძველ წიგნებში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მამაო პავლეს კარგად სცოდნია სქოლასტიკაში გაბატონებული შეხედულებანი ნათელზე: რომ ქრისტიანობამ შეხედულება ნათელზე ძველი აღმოსავლეთიდან აიღო და მას მერე დაკანონებული იქმნა შეხედულება: ღმერთი არის ნათელი, ღმერთის სიტყვა არის ნათლის გამოშუქება. ანტიკური ხანის ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ: იდეები ნათელს აფრქვევენო და ადამიანთა ცოდნა ამ სინათლით არის გაშუქებულიო. მათი მოძღვრების შედეგად შეიქმნა შეხედულება ღმერთზე, როგორც ნათელზე და ნათლის დასაბამზე.

ცხადია ისიც, რომ „დავითიანში“ მამაო პავლეს ვარსკვლავთმრიცხველობასა და მნათობებზე სწავლებამაც ჰპოვა თავისი გამოძახილი.

მზე და სხივი და ნათელი ვით სამად გალექსულია:
იგ სამივ ერთი მზე არის, არ ცალკე გაქსაქსულია:
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე, და ეგრეთ წმინდა სულია:
ვისაც სამება არა სწამს, სჯულთაგან გარდასულია.

მამაო პავლესთანა უბრალო მოკვდავი მღვდელი კი არა, ღვთაების მზესთან შედარებას თეოლოგიაში ღრმად განსწავლულნი, მსოფლიო



ყრმა გურამიშვილს თავისი მწერთნელი უხერხულ ყოფაში
ბევრჯერ ჩაუყენებია

სახელის მქონე, წმინდა მამანიც მიმართავდნენ, თუმცა ამ შედარებას ხანდახან ღვთაებისათვის ერთგვარ საძრახ და სათაკილო საქმედაც მიიჩნევდნენ.

წმიდა ბასილიოს დიდი (330—379) — „და ერთი არის სამი, რომელი არს ღმრთეება, ვითარცა სამი მზე ერთი მეორეში ჩასმული, ერთი განფენა ნათელისა“.

წმიდა გრიგოლ ნაზიანელი (330—339) — „ნათელი არის ღმრთეებრი ნათელი... ეს არის ერთი და იგივე ღმრთეება სამი პირით, თითქო სამი მზე, სავსებით გაერთიანებული, მხოლოდ ერთსა და იმავე სინათლეს გამოსცემდეს... უნდა ვეთაყვანოთ სამებას ერთში და ერთს სამებაში“...

წმიდა მამა ეფრემ სირიელი (—373) — „მამა არის მზე: ძე არის სინათლე: სული წმიდა არის სითბო“.

წმიდა იოანე ოქროპირი (344—407) — „ძე (იესო) განუშორებელია მამისაგან, ისე ვით შუქი მზისაგან“.

წმიდა ათანასე (295—373) — „მამა და ძე არიან ერთი ისე ბუნებრივად და იმგვარადვე, როგორც მზე და ბრწყინვალება ერთი და იგივეა... სამება არის ერთი მზე და მისი ბრწყინვალება და ერთი ნათელი მზეში და ბრწყინვალებაში... შუქთა ანარეკლიც ნათელია, მაგრამ არა მეორე, მზისაგან განსხვავებული ნათელი, ან სხვა ნათელი, ან მასთან შეუზიარებელი, არამედ საკუთარი ნაყოფი მისი... ასევე არის ღმერთი ერთი და სამება... მამა არის ნათელი, ძე — შუქი, სული-წმიდა—განმანათლებელი, ძალა წმიდა. დიონისე არეოპაგელი ციურ ძალთა გამო მსჯელობისას არკვევს, ანგელოზს რატომ ჰქვია სხვა სახელთა შორის აგრეთვე „არწივი“ და ამბობს: „არწივი არის სიმბოლო მეფობისა, მწვერვალისადმი მისწრაფებისა, სწრაფი ფრენისა, სიმარდისა, ცქვიტობისა... მზერის მკვეთრობისა: იგი უმზერს თავისუფლად და პირდაპირ, რათა განსჭვრიტოს ის შუქნი, რომელთაც ღმრთეებრი მზის სიუხვეს ამრავლებსო. როგორც ვხედავთ, დიონისე არეოპაგელი ღმრთეებას უწოდებს აგრეთვე — ღმრთეებრი მზე!“

წმიდა იოანე დამასკელი (700—790) ამბობს: რათა გასაგებად გავხადოთ სამების საკითხი, ჩვენ შედარებასაც კი მივმართავთ. მზე ნათელი და მისნი შუქნი (სითბო) და ეს არის ხატი ხილული უხილავისა, ხატი გრძნობადი ზეგრძნობადისა... მართლაც, ერთი სიტყვით რომ ითქვას, ღმრთეება განუყოფელია პირებში (სამებაში), ისე, როგორც სამ მზეში, რომელიც ერთი მეორეს შეიცავს, არის მხოლოდ ერთი ნათელი თავისი შინაგანი შეთხზვითო [1].

---

1 წმიდა მამათაგან სამებასთან მზის შედარება ციტირებულია წიგნიდან „ეფხის ტყაოსნის ღმრთისმეტყველება“.

„ძეთა-ძისა შესხმა და ჭეშმარიტის გზის თხოვნა დავითისაგან“ გურამიშვილი წერს:

დიდება შენდა, დიდება, საბით მზეთა-მზეო,
მიუწვდომელო ნათელო, გრძელო, ძველო დღეო,
უფალო უფლებათაო, მეფეთ-მეუფეო!
უბერებელო, უკვდავო, მყოფო, შეურყეო, —
შენ გაქებ და გეაჯები, დაკარგულო ტყვეო,
მოიხსენე მონა შენი, ნუ დამიეწყეო!
და ვით მე გთხოვ, ჭეშმარიტი შენ გზა მაუწყეო!

ღმერთი, დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ცხოვრობს მიუწვდომელი ნათელის სასუფეველში, ადამიანთა მოდგმის მზერას ამ ბრწყინვალებაში შეღწევა, მისი ხილვა, არ შეუძლია. ამიტომ ღმერთი მიუწვდომელი და მიუწვეველი ნათელია. გურამიშვილთან ღმერთი, როგორც ვნახეთ, „მიუწვდომელი ნათელია“ იგი გრძელი, ძველი დღეა. ბიბლიაში იგი იწოდება: „დიდი, სრული, უწინარეს საუკუნეთა“. ეს კი იმას ნიშნავს და ასე ღმერთი იმიტომ იწოდება, რომ იგი საუკუნეებს წინ უსწრებდა, იგი იყო „დროთა უწინარეს“ და თვითონ იგი „არს საუკუნე უსასრულო და ყოველივეს დრო“. დავით გურამიშვილმა ზედმიწევნით იცის ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებანი, ქრისტიანული თეოლოგიის საფუძვლები და ამიტომაა, რომ მის ლექსებში ასე უხვადაა მიმობნეული ბიბლიიდან მომდინარე ღვთის სახელები. მზე, რომელიც არეოპაგელის მიხედვით, არის მაგნიტივით ყოველივეს თავისაკენ მიმზიდველი, ამავე დროს ღმერთის შუქთამფრქვეველი ხატია.

მამა ხარ დაუსაბამო, არა გაქვს დასაბრული,
სიტყვა გაქვს ძედ მოთხრობილი, გვსმენია აქ მოსული.
არა ხარ ღმერთი მტყუარი, გაქვს ჭეშმარიტი სულია,
ერთი ხარ, მაგრამ ამ სიტყვით სამად ხარ გაეჭსულია.

სახარებაში ნათქვამია, რომ მზე ერთიანად დაჰნათის მართალთა და ცრუთა, ერთიანად წვიმს კეთილთა და ბოროტთა ზედა (ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გაყვარდეს მტერიცა და მოყვარეც), „გესმა, რამეთუ თქმულ არს, შეიყვარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი.

ხოლო მე გეტყვი თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცავდით მათა, რომელნი გმძლავრობდნენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ.

რაითა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაისა: რ ა მ ე თ უ მ ზ ე მ ი ს ი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მათე, 5, 43—48).

ჩვენ თვალნათლივ ვნახეთ, რომ დავით გურამიშვილი თავის შე-

მოქმედებაში სცნობს სამება-ერთარსებას, იგი თაყვანსა სცემს და ეაჯება „ღმერთსა სამებით ცნობილსა და ერთარსებით დიდებულსა“. ამავე დროს მისთვის კარგადაა ცნობილი ის თეოლოგიური სწავლანი, სადაც ღვთაებას მზეს ადარებენ და თვითონ ღვთაებას მზეთა-მზეს უწოდებენ. ასევე მზეთა-მზეს უწოდებს თვითონ დავით გურამიშვილი პოემაში ღმერთს და მიაჩნია, რომ: „მზე, სხივი და ნათელი სამად გალექსულია და იგ სამი ერთი მზეა“. ჩვენი ღრმა რწმენით, ის ადგილები, რომლებიც პოემიდან მოვიტანეთ, ადასტურებენ თეოლოგიასა და სასულიერო მწერლობაში დავით გურამიშვილის ღრმად განსწავლულობას. სულიერ მამათა მოძღვრებამ „დაუსაბამო ნათელზე“, „წარუვალ ნათელზე“, „დაუღამებელ ნათელზე“, „მიუწვდომელ ნათელზე“, „ყოვლად სახიერზე“, „სულთა გონიერთა მზეზე“ თავისი ასახვა ჰპოვა გურამიშვილის ცხოველ სტრიქონებში.

მან დამაყენა, წამოაყენა
მან მზეთა-მზემან შარავანდედი,
ბნელში მგდებარე გამოვედ გარე,
ვითა დავლამდი, ისევ გავსთენდი!

ეს მერმინდელი ამბებია, თორემ პატარა დავითს უფრო მკრეხელური აზრებიც ჰქონია. ძმის სიკვდილით შეძრწუნებულ ყრმა გურამიშვილს მოძღვრისათვის ერთხელ უკითხავს:

— ღვთის დასჯა თუ შეიძლება, მამაო?

— ეს რა ღვთის წყრომაა შენს თავს და საიდან გებადება თავში ეს მკრეხელური აზრები, შვილო? — უთქვამს შეშფოთებულ მღვდელს.

— მაშინ უსამართლობას რატომ სჩადის ღმერთი, მამაო? რას ერჩოდა ჩემს პატარა ძმას, რომ უდროოდ უხმო მის სულს ზეცაში, ხოლო ხორცი აქვე, ჩვენი ეკლესიის ეზოში, დაგვაფლევინა? ან ჩვენს ქვეყანას რას ერჩის ღმერთი, მამაო? რატომ არ ჩაჰყრის იმ წუნკლებს ცეცხლსა და გეენაში, ვინც არ გვასვენებენ და ჩვენს მიწა-წყალს აოხრებენ?...

— ალბათ, ჩვენთა ჩადენილთა ცოდვათათვის გვსჯის, შვილო!

— მაშინ ჩვენს მტრებს რატომ არ უბნელებს გონებას, ვიდრე ჩვენს ასაკლებად გამოილაშქრებდნენ, იმათ ხომ არა სწამთ ჭეშმარიტი ღმერთი, ჩვენი მაცხოვარი, მამაო?

— არც მათ ასცდებათ განკითხვის დღე, შვილო.

— ვაითუ გვიან მიუვიდეთ მისაგებელი, მამაო, და ჩვენმა მტრებმა ჩვენი გაუუქვა მოასწრონ.

— სვეტიცხოვლის საკურთხეველში რომ ქრისტეს გამოსახულებაა, მისი მხატვარი იცნობდა თუ არა მაცხოვარს პირადად, მამაო?

— არ იცნობდა, შვილო, ფრესკა გაცილებით გვიანაა შექმნილი.

— თუ არ იცნობდა, როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ გამოსახულება ნამდვილადა ჰგავს მაცხოვარს, მამაო?

მამაო პავლე გაყუჩდა და არაფერი უპასუხა.

— თუ ღმერთი ყოვლისმხილველი და ყოვლისმცოდნეა, მამაო, მაშინ რად მიატოვა ზეციური საუფლო და ამ ცოდვილ მიწაზე რად ჩამოვიდა? განა თავისი საბრძანებლიდან გულთამხილველს, ყოვლისმჭვრეტსა და ყოვლისმცოდნეს არ შეეძლო დაენახა, შეეტყო და გაეგო, რასაც მისი შექმნილი ცოდვილი ადამიანები სჩადიოდნენ?

ყოვლის წინასწარმცოდნეს და ყოვლისშემძლეს განა არ ძალუძს ადამიანებს აუკრძალოს ის, რასაც ცოდვების ჩადენა ჰქვიან, და რისი გულისთვისაც ზეციური სასუფევლის ნაცვლად ადამიანები ცეცხლსა და გეენაში საშუდამო სატანჯველად უნდა განიწირნენ? ადამიანის გონება რად უმხედრდება უფლის ნება-სურვილს, მამაო, რად ეწინააღმდეგება და ეურჩება? ადამიანი და მისი გონებრივი შემართებაც ხომ უფლის შექმნილია?

ამდაგვარი ბავშვური გულუბრყვილო კითხვებით, თუმცა ბავშვის პირით მუდამ ჭეშმარიტება ღაღადებს, ყრმა გურამიშვილს თავისი მწვრთნელი უხერხულ ყოფაში ბევრჯერ ჩაუყენებია და მამაო პავლე მუდამ გულწრფელად ევედრებოდა თურმე არსთაგამრიგეს, მიეტევებინა ყრმისათვის მკრეხელობა.

დრო-ჟამი მაშინაც თავისებურად უწყალოდ ვიდოდა, ღამეს დღე ენაცვლებოდა და ამასობაში ყმაწვილი ჭაბუკად ქცეულა. მის ძარღვებში კი ორივე მხრიდან ცისფერი სისხლი ჩქეფდა, ალბათ, ამ ცისფერი სისხლის მიზეზით იყო, რომ თვალები ჭროღა გამოჰყვა. ოთხი წყრთის სიმაღლეს ჭაბუკობაშივე მიაღწია, მერე არც გაზრდილა და უფრო ახოვანი ეთქმოდა, ვიდრე მაღალი. მხრებში ლაღად გაშლილს გრძელი მკლავები და ვეება ხელის მტევნები ჰქონდა, უფრო ხმლის ვადის ჩასაბღუჯად შესაგვანი, ვიდრე კალმისა. ულვაშები თექვსმეტის წლისას აეკოკრა. გაღიმებისას რცხილის გულივით თეთრი, ნაფოტა კბილები გამოუჩნდებოდა ხოლმე. ხელის ჩამორთმევისას მოჭერა არ უყვარდა, მაგრამ ჯანის სიმრთელესა და სიმაგრეს უმალვე იგრძნობდით. წაბლისფერი თმა, დაფანჩული წარბები, კეხიანი ცხვირი, გრძელი წამწამები, გამოკვეთილი ნიკაპი და პატარა პირი, მნახველთ მყისვე დააცდენინებდათ ხოლმე, სანდომიანი შესახედავიაო.

ერთხელ ვარდობისთვის დასაწყისში მამაო პავლეს აღსაზრდელისათვის უთქვამს, გიორგობის დღესასწაულზე უნდა წავიდეთ და მსახურს უთხარი, ჯორები შეგვიკაზმონო. დავითს მსახურისათვის დაუვალებია, მამაო პავლეს ჯორი შეუკაზმეთ, მე კი ცხენიო, ცხენოსნობაში

სიჩაუქის ჩვენების მოწადინე ყრმას სულიერი ალმზრდელისათვის ჯორზე შეჯდომაზე ცივი უარი უთქვამს და თავისი გაუტანია. გზად მიმავალთ თურმე თავზე გუგულმა გადაუფრინათ. მამაო პავლეს უთქვამს, მტაცებელი ფრინველის თავზე გადაფრენა კარგად არა მაქვს დაცდილი და უკან დავბრუნდეთო. დავითს იმწამსვე შეუგებებია პასუხი: „გუგული, მამაო, ერთი შეხედვით მიაგავს მტაცებელ ფრინველს, თორემ თუ კარგად დააკვირდებით, ფარფარა ნისკარტზევე ეტყობა, რომ მტაცებელი არაა. იგი სრულიად უწყინარი ფრინველია, მავნებელ მწერებს ანადგურებს. ღვთის წინაშე მარტო ის ცოდვა მიუძღვის, რომ ბუდეს არ იკეთებს, ეგ შეჩვენებული კვერცხს მიწაზე სდებს, მერე ბოლოქანქალას ან მზეწვიას ჩაუდებს ბუდეში და ბარტყებს იმათ აჩეკინებს და აზრდევინებს. დედალი გუგული სულ მარტო ცხოვრობს, ძაძალს მხოლოდ მაშინ ხვდება, როცა დაპეპვლის დრო უდგება ხოლმე.

— გუგულის ამბავი კარგად გცოდნია, შვილო, ეტყობა, ღვთის პირისაგან გადავარდნილ მიხასთან ცუდ-უბრალოდ არ დაეხეტებოდი ტყე-ღრეში.

— ცუდ-უბრალოდ რად უნდა დავეხეტებოდეთ, მამაო, გუშინ კაკანათით ისეთი ლამაზი ხოხობი დავიჭირე, რომ ქრისტეფორე ლამის გულზე გასკდა. მარტო მისი ჭრელი ფრთების შეხედვა ღირს ერთ რამედ. მერე ბოლო როგორი აქვს! ცისარტყელის შვიდი ფერი მაგასთან არაფერია. თვალის გუგებს გარშემო კი მჭახე წითელი ბუმბული აქვს მოდებული. იმას ქვევით მომწვანო რგოლი ავლია, უფრო ქვევით კი თითქოს თეთრი საყელო აქვს გაკეთებული.

— მაშ ისიც გეცოდინება, დედალი ხოხობი რატომაა შინაური ქათამივით შეუხედავი?

— ბუნებას მაგათი ჯილაგი აგრე შეუქმნია, მამაო, დედალი ხოხობი ბალახებში უნდა იჯდეს და მტრებისაგან თავს იმით იცავს, რომ გარემოს შეხამებულია. გაზაფხულზე, თოვლის დნობისას, ყურადღება რომ მიიქციოს, მამალი ხოხობი ერთი ყვირილითა და ჭახჭახით აიჭრება ხოლმე ცისაკენ...

ყრმა გურამიშვილმა უცებ ბულბულის სტვენას მოჰკრა ყური და დადუმდა: — აი, ახლა იგი გულისწორს უმღერის, მამაო, ეს კი მართლაც ბუნების საოცრება გახლავთ. ასეთი სმენად საამო და დამატყვევებელი გალობა ხშირად მზის ამოსვლის წინ და მზის ჩასვლის მერე, შებინდებისას და გამთენიისას იცის ბულბულმა. დღე იშვითად გალობს და ჩვენ დანავსული კი არა, ბედნიერ ფეხზე მივდივართ სვეტიცხოველისაკენ, მამაო. ბულბულიც ძალიან შეუხედავი ფრინველია, ბეღურასა ჰგავს სიგონჯეში, თუმცა მასზე ცოტა დიდია.

სჯა-ბაასში გართულნი მალე მცხეთას მიადგნენ. პირუტყვები დააბინავეს და ტაძრისაკენ ფეხით გაემართნენ. სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარი დავითს ადრეც ბევრჯერ ენახა, თუმცა თვითონ კათალიკოსის წირვის მოსასმენადა და სანახავად პირველად იყო.

მდიდარსა და ღარიბს, მქონებელთა და არასმქონეთ, ყველას მოჰქონდა შესაწირავი, ძღვენი. „მოაქუნდეს შესაწირავი და საკუმეველი, მანანაი და გუნდრუკი“. მოჰქონდათ და მდუმრიად შედიოდნენ აღსავლის კარით საკურთხეველში. შედიოდნენ მდუმრიად რადგან „ღმერთსა ესმის მდუმრიადიცა ვედრებაი“.

დავითმა საკუთარი თვალით იხილა, როგორ იდგნენ შეცოდებულნი სვეტიცხოველის ტაძრის გალავნის შესასვლელ ალაყაფში. ისინი განკრძალულნი, დარცხვენილნი და მუხლდადრეკილნი ევედრებოდნენ მორწმუნეთ, ელოცათ მათთვის და გამოეთხოვათ ზენაარსისათვის, მიეტევებინა შეცოდებანი მათნი. თითოეული მათგანი შეტირებით იყო დასჯილი და გალავნის კარს აქეთ გადმობიჯება ეკრძალებოდა.

მდიდრულად მორთულ-მოსირმულმა, გოროზად მავალმა უამრავმა ქალმა და კაცმა და მათ გვერდით ღარიბულ სამოსში გამოწყობილმა გლეხობამ, დაკონკილ-დაძონძილმა მათხოვრებმა და უპოვრებმა დავითზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს.

ეს ჩამოძენძილი, დაბრენძილტალავარიანი მათხოვრები, რომელთაგან ზოგიერთ საპყარს შეუხორცებელ იარიანი ჭრილობები და სხეულის მახინჯი ნაკვთები სახალხოდ გაეშიშვლებინა, ერთი შეხედვით მორჩილნი, რაღაც თვინიერად იდგნენ და ელოდნენ... ელოდნენ ამა ქვეყნის ძლიერთაგან განკითხვას, ელოდნენ მათ მოწყალებას, ალბათ, იმ იმედით, რომ აქ, ღვთის ტაძარში, ისინი უფრო გულაჩვილებულნი იქნებოდნენ. ყველა ქვეყნის ღარიბ-ღატაკებმა და მათხოვრებმა კარგად უწყიან, რომ შეძლებულთა ქისებში განგებამ მათი კუთვნილი წილიც ჩასდო და იმ ღარიბთაგან ვიეთნი ძალდატანებით, მოხერხების წყალობითა და ათასგვარი ხრიკებით ცდილობენ მათი კუთვნილი სიმდიდრის შეძლებულთა ქისებიდან ამოღებას, ხოლო მავანნი და მავანნი დამკრთალნი, მორიდებულნი, მოკრძალებულნი და ხელგამოწვდილნი დგანან, რათა ლოცვითა და თავდრეკილობით როგორმე აიძულონ მდიდარნი ამა ქვეყნისანი და გასაკითხი გააცემინონ. გალავანში თავმოყრილ ზღვა ხალხში გზა გაიკვლიეს და ტაძარში შევიდნენ. გუნდრუკი უკვე ეკმიათ და ყნოსვას სანთლისა და საკმევლის საამო სურნელი უღიზიანებდათ. მორწმუნეთა მიერ დანთებულ უამრავ სანთელს ტაძარი რაღაც უცნაურად გაებრდღვიალებინა. ირგვლივ საკმევლის მათრობელა სურნელი იფრქვეოდა. ტაძრის შიგნით აუარებელი ხალხი შესულიყო, მაგრამ სამარისებურ სიჩუმეს არავინ და არაფერი არღვევდა.

კათალიკოსის ამბიონზე ასვლის მოლოდინში ყველა გატკრენილი იდგა. დავითმა ქრისტეს გამოსახულებისაკენ გააპარა მზერა. ისე მოეჩვენა, რომ მაცხოვარსაც მომლოდინე სახე ჰქონდა. ხელოვანს შთაგონებით აღვსილი, იჭვნეულთვალებიანი ბრძენკაცი დაესურათხატებინა. აშკარად ჩანდა ფერების შერწყმის საოცარი უნარი. მორწმუნეთათვის ეს იყო სულჩადგმული სურათი, რომელიც მჭვრეტელთ თავისი შთამაგონებელი გამომეტყველებით ზებუნებრივი მადლფენილობით, კეთილშობილებით და სახის დიდებულებით იზიდავდა. სურათზე აშკარად ჩანდა დაძაბული ცხოვრების ღრმა კვალი, განცდათა სიღრმე, დიდი სულიერი ტკივილები, თითქოს თავისი გამომეტყველებით მაცხოვარს მრისხანე განაჩენი გამოჰქონდა სწორედ მათთვის, ვინც მის დასასჯელად აღმართა მარჯვენა. მხატვრის ჩანაფიქრით გამოსახული იყო ღრმა ფიქრებში ჩანთქმული ბრძენკაცის ადამიანურ-ღვთაებრივი სახე, რომელიც უბრალო ადამიანთა ბედსა და უბედურობას შეუძრავს, მათთვის დამაშვრალა, მათთვის გაუწირავს თავი და მათთვისვე ასულა გოლგოთაზე. მოყვასთათვის უკისრია ამქვეყნიური ტვირთის შემსუბუქება და თავი სამსხვერპლოზე ზეაშკარად მოუტანია, „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ გამო გამოუდგია თავი, მხატვრისაგან სიბრძნის ბეჭდით დაღდასმულ ღმერთკაცს.

ხელოვანს თავი არ დაუზოგავს რათა ნათელი ფერებით გადმოეცა იდუმალი, საკუთარ გულში ღრმად დაფარული სურვილი, რომელმაც ხელში ფუნჯი ააღებინა და ჭეშმარიტი ღმერთკაცის, ყოველივეს წინასწარმჭვრეტის, ყოვლისმცოდნისა და გულთამხილავის სრული ხატება შეექმნა. ხაზები ნარნარაა, ფერები ნათელი და დამამშვიდებელი ლურჯი ტონები სჭარბობს, რითაც მაცხოვარზე მორწმუნეთა წარმოდგენა ბრწყინვალედაა გახსნილი. მხატვარი აიძულებს მხილველთ, ძრწოდნენ ბუმბერაზი ბრძენკაცის წინაშე, მჭვრეტელთა ეს შიში და კრძალვა კი ქვეშეცნეულად სიყვარულში გადადის, რითაც დამკვეთისა და მხატვრის ნება-სურვილს ესხმოდა ფრთები. დავითს მზერა მწუხარებისაგან დამაშვრალმა ღვთისმშობელმა მოსტაცა. ეს არ იყო წმიდა მარიამის ის ხატი, სადაც ღვთიური ნების შემსრულებელ ქალწულს სახეზე ბედნიერების იერი აქვს აღბეჭდილი და ხელში ჩვილი ყრმა იესო უჭირავს.

ეს იყო ენითუთქმელი ტანჯვითა და ვაებით აღსავსე, მწუხარებისაგან პირგამეხებული ქალი, რომელიც ჯვარზე გაკრულ, ფერდში მახვილგაყრილი სისხლმოთქრიალე შვილის წინ იდგა, თრთოდა, ცახცახებდა, შველას, შემწეობას და თანადგომას შესთხოვდა მამაზეციერს, მაგრამ ამაო იყო მისი ღაღადისი, ვაება და ცრემლი, რამეთუ ჯვარცმულის მტრებსა და მოყვრებს სასმენელნი განგებ დაეხშოთ.

ტირილი ღვთისმშობლისა

მოდით ყოველნო, შვილმკვდარნო დედანო, შეიყარენით!
შემწყნარებ(ე)ლი აწ თქვენი მარიამ შეიწყნარენით,
ისმინეთ მისი ტირილი, თქვენც ცრე(მ)ლნი გადმოყარენით,
სულს ეცით მისგან ნუგე(ე)ში, გულს ჭირნი უკუყარენით.

ოდეს იხილა მშობელმან ძე თვისი, ღვთისა ცხებული,
ეკლის გვირგვინით მოსილი, შიშველი, გაკიცხებული,
ჯვარზედა ხელ-ფეხ შეკრული, გვერდსა ლახვარიც ხებული,
ათრთოლდა, ზარით დაეცა, გახდა ვით დამარცხებული.

მოედვა მწარედ სახმილი, შეიქნა დადაგულობით;
დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლევნი გათანგულობით.
თქვა დამეკარგა საწუთრო ჭირნახულ დაკარგულობით,
დამიჭკნა გულის ყვავილი, გავხდი ვით გალი რგულობით.

იცემდა მკერდსა და გულსა, იტყებდა, ესრეთ ტიროდა:
ვით შტოზედ მორჩო ახალო, ფესვ-არსოანო ძირო და!
ვირემ შენს ჩრდილთა ქვეშ ვიჯექ, მე თავი არ შემწყიროდა,
ახლაც გვ(ე)დრიავარ, უშენოდ არ შემქნა, არ გა(მ)წირო და.

ვაიმე, თვალთა ნათელო, სხიო მზის მზეთა მზისაო!
სახით ვით ნორჩო, ნაყოფით, ძირ-კეთილ შტოვ ვაზისაო.
გამარკვეველო, გამწმენდო, მნათობო ბნელის გზისაო.
შენ ოყავ ჩემი გამღები სამოთხის კართ რაზისაო.

ღვთისმშობლის განწირული სულისკვეთების მომზირალ ყრმა გურამიშვილს ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა. იგი მავანთა და მავანთა უგულობამა და გულქვაობამ ააღელვა და შეაძრწუნა. რა იცოდა მაშინ ყრმამ, თუ მისი ბედის კარაბადინში არა მარტო შვილის დაღუპვის გამო უსაშველო მწუხარებით შეძრული ქალწულის ხატების ხილვა, არამედ ღვთისმშობლის ურვისა და სევდის ამსახველი მუსიკის მოსმენაც ეწერა და ისიც შორეულ მაგდებურგში. იქ მოისმინა ტყვეობიდან თავდახსნილმა გურამიშვილმა იტალიელი კომპოზიტორის ჯოვანი ბატისტა პერგოლეზეს საეკლესიო საგალობელი Stabat mater dolorosa [1], როცა მაგდებურგის ტყვეობიდან თავდახსნილი ღვთისათვის მადლობის სათქმელად ეკლესიაში შევიდა.

---

[1] Stabat mater dolorosa ლათ. იდგა დამწუხრებული დედა — კათოლიკური საეკლესიო საგალობლის საწყისი სიტყვები. ეძღვნება წმ. მარიამის ტანჯვის აღწერას. ამ თემაზე მუსიკალური ნაწარმოები მრავალმა კომპოზიტორმა შექმნა. მაგრამ მსოფლიო სახელი მხოლოდ პერგოლეზეს Stabat-ს ხვდა წილად. იგი დაწერილია ქალთა ორი ხმის, ორკესტრისა და ორღანისათვის. პერგოლეზე იტ. კომპ. 1710—1736 წ.

დავითმა ახლა სხვა კედლებზე გადაიტანა მზერა. კედლებიდან განაწამები სახეებითა და თითქოს დამკრთალი, მავედრებელი თვალებით შემოსცქეროდნენ წმიდანთა გამოსახულებანი, რომლებიც ურჯულოებსა და უწმინდურთ სასიკვდილოდ გაემეტებინათ. წმიდანთ ღია ჭრილობებიდან სისხლი სდიოდათ. დავითმა კედლებიდან მომზირალ წმიდანთა თვალებში დიდი სულიერი სიმტკიცე, უტეხი ნებისყოფა, ქედუხრელობა და ბედს შეურიგებლობა ამოიკითხა.

უცებ წმიდა გიორგის გამოსახულების გვერდით, ამბიონს უკან თეთრ ქართულ კაბაში გამოკვალთული, წელზე ფართო სარტყელშემორტყმული ქალის ხატება შენიშნა, ძალიან დააკვირდა, მაგრამ მასში ვერც ერთი წმიდანი ვერ შეიცნო. ქალს ისეთი განიერი და მაღალი თეძოები ჰქონდა და ისეთი პირმშვენიერი ჩანდა, რომ ძნელი მისახვედრი არ იყო, მხატვარს იგი ხორციელი მშვენიერების სიმბოლოდ გამოესახა და მისი ხატება წმიდა ტაძარში თვალსაჩინო ადგილზე, ალბათ, იდუმალ მიეხატა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ რწმენიეს“, — ჩასჩიჩინებდნენ საეკლესიო მამები მორწმუნეთ და მათაც ღრმად სწამდათ და სჯეროდათ, რომ ღვთაება იყო ხელოვნების, ცოდნისა და სიბრძნის დაუშრეტელი ანკარა წყარო, სიბრძნის სათავე, ყოველგვარი სიკეთის დაუსაბამო საწყისი. „მზე“, „ნათელი ნათელთა“, „ყოვლად ბრწყინვალე უხილავი ნათელი“, „სახიერება“. ამიტომ იყო შემკული ხელოვნების სწორუპოვარი ტაძრები დიდებული ფრესკებით, რომელთაც ყველა დროის მხატვრები ღვთის სადიდებლად ჰქმნიდნენ. ჰეშმარიტი ხელოვანნი რწმენით აღვსილნი მუშაობდნენ საპატრიარქო თუ უმნიშვნელო ტაძრებში და განუმეორებელი სილამაზისა და ღირებულებების ხელთუქმნელ ნიმუშებს ასურათხატებდნენ. საეკლესიო მამებმა ყველაზე კარგად უწყოდნენ თვალთხილულის ზემოქმედების ძალა გონებაზე, მათი სურვილი იყო, მორწმუნეთა გული, გონება და სული ნიადაგ მორჩილებაში ჰყოლოდათ და რაკი იმისი შესაძლებლობა არა ჰქონდათ, რომ მორწმუნეთათვის ღმერთი ეჩვენებინათ, მას უხილავი შეარქვეს, და მრევლს კი მისი ხატით და ზეციური სასჯელით აშინებდნენ. ისინი ყველაზე გამოჩენილ მხატვრებს იწვევდნენ ტაძრების ფრესკებით შესამკობად. ხატავდნენ დამშვრალი ხელოვანნი ცოდნისა და სიბრძნის სიმბოლოდ ფრთოსან ქერუბიმებს ფრთებზე დაყრილი თვლებით. ქერუბიმთა ფრთებზე დაყრილი თვლების სიმრავლე სიმბოლო იყო ამ ფრთოსან ანგელოზთა ცოდნისა და სიბრძნისა. თავის მხრივ, ანგელოზთა სიბრძნის მკვებავ წყაროს, დაუსაბამო, უსასრულო და განუსაზღვრელი სიბრძნის ნიშანს წარმოადგენდა ღვთაება, რომლის შიკრიკებად ითვლებოდნენ ღვთაებასთან ყველაზე ახლო მყოფი ანგელოზები. ქერუბიმნი და სერაფიმნი.

„სვეტიცხოველში ქრისტეს გარშემო უჩვეულო არსებანი რიალებდნენ. მხატვარს ერთი მათგანი ნახევარ ფრთოსნად დაეხატა. ეს სანახევროდ ფრთოსანი და სანახევროდ ადამიანური არსება ორბორბლიანი ეტლის ზედადგარსა და ზეწარს ებჯინება. მეორე მრავალფრთიანია და ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ფრთებზე, ცაზე დაყრილი ვარსკვლავებივით უამრავი ადამიანური თვალი აქვს გამოსახული. სწორედ ეს გახლავთ თაობიდან თაობაზე გარდმომავალი, სიმბოლოებით გამოხატული სერაფიმებისა და ქერუბიმების ქართული საეკლესიო ფრესკული მხატვრობა. ჟამთა სიავეს გადარჩენილი ჯერ კიდევ აქა-იქ შემონახული კედლების მომხატველთა ნამუშაკევი · აშკარად გვიდასტურებს, რომ სხვადასხვა მისიით მიმომფრენი ანგელოზების ხატვა ჩვენს ეკლესიებში დიდად მიღებული და გავრცელებული ყოფილა“ [1]. ლიტანიობის დაწყებამდე საეკლესიო გუნდმა კათალიკოსის მაცხოვრისადმი აღვლენილ ლოცვა-ვედრებას „უფალო შეგვიწყალენს“, „შენ ხარ ვენახი“ მოაყოლა. სამთავროს ტაძრის მონაზონთა მგალობლების წკრიალა პირველი ღვთაებრივ ჰანგებად დაიღვარა ტაძარში. ზედაზნის წმიდა იოანეს ტაძრის ვაჟებმა მეორე თქვეს. ბანი თვითონ სვეტიცხოვლის ღვთის მონებმა დააგუგუნეს, მათ სალოცავად მოსული მრევლი აჰყვა და ტაძარი, სადაც ყოველი ქვა და დუღაბის უმცირესი ნაწილიც კი ექოს გამოსცემდა, ყურთასმენის დამატკბობელმა, გულის, გონებისა და სულის წამღებმა ერთიანმა საამო ხმებმა აავსო. ღვთისა და ქვეყნის საგალობელი ჰიმნებისათვის სულიერ მამებს წყობილი მარგალიტებივით ისეთი სიტყვასამკაულები მოენახათ და ისეთი ჰანგები მიესადაგებინათ, რომ მათი მოსმენისას მორწმუნე მართლმადიდებლებს კი არა, ღვთისპირისაგან გადავარდნილ სულთ, გლახაკთაც კი თავი სულთა განსაწმენდელში ეჩვენებოდათ. მორწმუნეთ კი საგალობლები სულიერად ამაღლებდათ და ლოცვის მერმე ტაძრიდან ისეთი რწმენით აღვსილნი გამოდიოდნენ, თითქოს ამქვეყნიური ცოდვები ხმელთა და ცათა მეუფეს მათთვის მართლაც შეენდოს და მიეტევებინოს.

ტაძარში კვლავ ღვთის სადიდებელი საგალობელი დაირხა. საკურთხევლის წინ მდგარი მგალობელი ბერების გუნდი ხმაში ოქროს აწნავდა. ამ სევდიანი სიმღერის ჰანგები, თეთრი გედის სიმღერასავით იდუმალ ზაფრასა სცემდა მსმენელთ, რადგან მორწმუნეთ სიკვდილს ახსენებდა და ჩადენილ ცოდვათა გამო ზეციური, გარდუვალი სასჯელით ემუქრებოდა. ამ საეკლესიო საგალობელს ბერები ისეთის გზნებით, გრძნობითა და აღმაფრენით ასრულებდნენ, თითქოს მათთვის

---

1 დ. ზუმბაძე — „დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, „მაცნე“, 1972 წ. № 2.

უზენაესის ნებით უკვე განხმულიყო კარი მეშვიდე ცისა და ახლა მხოლოდ ტაძარში ბყოფი მორწმუნენი ჰყოლოდეთ განსაწმენდელში, რომელთაც თითქოს ცოდვების მიტევებისა და განსაწმენდელის განვლის შემდგომ ცად ამაღლება ელოდათ.

იმ დღეს კათალიკოსმა ჯერ საეკლესიო წმიდანთა წიგნებს შეასხა ხოტბა: „ცეცხლი მარადის ეგზებოდეს საკურთხეველსა ზედა“, — დაიწყო ხავერდოვანი სასიამოვნო ხმით მან და განაგრძო: „არა მოვიგოთ ოქროი, მავნებელი, არამედ წიგნნი მარგებელნი სულთა ჩუენთანი“.. წირვა-ლოცვა კარგა ხანს გაგრძელდა და ჩვეულებრივ მატანიით დასრულდა.

ტაძრის შიგნით ლოცვა დამთავრდა თუ არა, ლიტანიობა დაიწყო. ყველანი ტაძრის ეზოში გამოეფინენ, ხატები გარეთ გამოიტანეს. ხელთ კელაპტრები ეპყრათ და სვეტიცხოვლის გარს შემოვლა იწყეს.

ამ ხელთუქმნელი ტაძრის აღმშენებელი ხუროთმოძღვრისა და კედლების მომხატველთა მიმართ ყრმა გურამიშვილი წინათ მხოლოდ ბრმა თაყვანისცემასა და უღრმეს მოკრძალებას განიცდიდა, მაგრამ იმ დღეს, თითქოს მის სულსა და გონებაში რაღაც ახალი გრძნობა ჩაისახა, თითქოს პირველად იხილა ტაძარიც, ფრესკული მხატვრობაცა და ტაძრის შემოგარენიც. ჭაბუკმა ეზოში გოროზად გაიარა, რადგან მის გონებაში სწორედ იმჟამად გაცნობიერდა, რომ ეს ენითუთქმელი მშვენიერება მის წინაპართა ნახელავი იყო, მათი შრომითი და გონითი ნაღვაწი. ამის შეგნებით ზვიადად აღვინიზებულმა ყრმამ სულ სხვა თვალით შეხედა ტაძარს, სულ სხვაგვარად წარმოუდგა გონებაში თავისი დიდებული წინაპრები, ისინი, ვისაც სწორუპოვარი, უკვდავი ძეგლების შენება და მოსურათხატება შეეძლოთ. ამ დღიდან ქართული ხუროთმოძღვრება, ქართული ფრესკა, ქართული ოქრომჭედლობა და ქართული ლექსი მისთვის გაცნობიერებული სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი, ფასეული, „ვერვისგან ანაწონები“ და საამაყო შეიქმნა.

ტაძრის ეზოში გამოსული დავითი ახლა უფრო დაჟინებით დააცქერდა უპოვართ, რომელნიც, ერთი შეხედვით, დამკრთალნი, გალურსულნი და თავდადრეკილნი იდგნენ. დავითმა მათ თვინიერ, მავედრებელ, უსასო მზერაში თითქოს ის შუქი და უტეხი ნაბისყოფის, ქედუხრელობისა და დაუმორჩილებლობის სხივი იპოვა, რაც ტაძრის შიგნით ფრესკებზე გამოხატულ წმინდანთა თვალებში შენიშნა. მაშინვე გაახსენდა მამაო პავლეს შეგონება: ქრისტე გლახაკთა, დავრდომილთა და უპოვართა ღმერთი იყოო....

ტაძრის ეზოში გამოსულმა დავითმა მოლიტანიეთა შორის ვიღაც ტანკენარი შაოსანი, ახალგაზრდა ქალი დალანდა. ქალის სხეულის მშვენებას ვერ ფარავდა წამოსხმული მაფორი სადედოი. მართალია,

მამაო პავლეს შეგონებანი მუდამ ხორციელი სიამოვნების ამაოებასა, ხორცის დათრგუნვასა და ზეციური სასუფევლის დამკვიდრებაზე საუბრით გაჰრულდებოდა ხოლმე, მაგრამ ასაკს თან მაინც თავისი მკაცრი მოთხოვნები ახლავს. დავითს უკვე თხუთმეტი წელი უსრულდებოდა და თვალნი, უნდოდა თუ არა, მაინც დიაცთა სავსე უბეებისკენ ეპარებოდა. განიერ და მაღალთეძოებიან ქალებს ვნებიან, ხარბ მზერას გაადევნებდა ხოლმე. ეტყობა, ქალებს არსთაგამრიგემ რაღაც თილისმა, ჯადო, თუ ანდამატი დაანათლა, რომ ყველა მამაკაცს მალვითა თუ ჯიქურ თვალი მათკენ გაურბისო, — გაიფიქრა და ის თვალწარმტაცი, ხორციელი მშვენება კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა. დააკვირდა და თითქოს მოულოდნელობისაგან გაბეჭდა. კარგა ხანს იყო ასე. დაბოლოს, მიხვდა, რომ სწორედ ამ შაოსანი დიაცის ენითუთქმელი მშვენება გამოესახა მხატვარს ამბიონის უკან, წმიდა გიორგის გამოსახულების გვერდით, სვეტიცხოვლის კედელზე. მხოლოდ ეგ იყო, კედელზე იდუმალ მიხატული ქალი თეთრ სამოსში იყო გამოკვალთული. მერე ისე მოეჩვენა, რომ ქალიც შეფარვით, გარნა დაჟინებით უცქერდა. ერთი პირობა იფიქრა, ადამიანს რაც უნდა, ადვილად სჯერა და კიდეც ეჩვენებაო. მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, თავისი თავის შემოწმება ეწადა. მოლიტანიეთა მომდევნო შემოვლისას ქალმა თვალი თვალში გაუყარა, დავითი გაოგნდა, დაიბნა... სასოებით მაველრებელთ ხელთ კელაპტრები და ხატები უჭირავთ, სვეტიცხოვლის ყოვლისშემძლე ტაძარს გარს ლოცვით უვლიან და მაცხოვარს ცოდვათა მიტევებას შესთხოვენ, მე კი გონებაში ღვთისმგმობელი აზრები მომდისო, — უსაყვედურა თავის თავს. მერე თვალით მამაო პავლე მოძებნა და იქაურობის მიტოვება გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს კვლავ გაუპირისპირდა ის შაოსანი, ისევ სტყორცნა თვალთა ისარი და იდუმალად გაუღიმა კიდეც. დავითი მომხდარმა ამბავმა ისე განაცვიფრა, რომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ერთი პირობა იფიქრა, ჯიქურ მივალ და გამოველაპარაკებიო. იმ წუთას რა არ წარმოიდგინა... იმ შაოსანი ქალისადმი უდიდესი ლტოლვა იგრძნო. სისხლი აუჩქროლდა და ხორცმა ყივილი უწყო. ერთბაშად გადაავიწყდა ყველა და ყველაფერი. თითქოს რაღაც უჩვეულო ძალა მოემატა. მზად იყო ამ ქალის გამო ათას ზღაპრულ ურჩხულს შებმოდა. მზად იყო ცისა და ქვეყნის დასასრულამდე უკან ედია მისთვის. უნდოდა ეს სანეტარო ბურანი არ გაფანტულიყო, რომ არ დაეკარგა ის, რისი პოვნა სიზმრადაც არაოდეს უფიქრია.

მლოცველთ საღამო შეუმჩნეველად წამოეპარათ. ჩამოწვა ლილისფერი ბინდი, რომელიც ნელიად ღამეულ სილურჯეში გადაიზარდა. მთვარე ამოცურდა. ზედაზნის მთებმა და უზარმაზარმა მოშრიალე ხეებმა ჩრდილები შავ მოჩვენებებად წამომართეს. მოულოდნელად ის

შაოსანი მლოცველთ გამოეყო, გონმიღებულ გახევებულ დავითს მიუახლოვდა და ჩურჩულით უთხრა, — ბებრის ციხესთან მელოდე და მერე ჩემს თეთრონს უკან მსახურივით საპატიო მანძილზე სდიე, თუ გინდა უკვდავების სამსალა შესვაო. ამის თქმა და, ელვასავით უეცრად მოვლენილი, მილეთის ხალხში მოჩვენებასავით გაჰქრა. ახლა კი უცებ ბოეგო გონს დავითი. თვალის დახამხამებაში გალავანს გარეთ გაჩნდა, იმ ეზომდე, სადაც ცხენი მიაბარა, მგელივით იძუნძულა, რაკი ცხენს ზურგზე მოექცა, ქალი ველარსად წამივაო იფიქრა, გული დაიარხეინა, და ბედაური ბებრის ციხისაკენ გააჭენა.

ცად ახიდული ზედაზნის მთის თხემების შავი ჩრდილები საღამოს სიმყუდროვეში მდუმარედ ჩაწოლილიყვნენ არაგვის ჭალებში. ასეთი ჩრდილები, ჩვეულებრივ, მარტოსულ მგზავრს შიშის ზაფრასა ჰგვრის. მაგრამ ცისიერი მარტო აღარ იყო. მან ძუს გუმანით იცოდა, რომ ყრმა ახლა მის მიტოვებას სიკვდილს არჩევდა. აკი დაუხვდა კიდეც დათქმულ ადგილზე.

ამორძალივით იჯდა მიმქროლავ ცხენზე ის, ვისაც აქ დარაჯად ედგა დავითი. ქალმა დაუბრებულივით ჩაუარა. დავითმა ცოტა ადროვა და მერმე უკან გამოენთო. წინ მიმქროლავმა ცხენმა გზიდან მარჯვნივ გადაუხვია. არაგვზე გადებულ ვიწრო ხიდზე შედგომის წინ ხაფი ხმით დაიჯიხვინა და მერმე ზედ ჩორთით გავარდა წიწამურისაკენ. დავითი უხმოდ იჯდა თავის ბედაურზე და ქალს უკან საპატიო მანძილზე მიჰყვებოდა. ვაკე საგურამო წინმიმავალმა ჭენებით განვლო, მთვარის შუქზე ვერცხლისფრად მოლაპლაპე არაგვი მარცხნივ მოიტოვა და აღმართს შეუყვა. ბიწმენდს რომ მიახლოვდნენ, გაავებული ნაგაზების ყეფა გაისმა, მაგრამ მხედარმა ისე გაიარა ვიწრო შუკები, ვითომც აქ არაფერიაო და სოფლის ბოლოზე, პატარა ციხის გვერდზე მიღგმულ ორსართულიანი სახლის ალაყაფის კართან შეჩერდა. დავითმა იცოდა ეს სახლი. მიხასთან ერთად სანადიროდ მიმავალს ბევრჯერ მოუკრავს თვალი მჭახე წითელი ფერის აგურით ნაშენი, განმარტოებული შენობისათვის. სახლს ირგვლივ მოზრდილი წალკოტი ერტყა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა ყველაფერი. სახლი სწორედ იქ იყო აგებული, სადაც ბიწმენდის პატარა ციხის ზედა კედელი თავდებოდა. ძველ ციხეს კარგა ხანია მორღვეოდა დახავსებული, სუროთი და ფათალოთი დაფარული კედლები, გარნა ვიღაცის გამრჯე მარჯვენას ძველი, პატარა ციხის კედლებიც მჭახე წითელი ფერის ქართული, ბრტყელი აგურით ხელახლა ეშენებინა. სწორედ იმ სახლის ალაყაფთან შეაჩერა ცხენი ქალმა, ჩამოქვეითდა, გალავანში შესასვლელი კარი თვითონ გახსნა და დავითს ცხენების თავლაში შეყვანა უბრძანა. ისიც კარგად გაწვრთნილი ყმაგლეხივით დამორჩილდა. სახლი უკაცური დაუხვდათ, მაგრამ დავითს არ უკითხავს ასე დედაბუდიანად სად, ან რისთვის ვაკრეფი-



შეხვედრა ციხიერთან

ლანო. მან კარგად იცოდა, რომ ყველანი სვეტიცხოვლობაზე იყვნენ წასულნი.

ზალაში შევიდნენ. ქალმა კელაპტრები აანთო. დავითი სინათლეზე უფრო კარგად დააკვირდა ქალის აშხვართულ ტანსა და წელთა მიმოტანას. სიარულისას არ მიირხეოდა. ნაზად, ნარნარად მიჰქონდა მაღალი თეძოები. შავგვრემანი იყო, ცისფერთვალება, სწორნაკვთიანი, ისეთი ხვეული გიშერივით თმის პატრონი იყო, რომ მის დანახვაზე ბიბლიური გოლიათი სამსონიც შურით შეიძროდა. ალბათ, ნაქანდაკარი ფეხები და მკვრივი მკერდი ექნებაო, გაუსრიალა გონებაში ავხორცობის შტოსა და ყლორტის გასახარმა საამო აზრმა ყრმას და გააჟრჟოლა. ნეტავ ერთი მკერდგაღეღილი მაჩვენაო, ინატრა. როცა ქალი საწოლთან მივიდა და ქვეშაგების სწორებას მოჰყვა, დავითის გონება რაღაც საიმედო ნეტარების ბურანში გაეხვია. აზრმა ოცნებათა საუფლოში შეაცურა და ხორცის ყივილის იდუმალ ხმას აჰყვა. ქალი დიდრონ თვალებს ისე აციალებდა და რამდენჯერმე ისე ეშმაკურად გამოჰხედა, რომ თუ დავითს ცოტა რამ იმედი ჰქონდა ჩაღვრილი გულში, იმ იმედს ვნების სახმილი კიდევ უფრო მოუკიდა. ქალი არ ელაპარაკებოდა, მხოლოდ გაუცინა, ლალისფერი ბაგენი გახსნა და მიჯრით მიწყობილი, უბიწო თოვლივით თვალისმომჭრელი, ელვათა მკრთომელი კბილები გამოუჩნდა. დავითს გული ეუბნებოდა გადასულიყო „ღვთის ნაბრძანებ თმენას“, „აჰყოლოდა გულისთქმას“, „ეწინამძღვრებინა თვალნი“, „ნდომა ვერ ეთმინა“ „მიეცა უფლება ხარბთა და გაუმაძღართა თვალთათვის“. მაგრამ იდგა გაოგნებული და ჭოჭმანობდა. ქალი კარგა ხანს შორით დაგოგმანებდა და საქმიანობდა. მოულოდნელად იგი ვაჟს მიუახლოვდა, ორი თითი ამოსდო ნიკაპქვეშ, დაბრილი თავი მაღლა ააწევინა და თავისი ცისფერი წყალჩამდგარი თვალებით თვალებში ჩაჰხედა. დავითმა რაღაც მათრობელა სურნელი იგრძნო, სისხლი საფეთქლებში მოაწვა და სხეული ერთიანად დაებანგა. ქალმა ხელი მოჰკიდა ჭაბუკს და საწოლისაკენ წარუძღვა. ისიც მორჩილი ბალღივით უხმოდ მიჰყვა. ის მათრობელა სურნელი ქალის მიახლოვებაზე რომ იგრძნო, სულს უხუთავდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სათქმელი ყელში ეჩხირებოდა, ეშინოდა, დალაპარაკებით ქალი არ გამოეფხიზლებინა და ერთბაშად ყველაფერი ერთად არ დაეკარგა. კვლავ ძალუმად იგრძნო საფეთქლებში სისხლის მოძალება, თითქოს საკუთარი გულის ბაგაბუგის ხმაც შემოესმა, რაღაცნაირად, შინაგანად აღტკინდა, ატროკდა, ციებიანივით აცახცახდა. როცა ახალგაზრდა ქალმა ძვირფასი ბლონდის ლეჩაქი მოიხადა, მუქი ლურჯი ხავერდის სახლართავიანი კაბა გაიძრო და დავითის თვალწინ ჩაქიანი მეწამული ფერის ყანაოზის პერანგა დარჩა, დავითი მთლად გაოგნდა. ქალის გამჭრიახმა მზერამ უცებ შენიშნა ჭაბუკის შეკრთომა, ნასიამოვნებმა თავისთვის გაიღიმა, მერე

ყანაოზის პერანგიც გაიძრო, აზღუდი და ბითავის ალერსი ზედ შეირჩინა, ერთ წამს ვაჟის თვალწინ ქანდაკივით იდგა, მერე ეს ენითუთქმელი მშვენება ლოგინში შეწვა და თავის უმწე, მოულოდნელობისაგან გონებაარეულ, მსხვერპლს თავისთან მიუხმო. დავითი ერთ წამს დაყოვნდა, რადგან სწორედ მაშინ გააზსენდა:

ამისთვის გწყალობს, შვილო შენ ღმერთი,
რომ კარგი საქმე შენა ჰქენ ერთი:
ვარდთ გვირგვინებითა, თავის თავს ნებითა
გაძლევდა ქალი.

და სწორედ ცთუნება როცა გეძალება „თუ ღვთის მცნებაზე იგულთმოდგინებ, დაითმენ, ღმერთი კეთილს მოგაგებსო“ — გაახსენდა. გონება წინაღუდგა გულისთქმას, მაგრამ ეს წინააღმდეგობა უმალ აჩქროლებული სისხლის ყივილისაგან იძლია. „მისდია თვალთ ნდომას, გარდახდა ღვთის მცნებას, ეშმაკთ თქმა ისმინა, გულით ვერ ითმინა“. დაივიწყა დამოძღვრა სულიერი მამისა და მისი ნაბრძანები: ელვისებურად მიეახლა საწოლს, ქვეშაგებში შეუწვა, ფარჩის აზღუდი და მაქმანმოვლებული ალერსი თავისი ხელით გახადა. ქალის ღვედივით მოქნილი სხეული გველივით გაიკლაკნა. იგი შტაქუნზე გულაღმა გადაწვა და ვნებამორეულმა ესღა ამოთქვა:

— ო, რა კარგი ხარ! როგორი მშვენიერი ყოფილხარ სასურველო! რამდენი ხანია მამაკაცი არ შემხებია. ისე მაგრად მომხვიე მკლავები, რომ ძვლები დამიმტვრიო, გეევედრები, მატკინე რამე. მინდა, რომ მამაკაცის სიახლოვე ვიგრძნო, თორემ სიზმრებმა გამათავეს, მოჩვენებითი კი ყველაფერი დასწყეველოს ღმერთმა! მითხარი, რომ გიყვარვარ, ჰო, ყურში ჩამჩურჩულე, მიყვარხარ და გაღმერთებ-თქო. მომეფერე, მომეალერსე და რაც ენაზე მოგადგეს, ყველაფერი დაუფარავად ყურში ჩამჩურჩულე. მინდა ვიცოდე, განკაცების ჟამს რა სიტყვებს ამოთქვამ...

ქალმა ხელები თავქვეშ ამოიდო და გაილურსა. მისი ღვთაებრივი სილამაზე და დედიშობილა სხეული, მთელს სიცოცხლეში თავანკარად შენახულ, ხანდაზმულსა და ნამარხულევ, დაყუდებულ მორწმუნე ბერსაც კი აცთუნებდა. მით უფრო ახლა, როცა ვნების სახმილმოდებული გულაღმა იწვა, დაბერილი ნესტოები უთრთოდა და ცეცხლმოკიდებული სხეული ერთიანად უცახცახებდა.

შიშველი სხეულის დამაბრმავებელმა მშვენებამ დავითს თავბრუ დაჰხვია. იგი წყალში მხტომელივით უცებ შეცურდა ვნების მორევში და ადამიანთა უკვდავების სამსალს დაბადებიდან მოწყურებული დაეწაფა.

უკუწვებიან რბილად შტაქუნსა
და მოჰყვებიან ჩქარად ქ . . . . . ა.

როცა ატეხილმა ქინმა გაუარა და დამშვიდდა, მაშინღა ამოიღო ხმა: — უკვე ვიცი, რომ ცისიერს გეძახიან, ვიცი, რომ ქვრივი ხარ, მაგრამ ის მითხარი, შენი ხატება სვეტიცხოველის კედელზე საიდან გაჩნდა?

— მიმრქმელებს ჩემთვის ცისიერი უწოდებიათ, აზნაურ გიორგი რატიშვილის, სვეტიცხოველის ძველ ფრესკათა აღმდგენელი მხატვრის, ცოლყოფილი ვარ, ქმარი ამ სამი წლის წინ ლეკებთან შეტაკებაში დამეღუპა, ჩვიდმეტი წლისა დავქვრივდი მე სვედავსილი... ეს ერთი ხანია, დილაუთენია, სანადიროდ ტყისკენ მიმავალს სარკმლის ჭუჭრუტანიდან გითვალთვალებ ხოლმე და შენზე გული შემიყარდა...

დავითი ტუჩებზე დაეკონა და ისე ჩააჩუმა ქალი, აღარ უნდოდა კიდევ სმენოდა რაიმე ავი ამბავი და ნეტარება წამწარებოდა.

ქალთა უმრავლესობას ხომ კატის ხასიათი აქვს თანდაყოლილი. როცა ეძალები და კუდში დასდევ, გაგირბის და ქარიშხალივით მაშინ მოვა, როცა არავინ უხმობს. ხასიათი ისეთი ცვალებადი ჰქონდა ცისიერს, ვარდობისთვეში ამინდმა რომ იცის. ხედავ, კაშკაშა მზე დაჰნათის ქვეყანას, უცებ მოიღრუბლება, ცას დაგრაგნილი შავი ღრუბლები გადაფარავს, ელვა მომაკვდავი გველივით გაიკლაკნება, სადღაც მეშვიდე ცაზე ჭექა-ქუხილი ქვეყანას შესძრავს, წამოვა თქეში, ღვარად დაღვრილი წყალი მიწას დაფარავს... უცებ გამოიდარებს, ჩამოწოლილი ღრუბელი სადღაც ისე მალიად გაიპარება, რომ თვალს ვერ შეასწრებ. ცა მოისარკება და დედამიწის ტრფობით მოუღლელი მზე კვლავ გულუხვად სტყორცნის სხივებს თავის საყვარელს, რათა უმისობით გაბლიკებული მკერდი გაუთბოს და ისედაც ცოდვილი ქვეყანა კვლავ ახალი ყლორტებნაყარი ცოდვის ნაყოფით დაამძიმოს. რაკი ქალთან სათხოვარი და სავედრებელი აღარაფერი დარჩა, სათქმელიც არაფერი ჰქონდა და ჰაბუკიც გაყუჩდა. ვნებადამცხრალ ქალს კი ახლა ენა ექავებოდა და ლაპარაკის საღერღელი აეშალა. სირცხვილი ორივე მხრიდან ძლეული იყო და იგი ოთახიდან უხმოდ და უხმაუროდ გაძურწულიყო. ცისიერი ერთბაშად ატიტინდა. წარამარა იმას ეკითხებოდა ჰაბუკს: — ჩემსავით თუ გყვარებია ვინმე? ოდესმე სხვას ჩემსავით თუ შეიყვარებ? მაცხოვარი დაიფიცე, რომ სიკვდილამდე გეყვარები და ჩემთან იქნები!

ცისიერი, მართალია, ოცი წლისა იყო, მაგრამ ცხოვრებას მისთვის ადრე ეჩვენებინა მკრჩხალი ბრჭყალები, ამიტომაც ძალიან მალე მიხვდა, რომ მათ შუა პირდაბჩენილი, უზარმაზარი უფსკრული იყო და მწარე სიმართლით გულმოკლულმა ესღა ამოთქვა: — და ვიდრე ეშხი და ლაზათი შემრჩება მანამდე მაინც მიერთგულე და ნუ მიღალატებ!

— თუ სიყვარულსაც მორჩილება, ადამიანის ნების შეზღუდვა და თავისუფლების გაყიდვა სჭირდება, ესეც ადამიანის დამამონებელი

გრძნობა ყოფილაო, — გაიფიქრა დავითმა და ხმამაღლა კი არაფერი უთქვამს.

ყრმამ პასუხი დაუგვიანა, ცისიერს კი ეტყობოდა, გონებაში ის ერთადერთი სანუკვარი აზრი უტრიალებდა, რომ ეს ახოვანი ჭაბუკი მხოლოდ მისი საკუთრება, თვალებში შემყურე, ნების უსიტყვო ამსრულებელი, შმაგი მიჯნური ყოფილიყო და სხვა არაფერი.

— დავით, მითხარი, რომ ქვეყნად ყველასა და ყველაფერს გირჩევნივარ, რომ ჩემს გარდა თანამეცხედრის შერთვამდე არავის შეყვარებ, რომ ჩემთან ყოფნამ გაგაბედნიერა, თორემ შენმა დუმილმა სული გადამილია და მოთმინება მეკარგება.

დავითი, თითქოს კრიჭა შეუკრესო, ხმას არ იღებდა. მაშინ ქალმა უკიდურეს ღონეს მიმართა: — ამოთქვი რამე თორემ ჩემს ტოლსა და ფარდს მეც ვიშოვი და თვალებს დაგიყენებო, — დაემუქრა.

— შენა ხარ პირველი ქალი, ვისაც დავეუფლე, და ჩემს გრძნობებში ჯერაც ვერ გავრკვეულვარ, არც ის ვიცი, რა უნდა გითხრა, არც ის, როგორ მოგეალერსო და არც ის, როგორ შეგინარჩუნო, — ცოტა მაცალე და იქნებ შენზე ჯვარიც დავიწერო! — წარმოთქვა მან ალალად და ქალს უძირო ვნებით აღსავსე წყლიან თვალებში ჩაჰხედა.

ცისიერმა გადაიკისკისა, ყრმას ხუჭუჭ თმებში ხელი შეუცურა, მწველი ტუჩები მის ტუჩებს შეუწება და გაილურსა. დავითმა ბედის განჩინებაზე ძლიერი ქალის შემოსალტული სხეულის სიმხურვალე და სილბო იგრძნო. ახლა ზედაც რომ დაკვდომოდა ქალის სხეულს, არ ინაღვლიდა. გულახდილად გამოტყდა კიდეც, — ნეტავი სიკვდილი ასე მოგვისწრებდესო, — უთხრა. ეგონა, როგორც კი განშორდებოდა ცისიერს, ყველაფერს რასაც მიაღწია, მაშინვე დაკარგავდა... შეეშინდა. ისიც კარგად იცოდა, რომ შიშის გრძნობა მამაკაცისათვის მომაყიენებელი რამ იყო. სწორედ ამიტომ იყო, საკუთარი თავისთვისაც არ უნდოდა გამხელა, რომ შეეშინდა.

განცხრომის სასუფეველში ჩანთქმულთ სიმყუდროვე დღეობიდან მომავალთა სიმღერამ დაუფრთხოთ, — ახლა კი დროა ერთმანეთს გავშორდეთ, ხვალ იოანეს ეკლესიაში დილის წირვაზე შეგხვდები, — უთხრა ქალმა. დავითმა ჰაიჰარად ჩამოირბინა კიბე, თავლიდან ცხენი გამოიყვანა, უნაგირზე შეფრინდა, გზაშარაზე გამოახტუნა თეთრონი, მათრახი ოდნავ გადაჰკრა და დღეობიდან დაბრუნებულ, გზიდან გვერდზე მიმდგარ მლოცველებს ისე ჩაუქროლა, თითქოს შორეთიდან მომავალი მხედარი ყოფილიყო ვინმე.

მოაგელვებდა თეთრონზე ამხედრებული, განკაცებული ყმა ბედაურს და მისი ფიქრი ისევ ცისიერს უტრიალებდა. თვალწინ ისევ ცისიერის ნაქანდაკარი ფეხები, შოლტივით მოქნილი სხეული, ცისფერი თვალები და ელვათა მკრთომელი, მიჯრით მიყრილი კბლები ელანდე-

ბოდა... გულის კარი სასიყვარულოდ თვითონვე გამიღო, სიყვარულზე დამპატიჟა... იქნებ და მართლაც მე ვარ ჯვარდაწერილ მეუღლის მერე მისთვის პირველი მამაკაცი? ვინ იცის, იმიტომაც დამიახლოვდა, რომ სიყვარულში უწვრთნელი ყმა ვიყავი? ო, რა ცეცხლოვანი გზნებით აღსავსე ქალია! არა, ჩემამდე მას მართლაც არავინ ჰყოლია, თორემ ასეთი გზნებით ვერ მომეალერსებოდა. რა საოცარი ცისფერი გუგები უსხედს თვალის უპეებში?! სახე კი ხორბლისფერი აქვს. ალბათ ანდამატი და უფსკრული ცისიერივით იზიდავს ადამიანს. ვნებიანი ყოფილხარო, სწორედ ასე მითხრა, ამ ქალმა იმსხვერპლა ჩემი სიყმაწვილის უბიწოება! ეჰ, პირიქით უნდა ყოფილიყო! რა ზეაღმტაცი ქალია! არა, მას ჩემამდე საყვარელი არა ჰყოლია, — გაიმეორა მან პატივმოყვარეობით ნაკარნახევი სიტყვები, რადგან გულით ეწადა, ეს აზრი ჭეშმარიტება ყოფილიყო. იმწამს გულით ისურვა, რომ ის ხორბლისფერი სხეული, სრულიად შიშველი რომ იხილა, მისი საკუთრება ყოფილიყო, მერე გულით ინანა ამ ქვეყნად ცისიერზე გვიან მოსვლა, შეინანა ისიც, რომ ის არ იყო პირველი მამაკაცი, ვინც ცისიერი დააქალა, შეშურდა კარგა ხნის წინათ გულგანგმირული მეტოქისა, — გულხარბიაო ადამიანი, — დაასკვნა. ამაოებააო წუთისოფელი, — გაიფიქრა და გალავნის შესასვლელი პატარა კარი მამაკაცური სიდინჯითა და სიდარბაისლით აღვსილმა შეაღო.

მეორე დილით ზედაზნის იოანეს ეკლესიისაკენ მიმავალ გზას უთენია დაადგა.

მზე ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო. დღისა და ღამის სამანზე ცისკრის ვარსკვლავი კაშკაშებდა. წინ ყივილით აუფრინდა ღამის მეხრეთა სიხარული — ტოროლა. იგი ცისკრის ვარსკვლავისაკენ გეზაღებული აიჭრა ცაში და გალობა დაიწყო.

დავითს ნელა მიჰყავდა თეთრონი. უნდოდა გზად გადაჰყროდა სასურველს. ზოზინობდა, მაგრამ აღმართი მაინც სწრაფად გათავდა. გზად კი არა, იქაც ვერავინ დალანდა, ვისაც ცისიერს მიამგვანებდა. უცებ ვიღაც პატარა ბიჭი მიეახლა და ხელში უსტარი ჩაუდო. დავითი იმწამსვე გამოვიდა გალავნის გარეთ, გრაგნილი გახსნა და ხარბად ჩაიკითხა: „შეუძლოდ შევიქენი და დანაპირებს ვეღარ ვასრულებ. შევინანი და ვგმობ ჩემს ულირს საქციელს. მინდოდა წმინდა იოანეს სამლოცველოში დამეფიცა, რომ ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შეცოდება. მინდა საკუთარი თავი დავსაჯო და აღარასოდეს შეგხვდე. ჩემს გულს მეტად დიდი და შეუფერებელი დაუსახავს შესასრულებლად. — ცოტა მაცალე და იქნებ შენზე ჯვარიც დავიწეროო, — შენ თქვი. დიახ, სწორედ ასე თქვი, რამაც მე სულხორციანად შემძრა. სწორედ შენმა სიტყვებმა მაგრძნობინა, რომ ჩვენს შორის დიდი პირდაღებული უფსკრული ძევს. ალბათ, წამოიზრდები, მაგ ცი-

ურ სფეროდან მალე დაეშვები, შესაძლოა, მე არაფერი მითხრა, მაგრამ ადამიანები ფრთებშეკვეცილი ფრინველებივით ვართ, შორს მარტო ოცნებებით დავფარფატებთ. იმასაც ვხედავ, რომ სიცოცხლის გაზაფხული და ვარდობისთვე თოვლივით მადნება ხელში. არ იფიქრო ამ ჩემი უაზრო წინააღმდეგობით შენი ჭაბუკური თავმოყვარეობის გახელება მინდოდეს, ყველაფრისათვის მე თვითონ გიხმე და განჩინება ჩემს თავს მევე უნდა გამოვუტანო. სურვილის დათმენა, სხეულის და ხორცის დათრგუნვა, მოთმინება და მოთმინება, აი, რას მოითხოვს ჩვენგან არსთაგამრიგე. გულწრფელად მტკივა გული, რომ შენ უწვერული ჭაბუკი, რომელსაც ხორცით დაგნებდი და დღეს გული გადაგიშალე, ჩემი ცხოვრების მოღრუბლულ ცაზე აღმობრწყინდი. რომ შემეძლოს, გულწრფელად შემოგწირავდი ჩემს მთელ სიცოცხლეს, შენი სუნთქვით ვისულდგმულებდი, მაგრამ რა ვქნა, რომ წინასწარ ვჭვრეტ ჩემს სავალალო ხვედრს. თვალწინ მეხატვის მომავალი, მეშინის უფრო მეტად არ შემივარდეს გული შენზე, ვიცი, სულ მალე სასეირო ყოფაში აღმოვჩნდები, შენ ჩემი გრძნობა სასაცილოდ აღარ გეყოფა, მე კი მეტი უბედურების ატანა აღარ შემიძლია. ღვთის მავედრებელ გლახასავით გემუდარები, გთხოვ, გეაჯები, გვედრი, ნუღარ მოინდომებ ჩემთან შეხვედრას. ნუ ისარგებლებ ჩემი სისუსტით, დამტოვე ჩემი სევდიანი ფიქრების ამარად. ჩვენი შეხვედრის განმეორება აღარ შეიძლება. მოგონებაც კი ტანში მზარავს და ცოდვათა მიტევებას ვვედრი ყოვლისშემოქმედს. მაკმარე, რასაც ჩემის სინდისის ქენჯნით განვიცდი, დამტოვე ჩემს მოგონებებთან მარტოსული, ჩემთან შეხვედრას ნუღარ მოიწადინებ, მშვიდობით, მარად სასურველო! ჩემთვის დაკარგულო ჭაბუკო! ეს არის ჩემი უკანასკნელი აღსარება. დავშთები მუდამ შენი სიკვდილამდე კეთილისმსურველი, ცისიერი.“

წერილი ჩაიკითხა, კითხვისას ღელავდა, რამდენიმე წამს ღრმად ჩაფიქრებული იყო. ქალის სულის აღსარებამ ცუდ ხასიათზე დააყენა, მაგრამ გუმანით მიხვდა, რომ ასეთი წერილის დაწერა მხოლოდ უსაზღვროდ შეყვარებულ ქალს შეეძლო. არ შეხვედრის მუდარა პირიქით უნდა გაეგო და მის გულს ძუზე გამარჯვებული ხვადის სიხარული დაეუფლა.

მისი გონების დღიურში კი თითქოს ჩაბეჭდესო: „იმ სანეტარო ღამის დავიწყება მე არ შემიძლია. ალბათ, ვერც ცისიერი შეიძლებს. იმ ღირსსახსოვარ წამებს ჩემს მეხსიერებაში მხოლოდ სიკვდილი თუ ამოშლის. ლიტანიობა არ იყო დამთავრებული, როცა ცისიერი ღვთის ტაძრიდან ადრეულ წასვლას არ მოერიდა. გულისთქმას დაუფრიდებლად აჰყვა და თავისთან მიმიხმო. ახლა კი განშორებას მეაჯება. არა და არა! ჩვენ ურთიერთს ბედნიერება უნდა მივანიჭოთ! ჩვენ ხომ, სხვათა თვალთაგან შორსმყოფები, უნეტარესი წუთებით დავტკბით.

ტაძრიდან იდუმალად ლტოლვილნი ღამის სიბნელემ შეგვიფარა. მე იქ, მის სახლში, გადავიხადე განკაცების დღესასწაული. იმ ღამისა და ცისიერის იდუმალებით მოცული სიყვარულის დავიწყება არ შემიძლია! არა, ასეთ ძვირფას ციხე-სიმაგრეს ალყას ვერ მოვხსნი. სიყვარულით ვნებულს მევედრება მივატოვო! უნდა იცოდეს, რომ ყოველი ვნებული კერპია და ურყევი! სიყვარულის გოლგოთაზე ასულს, ვერავითარი ვედრება და აჯა იქიდან ვერც ნებითა და ვეღარც ძალით ვერ ჩამომიყვანს.

დიახ, ვეღარ ჩამომიყვანს. გადაწყვეტილება მიღებულია, — გაიმეორა გონებაში და გულმა უმალ ბიწმენდისაკენ გაუწია. გარნა დღისით მზისით იქ მისვლა რომ არ ეგებოდა, ეგეც იმ წამსვე იაზრა. სხვა გზა არა ჰქონდა, შებინდებამდე უნდა ელოდნა და მერე ჩუმად, ქურდულად შეპარულიყო ქალის სამყოფელში. თვალწინ ისევ ცისიერი დაუდგა, მის უძირო თვალთაგან კი არ გამოკრთოდა, აშკარად იხილვოდა ვნებიანი გულისთქმა. დავითის მზერა თითქოს აშიშვლებდა ქალს, და მის ნაქანდაკარ სხეულს უსურვაზივით ზედ ეტმასნოდა. კვლავ მოეძალა ცისიერის ქალური სიმდიდრის დაუფლების დაუოკებელი ნდომის წადილი. ამ წუთას იგი თვითონ იძარცვებოდა გრძნობათაგან და ქალთან სიახლოვის სურვილი ჰკლავდა. პირი აბედივით გაუხდა. ცისიერის გრძნობათა განძარცვის მოწადინე თვითონ უფრო იტანჯებოდა. იდგა გაოგნებული, წარმოსახვით ვნების მორევში დაცურავდა, მაგრამ მალე ფრთამოტეხილი ფრინველივით ოცნებათა საუფლოდან დაბლა დაეშვა. მათრობელა ცხოველ ზმანებას მოერია, საკუთარი წადილი დათრგუნა და თავი იმით ინუგეშა, რომ მამაო პავლეს დამოძღვრა გაიხსენა: „ჩვენი ამქვეყნიური დანიშნულება ცთუნების დაძლევაა, შვილო, ცხოვრება თითოეულ ჩვენგანს ხანგრძლივი გამოცდის წინაშე აყენებს. ხსნის გზა თავდადრეკილებმა მოთმინებით უნდა განვვლოთ და რადგან ცთუნებას ვერც ერთი სულიერი ვერ ასცდება, ჩვენი ცოდვები სასოებით უნდა მოვინანიოთ, ვილოცოთ მუხლმოდრეკილებმა და ვევედროთ უფალს, მოგვიტევოს შეცოდებანი ჩვენნი, ვილოცოთ მოთმინებით, გულწრფელად და გულმხურვალედ, რამეთუ ლოცვა იდუმალი შინაგანი კავშირია უზენაესთან“. ლოცვა შინაგანი კავშირიაო უზენაესთან, მის გახსენებაზე ისევ ზედაზნის წმინდა იოანეს ეკლესიის ეზო გადიარა, წმინდა სახატეს მიაშურა, კარგანხმულ ტაძარში შევიდა და ლოცვად დადგა. წმინდა სახატეში შესვლისას ჭაბუკი გურამიშვილი ეზოში მოსეირნე მღვდელმა დალანდა, მაშინვე მანაც სახატეს მიაშურა და კარის ზღურბლიდანვე ჟამის შესაფერი მაცხოვრის სიტყვები წარმოთქვა: „ვითარცა დღე და ღამე არ დასცხრებიან მიმოვლობას, ისე კეთილმორწმუნენი არა დასცხრებიან ეკლესიასა შინა სიარულსა“.

დავითმა ლოცვას გული ვერ დაუდო, მალე მოათავა, გარეთ გამოვიდა, გალავნამდე, თითქოს სადმე აგვიანდებოდა, მგელივით იძუნძულა, ცხენს მოახტა და ქვევით სოფლისაკენ დაეშვა. ის დღე მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე დღე გამოდგა. დრო უსაშველოდ გაგრძელდა. ეჩვენებოდა, რომ თეთრ სუდარაში გახვეული გარემო სულ ასე იქნებოდა, მზე დასავლეთისაკენ აღარ გადაიხრებოდა, და დალამებას აღარაფერი ეშველებოდა. მის გულს აღარც ფრინველთ ჭიკჭიკი ესალბუნებოდა, ბულბულის ხმასაც კი მოჰკრა ყური, მამრი უგალობდა გულისსწორს და საალერსოდ უხმობდა, მაგრამ ვერც ამ უზენაესმა გალობამ მოიყვანა ხასიათზე. ცელქი ნიავი ხეთა ფოთლებს თავის ნებაზე ათამაშებდა. ჰაერში გაზაფხულის სანეტარო მათრობელა სუნი ტრიალებდა. ტყეში შესასვლელ ბილიკებს გველის გვიმრები მოსდებოდა. აქა-იქ ველური ყაყაჩოებიც შენიშნა.

მისი ყურადღება მიიპყრო მწვანედ მოხასხასე გველისმარწყვამ, რომლის ყვავილები სამყურას ფოთლების სიმწვანეში ღადარში მინავლული და მერე გადაჩხრეკილი ნაღვერდლებივით გიზგიზებდნენ ყვითლად. აქა-იქ ცისფრად ჭიატებდნენ სუროს იისფერი ყვავილები. ნაგვიანევი ფურისულა წითლად და ყვითლად ღაღანებდა და ირგვლივ მისი ყვავილების ნელსურნელება იფრქვეოდა. ჰაერში აუარებელი ბაბუაწვერა რიალებდა. ხეებს მამულა მორეოდა, ზედ ტკიპასავით მიჰკვროდა და ხეთა ტანს მწვანედ ახასხასებდა. წყლის მოგუდულმა ხმამ მარჯვნივ მიახედა. ვიღაცას უზარმაზარი ხე მოეჭრა, გზისპირას გაესხიპა, მორი თან წაეღო, და ვეება ტოტები იქვე დაეყარა, ნეშოს წყალი დაეგუბებინა. ტოტები წყალში დასნებოვანებულიყო და ეს ხელოვნურად შექმნილი ჭანჭრობი თეთრ დუმფარებს დაეფარათ. უცებ ჩამობნელდა. დავითმა მაღლა აიხედა. მნათობი ღრუბლების ტყვეობაში მოქცეულიყო. არც თვითონ იცოდა რად, მაგრამ შავი ფიქრები მოეძალა, პირქუში სასოწარკვეთილება დაეუფლა, უცებ მოიღუშა, მოიღრუბლა, გული როგორღაც დაეხურა და ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

საგურამოში ჩამოსულმა შეიტყო, რომ ბიწმენდს მოთარეშე ლეკების გუნდი დასცემოდა და საგურამოელ სხვა მდევრებთან ერთად მანაც ბიწმენდისაკენ აფრინა თეთრონი. ბიწმენდში ჩასულ დავითს ავი წინათგრძნობა ავად და შავად აუხდა. შეიარაღებული ხალხი სწორედ იმ ეზოში ტრიალებდა, რომელშიაც ღამით თვითონ აპირებდა ქურდულად შეპარვას, მთელს სოფელს დედაწულიანად იქ მოეყარა თავი. იქვე შეიტყო გულის სალახვრო ამბავი. მოთარეშე ლეკების რაზმი პირველად ცისიერის სახლს დასხმოდა თავს. შინ მყოფი ხუთი ყმაგლეხი უწყალოდ აეკუწათ. ქალის გატაცება სდომებოდათ. მომხდურთაგან ორნი ყმაგლეხებს დაეხოცათ ხაჩაკლებით. და ერთიც ცი-

სიერს პატარა სატევრით ემსხვერპლა. ქალის შუპოვრობით განრისხებულ მომხდურთ ცისიერი იქვე განეგმირათ და ახატნის ტყისაკენ ექნათ პირი.

როგორც წიგნის მცოდნესა და თავადიშვილს, დავითს, ერთმა საგურამოელმა მდევარმა დაწერილი ქაღალდი მოუტანა და უთხრა: თურმე საწყალი ქალი რაღაცასა სწერდა, როცა თავს ლეკები წარსდგომიან. წაიკითხე თავადიშვილო. თუ რამე საინტერესოა, გვითხარი, თუ არა და, დახიე და ქარს გაატანეო. დავითს რაკი ცისიერი ცოცხლებში აღარ ეგულებოდა, ერთი სული ჰქონდა, გვამი მაინც ეხილა და გულში გამოეტირებინა თავისი სიყვარული, მაგრამ როცა წერილში თავის სახელს მოჰკრა თვალი, ცნობისმოყვარეობამ სძლია და წერილი ბოლომდე ჩაიკითხა: „არ ვიცი, შევძლებ თუ არა შენს წინაშე თავის მართლებას. არც ის ვიცი, ვარ თუ არა დამნაშავე და საჭიროა თუ არა ეს ყოველივე? აღარ ვფიქრობდი თუ ჩვენი შეხვედრისა და ჩემი წერილის შემდეგ კიდევ ავიღებდი ხელში კალამს და რისამე დაწერას განვიზრახავდი. თუმცა შენ ხნოვანებით ძალიან ნორჩი ყმაწვილი ხარ, მაგრამ გვედრი, როგორც გონებით მოწიფულ ჰაბუკს, არა და არ იფიქრო, თითქოს ეს იყოს ქალური გაპრანჭვა-განაზება, ჯადო, თილისმა, არა! მე შენ ვეღარ შეგხვდები! ეს ჩემი გულიდან მომდინარე ხალასი სიტყვებია. არაფერი ცხოვრებაში მე არ გამაჩნდა გარდა ერთი პატიოსანი ქალის სახელისა და ისიც უყოყმანოდ შენ შემოგწირე. ახლა დასაკარგი აღარაფერი მაქვს. ასეთი ყოფილა, ალბათ, ზენაარსის მიერ დაწესებული ჩემი თანამდევი ბედი და ბედმდევარს ვინ გაჰქცევია, რომ მე გავქცეოდი? ამაზე უკვე ხელი ჩავიქნიე. წამისად მიგიღე და ჩაგთვალე ჩემი დამსხვრეული იმედების მკვდრეთით აღმადგენლად, ჩემი დაჭრილი სულის მკურნალად, ჩემი უსასოო გრძნობის განმაცოცხლებლად, მაგრამ ამ წამს შენ ჩემი სიყვარულის ჯალათად მიმაჩნიხარ! ამას იმიტომ არ გწერ, თითქოს რამეში გადანაშაულებდე, მაგრამ ჩემი სურვილია, შენ ჩემი სიყვარულის ჯალათი იყო, რომ ჩემი სათუთი გრძნობის წაბილვა სხვა მამაკაცმა ვეღარ შეიძლოს! გულწრფელად ვწუხვარ და მეტად მწარედ მტკივა გული, რომ ჩემი ცხოვრების მოღრუბლულ ცაზე აღჩნდი მოკიაფე ვარსკვლავად. ყოველ ადამიანს სურს შეიცნოს შეუცნობელი. შენ უწვერულვაშო ჰაბუკი ხარ და ყოველივე წინა გაქვს. მე კი ცხოვრების მკრჩხალმა ყინვამ ერთიანად დამიზრო სიყვარულის ნორჩი ყვავილი. შენ არწივის მართვესავით გაქვს გასაშლელი ფრთები და საქართველოს ზეცის თავანზე უნდა ბოინობდე მიწყივ. შენ ჩვენს უბედურ ხალხს უნდა ჰყავდე შემწედა და ქომაგად. შენ შეგწევს ამისი დახსნის ძალი! შენმა სიტყვებმა, შენმა აზრებმა და ჯერ კიდევ ჰაბუკის მამაკაცურმა ძლიერებამ მე ამაში ღრმად დამარწმუნა და დამაჯერა. შენი მომავალი

ცხოვრების გზაზე არა მსურს თუნდაც სიყვარულის ხუნდი და ბორკილი გედოს და გბორკავდეს. თუ ჩემი თავი გთნდეს მითნიეო, — მითხარი. მთნევს ის ჰეშმარიტი აზრი, რაც უწვერულმა ჭაბუკმა ამოთქვი: „ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს, ღმერთმა ყველა ადამიანი თანასწორი და თავისუფალი გააჩინაო. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს, ადამიანის აზრი და ნება მეორე ადამიანის აზრსა და ნებას არ უნდა მონებდესო“. მე არ მინდა შენ თუნდაც სიყვარულის მონა და მორჩილი გიხილო, მე მინდა შენ ლაღად და თავისუფლად დანავარდობდე ყველგან და ყოველთვის! მშვიდობით, მარად სანეტარო, და ჩემთვის დაკარგულო ჭაბუკო! გული მეუბნება, წინ დიდი სარბიელი უძევს, დიდი გზა უნდა განვლოს, ბედის განჩინებაში დიდი მომავალი უწერიაო, ამიტომ უნდა იყოს თავისუფ...“.

წერილი აქ წყდებოდა. ეტყობა, უმწეო მსხვერპლს სწორედ წერის დროს წაადგნენ თავს წუნკალი სულთამხუთავები. გულმოკლული, დარდიანი, დამწუხრებული და გაბოროტებული დაბრუნდა მშობლიურ სახლში ჭაბუკი გურამიშვილი.

გულისმომწყვლელი კაეშანი, ვაება გულისა, შფოთვა და დრტვინვა გონებისა, ამბოხი სულისა, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისა და შელახული თავისუფლებისა, ყველაფერმა ერთად შემოუტია და ყველაფერი ერთად აღსდგა მასში. ცისიერის ბედში დავითმა თავისი ქვეყნის უბედობა შეიცნო და გაიცნობიერა.

ო, მრისხანე და მკაცრო ბედის განჩინებავ! პირქუშო სვევ! ნეტავ რას უმზადებ შენს უმწე მსხვერპლს, ჩემს ქვეყანასა და მამულს? დაკარგულ სატრფოზე და სამშობლო ქვეყნის სვეზე ჩაფიქრებული ჭაბუკის გოდება მაღლით ზეცას სწვდებოდა და დაბლა ქვესკნელამდე აღწევდა, მისი გოდება მიაგავდა გოდებას იერემიასი, რომელმაც, როგორც კი მისი წინასწარმეტყველება ახდა: ნაბუქოდონოსორმა მართლაც დაიპყრო მისი სამშობლო ქვეყანა, დაანგრია იერუსალიმი და ებრაელები ტყვედ წაასხა, დაიტირა თავისი ხალხის უბედურება და დაწერა „იერემიას გოდება“. იმ ღამეს ჭაბუკმა გურამიშვილმა ცრემლით დაალტო ბალიში, გამოეთხოვა ჭაბუკობას და უკვე მოწიფულმა მოაზროვნემ ეჭვი შეიტანა ღვთის სიტყვებში: „ვინ ქვა გესროლოს, დაითმინე, შენ, ვითარცა ხემან მსხმოიარემან ნაყოფი კეთილი აგემე“. ნუთუ უფალმა დათმენა და მსხმოიარე ნაყოფის მტრისათვის მირთმევა ხვედრად მხოლოდ ჩემ თვისტომ ხალხს არგუნა? ბევრი იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა:

— არა, არა მჯერა, რომ ჩვენი დოვლათისა და სიცოცხლის ხელმყოფთ, მათ, ვინც ჩვენ ქვას გვესვრის, ჩვენი მოკვდინება და ჩაქოლვა სწადია, ვითარცა ხემან მსხმოიარემან ნაყოფი კეთილი უნდა ვაგემოთ! ადამიანი გარეული მხეცივითაა, მისი არსება მარტო წყალობით არ მოინადირების, „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, — ბრძანებდა შოთა.

შერევნა

„ამისათვის ეწოდა სახელი მისი შერევნა, რამეთუ მუნ შეურივნა უფალმან ბაგენი ყოვლისა ქვეყნისანი“ (შესაქმე, 11.9).

„შეერიათ ქართველთაცა ყიდვა ტყვეთა და იცელებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტეანულისათა ცოდვითურთ“.

ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“.

ქართველთა ზნის შერყვნა და ქრისტიანული სჯულის წესთა შეცვლა განსაკუთრებით დააჩქარა როსტომის მეფობამ ქართლში (1632—1658). ეს როსტომი იყო ძე დავით მეათისა — დაუთხანისა. იგი სპარსეთიდან მოვიდა როსტომ სააკაძესთან ერთად, რომელიც, „ქართლის ცხოვრების“ დახასიათების მიხედვით, იყო კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან. ყაენმა მას მისცა სპასალარობა, გამოატანა დიდი ლაშქარი და წარმოატანა ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა. ეს ხოსრო-მირზა ერანის სპასალარის როსტომ სააკაძის დახმარებით ავიდა ქართლის ტახტზე და იწოდა როსტომ-ხან მეფედ.

როსტომ მეფე უხვად ასაჩუქრებდა მის მხარეზე გადასულ თავადებს. მის საზღვარდაუდებელ გულუხვობასა და ძვირფას საბოძვრებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. იგი ქართველ თავადებს მცირე არმაღანად აძლევდა აგრეთვე შესამოსელს, რასაც წინათ ქართველნი თურმე ძალიანაც არ დაგიდევდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილია: „როსტომ მეფე აძლევდა ქართველთა ლეინის ხალათებსა და მცირესა მისაცემსა, რამეთუ მაშინ ქართველთა არ იცოდნენ კაბა და არა ჰყუარობდნენ მორთუასა... მაშინ იყვნენ ქართველნი გულწრფელნი და გამოუცდელნი ყიზილბაშის ხერხისა და ტყუილისაგან, და ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა... და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება, და ყოველთავე შეიყუარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყუარება, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყაენისაგან, და განმრავლდა ტანთცმა ყიზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრდებოდნენ და რაყამით იშოვნიდნენ მამულებსა.

ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური, (ქეკლუცად და ტურფად ნაგები), შემოიღო მოფენილობა, სმა-ჭამა, გამოჩუენება და ქეკელაობა. და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა, და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრევა.

კუალად ინება სიმაგრე ციხისა და თავისუფლება ციხისა შინა

მყოფთა თათართა: განძლიერდნენ თათარნი და კადნიერებდნენ ქართველთა ზედა და რომელნიც იყვნენ ქართველნი, მოყუარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმედნი, დიდად პატივსცემდა მეფე როსტომ და ჰკითხევდა და უსმენდა მათსა, და, რომელნიცა იყვნენ სიმართლის-მოქმედნი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატივისცემდა და ცუდს კაცს ეძახდნენ და შეუძლებელსა. და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ: მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბნი, და აქებდნენ ქართველნი დარბაისელნი, და მათცა აგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი მხევალნი და არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობისა.

და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჭამა ყიზილბაშური და დიდად სირცხვილი უჩნდათ სერსა ზედა უფლაობა და არა-კეკელაობა...

და იყო სმისა და ჭამისა მოყუარე და გასცემდა არა-მცირედსა საბოძვარსა სმასა ზედა. და ამისა ჟამსა შინა არ იყო ზრუნვა სულიერი ერისკაცთა შორის, არამედ იყვნენ ფუფუნეულ და ხორცთმოყუარე, რამეთუ თვით სამღვდელონიცა და მღდელთ მთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა, გოდებისაებრ იერემიასა, რამეთუ იყვნეს მოყუარე ღვინისა და ზმისა და შუებისა და განცხრომისა. უმღერდნენ ურთიერთას სიძვა-მრუშებასა და მეძაობასა. ამას შინა მოუძლურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდნენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდენ ყოველნივე". „ქართლის ცხოვრება" გვ. 418-424-425.

აი, როგორი მავნე თესლი ჩაიყარა, გაღივდა და აყვავდა საქართველოს ოდინდელი დიდების ოქროს ყანაში.

სპარსთა, არაბთა სელჯუკთა და მონღოლთა ბატონობამ საქართველოს ხოდაბუნებსა და თვალუწვდენელ ზვრებში ეკალ-ბარდი და ნარ-ეკალი დათესა. მძლავრობდა მაჰმადის რჯულის აღმასრულებელი მუსულმანური სამყარო. მშვიდობიანი აღმშენებლობითი ცხოვრების საუკუნეები სჭიროდა იმ ნარ-ეკლისა და ეკალ-ბარდის ამოძირკვას. რა უნდა ესაშველა მცირერიცხოვან ქართველობას მოძალებულ მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში, როცა 1571 წელს თურქეთის ხონთქრის დახმარებით ძალამიცემულმა ყირიმის ხანმა დევლეთ-გირეიმ ძლევით გადავლო მრავალი ასეული კილომეტრი, მოსკოვი დალაშქრა, გადაბუგა და ააოხრა. ნაალაფევით კმაყოფილმა დევლეთ-გირეიმ მოსკოვზე მეორე წელსაც ილაშქრა და რაღაც ორმოც კილომეტრზე მიუახლოვდა თვალუწვდენელი ქვეყნის დედაქალაქს! სამწუხაროდ, მეტად გულგრილად უცქეროდნენ ქრისტეს სჯულის აღმასრულებელი ქვეყნები ერთმორწმუნეთა რბევას, ტყვევნასა და აკლებას. სხვისი ჭირი გულთან ახლოს არ ეკარებოდათ. მეტად ზანტად და დიდხანს იკვროდა კავშირი

საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ კავშირის ძიება და მიღწევა ქართველობას დაღვრილი სისხლის ნაკადულებად დაუჯდა. ქართველი მეფეები მაინც იმედის თვალით გაიყურებოდნენ ერთმორწმუნე რუსეთისაკენ, რის გამო გამძვინვარებული მეზობლები ფარეხს შესეული მგლებივით იკლებდნენ ქვეყანას.

ჯერ კიდევ 1555 წელს ურთიერთშორის დადებული ზავით საქართველო დაინაწილა ორმა მტაცებელმა. ზავის მიხედვით: ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგო ირანმა ირგუნა, იმერეთი, გურია, ოდიში და აფხაზეთი — თურქეთმა. ქურქი გაინაწილეს და ქურქის პატრონებს არას ეკითხებოდნენ. გადამთიელ მუდრეგთა შორის დადებული ზავი საქართველოს მესვეურებს სავალდებულოდ სრულიად არ მიაჩნდათ. ყველაზე სამწუხარო ამბავი კი მაინც ის იყო, რომ თვითონ ქართველთა შორის ერთი პირი არ არსებობდა. ქვეყანა ამ გაწამაწიაში სამთავროებად დაიშალა, დაქუცმაცდა, სამთავროები მტრების წაქეზებითა და მხარდაჭერით ერთიმეორეს ექიშპებოდნენ, მერე მეფეს უხირდებოდნენ, არ ემორჩილებოდნენ, ორგულობდნენ და ივერთა ქვეყნის ბედი ჩარხუკუღმა ტრიალებდა.

საქართველოს ისტორიაში 1632 წელი იმით აღინიშნა, რომ ირანის შაჰმა ქართლში თავისი მოადგილის „ვალის“ დანიშვნა გამოაცხადა. ამიერიდან ვიდრე 1744 წლამდე ქართლს მაჰმადიანი მეფეები განაგებდნენ და ისინი ქართლში ირანის შაჰის მოადგილეებად „ვალი“-დ იწოდებოდნენ. 1676—1678 წლებში ქართლში მეფობდა გიორგი მეთერთმეტე, ვახტანგ მეხუთის შაჰ-ნავაზის შვილი. გიორგი მეფე შაჰს აშკარად ეურჩებოდა და მალულად მის საწინააღმდეგო აჯანყებისათვის ემზადებოდა. შაჰს გიორგის საქმიანობა — აჯანყებისათვის სამზადისი არ გამოჰპარვია, იგი მეფობიდან გადააყენა და მის ადგილზე კახთა მეფის თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე დანიშნა. ერეკლე I ქართლში 1688—1703 წლამდე მეფობდა. 1703 წელს გიორგი მეთერთმეტემ შაჰს სამუდამო ერთგულება შეჰფიცა და ქართლის ტახტი კვლავ დაიბრუნა. ირანის მპყრობელმა გიორგის ქართლის მეფის ტიტული დაუბრუნა, მაგრამ სამოღვაწეოდ ირანშივე დატოვა და მის ნაცვლად ქართლის ტახტი მის ძმისწულს ვახტანგ ლევანის ძეს ჩააბარა. ესაა საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი მეფე ვახტანგ VI, რომელიც ქართლში 1703 წლიდან ჯანიშინის — მოადგილენაცვალის — წოდებით მეფობდა. ამავე დროს ეკუთვნის ქართველთა კიდევ უფრო წინ წაწევა თვითონ შაჰის კარზე.

ირანის შაჰების კარზე ქართველები ოდითგანვე დიდი პატივით სარგებლობდნენ. შაჰების ყველაზე უფრო დაახლოებულ პირთა შორის მათ მუდამ ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირათ. მაგრამ ქართველების დაწინაურება ირანის მმართველობაში განსაკუთრებით

გაძლიერდა მე7ჩვიდმეტე საუკუნიდან. ამ დროიდან ქართველები ხშირად ინიშნებოდნენ ირანის ჯარების მთავარსარდლებად, ყულარაღასებად — შაჰის მცველთა ჯარის უფროსებად, ცალკეული პროვინციების მმართველებად, ირანის დედაქალაქის მოურავებად, სხვადასხვა სამხედრო ადმინისტრაციულსა და სამოსამართლეო თანამდებობაზე. ქართველობას ირანის სამხედრო და სამოქალაქო მართვა-გამგეობაში დიდი წარმატებები ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ მათი მოღვაწეობა სპარსთა დედაქალაქში მარტო ამით არ შემოფარგლულა. როგორც ჯავახიშვილის, ჯანაშიასა და ბერძენიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიიდან ვეცნობით, ქართველი პოეტები: ზურაბ ბეგი, ფაზლალი ბეგი, შარმაზან ბეგი, ზეინალ ბეგი, ქაიხოსრო ხანი, ალი ხან ბეგი, და სხვანი სპარსულ ენაზე წერდნენ თავიანთ პოეტურ შედევრებს და დიდი აღიარებაც ჰქონდათ მოპოვებული პოეტებით გალაღებულ ქვეყანაში. სპარსეთში მოღვაწეობდნენ ქართველი მხატვრები, რომელთაც შესძლეს თავიანთი კვალი დაეტოვებინათ იგავმიუწვდომელ აღმოსავლურ ფერთა გამების, დიდი პანოებისა და დეტალების უბადლო შემსრულებელ დიდოსტატთა შორის. ირანის მრისხანე და ყველაზე მძლავრი მბრძანებლის აბას პირველის კარის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში ამის თაობაზე შენიშნავს: „სიაოშ-ბეგმა (ქართველმა) უდიდეს წარმატებას მიაღწია. მას მეტად ნაზი ფუნჯი ჰქონდა. იგი დეტალების ხატვის დიდოსტატი და შეუდარებელი ხელოვანი იყო. ყალმით ხატვასა და მთების გამოსახვაში მას იშვიათად მოეძებნებოდა ბადალი. იგი ასევე უნაკლოდ ასურათხატებდა ჯგუფს — მეჯლისს“.

დავით გურამიშვილის საქართველოში ცხოვრების, მისი რუსეთში გარდახვეწისა და იქ დამკვიდრების პირველი ათწლეული მჭიდროდაა დაკავშირებული ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის მეფობის, სამეფოდან აყრისა და უკეთესი მერმისის მოლოდინში რუსეთის საიმპერატორო კარზე სტუმრობის წლებთან. ლეკების ტყვეობიდან ლტოლვილმა დავით გურამიშვილმა თავისი ცხოვრება მთლიანად დაუკავშირა და მიანდო ვახტანგ მეექვსის და მისი ძის ბაქარის პოლიტიკურ ალღოს, მრწამსსა და მიზნებს. ქართლში შაჰის მოადგილედ დამკვიდრების დღიდან პოეტი და ქვეყნისათვის თავდადებული მოღვაწე მეფე ვახტანგ მეექვსე საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ასპარეზზე დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა. იგი ძალზე ცოტა ხანს უძღვებოდა ქვეყანას, მაგრამ ბევრი კარგის გაკეთება მოასწრო. მან ჯერ გამაჰმადიანებული ერეკლე პირველის დროს დაწინაურებულნი დაითხოვა და გადააყენა. მერე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, წინამორბედი მმართველის მიერ რისხვადატეხილთ მიხედა და უბოძა „უბრალოდ წართმეული“ ყმები და მამულები. ვახტანგ მეექვსის მაღალი ყურადღება სულიერ მამათა ცხოვრებას მის-

წვდა. მან მოიწვია საეკლესიო კრება, გადააყენა ერეკლე პირველის მიერ დანიშნული კათალიკოსი და ეკლესიის მეთაურად თავისი ძმა დომენტი დასვა. ამ ღონისძიებით მან ქვეყანაში დასაყრდენი ჰპოვა. ეკლესიის შემომტკიცების შემდეგ ვახტანგ მეექვსემ დასვა სწავლულნი კაცნი, შეაგროვებინა ძველი ქართული, ებრაული და ბერძნული სამართლის წიგნები, თან საკუთარი „სჯულიც“ დაურთო და ერთ კრებულად გამოაცემინა. ვახტანგისეული სამართლის წიგნი ქართველ საეკლესიო და საერო დიდებულ კაცთა კოლექტიური გონითი შრომის ნაყოფია და იგი, პირველ ყოვლისა, გაბატონებული კლასების ინტერესების გამომხატველ ძეგლს წარმოადგენს. ვახტანგის მონაღვაწები კანონთა კრებულიც, რაღა თქმა უნდა, ქართლის სამეფოსათვის შეიქმნა, მაგრამ მალე ამ წიგნს მთელს ფეოდალურ საქართველოში დაეკისრა სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის ამავე პერიოდს ეკუთვნის მის მიერ შედგენილი კანონთა კრებული „დასტურლამალი“. ეს წიგნი მე-18 საუკუნეში მოქმედი კანონი იყო. „დასტურლამალი“ უნიკალური სამართლებრივი ძეგლია მთელს საქართველოში, რომელშიაც დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მე-18 საუკუნის საქართველოს ფრიად საინტერესო და მრავალმხრივი ცხოვრების ამსახველი ამბები ამოიკითხოს. წიგნი შეიცავს უხვ მასალას, სამეფო გადასახადებისა და სამეფო ხაზინის თაობაზე. წიგნი იძლევა ცნობებს გლეხთა დაბეგვრისა და „დებულების“ (კანონით დაწესებული გადასახადების ზომა) შესახებ, აქვე ჰპოვა თავისი ასახვა გადამხდელთა სხვადასხვა ჯგუფებისადმი კუთვნილებამ, იძულების აპარატმა, სასამართლო ორგანიზაციამ, ერთი სიტყვით, ბატონყმობის რიგმა და წესმა. ეს წიგნი იყო ქართლის სახელმწიფოს კონსტიტუცია და სახელმწიფო სამართალიც. ვახტანგ მეფის თაოსნობითა და რუმინეთში მოღვაწე ქართველი ბერის ანთიმოზ ივერიელის დახმარებითა და შემწეობით დაარსდა ქართლში სტამბა 1709 წელს. აქამდე წიგნი მთელს საქართველოში ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, ამიერიდან კი წიგნი სტამბური წესით დაიბეჭდებოდა და უფრო ხელმისაწვდომი გახდებოდა. ვახტანგ მეექვსის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ახლად დაარსებულ სტამბაში საეკლესიო წიგნების გვერდით უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დასტამბვა. ვახტანგ-მავე მიჰხედა საქართველოს ისტორიას. მემატიანეთა შეწყვეტილი საქმიანობის მოთავეობა მან ბერ ეგნატაშვილს დაავალა. „სწავლულ კაცთა“ ჯგუფმა, რომელსაც ეგნატაშვილი ხელმძღვანელობდა, ბრწყინვალედ გაართვა თავი ძნელსა და რთულ საქმეს და საქართველოს ისტორია მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე დიდი რუდუნებითა და გარჯით გასრულებულ იქმნა.

ვახტანგის მეფობის ხანაშივე წარმატებით მოღვაწეობდა მისი

აღმზრდელი, დიდი ქართველი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი. როგორც ცნობილია, იგი იყო არა მარტო მწერალი, არამედ დიდი მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს დაუღალავი ჰირისუფალი და ავტორი იმ მეცნიერული ლექსიკონისა, რომელსაც ქართული ენისათვის დღესაც ფასდაუდებელი ღირებულება აქვს. საქართველოდან იდუმალად ლტოლვილ და რუსეთის საიმპერატორო კარზე მყოფ ვახტანგ მეექვსეს წარუდგა ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილი პოეტი დავით გურამიშვილი.

ვახტანგ მეექვსე წარმატებით ხელმძღვანელობდა ქვეყნის სამეურნეო საქმიანობასაც. მან ქართლიდან აყრილი და კახეთს გახიზნული გლეხები თავის მიწა-წყალზე დააბრუნა, გაიყვანა არხები, გააშენებინა ბაღ-ვენახები, მიჰხედა მესაქონლეობას, ააგო სასახლეები, შეაკეთა ეკლესია-მონასტრები, გააყვანინა გზები, ააშენებინა ხიდები და სხვა. მეფე-პოეტი ამის გამო ცოტა იკვეხნიდა კიდეც:

„ქციის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითად მოვრწყე ველანი,
მაშავრის რუ ხომ ტბას შევრთე, შიგ თევზი ჩავსხი ყველანი“.

სიონის ტაძრის კედელზე ახლაც იკითხება ვახტანგის ბრძანებით გაკეთებული წარწერა, რომელშიც გვირგვინოსანი პოეტი სიამაყით აღვინიზებული აცხადებს: აღვადგინე და შევაკეთეო მტერთაგან იავარქმნილი სიონი. ამავე ამბავს პოეტურადაც გადმოგვცემს: „ტფილისს სიონი ხელახლა შევძერძე ქანდაკებულად და ჩემთვისაც სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად“.

მაგრამ ტანჯულ ქვეყანას განა დიდხანს დააცლიდა მაცდური საწუთრო აღმშენებლობით მუშაკობას? ის ცხრა წელი კი (1703—1712), რაც ვახტანგი ქართლს განაგებდა, დიდად წაადგა ქვეყანას. ქართლის ბედი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მის ფარგლებს გარეთ გადაწყდა. 1709 წელს აჯანყებულ ავღანებთან ბრძოლაში დაეცა ირანის ჯარების მთავარსარდალი, ქართლის კანონიერი მეფე გიორგი მეთერთმეტე, ის, ვის მოადგილედაც ვახტანგი ითვლებოდა. შაჰმა ქართლის მეფედ და ირანის მთავარსარდლად იმჯერად ვახტანგის ძმა ქაიხოსრო დანიშნა, ვახტანგი კი ისევ მოადგილედ დარჩა ქართლის ტახტზე. 1711 წელს ქაიხოსროც ავღანელებთან ირანელთა გაუთავებელმა ბრძოლამ იმსხვერპლა. ვახტანგი ირანს გაემგზავრა, რათა ქართლის ტახტი დაემტკიცებინა და შაჰისაგან თავს ჯიღით შემკული თაჯი დაედგა, მაგრამ მის მტრებსაც არ ეძინათ. ქსნისა და არაგვის ერისთავებმა და ყიზილბაშმა მეციხოვნეებმა მის წინააღმდეგ შეჰკრეს პირი. ვახტანგის ერთგულებაში დაეჭვებულმა შაჰმა ვახტანგი რჯულზე დაჰპატიჟა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. გაჯავრებულმა ირანის მბრძანებელმა ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგის ძმა გამაჰმადიანებული იესე დასვა

და ვახტანგი თავისთან დაიტოვა. იესემ ქართლის ტახტის მიტაცებაც არ იკმარა და შაჰს მისწერა, ქართლის ტახტზე მორჩმით ჯდომას ვერ შევძლებ, თუ ვახტანგი თქვენი სამეფო კარიდან არ ჩამოიშორეთო. შაჰმა იესეს თხოვნა შეუსრულა და ვახტანგი სპარსეთის სატახტოდან შორს, ქირმანში, გადაასახლა. აქ ცხოვრობდა იგი პოლიტიკურ ამბებს ჩამოცილებული, სანახევროდ პატიმარი და უფლებააყრილი. ვახტანგის მომხრე ფეოდალებმა ბევრნაირი ხერხი და ღონე სცადეს მათი მოწყალე მეფის ტახტზე დასაბრუნებლად. ამაოდ დაშვრნენ, მაგრამ არ დაწყნარებულან. ბოლოს მის აღმზრდელს — სულხან-საბა ორბელიანს შეუჩნდნენ, იქნებ ევროპა დაგვეხმაროს ფულით და ვახტანგი ქირმანის ტყვეობიდან გამოვიხსნათო. სწორედ ამ მიზნით გააგზავნეს დიდი მეცნიერი, მწერალი და სწავლული სულხანი საფრანგეთის მეფის ლუი მეთოთხმეტისა და რომის პაპის კარზე, მაგრამ ქართლის ფეოდალთა მოწინავე ნაწილის მოწადინებასა და სურვილს აქაც სასტიკი იმედგაცრუება და მარცხი ელოდა. სულხან-საბა ორივეგან ტკბილად მიიღეს, მაგრამ უკან უსახსროდ დააბრუნეს. დასავლეთ ევროპიდან სულხან-საბამ დიდი იმედების სანაცვლოდ მხოლოდ პაპის კეთილი სურვილებითა და დალოცვებით აღსავსე ეტრატი ჩამოიტანა. რაკიღა ხსნის გზა აღარსაიდან ჩანდა, ქართლის დიდებულებმა ვახტანგს ურჩიეს, გამაჰმადიანებულიყო და კვლავ დაებრუნებინა ტახტი. საგონელებში ჩავარდნილმა, უთაჯოდა და უჯიღოდ დარჩენილმა პატიმარყოფილმა მეფემ ბევრი იჭოჭმანა, მაგრამ თავის მომხრეთა და გულშემატკივართა ნებას დაჰყვა და 1716 წელს სჯული დასთმო. შაჰმა ვახტანგს კვლავ დაუბრუნა ქართლი, მაგრამ 1719 წლამდე თავის სამსახურში დაიტოვა ირანს. ქართლს ვახტანგის შვილი ბაქარი განაგებდა. 1719 წელს კი მრავალტანჯული მეფე კვლავ დაუბრუნდა თავის სათაყვანებელ ქვეყანას, მაგრამ ქართლი აშლილი დაუხვდა.

ირანში მყოფმა ვახტანგ მეექვსემ კარგად შენიშნა, რომ ამ ოდესღაც დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოს მზე დასავლისაკენ გადახრილიყო, ამიტომ მან მტკიცედ ამოიჭრა გულში: ქართლში დაბრუნების შემდეგ ახალი გზები ეძებნა. ირანის მზის ჩასვლა და სამეფო ლომის დასნეულება არც მეზობელ ქვეყნებს გამოჰპარვიათ. რუსეთმა და ოსმალეთმა საგულვებელ საკბილოს გულდაგულ დაუწყეს მზირვა, რათა ლუკმა ხელიდან არ გაეშვათ და გადასასანსლად თავიანთ უძირო ჯამში ჩაეგდოთ. სხვის ხარჯზე ხელის მოთბობაში დაოსტატებულმა თურქეთის სულთნის კარმა „დახმარებისა“ და „მფარველობის“ ხელი ერთმორწმუნე შირვან-დაღესტანს გაუწოდა, რათა „ურწმუნოთაგან“ დაეცვა. რუსეთმა კი თავის მომავალ მოკავშირედ „ურწმუნოთაგან“ შევიწროვებული ერთმორწმუნენი — ქრისტეს სჯულის აღმსარებელი ქვეყნები დასახა და მათთან დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება. გულ-

უბრყვილო ვახტანგ მეფემ მალე ირწმუნა და თავიც დააჯერა, რომ დაუძლურებული ირანის ბატონობას თავს დააღწევდა და ერთმორწმუნე რუსთა მხედრობის დახმარებით თურქთაგან მინატაცებ ზემო ქართლის (სამცხე-საათაბაგო) ნაყოფიერ მიწებს კვლავ ქართლს შემოუმტკიცებდა.

წინასწარი მოლაპარაკების შედეგად (ქართლის ფეოდალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ვახტანგმა როგორც ინება, ისე გადაწყვიტა ქვეყნის ბედი), პეტრე დიდი დარუბანდისაკენ დაიძრა თუ არა, ვახტანგიც თავისი ჯარით აიყარა და შირვანს ჩავიდა. რუს-ქართველთა მხედრობა აქ უნდა შეყროდა ერთურთს. ვახტანგი სამ თვეს ელოდა რუსთა მხედრიონის გამოჩენას, მაგრამ ჯარის ნაცვლად მას რუსთა ელჩი მოუვიდა და განუცხადა: პეტრემ ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადასდო და უკან გაბრუნდაო. ვახტანგი ორი პირდაღრენილი, გაალმასებული მხეცის წინაშე მარტოდმარტო აღმოჩნდა. შაჰს იმ ცხელ გულზე ძალი არ შესწევდა, თორემ ორგულობისა და ღალატისათვის ქართლს მიწის პირისაგან აღგვიდა. ირანის სნეულმა ლომმა ის მაინც მოიმოქმედა, რაც შეიძლო. ვახტანგს ქართლი წაართვა და საბატონოდ გამაჰმადიანებულ კახთა მეფეს კონსტანტინე-მაჰმად-ყულიხანს გადასცა. თურქეთის სულთნის კარი კი ოსმალურად ფრთხილად იქცეოდა, ვახტანგს უსაყვედურებდა რუსთა მომხრეობას და პოლიტიკური სიფხიზლის მოსადუნებელ მეკავშირეობის ტკბილ ნანინას უმღეროდა. ყველაზე ცუდი შედეგი, რაც ვახტანგ მეფის წინდაუხედაობას მოჰყვა, ის იყო, რომ რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ და ჯერ კიდევ ცოცხალი ირანის ლომის ტყავი გაინაწილეს. თურქეთმა კასპიის სანაპირო რუსეთის საკუთრებად აღიარა, სამაგიეროდ რუსეთმა სცნო თურქეთის უფლება ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და აღმოსავლეთ საქართველოზე.

კონსტანტინე, კახთა მეფე, ვახტანგზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. იგი შაჰის ძღვენს არ დახარბდა, მისი რაყამი გვერდზე გადასდო, ქართლის მეფეს მოციქულები მიუგზავნა, შეხვედრა სთხოვა და მოლაპარაკება შესთავაზა. ვახტანგმა თათბირი მოიწვია. თათბირის საიდუმლო მიზანი ცნობილი გახდა ვახტანგის ძმის გამაჰმადიანებული იესესათვის, რომელსაც არ ეჭაშნიკა ქართლ-კახეთის შეკავშირება და ამ მხრით თავისი ძმის ვახტანგის გაძლიერება. მან იმწამსვე წერილი აფრინა კახთა მეფე კონსტანტინესთან და იდუმალ „აცნობა“: შენი მოკვლა აქვთ განზრახული და თუ თავი გიყვარს, ვახტანგის მოპატიჟება უმალ უარჰყავიო. კონსტანტინე ამ საეჭვო ამბავში იმანაც დაარწმუნა, რომ მისი თანმხლები კახელთა ჯარი ქართლელებმა ერთიანად გაძარცვეს და ქართლ-კახეთს შუა ომი გარდუვალი შეიქნა. კონსტანტინემ ახლა უკვე სპარსთა ყაენის რაყამი ააფრიალა ჰაერში

და ვახტანგ მეფეს ქართლის ნებით დათმობა მოსთხოვა. განაწყენებულმა ვახტანგმა ჯარის შეყრა ბრძანა. კონსტანტინემ რა შეიტყო, ვახტანგი საომრად ემზადებაო, ქართლს ელვისებურად დაესხა თავს. შეუტია თბილისს, ვახტანგი ოტებულ იქმნა და ქართლის დედაქალაქი კონსტანტინემ ჩაიბარა. ვახტანგმა კი იესესაგან მოყვანილი თურქებიც ჩააბა საქმეში, მაგრამ რაკი ვერას გახდა, გაცლა ამჯობინა და რუსეთს იდუმალ გაემგზავრა. მოსკოვს მყოფმა ვახტანგმა რამდენიმეჯერ სცადა ქართლის ტახტის დაბრუნება, მაგრამ ყოველთვის ხელი მოეცარა.

ძმათამკვლელ ომში მოპოვებული გამარჯვებით ვერც კონსტანტინემ იზეიმა, რადგან მის მამაპაპისეულ კახეთს ლეკები შეესივნენ. თურქთა აუტანელმა მძარცველობამ და დაღესტნელთა გაუთავებელმა თარეშებმა აიძულა ქართველობა, კვლავ მოეკრიბა ძალები და მტერს ხმალამოწვდილი შებმოდა. ამჯერად ოსმალოს წინააღმდეგ ქართველთა ლაშქარს წინ კონსტანტინე კახთა მეფე და გივი ამილახვარი უძღოდნენ. ეს ბრძოლა მოხდა 1724 წელს და ცნობილია ზედაველაზე გამართული სისხლისღვრის სახელით. გამარჯვება პირველად ქართველებს დარჩათ, მაგრამ მოღალატე იესემ გაქცეული თურქები უკან დააბრუნა, მტრის სიმრავლემ თავისი ჰქნა და გამარჯვება ოსმალებმა იზეიმეს. ზედაველაზე მომხდარი ომის შემდეგ ქართლ-კახეთის საქმე კიდევ უფრო უკუღმა დატრიალდა. კახთბატონმა კონსტანტინემ ახლა სპარსელებს აქცია ზურგი და თურქებს მიემხრო. მან დროებით კიდევ იმეფა კახეთში, დაიახლოვა ლეკების ბელადები, სათარეშოდ ქართლს გაუსია და ნაალაფევის წილის მიღებასაც არ თაკილობდა. ამის გამო თურქები დაემდურნენ და მოჰკლეს.

მოხდა მოულოდნელი სასწაული და დაუძლურებულმა ირანის სარდალმა თაჰმასპ-ყული-ხანმა შეძლო, თურქთაგან გაეთავისუფლებინა განჯა, შემახა და თბილისი. გამარჯვებით გათამამებულმა სარდალმა თავი შაჰად გამოაცხადა და რუსეთს კასპიისპირეთის დაცლა მოსთხოვა. ამ ამბავმა უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ვახტანგ მეფის იმედს — რუსთა დახმარებით გაეთავისუფლებინა ქვეყანა. ვახტანგმა უარყო ნადირშაჰის წინადადებაც — დაბრუნებოდა ქართლს, როგორც შაჰის ყმადნაფიცი მეფე. იგი აღარც მოსკოვს წაბრძანდა, ასტრახანს დაესახლა და 1737 წელს იმ გზას დაადგა, რომელზეც წინათ არ გაევლო.

ეს იყო საქართველოსათვის მეზობელ ქვეყნებთან რთული და აწეწილი სახელმწიფოებრივი ურთიერთობის, თვითონ სამთავროებად დაშლილი ქვეყნის დაძაბული შინაგანი წინააღმდეგობების, ძმათამკვლელი ომების, რელიგიური ვერშემწყნარებლობის, გარეშე თუ შინაურ ხუშტურიან მეფე-მთავრების ხელისუფლებით გათავხედებული თვითნებობისა და ძალმომრეობის ეპოქა. ამ დროს სჭიროდა ივერთ ქვეყანას კვლავ „ზეციური მადლით ცხებული მმართველის გონებრივი

შემართება, სახელმწიფოებრივი ყოველი საქმის შორსმჭვრეტელობით განსჯა-გადაწყვეტა. ქვეყნის პატრონის ძლიერი მარჯვენა, ფხიანი ხმალი, სამშობლოსათვის ერთგულთა გაბედული დაწინაურება, ორგულთა საქმიანობის სააშკარაოზე გამოტანა, მუდმივი ჯარის შექმნა და, ერთი სიტყვით, ქვეყნის სათავეში ისეთი კაცი, როგორიც იყო აღმაშენებელი. რაც შეეხება ვახტანგ მეექვსეს, იგი ალბათ განათლებისა და კულტურის მედროშედ იყო დაბადებული, ბედმა მდევარმა კი ხელთ ხალხის მართვის სადავეები მისცა, საბრძოლო დროშა შეაჩეჩა, ქვეყნის საჭე ჩააბარა და მაჰმადიანური ფანატიკური რწმენით აღგზნებული ხალხების აზვირთებულ ზღვაში უკომპასოდ შეუშვა. არ ჩანდა ნაპირი, ხსნის გზის ძიებაში პოეტი-მეფე დაიბნა და გაოგნდა... იგი უსასოოდ უხმობდა თავისივე გონებით დასახულ მშველელს, მაგრამ მისი განწირული სულისკვეთება აღმოსავლური ბარბაროსობის უკიდეგანო ოკეანეში უწყალოდ დაინთქა. ვახტანგი დამარცხდა და ბოლმა-ნაღველს ლექსებით იქარვებდა:

დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნაღველს ვხმაროб მუდამ მელნად, გულსა ვაწვევ მისად კალმად.

არცთუ ისე შორეულ ეპოქაში ცხოვრობდა ვახტანგ მეექვსე, რომლის თანამედროვეც იყო დავით გურამიშვილი, მაგრამ საქართველოს ისტორიის ანალებში დავით გურამიშვილი არსად იხსენიება. ეს სრულიად ადვილად გასაგები ამბავია. პოეტის ბედის ვარსკვლავს ცთომილი ციალი ჯერ კიდევ მისი ჭაბუკობის ხანაში, 1729 წლის თიბათვეში, დაუწყია, მკათათვის პირველ რიცხვებში კი იგი ძირს დანარცხებულა. ქართლის ცხოვრების მატიანე დუმს. ქართლის ცხოვრებაში დავით გურამიშვილის სახელი თუნდაც იმიტომ ვერ მოხვდებოდა, რომ უცხო მხარეში გადაკარგული პოეტისათვის ჩვენი ძნელბედობის ჟამთააღმწერელს მოცალეობა არ ექნებოდა. ჩრდილოეთის დიდი ამბების ისტორიულ მატიანეში კი ვის გაახსენდებოდა ერთი მამაცი რიგითი მეომარი თუ ოფიცერი, რომელიც ფრიდრიხის ჯარების წინააღმდეგ იბრძოდა. ამიტომაა, რომ დუმს ჟამთააღმწერელი შინაურიცა და უცხოც. საბედნიეროდ, ამ ისტორიულ ხარვეზს თვითონ პოეტი ავსებს. დავით გურამიშვილი თვითონ ქმნის თავისი ცხოვრების პოეტურ მატიანეს. ამით ის დიდ საქმეს აკეთებს ისტორიისათვის, თუმცა თვითონ ისტორიამ წაუყრუა და გვერდი აუარა პოეტისა და მეომრის ცხოვრებას. გურამიშვილის ცხოვრების ამბავი ესაა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების „გოდების დიდი წიგნიც“ და ჩვენი სასიქადულო პოეტის პირადი ცხოვრების ოდისეაც. მრავალი, ჯერ კიდევ ამოუხსნელი, გაუშიფრავი, ბურუსიანი ნისლოვანი ადგილია ამ წიგნში, მრავალი ლირიკული წიაღსვლა სცვლის ისტორიულ ფაქტს, მაგრამ როცა უფრო

სრული ბიოგრაფია არა გვაქვს, თვითონ პოეტის მონათხრობი უძვირფასეს რელიქვიად და დოკუმენტად იქცევა.

როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილის თხზულების ერთ ნაწილში აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრება მე-18 საუკუნეში. ქართული ლიტერატურის ისტორიის დიდმა მკვლევარმა კორნელი კეკელიძემ დავით გურამიშვილის მიერ აღწერილ ისტორიულ მოვლენებს, პოეტის მიერ ამ მოვლენების კრიტიკული და დოკუმენტური გადმოცემის გამო „ქართლის ჰირი“ უწოდა. (სათაური აღებულია გურამიშვილისავე ლექსის 103-ე სტროფის პირველი სტრიქონიდან). ისტორიკოსებმა მარი ბროსემ და ვარლამ დონდუამ კი დავით გურამიშვილის „დავითიანი“ სამატიანო მნიშვნელობის თხზულებად მონათლეს და დაამკვიდრეს კიდეც იდეა — ამ წიგნიდან, როგორც სამატიანო წყაროდან, ისტორიული მნიშვნელობის ცნობათა ამოკითხვისა.

გურამიშვილისათვის ისტორიული ამბების თხრობას თავისი განსაკუთრებული შინაარსი, აზრი და დანიშნულება აქვს. მისგან ისტორიული ამბების შთამომავლობისათვის შემონახვა თავის გარკვეულ მიზანს ემსახურება. ხოლო, ვიდრე ამ მწარე სიმართლეს იტყოდა და შთამომავალთ ნამდვილ თვალითხილულ ჭეშმარიტებათ ამცნობდა, საგონებელში ჩავარდნილ პოეტს ბევრი უჭოჭმანია.

ამ ამბის თქმა გარჩევითა, გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზედ მერცხვინება...
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება,
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება.

უკომპრომისო დავა პოეტს საკუთარ თავთან ჰქონია, მისი გონება მედგრად შესიტყვებია სამშობლოს უანგაროდ მოყვარულ მამულიშვილის გულისთქმასა და გრძნობას. ჩვენი შესარცხვენი ბევრი ავი საქმე გამოჩნდებისო — უნაღვლია, მტრების გასახარ საქმესა ვიქმო — შეთანაღრებია გული, მაგრამ ფარად უწინამძღვრებია შოთა: „თქმა მართლისა, სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო“ და მწარე სიმართლის თქმის მძიმე, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება მიუღია:

ტყუილი ვჰთქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?
მართალი ვჰთქვა, მეშინიან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი,
კაცს მის მეტი არა აქვს რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა ავი, კარგსა კარგი.

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების.
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების.

ამად სძრახვენ, ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ ჩაიდინოს:
სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არვინ ჩაიდინოს,
კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგა მაიხდინოს,
თორემ ბოლოს ვით იქნების, ავზედ ძრახვა დაიცდინოს?

მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს:
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს!
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!

ასე და ამგვარად, ბევრი ყოყმანის შემდეგ, გურამიშვილმა მწარე სიმართლის დაუფარავად თქმის გაბედული გადაწყვეტილება მიიღო.

ვიდრე ქვეყნის ამბავთა თხრობას უშუალოდ შეუდგებოდეს გურამიშვილი, მეცნიერულად განსწავლული და განათლებული კაცი, რომელიც აკადემიკოს ბროსეს აზრით „იყო მთელი ენციკლოპედია, რომელიც საკმაოდ კარგად წარმოგვიდგენს იმ ქვეყნის განათლების მდგომარეობას, სადაც ერთ კეთილშობილს შეეძლო ასეთი ფართო ცოდნის მფლობელი ყოფილიყო“, თავს მოვალედ რაცხს მკითხველს გამოუცხადოს თავისი სახელი და იქვე აუწყოს, რომ სიტყვა ღვთისას ხილად ამბობს „ხილად ვსთქვი“, რადგან ცხოვრების წყაროს სათავე ხე ცხოვრებისა სამოთხიდან, ედემიდან, დასაბამიდან მოდის. როგორც გრიგოლ ნოსელი „კაცისა აგებულებისათვის“ გვაუწყებს, „ხე ცხოვრებისა“ იყო სამოთხის შუაგულში და მისი ნაყოფი იყო ცხოვრება, იქა ჰყვაოდა კეთილად „ცხოვრების ხე“. იოანე დამასკელის მიხედვითაც „ხე ცხოვრებისა“ სიცოცხლის წყაროა, ცხოვრების მომნიჭებელია. გრიგოლ ნოსელისავე განმარტებათა მიხედვით „ხე ცხოვრებისა“ არის სიკეთე, ჭეშმარიტება, სიბრძნე ყოველი. ყოველი ეს თვისება კი, თეოლოგიის მიხედვით, ღვთაებისათვისაა დამახასიათებელი, რის საფუძველზეც უნდა დავასკვნათ, რომ „ხე ცხოვრებისა“ არის ღვთაება, „ხატი და დიდებაი ღმერთისაი“, კაცთა მოდგმაში ღვთაების ხატება, მისი სახე ადამიანში. პოეტი დაუფარავად, ყოველგვარი იდუმალი აზრის უქონლად აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ ჯვარზედ ვნებულის ამბავს ცრემლთა საღვრელად მოგვითხრობს, „ხილად გადმოგვცემს ღვთის სიტყვას“, რგავს იგავთ ხეს შეუძეძვავად, რადგან უეკლოდ ნაყოფნი მისნი ვარდნი ადვილად იკრიფებიან, ყრმანი მის მიერ დარგულ იგავთ ხეზე დასარხეველად ადვილად აღვლიან, „ამ წიგნს წიგნად მოიხმარებენ“ და პოეტს ნათქვამს ადვილად მიუხვდებიან.

აზრი, რაიც ჩვენ ნამდვილ ჭეშმარიტებად გვეჩვენება, უფრო ადვილად მისახვედრი, თითქმის ყველასათვის მისაწვდომი და თვალში საცემი რომ გახდეს, გავიხსენოთ ვახტანგ მეექვსე სჯულმდებლის „სა-

შართლის წიგნიდან“ ერთი მუხლი: „ვინც კაცმა ქვეყანასა და ქრისტეს რჯულს უორგულოს, კიდეც ხედავდეს, იმით რჯული წახდებოდეს, იმას მიჰყვეს, ღვთისა და ბატონისა — ორისავ მესისხლე იქნების, და ყოველივე ავი იმაზე მართებული არის“.

ოფიციალური კანონი აიგივებს ქვეყანასა და ქრისტეს რჯულს. ორივეს ღალატს ერთნაირად გმობს და ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის მოღალატეს ერთნაირი სასჯელით ემუქრება — ორსავ მოსისხლე იქნების და ყოველი ავი: ძელზე გასმით სიკვდილი, თავის მოკვეთა, თვალების დათხრა და სხვა, იმაზე მართებული არის.

ესაა დამოუკიდებელი ქვეყნის — ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ნების გამოხატულება და ამ კანონის ერთგულება მეფეს, ერსა და ბერს ერთნაირად ევალებოდა. ეს კანონი საქართველოსთვის — სუვერენული სახელმწიფოსათვის, მაჰმადიანური რჯულაღმსარებლობის ხალხებით გარშემორტყმული ქვეყნისათვის, ქრისტეს რჯულის, სასიცოცხლო მნიშვნელობის ამღიარებელი და დასტურის დამცემი კანონია. ამ კანონის პირველ ნაწილში სამეფო ხელისუფლების მიერ მიღებული პრეზუმპციით დასტურდება იურიდიული ფაქტი, მისი უეჭველობა, მისი უცილობლობა, მეორე ნაწილით კი გათვალისწინებულია სანქცია, თუ ვინმემ გაბედა და დაარღვია კანონი. ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის მოღალატეს კი ამ კანონის სანქცია ერთნაირი სისასტიკით სჯის. ამითი ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ ჩვენს წინაპართათვის ქვეყანა — საქართველო და ქრისტეს რჯული განუყოფელი ერთიანი ცნებები იყო: ქრისტეს რჯულის მოღალატე — ქვეყნის მოღალატეც იყო და პირიქით. სწორედ ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის ასეთმა ერთგულებამ და მათს წარმოდგენაში ქვეყნისა და რჯულის განუყოფელმა ერთიანობამ ჩააგონა ჩვენს წინაპრებს განათლებულ, ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირების აუცილებლობა.

ქრისტეს რჯულისა და სამშობლო ქვეყნის განუყოფელმა ერთიანობამ გააწოდებინა მსასოებელი, უძარღვო ხელი ქართველ მეფეებს ერთმორწმუნე რუსეთისაკენ. თუ ყოველივე ამას სათანადო სისრულითა და ჯეროვნად გავითვალისწინებთ, მაშინ ადვილად ასახსნელი და გასაგები ხდება, თუ რატომ მიმართავს ასე ხშირად დავით გურამიშვილი წმინდა ღვთისმშობელსა და მის ძეს — ქრისტეს. მამაღმერთი, ქრისტე, ქრისტეს სჯული, ღვთისმშობელი, ღვთაების სხვა ატრიბუტები და საქართველო დავით გურამიშვილისათვის ისეა ერთმანეთს გადაჯაჭვული, რომ ეს ყველაფერი პოეტს განუყოფლად ესახება. გურამიშვილისეული ღვთისმშობლის მოთქმა, ურვა, სევდა და განუზომელი მწუხარება დაგმობილ, ჯვარცმულ, დალახვრულ შვილზე აქედან იღებს სათავეს. ვიდრე ქრისტიანული სარწმუნოების დროშის ჩრდილქვეშ ეგულება ქართველობა გურამიშვილს, რომელიც ამ დროს შო-

რეულ უკრაინაში ცხოვრობს, თავისი ერი ბედისაგან განაწირად მაინც არ მიაჩნია. იგი სასოებით ევედრება შუქმომფენ მნათობს, წყვდიადში გზის მაჩვენებელსა და ცოდვათაგან გამწმენდს, სამოთხის კარი არ გადაურაზოს იმათ, ვინც ღვთის სიკეთე ბოროტისაგან ვერ გაარჩია, მათი მაცხოვნებელი წამწყმენდელად ჩასთვალა, ღვთის საიდუმლო გასტეხა, ურიგო სიტყვა შეჰკადრა უფალს, გარნა უმწიფადთა და უგბილთ უარესიც უქმნიათ: . საჩინო, უდანაშაულო, უბრალო და წმინდა კაცი მათ ავად მიიჩნიეს, მოჰკლეს, მზე და მთვარე დააბნელეს, და მერე რისთვის? და აქ პოეტი ჩამოთვლის იმ სასწაულებრივ ქმედობათ, ახალი აღთქმის მიხედვით ქრისტეს რომ მიეწერება: მკვდართა აღდგინება საფლავით, კეთროვანთა და წყალმანკით დაავადებულთა განკურნება, ბრმათათვის თვალის ახელა, ყრუთათვის სმენის დაბრუნება, საპყართა მორჩენა, წყლის ღვინოდ გადაქცევა, მცირე პურით ბევრთა დანაყრება და სხვა. შემდგომ პოეტი წვრილად აღნუსხავს იმ სენტენციებს, რაც სულიერმა მამებმა ქრისტეს სახელით იქადაგეს. მშვიდად ცხოვრება, ერთმანეთისათვის უდიერის არ კადრება, გლახაკთა განკითხვა, მშიერთა დაპურება, რის სანაცვლოდაც უფალი სამაგიერო სიკეთეს იმქვეყნად ჰპირდებოდა მორწმუნეთ. პოეტმა იცის, რომ ადამიანთათვის თავგანწირული არსთაგამრიგე, მომთმენი და სულგრძელია. იგი ადამიანთათვის ეწამა და თავისი მოკვდინების უფლებაც კი მისცა ჭკუით გლახაკთ, მით უფრო შეუნდობს უმეცართა და უგბილთ მის მგმობელობას, კვლავ მწედ და მშველელად დაადგება თავს ივერთა ქვეყანას. პოეტს სწამს და სჯერა ქრისტიანული ღვთაების სიკეთე, მისი სულგრძელობა, ამაში თავის თანამემამულეთა დარწმუნებას ეშურება და თავს არ იზოგავს. იგი ურჩევს და მოძღვრის თანამემამულეთ, დაეწაფონ ქრისტესაგან მომდინარე ცხოვრების ანკარა წყაროს, რამეთუ მყრალ-ზნოიანის ჰურიდან მხოლოდ საწამლავი მოედინების და ქვეყანას წაახდენს. და რადგან ერთი არს ჰეშმარიტი ღმერთი ყოველთა ქმნილთა, ქვე დანთქმულის გონება ძნელად თუ შესწვდების მის სიმაღლეს, უსმინონ მის თქმულს, მიჰყვნენ მის მცნებას, ნუღარას გაქექენ და, ირწმუნონ, რომ „ღვთისაგან ნივთობს ყოველი ნივთი“, მას აქებენ ანგელოზნი, ცა, ქვეყანა, ბნელ-ნათელნი, იგია ყოველივეს მპყრობელი. რაც ქვეყნად მოუფენია, ყველა ჩვენთვის, ადამიანთათვის განაჩინა და ჩვენც გვმართებს, რომ ღმერთს დავუთმოთ ის, „რაც სწავლად გვემით გვატკინა“. ვინც წინასწარ განგებ არ დახუჭავს თვალს, მისთვის ადვილად შესამჩნევი ჰეშმარიტება იქნება, რომ ქვეყანაში, სადაც საეკლესიო იერარქიის ყველაზე მაღლა საფეხურზე მდგომი ქართლის კათალიკოსი დომენტიც კი, საერო ხელისუფლების ტახტისა და მეფობის ხელში ჩაგდების მიზნით, მზად იყო დაეგმო მამაპაპათა რჯული, ომფორი გაეძრო, ტიარა მოეხადა და მუჰამედი ეღიარე-

ბინა ჭეშმარიტ ღვთაებად, როგორი შერყვნილი ყოფილა ქცევა-ზნენი ქართლისანი, როგორი ქვეყნის დამაქცეველი ყიზილბაშური ზნეწესები იკიდებდა თურმე ფეხს დავითის სამშობლოში და რატომაა, რომ თავის შემოქმედებაში ქვეყნის ჭეშმარიტი ჰირისუფალი და ნამდვილი მამულიშვილი ერთარსება სამების, ქრისტეს, ღვთისმშობლის და ყოველივე ქრისტიანულის ერთგულ ქომაგად და თავგამოდებულ დამცველად გვევლინება. ქართული ზნისა და წესის, ქართული ტრადიციებისა და ჩვევების, ქართული ენისა და ქართული მიწის ათასი ჯურის მტერთაგან თავდასაცავ, სამშობლო ქვეყნის უცილობელი დაღუპვისაგან თავდასახსნელ საშუალებად პოეტს მხოლოდ ქრისტეს რჯული ეგულება. ეს რწმენა უზარმაზარ, ძლიერ ქრისტიანულ რუსეთში ყოფნამ და რუსთა და უკრაინელთა გვერდით ბრძოლამა და ცხოვრებამ კიდევ უფრო განუმტკიცა. სწორედ ამიტომაა, რომ პოეტი ცდილობს დაარწმუნოს და დააჯეროს მკითხველი ქრისტეს სჯულის სიკეთესა და უპირატესობაში. იგი შეგნებულად და ურყევად დგას, დიდ სულხან-საბა ორბელიანივით ქრისტიანობის აქტიურად დამცველთა მოწინავე ხაზზე. იცავს ქრისტეს სჯულს და ცდილობს თანამემამულეთ ჩააგონოს ის ჭეშმარიტი აზრი, რომ სამშობლოს ხსნის გზა ქრისტიანულ ქვეყნებთან კავშირშია, რუსეთსა და უკრაინასთან განუყრელ კავშირშია. იგი უწყალოდ ამხელს თავისი დროის ხუცეს-ბერებს, რომელთაც თვითონ შერყევიათ რწმენა და სხვის მასწავლებლებად ყოფნა აღარ ძალუძთ:

არ დაიჯერეს, არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები,
დაყრუვდენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს გასასტერები!
თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები,
დამცირდენ მადლით მოყვრები, ცოდვით გამრავლდნენ მტერები.

საქართველოს ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ერთიანი საქართველოს დაქცევისა და სპარსთა მომძლავრების დღიდან ირანის შაჰები საკუთარ სამეფოს ისე არ უმტკიცებდნენ ქართველ მეფეებს, თუ ისინი მაჰმადის რჯულაღმსარებლები არ იყვნენ, ან მეფედ დამტკიცების წინ არ გამაჰმადიანდებოდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ეღირსებოდათ ხოლმე ქართველ მეფეებს საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლა. ყოველი ახალი მეფის დამტკიცებას წინ უძღოდა დასამტკიცებელი კანდიდატის ირანის შაჰის კარზე წინასწარი ხლება და იქ სამეფო ინვესტიტურის მიღება. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობა აქვს დაცული ვახუშტი ბატონიშვილს.

შაჰისაგან დამტკიცებული ქართლის კანონიერი მეფეების გიორგი მეთერთმეტისა და ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ინვესტიტურის მისაღებად ვახტანგიც ირანს უნდა გამგზავრებულიყო. ვიდ-

რე იგი ამ შორეულ მგზავრობას შეუდგებოდა, მისი გამეფების თაობაზე თავისი სიტყვის თქმა ევალებოდა ქართლის ეკლესიასაც. ვახტანგის გამგზავრების წინ სულიერი მამები მართლაც შეკრებილან, უმსჯელიათ და ქრისტიანული ეკლესიისათვის მეტად უცხო დადგენილება მიუღიათ. „ეჰა, უცხო რამეთუ ქრისტესთვის აიძულებულისა ვახტანგისათვის ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და სამღვდელოთაგან“. ვახუშტის ამ მოხმობილ ციტატაში გამოხატული აზრი სწორად აქვს განმარტებული პროფესორ ვ. დუნდუას, რომელსაც ჩვენც ვემხრობით. სულიერმა მამებმა საქართველოს მეფედ და ირანის შაჰის ნაცვალად — „ვალი“-დ წარადგინეს ვახტანგ მეექვსე, იმ პირობით, თუ იგი გამუსლიმანდებოდა. „ქრისტესათვის აიძულებული“ აქ ნიშნავს, რომ მას სურდა თუ არა, ქრისტე უნდა დაეგმო და თუ ქვეყნის მეფობა ეწადა, მუჰამედს უნდა ზიარებოდა. საეკლესიო მამათა საქციელით განცვიფრებული ვახტანგი ამის თაობაზე წერდა:

ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს,
არას კერპსა არ უქნია, ჩემს საქმეზე იმათ რაც ყვეს.
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი დაყვეს,
ჩემს ცოლ-შვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარყვეს.
თუმცა ვიყავ ამათ რჯულზე, მაშ ესენი რას მტერობდენ.
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ ისინი რათ მაჭრობდენ?

დავით გურამიშვილმა, როგორც განათლებულმა და ქვეყნის ჭეშმარიტმა მამულიშვილმა კარგად უწყის, რომ ქვეყნის წახდენის ძირითადი მიზეზი ერთიანი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებასა და უფალთადმი შეორგულებაშია საძიებელი. ორთავე მისთა უფალთ ქართველნი თავდადრეკილნი მორჩილებდნენ, ვით წესი იყო, მაგრამ ხალხი შეცდა, ცოდვის მორევში ჩაცვივდა, დაივიწყა უფალთა: ღვთისა და მეფის ურიცხვი მოწყალებანი, გაორგულდა, სიტყვით ერთს ამბობდა და საქმით სხვას აკეთებდა, მათ გულებში ზაკვამა და გესლმა დაიბუდა. ისმინეს ეშმაკთ თქმა, ხალხს ხუცეს-ბერებიც აჰყვნენ, მათაც დაცაივიწყეს ჭეშმარიტი სჯული და „მამადის ქოლანი“ მსახურნი შეიქმნენ:

შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა:
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა მწირისა!

რაკი ქართველთ ჭეშმარიტი ღმერთი დაივიწყეს და სცოდეს, ღმერთმაც ცოდვისა წილ პასუხი მიაგო: — ქვეყანა შეიძრა, ცა რისხვით შეა განიპო, მაღლიდან ლოდის ნახეთქის ოდენა სეტყვა წამოვიდა, ვენახები მირეგვ-მორეგვა, ქარბორბალამ მიწა და ნახნავები გამოაშრო, ყანებს მკალი შეესია, შეიმუსრა ძალი პურისა, გახშირდა მეხთა დაცე-

მა, იყო გაუთავებელი ელვა და ქუხილი, მაცოცხლებელი ნამი კი არსაიდან ჩანდა. გოლვამ დასწვა ბალახი, განადგურდა ხილი, ქვეყანას მოევლინენ მხეცნი, გარეულნი ნადირნი, მჭამელნი კაცთა ხორცისა, ხალხსა და პირუტყვს უცნაური სენი და სახადი დაერია, სისხლითა და გვამებით ავსებულა ხევები ცოდვილთა უწყალო განკითხვისას. აი, ასეთ სურათს ხატავს დავით გურამიშვილი 1721 წლამდე. 1721 წელს იგი თექვსმეტი წლისა გახდა. იმ დროს ასეთ ასაკში მყოფი კაცი თუ ქალი უკვე მოწიფულად ითვლებოდა. რაღა თქმა უნდა, დავით გურამიშვილი გამონაკლისი არ იქნებოდა და ისიც შეიძლებდა თვალით ნახული და პირადად განცდილი ამბების კრიტიკულ აღქმასა და შეფასებას. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ იღებს იგი თავისი თხრობის სათავედ 1721 წელს.

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოცდა-ერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა:

და რაკი ცოდვა ქვეყნად წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო მომრავლებულა და ღმერთისათვისაც მავანთა და მავანთა მოხსენების საფუძველზე დაწვრილებით გამხდარა ცნობილი იმდროინდელ ქართველთა მკრეხელური შეცოდებანი, მასაც არ დაუხანებია და საქართველოს წინააღმდეგ აღმოსავლითა და სამხრეთით მტრები აღუძრავს.

აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს, ან კახეთსა!

დავით გურამიშვილს სურს დაარწმუნოს თანამემამულენი, რომ ქართველთათვის ცით თავს დატეხილი ღვთის რისხვა მათი უგვანო საქციელის შედეგია. მისი გულწრფელი წადილი და წმინდა განზრახვა ჰგავს სულიერ მამათა საწადელს — დაეჯერებინათ მორწმუნენი, რომ ისინი სამართლიანად ისჯებოდნენ ადამიანთა პირველცოდვის გამო. რამეთუ, მათი აზრით, პირველცოდვის გამო დაიკარგა კავშირი „ზესთა საუფლოსთან — ზესთა სოფელთან, დამბადებელთან“. პლოტინე ამის თაობაზე წერდა: „ადამიანებმა დაივიწყეს, რომ ისინი ზესთა სოფლიდან წარმომავლნი არიან, მსგავსად იმ ბავშვებისა, რომლებიც ადრე ჩამოაცილეს მშობლებს, იზრდებოდნენ განცალკევებით, და არ იციან არა მარტო ის, ვინ არიან მათი მშობლები, არამედ ისიც, ვინ არიან თვითონ ისინი“.

ქრისტიანული მსოფლგაგების მიხედვით ცოდვილი პირველსახისაგან დაცილებული, თავისი არსისაგან ჩამოშორებული ადამიანია. სწორედ ამიტომ ეწოდა ადამს: „უცხოქმნული“, „მომწყდარი“ და „დაცემული“.

„აღმოსავლით აღძრული“ მტერი საქართველოს ძველისძველი მტერ-მოყვარე ირანია, სამხრეთით კი თურქეთის მომძლავრება იგუ-

ლისხმება. შემდგომ პოემაში აღწერილია დიდთა, თუ მცირე ერთა მტრობა საქართველოს მიმართ და ძმათამკვლელი შინააშლილობანი, რომელმაც ის ნაყოფი გამოიღო, რომ:

მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!
თარჯ-თომრიან ჯიღოანნი გაგვიხადა, ქმნა უჯიღო!

გურამიშვილი შემდგომ აღწერს ვახტანგისაგან იმ სანუკვარი ამბის შეტყობას, რისი მონატრულიც თვითონ გვირგვინოსანი ბრძანდებოდა. ვახტანგს რუსთა მეფის პეტრე პირველის ჩაფარ-ელჩნი მიუვიდნენ და სამხედრო კავშირი შესთავაზეს. მეფემ მაშინვე აწვია დარბაზისერნი და ბჭობა გამართა. დარბაზობაზე ბევრი დიდებული რუსეთთან კავშირის წინააღმდეგ გამოვიდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ვიდრე ჩრდილოეთის დიდი ხელმწიფე გვიშველის, ჩვენ ჩვენი გარდაგვხდებაო. ვახტანგს კი თავის გულში საჭირბოროტო საკითხი რუსთა სასარგებლოდ წინასწარ უკვე გადაეწყვიტა. „მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა“. მან ლაშქარი აწვია და განჯას წავიდა.

პოემაში გურამიშვილი არა ჰფარავს, რომ ქართველი დიდებულნი ასეთი კავშირის წინააღმდეგი იყვნენ. „მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება“, — გაიძახოდნენ მეფის მოწინააღმდეგენი. ვახტანგმა სამი თვე დაჰყო განჯას, მაგრამ პეტრესაგან ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო. თვითონ პეტრემ კი სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებების გამო აღმოსავლეთში ლაშქრობა ერთი წლით გადასდო და უკან გაბრუნდა. ერთსულოვნება რუსეთისათვის მხარდაჭერის საკითხში დიდებულებსა და მეფეს შუა კი არა, მეფესა და მის ძეს შორისაც არ სუფევდა თურმე. ბაქარი სპარსეთის ყაენთან კავშირის მომხრე ყოფილა.

ერთმანეთის ნავეზირი მათ მოსწონდათ ამად არა:
მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი ყეენისა კარა.

შინაურმა მტრებმა მეფე ვახტანგი შაჰთან დაასმინეს. ორგულობისათვის შაჰმა ვახტანგს ქართლის მეფობა ჩამოართვა და მისი ტახტი კახთა მეფეს კონსტანტინეს უბოძა. კახთბატონმა ჯერ შორს დაიჭირა ყაენის „წყალობა“ და ვახტანგს მოლაპარაკება შესთავაზა. ქართლ-კახეთის შეკავშირების იდეა ვახტანგის ძმას იესეს არ მოეწონა, კახთბატონს კონსტანტინეს წერილი მისწერა: ქართლელებს შენი შემოტყუება და მოკვლა აქვთ განზრახულიო, რის გამო ეს კეთილად დაწყებული საქმე ჩაიშალა და ძმათამკვლელი ომი გარდუვალი შეიქმნა. კახთ-ბატონი ელვისებურად შეიჭრა ქართლში, თბილისი დაეცა, მას მიჰყვა გორიც და ვახტანგმა გაცლა ამჯობინა. მან სცადა თურქთა ძალების დახმარებით ტახტის დაბრუნება, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა და დიდი ამალით რუსეთს გაემგზავრა.

თავისი ამ საქციელით ვახტანგ მეექვსე და მისი ამალა მიაგავდნენ

ზღვის ფრინველებს, რომელთაც მოსალოდნელი საშინელი ქარიშხლის მოახლოება წინასწარ იგრძნეს, დასაღუპად განწირული გემი მიატოვეს და თავი უწყინარ ნავსაყუდელს შეაფარეს. ქართლში მეფედ დარჩა ვახტანგ მეექვსის ძმა იესე, რომელიც თურქთა მხარდაჭერით სარგებლობდა. „იესე მეფე მათ შერჩათო“, წერს გურამიშვილი. კონსტანტინემ კი ვერ ისარგებლა გამარჯვებით, რადგან კახეთს ლეკები მკალივით მოსდებოდნენ. „ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლაშაო“, მოთქვამს პოეტი. კონსტანტინე კახთა მეფემ მაინც მოახერხა თავისი შერყეული სამეფო ტახტის დროებით გამაგრება და 1724 წელს იგი ოსმალთა წინაღმდეგ მიმართული ქართველთა ზედაველაზე გამართული ბრძოლის მეთაური შეიქნა. ზედაველა შტკვრის მარჯვენა ნაპირზე ფართოდ გაშლილი ველია და ხიდისთავსა და დოესს შორის მდებარეობს. როგორც გურამიშვილი წერს, ქართველებს ისე მაგრად შეუტევიათ, რომ გამარჯვებაც მოუპოვებიათ, თურქნი შეშინებულან და გაქცეულან.

„მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით“-ო, — წერს აღფრთოვანებული პოეტი, მაგრამ იესე ნამეფარის ღალატს ბრძოლის ბედის სასწორი ისევ თურქთა სასარგებლოდ გადაუხრია: „მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნაღალატევით“-ო, ნაღვლიანად დასძენს გულმოკლული პოეტი, რომელიც მკვლევარებს სამშობლოს დამცველთა რიგებში ეგულებათ.

ზედაველაზე გამართული სისხლისღვრისა და ქართველთა დამარცხების შემდეგ, როგორც გურამიშვილი გვაუწყებს, ქვეყანა კიდევ უფრო გავერანებულა. კახთბატონს კონსტანტინეს სპარსეთისათვის ზურგი უქცევია და თურქთა ხონთქრის ჭურჭი ჩაუცვამს:

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლადა:
დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა.
აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა.
კახს-ბატონს კონსტანტილესა საქმე მოუხდა ყალათი,
ტანთ ხვანთქრის ჭურჭი ჩაიცვა, დასთმო ყეენის ხალათი:
მტერს დამორჩილდა ნებითა, ვეღარა ქნა რა ძალათი,
მიენდო, თავის თავზედა ახმარებინა ჯალათი.

მოსკოვს მყოფი ვახტანგი კარგახანს ამაოდ ელოდა თურმე ამინდს. როცა რუსეთის ტახტს ანა იოანეს ასული დაჰპატრონებია, ვახტანგი პეტერბურგს გამგზავრებულა და დედოფლისათვის საქართველოს განთავისუფლების საქმეში სამხედრო ძალით მხარდაჭერა უთხოვია. ანა იოანეს ასულს დახმარება აღუთქვამს. ქართველთ მაშინვე ნავების მშენებლობა დაუწყიათ, რადგან ედილის წყალს უნდა დაჰყოლოდნენ, მაგრამ ექვსი ნავის მშენებლობას მთელი ერთი თვე მოსდომებია. ორი

თვეც ზღვის სანაპირომდე ჩასვლას დასჭირვებია. ადგილზე ჩასულ ქართველებს წინ სვიმონ აბრამიშვილი შემოხვედრიათ, რომლისგანაც ავი ამბავი შეუტყვიათ. შემახა ისევ სპარსთ დაეჭირა. სპარსეთის ჯარების სარდალს, მოხერხებულსა და ცბიერ ნადი-ყულის სპარსეთის მტრებთან ბრძოლაში დიდი ნიჭი და შემართება გამოუჩენია. მას მალე წაურთმევია ხელისუფლება (1736 წ.) თავის ყოფილი მბრძანებლისათვის და თავი შაჰად გამოუცხადებია. იგი ნადირ-შაჰის სახელით გამეფებულა. ენერგიული და გაბედული მოქმედებით ნადირ-შაჰს კავკასიაში თურქების ძალმომრეობისა და ბატონობისათვის საზღვარი დაუდვია. ქართლსა და კახეთში მას მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე გაუმეფებია, თურქთათვის კი კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა უგემებია. მათთვის უწყალოდ გამოუგლეჯია ხელიდან აზერბაიჯანი და ჩრდილო სომხეთი და სპარსეთისათვის შეუერთებია. რუსეთში თავისი წარგზავნილი ელჩის — ხულეფა-მირზა-კაფის საშუალებით ნადირს ისიც შეუტყვია, რომ ვახტანგსა და ბაქარს მოლაპარაკება ჰქონდათ რუსებთან, მათი მხედრობით თავს უნდა დასხმოდნენ შემახას და საქართველოს განთავისუფლება იქიდან დაეწყოთ. ნადირის სამხედრო წარმატებებს რუსეთის საიმპერატორო კარი შეუცდენია. დედოფალ ანას განკარგულება გაუცია და თავის ჯარს თურმე კასპიისპირეთი იმ იმედით დაატოვებინა, რომ სპარსეთს თურქეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ გაიხდიდა. იოლი წარმატებებით გათამამებულ ნადირს განჯის ციხეც შეუმუსრავს და თურქები იქიდანაც გაუყრია. ნადირი მერე რუსებს მიჰბრუნებია და დერბენდის, სულაკისა და ბაქოს დატოვება მოუთხოვია, რაც დედოფლის ბრძანების თანახმად, რუსთა მხედრობას თავაზიანად შეუსრულებია. დავით გურამიშვილის პოემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნადირს ვახტანგ მეფისათვის კაცი მიუგზავნია და ქართლის ტახტს დაჰპირებია, თუ იგი შაჰის ყმადნაფიც მეფობაზე თანხმობას განაცხადებდა. ვახტანგი არ მინდობია ნადირ-შაჰს. აღარც მოსკოვს დაბრუნებულა. თავისი ამალის ნაწილთან ერთად დარჩენილა ასტრახანს და 1737 წელს იქვე მიუბარებია სული უფლისათვის. ეს ამბები დიდი დამაჯერებლობით, ცოდნითა და მეცნიერული სიზუსტითაა მოთხრობილი დავით გურამიშვილის პოემაში. პოეტმა შემოგვინახა ბევრი ისეთი ისტორიული ფაქტი და დეტალი, რაც შემდგომში დროის უწყალო ხელით დანთქმულა და საისტორიო ანალებში .ვეღარ მოხვედრილა.

როგორც აღვნიშნეთ, 1724 წელს ვახტანგ მეფე აიყარა და ორი ათასი ქართველით რუსეთისაკენ ჰქმნა პირი. რუსეთს უფრო მეტი ქრისტიანი მეომარი შემწე სჭიროდა საზღვრებზე დასასახლებლად, მაგრამ ვახტანგმა თან მეტი მოსახლე ვერ იახლა.

„ვითარცა სთვლის ჟამს ადრე მწვანედ მოხასხასე ფოთოლნი გაც-

ვივნულნი და ფერდაკარგულნი მიმოდაიტაცებიან ქარისაგან“, აგრე გაფანტა საწუთრომ კიდით კიდე ქართველნი რუსთა ვრცელ ტრამალებზე, ნოყიერ, უკიდეგანო, მაგრამ უცხო მიწაზე მიმოდაფინნა ისინი ბედის განჩინებამა, თუ მავანთა და მავანთა წინდაუხედაობამა და გაუფრთხილებლობამ. ქართველნი ისე გაბნეულან, ვითარ მიმოდაფინნა ძენი ადამისნი არსთაგამრიგემ, განდევნა რა ისინი ედემიდან. მრუმედ გადმოუხედავს თვითონ ცხოველმყოფელ მნათობსაც სვეგამწარებულთა და უსამშობლოდქცეულთა ზედა. და იტყოდნენ ისინი თურმე გულის საოხად ფსალმუნის სიტყვებს. „სასუმელი ჩვენი ცრემლითა ჩვენითა განვზავეთ“ და ტანჯულ ყოფას ლოცვებითა, ვედრებითა და გულში მჯიღებისცემით იოხებდნენ.

გურამიშვილს, მართალია, არავითარი აკადემია არ დაუმთავრებია, სისტემატური განათლება არ მიუღია და შინაური განათლების ამარად დარჩენილა, მაგრამ „ავსა და შავს“ საწუთროს გადარჩენილი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ცხადყოფს, იგი სათანადოდ ზიარებია ძველსა და მის თანამედროვე სასულიერო, საერო მწერლობასა და ფილოსოფიას. საკმაოდ კარგად სცოდნია ბერძენთა ენა და შეუსწავლია რუსული და უკრაინული ენები. რაც შეეხება თვითონ პოეტისაგან გაცხადებულ „სწავლის სიმოკლეს“, უწვრთნელობასა და „ცოდნა-მცირობას“, ეს სწორედ იმდაგვარი თავმდაბლობის შედეგია, რის გამოც საქართველოში ქართველ ხუროთმოძღვართაგან ნაგები ბევრი ტაძარი, ფრესკა და ოქრომჭედლობის იგავმიუწვდომელი, ნატიფი გემოვნებით ნახელავი ნაკეთობა უავტოროდ არის ჩვენამდე მოღწეული. ანტიკურ ფილოსოფიასა და თეოლოგიაში მისი განსწავლა ეჭვმიუტანელად დასტურდება მისივე ნაწერებით. მას საფუძვლიანად შეუსწავლია ჩვენი საერო მწერლობა და, ალბათ, ამიტომაც სიყრმეშივე უარუყვია ვარდ-ბულბულიანობისა, სპარსული შიქასტებისა და ბაიათების მოტივები. ტოტებნაყარ, ალვასავით ცადატყორცნილ, შტოგანფენილ მარად მწვანე ხშირფოთლოვან და აყვავებულ პოეზიის გურამიშვილისეულ ხეს ნოყიერ ნიადაგში აქვს გაბარჯღული ფესვები. მისი „დავითიანი“ არის სიბრძნის საუნჯე, მისი დახვეწილი გემოვნებისა და განსწავლულობის ძეგლი. მის წიგნს არ ეთქმის კრებული ლექსთა. ესაა სამშობლო ქვეყნისა და პირადი უბედობის გამო ეტრატზე გადატანილი მწარე სიმართლე, გულისმომწყვლელი კაეშანი, ძირმწარე სამსალა, სევდიანი გულის სასოწარკვეთილი დრტვინვა-ღაღადი, უცხოთა კარზე მყოფი პოეტის ჯერ იძულებითი და მერმე ნებსით ავადმოსასმენი ოდისეა, განწირული სულის სასოწარკვეთილი ძახილი ბნელში, მშველელის ამაო ძიება და ხმობა არათვისტომთადმი, ბრმად მოიმედეთა სათხოვნელად გაწვდილი ხელის უსასოო პოტინი, ალაგ ელვასავით გამკრთალი სხივით იმედნეულის გულწრფელი აღფრთოვანება,

მერმე კი ყველაზე და ყველაფერზე ხელჩაქნეულის სასომიხდილი ვაება, გულგატეხილის ყრუ, პირქუში სევდა, განწირულის უსაშველო ყივილი. ცრემლიანი გოდება, ფიზიკური და სულიერი თვითმყოფობისათვის ძალისხმევა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბრძოლა.

სამშობლოს არჩევანის უფლება ჯერ ძეხორციელს არა ჰქონია. არც მე შემეძლო საქართველო ამერჩია სამშობლოდ. მე ჩემსუნებურად დავიბადე ქართული ცის ქვეშ — ქართულ მიწაზე. მე ქართველმა ქალმა მშობა და ქართველმა ძიძამ მაწოვა ძუძუ. ასეთი იყო მამაჩემის სურვილი და განგების ნება, როგორც თვითონ იგი იტყოდა. ჩემთვის არც სჯულის თავისუფალი აღსარების უფლება მოუცია ვინმეს. ქრისტეს რჯული და მცნება ჩემს წინაპრებს უღიარებიათ სახელმწიფო სარწმუნოებად და მე იგი, როგორც წინაპრებისა და მშობლების სარწმუნოება, როგორც იტყვიან, ჩემსუნებურად მივიღე. ქართული სიტყვა, ქართული ენა, ქართული ზნე, ქართული ადათი, ქართული ჰანგი და ქართული სულისკვეთება მე ჩემსუნებურად შევისისხლხორცე და ჩემსუნებურად წარმოვთქვი ქართულად პირველი სიტყვა. შევეჩვიე ქართულ ჰანგებს, შევიძინე ქართული ზნე და როცა თავი ვიცანი, უკვე კარგად ვიცოდი, რომ სისხლითა და ხორცით, სულისკვეთებითა და სჯულითაც, გონებითა და ენით, ერთი სიტყვით, ყველაფრით საქართველოს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ვიყავი. შეიძლება ყველაფერი გამოიცვალოს, მაგრამ მშობლებისა და სამშობლო ქვეყნის გამოცვლა შენს ნებასურვილზე არაა დამოკიდებული, ამისი განჩინება იქ, ზეცაში იწერება და მიწაზე სრულდება, — ასეთია პოეტის შინაგანი მონოლოგი.

ირანისა და თურქეთის ბრძოლას ამიერკავკასიისათვის, რომელიც 125 წელიწადს გაგრძელდა და ერთხანად 1639 წლისათვის დასრულდა, თან მოჰყვა დიდი კულტურის დაღუპვა, ქვეყნების იავარყოფა და საქართველოს გაჩანაგება. გავერანდა ნახნავ-ნათესები, მოიშალა სარწყავი არხები, საირიგაციო ნაგებობანი, აიჩეხა ბაღ-ვენახები, გაიკაფა ხეხილი და ქვეყანა ერთიანად გაპარტახდა. ირანელები ანგრევდნენ, აოხრებდნენ დაპყრობილ ქვეყანას და სპარსეთის შიდა ოლქებში ასახლებდნენ მოსახლეთ, ოსმალები კალოზე ჩაშლილ ძნასავით კევრით ლეწავდნენ ყველასა და ყველაფერს. სპარსელთა და თურქთა გამანადგურებელ ლაშქრობებს ზედ დაერთო მათგანვე ხელგახსნილი მოსყიდული და წაქეზებული ლეკების აღვირახსნილი თარეში. მტრებმა განალაგეს საქართველო, დააბეჩავეს მშრომელი ხალხი, დასცეს განათლება. გარეშე მტრის თარეშს, როგორც ეს საყოველთაოდ ხდება ხოლმე, მოჰყვა შინაამლილობანიც. დაითესა უნდობლობა, ეჭვი, მტრობა და შური, ჩამოვარდა ძმათა შორის შუღლი. გაუტანლობამ გაიდგა ღრმად ფესვები და ქვეყანა ერთიან სასაკლაოდ იქცა. მთავარი უბედურება მაინც

ის იყო, რომ მტრებმა შესძლეს ძმათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება და „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“. რუსეთთან კავშირის იმედს იმხანებში ის მოჰყვა, რომ ზედაველაზე გამართულ ბრძოლაში ქართველთა ჯარი ისევ დამარცხდა და გამარჯვებით გათავხედებული ოსმალთა ურდო ქართლს შეესია.

ქართლ-კახელთა, თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარს გორის ციხეში გამაგრებულ თურქთა ურდოს განადგურება ჰქონდა გულში ამოჭრილი... გორის ციხეში იდგა თურქთა მთავარი ძალა. ზედაველაზე გამართულ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამ ომში ღებულობს ჭაბუკი გურამიშვილი პირველ საბრძოლო ნათლობას. გვინდა ის შავი და საბედისწერო დღე ჟამთა სიავის წყვდიადში როგორმე განვჭვრიტოთ და აღვადგინოთ. 1724 წელი. ზედაველა ქართველთა საომრად შეყრილ ჯარს ძლივს იტევს. „არ იმართვოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევითო“, — გვამცნობს პოეტი. თეთრ ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი ჯიქურ ჩასცქეროდა თვალებში მხედრებს, ვინც წინ უნდა გადაღობებოდა მომხდურთ. მებრძოლები ისე მშვიდად ისხდნენ ცხენებზე, თითქოს დაბლა ჩამოხდებოდნენ თუ არა, გაშლილი სუფრა და გულუხვი მასპინძელი ელოდათ. დავითი დაჟინებით აკვირდებოდა მებრძოლებს, მაგრამ მღელვარების ნიშანწყალი სახეზე არც ერთს არ აჩნდა. თითოეულმა მათგანმა, ალბათ, ძალიან კარგად უწყოდა, რომ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იდგა და შეიძლებოდა შინ ველარასოდეს დაბრუნებულიყო. მაგრამ ისინი ხომ თავის ქვეყანას, თავის ოჯახსა და ცოლ-შვილს იცავდნენ. ალბათ, ეს აკაჟებდათ და ბრძოლის წინ სიმხნევესა და სიმშვიდეს მატებდათ. ხსნის სხვა გზა მათ არ გააჩნდათ. აქ მოუხდათ დუშმანი და რაკი მომხდურთ ძალით უნდოდათ იავარეყოთ ქვეყანა, დაპატრონებოდნენ მათ შვილებს, ქალ-რძალთ, წაერთმიათ ქონება, თავისუფლება, შეეგინებინათ რჯული და მოეოხრებინათ ქვეყანა, მათაც ძალისათვის ძალა უნდა დაეპირისპირებინათ. უხეში ძალა ქცეულიყო უზენაეს მსაჯულად და ახლა ამ უხეში ძალის წინაშე ყველაფერს უკან დაეხია.

ალიონზე დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას, ბუკების გამყივანმა ხმამ და ნაღარის სულში ჩამწვდომმა, გულის შემზარავმა ჟყვიტინმა საომრად აღანთო ქართველნი, თავდავიწყების ექსტაზში შეიყვანა ვაჟკაცები და ახლა ერთი დაძახილი სამშობლოსათვის კმაროდა, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ან მტერს შეჰკვდომოდნენ და ან თვითონ მოესრათ მომხდურნი. ო, რა ხაფი ხმით აკივლებდნენ საყვირებს მებუკენი, რა საზარლად ბღაოდა ნაღარა და რა უწყალოდ სცემდნენ დაფდაფებს მედოლენი!..

დაე, მტრისათვის უფრო გულსაკლავად გაისმოდეს განთიადისას ხმა ნაღარისა და დოლისა! „კახმა ბატონმა მომართა დაფდაფნი დ:

საყვირები“... ეს ხმა ხომ მტრისთვისაა სმენად საშიში, დამზაფრავი და სასოწარმკვეთი. მაშ ხიფათიანი განთიადის ეს ხმა კარგი ამბის მახარობელი ყოფილიყოს ქართველთათვის. დაე, კვლავ გრგვინავდეს ბუკები. დაე, გულის წამღებად ჭყვიტინებდეს და ბღაოდეს ნაღარა, ყველაფერი, ალბათ, სასიკეთოდ გადაწყდება და დამთავრდებაო, — ასე ფიქრობდა ჭაბუკი გურამიშვილი.

მალე შეტევისა დაუკრეს და ქართველ ცხენოსანთა ყიჟინის დაცემა და მტერზე ხმალშემართული მისვლა ერთი იყო. ასეთ გულდაგულ მისვლას ურიცხვი მტერი არ ელოდა. ქართველმა ცხენოსნებმა გადაქელეს მომხდურთა რიგები, ყველაფერი ერთმანეთში აირია, ხმლების ჩახა-ჩუხი, სასწრაფოთა მჭახე ხმა, ვაჟკაცური საომარი შეძახილები, დაჭრილთა კვნესა, გმინვა და მშვილელთა ხმობა. შუადღის შემდეგ ოსმალებმა ციხისაკენ ბრძოლით უკან დახევა იწყეს, ამით გათამამებული ქართველთა ლაშქარი გარს შემოადგა ურუმთ და მათ მთლიანად მოსრვას ლამობდა.

ივლისის წყნარი დღე მდგარა. ბუღი ზანტად მიიზლაზნებოდა თურმე ლურჯად მოკამკამე ცისკენ. რომ ბრძოლის ყიჟინა, ნაღარის ხმა, ხმლების ჩახა-ჩუხი, შეძახილები და დაჭრილთა კვნესა-გოდება არა, ალბათ, ჭრიჭინობელების გაბმული ზუზუნი წაიღებდა ყურთასმენას.

პოეტიც საქართველოს თავისუფლების გუშაგთა ლაშქარშია, ეს ჩანს მის მიერ აღწერილ ბრძოლის ამბების უშუალობიდან, მისი ნაღველიდან, რაც ღალატს გამოუწვევია:

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით:
მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნაღალატევით.

შინა მოღალატენი კი ნამეფარი იესე, ვახტანგ მეექვსის ძმა და დიდი სულხან-საბას ძმა ერასტი ორბელიშვილი ყოფილან. ისინი უძღოდნენ თურმე წინ თურქთა მაშველ ძალებს. დიდად გარჯილან კიდეც თავის თვისტომთა წინააღმდეგ.

ჯერ გამარჯვებული ჯარის და ისიც ოსმალთა ურდოს ველურ თარეშს რაღა ფერების გამუქება დასჭირდებოდა ხატვის დროს და დავით გურამიშვილიც მოკლედ მოსჭრის:

ვაი, იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალო სისხლსა ღვრიდენ,
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა მწირსა თავსა სჭრიდენ,
გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურჰისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ!

შავბნელი წარსულის ერთი უსაზარლესი შავი სურათია გადმოცემული და, ალბათ, სიტყვაც უძლურია ზედაველაზე გამართული ხოცვა-

ქლეტის დასასურათხატებლად. საქართველო სასაკლაოთა და გლოვის ველად უქცევიათ ველურ ოსმალოთ.

ბრძოლის წაგებისა და „ქვეყნის წახდენის“ შემდეგ კალიასავით მოდებული ურდო ვის რა ხეირს დააყრიდა. გურამიშვილებიც აბარგებულან გორისუბნიდან, ნაწილი ავჭალაში დასახლებულა, ნაწილი კი ლამისყანას, ქსნის ხეობაში. ჭაბუკ პოეტს, მართალია, ახლობლებთან ერთად უცხოვრია, მაგრამ დიდად გულნაკლულად ყოფილა:

ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი სხვის ქვეყანასა,
სადაც უხმობენ სახელად ქსნის ხევზე, ლამის-ყანასა.

ქსნის ხეობისთვისვე შეუფარებიათ თავი ურუმთაგან ლტოლვილ კახთა მეფე კონსტანტინეს და მის ამალას. მათზე ადრე ლამისყანისა და ოკამის მიდამოებში სახიზარი ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს უპოვნია. ყოველივე ამის მიზეზი კი ისა ყოფილა, რომ ვიდრე კონსტანტინე — მაჰმად-ყული-ხანი ურუმთ ებრძოდა, კახეთს ლეკები დაჰპატრონებიან და ოსმალთაგან დამარცხებულ კახთბატონს რაკი თავის ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა, ჯერ ქსნის ხეობაში უძებნია თავშესაფარი, ხოლო შემდეგ ფშავში ასულა. დავით გურამიშვილი კი, როგორც კახელი თავადი და ახალბედა მეომარი, ალბათ, კახთა მეფის კონსტანტინეს ჯარში იმყოფებოდა და ჯერ ქსნის ხეობაში ამოჰყოფდა თავს, შანშე ქსნის ერისთავთან თავშეფარებულ კახთ-ბატონთან ერთად და მერე ფშავში, სოფელ თვალივშიც აჰყვა მეფე კონსტანტინესა და მის ამალას. ჩვენი მემატიანენი არას ამბობენ ამის თაობაზე, მაგრამ მათ მაგიერ გურამიშვილი ღაღადებს:

კახმა ბატონმა მიმართა ფშავ-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლშვილით თვალივსა მძლივ ფეხი მოიკიდესა:
რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა ვერც სთესდეს, ვერცა მკიდესა,
რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ღვინოზე ყიდესა.

მშვიდობიანი ტაროსი არც ქსნის ხეობაში მდგარა და ვერც იქ შეხიზნული ვახტანგ მეექვსე დამტკბარა სიმყუდროვითა და მოსვენებით. ლეკთა თარეში ქსნის ხეობაში მომძლავრებული ყოფილა. მოთარეშე ლეკების მოლაშქრეებთან ერთ-ერთი შეტაკებისას ვახტანგ მეფეს ცხენი წაჰქცევია, თვითონაც დაცემულა, მაგრამ უმალ წამომხტარა, უმარჯვნია და ამალის წევრებთან ერთად კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულა. სწორედ ამ დროს გამოუვლია გზად შანშე ქსნის ერისთავის ძისაგან სხვილოს ციხეში წარგზავნილ ათიოდე მხედარს და შეჭირვებაში მყოფი თვისტომნი რომ უნახავთ, იმწამსვე ბრძოლაში გადაშვებულან. როცა მომხდურნი აუკუწავთ, მაშინღა დაინტერესებულან ერთმანეთის ვინაობით. დავითსა და მის თანამგზავრთ მოგვიანებით შეუცვნიათ მებრძოლის უბრალო სამოსში გამოწყობი-

ლი ვახტანგ მეფე, გვირგვინწართმეულ ვახტანგს იმ დროს უკვე მტკიცედ ჰქონია გულში ამოჭრილი სამშობლო ქვეყნიდან დედაწულიანად აყრა და რუსეთს გადასახლება, რაც მისი ამალის წევრთა მისაშველებლად მისულ ჰაბუკათათვისაც კი არ დაუმალავს. „იხილა, რა მეფემან ესე ვითარებანი ქართველთა, იწყო სხვისა განზრახვა“, — წერს მემატიანე. სამშობლო ქვეყნის უბედობით და მის მკვიდრთა გაუტანლობით გულარძნილ გვირგვინოსანს ასეთი სიტყვები დასცდენია: „მართალია, ზოგიერთი წამხდარი კაცის უღირსმა საქციელმა რწმენა შემირყია, მაგრამ ჩვენი ხალხის სულიერი მხნეობისა მწამს, მისი მკვდრეთით აღდგომა და აღორძინება მჯერა, ეს იმედი ჩემს გულში კელაპტარივით ანთია და ჯერაც არ ჩანავლებულა. ხანდახან მაინც მეუფლება საზარელი აზრი და ვფიქრობ, იქნებ ჩვენი დრო მოვჭამეთ, გვძლივა ბინდისფერმა, გაგვირისხდა ზეციერი მეუფე ჩვენი, რისხვით მობრუნდა ჩვენს თავზე შვიდი ცის ბორბალი, დასაღუპავად განვიწირენით და ჩვენი კეთილი წალკოტი ჯოჯოხეთის ყარაჩ ველურებს უნდა დარჩეთ-მეთქი. ხალხის შესაგვანნი მაინც რომ იყვნენ, კიდევ ჰო, მაგათი წვრილმანი ჩარჩ-ვაჭრული სული ისე ვერ მოისვენებს, თუ მავანთა და მავანთა კარდაკარ არ იწანწალეს, ცასა და ქვეყანას თავი არ შეაბეზრეს, თავიანთი თითლიბაზობით ვინმე არ დაატყუეს, მოაღორეს, აცთუნეს... მერე სულ ყველაფერი რომ ზედაპირული და მოჩვენებითი აქვთ: მოშურნენი, ურცხვნი, გაუტანელნი, წამსისიანებელნი, ლიზღნი, დამსმენნი, ლაჩარნი, ვერაგნი და უტიფარნი, ყოველგვარ ნიჭთა სამამაკაცოთა მოკლებულნი და მუდამ სხვისი იმედით მოქმედნი. აი, ამდაგვარი მეზობლებით გარშემორტყმულებმა ანკი როგორ გავუძელით მოძალებულ გაალმასებულ მტრებსა და ჟამთა სიავეს? რამ გადაგვარჩინა, რომ აქამდე არ გადაგვიხმა ხე ცხოვრებისა? რამ შეგვანარჩუნებინა ჩვენი შეობა, რამ აგვატანინა დარდი და ნაღველი. ჩვენი მიწა ხომ დასაბამიდანვე სისხლის წვიმებით ირწყვოდა, იცვლებოდნენ თაობები, მონაცვლეობდნენ გარეშე მტრები, მაგრამ ჩვენი ხალხისთვის ამ მონაცვლეობას სასიკეთო არა მოუტანია რა. ქართველთათვის დარი არასოდეს დამდგარა, ჩვენ ზევით ცა მუდამ მოქუფრულ-მოქურუხებული ყოფილა. მტრები ჩვენს დაღვრილ სისხლში, როგორც ემბაზში, ისე ბანაობდნენ, ჩვენივე ჭრილობებიდან მოთქრიალე სისხლის მდინარეებით გვიქადდნენ წალეკვას, ჩვენივე დათხეული წმიდა სისხლის მორევში გვიპირებდნენ ჩახრჩობას ათასი ჯურისა და ჯილაგის გადამთიელნი. განათლებული კაცობრიობა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად გვთვლიდა და არ ვიცი, ასე უღვთოდ რად გავიწირენით. რატომ შემოგვადგა გარს შინაური და გარეშე, ყველამ და ყველაფერმა ჩვენდა სამტროდ რად მოიცალა? რა დავუშავეთ მუჰამედს, რომ განუწყვეტლივ გვიგზავნიდა მისდამი ფანატიკური რწმენით აღსავსე, დაუნდობელ

ჯალათებს და ჩვენს ქვეყანას აპარტახებინებდა? რით ვერ დავიმსახურეთ ჩვენი სათაყვანებელი მაცხოვრის სიყვარული, რომ მწყდა და ფარად არ მოგვევლინა? ჩვენმა ხალხმა ხომ სიყვარულიცა და სიძულვილიც პირდაპირ გაცხადებული იცის. არავისათვის არაფერი წაგვირთმევია, არავინ დაგვიჩაგრავს, არავინ ხელგვიყვია! თუ სამოწყალოდ შეგვიკედლებია ვინმე, ჩვენს მიწაზე დაგვისახლებია, ჩვენი სარჩოსაბადებელი გვიწილადებია, ნუთუ ამ სიკეთისათვის უნდა ბოროტი მოგვაგონ, გაგვყიდონ, გვიღალატონ, გვიმუხთლონ... აი, ჩემთვის ამოუხსნელი დილემები... რამდენი ღამე მითევია აქ და ქირმანში თეთრად, მაგრამ ამ საჭირბოროტო კითხვებზე სწორი პასუხი ვერა და ვერ ვიპოვე. თქვენ გაგანდეთ ჩემთვის ამოუცნობ და უპასუხოდ დარჩენილ, ძნელად გასაბრჭობ საკითხთა რიგი და ვითარცა სამშობლოში დამრჩომ ჭაბუკთ შეჰფერის, მათზე პასუხის გაცემაც თქვენ უნდა ითაოთ. თუ ჩვენს სატკივარს სწორ აქიმობას გაუწევთ და ქვეყნის სნეულ სხეულს ღირსეულ მკურნალებად მოევლინებით, ბარაქალა თქვენ! შთამომავლობაც დაგლოცავთ და მეც წინასწარ დამილოცნიხართ!“ — ეს უთქვამს მეფეს და მსმენელთათვის პირი მოურიდებია, რომ მის თვალთაგან მონაჟური ცრემლი არ შეენიშნათ. იგი ერთხანობას წასასვლელად მომზადებულა, გარნა თვითონვე დაყოვნებულა და წამოწყებული მონოლოგი ბოლომდე მიუყვანია: „ამქვეყნად კაცნი ტანჯვისათვის დაბადებულან. ყოველი ადამიანი მოწამებრივი სიკვდილით დაივანებს ხოლმე მუდმივ სამყოფელში, ყველა მტვრადა და მიწად იქცევა, მაგრამ ჩვენ ცნობიერებაში მხოლოდ რჩეულ ადამიანთა ცხოვრება ტოვებს თავის ღრმა კვალს, აი, ისინი, ვისზეც წერდნენ და ისინი, ვინც თავის ცხოვრებაზე თვითონვე მოგვითხრო. სოფლის ამაობაზე, კაცთა სვეზე, უიმედო ყოფაზე, ბედნავს სიყვარულზე, უაზროდ დაღვრილ სისხლზე, უდროოდ დამჭკნარ, გასაშლელად აფეთქებულ, მშვენიერ ყვავილებზე, კაცობრიულ სევდაზე, ბოროტისა და კეთილის საწყისზე, უნაყოფოდ დანთქმულ და უძეოდ გადაგებულ თაობებსა და ხალხებზე, აი, რა ყოფილა და რა იქნება მიწყივ ჭეშმარიტ პიიტიკოსთა, მოქანდაკეთა და მხატვართა შთაგონების მკვებავი უშრეტი წყარო და დიდრონი მხატვრული ტილოების შექმნის დაუსაბამო მიზეზი და საბაბი. თორემ სიამეზე, რაც ერთის წამითაა, დაწერილი და შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებნი ისევე წამიერად ცხოვრობენ ამქვეყნად და ისევე სწრაფად ქრებიან, როგორც სიხარული. ადამიანთა მოდგმას მხოლოდ იმათი სიყვარული ახსოვს, ვინც ამ მტანჯველ, ნარეკლით მოფენილ გზაზე მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა. ტანჯული ქვეყანა, მტანჯველი გზა, მტანჯველი გრძნობა, ადამიანის ხელითვე დათესილი და მომკილი სიკვდილი, მდინარეებად დაღვრილ სისხლზე გოდება, ტანჯვა-ვაება, დასაღვრელი სისხლის წინაშე თრთოლვა, ძრწო-

ლა, შიში და კაეშანი. აი, რა უშფოთებს გონებას კაცობრიობას. თაობები გმობენ და შეაჩვენებენ ხოლმე უაზროდ დაღვრილი სისხლის მთესველთ, გარნა იმ მგმობელთა, სხვათა გამკიცხავთა და შემაჩვენებელთა შორისვე აღჩნდებიან ხოლმე ნაკადულებად დაღვრილი სისხლისა და კაცთა ხოცვა-ჟლეტით სახელგანთქმულთა მეხოტბენი: რამზესს, ჰანიბალს, ალექსანდრეს, სულას, იულიუსს, პომპეუსს, თემურ-ლენგსა და შაჰ-აბაზს იქნებ ცხოვრების გარიჟრაჟზე სხვა მიდრეკილებები ჰქონდათ, მაგრამ დიდების შარავანდედი და ცათასწორის მქუხარე სახელები ხალხების ხოცვა-ჟლეტით მოიპოვეს. მერე ხომ აღმოჩნდნენ მეცნიერნი და მწერლები, რომელთაც იმათი სახელები დიდების შარავანდით შემოსეს? დიდება და სახელი კი მით უფრო დიდია, რაც მეტი სისხლია დაღვრილი, მეტია ტყვედწასხმული, მეტია დავლა და ალაფი. ჰომეროსიდანა და ვერგილიუსიდან მოყოლებული მწერლების მიერ, ყველაზე მეტად ისინი არიან ხოტბაშესხმულნი, განდიდებულნი, შექებულნი და ამაღლებულნი, ვინც სხვებისაგან ხმლის ფხიანობით, საომარი ხრიკებით, საზრიანობით, ვაჟკაცური მხარ-მკლავებით, გულოვნობით, მამაცობით, არაჩვეულებრივი ძალ-ღონით და სხვა ამდაგვარ ბრძოლაში საჭირო თვისებებით გამოირჩეოდა და გამოირჩევა. რა უკეთებიათ ამ ხოტბაშესხმულ გმირებს თავიანთი საზრიანობით? მათი გონება ტროადის ცხენის მსგავსი გამოგონებებით ყოფილა მიწყივ დაკავებული. მათი საზრუნავი მუდამ ის ყოფილა, პირდაპირი იერიშით შეელეწათ სამშობლოს დამცველთა ციხის ბჭენი, ან შიგ ათასგვარი ხრიკებით შეელწიათ. გარს შემოწყობოდნენ ციხეს თუ ალყით გაეტეხათ. მათ ნიადაგ იმაზე უფიქრიათ, თუ ცრუ დაპირებებით როგორ ეცთუნებინათ მეციხოვნენი და მოპირდაპირის ცხენოსანი, თუ ქვეითად მებრძოლი მოლაშქრენი და, ვინც ყველაზე უკეთ ახერხებდა ციხის აღებას, მოწინააღმდეგის მოტყუებას და ხალხის შემუსვრას, მუტრიბნი და მომღერალნიც იმათზე იმღეროდნენ სახოტბო სიმღერებს, მათზევე ითხზვებოდა ხალხური ლექსები და მწერლებიც მათ აქებდნენ და ადიდებდნენ.

ასე დათესილა ამ ქვეყნად აურაცხელი სიკვდილი, ასე დაღვრილა აურაცხელი სისხლი... უგლოვიათ თაობებს და განუზომელი ყოფილა მათი სევდა და კაეშანი...

სიხარული კი ერთის წამითაა. ეტყობა, ადამიანს არც ძალუძს დიდხანს მხიარულება. ადამის მოდგმას ბოლოკეთილ სიყვარულზე და სიხარულზე დაწერილი წიგნები ჭკუამსუბუქ კაცთა ქმნილებებად მიაჩნია. ჩანს, ჩვენს მოდგმას თანდაყოლილი აქვს მძაფრი განცდებისადმი შინაგანი ლტოლვა. ეს ძალიან კარგად უგრძვნიათ ძველ რომაელთა და თვისტომთა პოლიტიკისაგან ჩამოშორებისა და ხალხში სახელის მოხვეჭის მიზნით, ტყვედწასხმულთ ასპარეზზე ხან მხეცებთან აბრძო-

ლებდნენ და ხანაც ერთმანეთს ახოცვინებდნენ უწყალოდ. ბევრი რამაა ამ ქვეყნად გამოვლენილი და მუგუზალივით ნაცარში ღრმად დაფარული ბევრი ბოროტებაც იმალვის. მაგრამ კეთილი საწყისი არსებობს და ხსნისაკენ მავალ მტანჯველ აღმართზე ხალხს ეს ნუგეშიღა ასულდგმულებს.“ — ეს უთქვამს მეფეს, გარინდებულა და თავი ფიქრებისათვის მიუცია. მხლებელთ გვირგვინმიღებულ ვახტანგისათვის ცხენი მიუგვრიათ. იგი დარბაისლურად ამხედრებულა ბედაურზე და სმენადქცეულ მოყმეთ უმალ განრიდებიათ.

ვახტანგის აყრისა და ქართლიდან გასვლის შემდეგ შინააშლილობის, არეულობის, უთავბოლობისა და ღალატის ცეცხლი ახალი ძალით გაღვივებულა, თუმცა გადახვეწილი მეფის ნაცვლად სარბიელზე სამოქმედოდ სხვანი გამოსულან. ზედაველაზე გამართული სისხლიანი ამბების შემდეგ მთელი თორმეტი წელი ქართლ-კახეთი ხომ ოსმალთა უღელქვეშ გმინავდა. ოსმალთა თარეშს ზედ დართვია ლეკთა მარბიელი ლაშქრის გახშირებული თავდასხმები. კაცი კარში ვერ გავიდოდა უიარაღოდ, სახლში ვერ დაიძინებდა გულმშვიდად, სახნავ-სათიბში, მკასა და ლეწვისას მუდამ იარაღასხმული უვლიათ, ვისაც სარჩო-საბადებელი ჰქონია, გამოქვაბულებსა და ციხე-სიმაგრეებში შეხიზნულან. დაუგდიათ სოფლები უკაცურად. უკაცური კი ყველაფერი ეშმაკისაა! თავს ენგრეოდათ თურმე სახლკარი, გადაშენებულა წალკოტივით მოვლილი ბაღ-ვენახები და ბაღჩა-ბაღებს ასკილი და ჭინჭარი შოსდებია. იმ შავბნელი დროის სახსოვარია ჩვენი ნაღვლიანი ლექსიკონი: ნასახლარი, ნაწისქვილარი, ნაყანევი, ნავენახარი, პარტახი, ნაფუძარი...

მრავალი ხალხური ლექსი და ლეგენდასავით ამბავი შემორჩენილა ქართლ-კახეთში ლეკთა თარეშის იმ ავი დროის მოსაგონებლად. მოთარეშე ავაზაკნი სოფლებში იჭრებოდნენ, უწყალოდ ჟლეტდნენ მოხუცთ, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ იტაცებდნენ, მიჰქონდათ ვაი-ვაგლახით მოყვანილი ჭირნახული, მიჰყავდათ ტყვეები და ვერანდებოდა ირგვლივ ყოველი.

იმ ტყვეთა შორის საზარელი ბედის წყალობით, ვინ იცის, რამდენჯერ, და რამდენი გენიის პირმშოც მოხვედრილა, მაგრამ მტაცებელნი რას დაგიდევდნენ პოეზიას, მეცნიერებასა და ხელოვნებას! მათთვის თითოეული ტყვე იყო ნაალაფევი დავლა და ისინი პატრონებისათვის რაც შეიძლება ძვირად უნდა შეესყიდვინებინათ, ანდა ალეპოში ბაზარზე პირუტყვივით გაეყვანათ და გაეყიდათ.

ჭაბუკი პოეტი ლამისყანაში დამკვიდრებულა ნათესავებთან. ობლად დარჩენილი ქვეყნის ბედზე გულდამწვარ ჭირისუფალს, აქ უნამია ცრემლი, სულის საოხად, და როცა შეუტყვია, რომ რუსეთს გახიზნულმა გვირგვინოსანმა თან იახლაო ცოლ-შვილი, მახლობლები, დიდკა-

ცობა, ქვეყნის ბურჯად ნაგულვები მთელი სამეფო ამალა, ორი ათასამდე კაცი ხმლისა და კალმის მფლობელნი, მწერალ-მწიგნობარნი, მეცნიერნი და სახელმწიფო საქმეთა სამართლით გამგებელნი, გულმდუღარედ ამოუთქვამს:

წალმა მბრუნავმა დროჟამმა უკუღმა შექნა ტრიალი,
ფრთა მოჰკრა ქართლსა, კახეთსა, შეაქნევინა ხრტიალი:
მამლები ტურამ დაჭამა, დედლები დარჩა ტიალი,
მიდგა ყოვი და ყორანი, დააწყებინა წკრტიალი.

ვახტანგ მეექვსის აყრა და რუსეთს გადასახლება, მართალია, იძულებით მოხდა, მაგრამ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი, გაქცევა და ხალხისა და ქვეყნის მიტოვება ბედის ანაბარა!

ისეთი განათლებული და სწავლული მონარქისაგან, როგორიც ვახტანგ მეექვსე იყო, დავით გურამიშვილი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში მოელოდა სასწაულებს. სინამდვილემ კი თავში კეტივით დასცა, ჯერ ძმათამკვლელი ომი და მერე საჭისმპყრობელი გვირგვინოსნისაგან სრულიად წინდაუხედავი და მოუფიქრებელი ნაბიჯი — ქვეყნიდან აყრა და უცხოთა კარზე სამოწყალოდ წაბრძანება. აუხდენელმა ოცნებებმა, განუხორციელებელმა იდეალებმა და დაწუხვრეულმა იმედებმა ერთიანად დაცალეწა ჰაბუკის ილუზიები და მეშვიდე ცაზე აფრენილი, ლაჟვარდში ოცნებებით მონავარდე, გონებაგანხმულ პოეტს უფრო ძალუმად განაცდევინა თავისი ქვეყნისა და ხალხის ტრაგედია.

ქართლის მეფისაგან ქვეყნის წინდაუხედავად მიტოვებამ დავითს თავისი სულიერი მოძღვრის პავლე მღვდლის დამოძღვრა გაახსენა: „არ არის ამ ქვეყნად წყლული და სატკივარი, რომ თავისი წამალი არა ჰქონდეს, მხოლოდ მეფეთა თვითნებობასა და ხუშტურთანაა უძლური ყველა მალამო, შეგონება და საფენი“.

საქართველოს გამგებლად ოსმალებს ვინმე ისაყ-ფაშა დაუსვამთ. მასაც, როგორც ეს ტირანთა წესია, ერთმანეთისათვის წაუსისიანებია ძმები და დაწყებულა ქვეყნის დამღუპველი კინკლაობა.

ქვეყანაში ოსმალთა ურდოს დაუნდობელ, უწყალო პარპაშზე იასე ტლაშაძეც [1] ასე გულსაკლავად მოთქვამს: „აღარ მოვიდა ქართლში მზე, აივსო ღრუბლით, ნისლითა, ურუმნი ხელსა იბანენ ქართველებისა სისხლითა“.

---

1 ეს ის იესე ტლაშაძეა, რომელიც რუსეთს გაჰყვა მეფე ვახტანგს, მერე თავისი ნებით წამოვიდა ისევ სამშობლოში და სტამბოლს ახლდა კათალიკოს დომენტის. პოეზიაში იგი რუსთველის მიმბაძველია, შექმნა საისტორიო პოემა „კათალიკოსბაქარიანი“.

მომხდურ გადამთიელთა ავკაცობის მოლოდინით გაბეზრებული გურამიშვილების ოჯახი სწორედ ამიტომ გადასულა ლამისყანას, ქსნის ხეობაში.

ომან ხერხეულიძე (მდივან-ბეგი) „საქართველოს ცხოვრებაში“ ასე აგვიწერს სამშობლო ქვეყნის სავალალო ყოფას: „წელსა 1724 მეფე ვახტანგ და ბაქარ წავიდნენ რუსეთს, წელსა 1725 ძმა მეფისა ვახტანგისა მეფე იესე გამაჰმადიანდა (იგულისხმება ოსმალთა სჯულზე გადასვლა ე. მ.) და კვალად მისცეს ოსმალთა მეფობა ქართლისა. გარნა არა იგი აუფლეს ნებისაებრ თვისისა და მოკვდა იესე წელსა 1733-ს.

ამასვე წელსა კახთა მეფეს მაჰმად-ყული-ხანს უღალატეს ოსმალთა და მოკლეს სამზირალში და მრავალნი თავადნი და გლეხნი მოსწყვიტეს მის-თანა. გარნა კახეთი ვერა ნებისაებრ თვისისა დაიპყრეს და მაშინ მოინდვეს ძმა კახთა-მეფისა მაჰმად ყული-ხანისა თეიმურაზ და მისცეს მეფობა კახეთსა, ვინაიდგან ნებავდათ დაპყრობაცა კახეთისა, მსგავსად ქართლისა“.

როგორი იყო ვახტანგ მეექვსის რუსეთს გადახვეწისას პოლიტიკური ფონი თვით რუსეთში? პეტრე პირველი არც დახმარებას ესწრაფოდა და თავისი ქვეყნიდან ლტოლვილ გვირგვინოსნისათვის სატახტო ქალაქში შესასვლელი კარის ბჭენიც საიმედოდ დაგმანა. პეტრემ კარგად უწყოდა, რომ ამდენი ხალხის მასპინძლობა გაურკვეველი ვადით მძიმე ტვირთად დააწვებოდა ხაზინას. ასტრახანის გუბერნატორმა ვოლინსკიმ ვახტანგს პეტერბურგში შესასვლელი ვიზა სამეფო კარის უკითხავად აღუთქვა. პეტრე პირველი აღუშფოთებია ვოლინსკის მიერ თვითნებურად გაცემულ ნებართვას და უთქვამს: „მართალია, გასაჭირშია, მაგრამ სიამაყეს არ სტოვებს და მეფურ პრეტენზიებს აცხადებსო“. პეტრე დიდი ასე ვარაუდობდა: „სადმე სოლაღში დავასახლებ ამალიანად, თან საზღვარს გაამაგრებენ და თავსაც თვითონვე მოუვლიანო“. მართალია, სატახტოში შესვლის ნებართვა მიცემული იყო, მაგრამ ქართველები პეტერბურგის ხილვას ვერ ეღირსნენ და მოსკოვს დაესახლნენ. რუსეთის სამეფო ხაზინა მთელი ათი წელი კვებავდა თავისი ქვეყნიდან ლტოლვილ ქართველთ, თუმცა ამ წყალობას მათ საცმაოდ აშკარად ამადლიდა. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ აქ ქრისტიანული სათნოება და ღვთისმოსაობა არაფერ შუაშია. მეფის რუსეთი იმედოვნებდა, რომ სპარსეთთან გამართულ დიპლომატიურ და სამხედრო პაექრობაში ვახტანგ მეფეს წარმატებით გამოიყენებდა. მაგრამ სპარსეთის ცის ტატნობზე ნადირ-შაჰის ელვისებურმა აღზევებამ ყველას ნაცარში ჩაუგდო კოვზი და პირჩალაგამოვლებულნი დასტოვა. ამ ამბავმა კი ერთხელ კიდევ შეატრიალა ჩარხუკუღმა ივერთა ქვეყნის მეფის ბედის ეტლი.

ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, პოეტი ლამისყანაში

ეზიარა სიყვარულის ციურ სიამეს. აქვე დაიდგა ოჯახური ურთიერთობის ჯერ საოცნებო, გარნა მსწრაფლ მოსაბეზრებელი და მძიმე უღელი. პოეტის გამიჯნურების ამბავს ზოგიერთნი პლატონურ-ზეციურ საბურველში ჰხვევენ. ზოგიერთი სულაც გვერდს უვლის, დუმილს ამჯობინებს და არას გვაუწყებს. ასახელებენ მისი თავდავიწყებული სიყვარულის საგანსაც — აზნაურ გარაყანიძეთა ასულს, რომელზეც თითქოს დავითმა თექვსმეტი წლისამ დაიწერა ჯვარი.

გადაჭრით შეიძლება მხოლოდ ერთი რამ ითქვას; გურამიშვილი ადამიანია ზეციური მადლით ცხებული, გონებით, ნიჭით, ნაკლითა და ღირსებით. მას უყვარდა, სძულდა, განუცდია მარცხიცა და წარმატებაც, სიყვარულიცა და ერთგულებაც. იგი ყოველგვარი იგავების გარეშე ლაპარაკობს თავის ახალგაზრდულ ვნებებზე, არაერთხელ იგონებს მათ და ცხოველად გულზე დაჩნეულ განცდათა გახსენებით კვლავ სიამეს განიცდის:

როცა დავკაცდი, ჭკვას მაშინ შავცდი,
ლამაზ ქალს შავზვდი, მიჯნურად გავხდი...

ღრმად მორწმუნე ღვთისმოსავისაგან, როგორადაც გურამიშვილს ზოგიერთი მკვლევარი გვიხატავს, მეტი რაღა აღიარებაა საჭირო? სასიყვარულო ეპიზოდით პოეტი მხოლოდ თავის ცოდვას იხსენებს, თორემ რამდენი მსგავსი სასიყვარულო სათავგადასავლო ამბავი დაკარგულა სამუდამოდ, ვინ იცის?

ძნელი და თითქმის შეუძლებელია დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცეს, როდის მოხდა ეს ამბავი, სად მოხდა, ვისთან და როგორ, არც ის ჩანს მთლად გარკვევით, როდინდელი ამბავია, რომ ჩივის: „მყავს მოვახშენი, თავში წამშენი“. საქართველოში ჩამომდგარი დიდი და უსაშველო ღამის სიბნელის გასანათებლად მოცრიატე სხივები არა კმარა. აქ უფსკრულები სჭარბობს სავალ ბილიკებს და ჯერჯერობით ბევრი რამ უკუნითაა მოცული. ერთი კი ცხადია: ერთი ბილიკი ლამისყანიდან იწყება: ირტოზის მთების ძირზე გაივლის, მჭადიჯვარაზე გაივაკებს, ბერთა მთასა და ნაოზას შემოგარენზე ცისარტყელასავით გაიკლაკნება, არაგვამდე მიაღწევს, იქ უკვალოდ გაქრება, მაგრამ ვერცხლისფრად მოლაპლაპე მდინარის გაღმა ისევ აღჩნდება კვალი. ნაკვალევი ჭოპორტისა და ზედაზნის მთებზეც აშკარად ატყვია, ერწოსა და თუშეთის სამხრეთით გაივლის და დროებით დაღესტანში, უნცუქულში დამთავრდება. მერე კვალზე მიყოლა კავკასიონთან მიგვიყვანს, იქიდან რუსეთს, უკრაინას, ყირიმსა, ფინეთსა და პრუსიას მოივლის, ისევ უკრაინაში მირგოროდს ბრუნდება და იქ წყდება...

ბურუსითაა მოცული გურამიშვილის ცხოვრების გაზაფხულის ამბავი. სამშობლოს უბედურება ნისლად დაეფარა მისი რჩეული შვილის

ბავშვობას, ყრმობასა და სიჭაბუკეს. დავითისაგან ხსენებული ისუ ზირაქიც ხომ ამასვე გვიდასტურებს: „ვითარცა ნისლმა დავფარე ქვეყანაი“.

ლეკების ტყვე

„ნადირობით მომმინადირესმე, ვითარცა ფრინველი. მტერთა ჩემთა“.

გოლება იერემიასი

იწყება დრამის მეორე მოქმედება. შემთხვევით არ აყენებს პატრიოტი პოეტი ერთ სიბრტყეზე ქვეყნის წახდენასა და პირად ძნელბედობას. ნგრევას თან სდევს მისი პირადი ცხოვრების ტრაგიკული, არანაკლებ ზაფრის დამცემი და გულსაკლავი ამბავი — დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევება.

ვაი იმ დღისა დამსწრებსა! აწ სათქმელათაც ძნელია,
კაცთაგან თვისი აუგი საზარლად საუბნელია!
ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია...

ლამისყანაა ის სოფელი, საიდანაც გაიტაცეს დავითი, სწორედ ამ სოფლიდან იწყება მისი ცხოვრების ეკლიანი გზა. გამტაცებლებს რომ მსხვერპლის ნამდვილი ფასი სცოდნოდათ, უფრო მაგრად გაბაწრავდნენ, უფრო ერთგულად უდარაჯებდნენ და გაქცევის საშუალებას კი არა, მასზე ოცნებასაც მოუსპობდნენ.

ქვეყნის წახდენის მიზეზით დავითიც ძნელბედობის ვიწრო, მოლიპულ ბილიკებს მიჰყვება და ნათესავებთან აფარებს თავს ლამისყანაში. მუხთალი საწუთრო კი არც ამ დამადლებული ლუკმის ჭამას დააცლის, ულმობელ კლანჭს მუხანათურად გამოჰკრავს და დაღესტნის გრილ მიწაში ცოცხლად დამარხავს. საწუთროს განჩინებას და მწარე ხვედრს დავითი ისუ ზირაქის სიბრძნის მეოხებით იიოლებს: „მწარედ ცხოვრებაი არს სახლითი-სახლად სლვაი“.

ცხოვრებით დაბრძენებული პოეტი მაინც ეპიური სიმშვიდით იწყებს თავისი ცხოვრების ამბის თხრობას:

მო, ყური მიგდე, მოგითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა,
ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი სხვის ქვეყანასა,
სადაც უხმობენ სახელად ქსნის თავზედ, ლამის-ყანასა.
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებდით ყანასა.

იმ უბედურ დღეს დავითი ალიონზე ამდგარა და ქსნის ხოდაბუნებისაკენ ორი კაცის თანხლებით წასულა, რათა მამითადი წესისამებრ

„ძროხით, ცხვრითა და ღორით“ გადაეხადა. ყანის მკელები შორიდან ყოფილან მოსასვლელნი და მათ მოლოდინში ცივი წყლით პირის დასაბანად და გასაგრილებლად დავითი წყაროსთან მისულა. თოფი და ხმალი მუხის ძირას მიუყუდებია და როცა დახრილს პეშვები წყლით აუვსია, თავს ადრევე მზირად დამსხდარი ლეკები წარსდგომიან. წყარო, საიდანაც დავითი გაიტაცეს, დღესაც მოჩუხჩუხებს. ჟამთა სიავეს გადარჩენილი რამდენიმე მუხა დღესაც იხილება წამლად წყაროს შემოგარენში, მაგრამ ის ხშირი ტყე, რომელსაც გურამიშვილი ახსენებს და რომელშიც მზირად დამსხდარი ლეკები როგორც საფარში, ისე უვნებლად გრძნობდნენ თავს, გაუკაფავთ, ან დროის მსახვრალ ხელს გაუმეჩხერებია, მზეს მიწა გამოუშრია და ხშირი მუხნარი პირისაგან მიწისა აღგვილა.

დავითის მონათხრობი ამბიდან ისიც ირკვევა, რომ მის მოყვარეს იმ ძნელბედობის ჟამსაც კი ჰქონია ცოტა რამ შერჩენილი, თუკი ყანის მკელებს მამითადში „ძროხით, ცხვრით, ღორითა და ღვინით“ უმასპინძლებიათ.

დარანში გატვრენილი თევზებივით უხმოდ მსხდარ, სუნთქვაშეკრულ მზირებს რა უხილავთ ძვირფას თოფ-იარაღასხმული, კარგად ჩაცმულ-დახურული ჭაბუკი დავითი (გურამიშვილი ხომ თვითონ გვიმოწმებს, რომ მისი მამა-პაპანი და ქალ-რძალნი სამეფოს კარზე ლხინსა თუ ჭირში ძვირფას ქათიბებში გამოწყობილნი და მოსირმულ-მოკაზმულნი დადიოდნენ), მარტო მისი შეპყრობა მოუწადინებიათ და ის ორნი კი, ვინც იმ უთენია დილას თან ახლდნენ დავითს, აღარც პოეტის მონათხრობში ჩანან სადმე და არც თანამედროვეთ შემოუნახავთ რაიმე ცნობა მათ ვინაობასა და ასავალ-დასავალზე.

მუნ ახლოს წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდნენ თხუთმეტი კაცი მზირადო!
ავიხსენ თოფი და ხმალი, მივყუდე მუხის ძირადო,
იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო.

ჩასაფრებული ავაზაკები იარაღ-აყრილ, უმწეო მსხვერპლს იმაზე კარგ დროს ვეღარ შეურჩევდნენ, როცა წყაროზე პირს იბანდა. ისინი უეცრად საფარიდან გამოცვივდნენ, დავითი შებოჭეს და უნცუქულისაკენ ქმნეს პირი. ძვირფასი ტყვის გამტაცებლები, რაღა თქმა უნდა, ტყე-ტყე ვიდოდნენ.

ჯერ მოშრიალე ხენი მიეფარნენ თვალთ, მერე წიწოვანიც მოთავდა და უნცუქულის მიდამოებს რომ მიუახლოვდნენ, გზა უფრო ძნელად სავალი შეიქმნა. მხრებგაკრულ ტყვეს აღარც მაცოცხლებელი მთის ნიავი ესალბუნა, ვეღარც უღრუბლო, ლურჯად მოკამკამე ცამ მოსწყვიტა მზერა. ენით უთქმელი მშვენიერი ბუნებისადმი იგი გულ-

გრილი დარჩა მაშინაც, როცა ახლად ამოსულმა მნათობმა თოვლით დაფარული მთათა გრეხილი სხვადასხვაფრად ააელვარა.

თვალისმომჭრელი შუქ-ჩრდილები მოსდებოდა მთათა მწვერვალებს და ფერთა უთვალავ სიუხვეში ჩაიკარგა კავკასიონის ქედების უწყვეტი ჯაჭვი. ველური ყვავილები, მწვანედ მოხასხასე მთის ძირები რომ სპარსულ ხალიჩასავით მიეჭარგ-მოეჭარგათ და სხვადასხვაფრად აელვარებდნენ მთათა ფერდობებს, სხვა დროს, ალბათ, სულს წარსტაცებდნენ, ცად აღაფრენდნენ და მუზათა საუფლოში გადასტყორცნიდნენ. ტყვეჭმნილის სულს კი აღარც ყვავილთა ჯარის კეთილსურნელოვანი ფშვა ესალბუნებოდა და ვერც მრავალფრად გასხივოსნებული მთები სტაცებდნენ მზერას. მას არც მწვანით მოსილი მთების ფერდობებზე ყვითლად მობრიალე ველური ზამბახები შეუნიშნავს, რადგან „მუდამად თვალთა ნაკადი მდუღარე ცრემლი სდიოდა“. მარადიული თოვლით დაფარული, მზისაგან სხვადასხვაფრად გასხივოსნებულ მთათა არილი, ცხოველმყოფელი მნათობის მეწამულ ფერთა კაშკაში, მოსარკული ცის ლურჯად კამკამი, მწვანედ მოხასხასე მთათა ფერდობების ბრწყინვა, ნიავისაგან მოლივლივე ველურ ყვავილთა ჯარის ათასფრად ჭიატი და ელვა მის ცნობიერებაზე თავის გავლენას ვეღარ ახდენდა. დავითისათვის ყველასა და ყველაფერს დაეკარგა ფასი, ყველა და ყველაფერი უიმედობის ჯანღსა და ბურუსში ჩანთქმულიყო. გონებას რაღაც ნისლი შემოსწოლოდა, ჩვეულებრივი გამჭრიახობა ამ ჰაეროვან სქელ ბურუსში ჩაძირულიყო და ვეღარ ატანდა. იწყებოდა დაღესტნის მიუვალი ჭიუხები, მარადიული თოვლით დაფარული, თვალშეუდგამი მთები, ლეკეთის ბუნებრივი ჯადო-საფარი, მათი თავისუფლების ამაყი დამცველი, ბასტიონი და ბურჯი.

შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდვეს გენია,
გადმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია,
მუდამად თვალთა ნაკადი მდუღარე ცრემლი მდენია,
მაჭამეს დუმა და ხალი, მახვრიტეს ხინკლის წვენია.

საკუთარი უძლურების გამო დვრინავს პოეტი და დუმას ვინღა ჩიოდა, თუმცა მაძღრივ ჰქონოდა! დრო იყო ავი და შავი, ადამიანზე ნადირობა, მისი შეპყრობა, ტყვედ გაყიდვა და ამით სახელისა და ფულის შოვნა კავკასიის მთიელთა ზოგიერთ ტომებში სასახელო საქმედ ითვლებოდა და ამის გამო ასეთ სათაკილო ხელობას ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ვისაც მკლავი უჭრიდა, ძალა მოსდევდა, გული ერჩოდა და ნამდვილი ჯიგიტის სახელი ენატრებოდა, რამდენიმე თავზეხელაღებულ კაცს აიყოლიებდა, პატარა რაზმს შეადგენდა და თავს რისხვად ატყდებოდა მოძმეთა და ახლო მეზობლებს. ერთი ასეთი რაზმის მსხვერპლი შეიქმნა დავით გურამიშვილიც. ჩვენ არ ვიცით, რამდენი შიმშილი, წყურვილი



„შემიპყრეს, წამომიყვანეს...“

და დამცირება გადაიტანა ტყვედქმნილმა გზაში, ვიდრე ადამიანებზე მონადირენი უნცუქულში ჩაიყვანდნენ: „ვაი, რად დარჩი ცოცხალი, შენ, თაო, ჩასაქოლოდა!“ ვალალებს და გოდებს პოეტი მრავალი წლის შემდეგაც, თორემ მაშინ საკუთარი თავის გამოტირებისა და ალკუმინვის თავი სად ექნებოდა! ეტყობა, მისმა გამტაცებლებმა სამოსისა და საჭურველის მიხედვით დაასკვნეს, რომ ტყვეში დიდ გასამრჯელოს აიღებდნენ, ცოტა ხანს უცადეს მის ჭირისუფლებს, მაგრამ ამაოდ. ტყვექმნილს მომკითხავი და ჯოჯოხეთიდან გამომხსნელი ძეხორციელი არავინ გამოუჩნდა, იჯდა ბნელ ხაროში ცოცხლად დამარხული, ცის ნათელს დანატრებული ჰაბუკი და სატანჯველს გმირულად იტანდა, არსთაგამრიგემ ტანჯვა დავითს ადამიანის პირველცოდვის გამო არგუნა, თორემ პირადად თვითონ ხომ არავისათვის არაფერი დაუშავებია.

დაღესტნის ისტორიაში უნცუქული-ოსოქოლო, როგორც ქართველობა ეძახდა, დავითის დროს სახელგანთქმული სოფელი არ ყოფილა. ამ სოფლის სახელს ასი წლის შემდეგ შეიტყობს რუსეთი და განათლებული ევროპა. ამ სოფელზე აცხადდება ნაპოლეონის სიტყვები: „სოფელი სახელგანთქმული მაშინაა, თუ იქ დიდი ომი მოხდებაო“. უნცუქულის თავზე დიდმა ომებმაც გადაიარა და ხალხიც ბევრი გაიჟუჟა. ამ სოფელს მდიდარი ბალჩა-ბაღებიცა აქვს და საღმრთო ომის სახელმოხვეჭილ გმირთა პლეადაც გამოუზრდია. უნცუქული ცნობილია ჩვენთვის, როგორც დავით გურამიშვილის ეკლიანი გზის დასაწყისი და მძიმე გადასასვლელი. როცა პოეტის ტყვეობის ამბებს ეხებიან მკვლევარები, სამართლიანად მიაპყრობენ ყურადღებას ილია ორბელიანის გვიანდელი ტყვეობის ამბავს, რაც საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი თვითონ ილიას თავის მემუარებში. ილია ორბელიანის მემუარები ლეკთა ტყვეობაზე გამოაქვეყნა ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. ლეკები, ჩვეულებრივ, დატყვევებულთა და დამნაშავეთა საპატიმროდ მიწას სიღრმეში ორნახევარ მეტრამდე და უფრო ღრმადაც თხრიდნენ. ასეთი ხარო რამდენიმე კაცის ერთად საჯდომად იყო ნავარაუდევი. მიწის სინესტისა, ხაროში მჯდომთა ოფლის, შმორისა და უწმინდურებისაგან იქაურობა ისეთნაირად ყარდა, რომ ხაროში მყოფთ სული ეხუთებოდათ, დაბადების დღეს იწყევლიდნენ და ერთთავად სიკვდილს ნატრობდნენ. ხაროში ჯდომა იყო ნამდვილი ჯოჯოხეთური სატანჯველი. ხაროებს ზემოდან უზარმაზარი ქვის დოლაბები ეფარა, შიგ სინათლის სხივები ოდნავ ცრიატებდა, რის გამოც იმ ხაროებში მოხვედრილმა ბევრმა ადამიანმა დაკარგა თვალისჩინი. ამ განსაცდელს ვერც დავით გურამიშვილი გადაურჩა. თუმცა სიჭაბუკეში გადატანილმა ჭირმა მხოლოდ სიბერეში უწია და უსინათლო ჰყო. ხაროებში პყრობილთ, ფეხთ და ხელთ ხუნდები ედოთ. ხაროებს ზემო-

დან ადგა საყარაულო ფარდულები, რაც ორმოში ჰაერის მოძრაობას კიდევ უფრო აძნელებდა და შიგ მყოფთ სული ეხუთებოდათ. საჭმელს: ქუმელსა და ხინკალს პატიმრებს ზემოდან პირუტყვებივით უყრიდნენ, წყალს კი ყმაწვილები თიხის ჭურჭლით უზიდავდნენ და ხბორებივით ასმევდნენ. დაღესტნის ხაროებში ბევრი შემდგომში ცნობილი რუსი სამხედრო მოღვაწე მჯდარა და ბევრმა შეჰქმნა ტყვეობის ავადმოსაგონარი მემუარები. ამ მემუარების ჩაყვითლებული ფურცლებიდან თითქოს ახლაც ცხადლივ შეიგრძნობა ის ტანჯვა, ვაივაგლახი, სულის ხუთვა, ცოცხლად დამარხულთაგან ღვთისათვის სიკვდილის გამოთხოვა და აჯა, რასაც ტყვედქმნილი, ხუნდებდადებული უმწეო და აქოთებული ადამიანები განიცდიდნენ. გენიალურმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ „ჰაჯი-მურატში“ უკვდავყო დაღესტნური ხაროს საშინელებანი: „შამილის საზეიმო შემოსვლას ვედენოში ვერც ჰაჯი-მურატის ვაჟი იუსუფი ხედავდა... იგი დილეგში ანუ ერთ საჟენზე უფრო ღრმად ამოთხრილ ორმოში იჯდა ოთხ დამნაშავესთან ერთად, რომლებიც მასავით თავიანთ განაჩენს ელოდებოდნენ... იუსუფს მყრალ ორმოში მხოლოდ სროლის ხმა და სიმღერა ესმოდა. იგი იტანჯებოდა ისე, როგორც იტანჯებიან თავისუფლებაწართმეული ახალგაზრდები, სიცოცხლით სავსე ადამიანები მყრალ ორმოში, უყურებდა მასთან ერთად დამწყვდეულთ, მასავით უბედურ, ჭუჭყიან, ბინძურ და ქანცგამოლეულ ბედისაგან განაწირთ, რომელთაც ერთმანეთი ეჯავრებოდათ და ეხარბებოდა მათი, ვინც სუფთა ჰაერით სუნთქავდა, სინათლის შუქით ტკბებოდა და თავისუფლებით ნეტარებდა“. დაღესტნური ორმოს საშინელება ტოლსტოის კალამმა „კავკასიის ტყვეს“ მეექვსე თავშიც შემოგვინახა: „ჟილინისა და კოსტილინის ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესდა. ხუნდებს არ აშორებდნენ, როგორც ძაღლებს, ცომს ზევიდან უყრიდნენ და წყალს დოქით აწვდიდნენ, ორმო ყარდა. ჰაერი დახუთული იყო, სინესტე მძვინვარებდა. კოსტილინი მთლად დაავადმყოფდა, გასივდა, ძვლები სტეხდა, ერთთავად კვნესოდა. დაგლახაკდა და საპყარი შეიქმნა. ჟილინმაც ყურები ჩამოყარა. ხედავდა, საქმე ცუდად იყო და აღარ იცოდა, როგორ ეშველა თავისთვის“.

ასეთ ხაროში იჯდა, ტყვექმნილი, ჰაბუკი გურამიშვილი და ერთთავად გაქცევის ოცნებათა ზმანებებში იყო გაბმული.

ერთ საღამოს უნცუქულის შემოგარენში ძლიერმა ქარმა დაჰბერა. ქარბორბალა ისეთი ძალუმი იყო და ისეთი ხმაურიანი, რომ ხაროში ჩამწყვდეულმა ტყვემაც იგრძნო სტიქიის სუსხი. ქარი ფარდულშიც შეიჭრა და ხაროსთავზე დაფარებულ დოლაბსა და მიწას შუა დარჩენილი ჭუჭრუტანებიდან უსასოოდ შთენილ ტყვესაც ულმობლად დააცხრა. სულ მალე ქარმა უნცუქულის თავზე საავდრო, ჩაშავებული ღრუბელთა ჯარი შეჰყარა. ჭექა-ქუხილის გამაყრუებელმა ხმამ, მთები-

დან-მთებამდე გავარდნილმა ექომა და თვალისმომჭრელმა ელვამ მეტყველთა და პირუტყვთ ერთნაირად აგრძნობინა საშინელების მოახლოება. უცებ ზევიდან ისეთი თქეში წამოვიდა, თითქოს ცამ პირი მოხსნაო. კარგახანს ასხამდა კოკისპირულად. მაღლობებიდან ზათქით დაშვებული, გაცოფებული ნიაღვრები ყველასა და ყველაფერს ერთიანად უქადდნენ წალეკვას. გომურებში ჩამწყვდეული რქოსანი პირუტყვის, ღია ცის ქვეშ ბაკებში და საჩეხებში მყოფი ცხვრის, თხების და ცხენების საწყალობელი ბღავილ-ჭიხვინი და პეტელი უერთდებოდა მთებიდან გაცოფებით ჩამოვარდნილი ნიაღვრების ზავთიან ხმაურს. ძაღლები წკმუტუნითა და ყეფით აჰყვნენ საერთო გნიასს. მაგრამ მალე საცოდავი ღავღავი და ყმუილი გააბეს, ისეთი, როგორიც პატრონის სიკვდილის ჟამს იცის ამ ერთგულმა პირუტყვმა: ხაროში ცოცხლად ჩამარხულმა ტყვექმნილმაც იგრძნო საშინელების მოახლოება, მაგრამ შიშის ნაცვლად მის გულს სიხარული დაეუფლა. ალბათ, ჩემს ტანჯვას ბოლო ახლა მაინც მოეღებაო, ვარაუდობდა საგონებელში ჩავარდნილი. ფიქრებაშლილს ხრიგინის, მტვრევისა და ლაწა-ლუწის ხმა უფრო ახლოდან შემოესმა. უსასოქმნილი მოახლოებულ სიკვდილს მშვიდად ელოდა, პირჯვრის წერას მოჰყვა და არსთაგამრიგეს ცოდვების მიტევებას შესთხოვდა. ვიდრე ქვეყნიერებას მოწყვეტილი იმას ანაზრებდა, რაც გარეთ ხდებოდა, ხაროში წყალი ჩაუვარდა. — მაინც რა უსახელო სიკვდილი მეწვიაო, — გაიფიქრა ტყვემ.

ხაროს თავზე წისქვილის უზარმაზარი დოლაბი ეხურა, რომლის აწევას ექვსი ღონიერი კაცის ჯანი სჭირდებოდა. ტყვის მეპატრონეს ხაროსთავზე წამოდგმულ საყარაულო ფარდულში ოწინარი ჰქონდა მოწყობილი და საჭიროების შემთხვევაში დოლაბს მაღლა იმ ოწინარის საშუალებით ეწეოდა. სწორედ მაშინ, როცა ყველას ეგონა, ცა თავზე გვემხობაო, დავითისათვის გაიხსნა სასუფეველი ცათა. მოვარდნილმა წყალმა საყარაულო ფარდული წააქცია, ჩამოვარდნილი სახურავი ოწინარის ყანთარს დაეცა, ხოლო დაწეულმა ძელმა დოლაბი ჰაერში აიტაცა და ვიდრე ორმო წყლით აივსებოდა, ტყვექმნილს განხმული ცა დაანახვა. იმ უკუნეთში ცაზე ელვის გაკრთომა დავითმა საკუთარი თვალით იხილა, სინათლემ თვალი მოსჭრა, მაგრამ სასწაული არ დაიჯერა. ზმანებად ეჩვენა, რადგან კარგად უწყოდა, ხაროს უზარმაზარი დოლაბი ეხურა. ამასობაში ორმო წყლით აივსო, წყალმა დავითი ზედაპირზე აატივტივა, ჯერ მიწის ზედაპირზე ამოაგდო და მერე ქვევით, ხვრისაკენ გაიტაცა. ცივმა წყალმა წყალწაღებული ზმანებათა საუფლოდან მაინც მალე გამოაფხიზლა. დავითი გონს მოეგო და ახლა სტიქიას ინსტინქტით შეებრძოლა. ტყვეობიდან შემთხვევით თავდახსნილი, უცებ ნიაღვრისაგან გაშიშვლებულ ჯაგის ფესვებს ჩაეჭიდა და ერთხანს წყლის ზედაპირს შერჩა. წყალმა სხეული გაუთოშა, მაგრამ ისე იყო

ჯაგის ფესვებს ჩაფრენილი, რომ მისი იქიდან მოწყვეტა არა ძალას აღარ შეეძლო. გადაიკარა, ერთბაშად მოვარდნილი ღვარცოფი ერთბაშად დაცხრა.. მხოლოდ მაშინ იგრძნო დავითმა, რომ უწყალო სტიქიამ, ზოგჯერ ადამიანზე ლმობიერმა, იხსნა და თავისი განთავისუფლება სტიქიისათვის უნდა ემადლა. ღმერთი ახსენა, ხსნის გზას დაადგა და მოიგონა: „მეოტად წარვიდე მთათა დაღესტნისასა“. იცის, რომ რაც შეიძლება მალე უნდა გაეცალოს იქაურობას, თავს უშველოს. გარბის კიდეც, მაგრამ ფეხშიშველს ფეხისგულები სტკივა, ნაბიჯის გადადგმა უჭირს. ცდილობს დაითმინოს, იქნებ როგორმე დააღწიოს თავი განსაცდელს. არსთაგამრიგეს შესთხოვს, აატანინოს ტანჯვა, მეტი მოთმინებით აღჭურვოს, დახეთქილი ფეხისგულებიდან სისხლი დასდის, მაინც წინ მიიწევს, იქნებ გააღწიოს სამშვიდობოს... სასწაულებრივად კი დააღწია თავი იმ ჯოჯოხეთს, ცოცხლად რომ იყო ჩამარხული მიწაში. ახლა უკუნი ღამის იმედიც აქვს. თვითონ ხომ აღარაფერი დარჩენია დასაკარგი. თუ მდევარს თავი დააღწია, თავისუფლებას ეწევა. ჯერ, ალბათ, საქონელსა და ცხვარს მოიკითხავენ. მისი ჯავრი ვის ექნება?! როცა ჯერი მასზე მიდგება, იგი, ალბათ, შორს იქნება და ვეღარ მისწვდებიან. არა, უკუნ ღამეში ვინ გამოედევნება, ღამე ადამიანებს მაინც თავისებურად აკრთობს და აშინებს! მზეს ხომ უფრო ძლიერი შუქი და ამდენად ჩრდილიც ძალუმი აქვს მთვარისაზე, მაგრამ ჩრდილი მთვარისაა უფრო საშიში. ღამე ადამიანის სულიერ ძალებს ძაბავს და ცრურწმენათ უძლიერებს. ადამიანს ჭინკები და მოჩვენებები მხოლოდ ღამით ელანდება. ამისი იმედი აქვს და წინ მიიწევს. კარგად იცის, ქვევით-ქვევით უნდა იაროს. დაღესტანი მაღლაა, მისი აულები კავკასიონის მთის კალთებზეა შეფენილი, დავითის სამშობლო კი კავკასიონის მთათა გრეხილების დაბლა იწყება, ამიტომაც სულ ქვევით ისწრაფვის.

შემოათენდა. „აღსასრულამდე ნუ ჰნატრი კაცსა“, — ამბობს ისუ ზირაქი. და როცა მთათა ნაპრალებსა და ხევ-ხუვებში ნათრევსა და ნახეტიალევს თავს დედამიწის მარადიული დევნით მოუღლელი მნათობი წამოადგა, — მეშველა, გზას უფრო კარგად გავიგნებო, — იფიქრა, გარნა ძველ აღთქმაში მოთხრობილი ამბავივით არ მოხდა ყოველივე! „დავითისათვის ტანთ არ შთაუცმევიათ ჯაჭვი და თორანი და ჯაჭვსა მას ზედა იალმაგი და ჩაფხუტი სპილენძისაი არ დაუდგამთ თავს მისსა“. დადარაჯებულნი მზირნი აღდგნენ ადგილით მათით და კვალში ჩაუდგნენ. მეოტის პოვნაზე დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, გუშანით იცოდნენ, რომ პირს სამშობლოსაკენ იზამდა. ჩაფხუტის დადგმის მაგიერ კეტი დაჰკრეს, ჯაჭვები კი ხელებზე და დასისხლიანებულ ფეხებზე დაადეს. მაგრად დახუნდული, ცხენზე ხურჯინივით გადაჰკიდეს, ზედ მაგრად დააკრეს, ისევ უნცუქულში მიიყვანეს და უფრო ღრმა და საი-

შედო ხაროში ამოაყოფინეს თავი. თვითონ არაფერი გაუგია, კეტი რომ დაჰკრეს, გონი დაჰკარგა, თუმცა ამან ვერ უშველა, გაპარვისათვის მაგრად დაპანღურეს და უწყალოდ სცემეს. გაპარვის შედეგი კი ხაროში, როცა გონს მოვიდა, მერე შეიტყო, მთელი სხეული დაჰბუჟებოდა. ყოველი სახსარი სტკიოდა, ძვლები სტეხდა, პირი აბედივით გახდომოდა: წყალი რომ ჰქონოდა, მისი სმით გულს ცოტას მაინც მოიოხებდა, მაგრამ ვის ჰქონდა მისი ჯავრი, რომ დაერწყულებინა? იწვა სიცხისაგან არაქათგამოცლილი, სვედავსილი ვაჟკაცი ბნელსა და ნესტიან ხაროში: „მოედვა მწარედ სახმილი, შეიქნა დადაგულობით: დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლავნი გათანგულობით...“ მარტოდმთენილი სიკვდილს ან შველას შესთხოვს ყოვლისშემოქმედს, მაგრამ ამაო იყო მისი მუდარა და აჯა. სიკვდილი აგვიანებდა და გზა ხსნისა კი არსაით ჩანდა...

როგორც დიდბუნებოვან ადამიანებს სჩვევიათ, დავითი სათქმელს პირდაპირ გვიმხელს, გულახდილია და რაც არ უნდა განსაცდელი გადახდეს თავს, ჩრდილს თავს არ აფარებს, არ ერიდება სიმართლეს, არც შიმშილს მალავს და არც გაქცევისათვის მიღებულ საზღაურს — ცემასა და „დაპანღურებას“. ამით აშკარად გვაგრძნობინებს თავის სიმაღლეს.

ხარო რამდენიმე კაცისათვის იყო დილეგად გათვალისწინებული, მაგრამ დავითს თავიდანვე შეეკრა ბედი, იგი ხაროშიც კი ორივეჯერ მარტო აღმოჩნდა. დაეკვებება მარტოობა და ყველგან და ყოველთვის მარტოსული იქნება უდაბნოდქცეულ ვრცელ ქვეყანაში... „მარტო ვიყავ, არავინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი“, — გოდებს პოეტი. შეჭირვებული ტყვე ღმერთს ეაჯება, ხსნას შესთხოვს. ქვეყნისა და ახლობელთა სვეს ავედრებს უფალს, მისგან სიკეთეს მოელის, მაგრამ განსაცდელში ჩავარდნილს თითქოს ღმერთიც განუდგება, ტყვეობიდან თავდახსნილს ისევ დამატყვევებელთა ხელში ჩააგდებს. თავსდატეხილი უბედურებით შეძრწუნებულს ერთხელ ღვთის საგმობი საყვედურიც წამოსცდება ხაროში, მერე უფლის წინაშე გულწრფელად, გულმხურვალედ მოინანიებს ცოდვას. გულში სანუკვარი ოცნების ფრთისშესხმას — გაქცევაში ხელის შეწყობას ევედრება ყოვლისმცოდნესა და ყოვლის წინასწარმჭვრეტს, სხვა თანამდგომი, შემწე და დამხმარე არავინ უვის ამ ქვეყნად და ისევ უფალს მოუხმობს საშველად გასაჭირში, ისევ მისი მოიმედე ანაბარია, აბა რა ჰქნას, ვის მიმართოს?

„ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი“, — ვალალებს ბედისაგან განაწირი დავითი და გაქცევაზე მეოცნებეს ძილში ჩაესმის: „აქ რას უწევხარ საძილოდ, რატომ არ წახვალ შინაო! ადექ, იარე, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო!-“ გამოიღვიძა და გაახსენდა პავლე შღვდლის დამოძღვრა: „სიზმარი არის ადამიანთა სიზმარეული ცნობიერების მონაპოვარი აზრი. სიზმარი არის ღვთაებრივი აზრის გამონა-

შუქი ადამიანის აზროვნებაშიო". თუმცა მისი სათაყვანებელი და მისაგან შეყვარებული ბრძენი ისუ ზირაქი სრულიად საწინააღმდეგოს ქადაგებდა: „მისნობანი და სიზმარნი ამაო არიანო". იმჯერად დავითს ხელს არ აძლევდა ისუ ზირაქის სიბრძნის მიყოლა და აკი თვითონვე გვამცნობს:

ხმა მესმა ძილსა შინაო: „რას ხვრინავ, რასა ფშვინაო?
რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ შეგაშინაო?"

თავისუფლების ტრფიალი ქართველი პოეტი შიმშილმა ვერ დათრგუნა, იგი არც მკაცრ სასჯელს შეუდრკა, მისი ამაყი სული ვერც ჯოჯოხეთურმა სატანჯველმა ხარომ გატეხა, სიზმარი ამაო არსო,—ამ აზრისათვის იმჯერად ისუ ზირაქსაც განუდგა, პავლე მღვდლის კეთილი სახე და აზრი იწინამძღვრა, ირწმუნა: ღმერთი გამომეცხადაო ძილში და გამიმჟღავნა ტყვეობიდან თავი როგორ უნდა დავიხსნაო. იგი არც დადარაჯებულ მზირთა ფხიზლად თვალთვალს შეეპუა. ხაროს თავს დადებული, უზარმაზარი დოლაბის ქვეშ, საიდანაც მზის სხივიც ვეღარ აღწევდა ორმოში, რათა „ტყვეს არ ეხილა ნათელი მზისა თუალისაი", დასისხლიანებული შიშველი ხელებით მიწა თხარა, თხარა, თხარა, დოლაბი ძირს ჩამოაგდო, ზედ ავაზის სისწრაფით შეხტა, ჯურღმულიდან ამოვიდა, სინათლისაკენ გეზაღებულმა თავი სიბნელეს შეაფარა...

ძმათაგან გამოტირებულს, ფეხშიშველს, ქალამან-წინდით შეუმოსავს, მშიერ-მწყურვალს, უსაგზლოს, გარნა მოყვასთა ცრემლით გზამიცემულს, მხოლოდ უფლის მოიმედეს და ძილღვიძილში მისგან წინდად მიღებული მონათხრობით აღტყინებულს, „ცხოვრების წყაროს ღარი გულზედ აქვს მოხაზული", ღმერთს წარა-მარა შემწედ უხმობს, გული უტირის, მაგრამ ხსნის იმედი უღვივის დაჭრილ სულში, საკუთარ სვეს ჩრდილოეთის შვიდთა ვარსკვლავთა ანდობს და ღამით დაღესტნის შიშველ, უტყეო მთას მიადგება.

შეჭირვებულმა ტყვემ, რაკი ღვთის გარდა მშველელი არავინ ჰყავდა მწედ და ფარად, ხაროში ყოვლისშემოქმედს მოუხმო, ევედრა, განსაცდელისაგან დამიხსენი, ამ ჯურღმულიდან თავი გამაღწევინეო, მერე თავისი ნაფიქრალი და ოცნებად დასახული ტყვეობიდან გაქცევით თავის დახსნაც სიზმრად და ღვთის აზრად წარმოიდგინა, თავისი სიზმარიც არსთაგამრიგის აზრის გამონაშუქად მიიჩნია, ამით ძალა შეიმატა, იმედი შთაინერგა გულში, რწმენა განუმტკიცდა და ხაროს მართლაც სასწაულებრივად დააღწია თავი. მისი პიროვნებისათვის იმჯერად უცხო აღმოჩნდა ქრისტიანული თავდრეკილობა, სატანჯველის მოთმინებით სულის ზესთა საუფლოში მოპოვების ფარატინა იმედი, მორჩილება და მორჩილება ღვთისა, ტყვეობიდან გაქცევისას იგი ბედის განჩინების წინააღმდეგ მებრძოლი მეამბოხე და ბუნტარია,

ებრძვის საკუთარ დავსილ სვეს და ამით ებრძვის ყოვლისმხილველს, არსთაგამრიგეს და ყოვლისშემოქმედს. მას იტაცებს ამქვეყნიური სიამენი სოფლისა. მას სწამს ნათელი მომავალი და თავისი ცხოვრების ნირითა და შემოქმედებით ნიადაგ იმის ცდაშია, რომ ქვეყანა გააკეთილშობილოს. ბედისწერა მისთვის ის წმიდათაწმიდა ღვთის განჩინება არაა, რასაც უნდა უსიტყვოდ ემონოს და დამორჩილდეს. მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება, ცხოვრება „თესლაშრეტილი“ უძეო კაცისა, ერთიანი, გაბმული, შეუდრეკელი და ქედუხრელი ბრძოლაა თავისი პირადი და სამშობლო ქვეყნის, მისი შვილების უკეთესი მერმისისათვის. ამას მიუძღვნა მან თავისი უკვდავი „დავითიანი“. ალბათ, ქართველი კაცი დიდი მორწმუნე და ბრმა ღვთისმოსავი საერთოდ არასოდეს ყოფილა. ქართველი კაცი ბრმად მორწმუნე და ღვთისმოსავი, ალბათ, მაშინაც კი არ იყო, როცა საეკლესიო მართლმსაჯულებას ზეცის თავანამდე ჰქონდა აღმართული კვერთხი უსამართლობისა და თავის უფლებას — განუკითხავი-განუსჯელი დასჯის უფლებას, ღვთის უფლებას — არსთაგამრიგის ნების განხორციელებას უწოდებდა. ქართველობა ფანატიკოსობის ალით აღგზნებული და ბრმა თაყვანისმცემელი არავისა და არაფრისა არ ყოფილა. ქართველი კაცი, ალბათ, იმდენად იყო მორწმუნე, რამდენადაც მისი სარწმუნოება მის სულიერ მეობას, მისი ოჯახისა და სამშობლო ქვეყნის ინტერესებს ესადაგებოდა. მისი ქვეყნის სიწმინდეს იცავდა, მის სინდისს ეფარდებოდა და ეს ყოველივე ისე იყო გადაჯაჭვულ-გადახლართული ერთმანეთში, რომ ძეხორციელი ვერ არჩევდა, სად იწყებოდა ერთი და სად თავდებოდა მეორე.

„ღმერთი სასიკვდილოდაა დაჭრილი“, — ეს სიტყვები კარლ მარქსს ეკუთვნის. ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ რომ წაუკითხავს, მარქსს ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „აქ საბერძნეთის ღმერთები სასიკვდილოდ არიან დაჭრილნიო“. ესქილეს ზევსი „პრომეთეში“ ნამდვილი ტირანია, ვერაგი და ცბიერი.

გურამიშვილის ღმერთი ერთ წუთს შეჭირვებულისათვის წყალობას გაიმეტებს, თუ იმას წყალობა ჰქვია, — დახრჩობას გადარჩენილი, ტყვეობიდან თავდახსნილი, გაჭირვებული კაცი, ფეხშიშველი, გათოშილი და გაუბედურებული, რომ ისევ თავის გამტაცებლებს ჩაუგდო ხელთ, ანდა შიმშილისაგან ღონემიხდილი კიტრსა და საზამთროს ნაჭერს რომ იპოვის და არსთაგამრიგე იმ თავის წყალობასაც უწყალოდ წარსტაცებს და წყალს გაატანს:

წყალმან წაიღო, მივდიე, ვეცადე, ვერ დავიჭირე,
ბეწვი მწყდა მისი დევნითა, მეც წყალში არ დავიძირე,
ღვთისაგან გულსა შემაჯლდა, ვაყვედრე, ასე ვიტირე:
თუ მომეც, რაღათ წამართვი, აწ ასე რად გავიწირე?

ეს სიტყვები აქ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ფანატიკურად მორწმუნე ღვთისმოსავი ასე არ ეპაექრება ყოვლისშემოქმედს. დავითი ის ადამიანია, რომელსაც ძალუძს ღმერთთან კამათი. იგი გმირულად ეგებება განსაცდელს, ბედისწერის ყოველგვარ დარტყმას ვაჟკაცურად იტანს, ძველი ელინივით მედგრად ხვდება კარს მომდგარ ავ განჩინებას ღვთისას და თუ იმდენი ძალა არ შესწევს, რომ აშკარად აუმხედრდეს არსთაგამრიგეს, მკაცრი, სამართლიანი ყვედრებით გულს იოხებს და სამდურავს აშკარად პირში ახლის გულთამხილავსა და ყოვლისმცოდნეს:

„თუ არა რისთვის წამართვი საზრდო უბეში დებული?“
„რაც ავი მიყო, დაგითმო, აწ იმას რა შაედრება“.
„მოვიდოდი და ვსტიროდი, მოვსთქვამდი ჩემსა ზიანსა“.
„კიტრი მომეც და წამართვი, ვერ მოვითმინე თმენითა“.

ვალალებს და ყვედრის მშიერი, შიმშილისაგან ფერდზედ ფერდმიკრული პოეტი.

მეორედ გაქცევა უფრო ბედნიერი გამოდგა, თუ შეიძლება ბედნიერება ეწოდოს უჭმელ-უსმელი, ნაცემ-ნატანჯი, ჩამოძენძილი, ფეხებდაშაშრული, მარტოხელი კაცის აღმა-დაღმა თრევასა და წანწალს გაურკვეველი მიმართულებით, დაღესტნურ ხაროში მჯდომარეს ხინკალი და ქუმელი მაინც ჰქონდა, უდაბურ მთებსა და ხევებში თავი, აბა, რით უნდა დაერჩინა პერანგისამარა, უიარაღო მეოტ ადამიანს! ამას ზედ ერთვოდა უკუნეთში ნადირთა გამო ძრწოლა, დაშაშრული ფეხების ტკივილი, რაც გაჩენის დღეს აწყეველინებდა პოეტს და რელიგიურ-ასტრალურ განცდებით აღავსებდა მის გვეშულ სულს. ტანჯვა აძლიერებს ღვთის რწმენას, მაგრამ სიცოცხლის სიყვარული იმედს უნერგავს; „ღვთის მადლიანი კალთის“ მოლოდინში გზას განაგრძობს და ტყე-ღრეში დაეხეტება მთელი თორმეტი დღე. გეზი ჩრდილოეთისაკენ აქვს აღებული და ცდილობს ქრისტიანთა მტერთ სამძღვარი უვნებლად გადაიაროს. დღისით მზის საშუალებით მიიკვლევს გზას, ღამით მთვარეს უჭვრეტს, შვიდთა ვარსკვლავთა საიდუმლოც იცის, მაგრამ ბედი ახალ განსაცდელს უმზადებს. ისევ ატყდება ქარბორბალა. შეიქმნება ჭექა-ქუხილი, ღრუბლებით გადაიგრაგნება ცა, თვალისმომჭრელად იელვებს რამდენიმეჯერ. დამბრმავებელი სინათლის გამო ვეღარაფერს ხედავს. ზეციდან ქათმის კვერცხისოდენა სეტყვა წამოვა. სეტყვის თავში დაცემის შიშით პირქვე მხობილი პოეტი სარტყელს თავზე დაიხვევს და დაუცველად დარჩენილი ტანის ჯავრი სირაქლემასავით აღარა აქვს. პირქვე ჩამხობილს ახლა წვიმა-სეტყვა შეაწუხებს, შეჯირვებული კვლავ ფეხზე წამოდგება, სწორედ ამ დროს იელვებს და, ბედად, გამოქვაბულს შენიშნავს. რა გამოქვაბული დალანდა, „მაშიგ უკუსძვრა“, ყოვლად მოწყალეს მადლობა შესწირა, გადარჩენა მის სიკე-

თეს მიაწერა და იმედით აღივსო: ღმერთი მფარავს, ჩემთვის კარგი სწადს, თორემ თავშესაფარ კარავს არ დამიდგამდაო. სეტყვამ გადაიღო თუ არა, დავითმა მხურვალე გულით შესტირა უფალს თავისი გაჭირვება, ზვარაკი არა ჰყვანდა სამსხვერპლო, რომ შეეწირა. ამის გამო ერთხელ კიდევ მოუბოდიშა არსთაგამრიგეს და ხსნის გზის ძიება განაგრძო. თვალთაგან ცრემლნი ეძალება, ემალმალება, მერე ღვარად სდის და, როგორც თვითონ მოგვიანებით იტყვის ცრემლთა ფრქვევით, „გადამხმარი შამბნარი გაანედლა“. ამ ვაივაგლახით, ტირილითა და ტყებით კოჭამდე სეტყვას მიაპობს, შიშველ-ტიტველია, გარნა მაგრობს; რაც ეცვა, ისიც შემოესრევა ტანზე, მაგრამ ტანსაცმლის ეს შემოხევა გლოვისა და მწუხარების მაუწყებელი ნიშანი არაა, თუმცა სატირალის, საგოდებლისა და სავაგლახოს მეტი რა აქვს. მიაპობს მარტოსული კოჭამდე სეტყვას შიშველი ფეხებით და აღარც გარეულ ნადირთა შიში აკრთობს, რადგან ღმერთი თავის მხარეს ეგულება. ნადირნი უფრო გულმოწყალენი აღმოჩნდნენ ადამიანებზე, იდუმალ ლტოლვილს არ ასდევნებიან და მისი მოხელთება არ უცდიათ. მდევარნი კი თვითონ დავითმა გააცურა. სამი დღე შამბიანში იწვა გაუნძრევლად, მერეღა ადგა, დღისით ჯაგებში ძვრებოდა, მხოლოდ ღამით ვიდოდა და თერთმეტი დღე ასეთი დალხინებით იარა. ხუთი დღე-ღამე შვიდი ცალი ტყემლის ანაბარად იყო. ათი დღის მშიერი მოუწევარ კვრინჩხსა და მწიფე კოწახურს გადააწყდა ჯაგნარში და იმით დანაყრდა. მის ყოფაში ყველაზე ტრაგიკული მომენტი ისაა, რომ გვემული პოეტი სამშობლოს მთებს გადმოსცქერის, მაგრამ იქით კი არ მიილტვის, საითაც გული მიუწევს, რადგან კარგად უწყის, რომ მდევარი იმ გზაზე დაუწყებს ძებნას, მას გეზი ჩრდილოეთისაკენ აქვს აღებული, ხსნა იქ ეგულება და მზეს — იესოს ეაჯება, ჯოჯოხეთში აღარ მიაბრუნოს ლტოლვილი, შეიბრალოს, იმათი ნახვა აღარ აღირსოს, ვისაც გაჰყარა და, ვინც ამ დღეში ჩააგდო, იმათი ჯავრიც არ შეაჭმევინოს. უზადო ოსტატობითა და გენიალური უბრალოებით მიმართავს მისგან მზედ სახელდებულ ძე ღმერთს — იესოს და თავის მკითხველს წინდაწინ აფრთხილებს, ძეს ღმერთს „კაცებით“ მზედ ვსახავო, მზეთა-მზედ მამა ღმერთს ვგულისხმობო, მე მზეს დავეძებ, თორემ საწუთროს მზეს ყოველდღე ვხედავო. იგავად ნათქვამის განმარტება და ახსნა პოეტმა თვითონვე ითავა:

ისმინე, ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგიხსნა წინადა:
ძეს ღმერთს კაცებით მზედ ვსახავ, სახით მზეს თინათინადა.
ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას ვსახ თქმად სასმინადა.
მე მზესა ვეძებ, თინათინ ყოველდღივ შუქს თვალის ჩინადა.
სახით იგაუად სათქმელად მამა მზეთა-მზედ ითქოსა,
ძე ღეთისა მხოლოდ-შობილი მზე სიმართლისა იქოსა.
მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ირქოსა,
ეს წიგნი წმინდად საბმარი არაინ გამიჩირქოსა!

დაბოლოს „დავითიანში“ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ერთი განმარტებაც დაგვიტოვა:

საწუთროს მზის თინათინი მოგითხრა რაცა ფერია:
სარკის მზის შუქით ციალსა უწოდენ ქართველთ ერია,
ვერას ხორციელს სულდგმულსა ბჯალში ვერ დაუჭერია,
მე თინათინით მინათობს სახლთ კედელ-ყურე, ჭერია.

განსაკუთრებული ხიბლი ახლავს თან ვნებული პოეტის მიუწვდომელი იდეალისადმი აღვლენილ ლოცვა-გოდებას: „ვამე, ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო“,
ან:

საყვარელო სახით თქმულო, უსასყიდლო მარგალიტო,
ვის გადარო, ჩემთვის მკვდარო, მზევ, მზეთა-მზის მაგალითო!

ან:

შენ იესო, მწყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის დამანთხეო!

პოეტის „საესავი“, „ტკბილი ცხოვრების წყარო“, „უსასყიდლო მარგალიტი“, მისთვის მკვდარი „მზეთა-მზის მაგალითი“ არის შეჭირვებაში მყოფის ხსნის ერთადერთი იმედი, მისი გადარჩენის იმედი, მისით იმედნეული დაძრწის დაღესტნის ტყე-ღრეში და თავის უხილავ მეგზურს ევედრის: ჩემზედ მხეცთ ნუ მოუშვებ, შერისხეო!

ასე ევედრება გვემული პოეტი უზენაესს კავკასიონის უკაცრიელ მთებში. მის ღვთისადმი აღვლენილ ვედრებასა, გოდებასა და ვალალში ზოგიერთებმა შეიძლება მხოლოდ მორწმუნე დაინახონ, ჩვენ კი სიცოცხლის სიყვარულის უმშვენიერეს ოდას, თავისუფლებისადმი განუყრელად შენამსჭვალები კაცის გულმხურვალე ჰიმნს, ტყვეობიდან თავის დახსნის იმედისა და რწმენის, ბოროტებაზე კეთილის გამარჯვების საგალობელს ვჰვრეტთ.

დევნილმა იცის, რომ ჩრდილოეთშია მისი ხსნა. იქ ერთმორწმუნე ქრისტიანთა შორის ეგულვის მყუდრო თავშესაფარი სავანე და იქით მიუწევს გული, მაგრამ გზის გაგნება ჭირს. მთას იქით მთაა, ხევს იქით ხევია, ღრანტეებია, კლდეებია, ქარაფები. ერთს გადაივლის ფეხით წყლულებმორეული და ცხრა მთა ისევ გადასავლელი აქვს. შიში და შიმშილი არიან მისი განუყრელი თანამგზავრები. შიში ნადირთა, შიში ლეკთა, შიში უაზროდ და უკვალოდ დაკარგვისა დაღესტნის მთებში.

ნაპრალებში უგზო-უკვლოდ ნახეტიალებს, აღმა-დაღმა ნათრევს და გაწამებულს შემოაღამდა. დედამიწის მარადიული დევნით ქანცმილეული, დასისხლული მზე მიჯარულ ღრუბლებს ხანდახან აღწევდა თავს და ნაპრალებში მაშინ ცრიატებდა მისი ქათქათა შუქი. კარგა ხანს ფარავდა ჯანღისა და ნისლის ბარიკადი. მერე უცებ გაიფანტა

ჯანღი, მზემ იძალა, ცა მოიწმინდა, მოელვარე მნათობმა მოკაშკაშე, მაგრამ სითბოუქონელი სხივები სტყორცნა ყინულეთს და ათასფრად ააელვარა. რა უცნაურად იწყო ნათება საწუთროს მზემ, განწმენდის შუქი ხომ არააო ღვთისაგან სიკვდილის მოციქულად გამოგზავნილი, ესღა გაიფიქრა დავითმა. იდუმალი ლტოლვილი მწუხარე თვალებით აჰყურებდა ზეცას. ირგვლივ სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. მეოტს უხაროდა, რომ მდევრებს თავი დააღწია, მაგრამ ამ ყინულეთში ჩარჩენის შიში მიეძალა. ამაოდ ხომ არ ვენდეო ბედს, — გაიფიქრა და გააჟრჟოლა. ცივს ყინულებში გელისო სიკვდილი, ჩასძახოდა უხილავი ხმა, მაგრამ ამყრალებულ ხაროს გახსენებაზე, სადაც ამდენი იშიმშილა და ივაგლახა, თვითონ სიკვდილის შიშიც უკუჰკრთა. სიკვდილი თავისუფლების ძებნაში სჯობიანო, დაასკვნა და გული გაიმხნევა. ირგვლივ ყინულეთის დამუნჯებული, უკარება ჩონჩხები იდგნენ და ელოდნენ ადამიანის ტანჯვის აღსასრულს. ფეხშეუდგამი კავკასიონი, მთის მდინარეთა მკვებავი წყარო და სათავე არაამსოფლიურ სიჩუმეს მოეცვა. სთვლემდნენ თუ სამარადისო ძილით ეძინათ უზარმაზარ ყინულოვან მთებს? ვინ იყო, რომ შეჰბედა და მყუდროება დაურღვია კავკასიონის ჩრდილოეთის საზღვრის ამაყ დარაჯებს?! ვინ მოიწადინა მათი დალაშქვრა და გაქელვა? ისედაც გაუსაძლის სიცივეს სუსხიანი ქარი კიდევ უფრო ამძაფრებდა. თითქოს ქვითინებდა ტიალი ქარბორბალა და არც რაიმე მღვიმე მოჩანდა თავშესაფრად. ლტოლვილი უქუდო თავსა და შიშველ ფეხებზე უფრო ძალუმად გრძნობდა სიცივეს. მოგონებების მტანჯველი ლანდი აედევნა და აღარ მოასვენა. მოაგონდა წყაროს ცივ წყალს დაწაფებულს, როგორ სულთამხუთავებივით წადგნენ თავს ყაჩაღები, როგორ დაატყვევეს და ცხრა მთა გადაატარეს. სასოწარკვეთილს სევდამ კიდევ უფრო დარია ხელი და ისედაც მოშხამული გუნება-განწყობა კიდევ უფრო გაუფუჭა. ყინულებთან მორკინალმა უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, თითქოს მგლის მუხლი მოიბაო, იძალა და ნაპრალიდან გააღწია. ისევ იძალა ზმანებებმა. ახლა უკვე ცხადლივ ეჩვენებოდა, როგორ დაეშვა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, როგორ აჩრდილივით სდევდა თან შავი ყორანი და როცა დევნილი ჩერდებოდა, ისიც იროაოს უვლიდა ჰაერში. ჩემს აღსასრულს ელოდება ეს გულთამხილავი ფრინველი, რომელსაც მსხვერპლის წინასწარ გამოცნობა არ ეშლება, — ჩემს გათოშილ ხორცს ჩაავლებს თავის მურდალ ბრჭყალებს, და საზრდოდ გამომიზოგავსო, გაიფიქრა. მერე უფრო საშინელმა აზრმა გაჰკრა გუნებაში: ვინც ამ ლეშისმოყვარული ფრინველის ბუნებას კარგად იცნობს, მისი უადგილო-ადგილას ცაში ნავარდის მიხედვით შეეძლო დაესკვნა, რომ ფრინველი ამაოდ არ ირჯებოდა. ჩვეულებრივ, სადაც ყორანი ბოინობს, ამ მტაცებელს საგულვებელი მსხვერპლი ჰყავს დალანდული, უთვალთვალებს, ადგილს იმახ-

სოვრებს, მსხვერპლის აღსასრულს ელოდება, მერე გაფრინდება და რამდენიმე დღის შემდეგ ლეშს მიაკითხავს. ამის გახსენებაზე, სიცივისაგან გათოშილი, ძრწოლამ აიტანა, მაგრამ მტაცებელი ფრინველის გამოწვევა მიიღო და მასთან ორთაბრძოლაში ჩაება. იგი გულაღმა მოწყვეტით დავარდა, თავი მოიმკვდარუნა და ერთხანს გაუნძრევლად იყო. ფრინველი დაბლა დაეშვა ცის ტატნობიდან, საგულვებელ მსხვერპლთან ძალიან ახლოს მივიდა, რამდენიმე წრე შემოხაზა ჰაერში, მერე ისევ ცაში აიჭრა, კიდევ რამდენიმეჯერ დაჰკრა ირაო და მერე საითკენღაც გეზაღებული ისარივით პირდაპირ გაფრინდა. გაჭირვებით, მაგრამ მაინც ჰაიჰარად წამოიჭრა ფეხზე დავითი, ყორანის გაფრენის მიმართულება კარგად დაიმახსოვრა, რადგან იაზრა, ფრინველს მაინც ადამიანთა საცხოვრებელთან სიახლოვეს ექნებაო ბუდე. ფრინველის მიერ ნაჩვენებ მიმართულებას მიჰყვა. ქანცი უწყდება, მაგრამ მაინც წინ მიიწევს, ღვთის იმედი აქვს და აღარც თავს იზოგავს. მძიმე ცოდვების ტვირთი მკიდიაო, ამბობს თავის შორეული წინაპარივით, რომელსაც ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი უწოდა. ცოდვების ტვირთი ბევრს მართლაც ჰქონდა და მძიმედაც აწვათ კისრებზე, მაგრამ ამაზე კრინტიც არსად დაუძრავთ. ესენი კი ხალასი ადამიანები არიან, რაც მთავარია, დიდი პოეტური ნიჭითა და ტალანტით დაჯილდოებულნი. ალბათ, გულახდილობაც ამიტომ მიჰმადლათ უფალმა. თუმცა ასეთი „აღიარება“ მარტო გულახდილობითაც არ აიხსნება. საკუთარი თავი შემცოდედ მიაჩნდათ ნამდვილი მაღალი ზნეობითა და ჭეშმარიტი სულიერი სიფაქიზით დაჯილდოებულ მორწმუნეთ. მათ, ვინც თვლიდა, რომ მათ ცხოვრებას, როგორც ლამპარს, სავალი გზა უნდა გაენათებინა სხვებისათვის. თეოლოგიაში ღრმად განსწავლამ მიათითებინა, ალბათ, ორივე დავითს სიყრმის ცოდვებზე, რომლის მიხედვითაც სამი ათეული წლის ასაკამდე ჩადენილ ცოდვებს ქრისტიანული აღმსარებლობა სიყრმის ცოდვებად ნათლავს. ყურადსაღები და გულისხმასაყოფი ისიცაა, რომ სინანულს მიცემული ცოდვების მომნანიებელი შემცოდე თავისივე განზრახვით მიიღტვის სულიერი ამაღლებისაკენ, ჭეშმარიტი, სულიერი სრულყოფისაკენ და ამით ის, მორწმუნე ქრისტიანთა შეხედულების მიხედვით, იწმინდება რა ცოდვებისაგან, იძენს ზნეობრივ სრულყოფილებას და უახლოვდება ყოვლისშემოქმედს. ზნეობრივი სრულყოფილების, ჭეშმარიტი კაცური კაცობის, სულიერი სიფაქიზის, მორალური სიწმინდის და ამით ღმერთთან მიახლოების სურვილი კი, ალბათ, ორივეს უსაზღვრო ჰქონდა. მავანთა და მავანთა და ჩვენი ღრმა რწმენითაც, მათ უფლება ჰქონდათ, სხვებისათვის სამაგალითონი ყოფილიყვნენ, ხოლო მათგან საკუთარი ცოდვების მონანიება, სხვათათვის მაგალითის მიცემა, სხვათათვის მოთმინებისა და თავმდაბლობის სწავლება, ერისა და ქვეყნისათვის თავგანწირვასა და

თავდადებას უნდა გულისხმობდეს. საკუთარი ცოდვების გამო სინანული მათგან მორწმუნე ქრისტიანთათვის, თანამოძმეთათვის რწმენის განმტკიცების საქმეს უნდა ემსახურებოდეს, მათი ზნეობრივი ამაღლების, სიწმინდისა და სიფაქიზის, გაკეთილშობილების დიდ ამოცანას უნდა იზრახავდეს. მათს სინანულში თანამოძმეთათვის უვალი გზის გაწვალდვა, გზად და ხიდად ყოფნის სურვილი გამოსჭვივის და არა ადამიანის პირველი ცოდვის გამო სინანული.

ასეა თუ ისე, ჩვენ შეგვიძლია დავუჯეროთ, ან არ დავუჯეროთ, მძიმე ცოდვების ტვირთი მკიდიაო, რომ ამბობს, მაგრამ თბილი ნაბადი რომ არ ასხია, ქარი აზრობს, ყინვისაგან გათოშილია, რის გამო ამოდენა ვაჟკაცი მობღუნძულა და თითქოს დაპატარავებულა — ეს კი სარწმუნოა. ამიტომაც ყველრის მზეთა-მზე მამა ღმერთს, მზეს — იესოს და საწუთროს მზეს — თავის მხსნელთა და ნუგეშთ — რომ მზის შუქი მოჰფინონ მის შეჭირვებულ სხეულს და მოწყალება გამოიმეტონ, სულ ახალ-ახალ კილოზე უხმობს ნუგეშად მზეს:

მზევ, მომხედე პირის ბრწყინვით,
ნუ დამაძრობ ცივის ყინვით,
სხივთ სითბოს გიქებს ბარუქი,
განმათბე, მომფინე შუქი!

ჰეშმარიტი პოეტური აღმაფრენითა და მრავალმხრივობით შესთხოვს დავითი ციურ ღვთაებებს შველას და შეწევნას, რომ არ დაკარგონ, არ გასწირონ, იხსნან განსაცდელისაგან, რათა მშობელ მიწაში დამარხონ თავისიანებმა. პოეტის თავგადასავლის ეს ნაწილი ავთანდილის ცნობილ მონოლოგს მოგვაგონებს, როდესაც „მიმავალი ცას შესტირის, ეუბნების, ეტყვის მზესა“:

აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალსა გაამაღლებ...

თითქოს ძალაუნებურად იქმნება ასოციაცია დიდი ქართული პოეზიის სათავეებთან გურამიშვილის სისხლხორცეული ნათესაობისა, ხან ღმერთს და ხან ცის მნათობებს რომ შეჰღაღადებს:

განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა-მზისა მთიებო,
ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღევ, რად არ მომიძიებო!
განმიადვილე გზა და სვლა, მეტად ნუ განმიძნელებო,
თინათინითაც განმათბე, ყინვით ნუ გამაცივებო!

მართალია, მზეს თვალით ვერა ხედავს, რადგან ის უხილავი ნათელია, მაგრამ „მზიანი ღამე“ ძნელია დასათმობლად. ვინ გაათბობს, ვინ მოუვლის, რომელი ქალი გამოჩნდება მზრუნველად, თორემ პოეტი დაუფარავად აცხადებს: „ძმას ვანაცვალებ დას მასაო“. მზისა

და მზეთა-მზის იგავური, სიმბოლური, თუ პირდაპირი სახე მთელს პოემაში გვხვდება. მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს თავში „მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა დასათბობლად ტირილითა თუ სიმღერის ხმითა“. რუსული მასონის ხმაზედ განწყობილი ეს ჰიმნი პირდაპირ მზის სიშორის გამო გოდებით იწყება:

მზევ, სიშორითა შენითა
ვსტირ გულზე კვნესით ჩემითა.
ყინვა მკლავს და მარჩობს ბუქი.
განმათბე, მომფინე შუქი!

სიცოცხლისა და ცხოვრების წყარო, ნათელი-ნათელთა, ნათელი წარუვალი შორსაა, თუმცა არ იცის, სადა აქვს მას ბინა, სად ზის, მაგრამ უგზო-უკვლოდ მავალი დავითი ავთანდილივით შესტირის მას და გულახდილად ეუბნება:

მზეთა-მზეო ამად ვსტირი
სადღაც დაგიფარავს პირი . . .

მართალია, ეს ძალუმი პოეტური სტრიქონები მოგვიანებითაა დაწერილი და არა უშუალო განცდის ადგილზე, დაღესტნის მთებში, მაგრამ პოეტის შეჭირვებით შეძრწუნებული მკითხველი მოჯადოებულივითაა, ავიწყდება, რომ თავის თავგადასავალს უკვე ხანდაზმული პოეტი მოგვითხრობს და ყოველივეს ხელშესახებად განიცდის. ამაშიაც თვალნათლივ ვლინდება პოეტის სტრიქონთა შთამბეჭდაობის სიძლიერე, მისი ინტუიცია, მეხსიერება და პოეტური სიტყვის ზემოქმედებითი ძალა.

მარტოსული, ბედის განჩინების პირისპირ თავდადრეკილად მდგარი შეცივნული და გათოშილი პოეტი ერთადერთ იმედად სახავს საესავ იესოს, მას შესთხოვს შემწეობას, მისგან მოელის სავალი გზისა და კვალის ჩვენებას, მისი იმედი აქვს, რომ ბრმას თვალს აუხელს და ხსნის გზას აპოვნინებს.

ამას მოსდევს პოეტურად უფრო ამაღლებული შვიდსტრიქონიანი ჰიმნი „მზეთა-მზის“ შესხმა და „ჭეშმარიტი გზის თხოვნა დავითისაგან“. ძალზე ძნელი იყო, ალბათ, გარკვევა, რა იკითხებოდა ამ სტრიქონებში პირდაპირ და რა გადატანით, რომ აზრთა ასეთი სხვაობა გამოიწვია, მაგრამ ავტორის მიერ ნახმარი ეპითეტები: „მზეთა-მზე“, „ძიუწვდომელი ნათელი“, „გრძელი, ძველი დღე“, „უფალი უფლებათა“, „მეფეთ-მეუფე“, „უბერებელი“, „უკვდავი“, „შეურყევი“ ნათელს ხდის, რომ ამ სიტყვების ქვეტექსტში ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით ყოვლისშემოქმედი იგულისხმება.

ლექსში „სვინდისის მხილება დავითისა, ოდეს დატყვევებულმან გამოპარვა გაივლო გულში“, ლაპარაკია გაქცევის ახალ ცდაზე და

ამასთან დაკავშირებულ ფიქრებზე; „გულმან მითხრა: ადეო! რაღათ მაიცადეო“. ეტყობა თავისუფლებისმოყვარე გული ურჩევს ადგეს და ისევ სცადოს ბედი, ისევ „განხეთქოს მტერთ მახე და ბადე“. თავისი საყვარელი მაცხოვრის სურათი ახლოს მოილანდოს, მის წინ ისე გულმდუღარედ იტიროს, რომ თავი შეაბრალოს, მის მეტი არავინ იწამოს, მის მცნებაზე დადგეს, დამორჩილდეს უფალს და მუსვრილი გული მის წინაშე დადოს...

ერთგულებით, თავდრეკილობითა და თავდადებით ფიქრობს პოეტი უზენაესის დახმარება დაიმსახუროს, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით ამ ლექსის შინაარსს, აქ მარტო ყოველთა არსთა უფალი არ უნდა იგულისხმებოდეს. პოეტი თვითონვე ამბობს:

სცან ამ ლექსთა ოგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეო!
ქრთილის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩავდეო.

ამას მოსდევს კეთილი და ბრძნული რჩევა-შეგონება, „დავითის მცნების“ მორიგი პოეტური მარგალიტი:

მე ეს ხიდი სავლელად დიაღ სწორეთ გავდეო,
შენ თუ მრუდათ გაივლი, მე რა წყალში ვარდეო!
დავით სწორეთ მოგითხრობს, თუ შენ შეიგვანდეო.

აქ თითქოს ისიც უნდა იგულისხმებოდეს, რომ წუთისოფელი არც ისე მრუდეა, სავალი ხიდი სწორედაა გადებული ყველასათვის, თუ ვინმე მრუდად გაივლის, მარცხი გარდაუვალია, და ყოველივე თავისივე თავს უნდა დააბრალოს.

ერთ შემთხვევაში კი ისიც უნდა იყოს ნაგულისხმევი, რომ გაქცევაც შეიძლება, საწადელსაც შეიძლება ეწიოს კაცი, ოღონდ უნდა ფხა გამოიჩინოს, ივარგოს, წყალში ჩავარდნილმა, პირველ ყოვლისა, ხელები გააქნიოს და არა მარტო სავედრებლად და სალოცავად აღაპყროს მარჯვენა და მარცხენა უფლისაკენ. ასეთი მორალური შემზადება დიდხანს გრძელდება. უთუოდ სწორადაა გადმოცემული ის ჭოჭმანი, საკუთარ თავთან გამართული ბაასი, თათბირი და შეგონებანი, რაც გაქცევას წინ უძღოდა. თავის თავს აფრთხილებს კიდეც, თუ როგორ მოიქცეს, ამ სახიფათო ნაბიჯის გადასადგმელად როცა ემზადება. მერე, როგორც მხოლოდ საკუთარ თავს მინდობილ მორწმუნეს შეჰფერის, ლოცულობს, თხზავს თავისებურ აკროსტიხს, რომლის სტრიქონთა მარცხენა მხრის თავკიდური ქმნის „მამაო ჩვენოს“ სრულ ტექსტს, რასაც უფალს უძღვნის და ამთავრებს: „ნუ შეიყვანებ ჩვენ განსაცდელთა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“, — სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც ლექთა ტყვეობიდან თავდასახსნელად განმზადებულს ესაჭიროებოდა. ამას მოსდევს იამბიკო „სამების ვედრება“—გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან. მომდევნო იამბი-

კო აკროსტიხია, რომლის კიდურწერილობაც შეადგენს „დავით გურამიშვილს“. სამივე აკროსტიხი — „თავდაღმა ჩამოკითხვას ითხოვს“ და პოეტი საგანგებოდ ივედრება, „არავინ შეცვალოსო“.

აქ პოეტის თავგადასავალში ლირიკული წიაღსვლის წესითაა ჩართული ცნობილი ლექსი „თომავ, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმეო“... შემდეგ კი პოეტი საგანს უბრუნდება და მოგვითხრობს „სიზმარს ტყვეობასა შინა“.

მძინარე დავითს უხილავი ხმა ჩაესმის ყურთ:

რატომ ვერ ბედავ წასვლასა, აგრე რამ შეგაშინაო?
... ადექ, იარე, წავიდეთ, მე წაგიძღვები წინაო!

პირველად უცნაური ხმა ცოცხალი ადამიანისა ეგონა, იფიქრა, თავს ჩემსავით ტყვე ვინმე წამომადგაო, გაცაუწყრა: თუ ასე გზა იცი და არ გეშინია, შენ წადი, ჩემი მეგზური კი მხოლოდ ქრისტე მაცხოვარია! შენ ვერ გენდობი, არ გიცნობ, არ ვიცი, ვინა ხარო! უცხო ხმამ კი დაურიდებლად მიუგო: სწორედ ის გწყალობს, ვისაც შენ ამბობ, შენს საცემრად ჯოხით მე სწორედ იმან გამომისია: რას დაგდებულა ის კაცი ფარეხს გარეთ, რატომ არ ეშინია გარეულ ნადირთაგან — ღამეა, განა დღეაო?

— კეთილი, წამოვალ, აქ ყოფნა ჩემთვის ნამდვილი ჯოჯოხეთია და არც მე მინდა, ოღონდ მაცალე, წმინდა-ქალამანი ვიშოვო სადმე.

უცნობი წმინდანი ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— ქალმან-წინდისა არაფერი ვიცი, ჩემი ვალი მოვიხადე, „გზას გაძლევს ცრემლნი მოყვასთა“, წადი და თავს უშველეო.

ფიქრისა და ჭოჭმანის დრო აღარ იყო. დავითმა ღმერთი ახსენა, იტირა, ივაგლახა და გზას გაუდგა, რომ ქრისტიანთა მტრების საზღვარი უვნებლად გადაევლო, პოეტი მას ცოცხლად აღადგენს:

დღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით უჰვრეტდი მთვარესა,
პირველნდევ შვიდთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა:
ღამით შიშველს მთას მოვადექ შუა დაღისტნის არესა,
ბუნ ქამსა რამეს შევესწარ სიცოცხლის დასამწარესა.

ნატანჯი, შიმშილისაგან გასავათებული, ჩამოძონძილი ტყვე გაიპარა და უცნობი მთებისაკენ აიღო გეზი, იქამდე რის ვაივაგლახით მიაღწია და მისდა შავბედად მაშინ წახდა ამინდი. ქარი, სეტყვა, ჰექა-ქუხილი, ელვა, ყველაფერი ერთად დაატყდა თავს და ყველაფერმა მისთვის მოიცალა, მაგრამ ღვთის საგმობი სიტყვები მაინც არ დასცდება. პირიქით, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდნილი, ისევ ღმერთს უმადლის და ამბობს: ჩემთვის კარგი თუ არ სდომებოდა, კარავს არ დამიდგამდაო. კარავს ეძახის ყინულებში შეთხრილ გამოქვაბულს. სეტყვამ გადაიღო და მეოტიც გამოძვრა გამოქვაბულიდან, ზვარაკი არ

ჰყავდა და ღმერთს ცრემლით დაუმადლა: „ღმერთო დამიხსენ მტერთაგან“. ეს ლოცვა გაიზეპირა, მაგრამ ამ მცირე ლოცვით არ დაკმაყოფილებულა. მთელი საგალობლების ციკლით მიმართავს ღმერთს და ბიბლიური დავითის რუდუნებით უგალობს უზენაესს, რომელმაც იხსნა ვანსაცდელისაგან, მაგრამ რაკი მთავარი განსაცდელი იმჯერად წინა აქვს, მომავლისთვისაც ეაჯება:

გზა სიმართლისა მასწავლე, იესო ქრისტეს მშობელო...

პოეტი ჩრდილოეთის მოციალე ვარსკვლავს მიჰყვებოდა. ეს უვალი გზა ჯერაც არ იყო გაწალდული, მრავალი ხნარცვი და ეკალი იყო ამ გზაზე, მაგრამ სიცოცხლის რწმენამ და სიყვარულმა თავისი გაიტანა. მისმა ბედის მიბჟუტულმა ვარსკვლავმა ციმციმი იწყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი განსაცდელი აქვს გადასალახი და ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება გადაეღობება სავალ გზაზე. ის საშინელი, ჯოჯოხეთური ღამე, რაც დავითს ლუში ფერებით აქვს დახატული, როგორც ნამდვილ ფერმწერს შეჰფეროდა, დღესაც გვაძრწუნებს. ეს ისეთი ღამე იყო, რომ პოეტმა გადარჩენა მხოლოდ სასწაულსა და უზენაესის ნებას მიაწერა.

ყვავისფრჩხილა, მჟავე კოწახური, რამდენიმე მკვახე ტყემალი, აი, რით იკვებება რუსეთისაკენ გეზაღებული გურამიშვილი, როცა მამითადში მოწვეულ მუშებს თვითონ ძროხით, ცხვრით, ღორის ხორცით და ღვინით უმასპინძლდებოდა. მაგრამ გარემოების შესაგვანად ამასაც ღვთის წყალობად თვლის. აქ შიმშილით სიკვდილის საკითხი იდგა და გემოვნებისა და არჩევანისათვის ვისა სცხელოდა. ალბათ, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც კი გაჭირდება ასეთი ძნელბედობის მაგალითის პოვნა. ასე მშიერ-მწყურვალი, ტიტველი, მხოლოდ ნარმის ახალი პერანგი რომ შერჩენია ტანთ და მუხლამდე სიშიშვლეს ის უფარავს, დაეხეტება კლდე-ღრეში, გზის გაგნება უნდა და ღმერთს დღიურ საზრდოს შესთხოვს:

მჭმეო, მ'მეო, ჩემო ტანთა მცმეო!
კერ მოგეშვები ცოცხალი, თუნდა მაწამეო,
მიბოძე საზდო სულისა, მშიან, მაჭამეო,
  კიდეც შემმოსე, სიცივით სულ ვკრთი ამ ღამეო!
ბალა-ჩალაში დავძვრები, ვითა ღალღა მეო...

ღალღასავით იმალვოდა იმ დღესაც, როცა დაღესტნის მთების ფერდობებზე ჩაბღოტდა, ღვთის გაჩენილი მგლებისა და დათვების შიშიც დასძლია, მდევართაგან თავის ასარიდებლად სამი დღე შამბიანშიც იწვა მაღლა აუხედავად. შამბნარში იწვა, რომ მდევარს არ დაელანდა, არც თვითონ ეწადა მოახლოებული საფრთხე ეხილა. ხუთ დღე-ღამეს შვიდი ცალი ტყემალი იმყოფინა საზრდოდ, მხოლოდ

ღამ-ღამობით ვიდოდა და ასეთი „ყოფა-ქცევით“ თერთმეტი დღე იარა. მეთორმეტე დღეს უჭალო მდინარის ნაპირს მიადგა. აქ თავდებოდა ლეკთა საუფლო. შამბნარში ნიბლიასავით გატვრენილმა მდინარის გაღმა ხალხი დაინახა, კალოობა ჰქონდათ. იმედი ჩაესახა გულში, იქნებ უფალმა ახლა მაინც დამიხსნას გამუდმებული შიშისა და ზაფრისაგანო, მაგრამ გამოჩენა და გამოლაპარაკება მაინც ვერ გაბედა. ისევ შამბნარში დარჩა, იქიდან უჭვრეტდა სიზმარში ღვთისაგან აღთქმულ მიწას და გულით ხარობდა. ცოტა ხანი გამოხდა, მეოტის გულის გასახეთქად ნავი გამოჩნდა, რომელშიაც ორი კაცი იჯდა. ნავს გეზი სწორედ იქითა ჰქონდა მიმართული, სადაც დევნილი იყო შეყუჟული. დავითს შიშით ბალანი აებურძგლა, მუხლი მოეჭრა. ღონე და ძალა წაერთვა, შამბნარში უკუსძვრა, მაგრამ არც მის შემშინებლებს დაადგათ კარგი დღე მისი უქოჩრო თავის ხილვით. დაზაფრული მენავეები უხმოდ გასცილდნენ „ფათერაკიან“ ადგილს. დატყვევებისა და უნცუქულში აყვანის დღიდან ტყვეს, მაჰმადიანური წესისამებრ, თავი გადახოტრილი ჰქონდა. მენავეებს მოხოტრილი თავის დანახვამ, ალბათ, ერთი იმ ავაზაკთაგანი გაახსენათ, რომლებიც სიმდიდრის მოხვეჭის მიზნით ადამიანებზე ნადირობდნენ და ამიტომაც გაეცალნენ უხმოდ და უჩუმრად. ასე ჩარჩა შამბნარში ძალამიღებული, შიშის ზაფრადაცემული, უღონოდქცეული დავითი განთიადამდე და ღამე უზენაესთან ვედრებაში გაატარა, სავედრებელი და სათხოვნელი კი ბევრი რამ ჰქონდა:

> აწ ნება შენი ჩემზედა აღსრულდეს აღსასრულითა,
> მინდა და ვეღარ დავძრულვარ ძალათგან განასულითა,
> თუ მიხსნი, ისევ გმსახურო ქრისტიანისა რჯულითა.
> თუ არა, მომკალ ხორცითა, ოღონდ ნუ წაჰწყმედ სულითა!

ირიჟრაჟა თუ არა, უძილო ღამის მთევარი გზას გაუდგა. მიდის, ჩერდება, მიწას ყურს აპყრობს, ისევ მიდის, უცებ ჯაგნარში რაღაც გაიფაჩუნებს, შეშინდება, კვლავ დააყურებს, მიხვდება, რომ ქვეწარმავალია და გულს ეფონება. ახლა გველებზე უფრო მეტად ადამიანს უფრთხის, გარბის უგზო უკვლოდ, მერე არაქათი ეცლება, მიწაზე დაემხობა, ხელებს ცისაკენ აღაპყრობს და საკუთარი სულის საოხად დიდი სეხნიის დავითის ფსალმუნს წარმოთქვამს: „მიწყალე მე, უფალო, რამეთუ მჭირს მე... რამეთუ მოაკლდა სალმობით ცხოვრება ჩემი და წელიწადნი ჩემნი სულთქმით, მოუძლურდა გლახაკობითა ძალი ჩემი, და ძვალნი ჩემნი შეძრწუნდეს... ხოლო მე, უფალო, შენ გესავ, ვსთქვი. შენ ხარ ღმერთი ჩემი და ხელთა შენთა არს მკვიდრობაი ჩემი, მიხსენ მე ხელთაგან მტერთა ჩემთასა და მდევართა ჩემთასა“... ბედზე უფალმა ორი კიტრი და საზამთროს ნახევარი ნაჭერი უბოძა. მაგრამ ვინც მისცა, მანვე წაართვა. ნაპოვნი კიტრები და საზამთროს ნახევარი

ას ოქროდ და ათას ვერცხლად უღირდა, მაგრამ შიმშილისაგან გასავათებულმა გაურეცხავად მაინც არ ინდომა საზრდო. მდინარესთან მივიდა უფლის ნაბოძების გასარეცხად, უცებ უბიდან კიტრები ამოუცვივდა და წყალმა წაართვა. გულზე ცეცხლმოდებული, შიმშილისაგან ფერდიფერდს მიკრული, კიტრებს დაედევნა, დაჭერა ეწადა, მაგრამ ბეწვზე გადარჩა, თვითონაც ლამის წყალმა არ წაიღო, დარჩა პირჩალაგამოვლებული და დაკარგულის დევნაში კინაღამ თვითონაც დაიღუპა.

წყალმან წაიღო, მივდივე, ვეცადე, ვერ დავიჭირე,
ბეწვი მწყდა მისის დევნითა, მეც წყალში არ დავიძირე.

დავითს ბედმა ერთხელ კიდევ აგემა სასტიკი მარცხი. ამაოდ ჩაიარა შისმა ამდენმა ლოცვა-ვედრებამ. არსთაგამრიგე ისე მოექცა, როგორც ჯამაძღარი, გულქვა ბატონი მოექცეოდა მშიერ ყმას. მაშინ კი შეჰბედა უზენაესს უკაცრაული, აკადრა ის, რასაც გულით არ იზრახავდა. მორწმუნე ქრისტიანმა ღმერთი დაგმო და საყვედური წამოსცდა მის მიმართ. მართალია, ამას თვითონვე მოინანიებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: „თუ მომეც, რაღათ წამართვიო“, წყრომითა და საყვედურით შეჰღაღადებს გულმოკლული პოეტი ღვთაებას. ბედის ასეთი თამაში და უზენაესის წაჯექ-უკუჯექობა გურამიშვილმა მაღალი პოეტური ოსტატობით შემოუნახა შთამომავლობას, თუმცა დავიწყების მდინარემ ბევრი რამ უფრო მნიშვნელოვანი წაიღო, ალბათ, თან თავისი მღვრიე ტალღებით. მორწმუნე კაცისათვის, ალბათ, ეს უფრო მეტი სისასტიკეა, სათაყვანებელი ღვთისაგან მომდინარე, ვიდრე თუნდაც ავაზაკთაგან დატყვევება და ხაროში ჯდომა. მაგრამ უზენაესს უფრო მკრჩხალი ბრჭყალები აქვს და უფრო მეტი სისასტიკის გამოჩენაც შეუძლია. ისევ სუსტმა უნდა დაუთმოს, მან უნდა დაიდრიკოს თავი ყოვლისშემძლის წინაშე. ნაბრძანებია: შიში შეიქმს სიყვარულსაო, და აი, გონსმოსული, გზააბნეული მორწმუნე იმავე ღმერთს შესთხოვს, მაპატიე, რომ უმეცრებით ყვედრება დაგიწყეო. ეს მომენტიც რეალისტურადაა გადაწყვეტილი. კლასიკურ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აღნუსხულია ისეთი ფაქტები, როცა წმინდა მოწამეებმა, დიდმა მორწმუნეებმა გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაგმეს ღმერთი და სასოწარკვეთილებმა გამოამჟღავნეს რწმენის შერყევისას საკუთარი სისუსტე და განცდები. პეტრე დაეჭვდა ქრისტეში, მერე თავი ცოდვილად ჩათვალა და შეშინებული აბარებს ტაძრის გასაღებს, თვით წმიდა იობი შეუორგულდა უფალს და მის ყვედრებას მოჰყვა, ბევრი თავდადებული წმინდა კაცი დარწეულა (როგორც ფესვებგაბარჯღული რტოებნაყარი მუხები ირწევიან გრიგალში) განსაცდელის ჟამს. ასე რომ, არც მორწმუნე დავითის წამიერი განდგომაა უსაფუძვლო, მით უმეტეს, რომ მაშინვე საკუთარ თავს კიცხავს ნებისყოფის სისუს-

ტისათვის: „მარხულობა და სასჯელი გონების გასაწმენდია, ხოლო „ნებიერობა ხორცისა სულისა წარსაწყმენდია“. „ცოდვის ხნარცვში ჩავარდნილ“ დევნილს სხვა შემწე არავინ უვის ქვეყნად და ამიტომ ასე გულდაგულ ევედრება „იესოს“, „კეთილ მწყემსს“, სთხოვე მამას, მაკმაროს განსაცდელი, მიხსნას, ისევ ურჯულოთა ხელში ნუღარ ჩამაგდებსო... მისი ლექსის კილო ისეთია, რომ მომაბეზრებლად გაჭიანურებული ლოცვაც კი სასიამოვნო საკითხავად იქცევა:

მამავ, შენი ძეო, ვითხოვ მიბოძეო:
ვიქცევი, ქვესკნელს ვვარდები, მისვეტ-მიბოძეო,
რად გძინავს, აღდეგ, უფალო, აწ განიღვიძეო,
მოდი, გამმართე წელ-გულში, სულ დავიბღუნძეო:
ის მტერნი, ჩემი მდევნელნი, დევნე, განაძეო,
შენ გამირკვიე დავითსა, რაც წინ გზა მიძეო!

თუ კარგად ჩავუკვირდებით, ეს მონოლოგი საკმაო გაბედულებითა და სითამამით უხვევს ღვთისმოშიში მაევდრებლის გატკეპნილი გზა-შარიდან და ირონიული ნართაულებიც არ აკლია: რად გძინავს, დროა გაიღვიძო და მას მიეშველო, ვისაც უჭირსო! ამ სიტყვებისათვის სხვაგან ინკვიზიციის მარწუხები, სამსჯავრო და დილეგი არ ასცდებოდა წამიც და დავითის ბედის ეტლის ბორბალი წალმა შეტრიალდა:

მოვდიოდი და ვსტიროდი, მოვსთქვამდი ჩემსა ზიანსა,
ღვთის საბოდიშოს სიტყვებსა ვიტყოდი თავაზიანსა:
უეცრად ალაგს მოვადექ ტურფასა, ლამაზიანსა,
მსხმოიარესა ბაღნარსა, ატმიანს და ვაზიანსა.

მშიერი და ქანცგაწყვეტილი მეოტი ვენახში გადაძვრა, მაგრამ ბუნებით კეთილს სინდისი აწუხებს და იმას ნაღვლობს, სხვის ბაღში როგორ გადავედიო! მართალია, თვითონ კდემითა და მორიდებით გვაუწყებს: „უწვრთელ ვარ, არა ვიცი რა დავითის ფსალმუნთ გალობაო“, რაც ზოგიერთმა გულუბრყვილომ სარწმუნოდაც მიიღო, მაგრამ ეს მხოლოდ თავის დამაკნინებელი, საბოდიშო თავის დამამცირებელი განცხადებაა. ასეთი რამ ქრისტიან მორწმუნე ხელოვანთა შორის უცხო ხილი არ გახლდათ. გარდა ამისა „დავითიანს“ ხომ ზნეობისა და მაღალი მორალის, სისპეტაკისა და სიწმინდის განსამტკიცებლად წერს ხანდაზმული პოეტი. რაც შეეხება მის ვაჟკაცურ თავმდაბლობას და კდემას, სწორედ ამიტომაა მრავალი ხელთუქმნელი საეკლესიო მართლმადიდებლური ტაძარი, შესანიშნავი საეკლესიო ფრესკული მხატვრობა და ოქრომჭედლობის დიდებული ნაკეთობანი ხელმოუწერელნი და სწორედ ამიტომ არა ვიცით რა მათი ავტორების ვინაობაზე. გარდა ამისა მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურნი კრძალავდნენ ტაძრებსა და ხელოვნების ნაკეთობებზე ავტორთა ვინა-

ობის გამომამჟღავნებელ წარწერებს. ასეთი წარწერები, მათი აზრით, ძალას უკარგავდნენ ხატებსა და წმინდანთა ღვთაებრივ წარმომავლობაში ეჭვს ბადებდნენ.

დავითმა ჩინებულად იცის გალობანი, ბიბლია, დოგმატიკა, რიტუალი, თეოლოგიია. მშვენივრად იცის, როგორ ელაპარაკოს უზენაესს, როცა უცნობის ბაღში უნებართვოდ შეჭრას ინანიებს:

> აწ ხორცმან გცოდა, ხორცს ჰკითხე, სულს ნურასა სთხოვ ვალებსა,
> ხორცსა აქვს დანაშაული, სულისა არა ბრალია...

ამას მოსდევს მთელი თეოლოგიური დოგმატიკა: „სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყრალია, ხორცი ამ სოფლის გემოთი, ნებიერობით მთვრალია“... და კიდევ ერთხელ თავდადრეკა და მობოდიშება არსთაგამრიგესთან, რომელიც თურმე დევნილის გზასა და კვალს წინასწარ ხედავდა.

ბოლოს და ბოლოს დასრულდა სასტიკი გამოცდა. ყოვლისშემოქმედი დარწმუნდა, რომ დავითის სახით საქმე აქვს ერთგულ მორწმუნესთან, კეთილ ქრისტიანთან და ეკლესიის ზარის ზრიალით უხმო სხვათა მძლავრობით გზაგამრუდებულ თავის შვილს თვის ტაძარში საკურთხეველთან. ქრისტიან კაცს ტყვეობაში მუეძინის გაბმული ყივილიც კი კეთილად ჩაესმოდა ყურში, რადგან იმ ხმაზე იგებდა ჯურღმულში მყოფი გათენებასა და ახალი დღის დასაწყისს. მაგრამ სულ სხვა იყო მორწმუნე ქრისტიანისათვის ზარის ზრიალი. ამ ხმამ იგი მკვდრეთით აღადგინა, დავრდომილმა გაიხარა, მისმა გულმა ძგერას უმატა, შამბნარში ჩამალული წინ წამოდგა, აღორძინდა, მიწას ეამბორა, სასოებით გახედა ეკლესიას, საიდანაც ზარის ხმა მოესმა და კარგა ხნის დამუნჯებულმა ხმამაღლა თქვა: „უცილოდ აქ არის ჩემი ბედი და წერანიო“. კვლავ ეამბორა მიწას. სარწმუნოების სიმბოლო — ზარის ზრიალა ხმა მისთვის აღორძინებული სიცოცხლის სიმბოლოდ იქცა. ძნელია კაცმა აღწეროს, რა ხდებოდა იმ წამს ვნებული პოეტის სულში! ვის შეუძლია სხვებს განაცდევინოს ჩამოძონძილი ტყვეობიდან თავდახსნილის, აწ უკვე თავისუფლების სამანზე მდგარის განცდები და სულიერი ტკივილები?

სირცხვილი და სიამაყე, სასოწარკვეთა და იმედი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეჭიდებოდნენ ერთურთს მის სულში, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყველაფერს სძლია სიცოცხლის სიყვარულმა. აწ თავდასხნილმა ტყვემ პირიდან ყურძნის მარცვლები წამოყარა და ეკლესიისაკენ ფრთებშესხმული წავიდა.

მაგრამ ერთხელ კიდევ დასცინა წუთისოფელმა. მუხთალ საწუთროსაგან ათასჯერ მახეში გაბმულ დავითს ნამდვილი ტრაგიკომიკური ამბავი დაემართა. ქალთა თავსარქმელი „იალქანნი“ დევების რქებად

მოეჩვენა, დადრკა, შეშინდა, ახლოს მისვლა ვეღარ გაბედა და შორს გაცლა განიზრახა. მისი იუმორის ნიჭი ამ ეპიზოდშიც იჩენს თავს. ისევ ბაღს მიადგა, ჯიბე-უბე ხილით აივსო და დაბინდების მოლოდინში ხშირ ჩალიანში შევიდა. ჩალის ძირების შერხევაზე კოღოს ლაშქარი წამოადგა და თუ მეოტს პირი დროზე არ „დაეცო“, უცილოდ დაახრჩობდნენ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, აქაც ისე მოხდა. კოღოების ლაშქარმა დავითი ჩალიდან განდევნა და აიძულა გაქცეულიყო. სიცოცხლეგამწარებულმა, ყველგან და ყველაფერში ხელმოცარულმა, გადაწყვიტა, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, მაინც ჯიქურ მისულიყო იმ ხალხთან. აჩქარებით მიმავალმა უცებ ისევ მოჰკრა ხალხს თვალი. ისინი კალოში ჩაშლილ ძნას ლეწავდნენ. დავითს ლამისყანაში მოუმკელი ხოდაბუნები გაახსენდა და გული ჩასწყდა. მაგრამ ახლა სევდისა და ვაების დრო არა ჰქონდა. იგი აჩქარებული ნაბიჯით მიუახლოვდა მარტო ქათქათა პერანგებით მოსილთ, რომელთაც ყელზედ ჯვრები ეკიდათ. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას დასტოვებდა ტყვეობიდან თავდახსნილი, წვერმოშვებული, გაბურძგნული, თავმოხოტრილი, ნაწამები, ნაგვემი და ჩამოძონძილი ადამიანი. გლახაკად მიიჩნიეს, ღატაკ ლაზარეს ამბავი გაიხსენეს და „ხლება“ — პური მისთავაზეს, ამის გამგონე დავითი მიხვდა, რომ სარუსეთომდე მიუღწევია, ჯვარს ემთხვია სიხარულისაგან მეცხრე ცაზე მყოფი დავითი, მაგრამ უმჯობესია თვითონ მოვუსმინოთ:

ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებაო, ლაზარი!“
„ხლება“ რა მესმა, დამეცა, მე სიხარულით თავზარი,
მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექმნა ზანზარი,
ვეღარ დაიგნეს სვეტებმა და გარდაიქცა ტაძარი.

მთელი დუნია რომ მოიარო კაცმა, ყველა დასტამბულ წიგნს ჩახედო და გააანალიზო, ალბათ, ასეთი ამაღელვებელი, სულისა და გულის შემძვრელი ამბავი ბევრი არ იქნება ქვეყნად. დაუნდობელი ავაზაკების ტყვეობიდან ლტოლვილი, შიმშილით სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი, პირღია უფსკრულებისა და ნადირთა კლანჭებისაგან სასწაულებრივ თავდახსნილი ქრისტიანი პოეტი, თანამორწმუნეებთან მოხვედრილი, სიხარულით თრთის, თვალთაგან ცრემლები ემალმალება, შიშველ-ტიტველი დაურიდებლად ეხვევა უცნობ ადამიანებს და ეამბორება ჯვარს, რწმენისა და ძმობის სიმბოლოს.

უბადლო ოსტატობით გადმოგვცემს პოეტი თავის ჩამუხლისთავებას. ადამიანის მუხლების რყევას, აცახცახებს, მოკვეთას და ძირს დამხობას იგი ტაძრის გარდაქცევას ადარებს. მხოლოდ ახლა დარწმუნდა ლეკების ტყვე, რომ გადარჩა:

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო.
სანამდის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო,

რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო,
ამ სიხარულმან დამშალა ჯავრით შეკრული კონაო.

ვიღაც დაძონძილ გადამთიელს რუსი ყაზახი გამოუჩნდა შემწედა და მომვლელად. დავითი დიდად უმადლის თავისზე მზრუნველს გაწეულ ამაგს და მისდამი პატრონობის გამო იმ ყაზახს საკუთარ მშობელ მამას ადრის. იგი დიდი სიხარულითა და გრძნობით ლაპარაკობს რუსი ადამიანების მიერ გაწეულ ჰირისუფლობაზე მის მიმართ, მათ ყურადღებიანობასა, გულშემატკივრობასა, თავაზიანობასა, სტუმართმოყვარეობასა და გულითადობაზე.

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მამიარაო,
როცა რომ მყვანდა, შივლიდა, მეტს მამაჩემი არაო.
შევბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო,
სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოვლელი იანვარაო.

როგორც პოემიდან თვალნათლივ ჩანს, ფხოვლელი იანვარა ჩრდილოეთში დიდი ხნის გადასული ყოფილა, რუსულ ენას კარგად დაუფლებული და რუს ყაზახებთან შეტკბობილი. მისი შემწეობით ყაზახრუსებს მეგობრული საუბარი გაუმართავთ დავითთან, გამოუკითხავთ, ვინ იყო, სადაური, სად იყო ლამისყანა, ნავით გადაუყვანიათ მდინარეზე და მთისა და ბარის ამბებსაც შეჰკითხვიან.

ბუნებრივია ისიც, რომ ამბის გაგების შემდეგ ქრისტიანები უპატიოდ არ დასტოვებდნენ ურჯულოთაგან დატყვევებულ და თავისით თავდახსნილ მოყვასს. თერგის მიდამოებში იმ ხანებში ბევრი ლტოლვილი ქართველი სახლობდა. ალბათ, პოეტი იმათაც ესტუმრა, მაგრამ წვრილმანებზე აღარ ჰყვება და ძუნწად, სულ სამიოდე სტრიქონით მოგვითხრობს თუ სად წავიდა:

„თერგიდამე სოლაღს წაველ, სოლაღიდამ აშტრახანსა,
მუნით მოსკოვს"....,

ასე ელვისებურად მოსჭრა სათქმელი. ეჩქარება, მოსკოვს ხომ მეფე ვახტანგ მეექვსეა თავისი ამალით შეხიზნული.

როდის მოხდა და რამდენ ხანს გაგრძელდა ტყვეობა?

მკვლევარები ერთ რამეში შეთანხმებულებივით არიან: ტყვეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს თუნდაც იმით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ლეკები ტყვეებს დიდხანს არ აჩერებდნენ. თუ არავინ გამოისყიდა, სტამბოლისა და ალეპოს ბაზრებზე მიერეკებოდნენ, თვითონ გურამიშვილიც ხომ გვიდასტურებს, გასასყიდად დამაშურესო. დატყვევება ზაფხულში მომხდარა, ალბათ, ივლისის თვეში. პური გაჭრილი



„მიუცხოეს და შემოკრბენ მუნ ჩემი გამშინჯვარები,
მარტო პერანგით მოსილთა ყელზე ეკიდათ ჯვარები...“

ყოფილა, რაკიღა მამითადში მომკელები იყვნენ დაძახილნი. გაქცევით კი იმავე ზაფხულის ბოლოს, აგვისტოს მიწურულსა და სექტემბრის დამდეგს, გაქცეულა. პოეტს მჟავე კოწახური, ტყემალი და ყოვისფრჩხილა ხვდება გზაში და მითი იკვებება. თუ ყოველივეს კარგად ავწონ-დავწონით, მთაში და, ისიც ალპურ ზონაში ტყემალი და მჟავე კოწახური სწორედ აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრამდე იქნებოდა შემორჩენილი. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, დავითი ტყეობიდან იმავე ზაფხულს გაპარულა (ყურძნობისას მკვლევარს ის უკვე თერგზე ეგულება). მაინც რომელ წელს დაუტყვევებიათ პოეტი? ამ კითხვაზე პეტრე უმიკაშვილი უპასუხებდა: „არ ვიცითო“. თედო ჟორდანია კი ამ ტრაგედიას ზედაველას ბრძოლას უკავშირებს, რაც 1724 წელს ზაფხულში მოხდა. მკვლევარი უფრო 1725 წლისაკენ იხრება. იმავე აზრისანი არიან მოსე ჯანაშვილი და კორნელი კეკელიძე, ამ უკანასკნელმა შემდეგ დავითის დატყვევების თარიღი ოთხი წლით გადმოსწია.

ალექსანდრე ხახანაშვილის აზრით, ეს ამბავი 1724 წელს მომხდარა. მკვლევარების ამოსავალ წერტილს პოეტის დატყვევების თარიღის დადგენის საქმეში ისევ მისი თხზულება წარმოადგენს. გურამიშვილი ზედაველას ბრძოლის დროს ოც წელს მიტანებული ყმაწვილი კაცი ყოფილა. ეს ბრძოლა კი 1724 წელს მოხდა. გიორგი ნატროშვილი მართებულად საზღვრავს ამ თარიღს 1729 წლით თვით პოემის ქრონოლოგიური სისტემიდან გამომდინარე. პოემა ხომ სიბერის ჟამს შეჰქმნა პოეტმა. ვახტანგ მეფე რომ რუსეთში წასული და იქვეა გარდაცვლილი, ეს „ქართლის ჭირის“ ავტორმა იმთავითვე იცის, მაგრამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპს არ ღალატობს და პოემას ისე წერს, თითქოს ადრევე დაეწყოს მისი წერა და ვახტანგის შემდგომი ბედი არ უწყოდეს:

ვახტანგი რუსეთს წაბრძანდა, რაჭაზე გარდაიარა,
სხვას იმის ამბავს კვლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგია რა.

სინამდვილეში კი პოეტმა ეს, როგორც ითქვა, უკვე იცის. ლეკთაგან თავის დატყვევების ამბავს აღწერს უშუალოდ მას შემდეგ, რაც გადმოგვცემს იმ ხიფათს, რაც კონსტანტინე კახთა მეფეს შეემთხვა. კონსტანტინე უსუფ-ფაშამ სადარბაზოდ მიიწვია და უკან დაბრუნებული მოაკვლევინა. ეს ამბავი კი 1729 წელს მოხდა. იმავე წელს ცადეს თურქებმა კახეთში შეჭრა და იმავე 1729 წელს დაუტყვევებიათო გურამიშვილი, სწორად დაასკვნის მწერალი-მკვლევარი. ამავე თარიღს, სათანადო საბუთების მოხმობით, უფრო ადრე ამკვიდრებდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

ასეა თუ ისე, სტამბოლისა და ალეპოს ტყეობის ლანდი ქვესკნელში ჩაიკარგა: გადარჩა არა მარტო ქართველი თავადი, არამედ ქართუ-

ლი პოეზიის ოქრო ფურცელიც. ქართველი ხალხი გულწრფელად უმადლიდა და უმადლის ერთმორწმუნე რუს ხალხს ამ განძის გადარჩენას.

მოსკოვში ჩასული პოეტი თაყვანსა სცემს ვახტანგსა და ბაქარს, როგორც ქართველთა მეფეებს, თუმცა სამეფო აღარა აქვთ, და სკიპტრას, თაჯს, თომარს და მურასა ხმალს ტყუილადღა დაატარებენ. დაბრუნების იმედის სხივი კი უკიაფებთ სულში. იმედი, მაცდური იმედი... რამდენი კაცისათვის უმუხთლია მას და გაცუდებულა!

როცა დავითი ეახლა გვირგვინოსნებს, ვახტანგი და მისი ამალა უკვე ექვსი წლის ჩასულნი იყვნენ მოსკოვს.

სამკვიდრომოკლებულის ჯაბადარ-ბაში

„მოსკოვ-ქალაქს მზეს ველოდით“...

დავითიანი.

ამაოდ არ ანდო ბედი დაღესტანში გზააბნეულმა გურამიშვილმა ჩრდილოეთის ვარსკვლავს. პირველი გაქცევის მერე გული ერთთავად რუსეთისაკენ მიუწევდა. იქ ეგულებოდა ქართველთა მეფე ვახტანგ მეექვსე. იქ რუსთა იმედით ელოდნენ ქართველები სანუკვარ სამშობლოში დაბრუნების სანეტარო წამებს, გარნა საქართველოს ცას ისევ ისპაჰანიდან მოეძალნენ შავი ღრუბლები. ისევ მოიქუფრა ზეცა და პირქუშ ცაზე მოსალოდნელი ქარიშხლის ავი ნიშნები აღჩნდა.

დავითი მტკიცედ დაადგა უვალსა და ხნარცვიან გზას მოსკოვისაკენ. იგი სოლაღის, ასტრახანისა და ცარიცინის გავლით მშვიდობით ჩააღწევს კიდეც მოსკოვს 1729 წელს.

ასტრახანიდან მოსკოვამდე გაჭიმული გზა არც დღეს არის მოკლე და იოლი, თორემ იმ დროს, როცა რესორიანი ეტლები არ იყო და თვითონ გზებიც მოუკირწყლავი გახლდათ, ბუნებრივია, მგზავრობა ტანჯვა-წამებად იყო ქცეული და მის გადალახვას დიდი ჯანი, მოთმინება და გამძლეობა სჭიროდა. ამ გზის დაძლევა მით უფრო გაუძნელდებოდა უქონელ ლტოლვილს, რომელიც ტყვეობას ძლივს გადარჩა და ლეკთა დილეგიდან შემოგლეჯილი პერანგისა და გაუტეხავი სულის მეტი არა გაჰყოლია რა.

მოსკოვი იმ დროისათვის ქართველებით „დასახლებული“ ქალაქი იყო და დავითს იქ მრავალი მამულიშვილი ელოდა. პირველი სამოსახლო მოსკოვს იმერეთისა და კახეთის მეფემ არჩილმა დააფუძნა. ამ ნიჭიერმა პოეტმა და დაუღალავმა მოღვაწემ მშვენივრად იცოდა რუსული, სპარსული, თურქული და ბერძნული ენები. მანვე გამართა

პირველი ქართული სტამბა მოსკოვში 1703 წელს. დავითი კი მაშინ დაბადებულიც არ იყო. არჩილი მოსკოვს 1685 წელს ჩავიდა. მას თან ახლდა თავისი ვაჟი, თორმეტი წლის ალექსანდრე, რუსეთის მომავალი იმპერატორის პეტრეს კბილა, მეგობარი და თანამებრძოლი. ეს ის ალექსანდრე ბაგრატიონია, რომელიც რუსეთის დიდმა გარდამქმნელმა პეტრემ სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად ჰააგაში გააგზავნა, მერე სწავლაგასრულებულს, გენერალფელდცეხმაისტერობა უბოძა და რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რუსეთის არტილერიის დაარსება. ალექსანდრე ბაგრატიონი შვედებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა, ათი წელი იტანჯა საპყრობილეში, არა და არ მოხერხდა მისი სხვა ტყვეებზე გაცვლა, რადგან შვედების უფალმა — კარლოსმა იცოდა ტყვის ფასი. მხოლოდ ამ ერთ კაცში პეტრეს რამდენიმე გენერლის განთავისუფლება და ათი კასრი ოქრო მოსთხოვა. ბავშვობის მეგობრისა და თანამებრძოლის გულისათვის პეტრე შვედთა ტყვე გენერლებს კი შეელია, მაგრამ იმდენი ოქრო ვეღარსად იშოვა და სტოკჰოლმის საპყრობილის დილეგში დასნეულებული ალექსანდრე ბაგრატიონი პიტერში აღესრულა. მისი ნეშტი, როგორც იყო, პატივით ჩამოასვენეს მოსკოვს და დონის მონასტერში, სადაც პეტრე დიდმა ქართველებს ძვალთშესალაგი უბოძა, დაკრძალეს.

პეტრე პირველი დიდ პატივს სცემდა არჩილ მეფეს. მის ოჯახს არჩილის გარდაცვალების შემდეგაც არ მოჰკლებია მისი მაღალი ყურადღება. ტანად ახოვანი, პირმშვენიერი, მეფე-რეფორმატორი დიდად აფასებდა მისდამი ერთგულების სულისკვეთებით გამსჭვალულ ქართველების ნიჭსა და სიმამაცეს. და მაინც განსაკუთრებული პატივით ექცეოდა და-ძმას — ალექსანდრესა და დარეჯანს. ისტორიკოსებს დღემდე ვერ ამოუხსნიათ საიდუმლო, პოლტავის ბრძოლიდან მოსკოვს დაბრუნებულმა მეფემ გამარჯვების ლხინი დარეჯანის სასახლეში რად გამართა?

ასეთი მეგობრობა იყო მყარი ნიადაგი, რომელზედაც აღიმართა ქართველთა და რუსთა დიდი მეგობრობის ზღუდე. სამწუხაროდ, დავით გურამიშვილის მოსკოვს ჩასვლის დროისათვის უკვე წაქცეულია ამ ზღუდის უმთავრესი სვეტი — პეტრე პირველი. ხოლო მის უხერხემლო მემკვიდრეებს დიდი მბრძანებლის განზრახვათა და ჩანაფიქრთა განხორციელებისათვის ძალა და გონი აღარ შესწევთ. დიდი ხელმწიფის შორსმჭვრეტელურ მიზნებს მისი მემკვიდრენი თვითონ უქცევია თოჯინებად და ისინიც შეგუებულნი იმ აზრს, რომ დიდთა საქმეთათვის არ დაჰბადა საწუთრომ, ქედმაღლურად, მაგრამ მარტივად, თითქოს სცენაზე ასრულებენ დიდი რუსეთის, „შვიდთა იყლიმთა მპყრობელი“ იმპერატორების ურთულეს როლს. გაიძვერა კარისკაცთა და ფავორიტთა ხელში პეტრეს მომდევნო დიდმპყრობელნი თვითონ აქ-

ცია ბედის განჩინებამ სათამაშო თოჯინებად. პარიკებით მორთულ-მოკაზმულნი, გაპუდრულნი, სუნამო უხვად ნაფრქვევნი ისხდნენ ისინი უდიდეს ტახტზე, იძლეოდნენ განკარგულებებს და ქვეყნის ნამდვილი გასაჭირის, მისი მომავლისა, აწმყოსი, წარსულისა და რაც მთავარია, რუსი ხალხის ინტერესებისა არაფერი ესმოდათ და გაეგებოდათ.

ვახტანგ მეფემ ლტოლვილი მამაშვილურად მიიღო, ცრემლი შეაშრო, შვება მოჰგვარა, ანუგეშა, თავის ამალაში მიუჩინა ადგილი. სამკვიდრომოკლებულმა მეფემ ბოგანოსა და იდუმალ ლტოლვილს არც სხვა წყალობა დააკლო. ეტყობა, იმთავითვე პატივით მიუღია და მოსწონებია, რომ აბჯართსაცავის მზირობა დაუვალებია: „მითხრეს სჭვრეტდე ჯაბახანსაო“, გვაუწყებს მოხუცებაში წელთა სიმრავლით დამძიმებული პოეტი. ასე და ამრიგად, აღმოჩნდა დავითის ხელში სანუკვარი იარაღი, რაც ჰაერივით სჭიროდა დაღესტანში. აქ კი აბა რას აქნევს ნომინალურ ქართველ მეფეთა იარაღს ერთგული ჯაბადარ-ბაში!

ფხა და მარიფათი კი მაშინვე გამოუჩენია საქმეში. ტულაში გამგზავრებულა იარაღის შესაძენად, აბჯარი განუმრავლებია, მაგრამ ვაგლახ, რომ ამ იარაღის სამშობლოსათვის გამოყენება მისი ბედის კარაბადინში არ ეწერა.

რაღა თქმა უნდა, მოსკოვს მყოფ ერთ მუჭა ქართველებს დიდი ვერაფერი არსენალი ექნებოდათ, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო მათი იარაღის საწყობი. რაც არ უნდა იყოს, იმ დროისათვის ხუთი ათასი მოლაშქრის თოფ-იარაღი და ისიც დარჩეული ხარისხისა, სახუმარო საქმე არაა! ეს იარაღი მერე ბრწყინვალედ ჩააბარებს გამოცდას პრუსიასთან ომში და ერთხელ კიდევ უჩვენებს ქვეყანას ქართველთა გულოვნებას, ხმლის ფხიანობასა და შემართებას.

ნივთიერად რა უნდა მიეცა ჩვენი პოეტისათვის ჯაბადარ-ბაშობას? წელიწადში ორმოცი მანეთი დაუწესებიათ მისთვის, ორასი ფუთი ხორბალი და ერთი საქენი შეშა. ასეთი ყოფილა ჯაბადარ-ბაშის გასამრჯელო. ხელმოკლედ მყოფ დავითს თურმე უფროსი ძმა ქრისტეფორე გურამიშვილი ეხმარებოდა. რა განძსა და სალაროს იშოვიდა სამკვიდროწართმეული მეფის კარზე მყოფი, თუნდაც ისეთი პოეტი, როგორიც დავით გურამიშვილი იყო იმ დროში? ნივთიერად, რაღა თქმა უნდა, ვერაფერს! მხოლოდ წუთიერ სიამოვნებას თუ იგემებდა პაექრობაში გამარჯვებული. სახელსა და დაფნას თუ მოიპოვებდა მცირერიცხოვან თანამემამულეთა შორის. სახელს, რომელიც მის თანამედროვეთა ამქვეყნიდან გასვლასთან ერთად განქარდებოდა, რომ სასწაულებრივად გადარჩენილ „დავითიანს“ ჩვენს დრომდე არ მოეღწია. დაფნას, რომელიც სულ მალე ჰკნება.

განდიდება მეფისა, მისი სიბრძნისა და ბატონიშვილთა ქება-დიდება, მათი გონიერების, შემართების, ზნისა და სიუხვის ხოტბა, საუკეთესო სურვილები, მომავლის იმედით ცქერა და სამშობლოს ურჩხულთაგან დახსნის ოცნება ჯერ კიდევ არ იყო დიდი პოეზიის სარბიელი და რაკი იმ დროს ჰონორარიც არ არსებობდა, კარის ახალგაზრდა მგოსანს მხოლოდ პოეტური ვარჯიშით მიღებული კმაყოფილება რჩებოდა. ასე იწერებოდა „მცირე ლექსი“, „სანადიმოდ და სამღერელად“ გამიზნული, ეს იყო პირველყოვლისა დრო-ჟამის ხარკი. მერე ახალგაზრდობაში რომელ პოეტს არ უთქვამს „სალაღობოდ და ამხანაგთ სათრევლად“ ლექსი. მუხთალმა საწუთრომ არ შემოგვინახა პოეტის იმდროინდელი ჩანაწერები. ისინი ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე, უკრაინაში, მისი სახლ-კარის დაწვისას განადგურებულა. ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია იმ წლებში დავითის მადლიანი კალმით შექმნილი მნიშვნელოვანი ქმნილებები.

მაგრამ, რაც მთავარი და მთავარია, გურამიშვილი თავისუფალია! სხვათა ტყვე აღარაა. ნება ეძლევა ხელთ კალამი აიღოს, წეროს, გაერთოს, სულითა და გულით გაიხაროს მოსკოვის მაღალ საზოგადოებაში. მის წინაშეა ორი ერის რჩეული არისტოკრატია, მომხიბლავი ასულნი, დიდება... მაგრამ ჩრდილოეთის ქვეყანას სამადლოდ შეკედლებული, მამულიშვილი პოეტისათვის მძიმეა „სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა“, ძნელი ასატანია სამშობლოს სიშორე და დანაღვლიანებული მგოსნის დაკოდილი გული და ქნარი უდარდელად ვერასოდეს იძგერებს და იჟღერს.

პოლიტიკური ლტოლვილი ვახტანგ მეექვსე ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა რუსეთის სამეფო კარს სპარსეთთან აწეწილ-დაწეწილ საქმეთა მოსაკვარახჭინებლად და დიპლომატური პაექრობის ჟამს. სწორედ ამიტომ ჰყავდათ იგი დიდ პატივში და მისი ამალის წევრებიც, კარისკაცთა ენით რომ ვთქვათ, უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდნენ.

პოეტის ძმის ქრისტეფორეს და მის თანამდგომთა კვლევა-ძიებას უკვალოდ არ ჩაუვლია. თუ დაუცხრომელი ისტორიკოსი და დიდი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი, ლათინური ენის დიდი მცოდნე ივანე ბაგრატიონი, ვახუშტის ძმა არტილერისტი პაატა ბაგრატიონი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი ლევან ბაქრაძე, უებრო მათემატიკოსი დიმიტრი ციციშვილი და სხვები ფუტკრებივით დაუღალავად იღვწოდნენ, დიდი პოეტი და პატრიოტი დავით გურამიშვილი გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდებოდა. ვინ იცის, რამდენი ძვირფასი ხელნაწერი გაანადგურა დროის მსახვრალმა ხელმა.

თვითონ ვახტანგ მეფე, შესანიშნავი პოეტი, ჩვენთვის ცნობილ მოღვაწეთაგან რუსთაველის პოემის პირველი გამომცემელი, კომენ-

ტატორი და განმმარტებელი, მკვლევარი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ასტრონომი და იურისტია. ცხადია, სიახლოვე ისეთ უნივერსალურ და დაუზარელ კაცთან, რომელიც ჭირმანის გადასახლებაშიც კი არ ისვენებდა და ქართულად ათარგმნინებდა მაჰმადიანური სამყაროს გენიით აღბეჭდილ თხზულებებს, უქმად არ ჩაუვლიდა დავით გურამიშვილს. დავითი, მისი ძმა ქრისტეფორე, ბიძა მერაბ გურამიშვილი სწორედ იმ წრეში ტრიალებდნენ, რომელშიაც ხსენებულ გამოჩენილ ადამიანთა გარდა შედიან დიმიტრი ბაგრატიონი, ლექსწყობის დიდი მსაჯული — ქართველთა ბუალო — მამუკა ბარათაშვილი, თომა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, შიოშ ჯავახიშვილი და სხვანი...

იმდროინდელი რუსეთის ლიტერატურა უკვე საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი და თავისებური იყო. საკმარისია ითქვას, რომ იმ ხანებში მოღვაწეობდნენ კანტემირი, ტრედიაკოვსკი, სუმაროკოვი, პროკოპოვიჩი და ახალგაზრდა ლომონოსოვი.

გურამიშვილის რუსეთში ცხოვრების წლებში შლის ფრთებს ნამდვილი რუსული ლიტერატურა, აღმოცენებული მდიდარი ფოლკლორისა და ძველი რუსული დამწერლობის ნიადაგზე. რუსული მწერლობა თანდათანობით აღწევს თავს შუასაუკუნეობრივ ბნელეთს და ევროპის ლიტერატურათა ოჯახში მტკიცედ იმკვიდრებს კანონიერ ადგილს. განმანათლებლურ იდეებს გზას უკაფავენ პეტრე პირველის რეფორმები. რუსეთში თანდათანობით ყალიბდება პირველი დიდი ლიტერატურული მიმდინარეობა, რასაც კლასიციზმი ეწოდება და რაც მთელ მე-18 საუკუნეს მოიცავს. მწერლები მრავალ სერიოზულ ნაწარმოებებს: ლექსებს, იგავებს, პოემებს, პროზაულ თხზულებებს ქმნიან. ტრედიაკოვსკი პოემა „ტელემაქიადაში“ თავს ესხმის ტირანებს.

ეჭვს გარეშეა, ქართველი ემიგრანტები რუსულ ლიტერატურას ევროპულთან ერთად, როგორც მაცოცხლებელ წყაროს, ისე ეწაფებოდნენ. პოეტის ძმას ბერ ქრისტეფორე გურამიშვილს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუცია თეოფანე პროკოპოვიჩის „სახელმძღვანელო ბავშვებისათვის“ და ქართულ ენაზე აუჟღერებია იგი.

მოსკოვში ჩასვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ვახტანგის სასახლეში, იქ, სადაც ახლა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის მშვენიერი შენობაა წამომართული, გურამიშვილის შაირობის უნარიც გამოსცადეს. ამაში კი ის უფრო დახელოვნებული აღმოჩნდა, ვიდრე მისი დროის რომელიმე ქართველი. ვახტანგის სასახლეში ხშირად იმართებოდა პოეტთა შეჯიბრებანი. როგორც ცნობილია, ყველა ქვეყნისა და ეროვნების ადამიანები ოდითგანვე პირველობას ეცილებოდნენ ერთურთს, არა მარტო ხმალში, ცხენოსნობასა, ჭიდაობასა თუ სპორ-

ტის სხვა სახეებში, არამედ ლექსთა უკეთ თხზვასა და მხატვრულ კითხვაშიც. ვახტანგის სასახლეს დავითის იქ ჩამოსვლამდე უკვე ჰყავდა თავისი აღიარებული პოეტები: მამუკა ბარათაშვილი, შიოშ და ერასტი ჯავახიშვილები და სხვანი. დავითი რომელიღაც ჯავახიშვილისათვის გაუჯიბრებიათ: „ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსაო“, მახვილი პოეტური სტრიქონებით აცოცხლებს ამ ეპიზოდს გურამიშვილი. მკითხველი გურამიშვილის თავმდაბლური განცხადებიდან ადვილად შენიშნავს, რომ ჯავახიშვილი, თუ შაირობაში გურამიშვილს ეპაექრებოდა, ხელწამოსაკრავი პოეტი არ ყოფილა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ვინ იყო ის „პირად მჭლე და ტანად ხმელი“ ჯავახიშვილი, ვისაც დავითი შეაჯიბრეს: ერასტი, შიოში თუ სხვა ვინმე, მაგრამ ის კი კარგად ვუწყით, რომ იგი უკვდავჰყო გურამიშვილის ერთმა სტრიქონმა და არა საკუთარმა პოეზიამ.


ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსა,
პირად მჭლესა, ტანად ხმელსა, ვით ნუჟრიანს ხესა მრუდსა,
რაც მე უთხარ, მას მიაჩნდის, ვით ნარცეცხლა უკან კუდსა,
ბევრჯერ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა.

ეტყობა, „სიბრძნის ერთ-ერთ ძირითად დარგში“ და ზმათა თქმაშიც გურამიშვილმა კარგი დღე არ დააყარა ჯავახიშვილს, რადგან ის „კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა“. გამარჯვებულ პოეტს უხვად ასაჩუქრებენ. პირველი არმაღანი — პირველი ჰონორარი მიიღო დავითმა მეფე პოეტის ხელიდან, რომლის სახელი იყო ვახტანგ სჯულმდებელი. ვინ იცის? ტერენციუსის კომედიის ერთი გმირისა არ იყოს, კაცთაგან გასაკვირი და უცხო არაფერია, და იქნებ მეფე პოეტს შეშურდა კიდეც გულში ერთგული ყმის პოეტური ნიჭი და სიტყვის ძალა?!

ალბათ, ის ჯავახიშვილი იყო ვახტანგის კარზე მანამდე დაუმარცხებელი პოეტი, რაკი დავითი არ თაკილობს მას თავი გაუყადროს. ჯავახიშვილის დამარცხება გურამიშვილს პირველი პოეტის სახელს შესძენდა. მაგრამ ის უკვე ჯაბადარ-ბაშის მზირი იყო და იმდროინდელი შეხედულების მიხედვით მეტი, ვიდრე კარის მგოსანი.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფის სასახლეში, მოსკოვს ხდება ის, რაც მერე მეორდება ერეკლე მეორის სასახლეში, ერეკლე მეორის მდივან-მწიგნობარ მზეჭაბუკ ორბელიანსა და ბესიკ გაბაშვილს შორის პაექრობის სახით. საგულისხმოა, რომ ჯავახიშვილიც მზეჭაბუკ ორბელიანივით ნუჟრიან ხეს მიაგავს, ისიც „უთლელის კუნძის შესაგვანი, ვერ გასამართი, პირად მჭლე და კუზიანი“, ჩანს.

იმდროინდელი სალაღობო „ამხანაგთ სათრეველი“ და სახოტბო



„ჯავახიშვილს გამალექსეს...“

ლექსებიდან რამდენიმე შემონახულა. ცნობილია ლექსი, რომელშიაც დავითი ვახტანგს შობის დღესასწაულს ულოცავს:

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, ჰმუნია, ვიშობა,
ნუ მოგიშალოს ნადიმი მუდამ-დღეთ სულ მეჯლიშობა,
ლაშქარი მოგცეს ურიცხვი, არ ჰქონდეს ანგარიშობა,
მან მოგახმაროს, სად გინდეს, ვინც დღეს ქალწულთგან იშობა.

ცხადია, ამ საშობაო სურვილებსა და ზმათა თქმას ისა სჯობდა, მკაცრად მოეთხოვა — არგე რამ საკუთარ მამულს, ლხინ-მეჯლისებს თავი ანებე, აქ უქმად რას უზიხარო! მაგრამ იოლია მეოცე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნეში მომხდარი ამბების განსჯა და მსჯავრის დადება.

იმ ხანებში დაუწერია პოეტს „სანადიმო სამღერალი“ ლექსი „სიუხვის კოკა ბატონსა“. ვახტანგმა და მისმა მემკვიდრემ ბაქარმა ხომ უქონელი, უპოვარი პოეტი სიღატაკის ორმოდან ამოიყვანეს, სირმით მორთული ჩოხა-ახალუხი, ახალი კაბა, ქათიბები და საჭირო სხვა საბოძვარიც არ დაიშურეს მისთვის. გრძნობიერმა მგოსანმა ლექსებში ასახა ბატონთა გარჯა და ზრუნვა.

მეფე-პოეტისაგან წყალობით ავსილი, ბედნიერი, ნებიერი, თავადიშვილი, მეფის ჯაბადარ-ბაში, პოეტი, ტანად ალვა და პირად მზე გურამიშვილი რომ ქალების კერპი იქნებოდა, ამას რაღა ფიცი-მტკიცი უნდა! ამალაში სულ დარჩეული ვაჟკაცები და თვალ-ტანად გამოსაჩენი დიდებულნი არიან, შემკულნი სხვადასხვა ნიჭით, მათგან ზოგიერთს ოჯახი ადრევე აქვს შექმნილი, ზოგიც მოსკოვში დაცოლშვილდა:

რომელნიც კახნი, ქართველნი ქართლიდამ გადმოგვყოლია,
ზოგს ქართლშივე ყავთ ცოლ-შვილი, ზოგს აქ შეურთავს ცოლია.

ასე ალაპარაკებს დავითი ვახტანგს. ამ ამალის ბედს იზიარებს დავით გურამიშვილიც. სამშობლოში რომ უძირო და უშვილო იყო, ეს უდავოა. თავის ავტობიოგრაფიულ პოემაში მხოლოდ დედ-მამის, ძმისა და დის უნახაობას ჩივის, ცოლსა და შვილს კი ერთხელაც არ ახსენებს:

დედ-მამა, ძმანი დაეკარგე, არ ვიცი დანი სად არი?
სად მიმიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო,
მამა, დედა, ძმა თვალითა ვეღარა მხედავს, ა, დაო!

ან:

დამივსე ვანი, კარავ-სეანი... დედ-მამა, ძმანი, გამყარე დანი...

ან:

ვაიმე, მამავ, ვაიმე დედავ, ძმაო და დაო, ვერც ერთსა გხედავ!

ყველგან ისე დაჟინებით ერთი და იგივე მახლობლების გახსენება გვარწმუნებს, რომ სხვა მეტი გულთან ახლო მყოფი საქართველოში არ დარჩენია. მხოლოდ ერთ ლექსში, ვახტანგის გარდაცვალების ცნობაში, გაიელვებს ვიღაც მშვენიერი ასულის სახე:

ვაიმე, მამა-დედისა, ძმის დამკარგავი ვარ, დისა,
ვეღარ მნახავი მოყვრისა, ტან-ლერწამ, პირად ვარდისა.

ეს უთუოდ ის ქალია, რომლის მოყვანითაც პოეტი დიდად კმაყოფილია ღვთისა: „მოგირთე ზე-ქვე სავანე, ცოლიც გიბედეო“. ერთის მხრივ, ცოლის ასეთი სატრფიალო ეპითეტებით შემკობა ნაკლებადაა მოსალოდნელი, მაგრამ ზრდილი, ოჯახისა და ქვეყნის ერთგული პოეტისაგან არც ისაა გასაკვირი, რომ საყვარელ ცოლს „ტან-ლერწამ პირად ვარდი“ უწოდოს. საკითხავია ოღონდ, ეს ქალი საქართველოშივე თუ რუსეთში შეირთო ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილმა პოეტმა? პოემიდან ცნობილია, რომ მას მხოლოდ დროებით შორდება: სიტყვებში „გაფრენა, ქმნა ნავარდისა“ უნდა იგულისხმებოდეს პოეტის ჯარში წასვლა, პრუსიასთან ომი, დროებითი დაშორება. თუ დედ-მამა და და-ძმა სამუდამოდ დაკარგა, აქ პოეტი დროებით განშორების გამო დრტვინავს და გულისტკივილს იძულებითი დაცილების გამო შეუწუხებია „ვეღარ მნახავი მოყვრისა“.

და ჟამთასვლისაგან დაბრძენებულ პოეტს თავს სიკვდილის აჩრდილი წამოადგება და ემუქრება:

ჯერ შენთვის არა მცალია, ცელს უსვამ სალესავსაო.
როცა გავლესავ, თავს მოგჭრი, შენს ცოლს ჩავაცვამ შავსაო.

სწორედ ამის გამო არ უნდა იყოს სწორი ვალერიან გაფრინდაშვილის თვალსაზრისი: გურამიშვილის „ლირიკა არის ერთი უცოლო კაცის აღსარება“ და არც კორნელი კეკელიძის აზრი უნდა იყოს მართებული: „სამშობლო მხარეს მოშორებული უცოლშვილო და უპატრონო (პოეტი) ხელს ჰკიდებს ლიტერატურულ მუშაობასო“.

ეს შეხედულებები ეწინააღმდეგება თვით პოეტის ცნობებს და არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ცოლზე ძუნწად ლაპარაკის მიზეზი, ჩვენის აზრით, გარდა პოეტის სუბიექტური გუნება-განწყობისა, სიბერეში რელიგიური რწმენის მოძალებაც უნდა იყოს.

ჯაბადარ-ბაში დავით გურამიშვილი საწუთრომ კვლავ ცხოვრების კენწეროზე ასტყორცნა. იგი კვლავ დიდებულთა შორის ტრიალებს, იწყება მხიარული მეჯლისები, ზმა და შაირობა, სიმღერა და ცეკვა, გალობა და ჩანგის ნაღვლიანი აჟღერება, — ეროვნული უბედურებით სვეგამწარებულთა ამაო შექცევა და მხიარულება. ტყვეობაგამოვლილი, განაწამები, უდარდელ ცხოვრებას გადაჩვეული პოეტი თითქოს ერთბაშად გადაეშვა შვების მორევში და დროც აღარ დარჩა, საწუთროს

სიმუხთლეზე ეფიქრა, წუთისოფელი ხომ გრძლად არავის აბარებს და შვების ზღვა დავითსაც მალე სიმწრის სავანედ ექცევა. ღრეობასა და შექცევას არც სხვის კარზე სტუმრად მყოფი მეფე-პოეტი იშლიდა. ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა დროსტარებასა და ლხინს სევდანაღველიც უმოწყალოდ ჰქონდა გარეული, მაგრამ ეს ქვიშაზე ნაგები სიამოვნეთა ხუხულა დღემოკლე იყო და მალე უნდა წაქცეულიყო. ადრე თუ გვიან ამას ბოლო უნდა მოღებოდა, ნაწყალობევ ლუკმას სხვა ვინ გაუხარებია, რომ შვება და ლხენა მაინცდამაინც ქართველთათვის მიეტანა, მაგრამ ჯერ ამაზე არავინ ფიქრობდა. სხვის იმედად ყოფნა, მცონარობა და ბედოვლათობა რომ კარგს არას უქადდათ, ამას ვახტანგის ამალის წევრებიც აშკარად გრძნობდნენ. იქნებ ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ ძალუმ მიეძალნენ ქეიფსა და დროსტარებას.

დავითს კი, თითქოს დამბადებელმა უბედურ ვარსკვლავზე შვაო, ავი სვე მიწყივ თან სდევდა და დიდი ხნით არსად არასოდეს უღიმოდა. არც მოსკოვს ანებივრა ბედმა, არ დააცალა სავსე სუფრასთან ჯდომა, ნადიმი, და ჯავახიშვილთან პაექრობა.

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ავი ყისმათი იმითაც დადასტურდა, რომ მოსკოვს ჩასულებს პეტრე დიდი ცოცხალი აღარ დაუხვდათ.

ერთს დიდს პეტრეს და ორ სხვასა მოშლოდათ წუთი-სოფელი:
წართმოდათ მოკლედ სამყოფი, ეშოვნათ გრძლად სამყოფელი.
მით სევდა ვახტანგ მეფესა გონების დასაყოფელი —
სცემოდა გულსა, განეჯრა გრძლად ფიქრის შასაყოფელი.

ვახტანგ მეფეს მძიმედ განუცდია რუსი სამი ხელმწიფის უდროოდ განსვენება. ალბათ, რუსი მონარქების ზედი-ზედ სიკვდილმა თავისი ამალისა და ქვეყნის უბედურება კიდევ უფრო ახალი ძალით განაცდევინა. ალბათ, მუხთალმა საწუთრომ მათი სიკვდილით ამცნო ხანდახან ნათელმხილველ მეფე-პოეტს, რომ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ბედი — მისი საკუთარი ქვეყნიდან წასვლის შემდეგ — სხვათა ნება-სურვილსა, კეთილგანწყობასა და სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო დამოკიდებული:

ამაზე იყო მგლოვარე, ცრემლი ამისთვის ზდიოდა:
სამი ხელმწიფე ზედი-ზედ მოკვდენო, გული სტკიოდა,
თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას სჩიოდა:
გაგრძელდა საქმე, გაძნელდა, რაღა ვსთქვა, რა ვარჩიო დაl

მართლაც, ბედი დასცინოდა თუ რა იყო ქართველი ემიგრანტების თავს? პეტრე დიდს ცოცხალს ვერ ჩაუსწრეს. ეკატერინე პირველი და პეტრე მეორეც, ორი გვირგვინოსანი, ერთმანეთს მიჰყვნენ, ყველა იმე-

დი განჭარდა. მართალია, ტახტს მპყრობელი არ უძვირდება ხოლმე და არც რუსეთის ტახტს გამოლევია ტახტზე ასვლის მსურველნი, მაგრამ ქართველთა ტახტის საქმე იყო ფარსაგად. ეს ადარდიანებდა ვახტანგ მეფეს და ეს უკლავდათ გულს ქართველ ემიგრანტებს.

სინამდვილე სასტიკი, ულმობელი, დამცინავი, მკრჩხალი და უნდო აღმოჩნდა, მაგრამ ეს იყო სინამდვილე და ვახტანგმაც, მეტი რა ჩარა ჰქონდა, მას მიმართა, ვინც ტახტზე იჯდა:

ოდესაც ანა ხელმწიფე რუსეთზე გარდამწდომარე,
ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე, სამართალ დაუცდომარე
გვირგვინოსანი ტახტზედა მეფემ იხილა მჯდომარე,
მაშინ შეიქმნა საქმისა მოხსენებისა მდომარე.

ანა დედოფალი მაინცა და მაინც არ გამოირჩეოდა აქ ჩამოთვლილი ღირსებებით, მაგრამ მეფეთა ქება წესად თქმულა, მეტადრე მაშინ, როცა იმპერატორმა გადაწყვიტა, ირანისა და თურქეთის ომით ესარგებლა და ვახტანგის გამოყენებით თავისი ქვეყნისათვის ხელსაყრელი პოზიციები შეექმნა.

ომი სპარსეთსა და ოსმალეთს შუა 1730 წელს დაიწყო, რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა, ვახტანგი კასპიისპირეთში წარეგზავნა და ირანისათვის წაერთმია კასპიის შემოგარენი.

პოლონეთის მეფის არჩევასთან დაკავშირებული კონფლიქტის დროს საფრანგეთის დიპლომატიამ მოახერხა რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის ამხედრება. რუსეთიც საშოვარსა და საკბილოს ეძებდა, მაგრამ ანა იოანეს ასული იძულებული გახდა, პეტრე დიდის მიერ მოპოვებული მიწებიც უკან დაებრუნებინა სპარსეთისათვის და მრისხანე ნადირ-შაჰთან „საუკუნო ზავი“ შეეკრა. უნიჭოსა და პირად ვნებებს აყოლილ ანას ნაკლებ აწუხებდა ის, რომ ერთმორწმუნე ქრისტიანი ქვეყანა გასწირა და ხახაში ჩაუგდო გაალმასებულ მაჰმადიან მეზობლებს, რომელნიც საქართველოს რუსეთთან კავშირით იყვნენ გაშმაგებულნი. „საუკუნო ზავით“ ნადირ-შაჰი რუსეთის მოკავშირე ხდებოდა თურქეთის წინააღმდეგ ომში. ჩვენი ქვეყნისათვის ეს დამღუპველი ომი დაიწყო 1735 წელს და დამთავრდა ბელგრადის ზავით 1739 წელს.

დიდი სახელმწიფოების ამ დიპლომატიურმა და სამხედრო თამაშმა საქართველოს გაჩანაგება მოუტანა. ვიდრე ჩვენი დიპლომატები ამაში გაერკვეოდნენ, ურემი უკვე გადაბრუნებული იყო. უღელში მაგრად შებმულმა ხარებმა კი აპეურებისა და ტაბიკებიდან თავი ვერ დაიხსნეს და დაიხრჩვნენ.

პოლიტიკური ამინდი კი თითქოს ხელსაყრელი იდგა. თითქოს დრო და მომენტი ხელშემწყობი იყო, რომ ვახტანგი საქართველოს ტახტს დაბრუნებოდა, მაგრამ არ იქნა და ამ იდეას ხორცი არ შეესხა, ჯერ კი-

დევ 1731 წელს არაგვის ერისთავი ბარძიმი ატყობინებდა წერილით ვახტანგ მეფეს. მთელი ფშავ-ხევსურეთი ფეხზე დადგება, დროა ჩვენი ქვეყნიდან განდევნოთ ოსმალო და ყიზილბაშებიო. მართლაც, ეს ორი ვეშაპი იმ დროს ერთმანეთს დაუპირისპირდა. ამ შემთხვევის გამოყენება კარგად შეიძლებოდა, ვახტანგს რომ მეტი თაოსნობა, გაბედულება გამოეჩინა და უკეთესი მფარველები ჰყოლოდა. სამწუხაროდ, რუსეთს ანა იოანეს ასული განაგებდა, თვითონ დედოფალს კი ჰერცოგი ერნსტ-იოანე ბირონი, ქედმაღალი, უმეცარი, ხეპრე ტირანი, რომლის მეუფების ხანა ისტორიამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა. ლომივით ფაფარაშლილი და მძიმე პარიკის ქვეშ ბირონს ნამცეცა ჭკუა ჰქონდა, სამაგიეროდ, გულში ღვარძლის ზღვა უტრიალებდა. მას არც რუსეთის ინტერესები ენაღვლებოდა და არც ქრისტიანი ქართველების ბედი აწუხებდა. იგი ჰკვიანსა და ნამდვილ სახელმწიფო კაცს ვოლინსკის მტრობდა და მასთან ჭიშპს იყო გადაყოლილი. ბირონს ვახტანგ მეფისათვის ისიც დიდ წყალობად მიაჩნდა, რომ მოსკოვს იჯდა და რუსეთის პურით საზრდოობდა.

საგანგებო შემთხვევა რომ დადგა, ანამ ვახტანგი პეტერბურგს გაიწვია, პატივით მიიღო და ყველაფერი ამით მოათავა, რადგან მრჩეველი და გამგებელი, კოპებშეკრული კუშტი და მრისხანე ბირონი ანას გვერდით ედგა. თვითონ კაბინეტ-მინისტრ ვოლინსკის მეცადინეობაც, ესარგებლათ მომენტით, დახმარებოდნენ ქართველებს, ორი საქმე ერთად გაეკეთებინათ და ორი კურდღელი დაეჭირათ, ამაო აღმოჩნდა. ბირონმა შემდეგ თვითონ ვოლინსკი ამოიღო თვალში და იმდენს ეცადა, ვიდრე წინდაუხედავსა და ენებებს აყოლილ იმპერატრიცას მისი პატიმარყოფისა და დასჯის ბრძანება არ გამოსტყუა. უნებისყოფო ქალად ქცეული დედოფალი ბოროტი საყვარლის ხელში სათამაშო თოჯინა გამხდარიყო.

ვახტანგის ვიზიტი სიტყვიერად თითქოს უშედეგო არ ყოფილა. ქართლის მეფემ რუსეთის დედოფალს პეტრე დიდის დაპირებანი შეახსენა, ანამ დაუდასტურა, ვოლინსკის ჯარის შედგენა და კასპიისპირეთში ჩასვლა უბრძანა. ქართველებთან ერთად მზადებაც დაიწყო...

მაგრამ რა მოჰყვა ამ გაცემულ ბრძანებასა და მზადებას, ცნობილია. რუსეთის მბრძანებელს ენთუზიაზმი ჯარების ასტრახანში ჩასვლამდე ეყო. უცებ მისი ხელმწიფური სიტყვა და აღთქმა მთას მოწყვეტილი ზვავივით დაიშალა, ზათქით დაეშვა, მრავალთა იმედი და სასოება გადათელა, მისრის-მოსრისა, სადღაც ნაპრალებსა და ხევ-ხუვებში უგზო-უკვლოდ ჩაიკარგა, თოვლივით მეყსეულად დადნა და სუსხიან წყლად იქცა...

დავით გურამი'შვილის ცნობით, ანა იოანეს ასულმა მეფის თხოვნა შეიწყნარა და 1734 წელს ვახტანგს ასე „უბრძანა“:

...მე მიჰპირავს ზღვის მიდამო, გაღმა მხარი,
სოლაღსა და დარუბანდსა ბაქოსა დგას ჩემი ჯარი,
შუნ მობრძანდი, საჭურჭლესა მუდამ მზა არს ღია კარი.
ლაშქარი და ხაზინაი — ვით გენებოს მოიხმარი.

იმპერატორი ქალი ბევრს რასმე ჰპირდებოდა ვახტანგს: იმპერიის ნაწილს გაძლევო, ჩემს სპას ვუბრძანებ „თქვენს ბრძანებებს მორჩილებდნენო“, თავს საკვდავად არ ზოგავდნენო. ეს, ცხადია, ცარიელი სიტყვები და ყალბი დაპირება სასახლის ფარისევლური ეთიკეტის 'მემადგენელი ნაწილი იყო. მაგრამ ვახტანგ მეფეს იმპერატორი ქალის მეფური სიტყვა და აღთქმა გაუტეხელი ხალასი სიმართლე ეგონა და თაყვანისცემით მადლობა მოახსენა იმპერატრიცას „უხვი წყალობისათვის“, თუმცა სხვა რა გზა ჰქონდა. ვახტანგ მეფემ ანა დედოფალს ხელი დაუკოცნა. დედოფალმა მართლაც ხელმწიფური ნადიმი გამართა, ვახტანგ მეფის სადღეგრძელოს შესმა ინება და დაცლილი სასმისი ვახტანგს გადაულოცა... ვახტანგიც აძლევს აღთქმას, — შენს სიკეთეს არ დავივიწყებ და მუდამ შენი მაქებარი ვიქნებიო... ესეც ქართლის ჭირი!

ვახტანგი პეტერბურგიდან მოსკოვს ჩადის. მისმა ამალამ კასპიის-პირეთში დასაბრუნებლად ნავების შენებას მიჰყო ხელი და მთელი ერთი თვე აშენებდნენ. ვახტანგს და ბაქარს თავთავიანთი გეგმები აქვთ. ბოლოს ყველაფერი მზადაა გასამგზავრებლად. ამალაშია გურამიშვილიც.

ამ დროს ეკუთვნის პოეტის ლექსი: „მოსკოვ ქალაქს მზეს ველოდით“. აღმოჩნდა, რომ მზეს ამაოდ ელოდნენ და სოლაღს ყოფნა უჯობდათ! დასრულდა ეს ნაძალადევი სტუმრობა. ცხადია, ამალის წევრებმაც იგრძნეს, თუ რა ძნელი იყო „სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა“, შეაფასეს ბირონის დამადლებული ლუკმა, აწონ-დაწონეს ვითარება და იგრძნეს, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, თორემ ასე იოლად არ დასთმობდნენ სავსე სუფრას, მით უმეტეს, რომ საქმე, რომელიც იმთავითვე უდღეურად გამოიყურებოდა, ნაკლებ ენთუზიაზმს უნერგავდა მის შემსრულებლებს: „თოკებს ხელით ეწეოდნენ“.

ნავში ჩავსხდით და წავედით თოკებისა ხელის წევით:
ხან ჩქარა და ხან წყნარადა, ხან ვერც დაძვრით, ხან კი რყევით,
წინ ეტიკი მიგვიძღოდა, ედილისა[1] წყალს დავყევით,
ჩვენი ავად სიარული სამს თვეს უკან შევიტყევით!

[1] ე დ ი ლ ი — ვოლგა.

ზუსტი თქმაა: „ავად სიარული!“ ცაში გადაწყვეტილი საქმის უკუღმა შეტრიალების მოწადინენი ბედისაგან განწირულნი აღმოჩნდნენ. მართლაც ფატალური აღმოჩნდა ეს გზა ვახტანგისა და მისი ამალისათვის, უსახლკაროდ შთენილი, იმედის მაცთურ სხივსა და საკუთარი მეფის ხუშტურს აყოლილი პატრიოტები, სასოებით დაადგნენ ხსნის ძნელსა და ნარ-ეკლით მოფენილ გზას, მაგრამ კასპიისპირეთის ცა მოქუფრული და შავი საავდრო ღრუბლებით გადაგრაგნილი დაუხვდათ. ამალის წევრთაგან, რაღა თქმა უნდა, არც ერთმა არ იცოდა, რომ საბოლოოდ დასრულდა ნაძალადევი სტუმრობა, განქარდა აღთქმულ ქვეყანაში მოხვედრის იმედი, ბოლო მოეღო ლხინს, სამუდამოდ დაიკარგა სულის სიმშვიდე და, რაც მთავარია, სამშობლო. ნაცვლად იმისა, რომ გულზე მამულის ნიავქარი მოლამუნებოდათ, ნაცვლად იმისა, რომ სანუკვარი თბილისის კარიბჭენი შეეღოთ, რისი იმედითაც ისინი ცოცხლობდნენ, ეს კარი მათთვის ყველაზე მაგრად სწორედ მაშინ დაიხურა და დაიგმანა...

ვიდრე ედილის წყალს მინდობილი ქართველნი ნავებით ჩააღწევდნენ კასპიისპირეთში, „გადატრიალდა საწუთრო მრუდითა საბრუნავითა“. კასპიის ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქში სპარსეთში რუსეთის ელჩს სვიმონ აბრამიშვილს თავის მამულიშვილთათვის ცუდი ამბები დაუხვედრებია. იმავე ამბების სისწორე რუს ელჩებსაც დაუდასტურებიათ და მეფის გული ჭმუნვით ავსილა. „აღივსო გული მეფისა მრავლითა საჭმუნავითა“, მაგრამ სჯობს გულდაკოდილ პოეტს მოვუსმინოთ:

მოახსენა შამახია თამაზ-ხანმა დაიჭირა!
მეფეს ესმა, თავში ხელი შემოიკრა და იტირა.
ესრეთ მოთქვა: ჩემი ბედი ასრე როგორ გაიწირა,
გზა არსაით წარმემართა, წინ ერთი რამ ამეხირა!

ეს არ არის მარტო უსაფუძვლო წუწუნი საკუთარი სვის საბედისწერო ახირებაზე. როცა დროთა ვითარებაში შექმნილი რთული გარემოებანი პიროვნებაზე ან თვითონ ხალხზე ძლიერნი არიან, მაშინ ძნელია წარმატების მოპოვება. ვახტანგ მეფე სამ ძლიერ ვეშაპს შუა აღმოჩნდა ერთი მუჭა ქართველებით, რომლებიც, თავის მხრივ, ურთიერთშორისაც არ ეძებდნენ მოყვარეს. მეფეს ცალკერძ მათი დაშოშმინება და დაწყნარება უხდებოდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივად ისმის თვითონ მეფის დაცდენილი სოფლის სამდურავი: „ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!“

მეფე ჩიხში აღმოჩნდა.

ნადირ-შაჰმა კი სპარსეთის ისტორიაში საქართველოსათვის ყველაზე ავი შაჰის აბას პირველის პოლიტიკა გააცოცხლა და საქართველოს გასპარსელება მოიწადინა. ამ უგონო განზრახვაზე გათავხედებულ

მტერს ხელი მხოლოდ მამაცი ქართველი ხალხის შეუპოვარმა ბრძოლამ ააღებინა. ამ ბრძოლას კი თავისი მეთაურები ჰყავდა. ესენი იყვნენ: შანშე ქსნის ერისთავი, ვახუშტი აბაშიძე, გივი ამილახვარი, თეიმურაზ მეორე და სხვები. რამდენი შეღავათი იქნებოდა ერისათვის, რომ ქართველ გმირებს გვერდით ჰყოლოდათ ის ორი ათასი ქართველიც, რომლებიც ვახტანგმა შორეულ ჩრდილოეთში განძარცული ხის ფოთლებივით გაფანტა და მიმოდაფინნა. მათ შორის იყო ჩვენი სასიქადულო პოეტიც!

ვახტანგ მეფემ ადრეც იცოდა, რომ საქართველოში თურქეთის ძლიერება შეირყა. თავიდანვე ეს ფესვებუქონელი ოსმალური ხე დროჟამმა შიგნიდანაც გამოხრა და ერთი ამოსუნთქვაღა კმაროდა მის წასაქცევად. უწყოდა მეფემ ეს ამბავი, თუნდაც ბარძიმ არაგვის ერისთავის წერილიდან და ამ ცნობებით გული საგულეს ჰქონდა. მაგრამ ის კი ვეღარ გაითვალისწინა, რომ მაჰმადიანური სამყაროს მრუდე სასწორის იმ პინამ, საითაც სპარსეთის შაჰების ბრჭყვიალა გვირგვინი იდო, იმდენადვე აიწია, რამდენადაც დაიწია თურქეთის სულთნის გვირგვინმა. ერთ დროს უბადრუკმა და არას მქონე, გაყაჩაღებულმა, მერე მძარცველთა ბელადად ქცეულმა, შაჰობას გამოჰკრა ხელი, ურუმიც დააჩოქა, რუსეთის კუთვნილი მიწებიც დაიპყრო და მთელს წინა აზიაში უძლეველი მეომრის სახელი დაიმკვიდრა. ნადირ-შაჰის სახელით დედები ბავშვებს აშინებდნენ. იგი საფრთხობელად იქცა ყველასათვის.

უბედურების ეტიკმა, რომელიც ქართველთ ასტრახანში დაუხვდათ, ერთიან დააბნია და გააოგნა ბედშეკრული და ჩიხში მოქცეული მეფე ვახტანგი, იგი ამალის წევრებთან ერთად საგონებელში ჩავარდა. რა გზა აერჩიათ სავალად, ვის მიჰკედლებოდნენ, საით წასულიყვნენ, სად იყო ხსნა? აი, რა კითხვები უშფოთებდათ გონებას. სამშობლო ქვეყნისა და თითოეული მათგანის ყოფნა-არყოფნის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით იდგა და მათგან სწორ არჩევანსა და მეყსეულ გადაწყვეტას ითხოვდა. ვახტანგის ადგილზე იმ რთულ ვითარებაში ბევრად უფრო წინდახედულ, შორსმჭვრეტელ მეფესაც გაუჭირდებოდა გამოსავლის პოვნა. ამიტომ ბუნებრივი და გასაგებია მისი ურვა-ჩივილი, რასაც პოეტი ასე გადმოგვცემს:

> ახლა რა ვქნა, საით წავიდე? გზა შემეკრნა დახლართული,
> ჭარი ჭრის და აფრა გაშლით ვარ ხომალდით ზღვას შერთული...
> ღმერთმან თქვენს მტერს წარუმართოს, ვით მე გზა მაქვს
> წარმართული.

ამ ამბავმა უცებ გატეხა მეფე სულიერად და ფიზიკურად. სევდით გულ-ღვიძლ დანაყული, სვე გამწარებული, გვირგვინმოხდილი მეფე თვითონვე აღიარებს თავის უსწორო მოქმედების ანუ, „ბაყაყური სი-

არულის“, „წყალში ჯდომის“ სავალალო, საგოდებელ და სამწუხარო შედეგს. თუ რუსეთის სატახტოში გაბრუნებულიყო ბრძანების გარეშე, ვინ იცის, როგორ მიიღებდნენ, ხოლო შემახიას რომ წასულიყო, რა უნდა მოემოქმედა? რა შეეძლო დაეპირისპირებინა ნადირ-შაჰის ძლევამოსილი მხედრობისათვის, უმოკავშირეოდ დარჩენილ, ორი ათასი მხედრის ანაბრად დარჩენილ მარტოსულს? ასწონ-დასწონა თავისი სავალალო საქციელის შედეგი და შედრკა. როცა გონებაში გაისიგრძეგანა ის, რაც მოიმოქმედა, ნახა, რომ, რაც ისიბრძნა, სისულელე ყოფილა. ვინაიდან შემწედა და ფარად აღარავინ ეგულება, ცაც გაურისხდათ და დედამიწასაც მათ სამტროდ დაუბჩენია უზარმაზარი ხახა, განწირული, მიუსაფარი მეფე-პოეტი ისევ ღმერთს მიმართავს:

ღმერთო ჩემო, ეს რა მიყავ, მომივლინე საქმე ძნელი,
სულ სიცოფედ შემირაცხე, რაც ვისიბრძნე მე საბრძნელი!

საზარელი ამბის მოსმენით განაწამები მეფე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა. ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ ეს უყო გაყურსულმა წყალში ჯდომამ, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი, და მასთან ერთად გამწარებულ სვეს დასტირის და ჰგოდებს მისი კარის პოეტი.

ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. ეს იყო პოლიტიკურ ცხოვრებაზე ხელის აღების, ყველაფრისაგან ჩამოშორების, ხალხისაგან თავისი თავის მოკვეთის და კერძო კაცად ქცევის იძულებითი განჩინება, რაც მეფემ სასჯელად თავის თავს გამოუტანა. იგი დარუბანდს წაბრძანდა. იქ, რუსთა ქვემეხებმა ერთი-ორი გასროლით მაინც პატივი სცეს, თუმცა მათაც ის უჯობდათ, ჭურვები ცუდ-უბრალოდ არ ეხარჯათ და ნადირ-შაჰის მხედრობისათვის შემოენახათ. დარუბანდს მისვლა მეფესა და მის მოლაშქრეთაც ემკვლელებოდათ, მაგრამ მათ შესახვედრად გასროლილი ჭურვების აფეთქების ხმამ „ნუგეში სცათ“ და გაამხნევათ. ამრიგად, ჩვენი პოეტი-მემატიანის ცნობით:

წაბრძანდა მეფე ხომალდით დარუბანდისა კიდესა,
მღვდელნი სამღდელოდ მოსილნი მოვიდნენ, ხელი ჰკიდესა,
ციხიდამ თეთრი ალამი გაშალეს, გარდმო ჰკიდესა,
რუსთა ზარბაზნის შილინგით გარს ცეცხლი მოუკიდესა.

დარუბანდს კარგად მიღება სალბუნივით მოეცხო მათ დაჭრილ გულებს, სულის იარები თითქოს დაუამდათ, ტკივილები გაუყუჩდათ, მაგრამ ეს რა ნუგეში იყო? აბუჩი სტუმრები არ არიან, ეს არის და ეს!

ლაშქარნი თოფთა ისროდნენ, ხუცები რეკდნენ ზარებსა,
ასე გვეგონა, ხმისაგან ცა იძვრის, მთა ზანზარებსა,
არ ვგვანდით აბუჩს სტუმართა, არცა უბრალოს მგზავრებსა,
ცოტად მით გვეცა ნუგეში მუნ მისვლად დანაზარებსა.

გურამიშვილი შაჰ-ნადირის განჯის აღებასა და ოსმალოთაგან თბილისის დაცლას გვაუწყებს. ნადირ-შაჰს, ამ უნდო ურჩხულს, საქართველოს ვერაგ და დაუნდობელ ჯალათთა სიაში საპატიო ადგილი ეკუთვნის.

პოეტი მოკლედ და სხარტად გვიხატავს ველზე მოთარეშე ავაზაკ ელთა მეთაურის, თარაქამის სწრაფი აღზევების ამბავს, რაც, მერე და მერე, სხვადასხვა ხალხის უბედურების მიზეზად იქცა:

აწ მოგითხრა ნადი-ყული ან ვინ იყო, რისა მქნელი:
იყო ერთი თარაქამა, ელთა თავი ხვარასნელი,
იმის გამო შაჰ-თამაზმა მიიყვანა საქმე ძნელი,
მისის ნებით, თავის ხელით, გარდაისვა ყელზე წნელი...

სპარსეთის კანონიერმა მბრძანებელმა მექალთანე შაჰ-თამაზმა საქმე წაიხდინა, ლოთობასა და მეძაობას გადაჰყვა. გულისთქმასა და დაუმცხრალ ვნებებს აყოლილმა, პოლიტიკასა და პირად ცხოვრებაში წინასწარხედვის უნარი სრულიად დაჰკარგა, ლიქნით დაბრმავებულმა რეგვენმა ნადი-ყული თავის ჭეშმარიტ ერთგულად მიიჩნია, სრული ნდობით აღჭურვა, სახელმწიფო ბეჭედი და ჯარი მას ჩააბარა, თვითონ განცხრომის სარეცელზე წამოწვა და მანამდე არ ამდგარა, ვიდრე უფლებები, ჯარი, ქვეყანა და ტახტი არ დაკარგა. ცბიერმა და ვერაგმა ნადი-ყულიმ კი თამაზ-ყული დაირქვა, აქაო და თამაზის ყურმოჭრილი ყმა ვარ და მეტი არაფერიო, ჩემი მეობა არა მაქვსო, პირადი მიზნები არ გამაჩნია, შაჰის ერთგული ყმობა მაქვს განზრახული და სპარსეთის ქვეყნის ერთგული სამსახურის გარდა სხვა არაფერი მამოძრავებსო. ასე შენიღბულმა ლიზღმა მტარვალმა ჯერ სპარსეთში დააყენა სისხლის ტბორები, მოწინააღმდეგენი ჩამოიშორა, მერე თვითონ შაჰზე მიიტანა იერიში, უმუხთლა, შეიპყრო და დილეგში ამოართვა გარყვნილი სული. ხელისუფლებით გათავხედებულმა, მერე ნადი-ყულობა განაგდო, ჯერ თამაზ-ხანი დაირქვა, ტახტზე კანონიერი მბრძანებლის მცირეწლოვანი ბავშვი დასვა და ხალხის თვალის ასახვევად ახლა უსუსურ ბავშვს ეყმო. მალე ეს თამაშიც მოსწყინდა, უსუსური ბავშვი მოაშთობინა და თავი შაჰად გამოაცხადა.

დაიმონა ყიზილბაშნი ვითა მგელმან ცხვარნი, თხანი,
განიმრავლნა ბეგლარ-ბეგნი, ყულ-ნოქარნი, უზბაშ-ხანი,
გაიკეთა მეტად კარგი მან თოფხანა-ჯაბა ხანი...

ცხადია, გამარჯვებულ ჯალათს ქვეყნის შიგნით ხელს ვეღარავინ შეუშლიდა. მერე საგარეო საქმეებშიც სცადა ბედი. გადაწყვიტა, სახელმწიფოებისათვის გაეცნო თავი. ზოგს ეს გაცნობა თავისუფლების ფასად დაუჯდა. სიმუხთლეში გამოჯეკილმა ნადირმა საქართველოს

სრულიად აუარა გვერდი და მზის ზურგს უკან აღმართულ მზარდსა და საშიშ გოლიათს — რუსეთის მეფეს მისწერა:

მოკვდა შაჰ-თამაზ ყეენი, მას შვილი დარჩა არც ერთი,
სახელად ვირჩვი თამაზ-ხან მე დავიჭირე სპარსეთი.

რუს ხელმწიფის კარზე თამაზ-ხანის ელჩს ხულუფას მზაკვარმა ადამიანებმა ასე უთხრეს: ვახტანგს რუსთა თანადგომითა და შემწეობით განზრახული აქვს სუხავის წახდენა, შამახიაში ბრძოლის გაჩაღება, სპარსეთის დაჩოქებაო. ხულუფამ გაიკითხ-გამოიკითხა ნათქვამი, ირწმუნა ყოველივე და თამაზს მისწერა ვახტანგ მეფეს „შემახიაზე ფარფარი“ განუზრახავსო.

თამაზს ვითომ გაუკვირდა, თითზე იკბინა, სუხავს თავს მოულოდნელად დაეცა. იქაურობა მილეწ-მოლეწა და ჯარი ისე შემუსრა, „ვით ისომ ამალეკისა“. აქ პოეტი ბიბლიურ ამბავს იხსენებს, ისუ ნავინმა რომ ამალეკთა ჯარები მისრის-მოსრისა. თამაზმა „განჯის კარები დამუსრა“, რის გამო ისე გაშალა ფრთები და გალაღდა, უზარმაზარი რუსეთის იმპერატორიც ვეღარ აღუდგა, თბილისი ძალით დაცალეს, გავლეს ბეცებით, ხეხითა. ოსმალო ცახცახებდა ახალი ხანის შიშით!

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებით შაჰს ხელი ეხსნებოდა, რომ კავკასიას ისე მოჰქცეოდა, როგორც ინებებდა. რუსეთის იმპერატორმა პოზიციები დათმო. თამაზ-ხანი კიდევ უფრო გაიშალა მხრებში და ახლა თავხედური წერილი მისწერა რუსეთის ფელდმარშალს: „თუ რამე ვალი მაქვს თქვენი, სხვანაირად გადამახდევინეთ, თუ არა, ჩემის ქვეყნისა ხელმწიფემ მიყოს წყალობაო“. ეს აღმოსავლური დიპლომატიით აღბეჭდილი ნართაული ნათქვამი ნიშნავდა: თამაზ-ხანი შაჰის სახელით ითხოვდა რუსთა იმპერატორისაგან მის მორჩილებაში მოქცეული მხარეების დაცლას, იმ ადგილების დაცლას, რომლებიც პეტრემ შემოუმტკიცა რუსეთს.

სოლაღს, დარუბანდს, არმოანს, თქვენ რა ხელი გაქვთ ბაქოსა?
... რათა ხნავთ ანუ რას თესავთ თქვენ ჩემსა სათამბაქოსა,
ანუ ბაქს, დავღას რად იღებთ ჩადუქნეს, საქულბაქოსა?

იოლი წარმატებებით გათამამებულ თამაზ-ხანს პოეტი მერე მუქარანარევ რჩევას წარმოათქმევინებს რუსების მისამართით:

თუ არ დავუთმობთ ერთმანეთს, ის ჩამოაგდებს მტრობასა:
დასცალოთ, თქვენთვის მიბრძანდეთ, ისი სჯობს მაგ მავრობასა...

სინამდვილეში, თამაზ-ხანმა მართლაც წაუყენა ულტიმატუმი რუსეთის იმპერატორს. ასეთი რამის ჩადენა მხოლოდ ძლიერ შაჰს შეეძ-

ლო მოემოქმედა. თამაზ-ხანი იმ დროისათვის მართლაც ყოველმხრივ წელმომაგრებული იყო და ქადილის ძალაც შესწევდა. გურამიშვილმა კარგად იცის, რომ სპარსეთი მისი წყალობით მომძლავრდა:

ხმლით შეაშინა თურქეთი, დალისტანი და ბუხარა,
ინდოეთისა ხელმწიფე დადრკა, მას თავი უხარა.

ჩამოწოლილი ბურუსი რუსეთის საიმპერატორო კარს აიძულებდა დაეთმო. ეს ეპიზოდი სპილოსა და მარტორქას ორთაბრძოლას მოგვაგონებს. გაიმარჯვა მარტორქამ. რქა ამოჰკრა, დაჭრა გოლიათი სპილო და გზა დაათმობინა. რუსთა სარდალი გონებრივად ჩლუნგი, უსუსური და უნიათო გამოდგა. ჯერ თავი დააშინებინა თამაზ-ხანს, მერე ეველრა, მაცალე ყოველივეს წვრილად მივწერ ჩემს უფროსებს და თუ ნებას დამრთავენ, სიხარულით დაგიცლი იმ მიწა-წყალს, რომლის გამო ჩემი თანამოძმეთა სისხლი მრავალჯერ დაღვრილაო;

მას ამირბარმა მისწერა: თქვენ ჩემგნით ნუ გეწყინება,
ვინემდის კარზე მივსწერდე, თქვენ ქენით ეს მოთმინება,
რაც მე იქიდამ მომესმის, თქვენ ჩემგნით მოგესმინებათ;
მე სიხარულით დაგიცლი, თუცა ხელმწიფემ ინება.

პასუხიც ისეთი მოვიდა, როგორიც რუსეთის მაშინდელ მბრძანებელთა უხერხემლობასა და უპირობას შეეფერებოდა:

მალე მოვიდა კარიდამ ხელმწიფის გვამანსარია,
სოლაღის ციხე მოშალეთ, დასცალეთ ბაღმა მხარია...

ამრიგად, რუსეთი კომპრომისზე წავიდა, ციხეების მოშლა იწყო, საქართველო გასწირა და სპარსი ვეშაპის ჩასანთქმელად გაიმეტა. ანა დედოფლის ხელმწიფური სიტყვა და საზეიმო აღთქმა ქარს გაჰყვა. თამაზ-ხანი წარმატებამ საკუთარ თვალშიც გაზარდა. ახლა თამაზ-ხანობაც ცოტა ეჩვენა, სახელად ნადირი დაირქვა და თავისი პიროვნება შაჰის ტიტულით შეამკო.

უმეთაუროდ დარჩენილი, მცირერიცხოვანი, დაქცეული და გაპარტახებული საქართველო ერთხელ კიდევ აღმოჩნდა ახალი ჯალალ-ედ-დინისა თუ თემურ-ლენგის წინაშე, რა უნდა ეღონა თავისი ქვეყნიდან გარდახვეწილ, რუსეთის საიმპერატორო კართან ხელმწიფური სიტყვით შეკრულ ვახტანგ მეფეს? ეღალატა პეტერბურგში საზეიმოდ დადებული ერთგულების ფიცისათვის, ნადირ-შაჰის წინადადება მიეღო, მინდობოდა მის ნება-სურვილს, მისი ერთგული გამხდარიყო და სამუდამოდ დაეგმო ჩრდილოეთის გზის ძიება? ნადირ-შაჰი კი სამეფოს გარდა უხვ საჩუქრებს აღუთქვამდა ვახტანგ მეფეს. მეფე

საგონებელს ჩავარდა. გურამიშვილს კარგად აქვს ეს ეპიზოდი გადმოცემული „ქართლის ჭირში“.

ვახტანგ მეფეს მოუვიდა ამ ნადი-შას ჩაფარ-ელჩი,
ებრძანა, თუ: მობრძანდიო, შენს ქვეყანას არას ვერჩი.
ბე გირჩევნო შენის მტრისა თავი შუვა განახეჩი,
დამიჯერე, არ დაკარგო, რაც მე ხელში ჩაგაჩეჩი.

ცხადია, ეს იყო გველეშაპის დათაფლული საკენკი. რა მეგობრობა შეიძლებოდა მგელსა და ცხვარს შუა? მაგრამ ვახტანგს ანგარიში უნდა გაეწია შექმნილი ვითარებისათვის, თავი მეგობრად მოეჩვენებინა, დრო მოეგო და თავის საწადელს მერე სწეოდა. ამის ნაცვლად იგი უგუნური კერპობის გზას დაადგა:

არ წავიდა, არ მიენდო, მისი ყმობაც ითაკილა,
სიტყვა მისი მას გულს ეცა, თვალთა ჭაცვი, ვით ასკილა.

ცხადია, ვახტანგ მეფის უნდობლობას მტკიცე საფუძველი ჰქონდა, ის ხომ თავგადადებული მტერი იყო სპარსეთისა და მთელს აღმოსავლეთ'ში ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის ურყევ მომხრედ და თაოსნად ითვლებოდა. იგი ერთგული დარჩა ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეული გზისა. მან თავისი პრინციპების ღალატს, პირობის დარღვევასა და სიტყვის გატეხას ისევ ასტრახანს გაბრძანება არჩია. ასე და ამრიგად, საქართველო გაალმასებულ ურჩხულს შეატოვა პირში. თვითონ რუსებმა, საქართველო კი არა, დარუბანდიც დაცალეს და „ყიზლარისაკენ არესა“.

რუსთ დარუბანდი დასცალეს, ყიზლარისაკენ არესა,
მეფე ვახტანგცა მიბრძანდა აშტრახნის არე-მარესა.
იქ უარესსა შაესწრა...

დავით გურამიშვილს კარგად ესმის ვახტანგ მეფის განცდები, მისი პოეტური სულის ლაბირინთებიც არ რჩება გაუშუქებელი და ცდილობს, მკითხველს მისი, როგორც ადამიანის, სულიერი სამყარო მთლიანად აჩვენოს და გადმოუშალოს. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ დავით გურამიშვილს, როგორც ვახტანგთან დაახლოებულ ქვეშევრდომს, არ შეიძლება არ სცოდნოდა ვახტანგ მეფის იმ წლების პოეტური მოსავლის გემოც. ამიტომ იგი ისე ალაპარაკებს ვახტანგს, თითქოს თვითონ მეფე პოეტი ჩიოდეს წუთისოფლის სიმრუდესა და გაუტანლობას:

წყეულო, ცრუო, მაცდურო, ასე რად დამემტერეო?
ცხრა რიგი ჭირი შემყარე, ერთსა არ დამაჯერეო:
გულს მქონდა ხმალი გაჩრილი, აწ შუბიც დამაძგერეო,
არც მომკალ, არც დამარჩინე, მატარე ზერე-ქვერეო.

ყველგან და ყველაფერში ხელმოცარულ ნამეფარს ასტრახანში უარესი ამბავი დახვდა. მაშინ კი საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ბრძოლაზე, სასოწარკვეთილი მიენდო საწუთროს, მის ჩარხუკუღმა მბრუნავ ბორბალს ქვესკნელისაკენ ნებაყოფლობით ჩაჰყვა, და დასწყევლა იგი.. წუთისოფელი კი ვის არ უგინებია და უწყევლია. აქ ახალი არც წყევლა იყო და არც სიტყვა. ეს იყო პოეზიასა და ცხოვრებაში ასი ათასჯერ ნახმარი ნუგეში, უსუსურობის დამადასტურებელი. პოლიტიკურად ამ წყევლას არაფრის მიცემა შეეძლო, პოეტურად კი მართლაც ძალუმი სტროფის სახითაა ჩამოყალიბებული „ქართლის ჭირში“. ვახტანგი საბოლოოდ იღებს ხელს ამქვეყნიური საქმეების ზრუნვაზე, შვილს—ბაქარს იბარებს და მას ავალებს მიტოვებული ქვეყნის მიხედვას. თვითონ კი ასტრახანს დარჩენა გადაწყვიტა, — აქვე დაველოდები ჩემს აღსასრულსო, — უთხრა მემკვიდრესა და ამალის წევრთ. — ოჯახსაც, შენ გაუძეხი და ქვეყანასაცო, — გამოსცრა ძნელად ამოსათქმელი ანდერძივით დანაბარები. ეს იყო ფარ-ხმალის დაყრა... თუმცა მეფე მტერს კი არ ნებდებოდა, ღვთის გარდუვალ განაჩენს მინებდა. უბრძოლველად, სინამდვილეს თვალი გაუსწორა, ყველანი დაითხოვა და თავი ცოცხლად დაიმარხა...

პოეტი მხატვრულ ქსოვილში ახვევს ქართველთა მეფის მძიმე მდგომარეობას და ამალის ფიცს:

არ ვიცი, რაღაც ეტლზედა შევიქენ დავიბადეო,
მე ბევრს ვეცადე, არ იქნა, აწ ახლა შენა სცადეო:
ვეღარ შევიძელ მოწევა, დავბერდი, მშვილდი დავდეო:
რაც უნდა წახდეს, გაკეთდეს, მე მას აღარას დავდეო.

სასოწარკვეთილება მეფისა იქამდე მიდის, რომ ამალის ბედსაც აღარას დაგიდევთ. — ვისაც რა ენებოს, ის აკეთოს, ან ქართლში დატოვებული ოჯახები გაიხსენონ, ან აქ შერთულ ქალს მიხედონ, „როგორც უჯობდესთ, ისე ქნან, მითამ არც ერთი მყოლიაო“: ქვეყანა წაუხდინე, მოვუშალე კერა და სატანჯველად ესეც კმარა და მეყოფაო.

აქამდე მიიყვანა ქვეყნის უბედობამ ქართველთა მეფე, მაგრამ დავით გურამიშვილი ბოლომდე არ გასწირავს ყოფილ პატრონს, რამდენიმე სტრიქონით თანამებრძოლებთან, ქვეშევრდომებთან მეფის გამომშვიდობების სცენას ისე გვიხატავს, თითქოს ქვეყნის ბედისადმი იგი გულგრილი სრულიად არ გამხდარიყოს, თითქოს მას კვლავ აწუხებდეს სამშობლოს მომავალი, მაგრამ დაუძლურებულს აღარ შეეძლოს... სინანულში ჩავარდნილს იმედის სხივი ვერ შეენიშნოს. „მე წავუხდინე ქვეყანაო“ — აღიარებს, მაგრამ საშველი ვერ უპოვია, გამოსავალი ვერ შეუნიშნავს, ხსნის გზა ვერ მოუაზრებია და ამიტომ დასდო ძირს მშვილდი, უცხო ქვეყანაში დარჩა, უცხოთა შორის, თუმცა

სინამდვილეში „საყვედურით ჭამს“ და დამადლებულ ლუკმას უჭმელობით სიკვდილი ამჯობინა. ანდერძად მხოლოდ ერთი სიტყვა დაიგდო: „ნურვინ შეიყრის თავისი ნებით სნებასაო?“ ესეც საკუთარ თავზე გადატანილმა ჭირმა და გამოცდილებამ ათქმევინა, რაც თვითონ დაიმართა და ამალის წევრთაც დამართა, ხომ სულ საკუთარის ნებით შეყრილი სნება იყო და სხვა არარა.

შვილი — ბაქარი მეფეს სულმოკლეობას საყვედურობს, წუხილი და ჰმუნვის ღრუბელი გადაიყარეო, ურჩევს. მოსკოვს გავბრუნდეთ და ისე ვიცხოვროთ, როგორც გვიცხოვრიაო. მეფე უარზეა და სწორად ვარაუდობს:

უბრძანა: აღარ ვიქნებით, როგორც ვიყავით ჩვენაო:
მისთვის ვიმალვი სირცხვილით, არ მინდა გამოჩენაო.
ასეთი სენი შემყრია, ძნელია გადარჩენაო.

ეს სენი ქართლის ჭირი გახლავთ, რაც შემმუსვრელ ნაღველად გადაქცევია ქართლის უიღბლო მეფეს.

ამალის წევრები მეფის გადადგომას გლოვით ხვდებიან:

წამაიჩოქეს ქართველთა, თავს წაიშინეს ხელია,
იტირეს ბევრი მეფის წინ და ღვარეს ცრემლი ცხელია,
შეკადრეს, რისთვის შექმნილხართ, ვით ველად მრბოლი ხელია,
ბრძანებთ: „ვემალვი სოფელსა“, ეგე რა გასამხელია?

ამალის წევრთა საყვედური სავსებით სამართლიანია:

— თვრამეტ-ცხრამეტი წელია, რაც სამშობლოზე ხელი აგვიღია, შენს სამსახურში ზურგი გვტკივა, ახლა კი ბედის ანაბარა გაგვიშვა და შენ აქ დაჯდე, ეგ რა სამსახურის სასყიდელია?

— მართალია, მაგრამ ქვეყნის შველა აღარ ძალმიძს, და რით გამოვისყიდო თქვენი სამსახური? — ტირილით მიუგო მეფემ. — ღმერთმა მოგაგოთ მუქაფა, ჩემგან გარდახდა ძნელია.

აქ საქართველოს დუხჭირი მატიანის ერთი უმძიმესი და უსაშინლესი ფურცელი იშლება. მეფე გამოუვალ გასაჭირშია. მის გადადგომას ამართლებს ორი თუ სამი ათეული წლის ამაო შრომა, ცდა და იმედგაცრუება. მან იგრძნო, რომ აღარ შეუძლია ახლებურად განაგოს თავის თანამებრძოლთა ბედი, არც იმისი შეძლება აქვს, რომ მათი თავი სხვას გადასცეს, „წყეული წუთისოფელი, რაც არ სურს, მას აპირებსა“.

რა ასეთი პასუხი ესმათ, ქართველთ გლოვასა და ტირილს უმატეს, გამწარებულნი თავებს ახლიდნენ „ქვასა და ხესა“. ნამეფარიც შეწუხდა, სცადა გაემხნევებინა ნამსახურნი, თან ისიც დასძინა: — ნუღარ მაწუხებთ, ისედაც „გული მაქვს სავსე ჭირითაო“. ბაქარს მიმართეთ, ის გაგიძღვებათ ამიერიდანო, „მის უკითხავად წინა-წინ თქვენც ნურსად

წაეჩრებითო“. სხვა ყველაფერი შემოეხარჯა, თორემ სიბრძნე ულევი ჰქონია სჯულმდებელ მეფეს. თეორიულად კარგად იცის, რომ „სამწყსოს უმწყემსოდ მავალსა შესჭამს ტურა და მგელია“. ცხადია, მისი აზრით: „არს მორჩილება საქები, ურჩები საძაგელია“, მაგრამ თვითონ უკვე აღარავის მორჩილებას არ ითხოვს. მისი ამალის წევრნიც დარწმუნდნენ, რომ მათს წინამძღოლს მშვილდი ძირს დაუდევს. ისინი პატრონს ფეხზე მთხვევით ემშვიდობებიან, ბაქარს ეხიზნებიან და მასვე შესჩივიან, სულ გამოგვყარა მამაშენმა, „დარჩა ათი-ღა ბიჭია“. მართალია, წერილთა თარგმნაში იოანე დამასკელია, მაგრამ სახელმწიფოს მართვა ხელიდან არ გამოუვიდა, ამიტომ მისი გადადგომით საქართველოს არც ზიანი მოსვლია, და აღარც სარგებელი უნახავს. ქართლის ჭირის მკურნალი ის არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, რადგანაც განგება ყველას იმ ტვირთს აჰკიდებს ხოლმე, რისი ზიდვა და ადგილამდე მიტანაც ძალუძს.

ცხადია, ვეღარც ბაქარი გადაწყვეტდა საქართველოს ბედს, რადგან იგი ზეცაში არსთაგამრიგეს ჰქონდა გადაწყვეტილი, ხოლო მიწაზე ნადირ-შაჰისა და ქართველთა დაუნდობელი სისხლისღვრის შედეგად გადაწყდა.

ბაქარს დავა არ დაუწყია, თვითონაც იმ აზრისა იყო, რომ მამამისი შეცდა. უკეთ ვთქვათ, იგი თვითონ პოეტის სათქმელს ამბობს:

ბაქარ თქვა: ეგ შემიტყვია მე თქვენგან უფრო ადრეო,
ნუ მომიკვდების შვილები ლევან და ალექსანდრეო,
ბევრი მიუთხარ მამა-ჩემს, ეგ საქმე რად იკადრეო?
არ დამიჯერა, ავად ქნა აქ დგომა მან მეტადრეო!
ვერა ვნახეთ რა მაგისი ღრმად საქმე მინაწვდომარე,
რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე.

მრავალგზის აწონილ-დაწონილი, კარგად მოფიქრებული, ვახტანგ მეფის მოღვაწეობის მიმართ გამოტანილი ამ მსჯავრისა და შეფასების უკან, ცხადია, დავით გურამიშვილი დგას. ჯერ ერთი, შვილი ასეთ სასტიკ მსჯავრს მამას ყველას გასაგონად მაინც არ გამოუტანდა, როცა იგი თავის ნებით ტოვებდა სარბიელს. მეორეც, და რაც მთავარია, ამ პირუთვნელი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენის ავტორად უფრო ბრძენი პოეტი გვეჩვენება, ვიდრე მეფის მემკვიდრე. ასეა თუ ისე, დრო-ჟამმა თუ ვითარებამ ქართლის დამოუკიდებლობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ნადირ-შაჰის წინააღმდეგ მამა-შვილი: თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე ჩაუყენა სათავეში. მათმა გონივრულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკამ იხსნა ქართველობა განადგურებისაგან და ვახტანგ მეექვსის გურამიშვილისეული დახასიათება სავსებით გაამართლა.

პოემის მიხედვით ბაქარი მამას ემორჩილება, მოსკოვს მიდის, თან

დიდებულებს აჩქარებს, შემოდგომა ახლოვდება და გზა გაგვიძნელდებაო. ცარიცინამდე ნავით წასვლა გადაწყვიტეს, იქიდან ეტლებით მგზავრობა ირჩიეს. ამალა მზადებას შეუდგა, თან მეფესთან განშორება უმძიმდათ. თუ პოეტს ვერწმუნებით, იგი მეფის თანამებრძოლებთან განშორების სურათს ასე ხატავს: „ბევრმან დასწყევლა მას დღესა მათ-მათი დაბადებანი“. საქართველოში დროის იმ მონაკვეთში სპარსელები ბატონობდნენ, ვახტანგ მეფის ამალის წევრთ სამშობლოში არ ჩამოესვლებოდათ და შეიქნა გაცხოველებული მზადება მოსკოვს გასაბრუნებლად. იწყეს ბარგის შეკვრა-ჩალაგება. პოეტიც ემშვიდობება ბედშემომწყრალ მეფეს:

ვწუხდით მეფისა გაყრისთვის, ვგწვავდა სახმილთა დებანი:
ბევრმან დავსწყევლეთ მას დღესა ჩვენ ჩვენი დაბადებანი.

გულის ამაჩუყებელია განათლებისა და კულტურის საქმეში მართლაც ბრძენი კაცის, დიდი სჯულმდებლის, პოეტისა და დაუცხრომელი მოღვაწის ვახტანგ მეექვსის მწირობა, მისი ეულად დარჩენა უცხო მხარეში, სულ ათიოდე მსახურის ამარა. დავით გურამიშვილი სამართლიანად ადარებს მეფის ამალის წევრ ქართველთა მაშინდელ ყოფას ბაბილონის გოდოლის მშენებელთა ბედს:

ჩვენ წავედით, იგ მუნ დადგა, საქმე მოხდა არეული:
ათიოდე კაცი დარჩა, ხაბაზი თუ მზარეული.
სხვა იმან ყმა არ ინდომა, არ მემკვიდრე, არ ეული,
ვითა გოდოლთ მშენებელნი, გაეხდით ენა შარეულნი.

ამ ვითარებას მოთქმა, ტირილი, გოდება, ცრემლი და კაეშანი შეეფერებოდა და აი, გურამიშვილიც მთელ თავს უძღვნის „დავით გურამიშვილისაგან საწუთრო სოფლის სამდურავს“:

ნუ მიენდობი საწუთროს, მტყუვანი არს და უპირო!
არ დაიპირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უპირო...

ოდესღაც პოეტიც ბედნიერი იყო, სოფლის სიამეს ეჭიდებოდა, ცდილობდა არ გაშვებასა, მაგრამ მასაც მისწვდა საწუთროს ბრჭყალები, გული სახმილით დაუწვა და ახლა ისღა დარჩენია, სოფლის სიმოკლესა და სიავეზე ივალალოს:

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომიბოძა თავიდგან, ბოლო–ჟამ ისევ წამერთო!

ბუნებრივია, რომ დავით გურამიშვილი თავისი უბედურების ამბავს მთელი სიმწვავით სწორედ იქ მოგვითხრობს, სადაც ქართველთა მეფემ, ქართველთა გადახვეწილმა სამეფო დარბაზმა და თვით საქართველომ საგოდებელი მარცხი განიცადეს. იგი თავისი ქვეყნის ღვიძლი

შვილია და ბედისწერამ „ილინჭა დაუგო“ მის სამშობლოს, ამ მახეში საქართველოსთან ერთად მოტყუებული პოეტიც ორივე ფეხით გაება. აი, ამად ემდურის საწუთროს, „თორემ სხვა რა აქვს სადაო?“

სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო!
მამა, დედა, ძმა თვალითა ვეღარა მხედავს, ა, დაო,
ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო!

მეტი სადაო რაღა ექნება! მახე დაუგო, ბორკილი დაადო, ხაროში ჩაამწყვდია, თავისიანები დაუკარგა, ყელზე საბელი მოაბა, რაც რამ ებადა, წაართვა, დღე ღამედ უქცია!

„სოფლის სამდურავის“ ზოგად სტრიქონებს შორის ისევ გაიელვებს ბიოგრაფიული დეტალი: გურამიშვილს მოსვენებას არ აძლევენ, მისგან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას მოითხოვენ:

ახალ-დაბას ნუღარ ხარო, მეძახიან ამო ბოლსა:
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა?

მოხდენილ მაჯამურ სტრიქონებში გამოთქმულია შიში, რომ დაიჩაგრება პოეტის „ობოლი“ — ლექსთაკრებული. პოეტმა იცის წუთისოფლის უხიაგობის ამბავი, შესაძლებელია სიმღერა მოთქმად და ზარად ექცეს, მაგრამ „შვილს“, ლექსთაკრებულს, მაინც სასოებით შესცქერის:

მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა...

საკუთარი ქმნილებების შვილად ჩათვლა ახალი არაა ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ ასე ხშირად და ფართოდ ამაზე სხვა არავინ ლაპარაკობს. დარწმუნებით არ შეგვიძლია თქმა იმისა, რომ დავით გურამიშვილმა იცოდა დიდი მიქელანჯელოს ნათქვამი: „ჩემი შვილები — ჩემი ქმნილებები იქნებიანო“, იქნებ იცოდა კიდეც, ვინ იცის?

ახლოვდება ვახტანგ მეფის აღსასრულიც. საწუთრო მის სიკვდილამდეც გაუტანელი, მუხთალი, მრუდე იყო, თორემ „აწ ნახეთ წუთისოფლისა ცრუ მოტყუება ფლიდისა... მეფე იყო: უხვი, მიმნდობი, კეთილი, მრწმენი, სიტყვის პატრონი, ყმები ჰყავდა ერთგული და ნამსახური, შვილებივით ნაზარდნი, მაგრამ მოვიდა „ის მჭლე კაცი“ და მოქალაქე მეფესაც დაჰკრა სასიკვდილო ლახვარი. ეს მოხდა 1737 წლის 25 მარტს. დასრულდა ჯაბადარ-ბაშობა და მის მზირობასაც ბოლო მოეღო.

ვახტანგის გარდაცვალება დავითს კლასიკური, ამაღლებული საღებავებით უვალალნია: „ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!“ მხოლოდ გურამიშვილის მადლიან კალამს თუ შეეძლო სამშობ-

ლოდან გარდახვეწილთა ამ დიდი ეროვნული გლოვისა და უბედურების ასე სრულყოფილად გამოხატვა. აღარ იყო განათლებული მეფე-პატრიოტი, მწიგნობარი, მზრუნველი მოღვაწე. ვინ უპატრონებდა ლტოლვილთა და უსამშობლოდ დარჩენილთ? ვინ დაიცავდა რჩეულთა ხელნაწერებს?

ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი წავიდა, შორს გაგვექცაო,
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მადლსა, მაგრა დექ, ცაო!

ცის დაქცევა ლტოლვილთა თავზე ნამდვილად სწორად ასახავს იმჟამინდელი საქართველოს ბედთან შედარებას. ემიგრანტი ქართველებისათვის კი ვახტანგ მეფის სიკვდილი ჰეშმარიტად იყო დიდი ტრაგედია, თუნდაც იმ აზრით, რომ ვახტანგი იყო ავტორიტეტული პიროვნება, რომელსაც ანგარიშს უწევდა რუსეთის ტახტი.

მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ ოხერ ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა და ჭყრტიალი.

დავით გურამიშვილი ქართველების ყოფას უკრუხოდ დარჩენილი წიწილების მდგომარეობას ადარებს. ამ „წიწილებში“ ერია ჩვენი პოეზიის ჰეშმარიტი შევარდენიც.

მოსკოვ-ქალაქს მზეს ელოდნენ. მზე კი ამოსვლას აგვიანებდა.

ბოლო არ ჰქონდა საქართველოს მოლოდინს.

ბედს უჩიოდა საწუთროს აბუჩი სტუმარი, ქვეყნისა და თავისი ხალხის გასაჭირზე ჰგოდებდა და ვალალებდა საქართველოს უმიწა-წყლო, სამკვიდრომოკლებული, უჯაროდ დარჩენილი მეფის ჯაბადარ-ბაში დავით გურამიშვილი.

რუსეთის არმიის მეომარი

„მიძმობ თუ მიდობ, მაინც არ მინდობ...“

დავით გურამიშვილი.

ვახტანგ მეფის გარდაცვალებამ გადახვეწილ ქართველთა საქმე უარესად არია, პოლიტიკური ემიგრანტები იქცნენ უსახლკარო ლტოლვილებად, რომელთაც დაკარგეს ფასი რუსთა თვალში და ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ეზრუნათ და ლუკმა-პურის მოპოვებისათვის ებრძოლათ.

„დავდგეთ თუ სადმე წავიდეთ, ერთად ვიძებნოთ პურია...“

სამწუხაროდ ვახტანგი საშინაო საქმეებში საკმაოდ რბილი, წყნარი, ლმობიერი მეფე იყო. მას ნაკლებად ეხერხებოდა: „მთავართა ზაკვისა

ცნობანი“, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი იტყოდა, შურიან კარისკაცთა ალაგმვა სიცოცხლეშიც უჭირდა, თორემ მისი გარდაცვალების შემდეგ ხომ სრულიად აიშვეს თავი. მართალია, ვახტანგი ადრევე გადადგა, პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და ასტრახანს დამკვიდრდა, როგორც კერძო პირი, მაგრამ ლტოლვილი ქართველებისათვის ის მაინც მეფე იყო, ავტორიტეტი, საყრდენი, იმედი და დედაბოძი.

ასედაც აღმოჩნდა: მისი რიდი კვლავ ჰქონდათ რუსეთის საიმპერატორო კარზე, რომ მის სიცოცხლეში პოლიტიკურ ემიგრანტთათვის გადაწყვეტილი სიტყვა არ უთქვამთ. მისი სიკვდილისთანავე კი უცებ შეუწყვიტეს საზრდო ყველას და აშკარად განუცხადეს: „ან გვემსახურეთ, ან გაგვეცალეთო“.

უპატრონოდ დარჩენილ ქართველ ემიგრანტთა წინაშე საარსებო წყაროს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დადგა. დავითისათვის ეს პრობლემა სხვებზე იოლი როდი იყო. საარქივო ცნობების მიხედვით, მასთან იმყოფებოდა მეუღლე, სიდედრი, მოსამსახურე, მისი ცოლი და ასული, ორიც მოახლე ქალი და მრავალომგამოვლილი, დაჭრილი ბიძა მერაბ გურამიშვილი [1].

ვინ გამოკვებავდა უმიზნოდ და უანგაროდ, ან ვინ დააპურებდა ლტოლვილთ? რუსეთის მბრძანებლებმა და მათმა ხელქვეითებმა კარგად იცოდნენ, რომ ათასწლოვან ბრძოლებში გამობრძმედილი ქართველები საუკეთესო მეომრები იყვნენ. და, ალბათ, ამიტომაც უფრო მწვავედ დაისვა მათ წინაშე ასეთი დილემა: ან ჯარში შედით, ან გაგვეცალეთო. რუსთა საიმპერატორო კარი ამით გარდახვეწილთ პრაქტიკულ და უდაოდ მართებულ წინადადებას აძლევდა. ან წადით თქვენს ქვეყანაში, ან ჩვენს სამსახურში ჩადექითო. მართლაც, როდემდე შეიძლებოდა სხვის კარზე უქმად, გულხელდაკრეფილი ჯდომა და დროის უსაზმნო ფლანგვა? რუსეთის მაშინდელი გამგებელნი სპარსეთის მიმართ ორჭოფული პოლიტიკისა, ყოყმანისა და დათმობებისათვის არიან დასაგმობნი, თორემ ასეთი წინადადება ამდენი სტუმართმოყვარეობის შემდეგ სრულიად გასაგებია:

> მის დროს რუსთა თქვეს: ქართველნო, ეს თქვენცა გაგეგონება:
> თვით ქრისტე ბრძანებს: „ძნელია ორთა უფალთა მონება“, —
> თწამეთ ერთი უფალი, თუმცა გენებოთ ცხოვრება,
> ან წადით, ანუ დადექით თავს ნუ მიეცით ღონება.

მოკლედ: ან დადექით, ან დროა „მიბრძანდეთ გზასაო“.

> ჩვენ ოც წელს იქით სტუმარსა ვერ უზამთ თავაზასაო,
> შემოგვეწევის თუ არა, მუდამ ვერ ვაჭმევთ მზასაო...

---

1 მოსკოვის ქართველთა ახალშენის სიაში წერია: Гурамов Давид — князь, с княгинею, с тещею, при нем служитель один с женою, с дочерью, служительниц двое» (1737 г.)

ცხადია, სხვის ქვეყანაში დარჩენა, როცა მამულს თითოეული მათგანი ას კაცად უღირდა, სამშობლოს ღალატს უტოლდებოდა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მეფის ანდერძის დარღვევაც იყო. ვახტანგმა თვითონ ვერაფერი იღონა, თორემ ანდერძი სწორი დატოვა: ბაქარს მიმართეთ, საქართველოს მიხედეთო. მათ კი ჰავის გამოცვლამ, თითქოს გულებიც გამოუცვალა, ყველას ბრჭყვიალა ეპოლეტები, მოსირმული აქსელბანტები და ოქროს ღილები ელანდებოდათ და ის აირჩიეს. ქართველ დიდებულთა ამ ნაბიჯს დავითი საკმაოდ შეუბრალებლად ახასიათებს:

ქართველნი სცდენ და გატეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო,
წინ წაუარეს ბაქარსა, საქმე ქნეს თავის ნებაო, .
სწორეთ იმ გზაზე წავიდნენ, საითაც იყო სნებაო.

ამ განცხადებაში თავის დახსნის, თავის დაძვრენის ცდა არ იგრძნობა. სიმართლე ნათქვამია პირდაპირ და მკაცრად. რაც შეეხება დავითის საქციელს, ალბათ, არც შეძლება ეყო და არც საშუალება, რომ მას ერთს ექცია ზურგი ემიგრანტთათვის და დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც კვლავ სხვადასხვა ჯურის გადამთიელნი თარეშობდნენ. ქართველთა ბჭობა დიდი დავისა და დავიდარაბის შემდეგ იმით დამთავრდა, რომ ემიგრაციამ რუსეთში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო. მერე, რა ჯარი ჰყავდა რუსთა მეფეს!

არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა რუსის ჯარისა,
ათას ხუთას კაცთ ერთფერად ტანთაცმა, სხმა აბჯარისა, —
მწყობრ-რიგად შესვლა-გამოსვლა, ქცევა, ვით ბრუნვა ჯარისა.

როგორც ვხედავთ, ქართველები აღფრთოვანებულნი იყვნენ რუსთა არმიით, მოსწონდათ მისი წყობა, ერთფერად ტანთ ცმა, შეჭურვილობა, მწყობრად სვლა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღეს. ისინი დარჩნენ რუსეთში, სადაც ამდენი წელი გაატარეს და თავიანთი ჯანი, ნიჭი და პატრიოტული სულისკვეთება ახალ სამშობლოს შესწირეს. ამას გვიმოწმებს პოეტი.

ქართველნი რუსთა არმიაში დედოფალმა ანა იოანეს ასულმა ჩარიცხა. ნაწილობრივ უკვე ვიცნობთ ანა დედოფალს, მაგრამ ზოგიერთი რამ ეაინც სათქმელი დაგვრჩა. ანა იოანეს ასულმა იმდენი განათლება მიიღო, რამდენიც ყოველ წესიერ ფრეილინას მოეთხოვებოდა. მეფე იოანე, მამამისი, სულით უმწეო კაცი იყო, დედამ კი შვილი, რატომღაც თავიდანვე აითვალწუნა. ანას ცეკვები, ფრანგული და გერმანული ენები შეასწავლეს კარგად და რუსეთის დედოფალი, რუსულად გამართულად ვერ წერდა! ვერც ბიძამისმა პეტრე დიდმა იზრუნა მომავალი იმპერატორი ქალის სათანადოდ აღზრდისათვის. ჩვიდმეტი წლის

ქალიშვილი პეტრეს სურვილით, ნებითა და დასტურით კურლანდიის ჰერცოგს ფრიდრიხ ვილჰელმს მიათხოვეს. დიდებული ქორწილის შემდეგ ორი თვეც არ გასულა, რომ ჰერცოგი რაღაც შეუძლოდ შეიქნა და სული უფალს ჩააბარა. ახალგაზრდა ქვრივმა კურლანდიაში ერთგვარ შეჰირვებაში გაატარა მთელი ცხრამეტი წელი, იქვე დაუახლოვდა ჰერცოგ ბირონს და რუსეთში იშვიათად თუ ჩამოდიოდა ხოლმე. პეტრე მეორის კურთხევას კი დაესწრო, და აი, როცა ახალგაზრდა პეტრე მეორე (თხუთმეტი წლისა 1730 წ.) გარდაიცვალა, დიდკაცობამ გადაწყვიტა, გვერდი აევლო პეტრე დიდის შვილიშვილისა და ასულისათვის, რათა თავიანთი ძველი მიზნები განეხორციელებინათ. ასე აღმოჩნდა რუსეთის ტახტზე ანა იოანეს ასული; ბუნებით ჭირვეული, არც თუ უნიჭო, მაგრამ ავი და შურისმაძიებელი. ამ ქალმა ქვეყნის მართვის სადავეები ბირონს მიანდო, თვითონ კი, „ყინულის სახლს“ აშენებდა, კარის მასხარა თავად გოლიცინის კომიკურ ქორწილებს აწყობდა, კურიოზულ პროცესიებს მართავდა და მთლიანად უაზრო განცხრომასა და დროსტარებას იყო გადაყოლილი.

ახალი იმპერატორი პირველად, როგორც წესია, სიკეთესა და მშვიდობას დაჰპირდა ერს, მაგრამ პირობა უმალვე დაარღვია და შვედებს ომი აუტეხა. ჯარში ჩარიცხულ ქართველებსაც იქით უკრეს თავი, სადაც დაფდაფთა ცემა გაისმოდა. ტყვიის წვამლის მძიმე სუნი იდგა, და უწყალოდ იღვროდა მოტკბო-მომჟავო წითელი ფერის სითხე. ანა დედოფლის პირველი დიდი სახელმწიფოებრივი ნაბიჯი იყო ხელსაყრელი მოლაპარაკება ირანის შაჰ თამაზ-ყული-ხანთან, მერე გენერალი ლასი ოცი ათასი რუსი მხედრით შეიჭრა პოლონეთში, მეფე ლეშჩინსკი გაიქცა და რუსები დანციგს დაეპატრონენ. ანა იოანეს ასულმა 1735 წელს ათიათასიანი კორპუსი გაუგზავნა იმპერატორ კარლოს მეშვიდეს საფრანგეთის წინააღმდეგ, ქართველთა მეფისათვის კი მხოლოდ თავაზიანი ღიმილი ჰქონდა შემონახული. ავსტრიელებს ანას დახმარება აღარც დასჭირდათ, ფრანგებს შეურიგდნენ.

ერთი წლის შემდეგ ფრანგებმა იმას მიაღწიეს, რომ ანამ სისხლისმღვრელი ომი წამოიწყო თურქეთის სულთანთან, რომლის თანაგრძნობაც აქეზებდა თათრებს უკრაინაში სათარეშოდ. ანას არც ამ ომში უღიმოდა ბედი. მალე მისი მოკავშირე ავსტრია იძულებული შეიქნა თურქეთთან სამარცხვინო ზავი შეეკრა და დედოფალმაც ავსტრიას მიჰბაძა. რუსეთი კარგავდა პეტრე დიდის მონაპოვარს, კარგავდა ყველაფერს, რაც თურქეთს წაართვა, აზოვის გარდა, და იძულებული იყო, ზავის პირობების თანახმად, იქაც მოეშალა თავისი სიმაგრეები.

ასეთი იყო ანას საგარეო პოლიტიკის სავალალო შედეგები. საშინაო პოლიტიკაშიც იოჰან ბირონის სუსტი ჭკუის მიხედვით ირჯებოდა... თავის ექვსი წლის ახლო ნათესავსა და მემკვიდრეს — ბრაუნშვა-

იგის პრინცს იგივე ბირონი დაუტოვა რეგენტად ანდერძით. ანამ 1730-დან 1740 წლამდე იმეფა.

ასეთი იყო რუსეთის დედოფალი ანა იოანეს ასული, გარეგნულად „მშვენიერი, ზნეკეთილი და ხელოვანთა მფარველი“. სინამდვილეში კი ჰეშმარიტი რუსული კულტურისადმი მტრულად განწყობილი, უბადრუკი და რუსთა მიწისათვის უცხო, მის მეფობას გენიალური პუშკინი „საშინელებას“ უწოდებს, ხალხმა კი მისი მეფობის შავბნელი დრო ერთი სიტყვით დაასურათხატა: „ბირონოვშჩინა“.

1738 წლის 28 მარტს რუსეთის საიმპერიო არმიის ახლად შექმნილ ქართველთა ნაწილის შემადგენლობაში დავითიც შევიდა. 25 მარტი ვახტანგ მეფის გარდაცვალების დღე იყო.

ქართველთ ჰუსართა ასეულის შედგენის ბრძანება 1738 წლის 28 მარტს გამოვიდა. ასე რომ, გურამიშვილი ვახტანგ მეფის გარდაცვალებიდან ერთი წლისა და სამი დღის შემდეგ უკვე რუსეთის არმიის შემადგენლობაშია ოთხმოცდაშვიდ სხვა ქართველთან ერთად. ასეული კი თანდათანობით ივსებოდა. ეს ასეული მოკლე ხანში ესკადრონად იქცა. იმავე 1738 წელს ახალი უმაღლესი ბრძანებაც მიიღეს. ქართველებისათვის უკრაინაში უნდა მიეცათ მიწა-წყალი, მათ თვითონვე უნდა გაეჩინათ საქონელი, ჰყოლოდათ ცხენი, შეეძინათ აღჭურვილობა, და ხაზინიდან არაფერი არ მოეთხოვათ. თავადებს თითოს ოცდაათი ყმა ეძლეოდათ, აზნაურებისათვის კი ათ-ათი იყო განკუთვნილი. ქართველებმა მიწები პოლტავის მხარეში მიიღეს. გურამიშვილმა მირგოროდიდან ოციოდე ვერსის დაშორებით, მდორე ხოროლის პირას მიიღო სოფელი, რასაც უკრაინელებმა გურამოვშჩინა უწოდეს, თვითონ კი ახალდაბას ეძახდა.

ასე იყო თუ ისე, აქამდე საპატიო სტუმრად მყოფმა ქართველობამ უღელი დაიდგა, რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა მიიღო, სამხედრო სამსახურში შესვლა ინება. ცხადია, უქმად ყოფნა შინ თუ გარეთ სამარცხვინოა, ადამიანის ვალია საქვეყნო საქმეში მონაწილეობა, საქვეყნო საქმის სამსახური და ერთმორწმუნე, მოძმე ქვეყნის არმიაში შესვლა დიდებას უქადდა მრავალ ქართველს. მაგრამ რა ბედი ეწეოდა თვით საქართველოს? ამაზე ფიქრი ქართველ ემიგრანტთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცს უკარგავდა ძილსა და მოსვენებას.

დავით გურამიშვილის მეთაური ასეულში მამუკა დავითაშვილი დავიდოვად დაწერილა. იგი ერთი ხეპრე, გაუთლელი, უბადრუკი პიროვნება ყოფილა, რომელიც თურმე ძალზე უხეშად ექცეოდა ხელქვეითებს. ასეთი რამ ისტორიაში ბევრჯერ მომხდარა. ვიღაც რეგვენი მხოლოდ ჯარისკაცად გამოსადეგი პიროვნება უკვდავი კაცის წვალებით ერთობა და მერე შთამომავლობა მის სახელს ისევ მისი მსხვერპლის წყალობით იგებს და ინახავს. სახელგანთქმული შაჰ-ნამეს ავტო-

რის — ფირდოუსის მტერი მის დროს ყველაზე დიდი კაცი თვით-მპყრობელი შაჰი იყო, მაგრამ მისი სახელი ამჟამად იმითაა ცნობილი, რომ დიდ ფირდოუსს მტრობდა და იძულებული გახადა სამშობლოდანაც გადახვეწილიყო. ასეთი რამ ქვეყნად აღარავის უკვირს! ისტორიაში ხშირად იმარჯვებს უხეში ძალა, ძლიერებს კი არ ასამართლებენ. ან ასამართლებენ მაშინ, როცა მათი მსხვერპლნი საფლავებში წვანან, მათ აღარა ეშველებათ რა და მავანნი და მავანნი კი ჰკუას მაინც ვერა სწავლობენ. ვინ იცის, რამდენი დამცირება გადაუტანია დიდ პოეტს ჩიტირეკია მამუკასაგან, რომელიც შემმართებელი და გულოვანი მებრძოლი ყოფილა, მაგრამ ხელქვეითთ თურმე არწივისებურად, მხოლოდ ცალი თვალით დაჰყურებდა ზემოდან და პოეტის ნათელ შუბლსა და ცხელ გულს ვერ ამჩნევდა! მემატიანე დუმს და დავით გურამიშვილიც არას გვაუწყებს. ქართველებს დასახლებაც არ აცალეს. ან მათთვის ვისა სცხელოდა. პრუსიის მეფე ფრიდრიჰ დიდი რუსეთს კარგახანია ემუქრებოდა. ცალკე ოსმალნი ლესავდნენ მახვილს. ჩრდილოეთიდან შვედების მეფე არ ცხრებოდა. ვიდრე ქართველნი ახალი ბუდეების მოწყობას მოასწრებდნენ, ისინი ჰუსართა პოლკში ჩარიცხეს. დავით გურამიშვილი მოხუცებულ ბიძა მერაბთან ერთად ჰუსართა პოლკშია და ომის გამოცხადების დღიდან თავი ფრონტზე უკრეს.

მიწის დანაწილება კი იოლად არ მომხდარა. მეფის წყალობა ვერ შეიფერეს, ხოლო წყალობა კი ასეთია:

> თავის ვეზირებს უბრძანა, საუმო გარიგდეს მათიო:
> თავადთა ოცდაათი და აზნაურთათვის ათიო.
> თუ არ აღსრულდენ, კიდევე ათ-ათი მასზე სართიო,
> მიეცით თანასწორადა, არა იყოს რა ხლართიო.

ამქვეყნად, რაც რამე ბოროტი, ავი საქმე მომხდარა, ქვეყნებს შიგნითა თუ სახელმწიფოებს შორის, სულ მიწების განაწილების გამო ყოფილა და აბა ქართველთა შორის, და ისიც არა სამშობლოში, არამედ უკრაინაში გამოყოფილი მიწები ისე როგორ განაწილდებოდა, რომ შურსა და ქიშპობას, ანგარებასა და სიხარბეს, წამგლეჯობასა და უტიფრობას თავისი სიტყვა არ ეთქვა. მაშინვე დაწყებულა ალიაქოთი, როგორ თუ გაგვათანასწორესო. მირაჟი გამქრალა და ვახტანგის ამალის წევრნი მწარე სინამდვილის წინაშე წამდგარან. ათასზე მეტი დიდებული ყველა რომ ოფიცრად ჩაერიცხათ, მთელ არმიას ეყოფოდა. უმრავლესობას თურმე მხოლოდ ჯარისკაცის ფარაჯა ერგო და შურის ქიმერა საწვიმარი ღრუბელივით უცებ გაბერილა. ბევრს პროტესტის ნიშნად ქართველთა დანაყოფი მაშინვე მიუტოვებია. ცხადია, კუდაბზიკა თავადები იუკადრისებდნენ თავიანთი თანატოლების ხელ-

ქვეითობას. მხოლოდ გურამიშვილი შეხვედრია მეფის ბრძანებასა და საწუთროს განაჩენს უხმოდ, უჩუმრად. პროტესტი არც სიტყვითა და არც საქმით არ განუცხადებია. ბრწყინვალე თავადიშვილი კი იყო, მაგრამ ბედის განჩინებას უსიტყვოდ დამორჩილებულა. ჯარისკაცის ფარაჯას დასჯერებია ყოფილი ჯაბადარ-ბაში.

მირგოროდის მხარეში დაასახლა მრუდე ბედმა გორისუბნელი თავადი. მისთვის იყო ფარსაგი საქმე, თორემ უკრაინაში მისი ჩასახლება დღესაც არგია მის ქვეყანასა და ხალხს. მდორე ხოროლის პირას, უკრაინის კუთვნილ მიწაზე მისი ცხოვრება ერთა შორის ძმობის მტკიცე საძირკველი და საყრდენია, რომელზეც აღიმართა უკრაინელთა და ქართველთა ჰეშმარიტი ურთიერთგაგება და სიყვარული მშვიდობის ჟამს და ომიანობის დროს.

1743 წლიდან მთელი ნახევარი საუკუნე გაატარა მირგოროდსა და მის შემოგარენში დავითმა. ნახევარი საუკუნე, ეს ხომ მთელი ცხოვრებაა! რაღა თქმა უნდა, ფაქტიურად დავით გურამიშვილი უკრაინის მკვიდრია. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მისი არსება ისეა მოდებული ეროვნული სახმილითა და სულისკვეთებით, კვარივით ისეთი სურნელოვანი ცეცხლითა და გზნებით იწვის, რომ ეტყობა, უცხო მხარე საკუთარ სამშობლოდ ჰქცევია. დავით გურამიშვილს მშობლიურივით შეუსისხლხორცებია უკრაინული მიწა, რაც მთავარია, უკრაინელი ხალხი, მათი ენა, ყოფა, ზნე, ადათ-წესები, ტრადიციები და ხალხური სასიმღერო მოტივები.

ნახევარი საუკუნე გაატარა დავითმა უკრაინაში. ეს ნახევარი არაა მშვიდობიანი ცხოვრების ჟამი. სამჯერ მოუხდა საკუთარი კერის მიტოვება და სამ დიდ ომში მიიღო მონაწილეობა. ამას დავუმატოთ აყრა-დაყრა, მტერთაგან სახლ-კარის გადაბუგვა და გაპარტახება....

სხვაგან ყოფნის სავარაუდო წლებიც რომ მოვაკლოთ, დავითს 30—32 წელი მაინც მირგოროდის გუბერნიაში უხდება ცხოვრება. თუ რამე მოსაგვარებელი აქვს, მირგოროდში ან პოლტავაში ჩადის ხოლმე, ხანაც ახტირკაში, სადაც ყოველწლიურად, ორ ივლისს, რელიგიური დღესასწაული იმართებოდა. დანარჩენ დროს მეურნეობას ანდომებს. იგი გამრჯე მეურნედ გამოიყურება, ხნავს და თესავს, თავისუფალ დროს კი წერს, კითხულობს და ხალხის კეთილდღეობაზე ოცნებობს. სამწუხაროდ, დიდი ხნით დაწყნარებული ცხოვრება მას ბედის წიგნში არ უწერია.

მოშურნეთა „მოღვაწეობამ" ქართველთა საქმე საბოლოოდ წაახდინა. პოლკი არსებითად დაშალეს და ქართველ ოფიცრებსა თუ ჯარისკაცებს სხვადასხვა მხარეს უკრეს თავი, ავსტრიაში, შვეიცარიაში, პრუსიაში მიმოდაფინნეს, დაფანტეს, გათქვიფეს, და რუსეთის უნაპირო იმპერიის ზღვაში ჩაიკარგა ის ორიოდე ცვარი, რასაც აქამდე

„დევნილ ქართველთა“, „ვახტანგის ამალის“ სახელი მაინც ერქვა. ამ ეროვნული ტრაგედიის მთავარ მიზეზად პოეტი შურს აცხადებს.

შურსა რა ესმა სისწორე, ერთობა მან იწყინაო,
რკინა რბილი და ფოლადი, თქვა, განასწორა ვინაო?

ვისაც ფრთამალი მერანი ჰყავდა, შურს განერიდა, გაქცევით უშველა თავს. დავითს კი ჯაგლაგი ჰყავდა და ვერსად წავიდა. ქართლის ჭირის მოზარე დიდი პოეტური ოსტატობით აგვიწერს შურის დამღუპველ მოქმედებას. სურათს უფრო აცოცხლებს და ამძაფრებს კლასიკური პოეტური ხერხი: შური გაპიროვნებულია და ისე მუსრავს ადამიანებს, როგორც ცოცხალი არსება:

შურმან დაჩაგრა და მოკვდა ყაფლანისშვილი ტეტია,
შურმან ციციშვილს ადამას დაარტყა თავში კეტია.
დაშავებული მეც შურით დავიარები ხეტია:
დამბნელებია ტონება, თავზე მეხვევის რეტია.

შური შლის საძმო კავშირს, მოსვენებას უკარგავს ადამიანებს, ზიანს აყენებს მემკვიდრეებს:

შურმან მე დიდად დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა:
ცეცხლით დამიწვა სახლ-კარი, ვამე, ჯავრი მკლავს მის სრისა,
ვით ალესილი ლახვარი, მით სევდა გულსა მისრისა!

ამრიგად, შურმა გურამიშვილს ახალი ტკივილები მიაყენა, გული დაუკოდა, მსხვილ შვილებს ყელი დაუჭრა, წვრილები ფეხით უსრისა, ე. ი. დაუკარგა თავისი ნალოლიავები გონითი ნაღვაწი პოემები და ლექსები. სადაც შური და ღვარძლი ფეხს მოიდგამს, იქ ყველაფერი ჩარხუკულმა ხდება. კინკლაობის, ქიშპისა და უსიამოვნებისაგან სიკეთე ზარალდება და ბოროტება ზეიმობს. ამ განუწყვეტელი დევნისა და შევიწროების გამო ხელნაწერები ვერ დააბინავა. ჟამთა სიავემ შეიწირა მსხვერპლად ის, რაც პოეტმა ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვით შექმნა. გულკეთილი პოეტი ქარაგმებით მიგვანიშნებს ზოგიერთ რამეზე, მაგრამ სიმართლეს პოეზიაში ვერ გაჰქცევია და მისი გონითი ნაღვაწიდან აშკარად გამოსჭვივის, რომ იგი მოშურნე, მავნე ინტრიგანთა მზაკვრობას ბევრჯერ აღუშფოთებია:

მას მეშურნეთა პირველად არა აქვნდა რა ძალები,
გამოაჩინა ბოლოს დროს ფარული დანაკრძალები:
გვიმტყუვნა, ბორცი თვით ჭამა, ჩვენ მოგვყარა ძვალები,
ხე ვარჯოვანი დაგვახმო, აყოვა ნაკუნძალები.

აშკარაა: უღირსთ დაუჩაგრავთ ღირსეულნი, ვარჯოვანი ხე გადამხმარა, ნაკუნძალები აყვავებულან. პოეტი შევიწროებულთა, დევნილ-

თა და ჩაგრულთა ბანაკშია. ის ღმერთს ეაჯება, სამაგიერო მიაგოს ბოროტ ადამიანებს, რომელთაც სიკეთე ფეხით გათელეს, შორს, ნაგავში გადაისროლეს და ჩვენი მგოსანიც უსამართლოდ და უღვთოდ დაჩაგრეს:

ჯანაბოროტა კეთილი, შურმან აუბა თვალები,
წინა აღუძღვა ბრმა ბრმათა, არივა გზა და კვალები,
დაბენძღა, დაარიოშა, ოქროს მორიგა რვალები.
გარდახდევინოს უფალმან, რაც ჩემი ედვას ვალები!

პოეტური აღმასვლით დავითი ნათლად გვიხატავს შურით აღძრული თანამემამულის სიავესა და მუხანათობას:

ვით თხასა ცხვარი, მივენდევ, უპიროს, მოღალატესა,
წამიძღვა, სამკმო მიჩვენა, თავს წამაყენა ფლატესა,
მითხრა თუ: „აგერ საფოთლი, კარგია, ვინც იქ გახტესა,
თვით გახტა, მე შიგ ჩამაგდო, ჰგავს ეშმაკობით ანტესა“.

როგორც ვხედავთ, ლეკებიდან თავდახსნილი პოეტი ახლა საკუთარ თანამოძმეთ გაუტანლობითა და უპირობით არანაკლებ გაუტანჯავთ.

იგი ანტიქრისტეს გადაჰყრია, ხელახლა ორმოში მოხვედრილა, რის გამო თავის თავსაც კიცხავს: შევსცდი და მწყემსსა წაუველ, მრუდე გზით ძოვნა დავიწყე და დახეთ, „უძღებებამან რა მიყო, ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა! სიმსუქნისათვის დავიკვლი, ძაღლნი შესჭამენ ქონასა!“

შურით მიყენებულ ზიანზე და წინამძღოლთან შეჯახებაზე დავითი სხვაგანაც ლაპარაკობს, მაგალითად, „ადამის საჩივარში“.

გულს მაძგერა მტერმან შუბი, გამადინა სისხლი ღვარად.
წინამძღვართან მიგდო ჩხუბი...

წინამძღვარი კი დიდი ორგული, ფლიდი და გაიძვერა ვინმე ყოფილა:

ვეჴვობ ის იყოს ორგული, ვინც გახლავთ წინამძღომელი,
თვალ-გული ხარბი, ანგარი, მუცელი გაუძღომელი.

ამრიგად, ერთხელ ხნარცვიდან ამოსული პოეტი ისევ ჩავარდა სხვა უარეს ხაროში. უცხო მხარეში სალაშქროდ წასულს, ყველა იმედი უკან დარჩენია. ეროვნულ დარდსა და კაეშანს ემატება პირადი და გვაროვნული დარდი, რაც საწუთროს საშინელი სამდურავის მიზეზი ხდება. ამ მოშურნეთა შორის, ცხადია, უკანასკნელი არ იქნებოდა ხსენებული წინამძღომელი მამუკა დავიდოვი.

საბრძოლო ეპიზოდების პოემაში ასახვის თაობაზე კი უნდა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ პოეტი ძალიან მოკლედა და სხარტად გად-

მოგვცემს ვრცელ ამბებს და მკითხველისათვის მხოლოდ ერთ ბატალურ სცენას იმეტებს:

ჩვენი გითხრა სამსახური, სხვა რა გვექნა ამის მეტი:
ათას შვიდას ოც-და-ცხრამეტს ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი,
ორმოც-და-ორს ფინდრიღავანს ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი,
ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეურყივეთ ტახტის სვეტი.

ესაა წამიერი მოგონება დიდი ბრძოლებისა და ქარტეხილებისა. ამ ლაკონურ მატიანეს მოსდევს მომდევნო წლის ამბავი:

ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაკვკრა, თავსა დაგვახვივა რეტი,
მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი კენტი,
მაღდებურხის ციხეშიგან, დამსვა კარებ დანაკლეტი,
მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა ფეტვი.

სულ ესაა! თვრამეტი წლის ბრძოლასა და ცხოვრებას ეთმობა თექვსმეტი სტრიქონი. აქაა: ჩასაფრებაც, სანგრებში ჯდომაც, იერიშიც, გამარჯვებაც, ტყვეობაც, შინ დაბრუნებაც, ფეტვის თესვაცა და ყანის მკაც.

ეტყობა, ომგადახდილი პოეტი ლექსის წერის ხასიათზე მაინცა და მაინც აღარ უნდა იყოს, მეტადრე რომ საცხოვრებელი ადგილიც ძალდატანებით გამოუცვალეს...

ამრიგად, 1739 წელს ქართველთა ნაწილი თურქებს ებრძვის ბესარაბიაში, ხოთინის ციხის აღებაში ეხმარება რუსეთის არმიას.

ხოთინის ლაშქრობაში ქართველთა ესკადრონი 1739 წლის ორ აპრილს წავიდა. ამ ჯარში იყო დავითიც.

დიმიტრო კოსარიკი რამდენადმე განავრცობს ჩვენთვის ცნობილ დეტალებს: „მოსკოვიდან ფრონტზე მიმავალი გზა უკრაინაზე გადიოდა. აქ მათ გაიარეს უკრაინის ქალაქები: გლუხოვი, ბატურინი, ნეჟინი, კოზელეცი, და ბოლოს კიევში მივიდნენ. მაგრამ დავით გურამიშვილს დრო არა ჰქონდა დაეთვალიერებინა და დამტკბარიყო ლეგენდარული ქალაქის მშვენიერებითა და ღირსშესანიშნაობებით, ჯარები წინ მიიწევდნენ და ჯარისკაცის ვალი ხომ უდრტვინველი, ერთგული სამსახურია. გაიარეს ვასილკოვი, ფასტოვი, მთელი კიევშჩინა, პოდოლია და კამენცპოდოლსკის ახლოს მიადგნენ დნეპრის ნაპირებს. ლაშქრობა მძიმე იყო და მომქანცველი. დნესტრის მარჯვენა ნაპირის უკრაინა ნანგრევებად და პარტახად ექცია თურქეთის სულთნის ცხენოსანთა ყაჩაღურ თავდასხმებსა და თარეშს. გზაში სოფლების წარმტაცი სურათების სანაცვლოდ მათ ხვდებოდათ უდაბნოდ ქცეული ნაოხარი ადგილები. გაძნელდა ჯარის სურსათით მომარაგება. ტრამა-

ლებში მიმავალ ჯარისკაცებს შეშა და წყალიც კი საკუთარი ზურგით მიჰქონდათ". [1]

ერთ უკრაინულ ხალხურ სიმღერაში დადასტურებულია ის ქება, რაც გურამიშვილს რუსეთის არმიის მისამართით უთქვამს:

დიდებულ ადგილ ხოთინთან,
ჰეი, მდინარესთანაო,
ექვსი თვე არის, ოსმალო
რაც იბრძვის რუსებთანაო.
რუსთა დაიწყეს შეტევა.
ოსმალო სისხლში ბანაობს,
ბევრ ოსმალ-ბაშას დაადგა
ყელზე სიკვდილის დანაო.
...გორებს დაჰფრენენ ყორნები,
შავ ფრთების აფარფაშებით.
ჰე, ამოწყვიტეს რუსებმა,
ჰაბუკი ოსმალ-ბაშები [2]

ჩვენ შეგვიძლია ლექსის დახმარებით მხოლოდ დავაზუსტოთ ის დრო და ადგილი, რომელთანაც დავით გურამიშვილის ცხოვრების მღელვარე ეპიზოდებია დაკავშირებული: 1739 წელს ქართველთა ნაწილი ოსმალებს ებრძოდა ყირიმის ფრონტზე, ხოთინის ციხესთან. ხოთინი ქალაქია ბესარაბიაში, დნესტრის ნაპირზე მდებარეობს. აქ ძლიერი სიმაგრეები იყო აგებული რუსთა და პოლონელთა მიერ, ციხის ბურჯები და გოდოლები თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად. 1673 წლის თერთმეტ ნოემბერს აქ სობესკიმ სასტიკად დაამარცხა თურქები და ხელთ იგდო სამოცდაექვსი დროშა, მათ შორის წინასწარმეტყველის მწვანე დროშა, რაც ძლევამოსილმა სობესკიმ რომის პაპს კლიმენტი მეათეს გაუგზავნა არმაღანად. იმ დღეს ბრძოლის ველზე ოცი ათასი თურქი დაეცა, დნესტრის ხიდი ჩატყდა და რვაათასი თურქი მდინარეში ჩაიხრჩო. მერე, 1711 წელს ხოთინი ისევ თურქებმა იგდეს ხელთ. 1739 წელს მინიხის კორპუსმა ხოთინი თურქებს კვლავ წაართვა. ეს იყო დიდი ისტორიული გამარჯვება. იქ, ხოთინის ციხის მისადგომებთან, გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში დავითის ხმალიც ელავდა. მართალია, ბელგრადის ზავით ციხე-სიმაგრე ისევ თურქებს დარჩათ, მაგრამ გამარჯვებას მაინც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ხოთინის ციხის აღება-დაბრუნება რუსთა და თურქთა მხრივ მთელი საუკუნე გაგრძელდა, ვიდრე 1856 წელს ხოთინის ციხე საერთოდ არ გაუქმდა.

ფრონტის სარდლობა თავის ოფიციალურ მოხსენებაში ქებით იხ-

---

[1] დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, 1949 წ. თბილისი „საბჭოთა მწერალი".

[2] თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

სენიებს ქართველ მეომრებს. „ქართველები თავიანთ სამსახურს ძალიან მამაცურად ასრულებენ... ქართველები ისე იქცევიან, როგორც შეეფერება მამაცსა და სანდო ხალხს, ასე რომ, მათგან მეტის მოთხოვნა შეუძლებელია... ქართველები ძალზე საჭირონი არიან. ამიტომ ძალიან გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ეგზომ მამაცი ხალხი". [1]

ასეთი მიუდგომელი, უანგარო ქება ბრძოლების წარმმართველთაგან, მათგან, ვინც უშუალოდ ადგილზე განაგებდა საკუთარსა და მოლაშქრეთა ბედს, ჩაწერილი ისტორიულ დოკუმენტში, კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ სიმამაცითა და ერთგულებით ქართველები მუდამ წინ იდგნენ. ამ ჯარის მეომარი იყო დავით გურამიშვილიც, მასაც ეხება სარდლობის მაღალი დახასიათება.

თვითონ მინიხი გააოცა ქართველი მებრძოლების სიმამაცემ, და ეს ახალი ამბავი არ იყო, ყველგან — ინდოეთში, ავღანისტანში, შუა აზიაში, ეგვიპტეში, ჩრდილოეთში, თუ დასავლეთში — სადაც კი ქართველთა ხმალი ელავდა, გამარჯვება და გაოცება იყო მათი თანამგზავრი. იმ მამაცთა შორის, რომელთა სახელები მემატიანემ შემოგვინახა და ვიცით, დავით გურამიშვილიც დგას. ხოთინის ბრძოლაში თავის გამოჩენისა და სიმამაცისათვის დავითს მთავარსარდლის ბრძანებით აწინაურებენ და კაპრალად ნიშნავენ. ეს მოხდა 1739 წლის ხუთ აგვისტოს. ბრძოლა კი გრძელდება და მხოლოდ ცხრამეტ აგვისტოს დასრულდა. ზავიც შეიკრა. დავითი უკვე კაპრალია, თვრამეტი დეკემბრიდან კვარტირ-მაისტერი. 1840 წელს კი ვახმისტრი შეიქნა. იმ დროისათვის ეს ძალიან საგრძნობი წარმატებები იყო და ასეთი წოდებები იოლად არავის ეძლეოდა. მით უმეტეს, რომ ჯარისკაცების დაწინაურება მაშინდელ დროში იშვიათი გამონაკლისი იყო. გურამიშვილის პირადულმა თვისებებმა: შემართებამ, სიმამაცემ და მოსაზრებულობამ განაპირობა მისი დაწინაურება.

თვითნებობისა და ძალადობის მეტად არეული დრო იყო: სასახლის ინტრიგებს თან სდევდა ხშირი ომები, ბატონყმური უღლის სიმძიმე, საყოველთაო სიბნელე, ჩამორჩენილობა, ჯაშუშობა, ერთეულები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, მილიონები კი ჩაგვრის უღელში გმინავდნენ. ამ თვითნებობისა და ძალადობის შედეგი იყო უთუოდ ის უმადურობაც, რისი მსხვერპლიც მრავალი ნაომარი ქართველი გახდა.

უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ არაერთხელ შექებულ ქართველ მეომრებს, ხანდაზმულებსაც კი, სენატმა საარსებო წყარო დაამადლა, საკუთარი სისხლის ფასად ნაყიდი დამსახურებული უზრუნველი ცხოვრება არ აღირსა. თვითონ ჩვენი სასიქადულო პოეტის ბიძას მერაბ გურამიშვილს, ნამსახურს, პოლკის საბრძოლო დროშასა-

---

[1] სენატის ფონდი, წიგნი მეორე, 1963 წ. ფ. 376 549. სენატის ფონდი № 1663 ფ. 376, 549 (цент. Гос. Архив Древных Актов ГДА

ვით ათასგან დაჭრილსა და დასახიჩრებულს, ხოთინის ბრძოლის მონაწილეს, უარი უთხრეს თხოვნაზე, ცხოვრების სახსარი მიბოძეთო.

გურამიშვილი ხომ ისედაც მძიმე დღეში იყო და რა უნდა მიეცა მოხუცი ბიძისათვის, გარდა იმისა, რომ ლუკმას უყოფდა! საქართველოში ლაშქრობაზე ფიქრიც შეუძლებელი შეიქმნა. უკრაინის ბარაქიან მიწაზე, სადმე კარგ ადგილზე მაინც მიეცათ ერთგული სამსახურისა და თავდადებისათვის რიგიანი მამული. მაგრამ ბირონის სენატი უთვისტომო ქართველებს კი არა, თვითონ რუსებს ჩაგრავდა და ერეოდა. განა მისი თვითნებობისა და ძალადობის მსხვერპლი არ შეიქნა კაბინეტ-მინისტრი არტემ ვოლინსკი?

დედოფლისაგან წათამამებული ბირონი ქვეყნის შიგნით ძლიერი და ყოვლისშემძლე იყო, გარეთ კი... ნადირ-შაჰი წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა და სულ წინ მიიწევდა. შუა აზია დალაშქრა, მისმა ხმლის ელვამ ინდოეთამდე უწია. რუსეთს ჩაუდგა ჯიბრში და კასპიის პირეთი დააცლევინა...

1740 წლის ჩვიდმეტ ოქტომბერს ანა იოანეს ასულმა მოულოდნელად განუტევა სული. დაიწყო ბირონის დესპოტური თვითმმართველობა. ბევრი კეთილშობილი რუსი მოღვაწე გასწირა და აწამა, მაგრამ მეფის გვირგვინი ვერ იქნა და თავზე ვერ დაიდგა. მხოლოდ სამ კვირას მართავდა ქვეყანას საყვარლის გარეშე უდღეური. მალე სასახლეში გადატრიალება მოხდა და ტახტზე აიყვანეს მეორე ანა ლეოპოლდის ასული, იგივე ელისაბედ-ეკატერინე-ქრისტინა, მეკლენბურგ-შვერინის ჰერცოგის ასული. დედამისმა, ალექსი მიხეილის ძის შვილიშვილმა, ვერ გაუძლო სასტიკ ჰერცოგს, ქმარი მიატოვა და რუსეთში დაბრუნდა, თან ელისაბედიც ჩამოიყვანა. რაკი ანა იოანეს ასულს მემკვიდრე არა ჰყავდა, კარისკაცთა რჩევით, ტახტის მემკვიდრედ დედოფალმა ეს ელისაბედ-ეკატერინე-ქრისტინა აირჩია და სახელიც თავისი დაანათლა.

ბირონი დაამხეს, ზოგიერთი მინისტრი გადაასახლეს, ჰერცოგს სიკვდილიც კი მიუსაჯეს, თუმცა მერე შეიწყალეს და კიდევ დიდხანს ითარეშა... ტახტი იმჯერად წილად ხვდა გარეგნულად კეთილს, მაგრამ გაუნათლებელს, ზანტსა და უქნარა ანა ლეოპოლდის ასულს, რომელიც მთელ დღეებს ბანქოს თამაშში ატარებდა... რა დღე უნდა დადგომოდა იმპერიას ასეთი მბრძანებლის ხელში!

პოეტს ბედი ვინ მისცაო, ნათქვამია... როცა ხარბი, შურიანი მისი საკუთარი მამულიშვილები საუკეთესო მამულებს იზომავდნენ პოლტავის, მირგოროდისა და პრილუცკის რაიონებში, და საკუთარ ბედნიერებას სჭედდნენ, სხვისი სიკეთის მოიმედე და მათ ხელებში შემყურე გურამიშვილმა მიწა იქ მიიღო, სადაც მიუბოძეს, და „სადაც არა იყო მწადი“ — ხოროლის ჭაობებში, მდორე მდინარის პირას, სადაც

ლაქაშების მეტი არაფერი ხარობდა. და სოფელ ზუბოვკაში. იქ ჩაიყვანა მოსკოვიდან ოჯახი და მოხუცებული ბიძა მერაბი. მაგრამ მალე ცოლი, მოხუცებული ბიძა და მსახური უპატრონოდ დაჰყარა და თვითონ ისევ ბრძოლის ველზე წავიდა.

დიმიტრო კოსარიკმა გაარკვია, რომ 1741 წლის თორმეტ დეკემბერს, თერთმეტი მირგოროდელი ქართველის სიაში დავით გურამიშვილი აღარ იხსენიება. სამაგიეროდ, მოხსენებულია მერაბი.

შვედებთან ომი უკვე გაჩაღებული იყო. შვედებს ვერ მოენელებინათ ის დამარცხება, რაც პეტრე პირველმა აგემა პოლტავასთან 1709 წელს, რევანშის აღება ეწადათ და განზრახული ჰქონდათ ბალტიისპირეთის უკან დაბრუნება.

ქართველ ჰუსართა პოლკის მოლაშქრენი ომში იმ იმედით მიდიოდნენ, რომ, ვინც ცოცხალი გადარჩებოდა, საკუთარ ადგილ-მამულში დაბრუნდებოდა, მაგრამ 1742 წლის ოცდაოთხ აგვისტოს ახალი უმაღლესი განკარგულება გაიცა, რომლის ძალითაც ქართველ თავადაზნაურებს მამულები უკრაინის ნაცვლად ახლა ორენბურგში უნდა დარიგებოდათ. ეს იყო ახალი დედოფლისაგან ერთგული სამსახურის პასუხი. ამ ბრძანებამ ქართველები აღაშფოთა. საბედნიეროდ, ჰუსართა პოლკმა ამ საშინაო საკითხშიც გაიმარჯვა. ელისაბედმა კიდევ გამოსცა ერთი ახალი ბრძანება და იმ ბრძანებით ძველისძველი ბრძანება დაადასტურა. ამრიგად, 1743 წლის ოცდაოთხ ოქტომბერს საბოლოოდ გადაწყდა ქართველთა დასახლება უკრაინაში. მირგოროდში დასახლებულან თავადები: დავით რატიშვილი, ზაალ ხერხეულიძე, დავით გურამიშვილი, აზნაურები: ოდიშელიძე, ხაჭაპურიძე, კობიაშვილი, ინასარიძე.

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის არმიის მეომარს დავით გურამიშვილს ბედმა გაუღიმა და მცირეოდენი შესვენება აღირსა. ერთი დღე პყრობილსაც კი გაუღიმებს ხოლმე მოირაl მაშ, კედელზე ჩამოვკიდოთ საჭურველი და ზუბოვკაში გავემგზავროთ.

ზუბოვკელი ბეატრიჩე

„ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი...“

დავით გურამიშვილი

1743 წლიდან გურამიშვილის ცხოვრებაში მყუდრო დღეებიც დგება. იმ ხანებში იწერება „ზუბოვკელი ქალი“. უკრაინული ლექსის სასიმღერო კილოზე გამართული „ზუბოვკა“ მსუბუქი ლირიკის შე-

დევრია. ლაღი და უდარდელი მელოდიით იწყება ეს ბრწყინვალე ლექსი:

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
შეტად ტურფა, მშვენიერი, მასზე დამრჩა თვალი,
შავთვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი.
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.

სადა, უბრალო, სასიმღეროა ეს ლექსი თავიდან ბოლომდე, მკვლევარები ლაპარაკობდნენ ერთი ფრაზის — „მისმან ეშხმან დაცამლეწა“ მწიგნობრულ ხასიათზე. მაგრამ ეს მწიგნობრული კი არა, უაღრესად ნატიფი რუსთაველისებური პოეტური ფრაზაა, რასაც მაღალ რეგისტრში აჰყავს ლირიკული ლექსი და აძლიერებს ემოციურ შთამბეჭდაობას.

ზუბოვკის სანახებში წყნარი ხოროლი მიედინება. გარშემო მურუყანი, მტირალა ტირიფები და ლაქაშებია. აქ, ამ ჭაობიან მიდამოებში, ხშირად დასეირნობს დაბრძენებული პოეტი და წყლის წისქვილის გამართვაზე ოცნებობს. მირგოროდიდან ზუბოვკამდე ათი კილომეტრია. დავითი ხან ცხენით მგზავრობს, ხან ქვეითად დაიარება. აქ ტყეცაა, ველიცაა, ყორღანები, ლაქაშები და ჭალაკები... ფიქრთგასართველად დროც ბევრი აქვს და ადგილიც ზედგამოჭრილია.

უკრაინამ თავისი შვილობილის მემკვიდრეობა პირველად მიკოლა ბაჟანის თარგმანის წყალობით გაიცნო. „ეს მაღალპოეტური, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ნაწარმოები გვიხატავს ავტორის შინაგან სახესაც და ახალგაზრდა ულამაზესი უკრაინელი ქალის ხატსაც. ადამიანური გრძნობებით აღსავსე ეს ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობს უკრაინაში, მეტადრე ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც ქართველი პოეტის სახელი ხელახლა აღდგა და განახლდა“ [1].

ზუბოვკისა და სოროჩინის გზაჯვარედინზე მაღალი, მწვანით მოსილი ყორღანია აღმართული, პოლტავშჩინის ეს მიდამოები ხალხს ლეგენდის ბურუსში გაუხვევია. აქ შეხვდაო დავითი ზუბოვკელ მზეთუნახავს, აქ შეიქმნაო მისი ხორციელი მშვენებისადმი შენამსჭვალები, და ქალის სახელიც კი გამოსტაცეს დავიწყების მდინარეს — ტატიანა!

ვინ იცის, პოეტის ცხოვრებაში რა როლის შესრულება არგუნა წილად მოირამ ზუბოვკელ ქალს. იმ დღესაც ფიქრთგასართველად დავითი, ალბათ, მწირივით ეული გამოვიდა სახლიდან. აღმა-დაღმა დაჰყვებოდა მიუსაფარი პოეტი მოდუდუნე მდინარეს, და ბედზე შემომ-

---

1 დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, 1949, თბილისი, „საბჭოთა მწერალი“, გვ. 24-25.

წყრალი, სოფლ ს საშღურავს ხოროლის მდოვრე ზვირთებს ანდობდა:

ნაღვლით დღენი შემიმოკლდა,
აღარა მაქვს, დამელია.
ყველა მწარედ გარდამექცა,
რაც რამ ტკბილად დამელია.
მძორთა ჩემთა შესაჭმელად
მზა არს ტურა და მელია,
აწ წამოვალ მეც თქვენთანა,
სად ძმა მიცდის, და მელია...

სევდით გულგასენილი პოეტი ტრამალზე ჩერდება, ყვავილებს ჰვრეტს, მათი სურნელით იბნიდება, მოკრეფა უნდა, მაგრამ ამქვეყნად ყვავილთა წამიერი ყოფნა გაახსენდება და მოსაწყვეტად ვერც ერთს ვეღარ გაიმეტებს. ფიქრი ფიქრს აედევნება, მწარე მოგონებები მოეძალება, გულდამძიმებულ, შეჭირვებულ პოეტს სანუგეშოდ თვალთაგან ცრემლის გამოწურვა უნდა, მაგრამ ნუგეშის ეს იმედიც გაუცუდდება. ყვავილებს ადამიანებად წარმოიდგენს: „ასე ვართ ჩვენც მიწასთან მიჯაჭვულნი, ასე გვარწევს წუთისოფლის ქარი, ასე განვიძარცვებით და დავჭკნებით, ვის ადრე მოსწყვეტს ნიავი და ვის გვიან გააგდებინებს თავს ქარტეხილი. აი, სადაური სად წარმომისროლა, ახლა კიდევ საით მეწევა!“ იგი ობოლი მარგალიტის ჯავრს გაუთანგავს. ეს ობოლი შექმნილა ახლა მისი საზრუნავი, მისი არდავიწყების იმედი, მისი ნუგეში, ნანინანატრად ნაზარდი წიგნი. ანდა უკეთესი ძე ვისა ჰყოლია, უკვდავი და ერთგული. ოღონდ კი დაუდევარმა ადამიანებმა არ მოწყვიტონ ყვავილივით, ხელნაწერი არ დაუკარგონ, სიმღერა ზარად არ გარდაექცეს და დავითი ისევ იცოცხლებს:

მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ვზრდი მომღერლად მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა...

მაგრამ ეს ყოველი ხომ წინათ იყო, ჯერ კიდევ ვახტანგ მეფის სიცოცხლეში. აი, ასეთ ფიქრებსა და მოგონებებში იძირება პოეტი. ფიქრი, ოცნება, სურვილი, სინამდვილე ერთმანეთში ირევა, მათ შორის ზღვარი იშლება და ძნელი გასარჩევი ხდება, სად მთავრდება ერთი და იწყება მეორე.

მთის კორტოხზე წამომდგარი სალოცავივით ყველასაგან მიტოვებულმა, იმ სალოცავივით, მორწმუნენი წელიწადში ერთხელ და ისიც დღესასწაულზე რომ მოინახულებენ ხოლმე, თვისტომთა დანატრებულმა, თესლაშრეტით გადამხმარმა და ეულმა ჰოროლის სანახებში გასეირნება მოიწადინა. მოგონებათა უწყვეტი ჯაჭვი სადღაც შორს ნისლში იკარგებოდა. იქნებ გულიდან ჯავრი გადავიყაროო, ნელა დაუყვა მდოვრედ მავალი მდინარის ნაპირს. თაკარა მზე სულ ცოტა ხნის წინათ გადახრილიყო დასავლისაკენ, თუმცა სიცოცხლის მფენ მის

სხივებს სიცხოველე და შუქი ჯერ კიდევ არ დაეკარგათ. მზის სიმხურვალე მოელამუნა მხრებზე და მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. სულ ახლოდან შემოესმა გუგულის მოძახილი და ქედანთა დვრინვა. ამ ხმამ და მოგონებათა ჯაჭვმა თითქოს სამშობლოში დააბრუნა. ბურანში მყოფმა ჯერ ნაბიჯი შეანელა, მერე სრულიად შეჩერდა. უცებ ვიღაც წამოეწია და გადაუსწრო კიდეც. დავითი გამოერკვა. სწორედ ის იყო, ვის ნახვასაც ინატრიდა...

ჩითის კაბაში გამოკვალთულ ქალს, სხეულის ყოველი ნაკვთი, თითქოს შიშველიაო, ისე მოუჩანდა. ფერადი კაბა უფრო საჩინოს ხდიდა ქალის ხორციელ მშვენებას. ქალს ხელთ სიყვარულისა და დაუმცხრალი ჟინის სათავის — წითელი ვარდის ნაცვლად პურის თავთავები და ყაყაჩოების კონა ეპყრა. ბედის ვარსკვლავს იგი ბალ-მასკარადებისათვის არ გაეჩინა. ბალ-მასკარადებზე დავითს ბევრი პარიკიანი და გაპუდრული მოცეკვავე ქალი ჰყავდა ნანახი. ისინი უხვად აფრქვევდნენ ნელსაცხებლის სასიამოვნო სურნელს და ამაოდ ცდილობდნენ მარაოებით გაეგრილებინათ შიშველი გულმკერდი და მკლავები. პუდრისაგან რუსული ზამთარივით გადათეთრებულთ, ცეკვის დროს ღაწვები ეფაკლებოდათ, ოფლი ეძალებოდათ და პუდრგადაცილებულ სახეებზე პაჭუა ცხვირები უპრიალებდათ ხოლმე. ამას კი არც ნელსაცხებლის სუნი ასდიოდა და არც პუდრი ჰქონდა სახეზე თოვლის ფიფქებივით მიყრილი. ჯანსაღი ნაბიჯით მიდიოდა, თეძოგანიერი, თვალგიშერა, პირად თეთრი და შავ ხალებდამსხდარი, ეშხიანი და ძვალთშემმუსვრელი. ამ ქალის ყოველ ხილვაზე „მამაკაცური მაზრზენელნი გულისთქმანი“ აღსდგებოდნენ მასში. კარგა ხანია თვალი ეჭირა ქალზე, მალულ უჭვრეტდა, არავისთვის ემეტებოდა, საკუთრივ სწადდა, რაც შეიძლება მალე უნდოდა დაუფლებოდა მდიდარ საუნჯეს. „მალე არს ქარი, ხოლო გულისთქმანი კაცისანი უმალეს მისა არიან“. ამ ქალისადმი სიყვარულის ვნება მის პირველ ნახვისთანავე აღეძრა, მერე ცეცხლივით ნელ-ნელა გაუღვივდა გულში. მალე სიყვარულის ვნების სახმილი მოგიზგიზე ხანძრად გადაექცა, რომლის ჩაქრობა უკვე აღარა ძალას აღარ შეეძლო. განუყრელად უნდოდა სულ მის სიახლოვეს ყოფილიყო, მისთვის ეცქირა, ეგრძნო მისი მწველი სუნთქვა. ქალი შეუმცდარი, მშვენიერი სქესისათვის დამახასიათებელი გუმანით მიუხვდა საწადელს, და განერიდა. ქმრიანი ქალისათვის მომაყივნებელიაო უცხო კაცის სიახლოვე, თავიდან მომწყდიო, ერთხელ დაურიდებლად ახალა კიდეც პირში. წინააღმდეგობამ დავითი კიდევ უფრო გაახელა და გააღიზიანა. იმ საღამოს სასეირნოდ გამოსული გზად გადაეყარა. ქალმა ეს შემთხვევითი შეხვედრაც განზრახულში ჩაუთვალა, რაკი იცოდა, რომ მისდამი სიყვარულით შენამსჭვალები ერთთავად მისი სახლის ირგვლივ მიმოდიოდა.



„ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი...“

— რაო, რას გამირბი, ჩემი ხომ არ გეშინია? — სცადა გამოლაპარაკება დავითმა.

— სწორედ ადამიანისა უნდა გეშინოდეს, თორემ სხვა რაა საშიში? რა ერთთავად ჩვენი სახლის ირგვლივ დაბორიალებ, სხვა ადგილი ვერ გამონახე სასეირნოდ?

— შენ გადამიკეტე ღვთისა და კაცისაკენ მიმავალი ყველა გზაშარა და ბილიკი. აღარც სალოცავად დავდივარ და ნაცნობთა შეყრასაც გავურბი. ყველას ერთბაშად დავცილდი და მიზეზი კი შენა ხარ! დავყურყუტებ თქვენი სახლის ირგვლივ და მინდა თვალი მოგკრა, დაგინახავ და მინდა გამოგელაპარაკო, გულში ჩაგიკრა და გიჩურჩულო, რომ შენმა მშვენებამ ამაფორიაქა, ამ ცოდვით სავსე მიწაზე ადგილს ვერ ვპოულობ. ვცდილობ შენზე ფიქრი გონებიდან ამოვიგდო, აღარ დაგინახო, მაგრამ ამაოდ ვირჯები, გული კვლავ შენსკენ მოიწევს, შენი უკურადღებობა სატანჯველს მიძლიერებს. შენს დანახვაზე აღტაცება და სინანული ერთად მეუფლება. შენი მშვენება სიყვარულის სახმილით მწვავს! შენი სახება გულში ჩამძახის არავის დაანებო, ის შენ გეკუთვნისო, შენი ბაგენი კი ჩემთვის დაუჯერებელ არას წარმოსთქვამენ და დაბადების დღეს მაწყევლინებენ. შევინანი, რომ გნახე, ვნანობ იმასაც, რომ ამქვეყნად გავჩნდი და შენ გადაგეყარე! — ქალი უსმენდა და გაყუჩებული იყო.

დავითმა კარგად იცოდა, რომ ახლა ცოდვილივით აღსავლის კართან იდგა და სახატეში შესვლა ვეღარ გაებედა. ყოყმანობდა და გონებაში სწონიდა, განევითარებინა ფიცხელი შეტევა, თუ გონიერად მოფიქრებული ციხის საალყო წესით გატეხის გეგმა განეხორციელებინა.

უეცრად ქალს ხელი სტაცა, ტუჩი ტუჩს შეუწება და უსურვაზივით ჩაეხვია. ერთის წამით სიყვარულის ვნებამ, ალბათ, ორივეს ერთიანად დარია ხელი, გონი დააკარგვინა და თავდავიწყებისაკენ უბიძგა. ქალის დაბნევამ და გაყუჩებამ დავითი წაათამამა. ვაჟს თავმოყვარეობა აიძულებდა, ერთხელ კიდევ ეცადა ბედი, იქნებ სწეოდა საწადელს. ერთხელ კიდევ გამოვიდებო თავს, — გაიფიქრა, — იქნებ ბუნების წიაღში ხოროლის პირას, სურნელოვანი, შემჭკნარი თივის ბულულებზე, ბუნების ხმა მოუპოვებდა იმას, რისთვისაც ამაოდ იღწოდა მისი სახლის ახლომახლო. და როცა ქალს მკლავები სალტესავით შემოაჭდო, გზის იქით მდგარი თივის ბულულისაკენ ციმციმ წაიღო, ზედ დააწვინა და მის დაუფლებას ლამობდა, სწორედ მაშინ გამოეხიზლდა ქალი: — ავო კაცო, ვით გაბედე და თავი მთხოვეო, — ეს უთხრა გაკაპასებულმა, — შენგან თვალად უკეთესი ვაჟი-კაცი ქმარი შენ მიზის, შენგნით ნუმცა მსმენიაო სიტყვა ამის მეტი, — თქვა ესა და უი-

მედოდ შეყვარებულ მიჯნურს თავში კეტი დაჰკრა. დავითი დაბარბაცდა, თავს რეტი დაესხა და გარდაიქცა.

მართალია, ქალმა მისი წრფელი გრძნობა სიტყვიერად და უხეში ძალით უარჰყო, ავად მოექცა და მისი ხორციელი მშვენებით აღტკინებული ხელი მიჯნური კეტის დარტყმით მიწას განართხო, მაგრამ ამ ამბავს დავითის არსებაში ქალისადმი სიძულვილი მაინც არ დაუბადებია. მართალია, ამ ქალმა ერთ წამში შეუმუსრა თვითრწმენა, ჩაუხშო სასიცოცხლო ძალა, განარინა ოცნებას, გაუფანტა ნეტარების ბურანი და გაუცამტვერა ნალოლიავები იმედი, მაგრამ მისდამი შენამსჭვალები გულის გაბოროტება ვერ შესძლო. შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას დავითი მტარვალ შურისმაძიებლად და პატარა კაცუნად არ უქცევია. პოეტი დარჩა პოეტურ სიმაღლეზე, როგორც იდუმალებით მოცული მუზათა მოყმის დიდსულოვან ბუნებას შეჰფეროდა. დავითი დარჩა ნაზ, მოსიყვარულე მიჯნურად, ვის გულში კვლავ სახმილივით ენთო და საკმეველივით სასიამოვნო, ნაზი სურნელით იწვოდა ქალის ხორციელი სილამაზითა და ძვალთა შემმუსვრელი ეშხით დანთებული, ეტრატზე დღემდე ჩაუქრობელი კანდელი.

...და როცა მიწას განრთხმული იხილა ძე-სულიერი, ქალს შეჰბრალდა მისთვის თავგადაკლული ხელი მიჯნური, ვით ნათლისსვეტი, თავს დაადგა, მოეფერა, დაუყვავა, ალერსი დაუწყო და გაუცინა კიდეც.

მერე ქალურმა კდემამ სიფრთხილის აუცილებლობაც უკარნახა და მიჯნური ასე დამოძღვრა: აქ ნუ ვსხედვართ, არავინ გვნახოს, ახლა დროა ავდგეთ, თავთავისთვის შინ წავიდეთ და მერე შეგხვდებიო. „კიდევ მოვალო“, აღუთქვა, გულს ნანატრი იმედი განუძლიერა და ბუნების წიაღში კვლავ შეხვედრის იმედის ბურანში დასტოვა. — იქნებ ბუნების ამაყ შვილს ბუნების წიაღში აქვს განზრახული ვნების მორჩილი შეიქმნას, თუ ასე არაა, აბა რად უნდა აღეთქვა, მოვალო?... ისეთი საიმედო სიტყვა და სიხარული დაუტოვა და წავიდა. ადამიანის ამამაღლებელი სიყვარულით ვნებული პოეტი მოუთმენლად ელის თავის ერთადერთ სასოებას, ის უვის ნუგეშად, მისდამი ვნების სახმილით იწვის. გამიჯნურებული გურამიშვილი თავის სიყვარულსა და სატრფოს მოლოდინს მთელ ჰიმნს უძღვნის:

ომ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,
ეჰა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა.
იმედი მაქვს, რასაცა ვსთხოვ, მომცემს, არა შურსა,
უკვდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა.

„პურს არსობისა“ და „უკვდავების წყაროს“ უზენაესს შესთხოვდნენ მორწმუნენი. აქ, ეს სიყვარული ჩვენ ცამდე ამაღლებული გვეგულება და რაკი პოეტს საყვარელი არსების გარეშე ამქვეყნად სიცო-

ცხლე აღარაფრად მიაჩნია, რასაც დამაჯერებლად გვიდასტურებს თვითონ დავით გურამიშვილის სტრიქონები, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გულთა ეს ორთაბრძოლა წარმატებით დაგვირგვინებულა. ერთმანეთისადმი შენამსჭვალებ გულთ დროებით კი გაუხარიათ, მაგრამ მალე ამ ამბავს ტრაგედია მოჰყოლია. ზუბოვკელ მზეთუნახავს ძვირად დასჯდომია პოეტის მიჯნურობა. „სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბასრულსაო“, — გვაუწყებს პოეტი, — ზუბოვკელი ბეატრიჩეს სული პოეტს უკვე ცად ეგულვის, აღარც თვითონ უნდა გამწარებული სიცოცხლე და მიცვალებული მიჯნურის სულს ეაჯება: „ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა, გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!“ გურამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევართა ერთ ნაწილს ასეთი ფინალი საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ ლექსში ლაპარაკია ზებუნებრივ წმინდა სიყვარულზე, რომლის გმირი ქალიც — სიმბოლოა... მეორდება ის შეხედულება, რაც დანტესა და ბეატრიჩეს შესახებაა ცნობილი. მაგრამ არც იქ და არც აქ არ შეიძლებოდა ციურ რანგში აყვანილ ტრფობას მიწიერი სარჩული არა სდებოდა. ვერ წვდომა, დაშორება, განსაცდელი, დაბრკოლება აძლიერებს განცდას, ჰეშმარიტი პოეტური მადლით ცხებული პოეტის ძალუმი სიტყვა კი ციურ იერს აძლევს წამიერ გატაცებას.

ძლიერი სიყვარულით ვნებული პოეტი რეფრენით უფრო აძლიერებს სასიმღერო ლექსის ფინალს: „ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა...“ განა ცაში არ ეგულებოდათ გარდასული დროის გამორჩეულ პოეტებს ის იდეალი, შვება და იმედი, რაც მრუდე წუთისოფელში დაკარგეს, წაართვეს, შეუგინეს, ჯვარს აცვეს? შემოქმედს იმედი მაინც უნდა შეარჩინო, რომ იარსებოს. თუნდაც რუსთველის ცნობილი სტრიქონები გავიხსენოთ „მიმავალი ცას შესტირის“...

„ზუბოვკა“ ამ დებულების ერთ-ერთი დადასტურებაა. პიროვნული განცდა ამ ლექსში ზოგადკაცობრიულ განზოგადებას პოულობს.

გურამიშვილმა ზუბოვკით ორი რამ მაინც დაამტკიცა: რომ ეს მგზნებარე პოეტი, მამაცი მეომარი, მარტოსული, მორწმუნე ქრისტიანი იმავე დროს უაღრესად ძლიერი, ამაღლებული გრძნობის კაცი და გატაცებული მიჯნური ყოფილა და მეორეც — რომ უკრაინელი ქალი ფრიად სპეტაკი, ოჯახის ერთგული, ზნეობრივად სამაგალითო ადამიანი შეხვედრია. სწორედ ასეთები ზრდიდნენ გადამთიელებთან მებრძოლ მამაც უკრაინელ ვაჟკაცებს და ინარჩუნებდნენ ამ ხალხის საუკეთესო ადათ-წესებს. გურამიშვილია პირველი მწერალი, რომელმაც სხვისი ეროვნული სახატე არ შებღალა, უკრაინელი ქალის პატიოსნებას, შეუვალობას და სიმტკიცეს ასე უშუალოდ, გზნებით უმღერა და ჩვენს გულებში ნამდვილი სიწმინდის ძეგლი აუგო.

„შეუძლებელია ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ლირიკული შედევრი დაიწეროს და მასში ავტორის პირადი ცხოვრებით განცდილი ვნება და ჟინიანობა არ იყოს ჩაქსოვილი“, — ამბობს პოეტი სიმონ ჩიქოვანი და ჩვენც ამ აზრს ვეთანხმებით.

ასევე სწორ მოსაზრებად გვეჩვენება სიმონ ჩიქოვანის თვალსაზრისი, რასაც იგი დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტის გამო გამოსთქვამს: „ავტორს პოემებში და ლექსებში გამოთქმული სურვილები თუ აღსარება საკმარისად გამოკვეთილად არ მიუჩნევია და ეს ნახატიც წიგნისათვის მიუმატებია, რათა მკითხველს ნათლად გაერკვია პოეტის შინაგანი ხასიათი და გაეგო მისი ლირიკული ღაღადისის ნამდვილი შინაარსი. ნახატის ქვემოთ ავტორს მიუწერია: „ეს კაცი ასე ილოცავსო“.

ღმერთო, მაჩვენე ყანები,
ამ სარწყავთ მონაყვანები!
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს, ამ წისქვილში დაფქულსა.

პოეტი ამ წარწერით თითქო გვეუბნება: მართალია, მე ვლოცულობდი, მაგრამ ამქვეყნიურ ყანებზე და წისქვილზე ვლოცულობდი. ყანისა და წისქვილის შესახებ არა მარტო ვლოცულობდი, არამედ ნახევრად ბრმა ვქმნიდი მათ და დიდი გეგმების განსახორციელებლად ვმუშაობდი, ე. ი. ამ მიწაზე მეც სიცოცხლეს, ცხოვრებას ვამკვიდრებდიო. ავტორი ხსენებული წარწერით თითქო გვეუბნება: „დავითიანის“ საგალობლების გარეგნულმა იერმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ, მე ყანის სარწყავისა და წისქვილის გამომგონებელი ვარ და წუთისოფლის გარდაქმნისათვის ვიღწვიო. ამ ნახატში წარმოდგენილი კაცი, ეტყობა, მრავალ ქარიშხალგამოვლილია და თითქო ლოცულობს, მაგრამ იგი სრულიად არ არის მისტიკურად განწყობილი და ამქვეყნიური ცხოვრების უარმყოფელი. ეს კაცი ყანებზე ფიქრობს და მოწადინებულია ახალი წისქვილი ააშენოს. ამიტომ ეს თითქო პრიმიტიულად დახატული ავტოპორტრეტი დავით გურამიშვილის პოეტური სამყაროს ერთგვარი გასაღებია და მისი შინაგანი ხასიათის თავისებურად ამხსნელია.

„დავითიანის“ ავტორი სიცოცხლის, მშვენებისა და გაზაფხულის მომღერალია. იგი მიჯნურია, მომკელი, მეწისქვილე, მესიტყვე, მხედარი და სამშობლოსათვის ხელაპყრობილი მგალობელი. „დავითიანში“, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების სიმღერაა აღბეჭდილი:

აწ მე საერო წალკოტი
მგონია პატიოსანი,
მიყვარს და მალ-მალ მსურიან
მისთა ყვავილთა ყნოსანი.

გაეშორდი სალმთო ბაღნართა,
ესთმე მის ბულბულთა ოსანი,
მივჰყევ საწუთროს ზღაპართა,
შევიქენ არაკოსანი...

დავით გურამიშვილი ამ სტრიქონებში საერო ცხოვრების მომღერალია. იგი სიბერეშიც წუთისოფლის ყანების მოყვანას ცდილობდა და მის მიერ ხალხისათვის აშენებულ წისქვილში დაფქულ ფქვილს ნატრობდა. აქ სიცოცხლის სიყვარული და ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის გაწეული შრომა-ღვაწლია გამოსახული. როგორც ეს სურათი, ისე გურამიშვილის მთელი ბრწყინვალე პოეზია ხალხური სულით, საერო წალკოტის სიყვარულითაა გამთბარი“ [1].

დიახ, რაოდენი რწმენა, სიცოცხლის სიყვარული და ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობის სურვილი უნდა გააჩნდეს კაცს, რომ წელთა სიმრავლით დამძიმებულმა, ოთხმოც წელს გადაცილებულმა მთელი გულით მოიწადინოს მის მიერ გამოგონებული სარწყავი სისტემა და წისქვილი წაადგეს მაშვრალთ და შრომის ტვირთი შეუმსუბუქოს.

„ზუბოვკა“ მცირე ზომის პოემაა, „კაზაკ დუშა პრავდივაიას“ ხმაზე დაწერილი. ზოგიერთი მკვლევარის ახალგაზრდობისდროინდელი აზრითა და ვარაუდით (მერე მოწიფულობაში ეს აზრები შეიცვალეს) სხვა რელიგიურ ლექსებთან ერთად „ზუბოვკაც“ ქრისტეს სამიჯნურო ლექსია.

სრულიად ხორცშესხმული ზუბოვკელი ქალი, რომელიც პოეტს ეუბნება: „არ მინდიხარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი, შენგან თვალად უკეთესი ვაჟი-კაცი ქმარიო“, — უეცრად თითქოს აღმოჩნდება იესო ქრისტე. ზუბოვკელი ქალის სახით თუ ქრისტეა დახატული და ეს სიტყვები მაცხოვარს წარმოათქმევინა დავით გურამიშვილმა, მაშინ იგი მორწმუნე არ ყოფილა. მგონია, ჩვენი მკვლევარების ეს დასკვნა ძალიან გაბედული, დაუსაბუთებელი და მეტისმეტი უნდა იყოს.

მართალია გურამიშვილი ამბობს:

ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბანრულსა,

მაგრამ განა იესოს მარტო დავითისათვის სცემეს? ან რა სათქმელი იქნებოდა მაშინ ეს სოდომური სიტყვები „სხვა მყავს კარგი მყვარი, ვაჟი-კაცი ქმარიო!“ — სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი კარგი

---

[1] სიმონ ჩიქოვანი, რჩეული წერილები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 51-52.

მყვარი და ვაჟი-კაცი ქმარი. დავით გურამიშვილი არავის დარიდებია, როცა საჭირო იყო სიმართლის თქმა და რაღა საკუთარ ლექსში გაუჭირდებოდა სიმართლის დაწერა. ზუბოვკა არაა ის იგავური ლექსი, რომლის შინაარსი გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ და ავხსნათ. იგი სასიმღერო კილოზე და, რაც მთავარია, „კაზაკ დუშა პრავდივაიას“ ხმაზე დაწერილი ლექსია. აქ იმ სასიმღერო ლექსის სათაურიც კი, რა სასიმღერო მოტივზეც „ზუბოვკელი ქალი“ შეიქმნა, მიზნობრივად უნდა იყოს პოეტისაგან შერჩეული. ასე რომ, ზუბოვკელი ქალის სახეში ზოგიერთი მკვლევარის მიერ მისტიკური საყვარლის დანახვის ცდა და ირეალური, მისტიკური სახის შემოპარების ვარაუდი, ჰაერში გამოკიდებულია. ზუბოვკელი ქალის სახე უთუოდ შთაგონებულია უკრაინელი ქალის ხორციელი მშვენებით და აქ საქმე მიწიერი ტრფობის საგანთან — ქალთან გვაქვს. რომანული კვანძი და სიუჟეტის ოსტატურად გაშლა აქ მარტო ალეგორიულ-სიმბოლურ მიზნებს რომ ემსახურებოდეს, წარმოუდგენელი იქნებოდა ისეთი ინტიმური განწყობილება, ტერმინები და კონკრეტული სიტუაცია, რაც სასულიერო რომანის ცნებასთან შეუთავსებელია, მით უფრო, რომ სამიჯნურო მოტივი, ბუნებრივი ლტოლვა, გრძნობა, სიყვარული და ცოლ-ქმრობა ჩვენი პოეტისათვის არა თუ უცხო ცნება არ არის, არამედ უაღრესად ნაცნობი და ჩვეულებრივი ამბავია. სიყვარულსა და ცოლ-ქმრულ ერთგულებას გურამიშვილი ხშირად ეხება „დავითიანში“, „ხოლო ქაცვია მწყემსი“ ხომ საერთოდ ადამიანური ვნებების ჰიმნს წარმოადგენს და მთლიანად ასეთ ამბებზეა აგებული.

პოეტის სამიჯნურო თავგადასავალზე პოემაში სხვაგანაც არაერთხელაა მინიშნებული. „სიმღერაში“, რაც „ზუბოვკის“ შექმნის ხანებში უნდა იყოს დაწერილი, აშკარადაა ნათქვამი: საყვარელმან სიტყვა ავი მითხრა, გულსაწვავიო:

ნეტა რად ვიყო შენია,
სახით ავრიგად შვენია,
მე ვარდი ვარ, ბულბულთ მრთავი, ყვავს რად მოგცე თავი?
მე მისთვის არ მიკადრა მან,
შეირთო სხვამ პირ-ბადრამან.

დავითზე პირბადრი თავის დროზე სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ, ამ ვითარებაში, ეტყობა საქმე ამას ვეღარ შეუმსუბუქებია და ქალს მწარედ დაუღონებია პოეტი:

მე მისთვისა ვსჯმუნავ, ვსტირი,
მარიდა მან პირი,
ჩემზედ აიღო ხელია,
სამიდვა ცეცხლი ცხელია,

ძნელი დასადგენია, რამდენად ავტობიოგრაფიულია ეს ლექსი, სად მოხდა ეს ამბავი — ლამისყანას თუ მირგოროდში, ერთი ცხადია, პოეტი შეძრწუნებულია:

მკვიდრს საყვარელს გავეყარე,
წუთი შევიყვარე,
შემემთხვა დიდი ცოდვანი,
მისთვის მაქვს შფოთვა-ბორგვანი.

საერთოდ ეს ლექსი პოეტის ბიოგრაფიის კიდევ ერთ თავსატეხ ფურცელს წარმოადგენს. ერთი რამ უდავოა: ავტორისათვის უცხო არ არის ცხოვრების არც ერთი მხარე, სიტკბოც იცის და სიწარეც, ზედმიწევნით იცნობს ქალის ხასიათს, ზნესა და ბუნებას, სიყვარულსა და განხეთქილებას.

ქალს მიჯნური ჯოხით უცემია, კარში გაუგდია, პირი მოურიდებია, ახლა კარდაკარ დადის გლახად, ტანთ აცვია თალხად და შებრალებას ითხოვს. ქალი პირობებს უყენებს, როგორც ხდება ხოლმე:

მიბრძანა: თუ მე შენ გინდი, გაქვნდეს ჩემი რიდი,
ერიდე ჩემსა წყენასა, ავს ნუ აუბნებ ენასა!
თუ შენა ხარ ჩემი მყვარი, ნუ ხარ გულ-მზაკვარი,
იყავ შენ გულ-მართალია, როგორც რომ სამართალია.
ჩემი მცნება დაიმარხე, თავი შაინახე,
თუ ჩემი თავი გინდაო, იყავ ყოველისფრით წმინდაო...

მორიგება მაინც არ ხდება, ეტყობა, კაცი სხვა ქალების მიმართაც არაა გულგრილი, მავანსა და მავანსაც ურიგებს სიყვარულის აღთქმას და ეჭვის ფიალა ივსება. ესეცაა: ყველა საკუთარი თვალთახედვით უყურებს საგანს, და ის, რასაც ქალი „გულ-მართალს“, „ყოვლისფრით წმინდას“ ეძახის, კაცისათვის მიუღებელია. ასეა თუ ისე, ამაყი, მომთხოვნი ადამიანური თვისებებით შემკული ქალი და სიყვარულში თავისუფლების ტრფიალი მიჯნური ვერ მორიგებულან, რის გამო კაცი სინანულს შეუპყრია: „მკვიდრს საყვარელს გავეყარე, წუთი შევიყვარეო“, — ამბობს.

დაახლოებით იმავე შინაარსისაა ცნობილი „სიმღერა“, რომლის მიხედვითაც ვარდმა ბულბული შეიძულა და ყვავი შეიყვარა. ბულბული ეკითხება ვარდს, რად მიღალატე, ხომ გიყვარდიო? ვარდმა მიუგო: „თუმცა გაქვს კარგი ფერი, ჩემთვის იყავ უფერული, არ შემფერიო“. მკაცრსა და უმადურ სატრფოს აღშფოთებული ბულბული ასე არცხვენს:

მე გაჭმევდი, მე გასმევდი, მე გაცმევდი ტანს,
შენ დახარბდი მცირე ძღვენსა სხვისგან მონატანს,
რადგან ასე მომიარე მე, შენს შესართავს,
ის თუ გინდა, ქმრად შეირთე, ნება დამირთავს...

თვითონ პოეტი კი ამ უმეცრებას, ავისა და კარგის ვერ გარჩევას, განუკითხველობასა და უსამართლობას, სამართლიანად აღუშფოთებია და ლექსს ასე ამთავრებს:

ფუ, შენ, ცრუო საწუთროო ხარ არაფერი,
ვარდს ყვავს შერთავ, ასკილს ბულბულს, არს რა საფერი.

აქ მოტანილი რამდენიმე სტრიქონიც კმარა იმის საბუთად, რომ დავით გურამიშვილს ხორციელ სიყვარულზე ხელი არასდროს აუღია:

მკვიდრს საყვარელს გავეყარე, წუთი შევიყვარე,
შემემთხვა დიდი ცოდვანი...

და ა. შ.

მართალია, პოეტი გულის ხვაშიადს მაინცდამაინც ბევრს არაფერს გვიმხელს, მაგრამ რაც ეტრატს ანდო, ისიც კმარა იმის საბუთად, რომ მოხუცების ჟამს ასკეტობამდე ერთგული მორწმუნე დავითი სოფლის სიამეთა მოტრფიალე იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში:

ბაღად ვიჯდი მასთან, ვისაც ვყვარობდი,
ვარდთა სუნით, ყვავილთ ჰვრეტით ვხარობდი
არა მაქვნდა კვნესა, ვაჲ და ვიში,
არცა წარწყმენდისა რიდი და შიში,
ვნაღვლობდი არასფერსა.
ცხოვრებასა ჩემსა მით ვატარებდი,
მოყვარესა ჩემსა თავს ვაყვარებდი.
განვსცხრებოდი, ვიშვებდი, ვიხარებდი,
ჯავრთა და სევდათა მე ვიქარვებდი
მას ბაღში შექცევითა.

მართალია, ესაა „სიმღერა“, მოგონება ფრიად ზოგადი, მაგრამ ასეთი სტრიქონები რეალური განცდის გარეშე არ იწერება.

ისიც სწორია, რომ რელიგიურ წიგნებში ჩვეულებრივი ამბავია ალეგორიული სიყვარული და სატრფოს სახეში ქრისტეს სარძლოს ძიება, ასე ხსნიან, მაგალითად, სოლომონის „ქებათა-ქებას“ და სხვ., მაგრამ დაუშვებელია ამ მისტიციზმის ბრმად გადატანა სიცოცხლით სავსე შემოქმედის მემკვიდრეობაზე, მისი ასეთი რელიგიურ-მისტიკური ახსნისათვის საფუძველი მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც ეულად შთენილი, მიუსაფარი პოეტის ხანდაზმულობის ხანაში თუა შესაძლებელი. თვითონ სოლომონის „ქებათა-ქებაზეც“ ხომ მეცნიერთა შორის გაუთავებელი დავაა და ერთ ნაწილს იგი ხორციელ რომანად და არა რელიგიურ მისტერიად მიაჩნია!

„ზუბოვკა“ დავითის ერთ-ერთი ცხოველი სამიჯნურო თავგადასავლის ფართო, ნათელი გზნებით აღსავსე ფურცელია. უეჭველია, ზუბოვკელმა ქალმა დიდი შთამაგონებელი ცეცხლი შთაბერა შემოქმედის

სულს სიჭარმაგის წლებში, ვნების სახმილი შეუნთო, ჭაბუკური სიშმაგით აღაგზნო იგი, განსაკუთრებული როლი ითამაშა მის ცხოვრებაში, გააცისკროვნა პოეტის ელვარე მუზა, რის გამოც ქალისა და მისდამი შენამსჭვალები პოეტის სახელიც იმ განუყრელ ორეულთა შორის მოიხსენიება, რომელთაც დავიწყება და სიკვდილი არ უწერიათ და გარდაცვალება მხოლოდ იდუმალების ჰაეროვან ნისლებში ხვევს.

პორუჩიკის ჩინით

ჰე, მეფეთა სამსახურო;
რუსული ხალხური სიმღერა

ძუნწია ბიოგრაფიული ცნობები, მაგრამ ალაგ-ალაგ იდუმალი სურვილი გვიპყრობს, კიდევ უფრო ძუნწობდეს ისტორია, რათა არ შევიტყოთ, მოვისმინოთ, გავიგოთ და ვიცოდეთ მთელი ის ძნელბედობა, რაც გურამიშვილის ცხოვრებას აჩრდილივით თან ახლავს ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე.

აი, თუნდაც მაგდებურგის ტყვეობა, მერე ავადმყოფი პოეტის მგზავრობა გერმანიიდან პეტერბურგამდე, რაც ორი თვე გაგრძელდა.

ნამსახურმა, ნაჯაფმა და დაავადმყოფებულმა მარიენბურგში მიართვა პატაკი არმიის მთავარსარდალს გენერალ სალტიკოვს 1759 წლის 17 დეკემბერს. ავადმყოფობა, ასაკი და დაღლილობა თავისას ითხოვდა. მეექვსე ათწლეულში ჩამდგარი მეომარი სამართლიანად მოითხოვდა მოსვენებასა და სიმშვიდეს.

ვინ აღირსებდა ასე იოლად სხეულისა და სულის სიმშვიდეს? თუ ლეკთა ტყვეობიდან თავდაღწეულ ახალგაზრდა თავადს ანა იოანეს ასული ალერსიანად შეხვდა, 56 წლის ვეტერანი ჯერ კიდევ ჯარისკაცთა მწყობრში იდგა. სამხედრო კოლეგია არ ჩქარობდა. ჯანმრთელობა შემოწმებას ითხოვსო? რამდენი ვინმე ითხოვს ამას! დაიცადოს, მოითმინოს, ჯარისკაცი არაა?

კოლეგიამ 1760 წლის 23 თებერვალს განიხილა გურამიშვილის განცხადება. დავითს მართლა დასუსტებია თვალთა ისარი, ცხენიდან გადმოვარდნისას მხარი მოუტეხია, მარცხენა გვერდი სტკივა, თავბრუ ესხმის, ყურში შუილი აქვს... კოლეგიის წევრებს არ სურთ შეუსმენელებად მოინათლონ და დავით გურამიშვილს სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად აცხადებენ. რჩება მხოლოდ ფიცის ჩამორთმევის ცერემონიალი... აღმოჩნდა, რომ ელისაბედ პეტრეს ასულის ერთგულებაზე ფიცი არც მიუღია. სამაგიეროდ, ის იბრძოდა უკეთ, ვიდრე მრავალი ფიცმიღებული.

დასრულდა დავითის მხედრული ცხოვრება. ოცდაორი წლის ერთგული სამსახურის საზღაურია მხოლოდ პორუჩიკის წოდება და პოლკის სიიდან ამორიცხვა! კაპიტნის წოდებაზე კი უარი უთხრეს! 1760 წ. პირველ ივნისს პეტერბურგის სამხედრო კომისიამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „პრუსიის ტყვეობაში ნამყოფი ქართველ ჰუსართა პოლკის პოდპორუჩიკი, თავადი დავით გურამიშვილი ავადმყოფობისა და სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში უვარგისობის გამო დარჩეს საკუთარ კმაყოფაზე, სახელობითი სიის მიხედვით დაჯილდოვებულ იქნას პორუჩიკის ჩინით და ამოირიცხოს პოლკის სიიდან“[1].

ეს ბრძანება თითქმის ორი თვის შემდეგ აღწევს მოხუცი პოეტის ყურამდე. 26 ივლისს მას აუწყეს „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანება“, მალოროსიაში წასვლის ნება გეძლევაო. მართალია, ბრძანებაში აღნიშნული იყო მისი ყველა წარჩინება, წარმატება, ნამსახურობა, მაგრამ ეს რა ნუგეშია? 22 წლის სამსახურის შემდეგ სნეული და მოხუცებული პოეტი მოსკოვზე გავლით მირგოროდისაკენ მიეშურება და არაფერი არ გააჩნია, პორუჩიკის ბრჭყვიალა სამხრეულებისა და მოსირმული ქურთუკის გარდა!

1760 წლის აგვისტოში გურამიშვილი თავის ცივსა და პარტახ მამულში ჩადის. მაგრამ ეს რა მამულია? ამდენი წლის ბრძოლისა და განსაცდელის, ასეთი მძიმე და შორეული ლაშქრობების შემდეგ კარმიდამო გავერანებული ხვდება. პოლტავშჩინის პანებს საკმაო დრო ჰქონდათ, რომ ქართველი თავადების ისედაც რის ვაივაგლახით აშენებული ბუდეები კვლავ დაეჭციათ. შლიახტა ხომ ქართველებს იქ ისეც არ აყენებდა და ომში წასული უმემკვიდრო თავადის სახლ-კარს ვინღა დაინდობდა. ერთი კია: შლიახტამ კარგად იგრძნო, რომ საიმპერატორო კარმა მათ საგანგებოდ ჩაუსახლა უცხო ტომელნი, შლიახტა მიხვდა, რომ ახალმოსახლენი მათ მამაპაპეულ სამკვიდროში იყვნენ სხვის ბუდეში განზრახ ჩაწყობილი გუგულის კვერცხები, საიდანაც სხვა ჯილაგისა და გვარ-გუჯაბის ბარტყები უნდა გამოჩეკილიყვნენ და მათს საკუთარ სინსილას, ბჟიტს, ბახალასა და ჭუკებს უნდა დარეოდნენ. საიმპერატორო კარს კარგად ჰქონდა ათვისებული რომაელთა: divide et impera [2] ამიტომ იყო, რომ შლიახტა გააფთრებით იბრძოდა ქართველ თავადიშვილთა უკრაინის მიწა-წყალზე დასახლების წინააღმდეგ.

ჩვენთვის ნათელია, რა გუნებაზე დაბრუნდა ტყვეობიდან ცხოვრების ნახევარ გზას გადაცილებული პოეტი. აკი თვითონვე ამბობს:

---

1 ს. ყუბანეიშვილი, „დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში“, თბ., 1955: დ. კოსარიკი, „დავით გურამიშვილი“, თბ. 1957, გვ. 33,

2 ლათ. გათიშე და იბატონე.

„ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“.

ყველა დოკუმენტი მეტყველებს ქართველთა სამეურნეო სიძნელეებზე. ეს აშკარად ჩანს პოეტის განცხადებიდანაც:

გავხდი გლახაკი და დავრდომილი...

შურმა ხომ სიცოცხლე გაუმწარა: „ცეცხლით დამიწო სახლ-კარი“-ო ვალალებს უსასოქმნილი დავითი. თუ ჩვენი მეცნიერები პოეტის ამ თქმაშიც ალეგორიას არ აღმოაჩენენ, პოეტს სახლ-კარი გადაბუგული დახვედრია... სამწუხაროდ, პოეტი წერდა დღიურებს! მისი ცხოვრების წიგნში, მკვლევართა დიდი ცდის მიუხედავად, მთელი ათეული წლებია „ჩავარდნილი“, უცნობი, ბურუსით მოცული. ათეული წლები კი დიდი ადამიანის ცხოვრებაში — მთელი ტომებია. ალბათ, ოდესმე (სამწუხარო ნუგეში კია) მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, პოლტავის, ხარკოვის, ლიუბლინის, მირგოროდის არქივში კიდევ აღმოჩნდება საინტერესო გულისხმასაყოფი საბუთები.

დღეისათვის კი უფრო უმადურობის მეტყველი საბუთები მოგვეპოვება.

რუსეთის საიმპერატორო კარის სამსახურში მყოფი ქართველები რუსების მხარდამხარ იბრძოდნენ, იმპერიის მიწა-წყალს იცავდნენ, იმპერიის მოხელეებს კი იმდენი სინდისი არ აღმოაჩნდათ, რომ რუსთა მეფის მიერ ქართველთათვის ნაბოძები მიწები შლიახტის თვითნებობისაგან დაეცვათ.

პოეტს წაუხდა ჭირნახული. ადამიანის გარჯა სიზიფეს შრომად იქცა. სიბერე მიეძალა, აღარ შეუძლია, სიჭაბუკე გაქრა. ამაოდ ეზიდება ლოდს მზიანი მწვერვალისაკენ. სულერთია, ლოდი დაუგორდება და ყველაფერი ხელახლა დასაწყები გაუხდება. ყოველ შემთხვევაში, ასე მოუვიდა ჩვენს პოეტს. ბიძა მერაბი გარდაცვლილი დახვდა, ძმა ქრისტეფორე — შორეულ ოსეთში წასული, ქრისტიანობის გასავრცელებლად... რა მისცა ამ ქრისტიანობამ დავითს ან სხვას? გავიდოდა პოეტი მოამაგე ბიძის სამარეზე და ტიროდა. უთუოდ ამ დროის სულისკვეთებას გამოხატავს სიმღერა, რაც დავითს შეუქმნია ცნობილი რუსული სიმღერის მოტივზე:

შამოდგომამ მოუწოდა ყინვასა,
სიყვითლესა და ფოთოლთა ცვივნასა,
მამეშალა მე მით წუთისსოფელი,
გამიცუდდა ყველა მაში მყოფელი,
წამიხდა ჭირნახული.
ვაი მოკლებულსა სიბერით ბრმასა,
ნეტავი მატებულს მოზარდსა ყრმასა!
ბერიკაცი დაღმა მიდის გორვითა,
ყრმა აღმართზედა ყინულზედ ცორვითა,
ბერს უმძიმს, ყრმას მსუბუქ ჩანს.

ეს შემოდგომა-ზამთრის ლექსია, სულის სიმძიმილისა, მაგრამ პოეტს ამა ქვეყნის სიამისათვის მთლად ზურგი არ უქცევია, არც ის რჩება შეუმჩნეველი, რომ მიწას ისევ ამკობს სიამის ყვავილნარი („ვა, რამდენი ყვავის ზაფხულს ახალნი!“)

ჩვენ არ გვიკვირს დავითის სულიერი ტანჯვა, დეპრესია, პესიმიზმი. კაცი, რომელმაც დაკარგა სამშობლო, ამაოდ იბრძოდა ოთხსავე მხარეში, დაბერდა, ჭირნახული წაუხდა, უშვილოდ, უძიროდ გადაგების წინაშე აღმოჩნდა, არაგულწრფელი უნდა იყოს, რომ სოფლის სიამეს უმღეროს ნიადაგ. ჩვენ უფრო ის გვიკვირს, რომ ევროპელ მრავალ დიდ პოეტთა მსგავსად სრულ უიმედობასა და მისტიკაში არ გადავარდა.

ყველა ძნელბედობას მეზობელთა ჭირვეულობაც ზედ დაერთო.

უდავოა, დავითსაც ავიწროვებდნენ ომში წასვლამდეც და დაბრუნების შემდეგაც.

შლიახტა 1764 წელსაც კი, თითქმის სამი ათეული წლის შემდეგაც, დაჟინებით მოითხოვდა ქართველთა აყრას და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობის გამო არ განხორციელდა მთავრობის ადრინდელი განზრახვა, რომ ქართველობა ორენბურგის გუბერნიაში გადაესახლებინათ.

ქართველ დიდკაცთა ეგოისტური, გაუმართლებელი ნაბიჯი უკრაინაში დარჩენისა ახლა უფრო თვალსაჩინო გახდა.

ურთიერთობა ისე გამწვავებულა, რომ შლიახტა და ქართველი თავადები ერთიმეორეს არბევდნენ. განსაკუთრებით ველური ხასიათი ამ ავი საქმისათვის შლიახტას მიუცია. საერთო მტრის წინააღმდეგ საომრად წასულ ქართველთა ოჯახები „თვითნებურად და თავხედურად“ ურბევია და უოხრებია. უკრაინელ „შლიახტიჩებს“ ავკაცობაში თურმე არც ქართველი მემამულეები ჩამორჩებოდნენ, მათაც არაერთხელ მოუხდენიათ მეზობელთა დარბევა. მათაც ყმების შევიწროვება, ძარცვა-რბევა და ძალადობა ჰქონიათ დევიზად, და ერთადერთი ქართველი, რომელსაც მეურნეობის გონივრულად მოწყობაზე, წისქვილზე და სარწყავ სისტემაზე უფიქრია, ისევ ჩვენი პოეტი ყოფილა.

დავითმაც ოცდაათი კომლი მიიღო, მაგრამ „შურმა“ ისე დაჩაგრა, რომ უმწეო ღატაკის მდგომარეობამდე მისულა. თანამემამულეთა შური, ეტყობა, ვერც ადგილობრივი შლიახტის ძალადობამ გაანელა. ვერ იქნა, ვერ შეიკრა ქართველთა საძმო ოჯახი.

კოსარიკი წერს:

„მირგოროდის ყველა ეს მემამულე: ასეულის მეთაური ზაბილა, ჯიღოსანნი ლომიკოვსკი და სოხაცკი, მეზობელი შეძლებული მიწისმფლობელები როძიანკოები, ბაზილევსკები, ოსტროგრადსკები ხშირად გზავნიდნენ პეტერბურგში კოლექტიურ საჩივრებს და მოითხოვ-

დნენ ქართველი ჰუსარების გადასახლებას სადმე ორენბურგის ტრამალებში ან სხვა შორეულ მხარეში". ცხადია, ეს იყო არა მარტო ურთიერთქიშპის გამო წარმოშობილი მოთხოვნა. სამოთხის მსგავსი ქვეყნიდან დაუფიქრებლად ლტოლვილ და უკრაინას შეხიზნულთ, აყრა და შორეულ ციმბირის მწირ ველებზე, სადაც ისინი აუცილებლად დაიღუპებოდნენ, გადასახლება, ერთი პირობა, ნამდვილად ემუქრებოდათ.

გამკითხავი კი ღვთის გარდა არავინ იყო. ქართველებს ხომ სამშობლოს გარეთ ცხოვრების მოწყობის დიდი ნიჭი არასოდეს ჰქონიათ და ავგუსტ შლიახტასთან ბრძოლაში რას გახდებოდნენ?

ღარიბი მემამულე, ნაომარი, ნატანჯი და დაავადებული გურამიშვილი რას გახდებოდა მსხვილ-მსხვილ ღლავებთან, რომელთაც მისი მეზობლობა არ ეჭაშნიკებოდათ? ადგილობრივი მემამულეები არც თავისი ქვეყნის უნიჭიერეს პოეტებს სცემდნენ პატივს, თორემ გადამთიელის ნიჭს ვინ რას აქნევდა?

პავლო ტიჩინა თავის დრამაში „ფეოდალის ბოლო" ამ მტკივნეულ საკითხს შეეხო. შლიახტის წარმომადგენელი, მემამულე-ქალბატონი ერთნაირად დასცინის დიდ უკრაინელ პოეტს გრიგოლ სკოვოროდას და დიდ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს, თავშესაქცევადა და გასართობად აცნობს მათ ერთიმეორეს.

„დედოფალმა ანა იოანეს ასულმა აქ ქართველ ჰუსართა პოლკი შემოგვისახლა, — ჩივის ეს ლაღი ცხოვრებით დამტკბარი მემამულე,— უცხო ქვეყნელები დაგვასვა თავზე... რა ვუყოთ, ვებრძვით..." დავითსაც შხამიანი ენით უმასპინძლდება:

„— მაშ თქვენ ხართ დავით გურამიშვილი? — საუცხოოა. ეს კი გრიცკო სკოვოროდაა, მსოფლიოს მოქალაქე, გლახაკი, გაიცანით! ჰა-ჰა-ჰა! ქართველი პოეტი თავადიშვილი, ჩაგრულთა ქომაგი, მემამულე და მოგზაური, ჩვენი სოფლის ფილოსოფოსი..."

ასეთი ატმოსფერო მკაცრი გამოცდა იყო ადამიანის ძისათვის — არანაკლებ მკაცრი, ვიდრე ლეკთა ტყვეობა. მაგრამ დავით გურამიშვილს ვერ შეაძულეს უკრაინელი ხალხი. მემამულეები სხვაა, ხალხი სხვა და მათ შუა „დიდი მზღვარის" არსებობა ბრძენ მგოსანს შეუმჩნეველი არ დარჩენია. სიტყვით და საქმით ის გამრჯე, შრომისმოყვარე, გულწრფელი, ალალი, მამაცი, პატიოსანი, შემოქმედი უკრაინელი ხალხის მეგობარია. ის ხედავს ხალხის სულსა და გულს, მის ამბოხებათა ტალღას, რაც კავკასიონამდე აღწევს. „ბორკილიანთა" საქმეებით აივსო სასამართლოს არქივები, გაქცეული ყმებით — ციხეები. ასიათასობით გლეხი აუჯანყდა მეფის ძალადობას. მასობრივი პროტესტებით და შეიარაღებული ამბოხებებით შეიძრა ათობით გუბერნია. ტრამალები გადაანათა ცეცხლის ენებმა. ადამიანთა სულში დანთებუ-

ლი ნაპერწკლებიდან უზარმაზარი ალი ავარდა, რომელიც მთელს უკრაინას მოედო.

როცა ძალადობაზე აგებული იმპერია სავსდება, ლპება, შმორდება, მას ქება-დიდება და იარაღი დიდი ხნით ვეღარ იხსნის. ბატონყმურ რუსეთს შიგნიდანაც და გარედანაც ებრძოდნენ. ეს ხდებოდა დავითის თვალწინ, სამოციან წლებში.

მთავრობას კი, როგორც ზღაპრულ გველეშაპს, ძალას ჰმატებდა სამხედრო წარმატება და ხალხის ხვედრი სულაც არ ადარდებდა.

1760 წლის 28 სექტემბერს რუსეთის ჯარებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ჩერნიშოვის კორპუსმა ბერლინი აიღო. ფრიდრიხ მეორის წინ გარდაუვალი საფრთხე და უცილობელი სიკვდილი აღიმართა, მაგრამ მოხდა „ბრანდენბურგის გვარის სასწაული“, ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ტახტზე დაუბრკოლებლად ავიდა ფრიდრიხ მეორის ბრმა თაყვანისმცემელი პეტრე III, რომელმაც რუსეთის 16-ათასიანი კორპუსი გუშინდელი თანამებრძოლის — ავსტრიის წინააღმდეგ დაძრა, შემდეგ კი სამხედრო კავშირი შეკრა დამარცხებულ ფრიდრიხ დიდთან. ამრიგად, გერმანელთა მეგობარმა პეტრემ უმუხთლა რუსეთს და უარესად გაამწვავა პირადი ურთიერთობა თავის მეუღლესთან — ეკატერინესთან, რომელიც გონებით ბევრად უფრო მაღლა იდგა და ქმრის დამხობაზე ფიქრობდა და ოცნებობდა.

დავითი ამ დროს ერთი თვის დაბრუნებული იყო შინ და თვალნათლივ ხედავდა, რომ იმპერატორი წარმატებამ გაათავხედა. შინ დაბრუნებული ჯარისკაცები ძველ შინაურ მტერს — შლიახტას ჩაუგდეს ხელში.

ჯერ კიდევ 1760 წლის 13 დეკემბერს ელისაბედ პეტრეს ასულმა გამოსცა ბრძანებულება, რაც მემამულეებს ნებას აძლევდა თავიანთი ყმები — გუშინდელი ნამსახური-ნაბრძოლი ჯარისკაცები — განუსაზღვრელი ვადით ციმბირში გადაესახლებინათ. მართალია, მომდევნო წლის 25 დეკემბერს ეს „ბრძენი ელისაბედი“, პეტრეს კარიკატურა, გარდაიცვალა, მაგრამ ტირანებს რა გამოლევდა! გონებაშეზღუდულმა, უგულო პეტრე მესამემ „თავადაზნაურთა თავისუფლების მანიფესტი“ გამოსცა და ხალხებს იმედი გაუცრუა. ეს იყო განთქმული კურიოზული მანიფესტი.

1762 წლის 28 — 29 ივნისს[1] მოხდა ახალი გადატრიალება. ჰერცოგ კარლ ფრიდრიხ ჰოლშტინიელის შვილი — ლუთერანელი-გერმანელი კარლ-პეტრე-ულრიხი, ტახტზე ასვლის შემდეგ პეტრე მესამედ წოდებული მონარქი, მისმა მეუღლემ ჯერ გადააყენა, ტახტზე ხელი ააღებინა, მერე კი გვარდიის ფიცითა და ტახტზე ასვლით გაძლიერე-

[1] დ. კოსარიკის წიგნის ქართულ გამოცემაში შეცდომით წერია 29 ივლისი.

ბულ ეკატერინეს და მისი მრჩევლის — ალექსი ორლოვის ბრძანებით ყოფილი იმპერატორი გადაიყვანეს როფშის ციხეში, სადაც პეტრე III მალე გარდაიცვალა, უკეთ, სიცოცხლეს გამოასალმეს. ტახტზე განმტკიცდა ეკატერინე II. ამით ხალხის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გაუარესდა.

* * *

ეკატერინე რიცხვით მეხუთე თვითმპყრობელი იყო, რომელსაც დავითი მოესწრო. მონარქები იცვლებოდნენ, მონარქია და რუსეთის ხალხი რჩებოდა, მილიონობით გლეხის გვამით მოიფინა რუსეთის მიწა.

ეკატერინემ მახრჩობელასავით მოგუდა რუსეთი. საგანგებო ბრძანებულებით უარყო ხმები ბატონყმობის გაუქმებაზე, ბარბაროსულად მოსპო გლეხთა ბელადი პუგაჩოვი, დაადასტურა ელისაბედის მკაცრი განკარგულებანი, მემამულეებს მათზე საჩივრის შეტანისათვისაც კი გლეხთა ციმბირში გადასახლების უფლება მისცა. მონობის უღელი დაუმძიმა ყმა-გლეხებს. უკრაინა, მაშინდელი მალოროსია, ორმაგად დაიჩაგრა. მოისპო სეჩი, გაუქმდა დამოუკიდებლობის ნასახიც კი. გარეგნულად სათნოების ნიღაბში გახვეული ავხორცი დედოფალი საყვარლებს ცხვირსახოცებივით იცვლიდა, ქვენა გრძნობები განაგებდნენ უზარმაზარ იმპერიას, და როგორც დიდმა პუშკინმა მოსწრებულად აუგო ანდერძი: „არ იყო საჭირო არც ჭკუა, არც დამსახურება, არც ნიჭი, რომ მამაკაცი სახელმწიფოში მეორე კაცად ქცეულიყო. დროთა ვითარებაში ისტორია ფარდას ახდის ეკატერინე მეორის უწყინარობისა და შემწყნარებლობის ნიღბით დაფარული დესპოტიზმის სასტიკ მოქმედებას... საყვარლების მიერ გაფლანგულ ხაზინას, გამოაჩენს დაკნინებას კანონმდებლობაში, პამპულობას მისი საუკუნის ფილოსოფოსებთან ურთიერთობაში, და მაშინ ცთუნებული ვოლტერის ხმა ვერ იხსნის მის ხსოვნას რუსეთის წყევლაკრულვისაგან. ეკატერინემ იცოდა თავისი საყვარლების გაიძვერობა და მძარცველობა, მაგრამ დუმდა“. რუსეთის ხალხის სიბრძნე მეტყველებს მისი უდიდესი მესიტყვის ამ დახასიათებაში, პუშკინისვე სიტყვებით თუ ვიტყოდით, ეკატერინემ „ყმად აქცია თავისუფალი მალოროსია“ [1].

ხალხი ამბოხებებით პასუხობდა. 1768 წელს აჯანყდა დნეპრის მარჯვენა ნაპირის გლეხობა, მერე რუსეთი მოიცვა პუგაჩოვის ამბოხების ტალღამ, მაგრამ დესპოტი დედოფალი სისხლში ახრჩობდა მილიონების სულისკვეთებას.

---

[1] Пушкин, Полное собр. соч. 1949, т. 8. 123-125.

დავით გურამიშვილი, დიდი პოეტი და ჰუმანისტი, ცხადია, ზიზღით შესცქეროდა ძალადობის შენიღბულ ურჩხულს, ძირმომპალ სისტემას, მაგრამ რა შეეძლო? მხოლოდ თავის ადამიანური, კეთილი სიტყვით ქადაგებდა ხალხის სიდიადეს, ადიდებდა „თოხის მონას“, წელში მოკეცილ გლეხობას და არც უფიქრია სხვისი ნაოფლარით გამდიდრება.

დესპოტებს თავიანთი „საქმე“ აქვთ, პოეტებს — თავიანთი. მირგოროდში ებრძოდა სიღარიბეს თავადი გურამიშვილი და თავის ლექსთა კრებულს ადგენდა, შოთა იყო მისი გზის მანათობელი ვარსკვლავი, სიბერეშიაც სწავლობს და ამდიდრებს თავის გამოცდილებას. რაკი მეფეებს ზრდილობა და შებრალება არა აქვთ, მართალ ხალხს მაინც უქადაგოს, რა დიდი ძალაა სწავლა, როგორ აქცევს ის ბრიყვს კაცად, ადამიანად, მოქალაქედ.

გურამიშვილი რომ რუსეთის მეფეთა და შლიახტის ვერაგობას არ მიაწერს მთელი რუსეთისა და მალოროსიის ხალხს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუს და უკრაინელ ხალხებთან ქართველი ხალხის ძმობას ქადაგებს და სწამს ამ ძმობის სასიკეთო შედეგი.

დავითი არ ეხება მტკივნეულ საკითხს, მეფეთა დესპოტურ რეჟიმსა და გლეხთა ამბოხებას, მაგრამ სტრიქონებს შორის ვგრძნობთ, რა ბოღმაც უტრიალებს გულს. სხვათა ბედი აწუხებს, თორემ თვითონ ასე თუ ისე შერიგებულია ბედთან და კმაყოფილია იმით, რაც თავისი სეხნიის ღმერთმა უბოძა: გაჩანაგებული სახლ-კარით, მცირე მამულითა და პორუჩიკის ჩინით...

სამსახური დავითსაც ჯარისკაცად უნდა დაეწყო, მაგრამ იმდენი ბრძოლისა და განსაცდელის შემდეგ, ცხადია, დაწინაურდებოდა, და ახლა გვიკვირს, რომ მხოლოდ პორუჩიკის წოდებამდე მიაღწია. ეს კი აშკარაა, 1787 წელს პოეტი თავის ნახაზებს ასე აწერს: „პორუჩიკი თავადი დავით გურამოვი“. ჩანს, საბოლოოდ დავითი სოფლად დაემკვიდრა.

თუ ფაქტები პირდაპირი გზით ვერაფერს გვეუბნებიან გურამიშვილის „კრამოლურ“ აზრებზე, თვით საგანთა ლოგიკა ცხადყოფს, რომ სამეფო კარი უკმაყოფილო იყო პოეტისა და საამისოდ უთუოდ საკმარისი საფუძვლებიც ჰქონდა.

ცალკე შეიძლება ვიმსჯელოთ „ვახმისტრ გურამიშვილის“ საქმეზე, სამხედრო კოლეგიამ რომ განხილვა არ აღირსა, ჩაამჟავა. რამდენიმე თვე დასმენის ქაღალდებზე ამთქნარა, მერე კი თავისი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი რიგითი სალდათივით „საეჭვო პირთა“ სიაში შეიტანა, „ძიებით“ დაემუქრა, დაბოლოს კი ძლივს „პრაპორშჩიკის“ ჩინი გაიმეტა. ასეთ წყალობას მხოლოდ ანა და მისი ბირონი თუ გამოიმეტებდნენ. გონებაჩლუნგმა ტირანებმა, რომელთაც, სამწუხა-

როდ, ისტორიის მრისხანე განაჩენი აღარ ესმით, არად ჩააგდეს პოეტის ერთგული სამსახური, მძიმე ტყვეობა, გაჩანაგებული კარმიდამო, დაამცირეს და საეჭვო პირად გამოაცხადეს, რამაც ვეტერანი მეომრის ისედაც არეული საქმეები კიდევ უფრო დახლართა და გაართულა.

ეტყობა, გურამიშვილი არ მოერიდა ბირონის პარიკსა და ანას მოლაპლაპე ფარჩა-ატლასებს, რასაც უზნეობის ლაქები დღემდე ვერავინ მოაცილა და თავისებურად გაჰკიცხა საიმპერატორო კარი, ასეთ შემთხვევაში კი ტირანები ნიადაგ მოიერიშე მარბიელებს ემსგავსებიან. მეფეებმა შეურაცხყოფის გარეშეც მკაცრად და პირქუშად იციან ანგარიშსწორება და მათმა შეურაცხყოფილმა თავმოყვარეობამ არავითარი საზღვარი არ იცის შურისძიებისას.

ვინ დაასმინა დავით გურამიშვილი? სამწუხაროდ, ისტორიის ანალებმა არ შემოგვინახა იმ გონებასუსტი მსტოვრისა და ჯაშუშის სახელი, მაგრამ თვით პოეტისაგან ვიცით, რომ ჭეშმარიტი შემოქმედის მტერთა და მოშურნეთა ნაკლებობა არც საქართველოში და არც სხვაგან არასოდეს არ ყოფილა საგრძნობი. შურმა დაჩაგრა დავით გურამიშვილიც. იქნებ საიდუმლო საქმეებში ოდესმე აღმოჩნდეს ცნობები იმაზე, თუ როგორ მოხდა ეს მორიგი ვერაგობა, დღეს კი უტყუარად მხოლოდ ის ვიცით, რომ ღრმად შეურაცხყოფილი პოეტი ისევ ლექსებში ეძებს სასოებასა და ნუგეშს. გაუტანლობამ, შურმა და სიმართლის გაუჩენლობამ უფრო კუშტი, პირქუში და სევდიანი გახადა პოეტი, უფრო ნაღვლიანი, კაეშნიანი ჰანგები მოამძლავრა მის პოეტურ მემკვიდრეობაში და უთვისტომოს, მიუსაფარს და დავრდომილ მოხუცს სქოლასტიციზმი განუძლიერა.

გადარჩენილი განძი

„მაშინ იხარებს მწიდნავი,
ოდეს მოისთვლის მტევნებსა“.

დავით გურამიშვილი.

1949 წლის 7 აგვისტოს პოეტის საფლავზე საყოველთაო-სახალხო ზეიმი გაიმართა და გაიხსნა მის უკვდავსაყოფად აღმართული ქანდაკება.

ამ დიდ ზეიმს, ვიდრე ცოცხლობდა, დიდი საძირკველი თვითონ დავითმა ჩაუდგა. ხომ შეიძლებოდა ყველაფერი დაკარგულიყო?

ცრუმან საწუთრომ რაც მომცა,
ისევ იმანვე წამართო...

ასე ჩიოდა ჭარმაგი პოეტი, მაგრამ სინამდვილემ გააქარწყლა პოეტის სოფლისადმი სამდურავი.

„დავითიანის“ გადაწერა და ავტორედაქტირება გურამიშვილმა 1774 წელს დაამთავრა. ამის შემდეგ კიდევ 18 წელი იცოცხლა. 18 წელი პოეტის ცხოვრებაში — მთელი ეპოქაა. რას აკეთებდა ამ წლების მანძილზე ეს მრავალჭირგამოვლილი კაცი, ისტორია ამაზე დუმს. სამწუხაროდ, დაკარგულია არა მარტო საბუთები, არამედ ლიტერატურული ნამუშევრებიც. შეუძლებელია თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში პოეტს ახალი ქმნილებები არ დაეწერა, მაგრამ სადაა ეს ქმნილებები? რომელმა ღვარმა წაიღო, რომელ ქარს გაჰყვა? მათი ასავალ-დასავალი უკვალოდ გამქრალა.

პოეტი უკვე ხანშია შესული. ჯანი ჰღალატობს. ხუმრობა ხომ არ არის, სამოც წელს უახლოვდება! სახლი და კარიც გაჩანაგებული ხვდება და გოდებით წერს თავისი უბედური თავგადასავლის მორიგ თავს: „ოდეს დავით გურამიშვილი ბრუსიაში დატყოვდა და თუ რამ აქვნდა საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“.

პოეტს თავის ძნელბედობაზე ლაპარაკიც კი მოსწყინდა, მოკლედ მოჭრა: „მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა ფეტვიო“.

რაღა ხვნა-თესვა შეეძლო გაპარტახებულ მამულში დაბრუნებულ დავრდომილ მაშვრალს?

უკრაინელი ხალხი პოეტური ხალხია. უკრაინაში იციან პოეტური სიტყვის ფასი. დავითი უთუოდ პატივისცემის გრძნობით იყო გარემოცული, მაგრამ ვის რა გააჩნდა, ვის რა შეეძლო?

უკრაინელებს დავითი ძმურად შეეწყო, შეეთვისა, შეესისხლხორცა.

დმიტრო კოსარიკი თავის წიგნში იმოწმებს ერთ ძველ უკრაინულ გადმოცემას, რომლის მთხრობელსაც უთქვამს, რომ პრუსთა ტყვეობაში მყოფ მის შორეულ წინაპარს შინაურებისათვის წერილის გამოგზავნა სდომებია, მაგრამ წერა-კითხვაზე მწყრალად ყოფილა, ერთ მირგოროდელ ქართველ ოფიცერს წერა უსწავლებია. მადლიერ ჯარისკაცს უკითხავს, რითი გადაგიხადო მადლობა, მზის შუქი რომ დამანახვეო?

ოფიცერს კარგახნის ფიქრის შემდეგ ასეთი პასუხი გაუცია:

— ჩემი სულისათვის საუკეთესო მადლობა იქნება იმ ადამიანის სიხარული, რომელსაც წერა-კითხვას შენ ასწავლიო. შვილსაც ასწავლე, რომ ასე მოიქცესო.

„დავითიანი“ რომ წავიკითხეთ, ჩვენი ოჯახი დარწმუნდა, რომ სწორედ დავით გურამიშვილი იყო ის ქართველი ოფიცერი, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენი ოჯახისა და სოფლის სწავლა-განათლებასო“, — წერს კოსარიკი.

ეს ერთა ძმობის, ქართველი პოეტის განმანათლებლური მისწრაფების სამაგალითო, დამაჯერებელი ფურცელია.

„გლახაკსა და დავრდომილ“ პოეტს ახალგაზრდა მეუღლე — ტატიანა ვასილის ასული მხარში ამოუდგა. დაქცეული სახლ-კარი აღადგინეს, ყანა დათესეს, ბევრი პური და ფეტვი მოიყვანეს.

ტატიანა ოცი წლით უმცროსი ყოფილა დავითზე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მისი სახით პოეტს ერთგული, მზრუნველი თანამეცხედრე ჰყავდა.

მაგრამ რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია? სად ხოროლის მდოვრე, მღვრიე ტალღები და სად მჭუხარე, ანკარა არაგვი! სად ქართლის მთაგორიანი ამწვანებული მთები და სად ტრამალის ერთფეროვნება? გარნა საწუთრომ შორს გატყორცნა მარტვილი მგოსანი. ვინღა აჩვენებს ყარიბ პოეტს ზედაზენს, ქართლის მიწას და შიომღვიმეს სანახებს! თითქოს ჯერ კიდევ ჰყავს ძმა, მაგრამ ველარ ხედავს! რაღა მკვდარი და რაღა შორს მყოფი და შინმოუსვლელი! მხოლოდ ათიოდე წლის შემდეგ მოუვა მისი სიკვდილის ცნობა... ეტრატი ხომ ყველაფერს იტანს.

ისევ ცეცხლის კვერი ტრიალებდა ქართლ-კახეთში და უმოწყალოდ ლეწდა მამულის მკვიდრთ. ქვეყანას არ ესმოდა თავისი შვილის სევდიანი მოთქმა, ზარი და გვრინი. შვილს არ ესმოდა მამულის გოდება.

და მაინც მათ ესმოდათ ერთიმეორის დარდი და წუხილი.

* * *

ლტოლვილი წინასწარმეტყველივით მარტოსული დაეხეტება უკრაინის ტრამალებზე და გულსაკლავ სტრიქონებში აქსოვს ნაღველსა და კაეშანს. ლექსებში ეძებს ნუგეშს და სასოებას ხმალშემოხსნილი გურამიშვილი:

ვაი თუ მოვკვდე უმადლო,
შევიქმნა ცოდვის ზიერი,
დავკარგო ხორცის სიმაძღრე,
სულითაც ვიქმნა მშიერი;
მისთვის მომადგეს რისხვანი
ზეგარდმო, ღვთივ ზეციერი,
სრულად წამერთვას ქვეყნადა,
მე მაქვნდეს რაც ნივთიერი.

მდინარე განაგრძობს უნაღვლოდ დენას და წინასწარმეტყველური ლექსიც მის ტალღებს მიჰყვება:

ვამე, თუ შორს გზას წავიდე,
საგძლად ვერა-რა წავიღო.
წინ მებაჟენი დამიხვდენ,
რაც მთხოონ, ის ვერ გავიღო,

ქრისტეს წინ წავდგე ქედ-დრეკით.
თავი ვერ მაღლა ავიღო...
ვამე, თუ ჩემის სიკვდილით
გული არავის სტკიოდეს,
გულ-უმხურვალოდ ტიროდეს,
განგებ ხმამაღლა კიოდეს...

ასე კუშტად და უიმედოდ შესცქერის უთვისტომო პოეტი მომავალს, ასე ესახება თავისი აღსასრული, და ის მეტად დიდი და სულით მდიდარი ადამიანია იმისათვის, რომ ამაზე თვალი დახუჭოს, სინამდვილეს თვალი არ გაუსწოროს.

განა ყოველთვის საწუთროს ადანაშაულებს? საკუთარ თავსაც ხშირად სდებს ბრალს, როგორც ყოველი გონიერი კაცი, რომელსაც არ აღმოაჩნდა „პრაქტიკული ნიჭი“, ცხოვრების მოწყობის უნარი, და მძიმე სულიერი წუხილის დროს ივიწყებს თავის კეთილშობილურ მისწრაფებებს, თავს კიცხავს და გმობს, რა უნიათო გამოვდექიო!

გურამიშვილსაც ასეთი განწყობილება მოიცავს ხოლმე და აიძულებს შესძახოს:

ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი,
მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე,
ეგრეთ შენ, თხაო, ხარ გახდომილი,
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!

დღეს გვესმის ამ საყვედურის უსამართლობა. გვესმის ისიც, რაც მოუგვარა დავითმა თავის თავს: უკვდავება! იმ დროისათვის კი ეს მწარე საყვედურივით ჟღერდა.

პოეტმა დაკარგა ოქროს ბეჭედი, ქორწილის კარი დახშული დახვდა, მტერმა გაძარცვა, საქორწინო სამოსელი წაართვა, ახლა კარს გარე მდგარი ღმერთს ეხვეწება, „შენსა მას ქორწილს მეცა მივწვდიო“. მართლაც, სხვა რაღა დარჩენია? ვინ დაუგრეხს პატრუქს სანთლისათვის? ვინ დაასხამს ზეთს მის ჩამქრალ ბაზმას? შვილი არა ჰყავს და ხელმწიფე უმადურია... სულიერი ტანჯვა გრძელდება...

ხშირად ეძებს ნუგეშს თავისი ბიბლიური სეხნიის ხსენებაში და მასავით ღვთის სამკობ ლექსებს ამღერებს თავის ნაღვლიან ქნარზე.

დავით თქვა ღვთისა ქებანი,
უკრა ქნარ-წინწილ-ებანი,
ღვთისავე ნებითა,
კარგისა მცნებითა
იპოვა ძებნითა,
ადიდა ებნითა...

ბოლოს ის დავითი შეიქმნა მეფე სვიანი, და ხომ დავითის შორეული მემკვიდრეა იესო ქრისტე!

ჩვენი დავითიც ამ იესოს შესთხოვს შეწევნას და ქვეცნობიერად ოცნებობს, იყოს თვითონაც პოეტური სიტყვის უგვირგვინო მეფე. ეს ერთი თხოვნა განგებამ მასაც შეუსრულა. ხმამაღლა კი მარტო ამას იტყვის:

აწ რომ არ მიხმონ მელექსედ, მემართლებიან მე რასა?

ჩრდილოეთის უღიმღამო პეიზაჟი ხშირად ჩანს „დავითიანის“ გვერდებზე; ვაციხსენოთ თუნდაც ნაცნობი სტრიქონები:

ჰოსკოვს ქალაქს მზეს ვეღოდით
და ვერ გნახეთ აქ, სულ დარო!
სოლაღს დგომა გვირჩევნია,
აქ სიცოცხლე გვაქვს უდარო;
კაპას ქარსა მჭვალი ეკრას,
რას გვიშველი ვთქვათ, სუდარო,
შენ განჰკურნე მწუხარება,
აღგომავ და ქვაე-სუდარო!

მეფის („სუდარის“) გულგრილობა აქ კაპასი ქარის სუსხიან ფონზე ერთხელ გამოკრთება და ისიც კმარა.

მკვლევარები ფიქრობენ, რომ დავითმა სამხედრო სამსახურს თავი 1769 — 74 წლებში მიანება.[1] მაგრამ დანამდვილებით რამის თქმა შეუძლებელია.

ნაომარი პოეტი ზუბოვკაშიც არ დააყენეს, „ძალაუნებრივ წაიყვანეს იქ, სადაც არა იყო მწადი“.

სწორედ ეს იყო ბედის წყრომა! დევნილი, ნაწამები კაცი დიდ წყალობასავით აფასებდა ლუკმა-პურს, ყაზახმა რუსმა რომ მისცა, ახლა კი ცნობილ ადამიანს, მეომარს, ვისაც იმპერიისათვის სისხლი უღვრია, მისთვის ბოძებულ მამულშიც აღარ აყენებენ!

სად უნდა წაეყვანათ პორუჩიკი გურამიშვილი? ნუთუ ისევ არმიაში, რაც ისე მოჰბეზრდა, ამაზე ფიქრიც აღარა სურს? თუ ასეა, საბოლოოდ თავის მამულში დავითი მხოლოდ სამოცდაათიან წლებში უნდა დამკვიდრებულიყო, სრულიად ჯანგატეხილი და დასუსტებული.

მაშ სად წასვლა მოსთხოვეს ხანდაზმულ პოეტს? რომელიმე მემამულემ მიიტაცა მისი ადგილ-მამული და სხვაგან დაასახლეს თუ ისევ პოლკში დააბრუნეს? ჩვენ ეს არ ვიცით. მაგრამ საეჭვოა ექვსი ათეული წლის კაცი ისევ ომში ან, საერთოდ, სამხედრო სამსახურში წაეყვანათ. თუნდაც ასე მომხდარიყო, საგანგებოდ ამაზე წუწუნი დავითისაგან ადრე არ გვსმენია (ის საერთოდ უჩივის თავის ბედსა და ღვთის განჩინებას) და ვერც ახლა გავიგონებდით, მოვალეობას ის არასოდეს არ გაურბოდა და ეს სირცხვილადაც ჩაეთვლებოდა.

---

1 თ. ჟორდანია, ივერია 1882, II, 3.

„სხვაგან წადი“ არც არის იმ კილოზე ნათქვამი, რომ სამსახურში დაბრუნება ვივარაუდოთ. მართალია, ზოგიერთი სწავლული საწინააღმდეგო აზრისაა, მაგრამ აქ ზეცად ასვლა უნდა იგულისხმებოდეს. იქ ასვლა, საითაც, ჩვეულებრივ, ბოლი მიისწრაფვის. ჩვენის ღრმა რწმენით, დავითიანის ტექსტი ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს, თუ სტრიქონებს წინასწარ აკვიატებული, რაიმე მოსაზრების გარეშე წავიკითხავთ:

სასიკვდილოდ მივსწურვილვარ, ყელში სული ამობოლსა,
ახალდაბას ნუღარ ხარო, მეძახიან, ამო ბოლსა!
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა?

ვფიქრობ, სტრიქონებს შუა გამოთქმული აზრი ნათელი და იოლად ასახსნელი უნდა იყოს. ხანდაზმული პოეტი გრძნობს სიკვდილის მოახლოებას, „ყელში სული ამობოლსა“ წერს ე. ი. სული მხდებაო, ქრისტიან მორწმუნეთა აზრით, სხეულს გაყრილი სული ზეცისაკენ, თავისი მარადიული სამყოფისაკენ მიილტვის. ახალდაბა კი უკრაინის „ნოვოსელიცა“ უნდა იყოს, როგორც ამას სავსებით სწორად ვარაუდობს ს. ყუბანეიშვილი. „აწ რომ იქ წამიყვანონ“ — ე. ი. თუ უფალი თავისთან მიხმობს, ეს ობოლი — დავითიანი — დაუმთავრებელი დამრჩებაო. „მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ“, „ვზრდი მომღერლად“, თუ სიმღერა ზარად არ მექცა, „მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდაო“, მაგრამ მეფეთ სამსახურად მარტო პოლკს ხომ არ გულისხმობს!

ყოველ შემთხვევაში პოეტურ შემოქმედებაში ხელი რომ შეშლოდა, საკმარისი იყო დავითს ის სატანჯველი გადაეტანა, რაც მეორე ტყვეობიდან დაბრუნებამდე გადახდა. პოეტი „აქა-იქ მგზავრობს“, „ვერ მოუცლია“, მაგრამ საქმეებზე სიარულს მარტო სამხედრო სამსახური ხომ არ ითხოვს!

არც პირად ცხოვრებაში ჰქონია ბედი. ღვთისაგან ძეთა და ასულთაგან უღირსად მიჩნეული პოეტი მუდამ საწუთრო სოფლის სამდურავშია:

სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა,
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა;
ვით ბოლოკი, მქნა ავრეზი, ამაჩოყა, ამაღერა,
თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა.

ასე თავისებურად, გულახდილად, შეულამაზებლად და ხატოვნად სოფლის სამდურავი იშვიათად თუ ვინმეს გამოუთქვამს.

განა მხოლოდ დავითი, პოეტი დიმიტრი სააკაძეც უჩივის გარდახვეწილ ქართველთა უბედობას: „დასწყევეთ, ვინც რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხარესა“.

დევნილი, სნეული, დაბერებული, ნახევრად ბრმა, „სამკვიდრო ქვეყნით გამოძებული“ პოეტი სევდის ლახვრითაა დაჭრილი, მაგრამ მისი სიდიადე სწორედ ისაა, რომ სულით არ დაცემულა. იმედის სხივს ეპოტინება:

სიბრმე უდროოდ კაცს არ აბერებს,
თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამღერებს.

წუთისოფელმა პოეტს „გააყრევინა თავზე თმა ხშირი“ და წყალს გაატანა მისი რწმენა. სიკვდილი ახლოვდება, სულის სიმშვიდე შორდება, იმედის უკანასკნელი სხივი ჩამქრალა... ვინ დამარხავს, ვინ დაუდგამს ტაბლას, ვინ აღირსებს აღაპს, რომელი აუნთებს სანთელს, ვინ დაუდგამს ბაზმას?

ავტოპორტრეტიდან შემოგვცქერის მელოტი, ცალი თვალით ბრმა პოეტი. ამ სიბრმავეს მისივე მოხსენებითი ბარათიც ადასტურებს: „ამის ავად მოხაზულობას ნუ დამიწუნებ, ცალის თვალით ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი. ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძელ და სხვას ვერავის ვენდევ ამის მოუპარაობის მიზეზითა“. ამასვე ადასტურებს „ქაცვია მწყემსის“ ცნობილი ადგილი, სადაც შვილი მიმართავს მამას (ავტორს):

მამავ, რომ ლექსავ, ყოყმნობ, აყენებ,
ფიქრით სენს რასმე თავს მიაყენებ;
ბრმა ცალ-თვალა ხარო, ეგეც არ მოსთხარო,
რომლითაც ხედავ...

პოეტს გულს უკლავს უთქმელი სიტყვის კაეშანი. გრძნობს, ვერ მოასწრო ყველაფრის თქმა, უნაყოფოდ დაკარგა საუკეთესო წლები...

ყველაზე მძიმედ დავითი მაინც უშვილობას განიცდის, უშვილობა და უკეთესი წლების „ფუჭად დაკარგვა“, აუხდენელი ოცნება, განცდა იმისა, რომ ვერ თქვა, რაც ეწადა, გულში ხინჯად ჩარჩენია დიდ შემოქმედს, და ეს უთქმელი სიტყვის ტანჯვა, ყველაზე უფრო მძიმე ტანჯვა, სამარეშიც თან მიჰყვება:

რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!

უშვილო პოეტს წიგნი უშვილებია. ან რა გასაკვირია? ამ წიგნშია მისი სული და ხორცი, მთელი მისი ხასიათი, გონება, არსება. ეს შვილიცაა და მეტიც, მთელი ერისათვის სანუკვარი ქმნილება. საკაცობრიო პოეზიის მარგალიტად დარჩება პოეტის ინტიმური აღსარება:

წშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის მამასო;
მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო,
დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი თუ, ვიშვილებ ამასო!

თუ მართლაც მარტო უშვილობა იყო „დავითიანის“ შექმნის მიზეზი, მაშინ ქართველ ხალხს არ ეთქმის საყვედური ღვთის მისამართით ამ უშვილობის გამო, მაგრამ ცხადია, ეს მხოლოდ სიტყვის მჟასალაა. ტანჯვა-ვაება, რაც პოეტს თავს გარდახდა, ალბათ, ნაკლებად შეუმსუბუქდებოდა იმით, ცხრა ვაჟიც რომ ჰყოლოდა.

ღირსეულ ლექსთა კრებულს სახელიც ღირსეული შეურჩია: „დავითიანი“:

ამად ამ წიგნსა სახელად
უწოდე დავითიანი,
დავით შევაწყე, შევკონე,
ვით ვარდი და ვით იანი.

ახალი ლექსების გარდა მას უდავოდ შემორჩენია სიჭაბუკეში და შემდგომ დაწერილი ნიმუშებიც — იქნებ ზეპირად ახსოვდა, აღადგინა, ან გაცრეცილი ფურცლები შემორჩა... ცხადი ესაა, რომ „ამ ლექსს თავი მოუყარა, სადაც ეთქვა თითო ობლად“, და დაუმატა ხანდაზმულობის დროის ლექსებს, რომელთა რიცხვი, ცხადია, ბევრად მეტია.

პოეტის ხელთუქმნელ ძეგლს, მის პირმშო შვილსაც კინაღამ მამის ბედი ეწია:

მირიან ბატონიშვილს „დავითიანის“ ხელნაწერი მდინარეში ჩაუვარდა, მაგრამ მოხდა სასწაული და ხელნაწერი უვნებლად გადარჩა:

როდის შეადგინა პოეტმა „დავითიანი“? კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო მაგდებურგის ტყვეობიდან განთავისუფლებამდე, ე. ი. 1759 წლამდე: „საფიქრებელია, რომ მთელი კრებული შეუდგენია 1774 წელს თუ მის მახლობელ წლებში“, თვითონვე აღნიშნავს ბოლო მინაწერში იმ დღეს, როცა გადაწერა დაასრულა: 1774 წლის 29 ნოემბერს.

მაგრამ ერთი საქმეა კრებულის შედგენა და მეორე — მისი ნაწილების დაწერა. ერთბაშად და ისიც სიბერეში ასეთი ლექსთაკრებული ვერ დაიწერებოდა. პოეტი უთუოდ ინახავდა ყველაფერს, რისი შენახვაც შეეძლო.

სიბერეში კი შეუკრავს და გადაუწერია კიდეც. თავისი გონითი ნაღვაწი, „დავითიანის“ ისტორიული ნაწილი პოეტს 1870-იან წლებში უნდა დაესრულებინა. ამის საფუძველს იძლევა ის ცნობილი ამბები, რომელთაც ამ პოემაში უპოვიათ ადგილი: ტყვეობა, დახსნა, თავის მამულში დაბრუნება, „ქერის და ფეტვის ხვნა“, ძალაუნებრივ წაყვანა იქ, „სადაც არა იყო მწადი“... „ქაცვია მწყემსიც“ პოეტს სიბერეში დაუწერია, ცალი თვალით ბრმას, ხოლო „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა“ 1774 წელს დაუსრულებია. ამრიგად, პოეტურ ქმნილებათა უმეტესობა სიბერეშია დაწერილი, და ნიჭის გაფურჩქვ-

ნის ხანის წლებში მოუცლელი პოეტის შესაძლებლობა ძირითადად უქმად დაკარგულა.

„ვწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი“... ასეთი იყო ქართველ მგოსანთა ხვედრი.

ლაშქრობის დროც წავიდა.

სამოცდაათიანი წლების შემდეგ პოეტი თავის ღარიბულ სავანეში საბოლოოდ ეძლევა ლიტერატურულ შრომას, აწესრიგებს თავისი მემკვიდრეობის საქმეს — ლექსთაკრებულის გადაწერა-შევსება-თავმოყრას. ამ საქმეს დავითი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს.

დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი, თუ ვიშვილებ ამასო...

პოეტი მთელი თავისი ლიტერატურული ნამოღვაწარის თაქმოყრას გულისხმობს, თორემ მოლექსეობა მრავალი ათეული წლის წინვე ჰქონდა „დაწყებული“.

მოცალეობას ბეტისმეტად დიდხანს ელოდა. მეფეთა საწსახურმა შთანთქა ძვირფასი დრო! ძლივს მოიცალა ჩვენი პოეზიის ერთ-ერთმა დიდმა პატრიარქმა ღრმა სიბერეში პოეზიისათვის. არავინ აცალა, თორემ ჰომეროსივით თვით თვალისჩინის დაკარგვაც არ ყოფილა მისთვის დაბრკოლება:

სიბრმე უდროოთ კაცს არ აბერებს, თუ გული მთლად აქვს,
კიდეც ამღერებს.

დავითი ვახტანგის კარზე აღიარებული მოლექსე იყო. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგმა მოსკოვი 1734 წელს დატოვა. ამის შემდეგ გურამიშვილმა კიდევ 58 წელი იცოცხლა. ეს მთელი ეპოქაა შემოქმედისათვის. რაღა მტკიცება უნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში აუარებელი ლექსი დაიწერებოდა, მაგრამ დავითს აქედან ცალკე გადაუთეთრებია თავისებური რჩეული, სიბრძნის წიგნი, სახელმძღვანელო, რაც ცხოვრების გამოცდილებამ დააწერინა. დანარჩენი დაკარგულია. მაგრამ რაც არ დაკარგულა, ისიც უკვდავი ძეგლია სტიქიური რეალიზმისა, ცოცხალი დიდაქტიკური, პოლიტიკური, სოციალური ლირიკისა, რასაც საფუძვლად სიმართლის თქმის პრინციპი უდევს. პოეტი არ ერიდება არავის და არაფერს. ის გრძნობს, რა ზიანსაც მოუტანს სიმართლის თქმა, მაგრამ რა გაეწყობა. „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, ის ვერ იტყვის კახაბერად“.

მართლაც, სიმართლეს არ ეღალატება: „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?“

მახინჯი მხარეების, მწარე სინამდვილის გამომზეურება მთქმელს სარგებლობას არ მოუტანს, „მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“. აი, ეს ამაღლებული პრინციპი განასხვავებს დიდ შემოქმედს იმ წვრილმანი მედროვეებისაგან, რომელთაც შუბლი შეუკრავთ, მათს საქმეს და ნაშრომს ვერ შეეხებით, რადგან ხავერდის სავარძელში

სხედან და მფარველობას უწევენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი! ეს მართლაც რომ ქართლის ჭირია, მარადიული მტკივნეული საკითხი ყოველი ერისათვის და მეტადრე ქართველობისათვის, რომლის უზარმაზარ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობას ყოველთვის ეღობებოდა წვრილმანი ქიშპი, შური, ხვანჯები, ინტრიგა, ძლიერთა უკადრისობა...

ადვილი არ იყო პოეტისათვის იმ მწარე სინამდვილის პოეტურ მატიანედ ქცევა, რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება, რომლის მოწმე და მონაწილეც თვითონ იყო. „მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავსო“, — აღიარებს გურამიშვილი.

გურამიშვილის მძლავრი პოეტური ნაკადი ჟამთა სიავის უდაბნოში არ დამშრალა, ჩვეულებრივზე მეტი ძალითაც კი მოსჩქეფს სიბერის ჟამს შექმნილი სტრიქონებიდან. კრებს, ასწორებს, ათეთრებს, კრავს, აწესრიგებს ძველ ხელნაწერებს, ზეპირად აღადგენს დავიწყებულს და უმატებს ახალს. წერაზე, გადაწერაზე და ილუსტრირებაზე 1787 წლამდე უმუშავნია: მის ძველ ხელნაწერზე ახალი ვარიანტებია დაწებებული, შესწორებებია...

თუ პოეტის უკანასკნელი ნაწარმოებების პოვნა გაძნელდა, სამაგიეროდ დაუღალავმა მოღვაწეებმა ჩვენს დროში შუქი მოჰფინეს პოეტის კერძო ცხოვრების ზოგიერთ ფურცელს.

1767 წლის 15-28 მარტს, თითქმის ორი კვირით, პოეტი პოლტავაში ყოფილა. თავადაზნაურთა განაწესის შემუშავებაში მიუღია მონაწილეობა. პოლტავის, მირგოროდის და გადიაჩის წარჩინებულთა ამ განაწესს ხელს აწერენ სეკუნდ-მაიორი გ. ჩიკვაიძე, კაპიტანი ი. ნინიევი, კაპიტანი კანჩიელოგი, კაპიტანი ოდიშელიძე და დავით გურამიშვილი.

1787 წლის შემოდგომაზე დავითი კრემენჩუგში გამგზავრებულა. ეს უბრალო გასეირნება არ ყოფილა. პოეტს თან წაუღია მთელი თავისი ავლადიდება, რათა გემის დაღუპვის წინ ეს განძი საქართველოსათვის გადაერჩინა.

საქართველოს კი პოეზიისათვის ნაკლებად ეცალა. ახლა მისი ბედი წყდებოდა.

შვიდწლიანი ომის შემდეგ უფრო გახშირდა ქართველი ელჩების ჩასვლა პეტერბურგში. ხანგრძლივი, მომქანცველი მოლაპარაკება მფარველობის თაობაზე დასრულდა გეორგიევსკში დადებული ტრაქტატით, რაც საქართველოზე რუსეთის მფარველი ხელის გაწვდენას აკანონებდა. მაგრამ ეს პროტექტორატი ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა. რუსეთის იმპერიის არწივი თავზარს სცემდა თურქეთისა და სპარსეთის ვეშაპებს. რუსეთი თავისთვის იყო, საქართველოს ფიზიკური არსებობა კი საფრთხის წინაშე იდგა.

არც უკრაინა იყო უკეთეს დღეში. ეკატერინემ ბატონ-ყმობის

უღელი კიდევ უფრო დაამძიმა, რვალით შეჰვედა, თავად-აზნაურობის უფლებები გააფართოვა, პუგაჩოვი კაციჭამია ბელადის მძვინვარებით აწამა და სისხლიანი ხელებით ეცა წელში გატეხილ ხალხს. კარის პოეტები „მფარველ დედა-იმპერატორს“ ხოტბებს უძღვნიდნენ, უკრაინელი ხალხი კი გახრწნილი დედოფლის სისხლიან „სათნოებას“ ანდერძს უგებდა:

კატერინე, შე ქაჯ-ქალო,
ეს რა საქმე ჰქენი.
მხიარული ჩვენი მხარე
როგორ წაგვირყვენი! [1]

მართალია, დედოფლის ყურს არა სწვდებოდა უკვდავი ხალხის ცრემლში ნალესი ლექსი. ის თითქოს დიდი კეთილისმყოფელი ვინმე იყო, ისე გაღაჟღაჟებული ესტუმრა უკრაინას, როგორც იციან ხეპრე დესპოტებმა.

ეს მოხდა 1787 წელს. ამ დროისათვის თავადმა გრიგოლ პოტიომკინმა თავისი რეზიდენცია კრემენჩუგში გამართა, რათა მოზეიმე დედოფლისათვის „პოტიომკინის სოფლები“ ეჩვენებინა.

პოტიომკინი ეკატერინეს დროის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან ჯერ კიდევ 1783 წელს დაარბია ყირიმი და ნოვოროსიისკის მხარეს შეუერთა. თავისი ცბიერებითა და ახირებული პიროვნებით პოტიომკინმა თავისი სახელი უკვდავჰყო, ლიტერატურის ისტორიაშიც შეიტანა და საანდაზოდ აქცია. ეს ანდაზა „პოტიომკინის სოფლები“ მაშინ შეიქმნა, როცა მან 1787 წელს ეკატერინესთან ერთად სამხრეთში იმოგზაურა. დიდი დედოფლისათვის რომ ახლად დაპყრობილი მიწის სიუხვე და კეთილმოწყობა დაემტკიცებინა, პოტიომკინმა ააგო, გერცენის თქმით, „მუყაოს სოფლები“, თვალისმომჭრელად შეღებილი ქოხები, სახლები, თაღები; ტომრები ქვიშით აავსო — ხორბალიაო! სხვადასხვა გუბერნიიდან მორეკილი და საგანგებოდ მორთული ხალხი შეახვედრა — აქაოდა, ადგილობრივი მკვიდრნი ვართო, თანაც ამ ხალხს ადგილს უცვლიდა, საქონლის ჯოგებსაც სოფლიდან სოფელში გადარეკავდნენ და „ფხიზელი“ თვალის პატრონ დედოფალს ერთ ჯოგს ათჯერ აჩვენებდნენ...

ჩაივლიდა ეკატერინე და ხელოვნური ნარგავები ჰკნებოდნენ, მუყაოს კედლები იქცეოდნენ, ხერსონის სახელდახელო სიმაგრე პირველსავე ავდარში დაინგრა და დაიშალა... მთელი ევროპა ისმენდა გაუგონარი სიყალბის ამბავს, თვით ავსტრიის იმპერატორი იოსებ II მონაწილეობდა ამ საცირკო „ტრიუმფალურ“ მსვლელობაში გრაფ ფალკენშტაინის ნიღბით...

---

1 თარგ. თ. ჯანგულაშვილისა.

„პოტიომკინის სოფლები“ იმ ბინძური სინამდვილის ამსახველ თქმად შემორჩა ისტორიას.

რა ბედი ჰქონია ქვეყანას, რომელსაც ასეთი გაქნილი მეფისნაცვალი და ასე იოლად მოსატყუებელი იმპერატორი ჰყავდა! რა გული უვადა ჰქონოდა დიდ პოეტს, რომელიც სწორედ თავის თვალწინ ხედავდა მთელს ამ საზიზღარ სიყალბეს, კომედიას, ბუტაფორიას?

გურამიშვილი ხსენების ღირსადაც არ ხდის ასეთ ჟონგლიორობას, მის სიდიადეზე კი ისიც მეტყველებს, რომ განზრახ არ ჩასულა კრემენჩუგში, სადაც ეს ამბავი ხდებოდა, სადაც, შევჩენკოს ლექსის თანახმად, ბავშვი შიმშილით კვდებოდა, მდინარეზე ოქროს ნავი მიცურავდა, შიგ კი „თავადებს და სარდლებს შორის იჯდა დედოფალი“...

...დედოფალი
სისხლიანი ხელით,
შმაგი მტერი უკრაინის —
შიერი ძუ მგელი.

გურამიშვილი არ დასწრებია კრემენჩუგში გამართულ ნადიმს, სადაც მაშხალებზე მაღლა ადიოდა ქლესა თავადის ბაქიაობა თავისი კუთხის ზღაპრულ „კეთილდღეობაზე“.

ბრძენმა პოეტმა „ღვთივ გვირგვინოსანი“ დედოფლისა და მისი ამალის ღრეობაზე დუმილი ამჯობინა. ხომ შეეძლო ჩასულიყო და წყალობა ეთხოვა? ფეხიც არ მოუცვლია.

სამაგიეროდ, მაშინვე გაემგზავრა, როცა შეიტყო, კრემენჩუგში, მირიან ბატონიშვილია ჩამოსულიო...

1787 — ეს გურამიშვილის ცხოვრების უკანასკნელი წელია, რაზედაც დაბეჯითებით ვიცით რამე. 82 წლის პოეტი საოცარი ზრუნვითა და გულმოდგინებით კრავს თავისი „შვილის“ — პოეტური მემკვიდრეობის არტახებს, რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს. ესეც მის შრომისმოყვარეობასა და შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს.

ბედნიერ შემთხვევას უნდა მივაწეროთ გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის გადარჩენა იმ ჟამთა სიავეში, როცა პოეტს თავისი წიგნი, დაბეჭდილი კი არა, ხელნაწერის სახითაც კი არ უხილავს. ერთადერთი ცალი, მისივე ხელით გადაწერილი დედანი, ალბათ, ჩვენთვის სხვა მრავალ დაკარგულ ძვირფასეულობასთან ერთად უიმედოდ გაეხვეოდა შეუცნობლობის ბურუსში, მირიან ბატონიშვილი რომ არა (1774 წლის ხელნაწერი დაკარგულია).

როგორც ზემოთაც ითქვა, ეს მოხდა 1787 წლის სექტემბერში, თითქმის ორასი წლის წინ და 13 წლის შემდეგ პირველი ხელნაწერის გამზადებიდან, გურამიშვილმა გაიგო, რომ მის მეზობლად, კრემენჩუგში, ფელდმარშალ პოტიომკინთან სტუმრად იმყოფებოდა ერეკლე

მეორის ელჩი, მირიანი. სასწრაფოდ გადაუთეთრებია თავისი ლექსები და პოემები, საინჟინრო გამოგონებათა ნახაზებთან ერთად მირიან (ერეკლეს ძე) ბატონიშვილისათვის მიურთმევია. ეს ახალი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი იყო. ხელნაწერი ერთი მელნით, ერთი ხელწერითა და ერთნაირ ქაღალდზეა შესრულებული, რაც მოწმობს, რომ საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის მოუმზადებია. ჩაკერებულია მხოლოდ ორიოდე დამატებითი ფურცელი.

მირიანი, როგორც თითქმის ყოველი ქართველი დიდებული, განათლებული და პოეზიის მოყვარული კაცი იყო. დაწვრილებით არ ვიცით, როგორ მოხდა პოეტის და ელჩის შეხვედრა, რაზე ისაუბრეს და რა ითათბირეს, მაგრამ ყველაფერი უდავოდ ისე მოხდებოდა, როგორც ორივეს ღირსებას შეშვენოდა. მირიანს ხელნაწერი მიუღია და მოცალეობის ჟამს, ზამთრის გრძელ ღამეებში სიამოვნებით უკითხავს. ბესიკის და სხვა ქართველი პოეტების მეგობარი მირიანი თვითონაც წერდა ლექსებს, უდავოა, ასეთი საჩუქარი უცხო მხარეში მას გაახარებდა, რადგან იცოდა მისი ფასი.

მირგოროდიდან კრემენჩუგში დავითი შარაგზით წავიდა. 120 კილომეტრი გაიარა ღრმად მოხუცებულმა, ნახევრად უსინათლო კაცმა, რომ ხელნაწერი გადაერჩინა და ღარიბი ხალხის ხვედრიც შეემსუბუქებინა იმით, რითაც შეეძლო — სარწყავი არხით და წისქვილით.

გზაში პოეტმა უთუოდ ბევრი რამ ახალი ნახა. ყმა-გლეხობა დრტვინავდა, ბობოქრობდა, იარაღს ლესავდა. ჰაიდამაკების აჯანყება წლობით გაგრძელდა. „არ გვინდა ყმობა!“ გაიძახოდნენ მეამბოხეები, ეს ყმობა რუსეთში გაგრძელდა მეტ ხანს, ვიდრე სადმე სხვაგან...

გურამიშვილს უთუოდ ეცოდინებოდა მეზობელი თავადების ბაზილევსკების ოჯახის სისასტიკის ამბავი. სალტიჩიხა და ბაზილევსკაია — რუსეთისა და უკრაინის ბოროტი ფურიები — თავიანთი სისასტიკით საანდაზოდ და საწყევარად დარჩენილან ისტორიაში. პოეტს ეცოდინებოდა ისიც, როგორ აეშალა ვერაგ დესპოტებს სოფელ ტურბაის გლეხობა, როგორ აღდგა ხალხი აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ და როგორ დამარცხდა. გურამიშვილმა 1784 — 1787 წლებში გადაწერილი ახალი პირი მიართვა მირიანს, წისქვილის ნახაზებსა და არზასთან ერთად.

კრემენჩუგსა და ელისავეტგრადში ბატონიშვილს მწერალთა მთელი დასი შემოუკრებია. ვიცით, რომ მათ შორის იყო ბესიკი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემონახულა ცნობა, შეხვდა თუ არა გაბაშვილს გურამიშვილი.

ერთადერთი, ძუნწი და მტკიცე ისტორიული ფაქტი შემოგვრჩა ამ ისტორიულ შეხვედრაზე: მირიან ბატონიშვილს პოეტმა ასეთი არზა მიართვა:



გურამიშვილი „დავითიანს“ სასოებით აბარებს
მირიან ბატონიშვილს

„ქ. ღმერთმან ბედნიერის მათი დიდებულების ქართლისა და კახეთის მეპატრონის მეფის ირაკლის ძის მირიანის ჭირი და სატკივარი მათს ფერხთა მიწა-მტვერს მომცეს!

მათი გავიგონე დიდროან ღამეებში შესაქცევად ქართლური წიგნების დამჭირნეობა, და ამად კადნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი წიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“. და ამ წიგნში არის ჩატანებული ჩემგნით ახალი მოგონებული სარწყავის და წისქვილის მოხაზულობა და ამბავი. ჩემის ხელით დაწერილია ქართულად, და ეს ჯერ არსად არის გამოცხადებული ჩემის უძლურობითა და გაუბედაობით და ამას ვთხოვ მათის დიდებულების წყალობასა: ეს ამბავი რუსულად ათარგმნინონ და მოხაზულობა უმჯობესად მოახაზვინონ და სვეტლიშის კნიაზს აჩვენონ და გააშინჯონ და, რაც იქიდამ ბრძანება გამოვიდეს, მე მიბრძანონ.

მოწიწებით მიწა-პირგაერთებით თაყვანისმცემელი მათი მონა და ყმა-ყოფილ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ.

წელსა 1787 სეკდემბერს“.

ძვირფასი ხელნაწერი მირიანმა პეტერბურგში წაიღო, მერე მოსკოვის, ვოლგისა და კასპიის გავლით თბილისში ჩამოიტანა, გადაარჩინა სასტიკ დროსა და მანძილებს და დღეს საქართველოს სიძველეთა ეროვნულ საცავშია შენახული. ორასი წელია მას შემდეგ, რაც ეს განძი გადარჩა. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მისი შემნახავის ამაგს.

საუბედუროდ, არ ვიცით, რა ბედი ეწია დავითის წამოწყებას და როგორ წარიმართა ამის შემდეგ მისი ავტორის ბედი.

გურამიშვილის ლექსები ყველასათვის ცნობილი და მისაწვდომია. რას წარმოადგენს პოეტის ნახაზები? ეს ძეგლია მის ინტერესთა სიფართოვისა. უკრაინაში ცხოვრების დროს დავითს ბევრი უფიქრია ხალხის კეთილდღეობისათვის. ქართული სარწყავი სისტემის მაგალითზე განუზრახავს ისეთი სისტემის აგება, რაც უზრუნველჰყოფდა რაბებით წყლის ამაღლებას და გვალვის დროს გაშლილი, მწირი მინდვრების მორწყვას. ვინ იცის, რამდენს ოცნებობდა პოეტი უძილო ღამეებში მობიბინე ველ-მინდვრებზე, ღარიბი გლეხის სიხარულზე, თავისი გამოგონების წარმატებაზე!

მასვე შეუდგენია მექანიკური წისქვილის აგების გეგმა-ნახაზი. წის-

ქვილის პროექტი განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ საგანთა ლოგიკითა თუ გარემოებათა უცნაური გადალახვის წყალობით ამ წისქვილმა დიდი სამსახური გაუწია გამომგონებლის მშობლიურ ხალხს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლექსები მხოლოდ ერთგვარი პოეტური დანართის როლს ასრულებდნენ ამ პროექტებისათვის, რომელთა განხორციელებას სახსრები უნდოდა. დავითს არ გააჩნდა სახსრები, მასალები, თანხები, რომ ცდები ჩაეტარებინა. ამ მიზნით უფრო მიმართა მირიანს და, ალბათ, პოტიომკინსაც. მბრძანებელთა წყალობა იმით ამოიწურა, რომ ხელნაწერი შემოგვინახეს. ჩვენთვის ეს დამსახურება მთავარია, მაგრამ დააკმაყოფილებდა ეს წყალობა პროექტების ავტორს? მკითხველმა განსაჯოს.

ქართული ლექსის გამოჩენილ თეორეტიკოსს, პოეტ მამუკა ბარათაშვილს შემოუნახავს 1731 წლის ხელნაწერ ლექსთა კრებული, რომლის ბოლო გვერდზე მის მეგობარს დავით გურამიშვილს თავისი ხელით წაუწერია „სავარგონია, მგონია“.

გ. ლეონიძის და დ. კოსარიკის ვარაუდით დავითს მოსკოვში უნდა დაეწერა „მოსკოვს ქალაქს მზეს ველოდით“, „პატარა ქალო თინაოს ხმაზე“, „დაღამდა“, „სიუხვის კოკა“, „ამოცანები“, „ანბანთა ქება“... იქვე უნდა მომწიფებულიყო „ქართლის ჭირი“. ცხადია, რუსეთის მიწა-წყალზე გურამიშვილი მოხვდა მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, რაიმე ხელნაწერის გადარჩენაზე ფიქრიც ზედმეტია. მოსკოვში კი მიეცა წერის საშუალება, და რაც ზეპირად არ ახსოვდა, სადღა დაწერდა?

ხელნაწერებს თავიანთი ბედი აქვთ. თუ გურამიშვილს ბედი არ გაეხსნა, მის ნაწერებზე ეს მაინც არ ითქმის. საბედნიეროდ, მზრუნველმა ხელმა ის ჟამთა სიავეს გადაარჩინა და სამუდამოდ გადასცა მის კანონიერ მფლობელს — ქართველ ხალხს.

დიდება საუნჯის მხსნელთ!

ომგადახდილი პოეტის ფაუსტური აღსასრული

„mors quid est, aut
finis aut transitus“
Seneca[1]

დადგა პოეტის შემოდგომა. სცივა, ქარი ხმელ ფოთლებს აყრის, უმძიმს, წაუხდა ჰირნახული. იყო დრო, გურამიშვილსაც ჰქონია ოქროს დღეები:

---

[1] „რა არს სიკვდილი, ყოველივეს დასასრული ან ფერისცვალება,“ — სენეკა.

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა
განცხრომასა და შვებასა,
მიყვარდა, კარგა მიმაჩნდა,
ვცდილობდი არ გაშვებასა...

ჩვენ ვნახეთ გურამიშვილის ახალგაზრდობის ძნელბედობა, იქ ასეთი ბედნიერება არ შეგვიმჩნევია. მაგრამ სიბერეში პოეტს სიამის ოდინდელი სხივიც მზედ ესახება. ესაა მოგონება!

სიბერეში იგონებს პოეტი იმ დღეთა უზრუნველობას, როცა „განსცხრებოდა, იშვებდა, იხარებდა“, ძვირფას ხალათასა და ნაჩუქარ ქათიბ-ახალუხს შეჰხაროდა, ქალებს უღიმოდა, „სცოდავდა“, „არ აქვნდა კვნესა, ვაი და ვიში“, „ბაღად ჯდა მასთან, ვისაც ყვარობდა“; ეს მისტიკური სინანული სრულიად ზედმეტი გარჯა იყო. გურამიშვილი არასოდეს არ გაუნებივრებია ბედს ისე, რომ მისი სინებივრე სინანულად ღირებულიყო. მისი მელანქოლია სამშობლო ქვეყნისაგან დაშორებითა და მისი ძნელბედობით აიხსნება, რასაც პოეტის მოხუცებულობაში რელიგიური მოტივების მოძალებაც დაერთო.

ის ფიქრობდა იმაზე, რაც ქვეყნად დაკარგა, დაკარგა კი ყველაფერი.

საწუთრომ ზურგი აქცია. ბედმა, ვისაც არ უნდოდა, ტყუპი მისცა, ვისაც უნდოდა — მისთვის ცალიც არ გაიმეტა.

მკვლევარები საგონებელში ჩააგდო საწუთროს ასეთმა სამდურავმა:

ფუ, შენ, ცრუო საწუთროო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი!
შენ ყოფილხარ მწარე შხნაკვი, მე მეგონე ტკბილი ყანდი;
აქ საკვდავად რად მოგყვანდი, თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი?

ამაზე თედო ჟორდანიამ ეჭვი გამოთქვა: „ნუთუ პოეტი სამშობლოში ყოფილა რუსეთიდგან დაბრუნებულიო?.... ნამდვილად კი საქმე უბრალოდ იხსნება: ლაპარაკია საიქიოსა და სააქაოზე. ესაა ყოფნა-არყოფნის დილემის თავისებური, გურამიშვილისეული გადაწყვეტა. დავითი რომ საქართველოში დაბრუნებულიყო, სულ სხვა სატკივარი ექნებოდა და სხვაგვარადაც წარიმართებოდა მისი ცხოვრება და შემოქმედება.

უთვისტომო პოეტი უცხო ცის ქვეშ მოგონებებით ცოცხლობს. დედ-მამა აგონდება, შიო-მღვიმის და ზედაზენის მამულები, სახლი და სამარხი მამაპაპური. აგონდება ქრისტეფორე, მღვდელ-მონაზონი, რომელიც ბაქარის ნებართვით მოსკოვში სტამბას აწყობს და ბიბლიას ბეჭდავს... ცოლი აგონდება და სიდედრი, მოსამსახურე და მისი ასული, ისე მოკლედ და ბუნდოვნად ნახსენები რუსულ დოკუმენტებში, რომ ძნელი გასარჩევი შეიქნა, ეს ცოლი საქართველოდან ჩაუვიდა მოსკოვს თუ მოსკოველი ქალი შეირთო.

მხოლოდ ქრისტეფორეს ცხოვრების ამბავია ნაწილობრივ აღდგენილი. 1746 წელს წიგნების ბეჭდვისათვის ალბათ, უსახსრობის გამო თავი დაუნებებია და „ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენელ კომისიაში“ დაუწყია მუშაობა, 1753 წელს გარდაცვლილა და მისი ქონება მისივე ანდერძის თანახმად სინოდს დავითისათვის გადაუცია. ცოლი და სიდედრიც, ალბათ, მანვე ჩაუყვანა დავითს მოსკოვში, მაგრამ უკრაინაში აღარ ჩანან.

დღესდღეობით ცნობილია, რომ უკრაინაში მისი მეუღლეა ტატიანა ვასილის ასული ავალიშვილი, რომელიც დავითზე ორი წლით გვიან გარდაიცვალა, ნაშვილები პატარა დარიაც დღემოკლე გამომდგარა...

ისტორიულ დოკუმენტებში ტატიანა ვასილის ასული ავალიშვილი თავად გურამიშვილის (გურამოვის) მეუღლედ ითვლება 1745 წლიდან 1792 წლამდე, ე. ი. მთელი 47 წლის განმავლობაში.

ჩვენ არ ვიცით, რა ნაკლი და ღირსება ჰქონდა ტატიანას, გარდა კარგი სახელისა და გვარისა. სწორად მიგვაჩნია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ეს ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო ვინმე მამუკა ავალიშვილის შთამომავალი (შვილიშვილი), რომელიც 1727 წელს მოსკოვში ჩასულ ქართველთა სიაშია მოხსენებული. სხვა ავალიშვილი რუსეთს გადახვეწილ ქართველთა შორის არ ჩანს. ქალის მშობლები, ალბათ, დავითის მეზობლები იქნებოდნენ, და ეტყობა, დავითმა ეს ქალი „ხათრით“ შეირთო, რადგან არსად მის შესახებ არაფერს გარკვეულს არ წერს, არც შვილი ჰყავს, არც რაიმე აღტაცებას გამოხატავს ამ დაგვიანებული ქორწინების გამო. ჩანს, ოჯახურ ცხოვრებაზე ადრევე აუცრუვდა გული და აღარცა სჯეროდა მისი ნაყოფი მას შემდეგ, რაც ადრინდელ სიყვარულში თუ დაოჯახებაში მარცხი განიცადა. ვფიქრობთ, დავითი და ტატიანა უბრალოდ მოვალეობისათვის ცხოვრობდნენ ერთად, წყნარად და თანხმობით. ქალს არც მზითევი მოჰყოლია და არც შვილი უჩუქებია, არც გავლენიანი ნათესავები ჰყოლია, რომ თავიანთი სახელები სიგელ-გუჯრებში ჩაეწერათ... ასეთი მეუღლე, ალბათ პოეტისათვის დიდი ნუგეში არ იყო, მაგრამ დავითი ნუგეშს აღარ ეძებს... უსახელოდ, უსიყვარულოდ ეწევა წუთისოფლის ჭაპანს.

ნატანჯი პოეტი რომ ადრე, ახალგაზრდა გარდაცვლილიყო, ეს სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ ისეთი მკვლევარები, როგორიც არიან მარი ბროსე და თედო ჟორდანია, „ერთი მცოდნე ქართველის“ ცნობას იმოწმებენ და ფიქრობენ, რომ გურამიშვილი XIX საუკუნის დამდეგს გარდაცვლილა უკრაინაში (მალოროსიაში), სადაც დაკრძალულია კიდეც. თუ ეს ცნობა სწორია, გურამიშვილს თითქმის მთელი საუკუნე უცოცხლია და ქართულ მწერლობაში პატრიარქად ჩაითვლება.

მაგრამ დმიტრო კოსარიკის გამოკვლევის შემდეგ აქ სათუო არაფერია. სიმართლე რომ ითქვას, აქ დიდი განსხვავება მაინც არ აღმოჩნდა ვარაუდსა და ფაქტს შორის. დავითი ორსავე შემთხვევაში საკმაოდ მიუახლოვდა ბიბლიურ ასაკს.

თავჩაღუნული ჩასცქერის წყალს ცრემლთამფრქვეველი და საწუთრო სოფელს უჩივის: „სულ დამიხოცე მოყვასნი, ერთიც არ დაღინღილებსა“. პოეტის ჩივილი ისე სამართლიანია, როგორც ნათელია მისი პოეტური სიტყვა: „ასე მაღალმან მე დამამდაბლაო“.

დგას დავითი ობოლივით და ლოცულობს: — რა არის ჩემი ცხოვრება ამ ქვეყანაზე! წამერთო დღენი მზიანი, ღამენი ცა მოწმენდილი. ცრუმან საწუთრომ რაც მომცა, ისევ იმანვე წამართო. აწ რით წარვმართო კეთილად ჩემი საქმე? ღმერთო, მომეცი იმისი ღონე, რომ ურიგო საქმეს განმარიდო, ღრძუ და ფიცხელი გული დავიმშვიდო... ვარსკვლავიან ცას შევცქერი და ჩემი ბედის ვარსკვლავი ვერ მიპოვნია... ვაი თუ მოვკვდე უმადლო, შევიქმნა ცოდვის ზიარი, დავკარგო ხორცის სიმაძღრეც, ხორცითაც ვიქმნა მშიერი!.. ვაი თუ შორ გზას წავიდე, საგზლად ვერარა წავიღო... ვაი თუ ჩემის სიკვდილით გული არავის სტკიოდეს...

დავითის მთელი ცხოვრება ერთი ასეთი მწარე მონოლოგია, ცოდვა-ბრალით ნალესი გოდება ბედშეკრული კაცისა.

სიზმრად იხილა, კარს გარეთ რეკდა, ქორწილში შესვლად შიგნით იწევდა... და ის არ შეუშვეს. მტერმა განძარცვა ტანთ საქორწინო შესამოსელი. მართალია, ეს ქრისტეს ქორწილი იყო, მაგრამ დავითი ხომ აქ შესვლაზე ხშირად ოცნებობს! ნუთუ ქორწილში ველარასოდეს შევა, პეტრე და პავლე კარს დაუხშობენ, ჩამქრალ ბაზმაზე ზეთს არავინ დაუსხამს? ნუთუ ქრისტე არ განკურნავს „ბრმა-ყრუ-საპყარს!“ აი, ამ ფიქრებშია მოსკოვშიც, ზუბოვკაშიც და მაშინაც, როცა „ბრუსიაში დატყოვდა“.

გულსაკლავია პოეტის ანდერძი. ცრუ საწუთრომ პირი არიდა, „მანვე დაშალა, ვინც აღაშენა“, ყველაფერი უკან დარჩა. მაგრამ ის ბოლომდე დიდ ჰუმანისტად რჩება.

გურამიშვილის ანდერძის ქვაკუთხედი ესაა:

მშიერთა ჰმევა, შიშველთა ცმევა,
უსამართლობით არვისი რბევა.

პოეტს ესმის: „მკვდარს არას არგებს ტყება-ტირილი... მიმეცით რამე მღრდელთ წირვის ფასი“... მაგრამ უშვილო მგოსანს აღარც ამისი იმედი აქვს. ველარავინ აუნთებს სანთელს, აღარავინ დაუდგამს ტაბლას, მაღალმან ასე ის დაამდაბლა და არც კი ვარაუდობს, რომ არა

ღმერთი, არამედ ადამიანი, მისივე ხალხი აამაღლებს ძნელბედობით „დამდაბლებულს“.

ასეთი უშვილძირობა, მრუდე ბედი და უმწეო სიბერე კაცს არ ახარებს, და ღრმად მოხუცებულმა პოეტმაც რაზე უნდა იფიქროს, თუ ეპიტაფიაზე არა?

ხანდაზმულ ადამიანს უდავოდ ერთი ფიქრი აღეძვრის: სად დაიმარხოს, რომელ მხარეში? წინაპართ საფლავებს შორის განისვენებს, თუ სხვის ქვეყანაში.

გურამიშვილის ბედი ამ მხრივაც გამწარებულია. მას ბედ-იღბლის წიგნში არ უწერია მშობლიური ცის ქვეშ დავანება.

აი, პოეტის ეპიტაფიაც:

ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,
მი'ად სანუფჭოდ სად დავიმარხე!

აღსასრული ახლოვდება. ბრძენი პოეტი გულისტკივილით იგონებს თავის სამკვიდროს, თავის საგვარეულო სამარხებს — კახეთს, ზედაზენს, ქართლის შიო-მღვიმის მონასტერს, სადაც მის წინაპართა „ძვალთ შასალაგია“, „ორივ ქვიტკირით აღშენებული, სახლ-გალავნებით დამშვენებული“ განსასვენებელია.

დაღვრემილი დავითი მკითხველს შესჩივის: „ხორცით აქ ვლპები, აწ ჩემი სული არა ვიცი რა, სად არს მისული?!“ ამ ნაღვლიან ჩივილს ერთვის თავისებური „მემენტო მორი“. ცრუ საწუთრო არც შენ დაგინდობს! შენდობა მაინც მიბრძანე და სამაგიეროდ ღმერთმა შენი ცოდვა შეგინდოსო!

მსგავსი ფიქრები უცხო მხარეს უთვისტომოდ დაბერებული და უშვილოდ გადაგდებული მორწმუნე კაცისათვის ბუნებრივი იქნებოდა. ნუგეშად მხოლოდ პოეზიის რწმენა რჩებოდა.

მრავალ განსაცდელში გამოვლილი პოეტი თავის ლექსთა კრებულის ბოლო წერტილად სვამს ლექსს, რომლის სათაურია „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“. დავითი ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს თავის მძიმე წარსულს და დავითის საგალობელით მიმართავს ღმერთს, თანაც ვერ გაიგებ, ეს რომელი დავითია ნაგულისხმევი: ბიბლიური მეფსალმუნე მეფე თუ ჩვენი ნაჯაფი და ნატანჯი პოეტი. ორივე ხომ ერთნაირად ნაცადი და ბრძენია! აკი თვითონვე აცხადებს: „მის ღვთის ძის მამის დავითის სეხნა გურამისშვილი ვიყავ დავით მეო“. დავით მეფე ხომ ქრისტეს წინაპრად ითვლება! დავითიც, მისი სეხნია ამ სახელს გაათამაშებს და თავის უკანასკნელ ლექსშიც კი არ კარგავს იუმორის გრძნობას:

აწ თქვენ ამაზედ რა ცილობა გაქვთ,
არა ვიცი რა, რას მედავით მე!

თუ ბიბლიურმა დავითმა ფსალმუნები დატოვა, ჩვენმა დავითმა გულწრფელ ლოცვებთან ერთად დიდი ადამიანური პოეზიაც დაგვიტოვა, როგორც დავითმა იერუსალიმის აშენება განიზრახა, მარტოხელა პოეტმაც ხალხის საკეთილდღეოდ ნახაზები შეადგინა და ლექსებს დაურთო: „ეს წყლის ასამაღლებელი და წისქვილი თუმცა მოვიგონე და დავხაზე, ჯერ არსად არის გამოცხადებული ჩემის უძლურობით და ხელმოკლეობით, და ამ ჩემს ნათქვამს ლექსის წიგნში ჩამიტანებია“...

ბევრი რამ არის ნაფიქრი და გათვალისწინებული ამ ნახაზსა და მის სიტყვიერ დახასიათებაში. ეს ჰეშმარიტად კეთილშობილური და პოეტისათვის საოცარი წამოწყება თავდება ლექსით, რაშიაც ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბრძენი დავითი თავის ნააზრევს, მოხუცი ფაუსტივით ხალხის სასარგებლოდ რომ ვარაუდობდა:

ესე რაც ნეშტი მაშინა დავიდგა დავითმა შინა,
მას თუ ვერ ღებავს წითლადა, ცუდი ყოფილა მაშინა,
როდესაც მტერი მებძოდა, ეს საფრად მდგომდა მაშინა,
მას ხძალსა ესცემდი უშიშრად, ვინც მე თავის ხმლით მაშინა.

მირგოროდში ხვდებოდა თავის მებრძოლ მეგობრებს. აქ მუდმივად იდგა სამხედრო დანაყოფი, რომელშიაც რუსი და უკრაინელი მხედრების გარდა ქართველებიც შედიოდნენ. ოფიციალურ ბარათებში ნათქვამია, რომ მირგოროდში მათ საკუთარი სამოსახლო ჰქონდათ ქალაქის უფროს მაიორ ფხეიძის მეთაურობით. დავითს უთუოდ ჰქონდა უშუალო კავშირი და სანუგეშო საუბრები იმ ქართველებთან, რომლებიც გემის დაღუპვას გადარჩენილი მეზღვაურებივით ამ პატარა „კუნძულს“ — „ქართველთა კოლონიას“ აფარებდნენ თავს, მაგრამ ვინ შეინახავდა ამაზე ცნობებს? ვინ იცის, სად რომელმა ქარმა გაფანტა „ჟამთ ვითარებით“ უცხო მხარეს გადახვეწილთა ჩანაწერები?

ბედის ძიებაში იყო მთელი თავისი დღე და მოსწრება, და, აი, რა დასკვნამდე მივიდა:

რას ჰქვია აწ ბედი?
ყრმა ვიყავ, დავბერდი, —
ჯერ ვერ მიცვნია.

ღრმა სიბერემდე იცოცხლა პოეტმა, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი პოეტური მემკვიდრეობის წონა და მნიშვნელობა. ნუთუ მრავალი ათეული წლის განმავლობაში მხოლოდ ეს ერთი მცირე ტომი შექმნა? ცხადია, არა. ვერა ძნელბედობა ვერ შეაფერხებდა მის კალამს — ქართველი პოეტებისათვის ეს ჭირი არ ახალია, ძველია. საწერად იცლიდა თვით გვირგვინოსანი პოეტი, რომელიც ჩიოდა: „ვწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდიო“.

გურამიშვილს ასე თუ ისე მეტი დრო ექნებოდა, ომიდან დაბრუნების შემდეგ მაინც. მაგრამ ეჭვი არაა, მისი ლექსების დიდი ნაწილი, მეტადრე ახალგაზრდობის ლექსები, სამუდამოდაა დაკარგული. ერთადერთ ან თუნდაც ორ-სამ ცალ ხელნაწერს სად ვერ გაფანტავდა და დაფხრეწდა ჟამთა სიავის ქარი! მუდამ დევნილი, ლტოლვილი, პყრობილი ან სიღარიბესთან შებმული პოეტი ცალკე მტრებმა და შურიანმა მოქიშპეებმა შეავიწროვეს:

შურმან მე დიდად დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა.
ცეცხლით დამიწო სახლ-კარი, ვამე, ჯავრი მკლავს მის სრისა.

ლექსში ლაპარაკია ხანძარზე, რაც ბოროტმა ადამიანებმა პოეტის სახლს შეუნთეს, და რამაც იმსხვერპლა მისი მსხვილი და წვრილი შვილები, ე. ი. პოემები და ლექსები.

მისი ნახაზები პოეტის ხატვის ნიჭზეც მეტყველებენ.

დავითს თვალსაც დააკლდა ფაუსტივით.

ეს ალბათ მართლაც ფაუსტური აღსასრული იყო ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრში დალეული ბრძენი ქართველი პოეტისა.

სამშობლოსა და საკუთარი ხალხის უბედურება არის მიზეზთა-მიზეზი დავით გურამიშვილის განუწყვეტელი მოთქმისა. საწუთრო, გაუტანელი, დაუნდობელი და მუხანათი, თავის ნებაზე რომ ათამაშებს მის მშობელ ხალხსა და ქვეყანას, ჯვარცმული და მკერდში მახვილგაყრილი ქვეყანა და ხალხი, აი, გურამიშვილის გოდების, ვალალების, ტირილისა და მოთქმის საფუძველი. ქვეყნის აუტანელი გასაჭირით გულშეღონებულ პოეტს ან კი რა დარჩენია გლოვისა და ვაების მეტი:

გელი ღონდება, ვიწყო გოდება:
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება:
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
ჩელი მშორდება, ხორცი შმორდება:
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
რად მშვა დედამან, შავმან ბედამან,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

ნისლივით მოეჯარა ფიქრები და სულის საოხად ხოროლის სანახებისაკენ გასწია. გულისმომწყვლელმა კაეშანმა და სევდამ დაიმონა, დარდმა წაართვა სულის სიმშვიდე, ნაღველმა იმძლავრა. კვლავ უწყალოდ უწყო წვალება სხეულის შემმუსვრელმა უკურნებელმა სენმა — მარტოობის დიადმა ქენჯნამ. წელთა სიმრავლემ ჯანგატეხილს და ნაიარევს თავისი დაღი დაასვა, მაგრამ მის ნიადაგ მოგიზგიზე ცეცხლით ანთებულ სულს მაინც ვერარა მოუხერხა. მწვავე განცდებგამოვლილი, მოუღლელი და გაუტეხელი სული ჭაბუკური გზნებით, კვლავ ოცნე-

ბათა საუფლოში დააფარფატებდა. გონება ცინცხალი, შეუბღალავი, უზადო შერჩა, გული უბერებელი, ჭკუა ნათელი, მეხსიერება უნაკლო. აზროვნება კვლავ საღი ჰქონდა, გამჭრიახობაც არ აკლდა, მაგრამ საწუთროს კივკივს მაინც ვერა და ვერ არჩევს, ხსნის გზის ძიებაში შემოაღამდა და აღარ იცის, საით გაიქცეს, რომ კვლავ პირქვე არ ჩაემხოს მდინარეებად დაღვრილ სისხლში და შიგ არ ჩაიხრჩოს.

მე ამად ვჰყივი, ვჰყვირი და ვჰკივი,
ვერ განვარკვივე შენი კივკივი:
თბილი და ცივი, ორივე მტკივი
საით გავიქცე, რომ არ წავიქცე?!

ხანდაზმულსა და მხცით მოსილს სამშობლო დაქცეული ეგულება, საკუთარ კარმიდამოში დაბრუნების იმედი საბოლოოდ გადაეწურა, ნათესავთ და თვისტომთ ნახვის სასოება დაეშრიტა, აყვავებული ბაღ-ვენახების ხილვა ზმანებებშიც აღარ უწერია, გრძნობს მოახლოებულ აღსასრულს, სასომიხდილს ცაზე მზე კი არა, მოჭრიატე ვარსკვლავიც აღარ ეგულება და გოდებს:

დამივსე ვანი, კარავ-სევანი,
ბაღთ ხეივანი, გარს გალავანი,
დედ-მამა ძმანი, გამყარე დანი,
საცა რომ შამქენ, მუნ აღარა მქენ.

შეჭირვებული პოეტი ერთთავად მამაპაპეულ ძვალთშასალაგზე ფიქრობს. იობივით სწყევლის ამქვეყნად თავის გაჩენის დღეს და ერთს პათეტურად კიდევ შესძახებს: „რად მშვა დედამან, შავმან ბედამან!“ საწუთროს დაუნდობლობით გულმოკლული გურამიშვილი სწყევლის იმ ღამეს, როცა ითქვა — ჩაისახაო ადამიანი და გაოგნებული იმას ჩივის, რომ ამქვეყნად „ვერ განირჩევა“ რა არის კარგი და რა არის ცუდი, სძინავს თუ ღვიძავს, ცოცხალია თუ მკვდარი?

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ ჩიმაძღრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

ცას აჰხედა. ზეცის თავანი მოკაშკაშე ვარსკვლავებს მიეჭარგ-მოეჭარგათ. უღრუბლო, მოსარკული ცა უკრაინელი კაცივით გულღიად გადაშლილი ეჩვენა. მოჭრიატე ვარსკვლავებმა ქერათმიანი გოგონების თვალთა ციალი გაახსენა. — კაცის გული მაინც ზღვასავით უძღები ყოფილაო, — გაიფიქრა. შეინანა ახალგაზრდობა რომ ტანჯვა-წვალებაში ასე მალიად გაუფრინდა და ერთი ისეთი ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო. ყოველივე ეს წამისად იყო. მიწის უძღები შვი-

ლი კვლავ კოსმიურ სამყაროს შეერია ფიქრით. ისევ ცას აჰხედა, ადამიანი იყო და მაინც იქ ეგულვოდა იმედის გამკრთალი ნათელი. იმწამს ისე მოეჩვენა, რომ ცა მოქურუხებულიყო, საავდრო ღრუბლები მისჯარვოდნენ და მოელვარე ვარსკვლავთა შუქი წყვდიადს შთაენთქა, „რად მშვა დედამან, შავმან ბედამან“ — წაიბუტბუტა თავისთვის, მერე გაახსენდა, რომ სამდურავი ამ სიტყვებით ერთხელ უკვე სთქვა, მაგრამ თავი ინუგეშა, „თუმცა სიტყვა და ძალი ისევ არის, იქნების კაცი ამ რიგის ხმას უფრო გაეწყოს, ნეტავ რას აქნევს ადამის მოდგმა ამ ტანჯულ არსებობას ქვეყნად, რად უნდა ეს აღუვსებელი საწყაული, სადაც ერთთა აქვთ ფუფუნება, რაც მეორეთა სიღატაკესა და ვაებაზეა დამყარებული, სადაც ერთთ აქვთ ცად შუქმომფენი სახელი, ხოლო მეორენი ამ სახელების შექმნას ეწირებიან ზვარაკად. ყველაზე დიდი საიდუმლო ამქვეყნად მაინც სიკვდილია. სიკვდილი ათავისუფლებს ადამიანებს ამქვეყნიური სატანჯველიდან. ცათა საუფლოში ყველა თანასწორია, იქ არავის არაფერი გააჩნია და იქ არაფერი აღარ იყიდება. იქ უკანონობა წყვეტს არსებობას. მხოლოდ სიკვდილით თავისუფლდება ადამიანი სხვათა მონობიდან. უცოდველთ და კეთილ ადამიანებს კი არა, ქვეყნის ამომგდებ დამნაშავეთაც კი ამქვეყნიური სატანჯველიდან მხოლოდ სიკვდილი დაიხსნის. მონობიდან ადამიანის დამხსნელია სიკვდილი და გამათავისუფლებელი უსასყიდლოდ. მიუდგომელი, უანგარო მსაჯული და მოსამართლე.“

ერთთავად სიკვდილზე უნდოდა ეფიქრა. გრძნობდა მოახლოებულ აჩრდილს სიკვდილისა. კარგახანია ის აჩრდილი დაძრწოდა მის გარშემო, მის შეშინებასა და დადრკომას ლამობდა, უნდოდა ეს სულით ძლიერი ადამიანი გაეტეხა, დაეჩათინებინა, მერე უწყალო კლანჭები ჩაევლო, და თავის საბრძანებელში წაეცანცალებინა.

„ახლა კი უნდა ჩავაბარო ანგარიში საკუთარ თავსა და ზეცას. ერთი გავიხსენო უნდა, რა ჩამიდენია, ვინ და რისთვის შეურაცხმიყვია, რა აღთქმა მიმიცია და დამიდევს მოყვასთათვის, არ შემისრულებია, სიტყვა გამიტეხავს, პირობა დამირღვევია.

ყოველივეს სასწორზე დამიდებენ, მიანგარიშებენ, ამიწონიან, არავინ მომიფონებს, არავინ მომიალერსებს; თუ ცოდვამ გადასწონა, სატანჯველს მომისჯის უფალი და „ცეცხლს მიმაძლევენ:“

შემკვრენ, შემკონენ, არ მომიფონენ,
მყის წამიყონენ, არ დამიყოვნენ,
მადლს ამიწონენ, არ მამიწონენ,
ცოდვანი სძლევენ, ცეცხლს მიმაძლევენ!

სიცოცხლის თასი დაცლილი მაქვს, სულ მალე მელის ფერისცვალება, ეს კი აღსასრულს ნიშნავს. აღსასრული-ფერისცვალება-სიკვდილი-გარდასვლა, ნეტავ რა უნდა იმალვოდეს ამ სიტყვათა მიღმა? ნე-

ტავ დღე დამადგება თავს სულთამხუთავი თუ ღამე მომიხტება? არა, სულთამხუთავმა მომაკვდავზე თავს წადგომა ნადირივით გამთენიისას იცის, როცა ყველას ძილქუში აწვება და ფხიზლად მოდარაჯე ახლობლებსაც წასთვლემთ ხოლმე, მაშინ სიკვდილი მელიასავით შეიპარება მსხვერპლის საწოლში, სუნთქვას გაუხშირებს მომაკვდავს, წამოახროტინებს, სულს ამოართმევს და უცებ გათანგავს. რა მალიად კი მომთავრდა ყოველივე. აჰა, სიკვდილის ცელს, ალბათ, აჩონჩხლილი მჭლე კაცის სახე უნდა ახლდეს. ასე დადის იგი ქვეყნად და ყველაფერს უწყალო ხელითა სთიბავს და ცელავს:

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დაჰდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!

თეოლოგიაში ღრმად განსწავლულმა გურამიშვილმა კარგად უწყოდა, რომ უფალმა „მოიღო მიწა, შემზადა ხორცი, შთაბერა სული ცხოველი, ადამი დაადგინა სამოთხესა შინა და უწესა მცნებათა დამარხვა, ხოლო იგი გარდახდა უფლისა მცნებას განზრახვითა ეშმაკისაითა, რისთვისაც გამოაძო ღმერთმან სამოთხიდან“ და უბრძანა: „მიწა ხარ და მიწად მიიქეცო, რამეთუ მენება, რათამცა უკვდავგყომცა, და აწ მოკვდავად დამისჯიხარ მიწა ეგე მიწიერი“. განრისხებულმა უფალმა არა მარტო ადამი დასაჯა, არამედ ყოველნი მისნი შთამომავალნი და ნათესავნი, ყოველივე ეს კარგად იცის დავითმა, იცის, რომ ღვთის უზენაესი განგებით ყოველ დაბადებადს სიკვდილი აქვს მისჯილი. მორწმუნე ქრისტიანი, როგორადაც დავითს ჩვენი ზოგიერთი მკვლევარი წარმოგვიდგენს თავის გამოკვლევებში, სიკვდილს უნდა მამაცურად შეხვდეს, რადგან ადამის ძის სიკვდილით ღვთის ნება სრულდება.

ყოველი დაბადებადი განვითარებადი და ხრწნადია. ესე იგი, სიკვდილი გარდაუვალია და ყოველი არსი, ვინც ქვეყნად იშვა, ღვთის სასჯელს ვერ ასცდება პირველცოდვის გამო. ამის თაობაზე თვითონვე წერს: „ყველას გვეწვევის სიკვდილი, გვმართებს დაუხვდეთ მზათაო, ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად ავუქცევთ გზათაო“. ქრისტიანულ თეოლოგიაში ღრმად ჩახედულმა გურამიშვილმა კარგად იცის, რომ უფალი ყოვლისშემძლეა, ეს მისი უზენაესი ნებით ხდება ადამიანის ამქვეყნიდან გარდასვლა.

აღარ მაქვს სუნთქვა, არც ამოქშენა,
მანვე დამშალა, ვინც ალმაშენა.

ყოველივე ეს ღვთის ნების გამოხატულებაა, როგორც ეს მორწმუნეს, ღვთისმოსავს უნდა სჯეროდეს, და არა ბუნების ძალისა და უზე-

ნაესის მკაცრი კანონია, მაშინ დავით გურამიშვილის სიტყვები:

რად მშვა დედამა, შაჲმა ბედამა?
წუთო სოფელო, ცუდ სამყოფელო,
ვამე, სიკვდილო, სულთა მძრობელო!..

წარმართის მიერ წამოსროლილ ღვთის გმობასა ჰგავს. ხოლო მისი სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და „ცილობა" და „კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება" ფილოსოფიურ რანგში აყვანილ შჯულის დამხსნელ ლექსებს გვაგონებს. „ბრძენი კაცი კი, — როგორც ეპიკურე გვმოძღვრის, — არც სიცოცხლეს გაურბის და არც სიკვდილის ეშინია, რადგან სიცოცხლე მას არ ამძიმებს და არც სიკვდილი წარმოუდგენია დიდ ბოროტებად, რადგან ბოროტებათაგან ყველაზე უსაშინლესი — სიკვდილი ჩვენ სრულიად არ გვეხება, რადგან როცა ჩვენა ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო როდესაც სიკვდილი იწყებს მეუფებას, ჩვენ აღარა ვართ. ასე რომ, იგი სრულიად არ ეხება არც ცოცხლებს, არც მკვდრებს, რადგან პირველთათვის იგი არ არსებობს, მეორენი კი უკვე აღარ არსებობენ. ბრბო კი ხან გაურბის სიკვდილს, როგორც უდიდეს ბოროტებას, ხან კი ძლიერს სურს იგი, როგორც ცხოვრების ბოროტებათა შეწყვეტა".[1]

დავითს ადრე ახალგაზრდობაშიც ხშირად უფიქრია სიკვდილზე, მაგრამ როგორც ყოველ სულდგმულს, არ სჯეროდა, რომ თვითონ მას შეეხებოდა იგი. წელთა სიმრავლემა და სიბერემ რომ შეუტია, მაშინღა ირწმუნა სიკვდილის ცელის მოახლოება. წავალ ამქვეყნიდან და აღვიგვები პირისაგან მიწისა, ვიქნები იგი, რაიც ვიყავ დაბადებამდე, და როგორც მოვფრინდი ამქვეყნად, ისევე გავფრინდები შორს, შორს. ახლა ეკლეზიასტეს დამოძღვრა გაიხსენა: „ამოება ამოვოთა და ყოველივე ამავო. რაი უმეტესობა კაცისა ყოველსა შინა შრომასა მისსა, რომელი შურების მზესა ქვეშე. ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე". ნუთუ განძღა ვინმე ამა ქვეყნად შუქით ცხოველით და იმ ქვეყნიური ცხოვრების გულისათვის ჭკვათამყოფელმა ვინმემ დაჰგმო ეს „ამავო" ქვეყანა. მაშინ რატომ იმქვეყნიური სამოთხის მქადაგებელი სულიერი მამანი არ ესწრაფვიან განსვლას ამ „ამავო" ცხოვრებიდან და არ ცდილობენ უფალთან შეერთებას? მათ მჭევრმეტყველურ, მახვილგონივრულ ქადაგებებსა და რეალურ ცხოვრებას შუა ნიადაგ საოცარი ბურუსი და ბუნდოვანება ისადგურებს ხოლმე. სწორედ იმ ბურუსში უნდა იმალვოდეს კაცთა დაუოკებელი სწრაფვა სიცოცხლისადმი. მაგრამ სიკვდილით, რითაც არსთა-

[1] დემოკრიტე, ეპიკურე — „ფრაგმენტები, წერილები", თბილისი, 1959, გვ. 207.

გამრიგე ცვსჯის, ადამიანი ხომ მაინც ჩიტბატონასავით უკვალოდ ქრება ამქვეყნიდან. ნუთუ ასე წამიერი და უმიზნოა სიცოცხლე ჩვენი? რამდენი დაუმცხრალი და დამცხრალი ვნება ისპობა ადამიანის სიკვდილთან ერთად? მაგრამ ადამიანის სიცოცხლისა და შემოქმედების წყაროც ხომ სწორედ ეს დამცხრალი და დაუმცხრალი ვნებანია? დიახ, სწორედ ეს დაუმცხრალი ვნებანი ამოძრავებს კაცთა მოდგმას, ესაა მარად უკვდავი მამოძრავებელი ძალა სიცოცხლისა და დაუსაბამო შთამაგონებელი ბიძგი ჩვენის ცხოვრებისა.

და მაინც, რაოდენ დღენი და ღამენი მონაცვლეობენ, ეგოდენ გვიახლოვდება აღსასრული. დასტურ მართალი იყო წმიდა ეფრემ ასური: „ვაი, რა ავი მოსასულელი მოგვივალს! ვაი, რა უწევარი სტუმარი არს! ვაი, რა საძაგელ არს ხმაი ჰამბავისა მისისა! ვაი, რა შესაძრწუნებელ არს განმზადება მისთვის მასპინძლობად! ვაი, რა საზარელ არს შეყრა მისი და საშინელ ხილვა პირისა მისისა!“

და თუ იკითხო: სიკვდილი რაი არს, ანუ რის არსებისაგანი არს, მე გითხრა შენ: სიკვდილი ვითარცა არარაი არს და განმქარვებელნი ჩვენი არს; სიკვდილისა არსება უჩინო არს და ხილულისა ჩვენისა არსების უჩინო მყოფელი არს; სიკვდილი უხორცო არს და ხორცთა ჩვენთა დამადნობელი არს; სიკვდილი უსულო არს და სულთა ჩვენთა წარმტაცებელი არს; სიკვდილსა ძვალნი არა აქვს და ძვალთა ჩვენთა განმაშიშვლებელი არს; სიკვდილსა ძარღვნი არა ასხენ და ნაწევართა ჩვენთა დამხსნელი არს; სიკვდილი უხმო და უსიტყვო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს; სიკვდილი უცნობო არს და ცნობათა და გონებათა ჩვენთა მიმღებელი არს.

გვეშინოდენ სიკვდილისაგან!

უკეთუ არა სჯერ-ხართ, სიკვდილი მესისხლე არს ჩვენი; სიკვდილი მამის მკვლელი არს ჩვენი, სიკვდილი მშობელთა ჩვენთა დამხოცელი არს; სიკვდილი ძმათა და ნათესავთა ჩვენთა ამომწყვეტელი არს

ვეკრძალნეთ სიკვდილსა!

ჩვენდაცა მზა არს მოსიკუდიდ და წარწყმედაცა ნებავს და შთაყვანა, ვიდრე ჯოჯოხეთამდე. სიკვდილისა ზარმაცი ცხენი გვეწევა და ჩვენი სწრაფი ცხენი ვერ წარელტვის. სიკვდილისა უქონელი ხრმალი ჩვენთა ხორცთა განჰკვეთს და ჩვენი რკინის მახვილი მას ვერას ავნებს; სიკვდილისა უხმო ხმა გაგვანქრევს და ჩვენი მრავალმოუბარი ენა მას ვერას შეასმინებს; ჩვენი ვედრება მას ვერ მოამშვიდებს; ჩვენი ლიქნა მას ვერ დააწყნარებს, ქრთამი ვერ დაგვამეგობრებს; ოქრო და ვერცხლი ვერ დაგვაწყობს. ესრეთ უწყალოა ჩვენ ზედა.

ვაი, მოსვლისა მისისა მოლოდინისა!

წმიდათა კაცთათვისცა საზარელ არს მოსვლა მისი, რამეთუ იტყვის

ფსალმუნი ნდ: „შიში სიკუდილისა დამეცა ჩემ ზედა“[1]. და „სხვაგან იტყვის: „მიწად სიკუდილისა შთამხადე მე“.[2] რასაღა ვიტყვი დავითისა და სხვათა წმიდათა, თვით მაცხოვარი იტყოდა მარკოზის იდ თავსა შინა: „შეძრწუნებულ არს სული ჩემი, ვიდრე სიკუდიდმდე“[3].

აი როგორი შემაძრწუნებელი არს სიკვდილი მართალთათვის, ვაი, რა-მე ეყოს ცოდვილსა?!

— სიკვდილი ყველას ათავისუფლებს ტანჯვა-წვალებისაგან, — აეკვიატა ეს აზრი და მოსვენება დაუკარგა, — მაგრამ ხომ არიან ისეთი ადამიანები, ვინც არას დაგიდევენ ტანჯვა-წვალებას, ეპოტინებიან აკრძალულ ხილს, წამისად ბედნიერნი და კმაყოფილნი რჩებიან, და თუ თავის ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის ნახევარზე მეტს დილეგების ლესვას მოანდომებენ, ამისი ჯავრი აღარა აქვთ. სწორედ ასეთი უჯიათი ადამიანების არტახებში მოსაქცევად და დასაშინებლად არსებობს ზესთა სოფელი და ჯოჯოხეთი. ზოგიერთის წრეგადასულ სითამამესა და თავხედობას კი ჯოჯოხეთი და განსაწმენდელი, მარადიული ტანჯვა და წვალებაც არ შველის. ანდა რას აქნევს ადამის ძე ამქვეყნად ყოფნას? სადაც მხოლოდ ბოროტებას, შურს, მტრობას, ორპირობას და ყოველგვარ სისაძაგლეს დაუსადგურებია? ირგვლივ ყოველივე წყვდიადითაა შემორკალული და ნათელი არსაიდან იხილვება! ამაოა ყოფნაც, სოფლიდან განდგომაცა და საიქიო ცხოვრებაც. ამაოა ჩემი შფოთვა და დრტვინვაც: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“. მერე დიონისეს სიბრძნე გაახსენდა რუსთველისგან გადმოცემული:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს!
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს.

თუ ღმერთი ბოროტს არ ბადებს, მაშინ სიკვდილიც არ ყოფილა ბოროტება. ანდა რატომაა ბოროტება სიკვდილი, როცა იგი ღმერთის ნებით ხდება ამქვეყნად. სიკვდილი მიახლოებაა დამბადებელთან ყველა იმისათვის, ვისაც ჯოჯოხეთში დანთქმა არ უწერია. — განვლილ გზას ერთხელ კიდევ გადაავლო გონების თვალი, ერთხელ კიდევ აწონ-დაწონა თავისი ცოდვა-მადლი, — უსამართლობა თითქოს არასდროს ჩაუდენია, ხალხის და ქვეყნის წინაშეც პირნათელი უნდა იყოს. ხშირად აჰყოლია გულისთქმას, მაგრამ ცოდვა რამ არ მიუძღვის, თორემ გაახსენდებოდა. ცოდვა ხომ განზრახ, საკუთარი ნების გამოხატვით უნდა ჩაედინა. უნებლიე ცოდვას ცოტა ვინმე თუ სჩადის. აღვირახსნილი სურვილებიც არა ჰქონია. ჟინს აჰყოლია, ქალებთან განცხრომასაც მისცემია, თუმცა საკუთარ ვნებებს მუდამ იმორჩილებდა, იოკებ-

---

1 ფს. 54, 4.

2 ფს. 21, 16.

3 მარკოზი 14, 34.

და. კარგი კი ჰქმნა, რომ ასე იყო? ეს მკრეხელური აზრიც გაუჩნდა. ეჰ, ცხოვრების დაწყება რომ თავიდან შეეძლოს?! თუმცა მართლაც რომ შეეძლოს, ისევ იმავე გზას აირჩევდა სავალად, მოწამებრივ გზას. ნეტავ განჩინება მის ამქვეყნიურ ცხოვრებას ვინ უნდა გამოუტანოს? ნუთუ არსთაგამრიგე იმისათვის იცლის, რომ ყოველ სულდგმულს ცოდვა-მადლი აუწონოს? არა! ყველაფერსა და ყოველივეს ისევ ცხოვრებაში ედგმება გვირგვინი. ყველას და ყველაფერს განაჩენს ყოვლის უწყალოდ დამამხობელი და ყოვლის უებრო მკურნალი დრო-ჟამი და შთამომავლობა გამოუტანსო, ამას ეუბნებოდა გონების ხმა. დღე-ღამის სამანზე ელოდეო სიკვდილს, ამას ჩასჩურჩულებდა წინათგრძნობა, და ისე სარწმუნოდ, რომ სიკვდილს თითქოს შეეგუა კიდეც, გულის ხმა კვლავ სიცოცხლეს ითხოვდა. სულის ძახილი კი მშობლიური მიწის ყივილის ხმას აჰყვა. და თითქოს ყურებში ჩასძახოდა: ზედაზენი და შიო-მღვიმე არისო შენი განსასვენებელი სავანე.

არსთაგამრიგე იმ ღამით ძილში გამოეცხადა — ზეცაში წაგიყვან, შენ ხომ ცად ამაღლება დაიმსახურეო, — უთხრა სასიამოვნო ღვთაებრივი ხმით. — ყოველი დაბადებადი, განვითარებადი, მომაკვდავი და ხრწნადიაო, — გაანდო, — ხოლო თანამოძმეთა დღეს გამოაკლდები თუ ხვალ, სიცოცხლით მაინც უძღები აღესრულები და ამას არავითარი აზრი არა აქვსო, — დაამშვიდა. დავითს სიკვდილი უფრო საშინელებად წარმოედგინა, ვიდრე სინამდვილეში აღმოჩნდა. იგი სწორედ გამთენიისას, დღისა და ღამის სამანზე აღესრულა. გარდაიცვალა ძილბურანში, იმ სასოებით, რომ იქ მაინც არ იქნებოდა მარტო თვისტომთ, ნათესავთ, ახლობელთ, მეგობრებს მოკლებული, ყოველ შემთხვევაში, ასე აღუთქვა უფალმა:

მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
არცა მაქვნდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი,
ღმერთს მივენდევ, მან ისმინა იგი ჩემი სავედრონი...

დავითმა, უთვისტომო და უძირო პოეტმა, „ყრმებს უძღვნა“ თავისი წიგნი, რათა „არ შექმნან დასახეველად“.

ესეც ერთი ფაუსტური ნაბიჯია ბრძენი ქართველი მგოსნისა!

უბრალოდ, უზარზეიმოდ დამმარხეთო, კუბოს ნუ შეღებავთო, ანდერძად ტოვებს, სილამაზე მოეშლებაო.

...ალბათ, სიკვდილის წინ ისევ ოცნებობდა მორწყულ ველებზე, მობიბინე ბალახზე, მწვანე ჯეჯილზე, ჭალაში ჩადგმულ წისქვილზე და ფაუსტივით სანახევროდ დაბრმავებული, მაგრამ ნათელმხილველი, მარტოსული და მიუსაფარი უნებლიეთ ჩურჩულებდა: „შეჩერდი, წამო! ერთი დღე კიდევ მაცოცხლე და მაცქერინე ოცნების ყვავილებისათვის!“

სიკვდილი ცელს ლესავდა...

* * *

მთელი საუკუნენახევარი არაფერი იცოდა ქართველმა ხალხმა, თუ სად განისვენებდა მისი სასიქადულო შვილი.

1837 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ქართულ ლიტერატურაზე მოხსენებით გამოვიდა ჩვენი ერის დიდი მოამაგე მარი ბროსე. სხვათა შორის მან განაცხადა, გურამიშვილის სამარეს ვეძებდი, მაგრამ ამაოდ დავშვრიო.

1874 წელს დიდი ილია ერთი კვირით დარჩა პოლტავაში, მაგრამ „დავითიანის“ ავტორის საფლავს ვერც მან მიაკვლია. ამაოდ გაისარჯა სოფრომ მგალობლიშვილიც.

1896 წელს აკაკი წერეთელმა ანდერძად დაგვიგდო, მირგოროდსა და ზუბოვკაში ეძიებდეთ მგოსნის სამარესო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფრთა შეესხა იმ დიდ ძიებას, რასაც უწინ მხოლოდ გულშემატკივარი, ერის მოჭირნახულე ერთეულები აწარმოებდნენ.

1929 წლის აგვისტოში პავლო ტიჩინა და პეტრო პანჩიც საგანგებოდ ჩავიდნენ მირგოროდში, მცდელობა არ დაუკლიათ, მაგრამ ვერაფერს მიაკვლიეს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მათ ძველი სასაფლაოც კი ვერ უჩვენეს.

ამ საქმეს შუქი მოჰფინა დაუცხრომელმა უკრაინელმა მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა.

1937 წელს უკრაინის მწერალთა კავშირის რუსთაველის საიუბილეო კომიტეტმა დმიტრო კოსარიკს არქივებში ქართული საბუთების ძიება დაავალა.

დეკემბრის თვეში კოსარიკმა პოლტავის სახელმწიფო არქივში მიაკვლია ცნობებს, რომელთა თანახმადაც 1782 — 1783 წლებში გურამიშვილი, მისი მეუღლე ტატიანა და მათი გლეხები უკრაინაში იმყოფებოდნენ... მკვლევარმა მოსკოვისა და უკრაინის არქივებში ძიება გააგრძო და 1940 წლის 21 ივნისს მიაგნო პოეტის გარდაცვალების მეტრიკულ ჩანაწერს.

დმიტრო კოსარიკმა მოიძია ის ძვირფასი მასალები, რომელთაც შუქი მოჰფინეს გურამიშვილის ცხოვრების მანამდე უცნობ დეტალებს.

კოსარიკის ნამდვილი გვარი კოვალენკოა. მწერალი 1904 წელს დაიბადა პოლტავის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში, აქვს წიგნები პუშკინზე, შევჩენკოზე, გორკიზე, გურამიშვილზე... ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მისი მუშაობა უკრაინა-საქართველოს ურთიერთობაზე.

კოსარიკის წიგნი—„დავით გურამიშვილი“ კიევში გამოვიდა 1950

წელს, ქართულად კი 1948 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „დავით გურამიშვილი უკრაინაში“.

თავისი აღმოჩენის შესახებ ქართული საზოგადოებრიობის წინაშე კოსარიკი მოხსენებით გამოვიდა 1948 წლის ივნისში.

გურამიშვილის სამარე კოსარიკს უჩვენეს ბორის გავრიშმა და ზაქარია კუროჩკამ. ექვსი წლის შემდეგ მათი ცნობა თორმეტმა სხვა მირგოროდელმაც დაადასტურა. საფლავზე ყოფილა თუჯის ფილა ასეთი წარწერით: „Князь Давид Гурамов“. მწერალთა კავშირის კომისიამ და ქალაქ მირგოროდის საბჭომ ეს აღმოჩენა აქტით დაამოწმეს.

კოსარიკის მიერ აღმოჩენილი დოკუმენტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტრიკული წიგნი. ესაა მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სამრევლოს მეტრიკული წიგნი, მოძღვრის თანაშემწის რომან შაფრანსკის მიერ დაწყებული (მამაკაცთა გრაფა, № 29). იქ აღნიშნულია, რომ დავით გურამიშვილმა განისვენა 1792 წლის 21 ივლისს (აგვისტოში) მირგოროდში, დასაფლავებულია იმავე ტაძრის ეზოში, ქალაქის განაპირას, სოროჩინცის შარაგზისა და პოლტავის ქუჩის გადაკვეთაზე, ქართველთა ყოფილი ახალშენის („ნოვოსელიცას“) მახლობლად; ამრიგად, მირიანთან შეხვედრისა და კრემენჩუგიდან მირგოროდს დაბრუნების შემდეგ პოეტმა კიდევ ხუთი წელი იცოცხლა, მაგრამ მისი ცხოვრების ტილოზე ამ მონაკვეთსაც ბურუსი ფარავს.

სადღაც, იმ მიდამოებში, ხოროლზე უნდა გაემართა წისქვილი. ასეთია გადმოცემაც, რაც დღემდე ცოცხლობს, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის, დაეხმარა თუ არა პოეტს მირიანი. საეჭვოა, რადგან თვითონ საქართველო ითხოვდა მაშინ დახმარებას.

* * *

1948 წლის 1 აგვისტოს პოეტის საფლავი ინახულეს ქართველმა მწერლებმა და მკვლევარებმა. შალვა დადიანმა მუხლი მოიყარა და წმინდა სამარეს დააყარა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟას საფლავებიდან აღებული მთაწმინდის მიწა...

საფლავთან დიდი სადილი გაიმართა. ეს იყო მოძმე ხალხთა ზეიმი. გურამიშვილის სახელთან დაკავშირებული ადგილები უკრაინაში წმინდა ეროვნულ ადგილებად იქცა. ჭეშმარიტად, ძლიერია პოეზიის ჯადო!

მხატვრების ჯანაშიას და ჭედიას პროექტის მიხედვით მოქანდაკე იაკობ რაჟბამ თეთრი ბარელიეფი გამოკვეთა. მშვენიერი ვაჟკაცური სახის პროფილს ამშვენებს წარწერა: „დავით გურამიშვილი, მოძმე ქართველი ხალხის დიდი პოეტი, 1705 — 1792“.

საოცარი დამთხვევა: 1792 წლის აგვისტოში მირგოროდში გარდაიცვალა დავით გურამიშვილი, ხოლო 121 წლის შემდეგ, 1913 წლის 1 აგვისტოს სურამში გარდაიცვალა ლესია უკრაინკა. აგვისტოს თვეში იწყება ფერისცვალობა. აგვისტოს 6 რიცხვი ფერისცვალობის დღეა. ეს დღე ზაფხულის ცხელი დღე, ერთა მხურვალე ძმური სიყვარულის დღეზეიმად იქცა. 1948—1954 წლებში მირგოროდსა და სურამს შორის აზიდული ცისარტყელა მეტყველებდა ხალხთა სულისკვეთებაზე და პოეტების როლზე. ნიკოლოზ ტიხონოვი წერდა:

ორ ნაბიჯს იქით იყო გაშლილი
ეს ცისარტყელა — ორმაგი რკალი,
და გვაერთებდა ძმური კავშირით,
ვით ხიდი, ზღაპრულ სვეტებზე მდგარი...

ეს დღეზეიმები 1949 და 1957 წლებში დაამშვენა ნათლისვეტივით აღმართულმა ორმა ძეგლმა — დავითის ძეგლმა მირგოროდში და ლესიას ძეგლმა სურამში.

1949 წლის 7 აგვისტოს ოცდახუთი ათასი მშრომელი შეიკრიბა ძმობის ზეიმზე. საქვეყნო დიდების ჰიმნის ხმაზე ჩამოხსნეს საფარველი და გამოჩნდა ქვის სახე ჩვენი დავითისა...

სიტყვებით გამოვიდნენ სანდრო შანშიაშვილი, კარლო კალაძე, ალექსანდრე ბარამიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ბესო ჟღენტი, პავლო ტიჩინა, მიკოლა ბაჟანი, ვიქტორ გოლცევი. რადიოში გაისმა ვლადიმერ სოსიურას ხმა:

ჩვენთან ერთად რომ იბრძოდი
მხნედა,
ჩვენი ხალხის რომ გწვავდა
ტკივილი,
შენ უკრაინამ, ვით მშობელ დედამ,
გულში ჩაგიკრა ღვიძლი
შვილივით...

უკრაინელი ხალხის აზრი ნათლად გამოთქვა საზეიმო დღეებში ზუბოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე სუპრუნენკომ: „უკრაინელი ხალხი მარად ადიდებს ქართველი ხალხის შვილს, რომელიც თავისი ლექსებით იმთავითვე ჰკვალავდა მუდმივი მეგობრობის გზას უკრაინიდან საქართველომდე“.

ეს ძმობა სხივმოსილია ლესიას და შიო ჩიტაძის, ტარასის და აკაკის, ილიას და მიხეილ კოციუბინსკის მეგობრობით. ეს ორი ხალხი ჰეშმარიტად საძმოდ და სამეგობროდ შექმნილა. რაღაც მადლი და სიმტკიცე დაჰყვებოდა თავიდანვე ამ მეგობრობას, რასაც ვერ შლიდა ენის სხვადასხვაობა და გეოგრაფიული სიშორე.

დავითი, ლესია, ტარასი — რა ბრწყინვალე სამეულია! ეს საყვარე-

ლი ადამიანები, რომელთა ნათელი სახეებიც მარტო სახელის ხსენებაზე თვალწინ წარმოგვიდგებიან ხოლმე, სიმბოლოა ორი ერის ძმური სიყვარულისა. ამ ძმობის დროშაზე წერია დიდი ტარასის სიტყვები:

დიდება თქვენს ვაჟკაცობას,
თოვლიანო მთებო,
თქვენ — დიდებაი არ დანებდეთ
მოძალადე სვავებს...
ზეცის მადლი ეფინება
თქვენს ჰაღარა თავებს...

მირგოროდის ერთ-ერთ ქუჩას და სკოლას ეწოდა გურამიშვილის სახელი, გაკეთდა მემორიალური დაფა. მიკოლა ბაჟანმა ბრწყინვალედ თარგმნა „დავითიანი“, ხალხმა რამდენიმე დღეში დაიტაცა თავისი ოდინდელი სტუმრისა და შვილობილის ლექსთაკრებული.

გურამიშვილის სურვილი იყო კახეთს, ზედაზენს ან ქართლს, შიო მღვიმეს დაევანებინათ მისი ცხედარი. ამის სანაცვლოდ უცხო ცის ქვეშ დაიმარხა. ეპიტაფიაც კი ვერ წააწერეს მის სამარის ქვას, მხოლოდ წიგნში დარჩა:

ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!
ხორცით აქ ვლპები, აწ ჩემი სული,
არა ვიცი რა, სად არს მისული!

გურამიშვილი წუთისოფელმა სიცოცხლეში არ გაახარა და გარდაცვალების შემდეგაც კი არ შეუსრულა უკანასკნელი სურვილი, ვერ წაუწერა უბრალო ქვაზე წარწერა, რომ შთამომავლობას სცოდნოდა, სად დაიმარხა ქართლის ჰირის მოზარე.

მოკლე და მეტყველია მისი უკრაინელი ბიოგრაფის ბოლოსიტყვაც. „1792 წელს, თავისი ნაჯაფი ცხოვრების ოთხმოცდამეშვიდე წელს, მირგოროდში გარდაიცვალა XVIII საუკუნის მრავალი ისტორიული ამბის მომსწრე და მოწამე, საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი პიონერთაგანი, უკრაინელი ხალხის ძმა და მეგობარი, სამი მოძმე ხალხის კულტურის შემოქმედებითი მეგობრობისათვის მებრძოლი პოეტი — მხედარი დავით გურამიშვილი“.

გავიდა ორი წელიც და 1794 წლის 18 აპრილს იმავე მეტრიკულ წიგნში ჩაუწერიათ: „გარდაიცვალა თავადის მეუღლე ტატიანა გურამოვა, 68 წლისა“.

ამის შემდეგ „გურამოვების“ საგვარეულო წიგნი დაიხურა, რათა ორი საუკუნის შემდეგ იქ სხივი შეჰრილიყო და მგოსნის სახე სამზეოზე გამოეტანა.

დიახ, ამაოდ დაეძებდნენ გურამიშვილის სამარეს ილია და აკაკი. მხოლოდ ჩვენს დროში მოხერხდა მისი პოვნა უკრაინელი მეგობრების

დახმარებით. ამ მეგობრობის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა ლესია უკრაინკა, და მასზე ადრე დავით გურამიშვილი. უკრაინა იყო დავითის მეორე სამშობლო, და, ალბათ, ქართველი რომ არ ყოფილიყო, უკრაინელი პოეტის პატივს მიაკუთვნებდა არსთაგამრიგე.

გულს ქართლის ბედი უტრიალებდა

62 წელი გაატარა გურამიშვილმა რუსეთსა და უკრაინაში, მაგრამ წუთითაც არ იგრძნობა საქართველოდან მისი შორს ყოფნა. ეს ერთი ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რაოდენ ძლიერია ქართველი კაცის ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და სიმტკიცე.

გურამიშვილის ფიქრის საგანი და მისი სიცოცხლის აზრი, რამაც ის აცოცხლა და რამაც ის ^ოკლა — ესაა სამშობლოს ბედი, ქართლის ბედი და უბედობა. მისთვის გაექცა ლეკებს, წავიდა რუსეთს, შეეთვისა მოძმე ხალხს, გაუძლო ქარსა და სუსხს, მისთვის ლოცულობდა, მისთვის ეწამა და წერდა. საქართველო და გურამიშვილი განუყოფელია, როგორც მუხა და ფესვები, გული და სისხლძარღვები, დედა და შვილი.

მძიმე დრო იყო საქართველოს ისტორიაში ის წლები, როცა გურამიშვილს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. საყოველთაო გაურკვევლობა, დაქსაქსულობა, გაპარტახება და მომავლის გზის ძიება შეიძლება ეწოდოს ამ პერიოდს ერის ცხოვრებაში. ამ იავარქმნილ მიწა-წყალზე დგას რტოებშემოძარცული მუხა და მისი გმინვა-გოდება მთაში თუ ბარად ზეცის თავანამდე აღწევს, მაგრამ ნუგეშის ხმა არსაიდან ისმის, მხოლოდ სუსხიანი ქარი წეწავს ბუმბერაზი მუხის რტოებს და ფანტავს იმედის შტოსა და ფოთლებს, ის კი ახლით იმოსება და არ დაუშვებს ცხოვრების ხის გადახმობას ვიდრე, ყოვლის მომწყვლელის, დროს მოცელილი, ძირს არ დაეცემა. მაშინ სხვები წამოიზრდებიან. საქართველო უკვდავთა საბუდარია. ტყუილად კი არ უწოდა ერთმა პოეტმა გურამიშვილს „ქართული მიწის უკვდავი ნერგი“. ის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული სიმბოლო და ორეულია ქართული სულის უკვდავებისა. ვერა, გურამიშვილის გულში ჟამთა სიავემ ვერ ჩაჰკლა მამულის ტრფობა, სიკეთის რწმენა, პოეზიის მადლი, ხმა სიმართლისა.

დავითი კლასიკური თავმდაბლობით „ამართლებს“ თავის გატაცებას პოეზიით.

ძნელბედობის ჟამს ღვინო არ იშოვება, ხალხს ნუგეშად მხოლოდ პოეზია რჩებაო.

ვენახის ღვინო დაძვირდა, ქართლს დაემტერა რა ჭარი...
მოსახსენებლად ჩემდა ყრმათ უმზადე ტკბილი მაჭარი...

პოეტი განათლებულ შთამომავლობას უანდერძებს წიგნს და ივედრება, „არ შექმნან დასახევლად“.

რუსთაველის მიბაძვის გარდა, მეორე საბუთი, რაც საკუთარი პოეტური მემკვიდრეობის რწმენას ნათელჰყოფს, ისაა, რომ უშვილო მგოსანი მას შვილის მაგიერობის პატივს ანიჭებს და იმედი აქვს, რომ წუთისოფლის სიავეს, დავიწყების ბურუსს ამითაც შეებრძოლება.

დავითი შთამომავლობას ავედრებს თავის ობოლს მოსავლელად და გასაწვრთნელად:

ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს,
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს.

გურამიშვილის მემკვიდრეს არც მონათვლა ესაჭიროებოდა, არც მოქცევა და „გაქართლება“, საჭირო იყო მხოლოდ მისი შემონახვა, რომ ჟამთა სიავის შემმუსვრელი ხელი არ შეხებოდა. გრძლად ვერ თქვა, მაგრამ რაც თქვა, ისიც სრულად ქმნის ეროვნული პოეტის გამოძერწილ სახეს. მას ჰყვარებია საწუთრო, თუმცა შხნაკვზე მწარე ყოფილა, და მაინც შექმნა მის სიამეთა საგალობელი — „დავითიანი“.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერის კ. კეკელიძის აღიარებით, იმის შემოქმედებას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, ის თავდადებითი დამცველი და მქადაგებელია მთლიანი საქართველოს იდეისა, მტკიცე აბსოლუტური ხელისუფლებისა. ამასთან ერთად, ის იმდროინდელ საზოგადოებაში გამეფებული გონებრივი და მორალური დაცემულობის შეურიგებელი მტერია... ნამდვილი პატრიოტია, რომელსაც გული შესტკივა სამშობლოს სავალალო მდგომარეობისათვის, რომელიც ეძებს გზებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად! [1]

გავიხსენოთ ისევ ვახტანგის გარდაცვალების გურამიშვილისეული გადმოცემა:

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მადლსა, მაგრა დექ ცაო!

ეს მაღალი რანგის პოეტური აზროვნებაა, ღირსი შექსპირის სახელისა.

უსაფუძვლოდ როდი აყენებდა ილია გურამიშვილს ლუკრეციუსის სიმაღლეზე!

ქართული მიწის შვილი სხვათა სამკვიდროში სამუდამოდ გადატყორცნილი უცხო ცის, უცხო ენის, უცხო ხასიათების გარემოცვაში ეტრფის შორეულ სამშობლოს. მისი დარდი მსოფლიოში ცნობილი

---

[1] კ. კეკელიძე, II, 660.

დიდი პოეტების დარდის თანაბარია, მათებრ უკვდავყოფილი იმ დიდ პოეტურ საგალობელში, „დავითიანი“ რომ უწოდა თვითონ მგოსანმა.

გურამიშვილი თავადიშვილია ჩამომავლობით და „გლეხი“ — თავისი უბრალო, ხალხური ენით, რასაც არასოდეს არ ჰღალატობს. გაძიძავებული სხვა პოეტებიც ყოფილან, მაგრამ მისი და მომდევნო საუკუნეთა მწერალთა შორის ასეთი დახვეწილი „ქართლელი გლეხის მადლიანი ენით“ სხვას არავის უწერია და უთქვამს თავისი სათქმელი. ისაა პირველი ქართველი პოეტი, ვინც რუსთველის ეპიგონობას თავი დააღწია. „მრავალი საუკუნეების განმავლობაში, — წერს საქართველოს სულმნათი მგოსანი აკაკი წერეთელი, — ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებულნი იყვნენ რუსთველისაგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ვეღარც კი წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვაგვარი ლექსების წერა, თუ არა თექვსმეტ მარცვლოვან და ოთხ ტაეპიან შაირისა. მიდიოდნენ რუსთველისაგან ერთხელვე გათელილ გზაზე, უდგნენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვეობა არა ჰქონდათ. და მათი მსვლელობა შედარებით რუსთველის მსვლელობასთან, კოჭლობა იყო.

პირველი მწერალი, რომელმაც გადაირჩინა თავი ამ მონებას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი. ჯერ ისიც დიდხანს მისდევდა რუსთველს, ბოლოს მიხვდა, რომ მაჩანჩალა იყო მისი და სხვა არაფერი და მაშინ კი თქვა: რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, მას სხვა ვერ შეედრებაო, იკადრა გადახვევა და დაიწყო იმგვარი ლექსების წერა, როგორიც არის მისი „ქაცვია მწყემსი“ და „ეო-მეო“-ები“. [1]

სამართლიანად აღნიშნავს თავის წიგნში გიორგი ნატროშვილი: „დავით გურამიშვილი ეკუთვნის ისეთი პოეტების რიცხვს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ეპოქებს ქმნიან ლიტერატურის ისტორიაში. ისინი პირველნი გაიტანენ ხოლმე კვალს ახალ ყამირში და ახალ ჰორიზონტებსა ხსნიან. პოეტი სიყრმის წლებიდან განშორებული იყო სამშობლოს, მიუხედავად ამისა, მეთვრამეტე საუკუნის საქართველო და გურამიშვილი განუყრელი ცნებები არიან“. [2]

ეს უდავო ეროვნულობაა ის მყარი და მთავარი კვარცხლბეკი, რომელზედაც აღმართულია ხალხთა მეგობრობის ერთ-ერთი დიდი მონუმენტი. ამ მონუმენტის სახელია დავით გურამიშვილი.

---

[1] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 87,

[2] გ. ნატროშვილი, დავით გურამიშვილი, 1943, გვ. 3.

* * *

„დავითიანი“ — ძმობის სიმღერაა, ადამიანურობის ჰიმნი, სამშობლოს საგალობელია.

„დავითიანის“ პოეტურ შემოქმედებაში გამოირჩევა ისტორიული, ფილოსოფიური, დიდაქტიკური მოტივები, ხოლო მთელს წიგნს აცისკროვნებს მისი ორი ყველაზე დიდი ღირსება: ხალხურობა და ლირიულობა. მან შემოიტანა ახალი შინაარსი, ახალი სიუჟეტი, ახალი სალექსო საზომები, პოეტური ხერხებისა და სახეების მთელი საუნჯე მოგვცა. ყოველივე ეს თავისთავად მეტყველებს, რომ გურამიშვილი ქართული პოეზიის დიდი ნოვატორია, და ეს იმდენად აშკარაა, რომ საგანგებო მტკიცებასაც არ საჭიროებს.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ გურამიშვილის ცხოვრება და პოეზია ერთი მთლიანი და განუყოფელია. ესაა ერთი ცხოვრების ერთიანი განცდა, ერთი ღაღადისი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღრმად ინდივიდუალური პოეზია გურამიშვილისა არ ასახავდეს ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ვითარებას. პოეტის პიროვნება მხოლოდ რთული ფოკუსია, მრავალწახნაგოვანი პრიზმაა, რომელშიაც თავს იყრის და გადატყდება მისი მღელვარე დროის ყველა ტკივილი და სიხარული, დარდი და იმედი.

პოეტის ლირიკული აღსარება — მისი ეპოქის სურათიცაა, მისი ტანჯული მამულის ჭირ-ვარამიცაა და ამდენად მას ორმაგი მნიშვნელობა ეძლევა.

გურამიშვილი უაღრესად ეროვნული მგოსანია, არც იგრძნობა, რომ მთელი მისი მემკვიდრეობა უცხო მიწაზე შექმნილია. ამის მიუხედავად, თვითონვე ივედრება: „თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოსო“.

დავითის ეროვნულობა იმთავითვე საგრძნობია თუნდაც თავისი პოზიციიდან რუსთაველის მიმართ:

ოდესღაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და
ფესვღრმა-ყო, შტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა.
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა, —
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და.

რუსთაველია ის ნათლისვეტი, ცამდე აწვდილი ბუმბერაზი, ქართველი კაცის სულისა და გონების მპყრობელი, რომლის ჩრდილშიც თვითონ დავითი „წკეპლასა ზედა ზის“, „ამაოდ ჰბაძავს დიდ წინაპარს“, „უბრალოდ ამღვრევს წყალს...“ ეს სანაქებო მოკრძალებაცაა და მისი ეროვნულობის ნათელი საბუთიც.

მე რუსთველს ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირსა, —

აცხადებს თავმდაბლურად პოეტი, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ სადაც სხვა წიგნს „ვერ მიხვდებიან“, იქ დავითიანსაც „მოიხმარებენ“.

დანამდვილებით არავინ იცის, სდევნიდა თუ არა გენიალურ რუსთველს ქართული ეკლესია. ერთი რამ კი ცხადია, იგი განუყოფლად, მარტოდმარტო ბატონობდა საქართველოს პოეზიის ცის თავანზე, დიდებით გამოვლო საუკუნეთა მრუმე სიღრმეები, გაუძლო, ყველაზე უმკაცრესი მსაჯულის, დროის, გამოცდას, ჭირსა და ლხინში მწედ ედგა ქართველ კაცს, შეუნარჩუნა სულის მხნეობა, სიმტკიცე და ნიადაგ მოძღვრიდა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვისო“. თუ დიდებული რუსთაველის პოეზია მართლაც იდევნებოდა სასულიერო მამების მიერ, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას მთლიანად ეპყრა ქართველი კაცის სულიერი სამყარო და არსთაგამრიგეს იქ ადგილი აღარ რჩებოდა. დიახ, ქართველის გულსა და გონებაში ამ პოეზიას ღვთის ადგილი ჰქონდა მიჩნეული. რუსთაველი ყველა მეფეზე უფრო მორჭმით იჯდა ქართველი კაცის გონებით აღმართულ სულიერ ტახტზე და მის პოეზიას განათებული ჰქონდა საქართველოს ცის ყოველი კუთხე-კუნჭული. გურამიშვილის სიტყვით, რუსთველის ლექსი იყო მარგალიტი შეუდარებელი, რუსთველის პოეზიით „განიხვნენ საქანელანი ცისანი“, მისი პოეზია ერთნაირ თანაბრად იყო დახუნძლული სასულიერო და საერო ნაყოფით.

ღვთისგან მაღალი ნიჭით მიმადლებულმა პოეტმა ჭეშმარიტად შეიცნო რუსთაველის პოეზიაში ელვარება აზრისა, მისი პოეზიის განუმეორებელი მუსიკალური დიდებულება. ეს პოეზია ხომ ნიადაგ ანცვიფრებდა ყველას და იყო გონების სასინჯი ქვა და სალესი. ამ პოეზიამ საუკუნეთა მანძილზე დაიმონა ქართველი კაცის „გული, გონება და სული“. სულიერ მონობას კი ძნელად ეგუება ადამის მოდგმა. იგი უმხედრდება ყველასა და ყოველივეს, ესიტყვება თვითონ შემოქმედს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია დაბადება სურვილისა, თუნდაც რუსთაველის პოეზიის სასიამოვნო ტყვეობიდან თავდახსნისა. რუსთველის პოეზიის მონობისაგან თავდახსნის წარმატებული ცდა კი დავით გურამიშვილს ეკუთვნის.

დავით გურამიშვილი ტყვეობიდან მარტო ლექებს კი არა, რუსთაველსაც გაექცა. რუსთაველმა, როგორც ეს გენიოსებს სჩვევიათ, რკალივით ნაჭედი ბორკილი დაადო მთელ ქართულ პოეზიას, ხუთას წელზე მეტ ხანს ედო ეს ბორკილი ჩვენს პოეზიას. გურამიშვილმა სამშობლოში და მის გარეთ კარგა ხანს ატარა, ხეხა და ქლიბა ეს ბორკილი. მისმა თავისუფლებისმოყვარე ამაყმა სულმა ვერც ისეთი გენიოსის მონობა აიტანა, როგორიც შოთა რუსთველი იყო და ეცადა თავი დაეხსნა ტყვეობიდან. კარგა ხანმა განვლო მას მერე. მერე ის იყო, ერთ მშვენიერ დღეს რიონის ფშანებიდან აფრენილმა არწივმა დაი-

მონა ქართული ლექსის ოსტატები. გალაკტიონიც დამპყრობელივით ჩამოვიდა სატახტო ქალაქში. მან თავი მოუყარა საქართველოს უკეთეს მოლექსეთ, თვითონ თავი პოეტების მეფედ გამოაცხადა, პოეტები კი, უკლებლივ ყველა დაბორკა: ზოგს მარტო ხელბორკილი დაადო, ზოგს — ფეხბორკილი, უმეტესობას კი ხელ-ფეხი გაუკოჭა. გურამიშვილი შარავანდედიდან შემოსცქერის ამ სურათს და ალბათ ოდესმე უკარნახებს მათ, როგორ უნდა დააღწიონ თავი ჯაჭვებს — მან ყველაზე კარგად უწყის ეს ამბავი! ბევრსა აქვს ახლა ქლიბი, მავანსა და მავანს „უცხოურ ფირმისაც კი“ და ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს გაწყვიტოს მაწამებელი რკინა. და მაინც ეს ცდა გაქცევისა დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

ხომ შეიძლებოდა, რომ გურამიშვილის გამტაცებელთ გამოსასყიდად ოქრო კი არა, პოეტები ეთხოვათ. თამამად შეიძლებოდა ყველას გამეტება ამ საგანძურში! ერთი პოეტი თავადის დასახსნელად!

სამშობლო, ალბათ, მრავალ მეფე-პოეტს შეელეოდა! თუ ვინმეს ნათქვამის აზრი დააეჭვებს, ერთხელ კიდევ უნდა გადაიკითხოს გენიალური ვაჟა-ფშაველას პოეტური შედევრი — დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ქებათა-ქება!

სამჯერ დაიხსნა გაქცევით თავი ტყვეობიდან გურამიშვილმა!
ორჯერ ლეკებს დაუსხტლა იგი!
ერთხელ რუსთაველს!

მისი ჰეშმარიტი სიმაღლისა და დიდოსტატობის საბუთი მისი ბოლო გაქცევაა!

1838 წელს ქართული ფილოლოგიის კათედრაზე მარი ბროსემ პირველი სიტყვა გურამიშვილს უძღვნა და თუმცა მისთვის „პირველი რიგის პოეტის“ პატივი არ გაიმეტა, მაგრამ შეუმჩნეველი არ დარჩენია „საღი ფილოსოფია, რითაც მისი თხზულებები სუნთქავენ“, მისი „კეთილსახიერი მხიარულება, სიტყვის გულუბრყვილო უბრალოება“, და მაინც საპატიო ადგილი დაუმკვიდრა „მისი ხალხის მწერალთა შორის“.

ათასჯერ გვსმენია იმ სავალალო საშინაო და საგარეო მდგომარეობის ამბავი, რაც საქართველოში შეიქმნა XV — XVIII საუკუნეებში და რასაც ბოლო არ უჩანდა. მონღოლთა შემოსევების კრულვით მოსაგონებელი წლებიდან ჩვენს ერს ერთი ბედნიერი დილა არ გასთენებია. მუდმივი ომი ან ომის მოლოდინი, ძარცვა-რბევა, ხარკი, სიღატაკე, ალაფი, დავლა, დევნა, შინაურთა თუ უცხო თესლთა ხვანჯები, ხანძარი და სიძვირე იყო იმ ქვეყნის ხვედრი, რომელიც თამარის დროს ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმულიყო და რუქნადინებსა და სალა-

დინებს აძრწუნებდა. „სასახლეები დაქცეულან, ნადირთ სადგომად ქცეულან“. [1]

ჰიდილი სამეფო ხელისუფლებისათვის და ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ისე სძალავდა ერთმანეთს, როგორც ცეცხლი და წყალი. საყოველთაო დაცემას და სიწამხდრეს მოსდევს სარფისათვის ბრძოლა, შეგნებისა და ზნეობის დაცემა, შუღლი, ძმათა შორის ქიშპი და ბრძოლა. ასე მოხდა ჩვენშიაც. ამ სინამდვილის მატიანის შექმნა ბედმა დავით გურამიშვილს არგუნა.

პირდაპირ საკვირველია გურამიშვილის ლექსის მომაჯადოებელი განუმეორებელი ინტონაცია, თავისებური, უბრალო და ეფექტური ჟღერადობა:

სახით სიტყვა მშვენიერო,
სხივო მზისა, მზის სახეო,
ვეძებე და შენი მგზავსი
მე აქ ვერცადა ვნახეო;
გეაჯები, ნუ გამწირავ,
მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო,
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ,
მიწყალობე სამოთხეო!

ცხადია, გურამიშვილს უდავოდ უნდა გამოსჩენოდა მიმბაძველები და გამოუჩნდნენ კიდეც.

გურამიშვილმა გაბედულად დასძლია თემატური კრიზისი, ტრაფარეტი, ძველი აღმოსავლური შაბლონი, და ახალი, ეროვნული, ნათელი პერსპექტივები გადაუშალა ჩვენს მწერლობას. ეს შენიშნა ვაჟამ და ამიტომ გამოარჩია სხვა პოეტებში თავისი „უძვირფასესი პაპა“, ახალი პოეზიის წინამორბედი დავით გურამიშვილი.

გურამიშვილმა ქართულ პოეზიაში შემოიტანა ხალხური, მთის სასიმღერო კილო, აგრეთვე უკრაინული თუ რუსული სასიმღერო მოტივები („ხმები“). ეს დიდი ნაბიჯი იყო, და კიდევ უფრო საამაყო იქნებოდა, რომ ზოგჯერ კონსერვატიული, რელიგიური ან უბირი შინაარსი არ მიესადაგებინა ამ ახალი საზომებისათვის. პირველ რიგში, აქ ისევ რელიგიურ-ბიბლიური შინაარსი იჩენს თავს ასე, „პატარა ქალო თინაოს“ ხმით ასეთი ლექსი შემოგვთავაზა:

ვაჭოთ, ვადიდოთ ვინაო?
— ღმერთი მაღალთა შინაო
ვინცა შეამკო ქვეყანა,
ღამე დღედ განაბრწყინაო...

---

[1] ფ. გორგიჯანიძის ისტორია.

ჯადოქარი დავითისათვის „არავინა არს უფროსი, ღვთისაგან უდიდე“, და იმის მაგიერ, რომ საერო პოეზიის მეტი ნიმუში შექმნას, სადავითნო წიგნების გალექსვას ახმარს ჯანსა და ნიჭს, მაგრამ გურამიშვილთან ამასაც მიზნობრივი დანიშნულება აქვს. ქართველთ ტომების ურთიერთ თანადგომის თავანკარა წყაროდ პოეტს ქრისტეს სჯული მიაჩნია, ისევე, როგორც იმავე სჯულს სთვლის ერთმორწმუნე რუსებთან ძმობის საფუძვლადა და ხიდად.

ვარდ-ბულბულიანი, ვარდისა და ბულბულის უიღბლო ტრფობა, აღმოსავლური ლიტერატურის კარდინალური და მარადიული თემაა. ამაზე დაწერილი აურაცხელი ლექსი და პოემა ტალღასავით გადასულა დასავლეთში და მისი გამოძახილი დღესაც არ წყდება.

საქართველოში ვარდისა და ბულბულის თემას პირველად თეიმურაზ პირველმა უმღერა მთელი ხმით. ეს მოტივი მან სპარსულიდან გადმოიღო, და ორიგინალური ჟღერადობაც მისცა.

ბულბული ეტრფის ვარდს, ვარდი უკადრისობს, თავის ტოლად არ მიაჩნია შეუხედავი ფრინველი. ბულბული დაჰკვნესის, ტირის, ეწამება და კვდება. ასეა უმთავრესად. ესაა სუფისტური, მისტიკური ბოლო სიყვარულისა, რაც ღვთაებრივი გრძნობაა და მოკვდავნი ამაოდ ცდილობენ ეზიარონ ამ ციურ სიამეს.

გურამიშვილი სცილდება ტრადიციულ ხაზს და თავისებურად იდილიურად გადააქვს პოეტური ტრფობა ცოლქმრობის სფეროში.

ბულბულს ვარდი შეჰყვარებია, ვარდმა ავი საქმე ქნა, შეიძულა, „იყვარა ყვავი“. ბულბულიც გაწყრა, „მთად ქნა ნავარდი“. ასკილზე დაიბუდა, ის შეირთო ცოლად. ახლა ვარდის წყენის დრო დადგა: აკი გიყვარდი, რად განმეშორეო? ბულბულმა მიუგო: თუმცა გაქვს კარგი ფერი, ჩემთვის უფერული ხარ, „შენი კარგი სილამაზე არს ჩემთვის ურგი, გულს საკონლად რომ მიგიკრი, მაქცივი ზურგი!“

ეს საყვედური უკვე კეკლუც ქალს ეკუთვნის, ქმრის ორგულსა და მიზეზიანს, ჭეშმარიტ საყვარელს რომ არ კოცნის და სხვისკენ უჭირავს თვალი. ბულბული საყვედურებით ავსებს პირუმტკიც სატრფოს. საერთოდ, ეს ლექსი („სიმღერა“) ვერაა გურამიშვილისებურად გამართული, მაგრამ მას ამშვენებს პოეტური მარგალიტი, ეს ოთხი სტრიქონი.

მე გაჭმევდი, მე გასმევდი, მე გაცმევდი ტანს,
შენ დახარბდი მცირე ძღვენსა, სხვისგან მონატანს...
რადგან ასე მომიარე მე, შენს შესართავს,
ის ითხოვე ვინც შენ გიყვარს, ნება დამირთავს...

ამრიგად, ვარდ-ბულბულიანობის პრობლემას გურამიშვილი თავისებურ, პრაქტიკულ, თანაც არაპოეტურ ასპექტში წყვეტს: ლამაზი

ქალი ოჯახისათვის არ გამოდგება, თვალად ნასი ასკილი მნახველს ვერ მოხიბლავს, მაგრამ ერთგული მეუღლე იქნებაო. ამ უხერხულობას თვით პოეტი გრძნობს და ლექსს ასეთი დასკვნით ამთავრებს:

ფუ, შე, ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!
ვარდს ყვავს შერთავ, ასკილს ბულბულს, არს რა საფერი?!.

მართალია, დავითი პრინციპულად არ გმობს პატრონყმობის ინსტიტუტს, და ვერც მოვთხოვდით ამას XVIII საკუნის მესიტყვეს, მაგრამ გმობს ამ ინსტიტუტის მახინჯ მხარეებს, კიცხავს უგულო, სასტიკ მებატონეებს, მოითხოვს ჰუმანურ მოპყრობას ყმისადმი. ეს სიყვარული მდაბიო, მართალი, საღი მშრომელისადმი ადრევე ჩაენერგა, ბავშვობაში, ალბათ ძიძასთან, და ღრმა სიბერემდე გაჰყვა.

გურამიშვილი ლექსის ოსტატია ამ სიტყვის მაღალი გაგებით. მშრალ ქრონიკას ის ჯადოქარივით აცოცხლებს, დარბაისლურსა და სასიმღერო კილოებს სათანადო გემოვნებით ურჩევს შესაფერის შინაარსს, ძალდაუტანებლად იყენებს ლირიკულსა და საგმირო კილოებს სათანადო აზრისა და გრძნობის გამოსახატავად. ბუნების მოვლენების აღწერა „ქაცვია მწყემსში“ და იქვე უფაქიზესი განცდების გადმოცემა ისე ხდება, რომ სურათი სრულია და ნათელი, ინტონაციაშივე იგრძნობა ფერი, ქუხილი, ფოთოლთა შრიალი და გულთა თრთოლა.

ჯერ კიდევ გიორგი წერეთელმა შენიშნა: „არჩილიანი“ და „დიდმოურავიანი“ უფრო ისტორიულ ქრონიკებს გვანან, ვიდრე ნამდვილს პოემებს, რადგან აკლიათ ღრმა გრძნობა და ის სიცხოველე, რომელიც ჰბადებს მაღალს და ნამდვილს პოეზიას“.

გურამიშვილს დიდი დამსახურება აქვს ქართული ვერსიფიკაციის ისტორიაში. მან შემოიღო და დაამკვიდრა მრავალი ახალი საზომი, გააძლიერა ხალხურ კილოთა ჟღერადობა, განავრცო პოეტურ საზომთა არე. ბევრი მისი კილო დღეს მოქალაქეობრივი უფლებით სარგებლობს.

გურამიშვილი ყველგან აღიარებს დიდ წინამორბედთა და თანამედროვეთა ძალას. ეს კეთილშობილური მოკრძალება ბოლომდე გასდევს გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას. თუ ის საკმაოდ გულწრფელია და ნამდვილი ქართველი პატრიოტი, თავისთვის ესეც დიდ პატივად მიაჩნია. ამიტომ შემწეობას სხვასა სთხოვს, უშვილოს ეს შვილი მაინც შეუნახოს, და შეუსწოროს, თუ რამე დააკლო:

ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს;
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს...

„გაქართლება“ დავით გურამიშვილს, ცხადია, არ ესაჭიროება. ის ერთიანად საქართველოა, ქართლის მფეთქავი გულია და რუსთაველის ღირსეული მემკვიდრე...

გურამიშვილი ხშირად იყენებს მხატვრულ სახეებსა და შედარებებს მეტადრე ბიბლიიდან, ძველი და ახალი აღთქმიდან. ეს შედარება მუდამ ემოციურია და დროული.

მაგალითად, ვახტანგ მეფის ასტრახანს დარჩენა და ამალის მოსკოვს წასვლა განცდილია, როგორც ეროვნული ტრაგედია, გათიშვა, დასუსტება, და ეს ამბავი უფრო ცხადლივ წარმოგვესახება ბაბილონის გოდოლთან შედარებით: „ვითა გოდოლთ მშენებელნი, გავხდით ენა შარეულნი“.

სრულიად თავისებური, მახვილგონივრული და ნათელია გურამიშვილის ხატოვანი მსჯელობა, შედარება, მოვლენის ცოცხლად დახატვის უბადლო უნარი:

ცხოვრების წყაროს ვუხსენე
ხე ცხოვრებისა დარადო,
ამად ვსთქვი, ჯვარზედ ვნებული,
ცრემლი იდინოთ ღვარადო...

იშვიათად შობილა ეგზომ ორიგინალური ხმის პოეტი. ისე, როგორც ქვიშის მარცვალშიც საცნაურია ოქრო, ყოველ ცალკე სტრიქონში, ფრაზაში და სიტყვაშიც კი ვცნობთ გურამიშვილის ლექსს, მის ენას, მის სტილს, პოეტურ ხელოვნებას. მას უყვარს ზუსტი რითმები, მაჯამები, და ისე იმარჯვებს ერთნაირი შინაარსისა და ჟღერადობის სიტყვებსაც კი, რომ განმეორების განცდა ქრება, რითმა ედრება მაჯამას (მეწადა — მეცადა — მეცადა. მიბოძეო — მიბოძეო; აღარცადაო — აღარცცადაო; მისრისა, ე. ი. ეგვიპტური — მისრისა, გამისრისა; მის სრისა ე. ი. იმ სასახლისა; მისხისა — მის ხისა...).

დავითი მაჯამის დიდოსტატია. თუ მკაცრად განვსჯით, მას აქვს მიდრეკილება, საერთოდ, სრული, მაჯამურობამდე ზუსტი რითმა იპოვოს, მაგრამ თუ ეს სავსებით განუხორციელებელია, ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში მაინც მაჯამას გვაძლევს.

მოკლეა ესე სოფელი,
კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომებოძა თავიდგან,
ბოლო-ჟამ ისევ წამერთო!
მან დამიკვანძა მუხთალმა,
მე რაცა მეხვეწა-მერთო,
მის გამო სევდით მე გული,
ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო.

ანბანთქების ტრადიცია ისე ძლიერი იყო, რომ მას ვერც ნოვატორმა გურამიშვილმა დააღწია თავი. გავიხსენოთ თუნდაც „ანბანზედ თქმული დავითისაგან, პირველი თავიდან და მეორე ბოლოდან“:

ადამ ბრმა გველით და ევა ვერა ზოგვენ ჰე თმენასა,
იმ კრულმან ლახვრად მიაგნო ნებით ორ-პირი ჟღერასა...

გურამიშვილის მთელი პოეზია ხომ სიბრძნის ზღვაა და იმავე დროს სიოსავით მსუბუქი, მელოდიური, სასიმღერო. ის იყო თვითონ მგრძნობიარე ქნარი, რომლის ყოველი სიმი მელოდიურ ხმებს იჭერდა და თავისებურად გადმოსცემდა. ქართული ხალხური სიმღერების, უკრაინული სიმღერების ხმა ადგილს პოულობს მის მრავალ სიმღერაში, და ესეც აძლევს მას თავისებურ მომხიბლაობას. „ხმების“ მიბაძვა არ გამორიცხავს განმაახლებლობას, მით უმეტეს, რომ გურამიშვილმა მრავალი საზომიც შექმნა და უბადლო ნოვატორიცაა ქართული ლექსის ვერსიფიკაციის საქმეში.

ჯერ კიდევ დიდმა აკაკიმ შენიშნა: გურამიშვილმა ქართულ პოეზიაში საკუთარი გზა აირჩია. ეს გზა თავისუფალია სპარსული ზეგავლენებისაგან — თემატურადაც და შინაარსითაც. კეთილხმოვნებით ხომ მისი პოეზია საერთოდ გამორჩეული და უბადლოა. ქართლური კილო, რაც მის მრავალ ლექსში იცნობა, მხოლოდ კოლორიტს ქმნის და მელოდიურობას ბუნებრივ მდინარებას ანიჭებს, ის არ ეხამუშება არც ერთი ქართველის სმენას და არ ქმნის კუთხური დიალექტიზმის შთაბეჭდილებას.

დავითის ლექსთა უმრავლესობა — სიმღერაა, სხვადასხვა ხმაზე გამართული. უდავოა, პოეტი კარგად მღეროდა. ამას თვითონაც ამბობს:

ვინც რომე სახლში შემიშვა, გამათბო, გამამშუშაო,
დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე შუშაო,
მან შემიკვეთა: იმღერე, დავით, ის „ჩემო ყურშაო!“
—კვლავ შენ მე რასაც შემიკვეთ, ვიქნები შენი მუშაო.

პირდაპირი ასოციაციით გვაგონდება შუა საუკუნეების ტრუბადურები, მესტვირეები... ცხადია, გურამიშვილი თავმდაბლურად აუბრალოებს თავის როლს, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა მისი კარის მგოსნობა, არამედ გასაოცარი გულახდილობა და თავისებური პოეტური ავტოპორტრეტი, რაც ქართულ სინამდვილეში განუმეორებელია. მთელ სიცოცხლეში ქმნიდა დავითი ამ ავტოპორტრეტს და ბოლოს კალმით დახატულსაც შიგ ურთავს.

გურამიშვილის ლექსის ფორმებისა და ინტონაციების სიუხვე გვხიბლავს და გვაოცებს. მას წინ უდევს უფროსი თანამედროვის მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“, მაგრამ თავის მხრივ ამდიდრებს მას რუსული, უკრაინული, პოლონური და ქართული ხალხური ფორმებით: „აგერ მიღმარ ახოს“, „პატარა ქალო თინაოს“, „ეო, მეო, ქალო, ქალთა მზეოს“, „ქართლ-კახეთის ჯართა სასიმღეროს“ ხმებზე აწყობს თავის ლექსებს და უმატებს „ქაცვია მწყემსის“ სრულიად თავისებურ, ორიგინალურ საზომს.

გურამიშვილი პელიკანივით საკუთარ მკერდს იფლეთს, გრძნობს, განიცდის, ხედავს პოეტური სიტყვის ძალას, და უმჯობესად თვლის წეროს ლექსად. მას, როგორც ჰორაციუსს, თითქოს ყველაფერი სათქმელ ქნარზე სამღერად, ლექსად ულაგდება ცნობიერებაში. პროზად ამბობს და ლექსად გამოსდის... ტკბილად სასმენი პოეზიაა მისი მამაც, ძმაც, თანამებრძოლიც, და მემკვიდრეც. ერთი სიტყვით, მიმართვის პოეზიაა წარსულიც, აწმყოც, მომავალიც და უკვდავებაც.

პოეტი თვითონვე ხსნის თავის გატაცებას:

მე ლექსად სიტყვებს ამად ვაწყობდი,
უფრო ტკბილად ჩნდა, იმას ვატყობდი,
არ მაქვნდა იმედი, შენ ამბად ისმენდი
მოუწყენელად...

„დავითიანის“ ბოლო სიმფონია — რამდენიმე დასკვნითი ლექსი — ღრმად მოხუცი პოეტის უკანასკნელი აკორდია. თავმდაბალი მგოსანი გრძნობს თავისი ნოვატორული ნაშრომის წონას:

ესე სიტყვანი მე მაქვს ასე შეტყობილი
მწყობრი არსო სიტყვანი ლექსად შეწყობილი;
ამისთვის კანუნად არ მიჩანს თქმა ლექსისა,
და მოძიება რიტორთ საზომი ექსისა.

თანადროულობის კვალობაზე გურამიშვილის ენა იმდენად ხალხურია, რომ მცირე ლექსიკონიც საკმარისია მის გასაგებად, მის თანამედროვე სხვა პოეტებს (მაგალითად, ვახტანგ მეექვსეს) საერთოდ ლექსიკონის დაუხმარებლად მკითხველი ძნელად გაიგებს. მეტსაც ვიტყვით, „დავითიანის“ გაგებას არც კი სჭირდება ლექსიკონი, თუმცა მისგან ორი გრძელი ავბედითი საუკუნე გვაშორებს.

გურამიშვილმა თითქმის სრული მეთვრამეტე საუკუნე განვლო ძლევით და მთელი საუკუნის სევდა აზიდა. მისი ცხოვრების ვარამი და კაეშანი მისი ქვეყნის ჭირ-ვარამია.

ყოველივე ეს საგანგებოდ დაუსაბუთებლადაც დამაჯერებლად ცხადჰყოფს დავით გურამიშვილის განსაკუთრებულ როლს ქართული მწერლობის ისტორიაში.

მთავარი ღირსება კი მისი შემოქმედებისა ისაა, რომ პოეტს გულს ქართლის ბედი უტრიალებდა, „ქართლის წყლული მიაჩნდა წყლულად და სამშობლოს ბედითა და უბედობით ეჩაგრებოდა გული“.

ქართლის ჭირის პოეზარე

„ყრმათ შეევედრე ეს წიგნი,
არ შექმნან დასახველად.“

დავით გურამიშვილი

„ქართლის ჭირი“ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მკაცრი პოეტური მატიანეა, ერთნაირად საინტერესო ისტორიკოსისა და პოეზიის მკვლევარებისათვის. პოეტი დაუნდობლად აშიშვლებს საშინელ სინამდვილეს — შინაურ აშლილობას, გარეშე მტრების თარეშს, ძმათა შორის ატეხილ დავას, კინკლაობას, ორპირობას, გაუტანლობას, ღალატსა და მუხანათობას. არ ინდობს არც ერს, არც ბერს, არც დიდებულს, არც მდაბიოს. არ ინდობს თვით თავის სათაყვანებელ ვახტანგ მეფეს, რომელსაც ბრალს სდებს საქმობლო ქვეყნის უპატრონოდ, „უმამლოდ“ მიტოვებაში, ნებისყოფის უქონლობაში, საქართველოს დაკნინება-დასუსტებაში... „რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარეო“, — სასტიკი ბრალდებაა, და ვახტანგ მეფე ნაწილობრივ იმსახურებდა კიდეც ასეთ საყვედურს. ეს მისი პოლიტიკის შედეგად მოხდა, რომ „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა. აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა“.

„ქართლის ჭირი“ მხატვრულადაც და ისტორიული მნიშვნელობითაც საუკუნის უდიდესი ნაწარმოებია. ამ თვალსაზრისით მთელს ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნება მსგავსი რამ.

„გურამიშვილის ბედი — მისი მამულის სისხლით და ცრემლით გაჟღენთილი ისტორიის ფურცელია“, — წერს პოეტი მიხეილ ქვლივიძე თავის წიგნში „დავით გურამიშვილი“. [1]

ამით მთელი სიმართლეა თქმული მოკლედ და ნათლად. სწორედ ამიტომაა ერთ პოეტურ მოთხრობად შედუღაბებული მამულის ბედი და პოეტის ბედი.

„ქართლის ჭირში“ ორგანულადაა ჩართული პოეტის ოდისეაც, მთელი მისი ჭირ-ვარამი, ლეკების ტყვეობიდან დაწყებული. იმავე ისტორიულ პოემაშია ჩართული ვახტანგ მეფისა და მისი კარის თავგადასავალი რუსეთში, ქართველ ჰუსართა პოლკის ამბავი. გულწრფელ აღსარებაში პოეტი და მეომარი მაინც ვახტანგის საგარეო პოლიტიკას თანაუგრძნობს. თითქოს წინასწარ ჭვრეტს საქართველოს მომავალ ბედს, იმთავითვე რუსეთისაკენ მიეშურება, ლეკების ტყვეობით გაწამებული რუსი გლეხის ქოხში პოულობს ხსნას, პურსა და სიმშვიდეს. მერე ჩადის თავის მეფესთან, შედის რუსეთის არმიაში, ვაჟკაცურად

---

[1] М. Квливидзе, Д. Гурамишвили, М. Дет. Лит. 1972, стр. 4.

იბრძვის ოსმალებისა და პრუსთა მრისხანე არმიების წინააღმდეგ, ბრუნდება თავის გაპარტახებულ მამულში, იღვწის ხალხის კეთილდღეობისათვის და კვდება, როგორც რუსეთის არმიის ოფიცერი.

გურამიშვილი ცხოვრებაშიც ისევე ალალი, სპეტაკი და უანგაროა, როგორც პოეზიაში. გულწრფელია მისი ერთგულებაც და გულსაკლავი წამოძახილიც: „ვამე, ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარდი!“ მისი ადამიანური ღირსებაც იმაშია, რომ „მეფეთა სამსახურმა“ სიმწრის მეტი არაფერი მოუტანა, საფლავში გოდებით ჩადის, და მაინც არაფერს ნანობს, მშობლიურ ქართველ და რუს ხალხთა ერთგულების სულისკვეთებით გალია ცხოვრების დღენი, როგორც უანგარო კაცმა და მამულიშვილმა.

გულწრფელობა, პირში მთქმელობა, პირდაპირობაა გურამიშვილის მთავარი პიროვნული თვისება. ბოროტების მხილებაში ის ხედავს სიკეთის წყაროს. ქვეყნის თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ დარდს თავს ატეხს, ეძიებს ამ უბედურების მიზეზთა მიზეზს, ხედავს აწმყოს უკეთურობას, გაურკვეველი მომავლით დაღდასმული პოეტი ვერაფერს ხედავს სანუგეშოს და მისდაუნებურად იწყებს წუთისოფლის წყევას, გაუტანელი საწუთროს უკუღმართობის გმობას, ბედის სამდურავს...

* * *

ქართლის ჭირის პოეტურ მატიანეს ეპიგრაფად დამშვენდებოდა პატრიოტი პოეტის სიტყვები:

მართალს ვიტყვი, შეეიქმნები, ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად,
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

დავითი იმდენად კეთილი და ლმობიერია, რომ მეშურნე თავადებს, რომელთაც არც თვითონ პოეტი დაინდეს, ძმებს უწოდებს და ყველას მიმართ ერთგულ ჭირისუფლად რჩება. მისი სიმართლის მომთხოვნელობა, ცხადია, არ გულისხმობს საყოველთაო თანასწორობას. გულუბრყვილობაც იქნებოდა მისგან ამისი მოთხოვნა! აკი თვითონვე აშბობს, რაც უნდოდა:

მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში სიყვარული ძმური,
ჩამომეგდო რიგი-წესი, სამართალი ბატონ-ყმური.

ცხადია, დავითი ბატონყმური წყობილების, უფროს-უმცროსობის მცველია და ამას არც ფარავს:

უმწყემსოდ ცხვარსა ბალახი უვნებლად არ უძოვნია,
დავით თქვა: დაემორჩილე, ვინც შენი მებატონეა.

მისი პრინციპი ძველია და ძლიერთა თვალსაზრისით ასევე გამართლებული! მხვნელთა და მთესველთა შეუსვენებლივ უნდა იმუშაონ:

ცხელის ოფლითა დამწვართა, ჩრდილთა ქვეშ მიუკარავთა
რაც იმუშავონ, ჭამონ და აჭამონ ქვეყნის მფარავთა.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ: დავითი მომხრეა ბიბლიური, იდილიური „თანასწორობისა“, რომ თხა და მგელი ერთად ძოვდეს.

როგორც ადრევე გარკვევით აღინიშნა ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში, დ. გურამიშვილი გაბატონებული კლასის ერთგული მცველია, არსებული ჩაგვრის სისტემის მომხრე, ბატონ-ყმური სამართლის გამზიარებელი, მაგრამ ობიექტურად მან გულწრფელად ამხილა იმავე მჩაგვრელთა ზნეობრივი დაკნინება, დეგრადირება, და ამით მიგვითითა მათი დასასრულის დასაწყისზე.

დავითი მძიმე, შინაგან წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრივ, მან უნდა განკიცხოს თავმოთნე, თავკერძა თავადები, რომელთაც თავიანთი ქიშპობით ქვეყანა დაღუპეს, მეორე მხრივ, უნდა შეიბრალოს ისინი, როგორც კლასობრივი ძმები, და თანაც საკუთარი წრის მანკიერებათა მხილებით თავისი ფაქიზი სულიც ჯვარზე გააკრას.

აი, ამ მძიმე განცდების ჭიდილში იჩენს თავს პოეტის გულის ურვა, და მისი აღსარება მოგვაგონებს კეთილგონიერი მშობლის მდგომარეობას, რომელიც იძულებულია საყვარელი შვილის დანაშაული აღიაროს და საჯაროდ გაკიცხოს:

მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს;
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!

* * *

პოეტის წარმოდგენით, საქართველო ერთიანი იავარქმნილი ველია, სადაც ზოგი აღმა ხნავს, ზოგი დაღმა ფარცხავს...

დავითი მეტისმეტად სამართლიანია და აღიარებს, კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხესო, მაგრამ ამავე დროს იგი საკმაოდ გულჩვილიცაა ძმათა მიმართ და მათს უაზრო შუღლზე ზიზღით არ ლაპარაკობს. თუ ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა, ყისტი მოსდო, ეს სამწუხაროა, მაგრამ მაინც ძმები არიან, გამოსწორებისაკენ უნდა მოვუწოდოთ, ლმობიერად უნდა მოვექცეთ გზას ამცდარ მეშურნეებს.

დავითი საქართველოს თავს დატეხილ უბედურებას ჯერ განზოგადებულ მიზეზებს უძებნის, იგი ბიბლიურ ცოდვათა განკითხვას, ღვთისაგან განდგომას და ღვთის წყრომას ჩამოთვლის, მაგრამ ეს ზოგადი თეოლოგიური ახსნაა, რაც არ შეესაბამება მისი პოემის მთელს

შინაარსს. საბოლოოდ პოეტი, როგორც საგანთა და მოვლენათა რეალურად მჭვრეტი, ჭეშმარიტად მიდის მოვლენების რეალისტურ ახსნამდე. ის დაქუცმაცებულობას, ერთპიროვნების უქონლობას, ძმათა შორის გაუთავებელ დავასა და უთანხმოებას თვლის ქართლის ჭირის ნამდვილ მიზეზად.

დავითი თავად აღიარებს: ქართლის ჭირის გადმოცემა დიდად მიჭირს, რადგან ქართველების ბევრი ცუდი გამოაშკარავდება, მტერს გაუხარდებაო.

პოეტი ზოგადად ლაპარაკობს, ბევრ კერძო და სამარცხვინო ფაქტს ფარავს, რათა მოყვარეს არ აწყენინოს და მტერს არ აამოს. ისტორიულ მოვლენებს ის არჩევს, განაზოგადებს და ფრთხილად ააშკარავებს, ოღონდ, ცხადია, საკუთარი თვალთახედვის ასპექტში.

როგორც სხვაგანაც აღნიშნული გვაქვს, პოეტი ქართლელ-კახელთა ძნელბედობის მიზეზად უფალთან შეორგულებას აცხადებს და ამით იმეორებს ბიბლიის მარადიულ მოტივს — იეღოვას რწმენისაგან განდგომას რომ უსასრულო უბედურებანი მოაქვს ისრაელი ხალხისათვის. ამ აზსნაში ახალი არაფერი არაა: ახალია თვით ფაქტის გადმოცემის დავითისეული ხერხი და ხელოვნება. რომელი ხალხიც ჭეშმარიტ ღმერთს განუდგება, ღვთისაგან აუცილებელი სასჯელი მოელის. ამიტომ იხსენებს ამ ბიბლიურ ამბავს.

დავითი თანმიმდევრობით ხატავს ქართველთა ღვთისადმი შეორგულების ამბავს, გმობს მათს განდგომას, შუღლს, გაუტანლობას, ეშმაკის აყოლას, და გულისტკივილით დაასკვნის: რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთი ნამუშაკევისაო. ქვეყანა დაცემულა და დაქცეულა უმსგავსობითა და თვითნებობით:

დაჯაბნდენ გულად მამაცნი, მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი,
ნებით შეიქმნენ უბრძოლლად თავისა მტერთა მძლეველნი,
ციხე განუღეს, შეუშვეს, დამჭცევი, დამამძლეველნი,
მტერი სამკვიდროთ მომშლელნი, ტრფიალთა წამართმეველნი.

პოეტი გვარებს არ ასახელებს, მაგრამ ვხედავთ, რა სულმდაბლები არიან ეს უცნობნი, ნამდვილ სატრფოს რომ უღალატეს და „წუთს მოყვარესა დამოყვრდნენ“.

გეირგვინის ცოლი გაუშვეს, ხარჭასთან შექმნეს რბოლანი,
ყმად წაუვიდნენ ისასა, იქმნენ მამადის ქოლანი!

ამას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც უარესი:

შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება, ქვრივთა ობოლთა, მწირისა...

როცა მთელი ეს უმსგავსობა „მან ბრძენთა ბრძენმან“ ღმერთმან ცნა, ბრძანა აღება ხელისა, „რისხვით გაშვება“ ქართველთა და საფუძვლიანად მოსპობა ერისა. ეს ტიპიური ბიბლიური რისხვაა!

რაკი ქართველებმა ღმერთსა სცოდეს, ღმერთმაც საწყაული მიუწყა, პასუხი უყო ცოდვისა:

ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა,
ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა,
მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა...

მოკლედ, ეგვიპტური ჭირი გვაგონდება, ან ის რისხვა, რაც ღმერთმა სოდომს და გომორს დაატეხა... უფალმა „შემუსრა ძალი პურისა“, დაიწყო „დიდი სიყმილი“, დაიშრიტა ღვინო, შემცირდა ნახნავი, „მოსწყდის ნაწველი ფურისა“. უეცრად მეხი დაეცა, „იყვეს ელვა და ქუხილი“, მოიწვა ბალახი და ხილი... აქვე ვხედავთ იმ საზარელ ნადირს, რომელიც ადამიანებს ისე გლეჯდა და ნთქავდა, როგორც მგელი ბატკანს. ამდაგვარად ზღაპრული, საშინელი ამბების შემდეგ თითქოს თავდება ბიბლიური დავითის წინასწარმეტყველებაზე მსჯელობა და იწყება ქართველ პოეტ დავითის მხატვრული მატიანე ქართლისა:

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას — შვიდსა-ოც-და-ერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ეცმა, მოეხსენა ღმერთსა;
აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუელინოს, რაც ქართლს უყვეს, ან კახეთსა.

* * *

აქ იწყება უკვდავი სტრიქონები, რომლებიც მაღალმხატვრული რეალისტური ფერებით გვიხატავენ საქართველოს ძნელბედობის სურათს:

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწევრი.
თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი.

დავითი უკვე დაეშვა ციდან დედამიწაზე. აქ ის დიდი რეალისტია. საკუთარი პოეტური ხერხებით, მეტაფორებით, შედარებებით ასურათხატებს იმ მწარე ისტორიულ სინამდვილეს, რომლის მოწმეც თვითონ იყო.

ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გვახსოვს დავით გურამიშვილისათვის დამახასიათებელი მკვეთრი შედარებებით წარმოსახული საქართველოს მაშინდელი ვითარების ზუსტი სურათი:

ვით მამალი სხვის მამალსა, დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, —
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

პოეტს ერცხვინება, იცის, „ბევრი ავი გამოჩნდების“, „მტერს შაესმის, იამების“. ისედაც გრძნობს თავისი გულახდილობის მოსალოდნელ სამძიმო შედეგს: „რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება“, „ვა, თუ გავხდე დასაკარგიო“, მაგრამ რა გაეწყობა, სათქმელი უნდა ითქვას, ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები.

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?
. . . . . .
პირს-ფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო,
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო.

აქ მთელი თეორიაა სიმართლით სნების განკურნებისა და გულახდილობის საჭიროებისა.

ამისთანა მკურნალს ვაქებ, მილესვედეს ფაზარ-ხუთოს,
არ თუ მასა, უწამლობოთ პირში სული ამომხუთოს...

* * *

საქართველო და გურამიშვილი განუყოფელნი არიან. პოეტის გულში ღრმად ჰქონია ფესვები გადგმული მამულის სიყვარულს, ენას, ზნესა და ისტორიას. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცოტაა მსგავსი მაგალითი, რომ სიჭაბუკეშივე სამშობლო ქვეყანას სამუდამოდ მოცილებული შემოქმედი ღრმა სიბერემდე, გარდაცვალების დღემდე თავისი ხალხის, ქვეყნის ბედთან ასე სისხლხორცეულად იყოს დაკავშირებული. სამშობლოდან ბევრი პოეტი ყოფილა დევნილი. თავისი ქვეყნის დატოვება ვიქტორ ჰიუგოსაც მოუხდა, მაგრამ მისი ხვედრი მაინც უფრო მსუბუქი ყოფილა, რადგან, ჯერ ერთი, დიდი შემოქმედი ოჯახთან ერთად იყო გადახვეწილი და მეორეც, იგი მეზობელ ქვეყანაში საფრანგეთის ახლო ცხოვრობდა და თავისი საცხოვრებელი კოშკიდან საყვარელ სამშობლოს სანახებს ყოველდღე უმზერდა. დავითი კი სიჭაბუკეშივე და ძალიან მძიმე პირობებში ჩამოაცილეს სანუკვარ სამშობლოს. მან კარგად იცოდა ისიც, რომ მის ქვე-

ყანას ათასი ჯურის მომხდური ჯიჯგნიდა, იგი თან დაატარებდა მაჰმუდის სევდას რუსეთსა და უკრაინაში, იგი თავისი ქვეყნისათვის იბრძოდა შორს, ფინეთის, თურქეთისა და პრუსიის ფრონტებზე.

სამშობლოს ინტერესები უტრიალებს დავითს გულსა და გონებას, მისთვის მთავარია არა პირადი სარგებლობა, არამედ ის, თუ რა „მოუხდების“ მშობელ ქვეყანას, თანაც ამ ამბებს ისე აღწერს, თითქოს საქართველოში იმყოფებოდეს; მკითხველი ვერ გრძნობს, რომ „ქართლის ჭირი“ ქართლივით წამებულ უკრაინაში — მალოროსიაში იწერება. საქმეს ის აძნელებს, რომ პოეტმა არა მარტო უნდა ადიდოს საქართველო, არამედ უნდა ძრახოს კიდეც მისი მოშურნე, გაუტანელი, უღირსი შვილები, გაანაწყენოს გავლენიანი თანამემამულენი.

მხილებას გარკვეული სარგებლობა მოაქვს, ამიტომ არის პოეტი მოურიდებელი.

დავითი ძრახავს იმ ავსა და მზაკვარ დიდებულებს, რომლებიც ავს „თვით იქმენ და სხვას კი სძრახავენ“. მათი საქმე გმობისა და კიცხვის ღირსია. „რაც გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს“.

ვახტანგ მეფის შემდგომ თავგადასავალს წინ უძღვის ამნაირი წუხილი და თავის მართლება იმის გამო, რომ სიმართლის თქმა უხდება...

პოეტს არ სურს იმ პურის ჭამა, რაც აღმა მხვნელს და დაღმა მფარცხველს მოუყვანია და გამოუცხვია. ვინაა ასეთი მრუდე? ისევ ქართველები: კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს. ასეთმა „ერთიანი“ სულისკვეთებით მუშაობამ საქართველო იავარქმნა და გაავერანა.

აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ გურამიშვილის რელიგიურ-მისტიკური ქადაგება ერთია და საქართველოს ცხოვრების რეალისტური აღწერა მეორე. თუმცა, კვლავ ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქრისტეს სჯულიც პოეტს სამშობლოს ერთიანობის სიმბოლოდ ესახება და ამიტომ ჰქადაგებს მის განუხრელ დაცვას... თუ დასაწყისში ქართველთა ამოთხრის მიზეზად ბიბლიურ ცოდვას თვლის, აქ გარკვევით ლაპარაკობს სინამდვილეს: საქართველო არაა ცენტრალიზებული სამეფო, დაჭუცმაცებულ სამთავრო-საბატონოებს შორის გაუთავებელი დავაა, კახეთი აღმა ხნავს, ქართლი — დაღმა ფარცხავს და ამან ამოთხარა, დაამხო, გააპარტახა ქვეყანა!

ამრიგად, ნება-უნებლიეთ ირღვევა ის რელიგიური სარჩული, რომელშიაც პოეტმა პირველად სცადა „ქართლის ჭირის“ გახვევა.

იწყება სიბრძნით სრული ხელმწიფის ვახტანგისა და თვით პოეტის, „დაკარგულ, დაბაწრული“ დავითის ამბავი, ორივე მტკიცედაა დაკავშირებული „მტერთაგან გაბასრულ“ ქართლის ბედთან.

ყაენად შაჰ-თამაზი იჯდა, შაჰ-აბაზის ძის ძე, ლოთი, მექალთანე და

ბოროტი, გარყვნილი და უსაქმური. ვერ შესძლო ქვეყნის პატრონობა, „სამხრეთით აღძრა ოსმალო, აღამოსავლეთით ავღანი“. მანვე დააქცია სიონის ბჭენი, შეარყია მეტეხი, ლევანის ძე ვახტანგი შეიპყრო, შვიდ წელიწადს ტყვედ ჰყავდა, საქართველო უპატრონოდ დატოვა...

* * *

იმ დროს რუსეთში პეტრე პირველი მეფობდა. პოეტი საღებავებს არ იშურებს ამ მირონცხებული მეფის სადიდებლად. ნამდვილი ამაღლებული ჰიმნი უძღვნა პოეტმა რუსეთის დიდ რეფორმატორს და განმაახლებელს. ეს სტრიქონები, „ქართლის ჭირიშია“ ჩართული:

ვირემდის იყო ცოცხალი, რუსეთზე გარდამწვდარია,
ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე, სამართალ დაუმცდარია,
მტერთა მებრძოლთა ყოველთა მან ყველას ხელი დარია,
მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარია.

პეტრეს ანდერძის მნიშვნელობა მართლაც დიდია და პოეტის აზრით, მისი მემკვიდრეები ყოველ ნაბიჯს ამ ანდერძის მიხედვით დგამენ — სამხედრო, სავაჭრო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე. ცხადია, ეს პოეტური გაზვიადებაა.

პეტრეს დუხჭირი მემკვიდრეები ვერ დადიოდნენ დიდი გარდამქმნელის გიგანტური ნაბიჯებით, და ეს საქართველოს ბედსაც დაეტყო.

პეტრემ რომ ვახტანგის საქმე ცნა, „მისი შველა ენება“, ავღანებს დაჰკრა, სოლაღს დაუწყო შენება, „დაღისტანს მიჰხვდა ღვთის რისხვა, მრავალგზით განაწყენება“. არც სპარსეთს დაადგა კარგი დღე:

ხრმლის სიფოლადეს სპარსთასა ჟამი რამ მიხვდა ლბობისა,
ხმა დაუმდაბლდათ, მოულბათ სიტყვის თქმა ამაყობისა,
რა ნახეს ცეცხლი ნაწვიმი ყუმბარისა თუ ბომბისა...

თუ დავითს ვერწმუნებით, პეტრე ყველაფერს აკეთებდა ქართველთა სახსნელად, ვახტანგსაც მზრუნველი კალთა გადააფარა.

პეტრე პირველმა დროზე შეამჩნია სპარსეთის დასუსტება და სალაშქრო სამზადისსაც შეუდგა, მაგრამ შემდგომი ვითარების გათვალისწინება არ შეეძლო და მოტყუვდა. ჯერ კიდევ 1720 წელს ასტრახანის გუბერნატორს არტემ ვოლინსკის სპარსეთის ომში ვახტანგის ჩათრევა დაავალა და ამით საფუძველი ჩაუყარა მეფის გაუბედურებას, საქმე თითქოს წაღმა მიდიოდა:

ხელმწიფემ ვახტანგს მოსწერა, მოდი მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო;
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზე მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებრ მამადო.

გარდა იმისა, რომ მკითხველს ხიბლავს და აოცებს ასეთი ხელოვნებით შეკრული მაჯამა, სადაც სულ სხვადასხვა შინაარსით ოთხჯერ მეორდება „მამადო“, ეს სტროფი საგულისხმოა თავისი შინაარსითაც. პეტრე მამას ეძახის ქართველთა მეფეს, ქრისტიანული ჩრდილოეთის „თეთრი რუსეთის“ ორიენტაციას უქადაგებს, მაჰმადიანური სპარსეთისაგან განდგომას მოითხოვს და სამაგიეროდ საერთო მტერთან ბრძოლაში დახმარებას ჰპირდება.

ყველაფერი რომ ასე წასულიყო, იქნებ ამდენი აოხრება თავიდან ასცდენოდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, მაგრამ, სამწუხაროდ, ქრისტიანული რუსეთი მუდამ შორს იყო და ძალიან ჭირდა ამ მანძილის გადალახვა. რუსეთს ჯერ კიდევ არ ეცალა საქართველოსათვის, ფუჭი დაპირებებით უფრო აღიზიანებდა მაჰმადიანურ ვეშაპს და ისედაც აოხრებული ქვეყანა გაპარტახების გზით მიდიოდა.

პეტრეს ელჩები ცხენებს მოახტნენ და ივერიამდე არ შეუსვენებიათ. ვახტანგი ნაადრევად გაახარა რუსეთის ელჩთა სასიამოვნო სტუმრობამ, გაიმართა ლხინი, „ეგონათ სწორედ ტრიალი მრუდის საწუთროს ჩალხისა“, და რა იცოდნენ, რომ ქართლის ჭირის მორიგი ფურცელი იშლებოდა!

ვახტანგმა სამეფო საბჭო შეყარა. ბევრი ივაზირეს. შორსმჭვრეტელმა კარისკაცებმა „არად გაიხარეს“. „უფრო წავხდებითო“. დანარჩენებმა კი რუსეთთან მეგობრობა არჩიეს: კარგი ჭკუით ვერა ბრძანეთ, ქრისტიან ხელმწიფესთან მოყვრობით „რად წავხდებით, თუ უფრო არ გავკეთდებითო“.

ქართველ დიპლომატთა ნიჭი და ალღო უდავოა.

შორსმჭვრეტელთა პასუხი გონივრული და გასაგებია, რადგან იციან, რაც მოჰყვება ორთა უფალთა მონობას:

> მათ მიუთხრეს: თუ უჭკო ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების;
> არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების.
> მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების,
> ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების.

მეფეს ისე სწყუროდა პოეტის ნახვა, „ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა“, ყმებმა მართლაც გონივრული რჩევა ჰკადრეს: ფარულად წადი, მცირე ამალა იახლე, თორემ გარს იმდენი მტერი გვადგას, „ასს მთას ეყოფა მკაფრადა“, თავს დაგვეხსმიან და ველარაფერს გვიშველიო.

მაგრამ ვახტანგმა შორს დაიჭირა: „ვითარ ვიკადრო მეფემან საქმე ქურდული, დავფარო ქრისტეს კვართი და ქნარი, დავითის შურდული, თან არ ვიახლო სპა-ჯარი, ჩაფრულებრ შევქმნა ძუნძულიო!

შეცდა პოლიტიკაში ბეცი მეფე, დიდის ამბით შეყარა ჯარი, განჯის

მომთხრელთა სამაგიეროს მიგება განიზრახა, რუსთა „ფარ-შიმშერის“ იმედით აღიძრა, თუმცა ჯერ ცარიელი წერილის გარდა არაფერი ებადა. მეფის ნება აღსრულდა. სიბრძნის ხმას ყური არ ათხოვა. დავითი სავსებით სწორ ცნობას გვაწვდის:

ტიროდნენ, ამას იტყოდნენ: ახლა არს ჩვენი დავსება!
მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება.
სამი ვეშაპი ერთ ლომსა, აწ ვითარ მოეთავსება?!

ბრწყინვალე პოეტური შედარებაა და ასევე ბრწყინვალე პოლიტიკურ-დიპლომატიური დასკვნები! ამ დაუფიქრებელმა ნაბიჯმა იმსჯელა ვახტანგი და ლამის თვითონ საქართველოც.

პეტრეს წერილმა ვახტანგს ფრთები გამოაცხა, ამ ფრთებით აფრინდა, ამაოდ იფრინა. ბოლოს ასტრახანში დაეშვა და უთვისტომოსავით მიიცვალა. საქართველო აოხრდა... ცხადია, იმ დროს ყოველივე ამის გათვალისწინება იოლი არ იყო...

ვახტანგი უებარი მწიგნობარი, კარგი პოეტი, კეთილშობილი ადამიანი, მაგრამ პოლიტიკაში ბეცი, უვარგისი მეფე აღმოჩნდა.

გურამიშვილისეულ პოეტურ მატიანეში ფერგადაუსვლელი სტრიქონებითაა შემონახული ის საშინელი ისტორიული ბრალდება, რასაც თანამედროვეები ვახტანგ მეფეს უყენებენ:

მეფეს სძრახავდნენ, იტყოდენ ეგევითარსა გმობასა:
სამს დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
ყეენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი შიშობენ, ეს სამი ბატონის ყმობა ხეირს არ დაგვაყრისო:

გარს მოგვეჭიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი,
ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი!

ამრიგად, „ქართლის ჭირი“ მარტო ცივი პოეტური მატიანე კი არ არის, მისი ავტორი ნათელი პოლიტიკური მხედველობის მოღვაწეა, პატრიოტია, რომელიც დროის ყველა ტკივილს სწვდება, ზომავს, განსჯის, საგნებს თავიანთ სახელებს უწოდებს და აშკარად გმობს თავისი სათაყვანებელი ხელმწიფის წინდაუხედავობას, მაგრამ:

მეფე იყო და ბრძანებდა იქმოდა, რასაც ინებდა!

ასეა: მეფე იყო და ბრძანებდა! ლაშქარი შეყარა, განჯის მიდამოებში გაილაშქრა, „მტერს სისხლის ღვართ მოადინებდა!“

სამწუხაროდ, ეს იგივე იყო, რომ მძინარე გველეშაპისათვის კუდი წაეჭრა. შინაური აშლილობის დროს, როცა ერთის ნავაზირევი მეორეს არ მოსწონდა, ასეთი ნაბიჯები საქართველოს ჭირზე ჭირს უმატებდა.

ვერც რუსთა ხელმწიფე ნახეს, ყეენთანაც „ავად დარჩნენ და დაკარგეს ორგნივ პური“. მამას რუსეთისაკენ ეჭირა თვალი, შვილს — ყეენისკენ, ამიტომ „ვერც მამა და ვერცა შვილმა მოსასხამი ვერ იხმარა“.

ყეენს მოახსენეს: ვახტანგმა გიღალატა, შენს ვეზირს ეთმანდოლეს მისცა პირიო. განრისხებულმა ტირანმა ვეზირს „აღმოსთხარა ორივ თვალი“. მცირე ხნის შემდეგ მოხდა ახალი ჯაშუშური დასმენა: ვახტანგი რუსეთს მიდის, ზურგი გაქციაო. ამ მეორე დასმენამ ყეენი სრულიად გააცოფა, ქართლის მეფეს ქართლი ჩამოართვა და მისცა ერეკლე პირველის ძეს — კონსტანტინეს.

* * *

საქართველოს ისტორიის ფურცლებზე გამაჰმადიანებული კონსტანტინე, იგივე მაჰმად-ყული-ხანი ერთ-ერთი შეუსწავლელი და გაურკვეველი თეთრი ლაქაა. შესახედავად „ვარგი“ იყო, საქმით კი ისპაჰანს მჯდომი ღვარძლიანი ხანების რიცხვს ზრდიდა. ქართლი და კახეთი რომ ერთად უბოძა ყაენმა, ამით დაამტკიცა, რომ ერთგულ კაცად მიაჩნდა და შეუთვალა კიდეც — ვახტანგმა მიღალატა და სამაგიერო მიუზღეო.

მაჰმად-ყული-ხანმა კახეთს კარავი დაიდგა, ვეზირები შეჰყარა და უთხრა: ერთი უძეო ხმელი კაცი ვარ, კახეთის ბატონად დამნიშნეს და მხარში ამომიდექითო. ვახტანგ მეფეს შევურიგდი, ძმობა შევფიცე და ქართლს ვერა ვთხოვ, გადამეკიდებაო. ეს გონივრული ნაბიჯი კონსტანტინემ ასე დაასაბუთა:

> მე კაცი ვარ ხორციელი, სულ ხომ ცას არ შავბერდები,
> ვით ვყოფილვარ მიწა-მტვერი, ისრევ ისე გავმტვერდები.
> მე მტრად სხვანიც მეყოფიან, ძმასა რადღა დავმტერდები;
> იმას ისრევ ქართლი ჰქონდეს, მე ჩემ კახეთს დავსჯერდები!

კონსტანტინე აცხადებს: ვიდრე ლეკების ჯავრს არ ვიყრი, ვერ მოვისვენებ. კახეთს კარგად გავამაგრებ და ძმაზე ხმალს არ ამოვიღებო. კახელები ეუბნებიან: — „შენ რას გავნებს, რომ გასტეხო ფიცი ხელმწიფის (იგულისხმება შაჰის ბრძანება — ე. მ.) ბრძანებით?“ — მისი სიტყვა საქართველოს საწინააღმდეგოს არაფერს გულისხმობსო. ყაენმა გაგვაორა, ერთმანეთის პირდაპირ დაგვაყენა, „ქართლი მომცა ძმათ საჩხუბრად, ამხანაგთა მოსაშორადო“, — აცხადებს კონსტანტინე, მეტიც:

> უკანიდან მტერი სცემდეს, წინ მოყვარეს წაეკიდოს, —
> იმისთანას უგუნურსა უნდა ცეცხლი წაეკიდოს.

კონსტანტინეს „სძულს ტყუილი, სიტყვა მრუდი“, მზადაა ვახტანგი მამად მოიკიდოს, მასთან ერთად შეებას სხვადასხვა მტერთა გუნდს, საქართველოს რომ არტყია გარს.

კოსტანტინეს ძლიერ ლოიალურ, ჭკვიან მეფედ გვიხატავს გურამიშვილი. კონსტანტინემ გურგენ მდივანს უხმო:

მისწერა ვახტანგს: „შენ მამა, ჩვენ ვიყვნეთ შენი შვილები;
თუმცა მიბოძა ყეენმა, მე ქართლსა არ გეცილები.
გარს მტერთგან ცეცხლი გვედების, შუვა ჩვენ ვსდნებით ცვილები,
სჯობს, რომ ჩვენ ერთნი შევიქმნათ, აგებ გვეღირსოს ძილები“.

გეახლები და მამაშვილურად დამლოცეო, — ასე ასრულებს კონსტანტინე თავის წერილს.

გურამიშვილი გვამცნობს: წერილში წალმის ორი კონა იყო დახატული, გარშემო ცეცხლი მოსდებოდათ, ნიშნად იმისა, რომ საქართველო გარშემორტყმულ მტერს უნდა ეომებოდეს და არა ძმათა შორის ომის ხანძარს აჩაღებდესო. ისტორია ასეთ წერილს არ იცნობს, მაგრამ „ქართლის ჭირიც“ ხომ ისტორიაა, ამბავთა თანადამსწრის, თვალით მხილველის დაწერილი და ისიც ისეთი მიუდგომელი პიროვნებისა, როგორიც დავითი იყო.

ვახტანგის ვეზირებმა წერილის შინაარსი გააუკუღმართეს, იასე ნამეფარმა ჯავრით წარბი შეიკრა. ეს სალამი და ფეშქაშ-დური რას მიქვიანო!

ვახტანგმა კოსტანტინეს მართლება დაიწყო: ცუდი ამაში არაფერია, ფეშქაშ-დური ქართლის მოცემას ნიშნავს, სალამი — მშვიდობასო. ქართლს ჩვენვე გვანებებს და მეტი რა გვინდაო!

ამრიგად, მაჰმად-ყული-ხანს ქართლის მეფე ეპატიჟება, მაგრამ პარტიკულარიზმით დაავადებულებმა მაინც შესძლეს ქართლისა და კახეთის მეფეთა წაჩხუბება.

ვახტანგისა და კონსტანტინეს სამშვიდობო მოლაპარაკება იესე მეფეს გულში ლახვარივით მოხვდა. მოვუსმინოთ პოეტს:

იესემ თქვა გულსა შინა: „ჩემი ძმა არს ჩემი მტერი!
პატიმრობით დამაბერა, გამითეთრა თმა და წვერი;
აგრე როგორ დავბრმავდები, შევიქმნები გიჟი-სტერი,
მე იგ ორნი შევათვისო, მე კი დავრჩე, ვით ოხერი!“

სამი წელიწადი ბნელში მამყოფა და ახლა მათი ძმობის სუფრაზე როგორ დავჯდეო! — ასე მსჯელობს ესე ეგოისტი „იესე მეფე“.

ასე დაიწყო მორიგი ვერაგული ქსელის გაბმა:

იხმო ბერი დიდოველი ვით მოწაფე მოძღვრად ინდობს,
უბრძანა თუ: ჩემო ბერო, ეს ჩემი ძმა ეშმაკ-ფლიდობს,
არას კაცსა არ კადრულობს, ამპარტავნობს და გულდიდობს,
მე ძმა ვიყავ, არ დამინდო, კახ-ბატონსა ვით დაინდობს!

— ვახტანგს იმ მაჰმად-ყული-ხანის ქახეთში გაბატონებაც დიდად სწყინს, თორემ აქ ვინ მოუშვებს, მოკლავენ და ძის ქონებას მიითვისებენო! — ჩაასმინა ბერს ვერაგმა გამთიშველმა.

ბოროტმა თესლმა ნაყოფიც გამოიღო:

რაღას ვაგრძელებ? გაგზავნა მან ეპიფანე ბერია,
მისწერა კახსა ბატონსა: „შკვა თუ არ გარდაგერია,
რომ მოხვალ, როდის დაგინდობს, მოგკლავს ეს შენი მტერია,
შენ სიხლსა ვინღა მოკითხავს, კაცი ხარ ერთი ღერია.

. . . . . .

...თუ ეგ ყეენმა შეგიტყო, წაგართმევს ბატონობასა...“

ასეთი წერილით დახვდა წინ ბერი ეპიფანე კახთა ბატონს.

გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს შკუაში დაუჯდა ბერის გამაფრთხილებელი სიტყვა: „მე დამიჯერე, ნუ მოხვალ, თორემ გაებმი ბადესო“, და უკან გაბრუნდა. აქეთ ვახტანგის კარისკაცებს გაუკვირდათ, უწინ თვითონვე გვთხოვდა და ახლა უკან რად გაბრუნდა, რად აქცია სურგი ქართლელებს კახთა ბატონმაო! „უჯობდა ქართველთ ბატონსა შეყროდა თავაზიანად!“

ოღონდაც! მაგრამ იუდა მოღალატეებმა თავისი ბნელი საქმე გაჩალხეს, და სასიკეთოდ აღძრული კონსტანტინე კახთა მეფე ხმის ამოუღებლად გააბრუნეს უკან.

კახთ-ბატონის გაბრუნებას უარესი მოჰყვა: ქართლელთა ჯარი დაეწია, „დაუცარცვეს კახთ-ბატონსა ჯორთ-აქლემნი კიდებულნი“. იქით კახელებმა დაგმეს: „უღლით ტოლი გამოგეშო“, „უნუგეშო დარჩიო!“ „თუ ამ საქმეს ვერ გაზრდიდი, გიჯობდა, რომ არც კი გეშო!“

მეფემ საქმე გაიადვილა: რა ნიშანს მიგებთ, ყველაფერი აღსრულდება, რაც გსურთო, ჯარი შეყარეთ; ვახტანგს კარი შევუნგრიოთო. კონსტანტინე უკვე ისე მსჯელობს, როგორც კეთილი მაჰმადიანი, რომელიც უსამართლოდ განარისხეს:

მე მინდოდა ყოფილიყო ჩვენში სიყვარული ძმური,
ჩამომეგდო რიგი-წესი, სამართალი ბატონ-ყმური;
არ ინებეთ, არ მოჰშალეთ ერთმანეთში თქვენი შური,
ცოდვა-ბრალი თქვენს კისერთა, თუ რამ მოჰხდეს უწესური!

კონსტანტინეს ქვეშევრდომები როდი ცდებიან:

ძმა ძმისა საზიანოსა თუ არ მიიჩნევს ზიანად,
ორივ მტერთაგან დაიწვის სახლ-საბძელ-კალო-ბზიანად.

ვახტანგმა, ერთი შეხედვით, საზიანოდ არ მიიჩნია ძმის ზიანი, ამიტომ მისი კალოც დაიწვა.

მალე ვახტანგს კონსტანტინემ ბერები მიუგზავნა და მისწერა: ძმობა მწყუროდა, არ მინდომე, გაგერიდე, მონები დამასხი თავს,

სიყრმიდან მონაგარი წამართვი, ახლა უკანვე გამომიგზავნეო. ვახტანგის პასუხი ასეთია: ჩვენი ბრძანებით არავის გაუძარცვიხართ და „რაც თქვენში მგლებმან დაჭამოს, ჩვენ ვითარ გიზღოთ ღორები?“

ასეთი პასუხი რომ მიიღო, კონსტანტინე საშინლად განრისხდა და შეწუხდა კიდეც, მაგრამ მხოლოდ ეს შეუთვალა:

ჩვენ ერთმანეთსა ნუ ვახდენთ, თორემ წაგვახდენს მტერი.

კონსტანტინეს მოთმინებაც აღტაცების ღირსია. ორგულთ ნუ უსჯენ, მათი წერილები დახიე, „თუმცა ლომი ხარ, ვეშაპთა ვერ სძლევ, გრძელი აქვთ კუდებიო!“ — აფრთხილებს. ყეენმა ქართლიც ნე მომცა, რა ჩენი ბრალია! თუ არ გაფრთხილდი, ისედაც მტერთაგან ნყრალი ქვეყანა მთლად აყროლდებაო და ა. შ.

მართლაც, ყეენი იოლად გაუწყრებოდა თავის სატელიტს, ვახტანგს კი ისედაც უწყრებოდა, ასე რომ, თუ ვახტანგი და კონსტანტინე არ შეთანხმდებოდნენ, ქართლისა და კახეთის საქმე წასული იყო; მაჰმად-ყული-ხანი ამტკიცებს, გული მტკივა და ძმობით საქმეს მოვუაროთო, ნემს-მახათს ნუ სცემ მჯიღებსაო.

ამ მეგობრული მიწერილობით გაუშვა კახეთის მეფემ ვახტანგთან დიაკვნები. ქრისტეს მსახურთ უხაროდათ, ქართლში გავმდიდრდებითო, და ის კი არ იცოდნენ, რომ დილეგში „ჩაყრიდნენ ხელშეკრულებს!“

შედარების მეორე კლასიკური მაგალითი გვინდა ავიღოთ „ქართლის ჭირის“ იმ ადგილიდან, სადაც კახთა მეფის გაგზავნილ ელჩ-ბერებს ქართლის სამეფოში იჭერენ:

ვით მდინარე ღვარ-შერთული ზვირთს ისვრიდეს, სჩქერდეს დიდად,
მას ქვეითთან ვერ შებედოს, გადოს რამე მაზედ ხიდად,
გატყდეს ხიდი, ზედ მავალნი გახდეს ხავსთა მოსაჭიდად,
ეგრეთ ბერებს მოუვიდათ, რაც მოგითხარ მაგალითად.

დიაკვნებს მეფე განრისხებული დახვდა, სიტყვაც ვერ შებედეს, კედლად წიგნი წაიძღვარეს და მიართვეს.

მეფეს წიგნი როგორღაც „ყიფურ-ამაყური“ ეჩვენა, განრისხდა, თივას ცეცხლი მოხვდა, ქარმა დაჰქროლა, ვახტანგი ნაკვერცხალივით გახდა, ბერებს შეუტია: რად მოგქონდათ ასეთი წიგნი, რატომ დააწერინეთ, ან წყალში რად არ ჩაცვივდით მაგ წიგნიანადო?

ვახტანგ მეფე წყრომით მიმართავს კახეთიდან მოგზავნილ ბერებს:

რაღ არა ხართ მონასტერში, არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ?
გამოსულხართ და დადიხართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ!

მერე გადადის მეფის გმობაზე. ჰხედავთ ის ბუში რა სიტყვებს მკადრებსო! მე ვით ორბსა მდევს კირკიტა, დამტრიალებს, დამკისკისებსო!

- უსაფუძვლოდ და საკუთარი ძალების გაუთვალისწინებლად განრისხებულმა ვახტანგმა

უბრძანა თავის მოყმეთა: „მე ცეცხლსა ეს მიკიდებსა,
თვით გიჟი ჰკუვას მასწავლის, უსჯულო მე სჯულს მიდებსა!
უყურეთ ცალ-გვერდ ჭიანსა, რა სიტყვებს ისვრის დიდებსა!
აწ ხელი ჰკიდეთ ციქვებსა, მაგ მატყუარა ფლიდებსა!“

სჯულმდებელ მეფეს არ ჰმართებდა ასე წინდაუხედავად განრისხება და მოციქულთა შეპყრობა, მაგრამ სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტის ჟამს ჰკუით ის მუდამ მოიკოჭლებდა.

მოციქულები ხაროში ჩაყარეს, დარაჯი დაუყენეს („არავინ გამოთხაროსო“). ჯარი შეყარეს და კახეთის აოხრება გადაწყვიტეს.

კახთ-ბატონს რომ ეს მოახსენეს, წინასწარ გამზადებული ჯარი დაძრა, წამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი, ნარიყალა მიმბაშმა ჩააბარა და იქ გამაგრდა.

პირველ ცხარე შეტაკებაში ქართველებმა მაჰმად-ყული-ხანი დაამარცხეს, კახთა მეფემ თავი ჯერ მუხრანს და მერე ჭარს შეაფარა, ჭარელები შეიპირა, ქართველებმა გამაწბილეს და მათი ჯავრი არ მაჭამოთო. წამოვიდა ლეკების ჯარით და ისევ თბილისს შემოადგა. მაშინ კი „გაუთენდათ სომხებსა დღე შაბათი საზარელნი, ზოგი მოკლეს, ზოგი დაჭრეს, ზოგს წაგვარეს საყვარელნი“. დაამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქციეს, „თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქციეს“.

ასე გადაიშალა საქართველოს ისტორიის მორიგი ბნელი, სისხლიანი უკუღმართი ფურცელი...

ქართლ-კახელებმა რომ უნდილი მეფეების წყალობით ერთიმეორე დაწყვიტეს, ორივე მხარე ისე დარჩა, „ვით ქორნი გარიალზედა“, გამოელვიძა არწივსა, გარიელს კლანჭი უკრა, „სხდენ ქორნივ ცარიელზედა“.

საქმეში პოეტი ერევა: განა არ ჯობდა, მორიგებულიყვნენ, თავიანთი წილი ეწიწკნათ, მტრისათვის არ მიეცათ ლუკმაო? „თუ ამას ავად ვამბობდე, პანღური ამამკარითა“.

* * *

ამრიგად, გურამიშვილი არა მარტო მთხრობელია, არამედ მსაჯულიც, ულმობელი, მაგრამ ალალი, მკაცრი მსაჯულიც.

ასე გრძელდება მომდევნო გვერდებზეც. ქართლი და კახეთი მტერს ეპყრა, ვახტანგს კი „ძირმწარის უმწარე ეტკბილა, ვითა შაქარი“, მძინარე ხონთქარი გააღვიძა. ძმა იესე და შვილი ბაქარი მიუგ-

ზავნა, ცუდმა ხუროთმოძღვრებმა „ძველთაგან კვიდრად ნაშენი“ ქართლი სულ დააქციეს და მამული მტერს მისცეს, „თვით დარჩნენ უმსახურონი...“ და ისევ პოეტია მეფეთა მსაჯული:

მეტად უზომოდ გაჯავრდნენ, ვერ გასძლეს გულის ჯავრნია,
აჩქარდნენ, ველარ გაშინჯეს, მათ საქმე საშინჯარნია,
მტერთ ნებით კარნი განუღეს, მაგროვნად დანაჯარნია,
კახთ იხმეს ლეკნი საშველად, ქართველთ—ოსმალოს ჯარნია!

სერასკირის ჯარი ფუტკრის ნაყარივით მოადგა საქართველოს. კახთ-ბატონი წინ მიეგება, ციხის კლიტე მიართვა, „ოსმალო თიფლის შევიდა, კარები დახვდა ღია რა, იასე-მეფე მათ შერჩა, მათს მოძღვარს მან აღიარა“. ამრიგად, თურქთა ეს ძალლივით ერთგული მონა, მეფედ წოდებული, დამთხვეული კარიერისტი იესე, ოსმალოს კალთას ამოეფარა, სულთნის მოძღვარი აღიარა, ისევე როგორც კონსტანტინემ სპარსეთის შაჰისა... საბოლოო ანგარიშში ეს ერთი და იგივეა. იესე და კონსტანტინე ერთ ძირზე ამოსული ორი სარეველაა, თუმცა კონსტანტინეს დავითი უფრო სიმპათიურად გვიხატავს.

პოეტი მოკლედ მოჭრის: „ვახტანგ რუსეთსა წაბრძანდა, რაჭაზედ გადაიარა“. ეს წასვლა სამშობლო ქვეყნიდან ფარულად მოხდა. ქვეყანა უპატრონოდ დატოვა (არც მანამდე ჰყოლია დიდი ბედენა პატრონი!) არც კახელებს დაადგათ უკეთესი დღე: „რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ღვინოზე ყიდესა“.

შეწუხდა ქართლი და კახეთი. კახთა ბატონი გორის ციხეს მიადგა, ბრძოლა გამართა. იესე-მეფემ ოსმალო შეყარა, ნამდვილი ომი გაჩაღდა.

მოხვდნენ ერთმანეთს, დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები!

დავითი ოხვრით მოგვითხრობს მისი დროის საქართველოს დაქცევის საზარელ ამბავს:

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით.
მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა, შინათვე ნაღალატევით!

ისევ ღალატი! ურჯულო და უჯიშო, უმეცარი და უმოწყალო გადამთიელი, ყიზილბაში და სერასკირი ჩვენს მიწაზე იქნევს ხმალს, წყეული მოღალატენი კი ძმას უთხრიან სამარეს!

სწორედ ქართლის ჭირია, და ამ ჭირს ღირსეული მემატიანე ჰყავს დავითის სახით, მაგრამ შველა არ ძალუძს, სამაგიეროდ, უბედური ხალხის სვეს ცოცხლად გვიყენებს თვალწინ:

ვაი იმ დღეს, ოსმალონი ბევრს უბრალო სისხლსა ღვრიდენ.
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა, მწირსა თავსა სჭრიდენ;
გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ!

ქრისტიანობის ძველი ბურჯნი, განათლებული, სტუმართმოყვარე, შემოქმედი მამულიშვილნი, ისე უპატრონოდ დაუყრიათ დაბლა სულთანის ძაღლებს, თითქოს ცხვრის ჯოგის გაწყვეტაზე იყოს ლაპარაკი, დამმარხველიც არა ჩანდა თურმე. ქართველ მეომართა გვამებს მელა-ტურა ხრავდა! რა ნაღვლით ნალესი პური უნდა ეჭამა ამის მომსწრე მემატიანეს, სათნო და მგრძნობიარე გულის პატრონს, ბრძენ დავით გურამიშვილს? ამისი წარმოდგენა ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება!

ვახტანგს რა შეეძლო?

გურამიშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ვახტანგ მეფის სახეს. პოეტი მაღალ შეფასებას აძლევს მის ნიჭს, შემოქმედებითს უნარს, განათლებას, კანონმდებლობის წინ წაწევას. თვლის მას გამოჩენილ მოღვაწედ, სტრატეგად, კეთილ მამად, პატრიოტად, ნათელი გონების ადამიანად, მაგრამ არც მის სუსტ მხარეებს ფარავს. ის კი არა, თითქოს კალმის ერთი მოსმით აბათილებს ყველა ქებას: „რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარეო“. ეს კრიტიკაა, თითქოს აღშფოთება და სიძულვილიცაა, მაგრამ „კარგი გული მაშინვე ცნობს, ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია.“ დავითმა იცის, რომ ვახტანგის ტრაგედია — ერის ტრაგედიაა, და თავს ზევით ღონე აღარაა!

ამრიგად „ქართლის ჭირი“ ფართო ეპოპეაა, რომლის მსგავსი ნაწარმოებიც, ალბათ, ქვეყნად ბევრი არ მოიძებნება და მრავალ ერს არ გააჩნია. არ გააჩნია კი იმიტომ, რომ მათ თავს ამგვარი ტრაგედია არ დატრიალებულა!

დავით გურამიშვილმა ამ პოემით ისევე უმღერა საქართველოს, როგორც კამოენომ „ლუზიადით“ — პორტუგალიას. თუმცაღა პორტუგალიის თავზე არ გადაუვლია თურქულ ქარიშხალს, ბედნიერი ქვეყანა თავის დიდებას ზეიმობდა და მეხოტბესაც სხვაგვარ მასალას აძლევდა, დავითის დროის საქართველოს კი სწორედ ის სიტყვა შეეფერებოდა, რაც მისმა მოზარე მგოსანმა შეარჩია: „ქართლის ჭირი“.

ქაცვია მწყემსი

სადაც გურამიშვილი უბრალო ხალხის ცხოვრებას ეხება, მისი ფილოსოფია უფრო ოპტიმისტური და ნათელია. ამის ნიმუშია „ქაცვია მწყემსი“.

„მხიარული ზაფხული“, ან უფრო პოეტური ვარიანტის მიხედვით „ქაცვია მწყემსი“, როგორც ცნობილია, პირველი ქართული საყოფაცხოვრებო სიუჟეტური პოემაა. პრინციპულად დავითი აქ დიდაქტიკოსია, ქადაგებს ჯანსაღ ადამიანთა ჯანსაღ სიყვარულს, რაც ჯანსაღი ზნეობისა და შთამომავლობის საწინდარია. ეს პოეტის სიბერის დროინდელი ფართო და საოცარი ტილოა.

სიყვარულით დაისრული ბუნების ალალი შვილები გულის თრთოლვით ხვდებიან ერთიმეორეს ბუნების წიაღში, მზე და მგალობელი ჩიტები არიან ამ შეხვედრის მოწმე.

გაზაფხულის ზეიმის, მშრომელთა იმედიანი შრომის, ხვნა-თესვისა და მის ფონზე ხალასი სიყვარულის, კერძოდ, მწყემსთა გულისთქმის მთელი მომხიბლაობა ჩვენში ასეთი სისრულითა და სიფაქიზით გურამიშვილზე ადრე არავის გამოუთქვამს. „ქაცვია მწყემსი“ ბუკოლიკური პოეზიის ხელთუქმნელი ძეგლია მსოფლიო მასშტაბით. ბუკოლიკურმა პოეზიამ უძველეს დროსვე მოგვცა შედევრები, ოღონდ საბერძნეთსა და რომში.

ბუკოლიკური პოეზია ანუ პასტორალი, ზოგადი ცნებაა და ფართო შინაარსს იტევს. მაგრამ ვიწრო გაგებით აქ გულისხმობენ მწყემსურ პოეზიას, რაც XVI—XVII საუკუნეებში განვითარდა დასავლეთ ევროპაში და ქალაქის ხმაურიან ცხოვრებას უპირისპირდებოდა. ეს პოეზია მწყემსთა მყუდრო, უშფოთველ, ალალმართალ, ვითომდა ჰარმონიული ცხოვრების იდეალიზაციას ახდენდა. უარყოფდა ყოველგვარი პროტესტის ხმას, ჩქმალავდა სოციალურ უთანასწორობას.

ამრიგად XVII—XVIII საუკუნეებში ეს იყო პოეზია ფეოდალური რეაქციისა, აღმოცენებული რენესანსის დაშლის შედეგად. მას ახასიათებდა პიროვნების ფსიქიკის, ჰედონიზმის, ინდივიდუალიზმის წინ წამოწევა, რაც წარმართულ კოლორიტს სძენდა მას და სინამდვილეს მითიური სახეებით ცვლიდა. ფაქტიურად ამავე გზით ვითარდებოდა გურამიშვილამდელი ქართული ორიგინალური თუ თარგმნილი ეპოსი თუ ლირიკა. ზოგადობა, განყენებულობა, ზღაპრულობა წითელ ზოლად გასდევდა მას.

ბუკოლიკური პოეზია, „ალექსანდრიული პოეზიის მცირე ჟანრი“, ამოსავალს ფოლკლორში პოულობს. იგი უმეტესად მწყემსთა პაექრობაზე, ჩვენებურად რომ ვთქვათ, კაფია დიალოგებზე იყო აღმოცენებული, მშვიდობიან და თითქოს ჰარმონიულ (ამდენად პირობით) ცხოვრებას ასახავდა, სიყვარულს უმღეროდა, სოფლის ცხოვრებას აიდეალებდა. ეს ჟანრი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში შეიქმნა, მის დამაარსებლად თეოკრიტე ითვლება. მერე ეს ჟანრი რომში განვითარდა. მისი უდიდესი წარმომადგენილია ვერგილიუსი („ბუკოლიკები“).

ახალი პასტორალის („მწყემსურის“) მამამთავრად ითვლება იტალიელი სან ნაზარო, სახელგანთქმული რომანის „არკადიის“ (1504) ავტორი. მის წარმატებას მოჰყვა მოლცის პოემა, არიოსტოს, ალამანის და სხვათა ლირიკული ლექსები, დიალოგები, ტერცინები, ტასოს ცნობილი „ამინტა“, მაგრამ ყოველივე ეს, ისევე როგორც გვიანდელი ესპანური, ფრანგული, ნაწილობრივ ინგლისური, განსაკუთრებით კი გერმანული პასტორალები, მეტწილად არისტოკრატთა განწყობილებას ეხმაურებოდნენ, ცხოვრების მოყირჭებას, მელანქოლიას, ხელოვნური გრძნობების ასახვას არ სცილდებოდნენ, ყალბი იდილიის ძილისმომგვრელ სამეფოში დაატარებდნენ მკითხველს. XVII—XVIII საუკუნეებში, როცა ბუკოლიკურმა პოეზიამ თითქმის მთელს ევროპაში განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ქართულ მწერლობაში ამ ჟანრს ჯერ კიდევ არ ჰყოლია მესიტყვე. ამ მხრივ გურამიშვილი ნამდვილი ნოვატორია. მისი „ქაცვია მწყემსი“ სულ სხვა ხასიათის ნაწარმოებია იმ ნიმუშებთან შედარებით, რაც დასავლეთ ევროპის გამოჩენილ პოეტებს მოუციათ. განებივრებული არისტოკრატების ნაცვლად პოემაში ვხედავთ ნამდვილ მდაბიო გმირებს, ზნეობით სპეტაკ გლეხებს, რომელთაც კანონიერ შეუღლებამდე თანაცხოვრება მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდათ. ფონიც და ყოფითი დეტალებიც რეალისტური, ბუნებრივი და მახლობელია. არავითარი მისტიკა, ზღაპრული ჯინები და დევები, ქაჯები და ეშმაკები, არავითარი უდაბნო და ედემი — მოქმედება ხდება ქართულ სოფელში, ქართლისა და კახეთის მთა-ბარში. მახლობელია ეს ბუნება, თვალნათლივ ხედავთ უბრალო ქართველ მწყემსებს, ჰკვიანსა და სანდომიან ახალგაზრდებს, რომლებიც იმედით შესცქერიან ხვალინდელ დღეს. „ქაცვია მწყემსი“, როგორც ითქვა, პოეტის გვიანდელი, ასაკობრივი მიმწუხრის დროინდელი ნაწარმოებია.

1768 წელს, როცა ახალგაზრდა გოეთემ ბუკოლიკური პოეზიის ნიმუში „შეყვარებულთა ჭირვეულობა“ დაწერა, გურამიშვილი 63 წლისა იყო და, შესაძლოა, ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწერილი თავისი მწყემსური პოემა. მაგრამ რაიმე შემოქმედებითი გავლენა ევროპული მწერლებისა გამორიცხულია. ამ ჟანრში გურამიშვილს არც ქართულ ლიტერატურაში ჰყოლია წინამორბედი.

ამასთან ერთად, ანგარიშგასაწევია ის აზრიც, რომ გურამიშვილი იცნობდა თეოკრიტესა და ვერგილიუსის ნაწარმოებებს. თეოკრიტე ხომ ბუკოლიკური პოეზიის მამამთავრად ითვლება. მანამდე მწყემსური თემა მხოლოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება.

რომაელი დიდი პოეტი ვერგილიუსი თეოკრიტეს მიერ გაწალდულ გზას გაჰყვა. ის გახლავთ ლათინელ ავტორთაგან პირველი, რომელმაც მწყემსური ცხოვრების იდილიას უძღვნა ამაღლებული სტრიქონები.

ვერგილიუსს თვითონ თეოკრიტეს სახელი არსად დასცდენია, მაგრამ მუზას კი სიცილიურს უწოდებს, რითაც თავის თავანკარა წყაროს გვიმხელს.

გურამიშვილის სამშობლოს მომხდური გადამთიელები ქალიებივით შესევიან და აუკლიათ. ქვეყანა პარტახად უქცევიათ, სიწმინდის და ერის ერთიანობის ბურჯი ციხე-გალავნები და ტაძრები იავარუქმნიათ, ხალხი გადაშენების გზაზე დამდგარა, ზნეობა დაცემულა, მამაპაპური ადათ-წესები შერყვნილა. ქვეყნის ღია ჭრილობებს მოშუშება და მკურნალობა სჭირდება. თვითონ პოეტიც მოძალადეთა თვითნებობის მსხვერპლი შექმნილა. მტრებისაგან რის ვაი-ვაგლახით თავდახსნილი უკრაინას შეკედლებული გურამიშვილი თავისი ქვეყნის წახდენის გამო ღრმა სევდას შეუპყრია, თავის სამშობლოზე მოსთქვამს ასე გაბმით, არსგამრიგეს ავედრებს დაცემულ მამულს და ერის წყლულების მკურნალად ყოფნა სწყურია. პოეტმა კარგად უწყის, რომ ქვეყნის სიმტკიცის საფუძველთა-საფუძველია ოჯახი, ზნეობა და მამაპაპათა ტრადიციების უმწიკვლოდ დაცვა. ამიტომ დავითს ამბავი ბუნების წიაღში, წმინდა მწყემსურ ყოფაში გადააქვს და გულმხურვალედ მოძღვრავს მკითხველს, შეუნარჩუნონ ქართულ ოჯახს სიწმინდე და მწიკვლი თავიდან აირიდონ. მას მტკიცედ სწამს და სჯერა, რომ მისი ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ ოჯახის სიწმინდეს. ოჯახი მიაჩნია მას იმ უჯრედად, რომელზედაც დაყრდნობილია ერი და ბერი. ამიტომ ჰქადაგებს იგი ქრისტიანული სჯულის მტკიცედ და განუხრელად დაცვას. ქრისტეს სჯული მისთვის ესაა მისი სამშობლოს ზნის, ადათ-წესების და მამაპაპური ტრადიციების წმინდად შენახვის სიმბოლო. ქართველობა და ქრისტიანობა მისთვის ერთიდაიგივე ცნებებია და ვინაიდან ქართული ზნის, ქართული ოჯახის, ქართული ადათ-წესების დაცვა, მათი მტკიცედ შენახვა, მოვლა და პატრონობა ეკლესიას და ქრისტეს მსახურთ ევალათ, პოეტი მათს გაფრთხილებასა და დაცვასაც მოითხოვს. ეს წესები კი, თავანკარად შენახული, დავით გურამიშვილს მწყემსურ იდილიურ გარემოში ეგულება და ამიტომ მკითხველს „ქაცვია მწყემსში“ თვალწინ უბრალო მწყემსური ყოფა გადაუშალა. ასე რომ, გურამიშვილის ორიგინალური პოემა მრავალმხრივ არის საყურადღებო.

პოემის სიუჟეტი ოსტატურადაა აგებული და შეკრული. თავისი მოზაიკური ნაირფეროვნებით, ამბავთა ქარავნით. ერთი მოთხრობიდან მეორეზე გადასვლით, ერთი კარიდან მეორე კარში შესვლით და ხალისიანი იუმორით „ქაცვია მწყემსი“ თითქოს ათას ერთ ღამეს მოგვაგონებს.

გარეგნული ზღაპრული იერი, ფანტასტიკა მხოლოდ გვეხმარება რეალური სინამდვილის უკეთ წარმოდგენაში. ზამთრისა და ზაფხუ-

ლის ბრძოლა ისეთ ცოცხალ სურათს ქმნის, რომ მკითხველის ცნობიერებაში იშლება მიჯნა რეალურსა და ფანტასტიკურს შორის.

მოქმედ პირთა რაოდენობა თითქოს მცირეა, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ამ პოემაში ხორცშესხმული მოქმედი პირები არიან ჩიტები, მალრანი, ტყე, ჯაგები, ფიჩხი და ეკალ-ბარდებიც ძალაუნებურად აზრი შეგვეცვლება და მოწყენილობას სულაც არ ვიგრძნობთ.

ჩვენთვის უცნობია ქაცვია მწყემსის პროტოტიპი, მაგრამ პოეტი ყველაფრით მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს სინამდვილეში არსებულ ახალგაზრდებთან, რომელთაც ერთმანეთი უყვართ და სურთ უმწიკვლოდ უყვარდეთ.

* * *

„ქაცვია მწყემსი“ ანუ „მხიარული ზაფხული“ ჩვენი აღორძინების ხანის ქართული მწერლობის მშვენებაა. გააზრებითაც, მხატვრული ჭსოვილის სინატიფითაც და შინაარსითაც ეს პოემა იმ დროისათვის ნამდვილი მოვლენა იყო. ორიგინალურია სიუჟეტიც, განწყობილებაც, ლექსის ზომაც და სახეებიც. მაშინ, როცა ჩვენი გამოჩენილი პოეტები გაუგებარ ენაზე ზოგად ჰიმნებსა და ვარდბულბულიანობას, ანბანთქებასა და ზმებს იყვნენ გადაყოლილნი, გურამიშვილმა მკითხველი ქართული ბუნების წიაღში შეიყვანა და აჩვენა ალალი, შრომისმოყვარე, უბრალო ადამიანები, მწყემსები, გლეხები. მათი სიყვარული უანგაროა, მათი განცდები ხალასი, მიზანი — წმინდა ოჯახი. ბუნების ალალმართალი შვილებისათვის უცხოა შური, შუღლი, ღალატი და ვერაგობა.

„ქაცვია მწყემსი“ უდავოდ ნოვატორული ნაწარმოებია. და ამიტომ ჩვენ სრულიად მიუღებლად გვეჩვენება ასეთი განცხადება, — გურამიშვილი ბერული და ასკეტური ულმობლობით ამხედრებულა ბუნებრივი მოთხოვნილებისა და ლტოლვილების წინააღმდეგო. სიყვარულის, ოჯახური სიწმინდისა და ამდენად, ერის მაღალი ინტერესებისათვის ბრძოლა არ გვაძლევს საფუძველს — ასე ცივად ვილაპარაკოთ „ქაცვია მწყემსის“ ავტორზე. ამ პოემაში ვნებისადმი ლტოლვაც საკმაო სისრულითაა ნაჩვენები და ახალგაზრდული გატაცებაც. მაგრამ პოეტი სისპეტაკის დარაჯად დგას, ველურ ვნებას ადამიანური ზომიერების კალაპოტში აჭცევს და დრომდე, შეუღლებამდე თავშეკავებას ქადაგებს. განა ამას ატეხილი ვნების შიშველი დაცხრომისა და გარყვნილების ქადაგება სჯობია? სწორედ ეს იქნებოდა მრუშობის დაკანონება და ქართული წმინდა ოჯახის სისპეტაკის შელახვა. განა მეორე უკიდურესობა არ არის ყველაფრის „ბერულ-ასკეტური“, „სოფისტური“ და სხვა მკაცრი ტერმინების კორიანტელში გახვევა. ერთ-ერთი

სახელოვანი მეცნიერი კატეგორიულად აცხადებდა: „არც ერთი ახალი აზრი, არც ერთი ახალი მოტივი; არც ერთი ახალი გრძნობა, რომელთაც სხვების ნაწერებში არ ჰქონოდა ადგილი, დავითს არ მოეპოვებაო“. პირდაპირ გასაოცარია, რანაირად შეიძლება ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარმა ასე განუკითხავად მოაქციოს პროკრუსტეს საწოლზე შესანიშნავი დიდი ორიგინალური პოეტური ქმნილება? თუ საკითხი ასე გულცივი პოზიციიდან განვსაჯეთ, მაშინ არც ერთ მწერალს არ აღმოაჩნდება ახალი რამ.

გურამიშვილამდე ქართულ პოეზიაში, ჩვეულებრივ, ზღაპრულ ამბებსა და უცხოურ მოტივებს აძლევდნენ უპირატესობას, არჩილ მეფის გამოკლებით, მიღმაქვეყნიური ძალები და ზოგადი სახეები შემოჰყავდათ ნაწარმოებში. ეს ტრადიცია დავით გურამიშვილმა დაარღვია.

რა სხვათა სახეების გამეორებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თვალნათლივ ვხედავთ არა უცხო ცის ქვეშ გაშლილ კარვებს, ხრიოკ უდაბნოებსა და უჩვეულო ხელოვნურ წალკოტებს, არამედ ნამდვილ ქართულ ბუნებას, ქართლ-კახეთის ატეხილ ჭალებს, ფშავ-ხევსურეთის ტყეებსა და ღრეებს, რომლებშიაც სიყვარულის თამაშს ნაცნობი ჩიტები დასჩიკჩიკებენ! ეს სულ სხვა, ახალი სურათებია და ჩვენ მხოლოდ აღტაცება გვმართებს ქართული მწერლობის ციდან დედამიწაზე ჩამოტანისათვის, პოემის ღერძად რეალური ამბების გამოყენებისათვის.

ბუკოლიკური პოეზიის ეს მშვენიერი ნიმუში მოგვცა გურამიშვილმა და ეს მოხდა პირველად ჩვენი მწერლობის ისტორიაში, გარეგნულად თითქოს შემთხვევით, სტიქიურად ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე. მის სამშობლოში მუდამ იყო მთის იდილია. იყვნენ მწყემსები, ჰქონდათ თავისი მშვენიერი ამაღლებული ცხოვრება, უყვარდათ და იცოდნენ ერთგულების ფასი. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი პოეტის გამოჩენა, რომელიც ამ ხელუხლებელ და მიმზიდველ თემას ხელს მოჰკიდებდა. ასეთი იყო გურამიშვილი, და უმადურობა იქნებოდა მისი ნამოღვაწარის შეფასება ასეთი ნიჰილისტური პოზიციებიდან.

„ქაცვია მწყემსის“ იდეური ხაზი პოეტს ასე უბრალოდ და შემთხვევით არ შეურჩევია. ქვეყნის დაცემისა და გადაგვარების ერთ-ერთ მიზეზად მას, როგორც აღვნიშნეთ, სიძვა და სჯულიერი ქორწინების წმირი დარღვევაც მიაჩნია. ზნეობის ამაღლებას, ოჯახური სიწმინდისა და ერთგულების დაცვას თვლის იგი ერის სულიერი აღორძინების ქვაკუთხედად, და ამით, თუ გნებავთ, თანამედროვე მეცნიერულ-მორალურ დონეზე დგას.

პოეტის სიმპათია უბრალო ადამიანების მხარეზეა, მას ხიბლავს „მართალნი, ღვთიანნი, კაცნი კეთილნი“ და მათ მიჰყვება კვალდაკვალ,

დარაჯად უდგას მათს სამაგალითო ზნეობას, რომ უფსკრულში არ გადაიჩეხონ. რა დიდი საქმე იყო გოგო-ბიჭის წამოწვენა სადმე ბუჩქებში და რას მოიგებდა პოემა ამით?

პოეტი ამაღლებული, ჯანსაღი ზნეობის მქადაგებელია და არა წამიერი ვნებების მესიტყვე.

გურამიშვილი ქართლ-კახეთის სოფლებში პოულობს სამაგალითო ზნეობას, პატიოსან შრომას, სპეტაკ ოჯახს, და ძალაუნებურად აძლევს მას უპირატესობის მეშურნე უსაქმურთა, კუდაბზიკა თავადაზნაურთა, „ვარჯოვან ხეთა“ ქედმაღლობის წინაშე. ეს, არისტოკრატი პოეტის მხრით, დიდი ალღოც იყო და დიდი მსხვერპლიც.

პოეტი ბატონყმური ინსტიტუტის ერთგულია, მაგრამ სულაც არ ურჩევს თავადებს გლეხის რბევას. მამა შვილს ასე არიგებს:

ყმა მოგცეს ბევრი, გლეხი, მდაბიო,
გამონოს ნებით, რომ არ არბიო...

* * *

პოემის დასაწყისი უდავოდ ორიგინალურია და ამასთან დამახასიათებელ კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი. თავისთავად საინტერესოა თვით სათაური: „ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლა“: ამ მითიურ ბრძოლაში იბეჭდება გაზაფხული, რომლის ფონზედაც აყვავებული ბუნების წიაღში იშლება ჩვენი პოეტური ქალვაჟიანი...

მაგრამ პოემის დაწერის საბაბი მაინც სხვა რამაა: ვილაც უცნობ რუს მგოსან ქალს „ვესელა ვესნა“ (მხიარული ზაფხული) უმღერია, პოეტი აუღელვებია და შთაუგონებია სატრფიალო პოემა დაეწერა.

ერთს ქალს რუსული „ვესელა ვესნა“
ჩემთვის სახმილად ჩამოეკვნესა.
იმით ჩემი გული
იქნა დადაგული,
შედების ალი!

გულდამწვარი პოეტი ღმერთსა სთხოვს შეწევნას:

ვიწვი, ვიდაგვი მწარედ საწყალი,
არავინა მყავს, დამასხას წყალი.
ღმერთო, გეაჯები,
წყლით სავსე გეჯები
შენ მომაშველე!

გავიხსენოთ, რომ ღმერთი „წყლით სავსე გეჯების“ დაცლაში დახელოვნებულია. ბიბლიაში რამდენჯერ მომხდარა, რომ „გამოელნეს წყარონი უფსკრულისანი და საქანელანი ცისანი განეხვნეს!“ ამრიგად,

ეს წყლით სავსე გეჯების ამბავი შემთხვევითი არაა, არც რითმისა და კეთილხმოვნებისათვისაა მოშველებული, როგორც ზოგიერთი აუბრალოებს ამ დიდი ეროვნული შემოქმედის პოეზიას.

ამის შემდეგ დავითი ისევ ტრადიციული ხერხით მიმართავს შემწეობისათვის უზენაესს, რომ შეაძლებინოს სიტყვის შეწყობა, და უშუალოდ გადადის თხრობაზე:

იჯდა ზამთარი ბროლის ტახტზედა,
ხელი ზედ ედვა ფარ-ხმალ-ლახტზედა.
მზად ყვანდა ლაშქარი —
თოვლ-ყინვა, მას ქარი, —
მოსწონდა თავი.

ეს მოქანდაკის ხელით გამოძერწილი სახეა ბროლის ტახტზე მჯდომი გაპიროვნებული თავმომწონე ზამთრისა. მას თან ახლავს მცველი ქარები: „ლიფსი, ზეფიროს, ფვინიქსი, ბორია ნოტოს“. ზაფხულსაც თავისი ძალები ჰყავს. იმართება ნამდვილი წარმართულ-მითოლოგიური ომი ზამთრისა და ზაფხულის სტიქიებს შორის. უნდა ითქვას, რომ ანტიკური მითოლოგიის ღრმა ცოდნასთან ერთად პოეტი აქ ამჟღავნებს იუმორის დიდ ნიჭსა და სახეებით აზროვნების შესანიშნავ უნარს. თანაც ისე იცნობს სამხრეთის ქარის ღმერთს ნოტოსსა და მის ძმებს — ბორეასს, ზეფიროსს, ევროსსა და სხვებს, თითქოს ბრძენი პოეტი იყოს ჰესიოდეს დროისა.

დამარცხებულმა ქარებმა გაქცევა იკადრეს და ზამთარს მიმართეს: „მიმართა ზამთარმან, ჯავრით, ვით აფთარმან“, ხმალ-გალესილ ზაფხულს შეუტია. გაზაფხულმა სეტყვა დააყარა, „ზაფხულმან თოფხანიდან დაუშინა მომაკვდინებელი ტყვიები, სტყორცნა, თავს მოჰფხანა შეხით ზამთარსა“. ბოლოს კი „გაიქცა ზამთარი, რაშს სტაცა ფაფარი“, „კეკია ქარი“ კი დაედევნა და „არ ჩამოეხსნა“, „სანამ არ ჩაძვრა ქვესკნეთს ზამთარი, აიღო ალაფი, გარდასხა თავს ლაფი და გამობრუნდა!“

ბრძოლა დასრულდა. დასრულდა გაზაფხულის გამარჯვებით. მთელი ეს ანტიკური სახეები პოეტს მხოლოდ მასალად დასჭირდა, რათა სურათი უფრო ნათლად წარმოედგინა. ამისი უფლება ყველასა აქვს. ზეფიროსი, ბორეასი და სხვანი, ოდითგანვე ცნობილი, ფართოდ განზოგადებული სახეები გახლავთ და ამა თუ იმ ეროვნულ კოლორიტში მათ დისჰარმონია არ შეაქვთ.

მეორე თავში „ზამთრის დამარცხება, ზაფხულის გამარჯვება და მწყემსთ პირობის დადება“ პოეტი მარჯვედ ჰქმნის ექსპოზიციას. ესაა წინა თავის გაგრძელებაც და ახლის დასაწყისიც, და რამდენადაც აქ

ბუნება, გარემო თამაშობს მთავარ როლს, ის შეიძლება პეიზაჟური ექსპოზიციის ნიმუშად ჩაითვალოს.

ზამთარს წაუბდა აწ ჰირნახული,
ზურმუხტის ტახტად დაჯდა ზაფხული.
შემოკრბენ ყოველნი
მუნ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.

დავითისათვის უცხოა მშრალი, ცივი აღწერები, ის სახეებით აზროვნების ოსტატია და ასე ხატავს გაზაფხულის შემოსვლასაც:

გაცვდა, გაძველდა ცივი ზამთარი,
შამოეცარცვა ტანთა საფარი.
ზაფხული განახლდა,
საცმელი თან ახლდა
ფერად-ფერადი.

ზამთრით შეწუხებული შიშველ-ტიტველი არსნი გაზაფხულმა ახლად შემოსა, გახადა ძველნი, თავისუფლად გაუშვა. ბუნების მეჯლისი იწყება.

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული,
შაშვი ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დვრინავს ქედანი.
...გამოვიდა დოლი,
გაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი...

ამ შვენიერი, ჰაეროვანი ექსპოზიციის შემდეგ ჩვენს წინ ბუნების სცენაზე გამოდის სამი მშვენიერი მწყემსი ქალი, ერთად ვაძოვოთო, პირობა დათქვეს. ცხვარი ჩირგვებთან მირეკეს, დასხდნენ, თავი ყვავილწნულებით დაიმშვენეს, „იმღეროდნენ ტკბილად, კარგ ხმა განწყობილად, შაექცეოდენ“.

მერე თაიგულებისათვის წავიდა სამივე სხვადასხვა მხარეს, თეთრ ვარდებს დაეძებდნენ. აი, ერთ მშვენიერ ქალიშვილს ნესტვის ხმა შემოესმა, მეგობრების ხმა ეგონა, იქით წავიდა ყვავილთა კრეფით. იქ მწყემსი ნახა წყაროსთან. ქალმა შეჰკივლა, გაქცევა დააპირა. იწყება მხიარული სცენა:

მალ-მალ შაჰყვირა: ვამე, ვამეო!
რა დღე მექნების ან რა ღამეო!
მას წყემსს გაუკვირდა,
თქვა „რა გაუპირდა?“ —
სწრაფად გამოიქცა.

მივიდა, ხელი მოჰკიდა, ცრემლი მოსწმინდა, ჰკითხა, რა გაგიჭირდაო? ნუგეში სცა. ქალმა რომ მწყემსის სახე ნახა, თავისი შიში და გასაჭირი დაივიწყა, შეუყვარდა, ლამის ფეხქვეშ ჩაუვარდა: ჩემო საყვარელო, ჩემო მცველო და მფარველოო,— ასე დაუწყო ლაპარაკი, თუმცა დასაცავი არაფერი ჰქონდა. ყვავილები შესთავაზა: „მე ვარდი შემქმენ, იყავ შენ ია“, ჩემი სახეც იხილე და თუ მოგეწონო, სიყვარულით მიპასუხეო.

როგორც ვხედავთ, ამბავი მიჯნურობისა ორიგინალურად იწყება: ქალი პირველად უცხადებს სიყვარულს, აქტიურობს, ვაჟი კი გონიერებისაკენ მოუწოდებს:

მწყემსმა ქალს უთხრა:
ნუ ასჩქარდები,
ჯერ შენვე გაქვნდეს შენი ვარდები;
ცოტა მოიცადე,
საქმე გამოსცადე,
შეიტყევ მართლა.

ვაჟი რუსთაველს იშველიებს:

ჯერ დაივიწყე კვნესა და ვიში,
თქმულა: „სიყვარულს შეიქმსო შიში“,
ხარ გულით შემკრთალი,
არ ვიცი მართალი,
გიყვარვარ, თუ არა!

მოკლედ, ვაჟი მოთმინებას და ახლოს გაცნობას ითხოვს, რათა გაირკვეს ეს საქმე ღვთიურია თუ ეშმაკური. თუმცა შენთან წოლა მსურს, მაგრამ ვინც დაგვინახავს, დაგვძრახავს, უწესურ საქმეს არ მოგვიწონებსო.

გულუბრყვილო მწყემსი ქალი გაოცებულია, ვინა გვნახავსო?

ქალმან მიუთხრა: რამ შეგაშინა?
ჩვენ ორთ ხშირს ტყეში გვიყურებს ვინა?!
მწყემსმა რა ისმინა,
გულით გაიცინა...

ქალს უკვირს, საშიში რა ვთქვიო? ვაჟი უხსნის: კანონიერი ცოლ-ქმრის საქმე დასაბამიდან ცნობილია, აშკარად ცხოვრობენ, ხუმრობენ, ხელიხელგადახვეულნი დადიან, თავისუფლად წვებიან, შვილებს აჩენენ, ხოლო „უშჯულოებით შეყვარებულნი ტყეში დადიან შეპარებულნი, ჯაგებში ძვრებიან, ავს საქმეს შვრებიან, აქვთ შიში დიდი“. ყველაფრის მათ ეშინიათ,— ჩხიკვ-შაშვ-ეკლისა, ღვთისა...“

მწყემსი ჭაბუკი ჩინებული მორალისტი გამოდგა. ყველაფერს ისე უხსნის, როგორც სამოძღვრებო წიგნებშია. ეტყობა ეს ქალიშვილი ჯერ

არავის დაურიგებია, პირველად ესმის ზნეობის გაკვეთილი. მიამატი ქალიც დაინტერესდა და ვაჟს სთხოვა, ვინა ხარ ამისთანა, შენი თავი გამაცანიო.

აქ იწყება „მწყემსისაგან თავისის მამისა და დედის ამბის თქმა და თავისი სახელის გამოცხადება:“ ეს თავი საყურადღებოა იმითაც, რომ ზნეობრივი სისპეტაკის მაგალითს იძლევა მდაბიო, გლეხის შვილი:

იყვნენ ერთს დაბას მოსახლე ორნი
გლეხნი — სიმდიდრით, საქონლით სწორნი.
ორნივე ჰკვიანი,
მართალნი, ღვთიანი,
კაცნი კეთილნი.

აი, ამ გლეხებს „სამძახლოდ ეჭირათ თვალი“, მოყვრობა სურდათ. ერთ ღამეს ებოძათ ერთს ვაჟი, მეორეს ასული, და პირობაც დადეს: „თუ დაიზარდნენ, შევრთოთ ერთმანეთსაო“. „მერე უფალმან ინება“, დაზარდა დიდნი, დაუახლოვდნენ ერთიმეორეს. ვაჟმა გოგოსთან დაწოლა ინება, გოგომ შორს დაიჭირა, ჯვარდაუწერლად საწოლის შეგინება როგორ იქნებაო:

რა ბიჭს დაუწყო გულისთქმამ ბრძოლა,
მაიწადინა გოგოსთან წოლა.
გოგომ თქვა უარი;
უთხრა, თუ: ნუ არი
ჯერ შენსა გულს.

გლეხის გოგო საკმაოდ გულახდილიც ყოფილა:

აწ რომ დამიწვე და მუცლადვიღო,
ქვეყნად როგორღა ხმა ამოვიღო?
თუმცა ვარ საცოლო,
შვილი რომ მაყოლო,
მერმე რაღა ექნა?!
ჩვენ დაგვარქმევენ ბოზთ, მეძავს, მრუშებს,
და ჩვენ შვილებსა — ნაბიჭვრებს, ბუშებს...

აქ უდავოდ ფიქსირებულია ის მაღალი ზნეობრივი კოდექსი, რითაც ქართველი ქალი უხსოვარი დროიდან ხელმძღვანელობდა.

გოგოს შესისხლხორცებული ჰქონია ზნეობრივი სიწმინდის, ოჯახის სისპეტაკის მთელი ის ათასწლოვანი კანონი, რასაც მშობლები, პატიოსანი ქართველი მშრომელები ჩააგონებდნენ. იცის, რა შედეგსაც მისცემს „თავდაუჭერლად, ჯვარდაუწერლად ბუშის გაგდება“, და ვაჟს ეუბნება:

მე ეს მაქვს ზითვად და ასე მინდა,
შენ მოგიტანო მე თავი წმინდა...

სჯობს ქალი მოკედეს და დაიმარხოს, —
ურიგო საქმე არ დაიძრახოს...

ქალიშვილს პოეტი ათქმევინებს იმას, რაც ხალხს სწამს, რაც თვითონ უნდა იქადაგოს: პატიოსანი ქალი „მარგალიტი, ძვირფასი თვალი“, ხოლო „უნამოსო ქალი, ქვა, ფიქალი მქრქალი“.

ქალიშვილისათვის სირცხვილ-ნამუსი იგივე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია:

მე შენს საცოლოს, შენს შესართავსა,
ნუ იქ, სირცხვილით ნუ მამჭრი თავსა!
სჯობს გამომჭრა ყელი
და არ მახლო ხელი...
თუ შენ მე გამხდი სასაცილოდა,
მე მოგიკვდები უსაცილოდა...

ბიჭი უარზე ყოფილა, ქორწილს ვერ დავუცდიო. ბოლოს გაბრაზებულა კიდეც: „შენ ქალი ხარ წმინდა, მოლოზნობა გინდა, მე სხვას მოვნახავო“, და მოსაჩვენებლად სხვა გოგოსთან წასულა, მასთან თამაშით და ხუმრობით აჩვენა თავი. ცხადია, დანიშნულს ეწყინა, ლამის სული დალია, მერე ისევ მსხვერპლის გაღება ამჯობინა და ბიჭს უთხრა: რაკი ასე სულმოკლე ხარ, დრომდე ვერ ითმენ, სხვასთან ცოდვაში ჩავარდნას, ისევ ის მიჯობს, შენს ნებას დავყვეო:

რადგან არ იშლი, შენ მატან ძალას,
ხვალ ერთად ცხვარი წავასხათ ჭალას
იქ ნება შენია,
რაც გინდა ქენია!
დართო ნებანი.

* * *

ღამით გოგომ ილოცა, ცოლ-ქმრობის გამჩენ ღმერთს შეევედრა, მოუთმენლობა შეგვინდე და ჩვენს წმინდა ცოლ-ქმრობას ნუ მოშლიო.

დილით ჭაბუკი ადრიანად ადგა, გოგოს შეატყობინა, ცხვარი ჭალაში გარეკეს... „რა რომ დააღირა და ქნა დააპირა, ჩხიკვმა შეყვირა!“ ასე იწყება მახვილგონივრულად გააზრებული კომიკური სცენა: ჩხიკვის შეშინებული გოგო და ბიჭი ალეწილები წამოხტებიან, სურვილი დაეკარგებათ. მერე დამშვიდდებიან, ფოთლიან ტყეში შევლენ, და ვიდრე რამეს გახდებიან, ხმელი ფოთლების ფაჩუნი შეაკრთობთ. კაცი ეგონათ, შაშვი გამოდგა. გულგახეთქილები წამოვარდებიან. მერე „ის გოგო და ბიჭი, სადაც იყო ღიჭი, წავიდნენ, შაძვრნენ“. მოთმინებიდან გამოსულმა:

არ დაიხედა მან ნდომით წინა,
საჩქაროდ გოგო წამოაწვინა,
სადაცა ეყარა
მრავლადა ეკალა,
დასცა მაზედა.

გოგომ სიმწრისაგან შეჰკივლა, ბიჭს წიხლი ჰკრა, შორს გადააგორა, იქ ბიჭსაც ეკალი დახვდა, შეესო და მანაც ტირილი მორთო.

ამრიგად, გურამიშვილს ჩინებულად ეხერხება სიუჟეტების შეკვრა და კომიკური თუ სერიოზული თხრობის განვითარება ისეთ ბუნებრივ სიტუაციებში, რომ მკითხველი თავს სრულიად რეალურ სამყაროში გრძნობს, თითქოს ასეთი რამ მასაც შემთხვევია, სმენია, განუცდია.

„ქაცვია მწყემსის“ შინაარსი ვის არ ახსოვს! გოგოს და ბიჭის ტირილი შეშისმჭრელს სმენია, მოვარდნილა, რა გატირებთო? მაშინვე ყველაფერს მიმხვდარა, ორივე გაუკიცხავს: „რაც მოგიპარავთ, ვერ დაგიფარავთო ქურდობა თქვენი“.

თანაც დამუქრებია:

თქვენს დედ-მამასთან გკითხავ მაგასო,
ორთავ ეკალი მანდ რამ დაგასო?
თქვენ რადა სძერებოდით,
მანდ რას შერებოდით,
იქ გათქმევინებთ.

ბიჭი არც ისეთი გულუბრყვილო ყოფილა, როგორც ეკლებში აბღავლებული ყმაწვილისაგან იყო მოსალოდნელი. შეშის მჭრელს ქრთამი აძლია, ჭედილა დაუკლა, კულა სასმელი შეუთავაზა, ოქრო და ვერცხლი აღუთქვა, ძღვენით აგავსებო, ჩვენი შერცხვენით კი რა ხეირს ნახავო? ის კაცი მახლობელი იყო, ბიჭის მამის მოყვარე, მოდი გამოვცდიო, იფიქრა, დაჰპირდა, არ გაგცემთო.

ბიჭმა პირობა შეასრულა. მსუქანი ცხვარი დაუკლა და მამას ძვირფასი თასიც მოჰპარა, მისცა, ოღონდ არ გაგვთქვაო. გაძღა, დაითრო კაცი, დალოცა ახალგაზრდები და არც იუმორი დაიშურა, ეკალიც კი დალოცა:

მე დღეს ეკალამ კარგ ბედს შემყარა,
მღვდელმან აკურთხოს, სადაც ეყარა! —
მას აშოროს ცეცხლი,
მაშოვნინა ვერცხლი,
დამათრო ღვინით!
ამ ჯამს წავიღებ, ქალაქს გავყიდი,
კარგა გამივა, თასია დიდი...

ცხადია, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჟინმორეულ ყმაწვილ კაცს ამდენი რამ დილითვე გაეთვალისწინებინა, ტყეში ასეთი სუფრა გაე-

შალა, მამის თასიც ასე უცბად მოეპარა და ტყეშივე მიეცა მექრთამე მეზობლისათვის, მაგრამ პოეტს გამომგონებლობის და განზოგადების უფლებას ვინ წაართმევს, როცა ეს რეალური სინამდვილიდან გამომდინარეობს!

კაცმა თითქოს უსინდისოდ ისარგებლა თავისი უპირატესობით, რაც შემთხვევამ მისცა, ცხვრის ტყავი და ნარჩენი ხორციც კი აიღო, სუფრა მოხვეტა, გოზაურიც წაიღო, რათა ბიჭის მამისთვის წინ დაედგა, ბიჭი მიუხვდა, პროტესტის ნიშნად აურზაური აუტეხა:

თუ კი არ გვინდობო,
ეშმაკობ-ფლიდობო,
ეგ რად მიგაქვსო?

მეტიც:

კაცს წაეკიდნენ გოგო და ბიჭი,
რად გაჰლექსეო ნაცი და ღიჭი?
ამად დაგჭრთამეთო,
გასვით, გაჭამეთო,
რომ დაგეფარა!

ქრთამი, როდესაც და რა სახითაც არ უნდა იყოს, დასაგმობია, მაგრამ ასეთ დღეში ჩავარდნილი ქალ-ვაჟისათვის გამონაკლისი დაუშვათ.

კაცმა თასი არ დაანება, ბიჭს და გოგოს ჯოხითა სცემა, შინ მივიდა, დიდი ხარჯი გასწია, საყდარში ხალხი აწვია, ბიჭის მამა დაარწმუნა — შენი ცხვარი მე დავკალი, თასიც მე ავიღე, შენს შვილსა და სარძლოს ეკალი გადავკარი, ვატირე, ახლა კი დროა ნადიმზე მეწვიო საყდარშიო. ბიჭის მამა, რომელსაც შვილმა ამბავი სხვაგვარად გადასცა, მოლბა. მღვდელმა კი ისე მოაწყო, რომ მგლოვიარობის მიუხედავად ყმაწვილის მამა მღვდლებმა ჯვარისწერაზე დაიყოლიეს და თანაც მშობლებს უსაყვედურეს: შვილების ქორწინებას რად აყოვნებთო? მგელს რომ ნანადირევი წინ ედოს, პირს არ დააკარებსო? ცეცხლზე რომ თივა იდოს, არ დაიწვისო?

მინდვრად, მთად, ჭალად ერთად დადიან,
ვინ იცის, თუ რას ცოდვას სჩადიან,
დროთ მოსულ ქალ-ვაჟთ რაღას აყოვნებთ,
რად ჯვარს არა სწერთ, ან რად აღონებთ?

ეს საყურადღებო მსჯელობა და დამოძღვრა არც ერთი დროის ქართველ მშობლებს არ აწყენდათ, შვილების დაოჯახებას რომ აჭიანურებენ, ქალს აბერებენ და ქვეყნის მომავალზე არ ფიქრობენ! პოეტს ეს გარყვნილობის მიზეზადაც მიაჩნია:

რად ემსგავსებით ქისტსა და დიდოს,
კერპთა მსახურთა, სჯულით უწმინდოს?
უშიშრად, ურცხვადა,
გვირგვინთ უკურთხადა
ცოლ-ქმრობას შვრებით.

ბიჭის მამა თავს იმართლებს: დედა ახლახან მომიკვდაო, მაშაც კვდებაო, ვგლოვობთ და ლხინს გული არა შვრებაო. მოყვარე კაცმა დაამშვიდა: შეყრა მაინც აუცილებელია, აგერ ხარჯით მე შეგეწიეთ, ქორწილი შემდეგ იყოსო! ოღონდ ამ საქმეს ნუ ჩაშლი, ხარჯის დარდი ნუ გექნებაო!

საქმე ქორწილითა და სიამოვნებით თავდება. ქაცვი გათიბეს, ახალგაზრდებმა სურვილი აისრულეს, ქალმა მაშინვე მუცლად იღო და შვა მწყემსი ბიჭი, რომელსაც „ქაცვია" უწოდეს.

აქედანაა პოემის სათაური „ქაცვია მწყემსი". მისი მოთხრობით თავდება მეოთხე თავი.

ეს ჩართული ეპიზოდი პოემაში ცალკე დგას და საკმაოდ დიდი ადგილიც უჭირავს.

საკუთარი დედ-მამის ამბის მოთხრობით მწყემსმა ჭაბუკმა ქალს აგრძნობინა: უზენაესი ძალის ჩაურევლად ჩვენი შეერთება არ შეიძლება, ცოლ-ქმრობა ზეცაში წყდებაო: ქრთამიც რომ გავიღოთ, კაცი მოვატყუოთ, ღმერთი მაინც არ მოტყუვდებაო:

— შიშითა, ძრწოლითა, შენთანა წოლითა ჯერ ვერ ვიხარებ — ეუბნება ნამუსიანი ბიჭი. — წადი, შენი ამხანაგები ნახე, თუ ჩემი თავი შენ გერგო სჯულიერ ქორწინებით, „შეგირთავ ცოლადა, გვერდ დასაწოლადა".

გოგო დაფიქრდა, რჩევა ჭკუაში დაუჯდა და წავიდა. ახლა ჭაბუკი ქაცვია გოგოს მოეგო, შეწუხდა: ბედი ხელიდან გავუშვი. ბედი და წერა ვერ შევიფერე, „ჩემის გაყრისა არ იყო მწადი", მე კი გავაგდე ამ უდაბურ ჭალაში მოვლენილი ქალწულიო! ვაი თუ დავისაჯო, აღარც მიკითხოს, ნიშნი მომიგოს, სხვამ იქორწინოს, მე გავწბილდეო! იქნებ ვერც ის დააფასონ, ბედი გაუმრუდდეს, მეც დავიტანჯო, ცოდვამ მიწიოსო!

საგულისხმო ისაა, რომ ამ საოცარი სისპეტაკის ამბავში ჭაბუკი მწყემსი თავის უბედობას აგრერიგად არ ჩივის, როგორც იმას წუხს, ვაი თუ ჩემი საცოლე შემიწუხდეს და გაუბედურდესო! და ღმერთსა სთხოვს, თავის საყვარელს ისევ შეჰყაროს „გულითა მართალითა, პირითა ნათლითა, შეურცხვენელად"!

ქალი კი მშვიდობით მივიდა თავის ამხანაგებთან, რომლებიც დაკარგულ მეგობარს ეძებდნენ და დასტიროდნენ. ცხადია, ნახვა გაუხარდათ, „დიდად უყვარდათ მათ ერთმანერთი"

მათ ჰრქვეს: გვეგონა გიკბინა გველმან,
ანუ შეგჭამა დათვმა და მგელმან,
ვსტიროდით, ვსჩიოდით,
ტყეში დავსდიოდით,
შენ დაგეძებდით.

ვის დარჩება შეუმჩნეველი ის იდილიური თანხმობა, დობა, სიყვარული, ზრუნვა, ურთიერთ გატანა, რაც ალალ მწყემსთა ცხოვრების ამ მხიარულ და ამაღელვებელ ამბავში, მის ყოველ დეტალში ჩანს!

ეს ამბავი სულ იუმორისტული ეპიზოდებითაა გამდიდრებული. ქალის ძებნაში მის დობილებს სახედარი ეპოვათ, ახლა ის მიაბეს ჯოხზე, რომელსაც უწოდეს „ქაცვია მწყემსი“, და წილი ჰყარეს, რომელს შეხვდება ჭაბუკი, რომელს მუტრუკიო. ქალიშვილები ღმერთს ევედრებიან, მუტრუკი არ გვარგუნო ჭაბუკის წილო!

ამ დროს გამოჩნდა წილისმყრელი, კაცი ჭკვათამყოფელი, და ქალიშვილებმაც მას მიმართეს. იმან ქაღალდები გაშალა და საქმე ისე მოაწყო, რომ ქაცვია მწყემსი ისევ მის მპოვნელს ერგო: „ვისაც წილად ძეს ძაფი და ნემსი, იმისი იყოს ქაცვია მწყემსი“...

ქაცვია წყემსმა მამას შეუთვალა: საცოლე მიპოვნია, დროა, დასტური მომცეო.

მამამ შორს დაიჭირა (ისევ სიძნელეები!) ჯერ ადრეა, ოცი წლისა ხარ, ქორწილს ვერ გადაგიხდიო! შვილის პასუხი ფრიად დროული და მახვილგონივრულია: სწორად განსაჯე, შენი ახალგაზრდობა გაიხსენეო:

შვილმან დაუწყო მამასა ბჭობა,
რად არ გახსოვსო შენი ბიჭობა,
ჩხიკვ-შაშვ და ღიჭობა, ქაცვ-ნაცთა მირჭობა,
წელთ თექვსმეტობაჲ!

მოკლედ, შვილი მამას ეუბნება, შენი სიჭაბუკე გაიხსენე, საცოლეს რომ სისხლი ადინე და ეკალზე ხევით აატირეო! შენ თექვსმეტი წლისამ ეს გააკეთე, მე ოცი წლისამ როგორ ვითმინოო? ბოლოს ისევ ბოდიში მოუხადა; ხუმრობით მოგახსენე, ნუ მიწყენო, და გავიდა. მამაც მოლბა, ყველაფერი სწორია, რაც მითხარიო, მოიხმო, აკურთხა:

ღმერთმან გაკურთხოს დამბადებელმან,
ცათა და ქვეყნის ამაგებელმან;
გიწვიმოს ციერი, არა გქმნას მშიერი
პურ-ღვინით, ზეთით!

კეთილ სურვილთა შორის სოლომონივით ბრძენი, მდიდარი და სვებედნიერი იყავიო, ძენი მოგცეს და ასულნიო და ა. შ. ერთი „სოციალური შინაარსის“ სურვილიცაა:

ყმა მოგცეს ბევრი, გლეხი მდაბიო,
გამონოს ნებით, რომ არ არბიო;
გქმნას კეთილ მსაჯულად, არვინ ყოს ტანჯულად
უსამართლობით.

მართალია, ყმების ყოლას უსურვებს, თავად უბრალო მწყემსს, მაგრამ არც იმას ივიწყებს, არავინ დაჩაგრო, სამართლიანი და კეთილი იყავიო...

ბოლოს ნება მისცა, წადი, საცოლე მოძებნე შესაფერისიო.

ამ ნებართვას მოსდევს მთელი თავი დარიგებისა, თუ როგორი ცოლი შეირთოს:

შვილო, მონახე ქალი ასეთი,
ჰეშმარიტებით სწამდეს მას ღმერთი.
ერიდე კახპას, ურცხვს, ლოთს და კაპასს,
თორემ გიგინებს დედ-მამას, პაპას;
მალ-მალ გიზამს ჩხუბსა, გაიმახვავს შუბსა,
გაძგერებს გულსა.
გაქვს თუ არა გაქვს, არ გაგიკითხავს,
გეტყვის: არ მაცმევ შაიდიშთ ნიფხავს,
მოგიდებს ყისტებსა, წამოგკრავს ქიშტებსა,
ჩაგამტვრევს ცხვირ-პირს.
ანჩხლი და ურცხვი, თუ არის მრუში,
ზედ შემოგჯდების, თუ ხელით უშვი;
მოგიდებს მიზეზებს, შემოგკრავს მით დეზებს,
დაგიჩხვლეტს გვერდებს.

* * *

ამ თავში მთელი კოდექსია საცოლე ქალის შერჩევისა. დავითი ეჭვით უყურებს ლამაზ ქალებს, არ სწამს მათი ერთგულება, ათასი მპარავი უთვალთვალებს, ვერ დაიცავო; ამიტომაც მამა შვილს ურჩევს:

ნუ გსურს ლამაზი პირ სირინოზი,
არას გაამებს, თუ არის ბოზი...
რაგინდ რომ მცველი იკრთობდეს ძილსა,
მაინც ვერ შესძლებს ბევრსა ღვიძილსა.

თვითონ ქალი უნდა იდგეს ისეთ სიმაღლეზე, რომ არ განშორდეს მფარავს, არ მიეცეს მპარავს. მართალიც არის:

თუ ქალმან თავი თვითონ არ დაცო,
რამდენიც უნდა შენ იმამაცო,
ვერ შესძლებ დაცვასა, თუ შეიქს ტაცვასა
თვით თავსა თვისსა.

მოღალატე ცოლების დახასიათებაში პოეტი კათალიკოსსაც კი გადასწვდება:

თუმცა შეადგა ლამაზი ბოზი,
ძნელად გადურჩეს კათალიკოზი...

ამიტომ გადაჭრით აფრთხილებს ჭაბუკს: „ნუ გინდა ბოზი, ანჩხლი და ლოთი, თუ არ გინდოდეს შენს სახლში შფოთი“, და განაგრძობს:

ნუ გსურს ქალთ ქმრობა შავ თვალ-წარბისა,
რომლისაც გული სხვასთან წარბისა.
შეგიყრის მარაქას, წაგართმევს ბარაქას
სახლსა და კარსა.

ქმრის მოღალატე, უღირსი, როსკიპი და უგულო ქალი ქმარს იზიზღებს, თვალი კუროსაკენ მიუწევს:

ქმარს რომ უნდოდეს მასთან მ...ბა,
ეტყვის: „დამეხსენ, მე არ მინდება“;
მალვითა, ფარვითა, ქურდულად პარვითა
უცხოს კი მისცემს.

თურმე ასეთი დედაკაცი

ქმართან პირზედა წყალს არ შეისხამს,
კუროს რომ ნახავს, ხალებსაც ისხამს,
ქმართან პირს ატირებს, მყვართან ლხინა გაპირებს;
ორგულობს ასრე!
ქმარს თავზედ საბანს გადააფარებს,
ხელს კუროსაკენ გარდააპარებს...

ასეთი ქალი „საუნჯისაგან თავის სახლს დასცლის“, „წახდების შიშველი“, „მასწავლელს ვეღარ ითავსებს“, „სახლს მოსთხრის, დააცლებს“, „არაყს და ღვინოს წყალსავით ასხამს“, კუროს კარგ სადილს უპზადებს და გულის წადილს აუსრულებს, ქმარს დააწყლულებს, „მყვართან აქვს გული“, ქმარს ტყეში გაგზავნის, ქვეშაგებს გაშლის, მყვარს მოეხვევა, „ჩაკოცნის ტკბილად“... პოეტი ასე ამკობს და მთელი ნატურალისტური მოურიდებლობით ხდის ნიღაბს მოღალატე ცოლებს, ისე რომ, თვით სირცხვილ-წამუსზე ხელაღებული დედაკაციც კი სირცხვილით გაწითლდება, თავისი ქცევის ასეთ სურათს რომ კითხულობს.

ბოლოს მამა შვილს ისევ ურჩევს, გონივრულად შეარჩიე ქალი, არ მოტყუვდე, პირის სილამაზეს ნუ უყურებო:

ქალს ნუ უარყოფ თვალად ნასობით,
თუ გწადს სიცოცხლე წელთა ასობით...

თუ ის ერთგულია, არაა ანჩხლი და კაპასი, შენს ბაღსაც გაუფრთხილდება, არას მოიპარავს, სახლ-კარს ყურს მიუგდებს, სხვაზე არ გაგცვლის, ძილ-ღვიძილი ტკბილი გექნებათო.

პოეტს არ სჯერა ლამაზი ქალის ერთგულება:

ლამაზის ცოლის პატრონი კაცი
არს ფიქრისაგან შორს წარნატაცი,
მისთვის შიშნეულობს და მისთვის სნეულობს
შინ არს თუ გარეთ...
იტყვის, ვაი თუ გაფრინდეს შორსა,
თავისის ნებით მიეცეს ქორსა...

მართლაც,

რა არს ლამაზი დედალი ჩრელი,
თუ კი არ უყვარს საკენკის ბყრელი...

ამას სჯობს შეუხედავი, მაგრამ ერთგული:

შენ გეყოლების შავი დედალი,
შენს საქათმეში კვერცხის მდებელი;
ამას იტყვის ჭკურდი: შავია და ცუდი,
რად მოვიპაროო?
შენს კარ-მიდამოს შეიქს კაკანსა,
მოგართმევს კვერცხით სავსე ბაკანსა,
გიჩეკს წიწილებს, გიზრდის ჭვრილ შვილებს,
სხვა რაღა გინდა?

კ. კეკელიძე გაკვრით აღნიშნავს დ. გურამიშვილისა და საადის აზრთა შეხვედრას სიყვარულისა და ცოლ-ქმრობის საკითხებში. მართლაც, საადის ლექსი აზრობრივად ჰგავს გურამიშვილის მიერ „ქაცვია მწყემსში“ გატარებულ შეხედულებას („ქალს ნუ უარყოფ თვალთა ნასობით, თუ გწადს საცოცხლე წელთა ასობით...“). საადი ამბობს: „აჰ, ქვეყნად უბედნიერესია ის, ვინც ცოლთან თანხმობით ცხოვრობს! თუ ღვთისნიერია და ალერსიანია ცოლი, გიხაროდეს, თუნდაც სახით ნასი იყოს. დაიჯერე, ასეთი ჯობს ბოროტ ლამაზ ქალს... კაპას ქალს ერიდე, და, თუ სათნოა, გონჯიც რომ იყოს, შეირთე!“ პატივცემული აკადემიკოსი ვარაუდობს, რომ გურამიშვილი კი არ იცნობდა საადის პოეზიას, თვით საადი იცნობდა ისუ ზირაქის წიგნს, სადაც ასეთი აზრებია გამოთქმული. ისუ ზირაქის წიგნი კი, ცხადია, ცნობილი იყო გურამიშვილისათვისო.

* *

გურამიშვილის სახეებით აზროვნების, მეტაფორიკის ხერხი სრულია, ორიგინალურია და უაღრესი თავისთავადობით ვამოირჩევა. ამ პრინციპს არც „ერთგული და მოღალატე ცოლების“ თავში ჰღალატობს.

ბიბლიური მაგალითით (ადამის და ევას ეპიზოდი), თუ ხალხის გამოცდილებითა თუ პირადი დაკვირვებით, პოეტი მამის პირით ქადაგებს იმ კოდექსსა და იმ მორალს, რაც მას სწამს.

შვილი ბრძნულად უსმენს და სიტყვას აძლევს, მეც ისე შევარჩევ საცოლეს, როგორც მირჩევო. ამის შემდეგ თავის ამბავს გულახდილად გაანდობს: მწყემსმა ქალმა შემიყვარა, ცოლობა შემომთავაზა, მე კი არა ვქენი, უკან გავუშვი, იქ სამ ქალს წილი უყრიათ და ბედით ის ქალიშვილი მაინც მე მრგებიაო.

მამას ასეთი თამაში არ მოსწონს: რას მიქვიან ბედი? ღმერთს თუ ენდობი, ბედს რა ხელი აქვსო!

რადგან შენს საქმეს ღმერთზედა აგდებ,
ბედის ხსენებას რად არ განაგდებ?
რას ჰქვიან აწ ბედი?—ყრმა ვიყავ, დავბერდი,—
ჯერ ვერ მიცნია.

მამის რჩევა მარტივია: რაც ღმერთმა მოგცეს, შავია თუ თეთრი, იმას დასჯერდიო. ყველაფერი ღმერთის ნებაა, არა ბედისო: აშლილობა, სიძვირე, იაფობა და ა. შ. დღეს ვიცით, რომ სიძვირე და იაფობა არსებული სინამდვილის სიავეზე და სიკეთეზეა დამოკიდებული, მაშინ კი გლეხს ასე ესმოდა.

შვილმა ჰკითხა, „თვალთ ლამაზთ ნდომამ“ წარღვნა როგორ გამოიწვიაო. მამამ მოკლედ მოუჭრა: დაბადება რომ მოგითხრო, გაგვიგრძელდება, ქორწილს მოცდებიო. შვილი გაჯავრდა, რა მეჩქარება, რამე მასწავლე, მწყემსები უმეცრების გამო დამცინიანო. მამა თავს იმართლებს, „არც მე მაქვს, შვილო, ცოდნა მაგდონი, ძლივს მისწავლია ან-ბან-გან-დონი“, ჩემს ყრმობაში სულ თურქ-ყიზილბაში გვადგა გარშემო, „მით იკლო სწავლამა, ჩვენში ლეკთ დავლამა წიგნი წარსტყვევნა“.

ამრიგად, ჩვენი პოეტი ქაცვია მწყემსის წმინდა ბუკოლიკურ რომანშიც კი არ უვლის გვერდს ეროვნულ საკითხს, ქვეყნის ძნელბედობას, თურქობასა და ლეკობას.

მამა კმაყოფილებით აღნიშნავს, შვილი ჭკვიანი გამომადგა, ქორწილს არ ჩქარობს, გონების საზრდოსაც ითხოვს, ისეთი სულმოკლე არაა, „ვით მე ჭალას შინა ჩხიკვმან შემაშინა, შაშვ-ქაცვმან, კაცმან... დამაქორწინა, მოლი დამიგო, ცოლთან მაწვინა, მსუსხევდა ჭინჭარი, მიკბენდნენ ჭიანჭველნი, მჩხვლეტდნენ ეკალნი“. შვილს კი ასე მიმართავს: „შვილო, ყოფილხარ ბიჭი ბიჭური, არა გემთხვა რა ჩხიკვ-შაშვღიჭური... ქალთან სურვილისა, წყალთან წყურვალისა გაქვს მოთმინებაო“.

ამ შესავლის შემდეგ მამა შვილს მოუთხრობს მსოფლიო წარღვ-

ნის, ნოეს კიდობნისა და ბაბილონის გოდოლის შენების ამბავს, რაც უდავოდ ხელოვნური, დამამძიმებელი ჩანართია ამ მშვენიერ რეალისტურ ამბავში. თავისთავად ეს გალექსილი ბიბლიური ეპიზოდები უთუოდ საინტერესო პოეტური ადგილებია, მაგრამ მწყემსების რომანში, პოემაში მას აზრი აღარ აქვს, მით უმეტეს, რომ ამ ამბებს დავითი სხვაგან არაერთხელ უბრუნდება.

ხსენებულ ეპიზოდებს მით უფრო არა აქვთ აზრი, რომ მათთან ერთად თავდება „ქაცვია მწყემსი“. ჩვენ გვაინტერესებს მწყემსებისა ამბავი და არა ბიბლიის ცნობილი ლეგენდები. სამწუხაროდ, ეს საქმე გურამიშვილმა სათანადო სისრულითა და ლოგიკით ვერ შეკრა ან მუხთალმა საწუთრომ არ დააცალა ამ საქმის ჯეროვნად გასრულება.

ამის მიუხედავად, „ქაცვია მწყემსი“, ცხადია, რჩება მწყემსთა ცხოვრების ამსახველ საუკეთესო პოეტურ ძეგლად, რაც ჩვენი ეროვნული ლიტერატურის საგანძურს ამშვენებს.

დავით გურამიშვილი და ბუკოლიკური პოეზია

გურამიშვილის ბუკოლიკური მოტივების ძლიერი ნაკადი ბუნებრივად აღძრავს ინტერესს ასეთი საკითხისადმი: რა აქვს საერთო მას ანტიკური ხანის, შუა საუკუნეებისა და XVII—XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ასე ძალუმად წარმომდინარე ბუკოლიკურ პოეზიასთან? იცნობდა თუ არა ამ ნაკადს და იგრძნობდა თუ არა რაიმე ზეგავლენის კვალი: ერთი რამ უნდა განვაცხადოთ კატეგორიულად: ასეთი ზეგავლენა თუ გარკვეული მიბაძვაც კი ანტიკურ მწერლობაში სულაც არ ითვლებოდა ლიტერატურულ სესხებად, როგორც დღეს ითვლება, არც პოეტის სისუსტის ნიშნად. თორემ თვით ვერგილიუსი ბაძავდა ჰომეროსს, თეოკრიტეს, ფლაკი ბაძავდა აპოლონიოსს, და თითქმის ყველა რომაელი პოეტი ბაძავდა ბერძენ პოეტებს, ისევე, როგორც საუკუნეების განმავლობაში სხვები ბაძავდნენ თვით რომაელ მწერლებს — ვერგილიუსს, ჰორაციუსს, ოვიდიუსს, ფლაკუსს, მარციალის, კატულუსს და ა. შ.

არც იმაში იქნებოდა რამე უჩვეულო, რომ რაიმე მოტივი გადმოეღო ჩვენს პოეტს სიტყვის გამოჩენილი უცხოელი ოსტატებისაგან.

მაგრამ აქ მიბაძვა-გადმოღებას ადგილი არა აქვს. დავით გურამიშვილი უაღრესად ეროვნული, მეტად ორიგინალური პოეტია, რომ ვინმესათვის მიებაძა, ისიც იმ ნაწყვეტებისა და პირველი თარგმანების მიხედვით, რომლებზედაც ხელი მიუწვდებოდა.

ამასთან, რაღაც საინტერესო შეხვედრები მაინც არის და ამ გა-

რემოებას აქ გაკვრით მაინც უნდა შევეხოთ. ნიმუშად ვიღებთ ბუკოლიკური პოეზიის და საერთოდ ანტიკური პოეზიის აღიარებულ, გაღმერთებულ წარმომადგენელს, „ბუკოლიკებისა“ და „გეორგიკების“ ავტორს პუბლიუს ვერგილიუს მარონს (70—19 წ. ძვ. წ.).

ვერგილიუსის რიგიანი თარგმანები თვით ევროპაშიც მოგვიანებით, XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ისტამბება, მაგრამ ნაწყვეტები ადრევე იყო თარგმნილი რუსულ ენაზე, და ვინ არ წერდა ვერგილიუსზე! ტუნისში, ბარდოს მუზეუმში ნაპოვნმა მოზაიკამ შემოუნახა კაცობრიობას ვერგილიუსის ერთადერთი საკმაოდ სარწმუნო პორტრეტი. მანტუის მახლობლად შობილი პოეტი უმეტესად ნეაპოლში ცხოვრობდა, უშფოთველად და წყნარად, მხოლოდ როცა კეისარმა ოქტავიანემ მიწის კონფისკაციებით შეაშფოთა იმპერია და ვერგილიუსის მამასაც დაემუქრა მიწის წართმევის საფრთხე, პოეტი რომში გაეშურა, იმპერატორს ეახლა და მამული შეინარჩუნა. იმ ხანებში დაუწერია პოეტს „ბუკოლიკები“.

ვერგილიუსსაც უყვარდა მიწა... მასაც ეწადა შეექმნა დიდი ეროვნული ეპოსი, და, აი, იმპერატორმა ოქტავიანემაც მას მიანდო ეს დიდი საქმე, საბერძნეთს „ენეიდის“ სრულყოფის მიზნით ჩასული და უკან თვით იმპერატორის გემით დაბრუნებული პოეტი გზაში, 51 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

ვერგილიუსს თავის ეპიტაფიაში აქვს მოხსენიებული საკუთარი სამი მთავარი ნაწარმოები.

მანტუაში შობილი ვარ. კალაბრიამ მიმიტაცა,
პართენოპიაში დავიმარხე; ვადიდებდი საძოვრებსა,
სოფლებსა და ბელადებს.

ბუკოლიკურ პოეზიას — „პასტორალს“, მარტივი, სოფლური ცხოვრების ამსახველ ლიტერატურას, შორეულ წარსულში აქვს გადგმული ფესვები. ეს ბუნებრივიცაა. ბიბლიიდანაც ვიცით, ჰესიოდეც დაგვმოწმება და ანტიკის ყველა გამოჩენილი ავტორიტეტიც, რომ ადამიანთა მოდგმის სახსლსავსე პატრიარქები — მწყემსები, მესაქონლეები, მომთაბარეები მთასა და ბარში სატრფიალო თავგადასავლებით იქცევდნენ თავს, მათი თავისუფალი სიყვარული თუ სპეტაკი ოჯახები იქმნებოდა ინტიმური შეხვედრების, საიდუმლო დიალოგების, სიმღერების, მშფოთვარებისა და სიხარულის ვითარებაში. მერმე ეს უძველესი ხალხური საქმე და სიტყვა პოეზიაშიც გარდაისახა, ლიტერატურულ მოვლენად იქცა.

ბუკოლიკური პოეზიის მამამთავრად სიცილიელი თეოკრიტე-სირაკუზელი ითვლებოდა თავისი 30 იდილიით. ევროპის ქვეყნების თითქმის ყველა ხალხის გამოჩენილი პოეტის შემოქმედებაში გაკვრით თუ

ფართოდ წარმოსახული მწყემსური იდილია, კაფიობა-გაშაირება საწყისს თეოკრიტეს „სიტყვა-პასუხში“ იღებს.

ვერგილიუსი, თანამედროვეთა თუ მომდევნო თაობის მემატიანეთა ცნობით სოფლის მოტრფიალე იყო, ამას მისი კლასიკური „გეორგიკებიც“ მოწმობენ, და, რა გასაკვირია, რომ მან აიტაცა თეოკრიტეს ბუკოლიკური მოტივები, რაც საკუთრივ რომაული ლიტერატურისათვის ახალი მოვლენა იყო. აკი ვერგილიუსი თავის მუზას „სიცილიურს“ უწოდებს კადეც, რითაც თვითონვე მიუთითებს შემოქმედებითს წყაროზე, თუმცა თეოკრიტეს არც ახსენებს. განა ეს მეტყველებს ვერგილიუსის ბრმა მიმბაძველობაზე? ყოველი დიდი პოეტი აიტაცებს, გამოიყენებს და განავითარებს ხოლმე წინამორბედთა მიღწევას, მოტივს, იდეას და ამით გვაძლევს სრულიად ახალ ხელოვნების ნაწარმოებს. ასევე უნდა შევხედოთ დავით გურამიშვილის ბუკოლიკურ პოეზიასაც. დიდმა ქართველმა პოეტმა, მრავალმხივ თვითგანათლებულმა შემოქმედმა, ენციკლოპედიურად განსწავლულმა კაცმა უდავოდ იცოდა ვერგილიუსი, მაგრამ ასევე კარგად იცოდა სოფლისა და მწყემსთა ცხოვრება.

მან საკუთარი შთაბეჭდილებითა და შთაგონებით შექმნა სრულიად ორიგინალური ქართული ბუკოლიკური პოეზია, რომლის ყოველი ფურცელი ქართული პეიზაჟის სურნელებითაა გაჟღენთილი. გულუბრყვილობა იქნებოდა მისთვის უშუალო მიმბაძველობის დაწამება — ასეთ ბრალს, სრულიად უსაფუძვლოდ, თვით ვერგილიუსს სდებდნენ მისი დროისა თუ გვიანდელი კრიტიკოსები ლიტერატურისა.

რამდენადაც გურამიშვილი უდავოდ იცნობდა თანადროულ და ოდნავ წინადროინდელ რუს პოეტთა ნაწარმოებებს, მის შემოქმედებაში ბუკოლიკური მოტივები ამ გზითაც შეიძლებოდა შეჭრილიყო. მაგრამ გურამიშვილი თვით ვერგილიუსსაც გაეცნობოდა, რადგან „ბუკოლიკების“ თარგმანი პეტერბურგში უკვე გამოცემულია 1770 წელს, როცა ჩვენი პოეტი 65 წლისა იყო. 1774 წელს პეტერბურგში გამოიცა „გეორგიკებიც“, მაგრამ „გეორგიკები“, ავტორის გენიალობის მიუხედავად, ნაკლებ მაცდუნებელი აღმოჩნდა პოეზიის მიმდევართათვის. ის უმალ გალექსილ სახელმძღვანელოდ იქნა აღიარებული.

1770 წელს უკვე არსებობდა „ენეიდას“ პირველი წიგნის რუსული თარგმანი ვ. პეტროვისა. მალე პოემა თარგმნა ვ. სანკოვსკიმაც.

გურამიშვილის პოეზიის ზოგიერთი მოტივი და თემა გვარწმუნებს იმაშიც, რომ ჩვენი პოეტი იცნობდა ვერგილიუსის პოემას „გეორგიკებსაც“.

„გეორგიკები“ სტილითა და შინაარსით ძალზე რთული, მითოლოგიური სახეებით გაჟღენთილი, ამაღლებული პოეტური ქმნილებაა. პოეტი მიმართავს უცნობ მეორე პირს — უთუოდ მიწის მუშაკს, ადი-

დებს მეცენატს, ღმერთებს, მუზებს, მიწის ნაყოფის მომტან ძალებს. მერე გადადის გაზაფხულის სამუშაოების აღწერაზე. მოგვითხრობს თუ რომელი კუთხე ქვეყნიერებისა რა სიმდიდრეს იძლევა. საგანგებოდ იხსენიებს მითიური დევკალიონის ამბავს, რომელმაც ზურგს უკან ქვების გასროლით ხელახლა შექმნა კაცთა მოდგმა, და ამრიგად, მიწა და მიწის სამუშაოები გაანაწილა ხალხებს შორის. ძირითადად პოეტი ყურადღებას მიწაზე აჩერებს, მოსავლის მოყვანის ხერხებსა და ვადებზე, ნიადაგის ნაყოფიერების მიზნით ნათესთა მონაცვლეობაზე, სამუშაოთა იარაღებზე და ა. შ. ყოველ დროსა და სამუშაოს ამა თუ იმ მითოლოგიურ სიუჟეტს, ამბავს უკავშირებს და იძლევა მრავალ სასარგებლო რჩევას. პოეტი „საგანთა ბუნების“ ავტორივით ფართო ცოდნას ამჟღავნებს მითოლოგიის, ბუნების მოვლენების, პრაქტიკულ სამუშაოთა პოეტურ აღწერილობაში, განსაკუთრებით პურის მოყვანის საქმეში, გვთავაზობს მთვარის მიხედვით ამინდის წინასწარმეტყველების წესებს და ა. შ.

მეორე წიგნს ბაკქისადმი მიმართვით იწყებს: ველური ტყეების, ზეთისხილის, ვენახისა და სხვა ხეხილის ამბავს გადმოგვცემს. ყველა ქვეყანაზე წინ, ამ მხრივ, შეუდარებელ იტალიას აყენებს — „სატურნის მიწას, მოსავალთა დიდ დედას!“ საოცრად დეტალურად და სერიოზულად აღწერს ხეხილის მოვლის, მიწის განოყიერების, ბუნების მოვლენებთან მოსავლიანობის მისადაგების ამბებს.

გაზაფხულიდან დაწყებული შემოდგომამდე წვიმისა თუ ქარის განაწილება დანიშნულებას, მოახლოებული ზამთრის სიცივეების ხასიათს, თხისა და ძროხის დაბინავების, ყურძნის მწიფობის, ოჯახის სიწმინდისა და სიუხვის ამბებს რომ გადმოგვიშლის, უნებლიეთ გვაგონდება ჩვენი გურამიშვილი, რომელიც სულ სხვა დროსა და ვითარებაში, სხვა პოეტური საზომითა და ხერხით დაინტერესებულა იმავე დეტალებით.

მესამე წიგნში ვერგილიუსი იმავე ამაღლებული პათოსით მეტყველებს ტაძარზე, რასაც ის აგებს მწვანე ველზე, პალმის რტოებს მოიტანს, კეისრის ფერხთით დააწყობს, ლაპარაკობს ჯოგებზე, მათს მოვლაზე, მავნე მწერებზე, ამინდზე, სიუხვეზე, კეისრის სასახელო ბრძოლებზე... ხარების ბრძოლაზე... ყოველივე ეს ძალზე პოეტურია, მაგრამ ძალზე გადატვირთულია მითოლოგიური სახეებით და მძიმედ იკითხება.

მეოთხე წიგნშიც მეცენატს მიმართავს: ახლა ციურ მუშაკზე ფუტკრებზე გეტყვიო, და ნამდვილი დაკვირვებული გლეხის სიბრძნეს ამჟღავნებს ამ საქმეშიც. ფუტკარს ქარი უშლის ნექტრის შინ მოზიდვაში, სკა მყუდრო ადგილას უნდა იდგეს, ყვავილოვან ველს საქონე-

ლი არ უნდა თელავდეს, ხვლიკი და წივწივა კვირიონი ჩიტი არ უნდა გააჭაჭანოთო.

ძოკლედ, „გეორგიკები“ — ესაა პოეტური ენციკლოპედია მოსავალსა და მესაქონლეობაზე, ბუნების მოვლენებსა და მეხილეობაზე, პოემა, რასაც პოეტი წერდა „ტოტებგაშლილი წიფლის ჩრდილში“, ისე რომ, დიდებას არ დაეძებდა...

პოეტი კარგად იცნობს მცირე აზიის თოვლიან მხარეს. თმოლის მთას, რომლის ეტიმოლოგიას მეცნიერები ქართულ „თოვლში“ ეძებენ; აცნობს მშობელ ხალხს რკინის მწარმოებელ ხალიბებს, პონტოს (შავი ზღვის) სანაპიროს ე. ი. კოლხურ ტომებს; ახსენებს მითებს, რომელთაც რაღაც იდუმალებით მოცული კავშირი უნდა ჰქონდეს კოლხეთთან...

ვერგილიუსის „ბუკოლიკები“ ძალზე თვალსაჩინო ნაწარმოებია, ეკლოგებად იყოფა და დიალოგებისაგან შედგება. სულ შვიდას სამოცამდე სტრიქონია. ეს ის ეკლოგებია, რომელთაც მთელს შუა საუკუნეებში ბაძავდნენ დასავლეთ ევროპის პოეტები. ძალზე მნიშვნელოვანია პეტრარკას ეკლოგები და ამასთან დაკავშირებით გურამიშვილის ანალოგიური მრწამსი. ბუკოლიკური პოეზია მჭიდრო კავშირშია, ერთის მხრივ, საკუთარ სატრფიალო თავგადასავალთან (პეტრარკასი — ლაურასთან, გურამიშვილისა — უცნობ ლამაზთან), მეორე მხრივ პოეზიის, ბუნების მშვენიერების და ღმერთის თაყვანისცემასთან. ესაა თვით მიწის ძახილი, სამშობლოს ტყე-ველის სიყვარული, ცოლ-ქმრობისა და სპეტაკი ოჯახის შექმნით დაინტერესება. ამდენად ბუკოლიკური პოეზია იძენს დიდ სოციალურ მნიშვნელობას.

მოქმედება უმთავრესად მიმდინარეობს ტყეში, ველზე, მთებში, ყანებში. ამ ტყეს ვერგილიუსთანაც ხშირად მთავარი ფონის მნიშვნელობა ეძლევა. აქ ხდება შეყრა, აღფრთოვანება, დამდურება, სენტიმენტალური გასაუბრება, რაინდული თავგადასავლები... ესაა ოცნება ოქროს ხანაზე, ზღაპრულ არკადიაზე, და არსებითად ეს ერთნაირია ყველა დროისა და ხალხის ბუკოლიკურ პოეზიაში. ამავე სტილითაა შექმნილი ვერგილიუსის „ბუკოლიკები“, ბოკაჩოს რომანი — იდილია „კამეტო“, „ნეაპოლიტანელი ვერგილიუსის“ სანნაზაროს „არკადია“, ესპანელ გარსილასო დე ლა ვეგას „ეკლოგები“, ესპანელი პოეტის ხორხე დე მონტემაიორის იდილიური რომანი „დიანა“, ტასოს „ამინტა“ (მწყემსისა და ნიმფის სატრფიალო რომანი), ფრანგ კლემან მაროს სიმღერები თუ დიდი ინგლისელი პოეტის ედმუნდ სპენსერის „მწყემსური კალენდარი“, რომლის 12 ეკლოგს უდიდესი რეზონანსი ჰქონდა.

XVII საუკუნიდან ბუკოლიკური პოეზია მოდაში შევიდა გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.

ვერგილიუსის, მეტადრე მისი ბუკოლიკური პოეზიისადმი მიბაძვამ თავისი გავრცელება ჰპოვა XVIII—XIX საუკუნეების რუსულ პოეზიაშიც, თუმცა იდილიით გატაცებას, იქაც, ისევე როგორც საქართველოში, რამდენადმე უფრო თვითმყოფი ხასიათი ჰქონდა. დასავლეთ ევროპის ძველი თუ ახალი იდილიური პოეზიის მსგავსება თუ ცალკეული შეხვედრები ცნობილია პანაევის, კრიაჟნინის, სუმაროკოვის, დერჟავინის, ჟუკოვსკის, გნედიჩის, ტრედიაკოვსკის და ლომონოსოვის პოეზიაში.

პირველ ეკლოგაში ასახულია აქ უკვე მოხსენებული ავტობიოგრაფიული ამბავი: რომის მეზობლად მდებარე მიწები ოქტავიანემ თავის ერთგულ მოკავშირეებს დაურიგა. ვერგილიუსის მამაც უმიწაწყლოდ დარჩა, პოეტი რომს ჩავიდა და ჯერაც ჭაბუკმა იმპერატორმა მამამისს მიწა დაუბრუნა. პოეტი არ ახსენებს ოქტავიანეს, მაგრამ მას უძღვნის ეკლოგას, რომელშიაც საკუთარი თავი ტიტირის სახით გამოჰყავს. მელიბეი ეუბნება ტიტირს: ყველა ტოვებს მშობლიურ კერას, შენ კი ტოტებგაშლილი წიფლის ქვეშ წამოწოლილხარ და სალამურს ამღერებო. ტიტირი უპასუხებს: „ო, მელიბეი, ეს სიმშვიდე მე ღმერთმა მიბოძა!“ (ღმერთს ეძახდნენ კეისარ ავგუსტ-ოქტავიანეს). მელიბეი სევდიანი სახით მიერეკება თავის საქონელს უცხო მხარეში და მაინც არ შურს, უკვირს, როგორ უწყალობა იმპერატორმა სიმღერებისათვის მიწა. ტიტირი მეზობელს შინ ეპატიჟება: დარჩი დღეს ჩემთან, ხაჭოც ბევრი მაქვს და ხილიცო.

დანარჩენი ეკლოგები ან საპაექრო საუბრებია მწვალკესა და მოპსეს შორის, ან სოფლის იდილიის ქება-დიდება, „ღმერთის სწორი პოეტის“ ქება, დაფნისის ხსენება, მითოლოგიური დეტალების გაელვება, სიცილიის ბუნების შესხმა, პოეტური სტრიქონები დაფნისას სიკვდილსა და გაცოცხლებაზე, პირას ქვებზე, სატურნის სამეფოზე, კავკასიას არწივებზე, პრომეთეზე, ნიმფაზე, ტყეზე, ოქროს საუკუნეზე, რაც იყო და უნდა დაბრუნდეს; აქვეა ლიკიდის მერისის დიალოგი ქალაქსა და სოფელზე, მწველ სიყვარულზე, რასაც პოეტი უმღერის და თან ნედლი ყლორტებისაგან საფუძლეს წნავს...

მსოფლიოს ბუკოლიკური პოეზიის მთავარ ნიმუშთა თუნდაც ერთი თვალის გადავლებით ვრწმუნდებით, რომ თუმცა დავით გურამიშვილი მრავალ მათგანს იცნობდა, ერთი სტრიქონიც არ გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ რაიმე თვალსაჩინო პარალელზე, დამთხვევის, ზეგავლენისა თუ მიბაძვის შესახებ. დავით გურამიშვილი დიდი პოეტური ინტუიციით მივიდა დამოუკიდებლად ამ თემის ასე ღრმად დამუშავებამდე და შექმნა მისი ნიმუშები, რომელთაც თავიანთი ეროვნულობით, უბრალოებით, დამაჯერებლობით ბევრი საქვეყნოდ ცნობილი ნაწარმოები ვერ შეედრება. მათი ღირსება ისიცაა, რომ არაა გადა-

ტვირთული ზოგადი განყენებული მითოლოგიური სახელებითა და ცნებებით, რომელთა სიუხვე ჰეშმარიტად აძნელებს თვით ლეგენდარული, დიდებით მოსილი ვერგილიუსის კითხვას. ამასთან „ქაცვია მწყემსის“ სარჩული უფრო მიწიერია, ბუნებრივი, ადამიანური; თუმცა ბუნების სტიქიათა გაპიროვნებას და ბრძოლას მასთან მითოლოგიის სამყაროში გადავყავართ, მაგრამ ესეც აქ მხოლოდ პოეტური ხერხია, ჰიპერბოლიზაციაა იმისა, რაც ბუნებაში ნამდვილად ხდება.

დავით გურამიშვილისათვის უთუოდ უცხო არაა ეპიკურეული კოსმოგონია, ბაკქის მხიარული პროცესიები, მწყემსური პოეზიის ელემენტები, მუზების სავანის ამბავი, ბუკოლიკური პოეზიის სიმბოლო — სალამური...

ახლა გავიხსენოთ ნებისმიერი სტროფი თუნდაც პოემიდან „სწავლა მოსწავლეთა“:

> უნდა მხვნელთა და მთესველთა, მწიდვნელთა, გინა მბარავთა
> მზის აღმოსვლითგან ჩასვლამდე შიგ არ შეხედონ კარავთა,
> ცხელის ოფლითა დამწვართა, ჩრდილთ ქვეშე მიუკარავთა,
> რაც იმუშაკონ ჭამონ და აჭამონ ქვეყნის მფარავთა.

ასევე სტროფი „მწყემსობა უნდა სიფრთხილით“ და სხვა მრავალი...

ვინც ამის შემდეგ ვერგილიუსის „გეორგიკებს“ გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ ორი სულ სხვადასხვა ეპოქის, ხალხის, ხასიათის პოეტთა დამრიგებლური ლექსები, სოფლის მეურნეთა საყურადღებოდ დაწერილი, მაინც ერთნაირ სტილშია შექმნილი, ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ორი პოეტი ამ თემას დამოუკიდებლად ამუშავებს. მაგალითად, „გეორგიკების“ I წიგნის 43—50 სტრიქონებშიც ლაპარაკია იმაზე, რომ ადრე გაზაფხულზევე, როცა თოვლი დადნება, მხვნელმა და მთესველმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ბარვა, ხვნა, გუთანს მოჰკიდოს ხელი, ხარებს უღელი დაადგას, სახნისი ააპრიალოს, კვალი გაავლოს, რათა მერე ყანამ სიუხვით უპასუხოს: არ უნდა მოისვენოს, გაარკვიოს ამინდი და ა. შ. ეს იგივე ამბებია, ოღონდ სხვადასხვა სახით დამუშავებული, ვერგილიუსის მთელი დიდი პოემა ასეთი ამბებისადმია მიძღვნილი, გურამიშვილი კი გადადის იმაზე, როგორი უნდა იყოს ხელმწიფე, მიჯნური და ა. შ.

ამრიგად, რაიმე უშუალო კონკრეტული ურთიერთდამთხვევა ვერგილიუსის „სოფლურ პოემებსა“ („ბუკოლიკები“, „გეორგიკები“) და გურამიშვილის ბუკოლიკურ თუ, საერთოდ, სოფლურ მოტივებს შორის არ გვხვდება, მაგრამ უნივერსალური პოეტური გაქანებით და შრომისაკენ მოწოდებით ეს ნაწარმოებები მაინც ერთ დიდ მიზანს ემსახურებიან: მოუწოდებენ სახელმწიფოს, ხალხს, პატიოსანი შრომისა-

კენ, ომების გმობისა და დედამიწაზე სიკეთის დამკვიდრებისაკენ, ორივე ადიდებს მოსავალს და მიწას — მოსავლის დედას.

„გეორგიკები“ იშვიათად თუ მიაჩნია ვინმეს „ბუკოლიკებისა“ და „ენეიდის“ შესადარ ნაწარმოებად, მაგრამ მას ბაძავდნენ გამოჩენილი პოეტები, იცნობდა შექსპირი, ასწავლიდნენ სკოლებში, იყენებდნენ გამოუცდელი მიწის მუშების სახელმძღვანელოდ.

დ. გურამიშვილიც, მსგავსად ვერგილიუსისა, შრომის სუფევის, იდილიის, საყოველთაო ჰარმონიის ოქროს ხანაზე ოცნებობს.

თუ „გეორგიკების“ ავტორი კეისრის მეუფების, იტალიის დიდების კლასიკურ დროში მოღვაწეობდა, დავით გურამიშვილი ან უცხო ხალხისაგან გაპარტახებულ, ავაზაკთაგან აკლებულ მამულში ცხოვრობდა, ან შორეულ ჩრდილოეთსა თუ დასავლეთში ოცნებობდა სამშობლოს ხილვაზე, რაც ბედმა არ აღირსა. ეს ძნელბედობა ამაღლებს მისი პოეზიის აზრს.

დ. გურამიშვილს ხომ მეტად ცოტა დრო ჰქონდა იმისათვის, რომ „ტოტებგაშლილ წიფლის ჩრდილში“ ეწერა დამშვიდებით! იმპერატორს მის მიმართ ხომ არ გამოუჩენია ისეთი ზრუნვა, როგორც ოქტავიანემ გამოიჩინა თავისი კარის პოეტისადმი, რომელსაც მამული დაუბრუნა, და ერთთავად პატივში ჰყავდა! გურამიშვილი ერთთავად ტყვეობაში, ბრძოლის ველზე, გაპარტახებული ადგილ-მამულისათვის ზრუნვასა და მამულის ხილვის ნატვრაში იყო. გურამიშვილმა მაინც მოიპოვა თავისი გონითი ნაღვაწით გამარჯვება.

სიბრძნისმეტყველი დავითი

„სარკის მზის შუქით ციალსა
უწოდენ ქართველთ ერია“.
დავით გურამიშვილი

დავითის სიბრძნე თამამად შეიძლება საანდაზო ხატოვან თქმად ვიხმაროთ. არსებითად ამას ყოველი ქართველი ხმარობს უკვე დიდი ხანია, და ხალხი არასოდეს შემთხვევით არაფერს აკეთებს.

თვით „დავითიანია“ ამ სიბრძნის უშრეტი სალარო.

არა ყველა დიდი პოეტის შემოქმედებაში მოიპოვება ორი, თუნდაც ერთი ისეთი სტრიქონი, რაც ქვაკუთხედად ედება მთელ მის შემოქმედებას; რაც ყოველი რიგითი მკითხველის ცნობიერებაში შეუფერხებლად ამოტივტივდება, როგორც კი ავტორს ახსენებენ; რაც მთელს ერს შეუსისხლხორცებია და სამუდამოდ დაუწერია გულის ფიცარზე.

დ. გურამიშვილის შემოქმედებაში ასეთი სტრიქონები მრავალია, აი თუნდაც ეს:

ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჰამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა...

ასე იწყება „დავითიანი“.

ამით დავითი თითქოს მოუწოდებს მკითხველს, ყური მიაპყროს მთელს მის აღმზრდელობით მოძღვრებას, აითვისოს ის იდეური მრწამსი, რაც მშვენიერ ლექსებში იქადაგა, რაც მთელი მისი შემოქმედების მიზეზი და მიზანი იყო.

„დავითიანის“ პირველსავე სტროფში პოეტი ტრადიციული წესით მიმართავს „უსჯულოთ მომქანცველ“ ღმერთს, რომ „მიახვდინოს წადილსა“, არ აქვნდეს ცუდად ცდომანი“, მერე კი იწყებს სიბრძნის სიტყვას, რაც ქართველთა მეგვარტომობას, სპა-ჯარსა და წყობას ეხება. აქაც იჩენს თავს გურამიშვილის საოცარი მოკრძალება, „ცუდი მოშაირის“ ბოდიში, ეჭვი და იმედი, რომ „სადაც ყველა მღერის, იქ, ალბათ მასაც ეთქმის ერთი ქართული“. შოთა, თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, იაკობი, ბეგთაბეგი, ნოდარი, ოთარი, ონანა, მამუკა — ყველანი „მღერენ და მეც ბანს შევაწყობ, დამგმობენ ამაზე რასა?“ მართლაც, კარგს საქმეზედა მიბაძვა არა რა დასაძრახია. თუ პოეტი სიცრუისა და ცუდის მეზღაპრე არაა, სიბრძნეს ქადაგებს, ის სახსარგებლო საქმეს აკეთებს, თუნდაც ცუდი მოშაირე იყოს. ამრიგად, დავითი მაღალ დანიშნულებას ხედავს პოეზიაში, სწავლა-სიბრძნისა და სიკეთის ქადაგება — მიაჩნია მის უპირველეს ვალად, და ისეთი მაღალი წარმოდგენისაა მწერლობაზე, რომ თავს უღირსად თვლის, გამოჩენილ ქართველ პოეტთა შორის მოიხსენიონ.

პოეტი არ მალავს, რომ სწავლის ძირი მწარეა, მაგრამ „კენწეროში გატკბილდების“, და „მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა“...

სწავლა-აღზრდის და მასთან დაკავშირებით სიბრძნის დიდ საკაცობრიო საკითხს დავით გურამიშვილი ეხება ძირითადად „ქართველთა მეგვარ-ტომობის იგავსა“ და ცნობილ ლექსში „სწავლა მოსწავლეთა“, მაგრამ დავითის სიბრძნე გაბნეულია მთელს „დავითიანში“.

გურამიშვილის პოეზიის ფართო დიაპაზონს ქმნიდა არა მარტო მისი ნიჭი და სიბრძნე, არამედ ცხოვრების დიდი გამოცდილება, მრავალისმნახველობა, სწორედ შენიშნავს დმიტრო კოსარიკი: „დავითიანის“ ავტორმა მოიარა ფართო გეოგრაფიული სივრცეები — გორისუბანი და მირგოროდი, ლამისყანა და ზუბოვკა, თბილისი და კიევი, არაგვი, დნეპრი და ოდერი, გორი და მოსკოვი, მცხეთა და პეტერბურგი, ზედაზნის გორაკები და ვოლგის ტალღები, კასპიისა და ბალ-

ტაის ზღვები, ირანი და პრუსია, ოსმალეთი და შვეცია, დაღესტანი და მაგდებურგი, დერბენდი და ხოთინი, ასტრახანი და კიუსტრინი, ცარიცინი და ბერლინი, კავკასიის მთები და კარპატები. დავით გურამიშვილი გახდა დიდი ისტორიული ამბების მოწმეც და მონაწილეც".

დღეს წარმოდგენაც გვიჭირს, რა ძნელი იყო ამდენის ნახვა იმ დროისათვის! ამ წუთისოფლის უსწორმასწორო გზაზე გამოიწრთო, დადინჯდა და დაბრძენდა მგზნებარე ქართველი ჭაბუკი, „და ვით დაღამდა, ისე გათენდა". გათენდა და ჩვენს თვალწინ გადაიშალა გურამიშვილის დიდი ცხოვრებისეული სიბრძნის ზღვა, რომლის ტალღების ლივლივი ერთიანად ხიბლავს დიდს და პატარას.

დავითი დიდი დიდაქტიკოსია, დიდი მორალისტი, და მისი რჩევა-დარიგებაც მიმართულია ახალგაზრდობისადმი: „ბერს გამოცდილთ არა ვჰკადრებ, მოგახსენებ ახალ ყრმათა".

ამ მიზნით იწყებს თავის ვრცელ პოემას.

დიდი პოეტი-პედაგოგი მკითხველის საყვედურსაც თავმდაბლურად ითვალისწინებს: „თვით არ გაქვნდა ზრდილობა", ე. ი. არ მიგიღია განათლება და ჩვენ რას გვასწავლიო.

ამაზე პოეტს მზადა აქვს მოხდენილი პასუხი.

უცოდინრობა ავია,
მაქვს ამის გამოცდილება,
ჩემსავით სიცხით ნუ იწვით,
მონახეთ ნიავ-ჩრდილობა.

ანალოგიური აზრი სხვაგანაც გვხვდება: „თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა", და მათ არ მიჰბაძოთო!

აღზრდას იწყებს ბავშვის მორჩილების, გაგონების, ღვთისადმი მოწიწების ჩანერგვის სულისკვეთებით. სიბერეში სწავლა ძნელია, ყმაწვილი უნდა განიწვრთნას, ვიდრე დროა, და განიწვრთნას მცოდნე, ბრძენ, კეთილ ქრისტიანად.

დავითს სძაგს მცონარა და უმეცარი. მისთვის „სწავლაზე ურჩი და მორცხვი თვალით არ დასანახია", უწვრთნელი შვილის ყოლას უწვრთნელი ძაღლის ყოლა სჯობს, ხოლო „ჭკვის უკეთესი საქონლად არარა საქონელია".

ეს აზრები სხვასაც მრავალს უთქვამს, მაგრამ თქმაც არის და თქმაც. როგორც „ლეკვი ლომისა სწორია" შოთამ თქვა და აღმოსავლელ პოეტთა ყველა ანალოგიური თქმა დაჩრდილა, ისევე დავითი თავის სადა, ნათელი და ღრმააზროვანი სტრიქონებით ჩრდილავს სხვა მთქმელებს.

პარალელების მაძიებელი იოლად გაიხსენებს, მაგალითად, არჩილ მეფის სიტყვებს:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა, არც ისე მოუხმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქეს არგამხმარია,
სად წახეალ, თან გამოგყვებათ, საგძლადაც, მგონ, სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთ გახლავს ცათა კმარია.

დაკვირვებული მოწაფეც მიხვდება, რომ აქ აზრობრივ ანალოგიებთან, თანაც ფორმისა და სტილის მსგავსებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, მოხდა ისე, რომ ხალხს არ ახსოვს მეფე-მგოსნის სტრიქონები, უცხო ცის ქვეშ დაბერებული და დასამარებული დავითის სწავლა მოსწავლეთა კი ბავშვობიდანვე შეგვთვისებია და დღესაც გვახსოვს. აი, ესაა საიდუმლო იმ ჭეშმარიტი პოეტური გენიისა, რამაც გურამიშვილის სიტყვას უკვდავების ვიზა უბოძა.

მკვლევარები ბევრს წერენ გურამიშვილის მსოფლმხედველობის ქრისტიანულ-რელიგიურ ნიადაგზე, რაზედაც არის აღმოცენებული მისი დიდაქტიკური პრინციპები, მაგრამ ეს მსჯელობა ძალზე მოშაბეზრებელია. ცხადია, გურამიშვილი ქრისტიანი პოეტია და მაშ მაჰმადიანური რელიგიის დოგმებს ხომ არ იქადაგებდა! გავიგეთ, ის არაა მეამბოხე, ქრისტიანულ კდემას ქადაგებს, მაგრამ ეს არ ამცირებს მისი პოეზიის არც მხატვრულ, არც აღმზრდელობით მნიშვნელობას. თუ ის ყმაწვილს ასწავლის, „ხმა მოუმდაბლე ორღანოს, აშიყმაშიყად სტვენასა“, ითმინე და ისწავლეო, ეს გარკვეულ დრომდე საერთოდ გონივრული რჩევაა, რასაც ყმაწვილებს ყოველი ბრძენი მასწავლებელი აძლევს. ჯერ სწავლა, მერე გავლაო, ხალხსაც უთქვამს.

სიტყვამ მოიტანა და ეკლესიის მსახურთა ღვაწლზეც უნდა ვილაპარაკოთ. ბევრის თქმა არ გვინდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი იყვნენ იაკობ ხუცესი, ათონელები, საბა ორბელიანი... მონასტრის ბერი იყო ახალგაზრდობაში ჯორდანო ბრუნო, ეკლესიის რეფორმატორი იყო ლუთერი, რომელმაც „ბიბლიის“ თარგმნით შექმნა გერმანული კლასიკური პროზის ენა... ქრისტიანობა ჩვენში იყო ეროვნული დროშა, რომლითაც ამარცხებდნენ უსჯულოს, რომლისთვისაც ეწამა მრავალი მამულიშვილი. ქრისტიანობა იყო გადამთიელ მომხდურებთან ბრძოლის დროშა. წერა-კითხვა, მწიგნობრობა, სიბრძნის სიტყვა, სასულიერო და საერო მწერლობის მთელი საგანძური ამ სარბიელზე იქმნებოდა, აქ ეყრებოდა საფუძველი სწავლა-განათლებას. ერთი ამბავია ეს და მეორე — ის სქოლასტიკა, დოგმატიკა, ბნელეთის მოცქულობა და სხვა მკაცრი სიტყვები, რომელთა შემწეობითაც რელიგიის არსს ვაშიშვლებთ ხოლმე.

ამ თვალსაზრისით დღეს ნამდვილი შეუგნებელი ჩამორჩენილობა და ტლანქი პროვინციალიზმია ეკლესია-მონასტრებთან დაკავშირებული ძველი მოღვაწეების ხელაღებით გამოცხადება „რეაქციონე-

რებად“ და კლერიკალიზმის მსახურებად, რაც ზოგიერთმა სწავლულმა დღემდე კიდევ ვერ მოიშალა.

ასეთი უმეცრებიდან ჩვენი მეცნიერება შორსა დგას და ამიტომ არც გურამიშვილის პოეზიის რელიგიურობა გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ მის ასკეტურობაზე და საზიანო ტენდენციაზე. ასეთი გაგება დღეს ისტორიის არქივში ინახება და დღის სინათლეზე აღარ უნდა გამოვიტანოთ.

არ შეიძლება ყველაფრის გადატანა რელიგიურ ლიანდაგზე. პოეტი „საღვთო სიბრძნის“ შესწავლას ითხოვს, მაგრამ ბავშვმა ისიც უნდა იცოდეს, „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“, რომ უცოდინარობით სადმე ხნარცვში არ ჩავარდეს. განა მარტო ტაძრის გზაზე, — წუთისოფლის მრუდე გზებზე სასიარულოდაც ამზადებს დავითი მოსწავლეთ. მისი სახელგანთქმული „სწავლა მოსწავლეთა“ დღესაც ისეთივე უცვლელი სასკოლო ლექსია, როგორიც იყო ორასი წლის წინათ. არც დაკარგავს ის მნიშვნელობას, ვიდრე არსებობს ადამიანი. სწავლაზე, ცოდნაზე დავითი ისე ლაპარაკობს, როგორც განუსხვისებელ განძზე.

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი;
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი;
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

იგივე აზრი მომდევნო სტროფში სხვა სიტყვით მეორდება („ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეტარების“) და ძლიერდება ახალი აზრით:

ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეყარების:
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჰკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჰკვა ცოდნით მოიხმარების!

ეს ნიშნავს, რომ გაუწაფავი, ცოდნით შუქმოუფენელი ბუნებრივი ჰკუა და ნიჭი უსარგებლოა, გამოუსადეგარი, ან პოეტისვე სიტყვით რომ ვთქვათ:

ჰგავს უხორთუმო სპილოსა ჰკვიანი კაცი ბრიყვია!

ამას მოსდევს გურამიშვილისეული ვრცელი შედარებების რიგი, რაც თვალსაჩინოდ ნათელჰყოფს ცოდნის სიკეთეს:

ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს, —
ეგრეთ ჰკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

პოეტი-განმანათლებელი ყველა ხერხს, შედარებას, საბუთს, ინტონაციასაც კი იყენებს სწავლის სადიდებლად:

ესმებნე და ვერა ეპოვერა მჯობნი ამ სწაელა მცნებისა...
. . . . . .
ბრძენი სადაც არს, დარნების, საუნჯე თან ექნებისა.

დავითიანის შესავალში პოეტი გარკვევით გამოთქვამს თავის მრწამსს ბავშვის აღზრდის თაობაზე: პოეტი სიმკაცრის მომხრეა, ყმაწვილი ჭკუაში ჩადგება, მშობლებს გამოადგება:

ნუ გენაღვლების სწაელაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლურების ტკივილი,
რა მოიზარდოს, მოყვინჩილდეს, მამლურებ შექმნას ყივილი, —
უფრთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექმნა ჩივილი.

პოეტი მშობლებს ურჩევს: „რაც არა ჰხამდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკლადა“, და მოსთხოვს, ცემასაც არ დაერიდოს, თუ ყრმა არ ემორჩილება, თანაც ბიბლიას იმოწმებს: თუ აბრაამმა თავისი ძე ისააკი დასაკლავად გაიმეტა, შენ წვრთნაზე ბავშვი გასაწკეპლად როგორ არ გემეტებაო!

შემდეგ ლაპარაკია უწვრთნელ ძაღლზე: სახლშიაც არავინ შეუშვებს, ლუკმას არავინ აჰმევსო. ადამიანი კი...

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთელის შვილის ყოლასა.

ეს დებულება ასეა დასაბუთებული:

პატრონსა ძაღლი უწვრთელი მეტს ვერას ჰკადრებს წყენასა:
ან პურს მოსტაცებს, ან ხორცსა, ან წყალს ამოჰკრავს ენასა;
მშობელთა შვილი უწვრთელი აროდეს მისცემს ლხენასა,
სულთა წარუწყმედს და ხორცთა ციუთხრობს მით შერცხვენასა.

უსწავლელ ძაღლს ერთგვარი სარგებლობა მაინც მოაქვს: სახლის გარშემო დარბის, ყეფს, ქურდს არ მოუშვებს, უსწავლელი შვილი კი „ღამით კარსაც არ მისჯარავს“, ქონებას გაანიავებს და ვერაფერს შექმნის; ხოლო „სიბერეში გაწბილდების, რიკ-ფაინის დრო გარდუა, ვეღარ გაჰკრავს, ჩაჰბილდებას“. სწავლა კი ძნელია, მაგრამ ვინ არ იცის დავითის აფორიზმი:

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებაის!“

რა კუთხიდანაც არ უნდა მიუდგეს სწავლა-აღზრდის საგანს, დავითი ყველგან პოულობს შესაფერის სიბრძნის სიტყვას, აფორიზმს, ნათელ აზრს, რაც საუკუნის ნათელი გონებიდან გამოდის: აი, თუ კაცს ცოდნა არა აქვს, მარტო ბუნებრივი ჭკუა ვერაფერს უშველის.

ამოუწურავია დავითის ხატოვან შედარებათა საგანძური. ათასნაირი ხერხით ამტკიცებს სწავლის ანუ წვრთნის ღირსებას:

„ვსძებნე და ვერა ვპოვე რა მჯობნი ამ სწავლა-მცნებისაო“, —განაგრძობს პოეტი. ბრძენი სადაც უნდა იყოს, საუნჯე თან ექნება, ჩემსავით თხოვნას არ დაიწყებსო.

აქ დავითი ნაირნაირი საქმიანობის ჩამოთვლაზე გადადის და არჩევანს მკითხველს უტოვებს.

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ვაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა.
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა,
გლახა კარის-კარ თხოვნითა, შენა გწადს აწ რომელითა?

ამ „შვიდიოდ სარჩოს ძიროობას“ პოეტი უმატებს კიდევ სამს: ხელმწიფობას, მწყემსობას და მიჯნურთა სურვილს. შენ რომელს აირჩევო? — ეკითხება მოსწავლეს. უცნაური კია, მაგრამ ამას მოსდევს ათავე „ხელობის“ აღწერილობა. ცხადია, ეს აღწერილობაც საინტერესოა იმით, რომ პოეტი თავისი საკუთარი თვალსაზრისით ახასიათებს ყველა ხელობას, ყველასგან მოითხოვს თავისი საქმის ცოდნას, ერთგულებას, თავდადებას, სიმამაცეს, სამართლიანობას, პატიოსნებას და ა. შ. ბოლოს კი ბრძენს ახასიათებს: „აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერიო!“ დასკვნაც ბრძნულია:

„ბრძენის ურიგო ქცევითა ბაძით წახდების ერიო!“

ჯერ მწარის ჭამა, ჭირს ყოფა, ლხინში შესვლა, შრომა, გარჯა, სწავლის სრულყოფა და მერე განსვენებაა დავითის მოძღვრების ქვაკუთხედი, და ესაა ცხოვრების სიბრძნე.

ყველა ხელობა თავის ადგილზე კარგია და საჭირო, არავის არ ეპატიება სიყალბე და ქედმაღლობა... და ისევ ბრძნული აფორიზმი:

„სჯულს ღმერთსა ამპარტავნობა მეტადრე გლახა მწირისა“.

ვისაც რა უნდა, ის აირჩიოს, ოღონდ სწავლა უნდა სიყრმეში, თორემ:

ვით ძნიად წნორი ბერ-ფუყი დაიგრიხების წნელადა,
აგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა...

დავითი მოსწავლეს დროზე აფრთხილებს: სისულელეებით არ აავსო შენი ლამაზი სული, მავნე სიტყვას ნუ შეისმენო:

ალაბულათი ნუ ავსებ წმინდად გარცხილსა მენასა,
გაგიჭირდების გარეცხვა, შეიქ ოხვრას და ქშენასა;
იტყვი: „რა უყავ ჩემს თავსა, დაიწყებ კბილთა ღრჭენასა:
— დავით რომ კარგად მასწავლა, მე იგი რასთვის მენასა?“

ყმაწვილმა მრავალმხრივი განათლება უნდა მიიღოს, ქვეყნის ავკარგი გაიგოს, ალღო აუღოს, რომ სადმე ხნარცვში არ ჩავარდეს. „ულაგმო და უსადაო“, არავინ გაკილოს და „არც სხვისგან გაიკილოსა“.

მე თუ უსწავლელი ვარ, მით უფრო ვუქადაგებ სხვას სწავლას, რომ ჩემებრ არ დაიჩაგროს, მახვილგონივრულად შენიშნავს პოეტი, და მოხერხებულად ამუნათებს სწავლის მძებნელს: თუ გნებავს, სოლომონ ბრძენსაც ნუ მოუსმენ, „სიტყვა დამირთავს ნებისაო“. მომდევნო სტროფში ჩვეული მახვილი ირონიის მოშველიებით დასცინის უგნურსა და მოუაზრებელ ადამიანებს, ავსა და კარგს რომ ვერ არჩევენ და მშრალზე რჩებიან:

მინახავს ერთი პირუტყვი გორსა და ახალგორსაო,
თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვას კი უკეთებს ჯორსაო!

დავითის დარწმუნების მეთოდი თანმიმდევრული, მრავალწახნაგოვანი და რთულია. რუსთაველის ცნობილი აფორიზმიც გამოუყენებია სხვა ფორმით: კარგი მკურნალი სხვას არგებს, თავს ვერა, მეც ასე ვარ, თავს ვერ ვარგე, თქვენ გარგეთ და „ამით რათ მიზამთ ჯაჯაოსაო“, — ე. ი. რად მტანჯავთ, რად მემდურითო!

დავითი ბუნებით მოკრძალებული, თავმდაბალი პოეტი, შინაგანი ინტუიციით გრძნობს თავის მოწოდების სიმაღლეს, თავისი სიბრძნის ძალას, პოეტურ მასშტაბებს, და სწორედ ბიბლიური დავითის უბრალოებით შეჰყავს საკუთარი თავი მსოფლიოს სიბრძნისმეტყველთა, წინასწარმეტყველთა, მასწავლებელ-დამრიგებელთა პლეადაში: „ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა“, „დავითის მცნება ისმინე, განაგე გასაგონია“, „დავითს რაც უთქვამს, სწორია“...

მისი ზოგიერთი ლექსი თავიდან ბოლომდე გალექსილი აფორიზმების კრებულია. უბრალო და თითქოს ათასჯერ თქმულია ეს აზრები, მაგრამ პოეტური სინატიფისა და აფორისტული ლაკონურობის წყალობით დამოუკიდებელი არსებობის უფლებას იძენენ: ტყეეობაში მყოფი დავითი ბიბლიურ სეხნიასავით თხზავს სიბრძნის წიგნს:

სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია;
ბაღ-წალკოტისა მოქმედთა ია დასთესონ, რგონ ია.
თუ სნეულებას უფთხოდე, ჰამე, სვი შესარგონია;
თავს გაუფრთხილდი, არ უყო საქმენი ურიგონია,
დალივე საბრძნო წამალი, დაღვარე საშმაგონია...

შემდგომი ნაწილი ამ ლექსისა აფორიზმების კრიალოსანია:

ეს არ ჰორია, სწორია, რაც სიტყვა გითხარ, ორია:
ქვად არა წმინდათ ცონარი, თქმულა, კამეჩის სკორია;
უქმად ბევრისა მჭამელი გაუმაძღარი ღორია;
ყურ-მძიმე, ლაფში ჩაფლული ზანტი უღონო ჯორია
... ძალ-მოკლებულ არს მცონარი, ვითა მდინარე მდორია;
მხნეძან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორია
მხნე იყავნ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია!

დავითი შეურიგებელი მტერია მხდალთა, ჯაბანთა, მუხთალთა, მოღალატეთა, ზანტთა, უსაქმურთა, მუქთახორებისა და გაუმაძღრებისა.

* * *

დავითი დიდი დიდაქტიკოსია. სოფლის სიმრუდემ, ეპოქის სისასტიკემ, გამწარებულმა ცხოვრებამ იგი რელიგიურ-მისტიკურ სამყაროში გადაისროლა, ოღონდ მას აქაც შერჩენია ჯანსაღი, პრაქტიკული აზროვნება. დაუბინდავი გონება, დიდაქტიკის მძლავრი იარაღი მოუმარჯვებია და როგორც გამოცდილი ბოცმანი, მარჯვედ ატარებს გუმს, წყალქვეშა მეჩიჩებს არიდებს, ცდილობს გონივრული რჩევითა და შეგონებით შეუმსუბუქოს მიწის შვილებს ამქვეყნიური დარდი, გაარიდოს ხიფათს და მომზადებული შეახვედროს ყველა ძნელბედობას.

აქედან მოდის გურამიშვილის, როგორც სიბრძნისმეტყველის მთელი დიდაქტიკური პოეზია, რასაც საფუძვლად დაედო მისი „სწავლა მოსწავლეთა". ჩვენში ეს ნაწარმოები ბიბლიურ სოლომონის „იგავთა წიგნზე" ნაკლებ ცნობილი როდი ყოფილა. ეს ლექსი ისე ოსტატურადაა დაწერილი, იმდენი სიბრძნე და უბრალოებაა შიგ ჩაქსოვილი, რომ დრო ვერას ავნებს, ყოველი დროისა და ასაკის ადამიანისათვის ერთნაირად სასიამოვნო საკითხავი იყო და იქნება.

გურამიშვილი დახელოვნებულ მეჩუქურთმეს მოგვაგონებს, მისი უნარი სახეებით აზროვნებისა გვხიბლავს და გვაფიქრებს. გავიხსენოთ თუნდაც „დავითიანის" დასაწყისი: პოეტმა „ხილად თქვა სიტყვა ღვთისა" და „ცხოვრების წყაროს უხსენა ხე ცხოვრებისა ღაღადი", აი ამ ცხოვრების ღარში მოედინება მისი ცხოვრების წყარო, რათა ადამიანებს ასიამოვნოს და თანაც „ცრემლნი იდინონ ღვარადო".

ეს იმ დროს ხდება, როცა ქართლს ჭარი და ლეკი დაემტერა, „ვენახის ღვინო დაძვირდა", პოეტი შთამომავლობას მაინც ტკბილ მაჭარს უმზადებს. ასეთ ალალ მხვნელ-მთესველს რა სარფა ექნება, რა დახლი დაუდგება, რას გამორჩება, მაგრამ მისი თანამემამულეები გაიხარებენ, ადვილად ჰვლენ მისი ხელით დარგულ იგავთ ხეზე, ნაყოფს მოისთვლიან და შეერგებათ. ყველა მოვალეობა მძიმე და თავისებურად რთულია, მაგრამ ბრძენი სოფელში წმინდა ბერივით უნდა იყოს, ასწავლიდეს, ამაღლებდეს ხალხის გონებას და, თუ ის უღირსია, მისი „ბაძით წახდების ერი". მკითხველს ნება ეძლევა მისი სწავლა-მცნებიდან აირჩიოს, რომელიც ნებავს, პოეტს მისთვის დრო აღარა აქვს. საშური საქმე აქვს დასამთავრებელი, „ყმაწვილის ვალი ჰკიდია".

* * *

დავითის სიბრძნისმეტყველება მტკიცე კავშირშია მის საერთო შრწამსის ჭადაგებასთან, რეალიზმის მკაცრ პრინციპთან:

„მჭირს მე საქმე საკიცხელი, ვერას ვითმენ გულფიცხელი“, — ესაა თავისებური აფორიზმი, რაც პრინციპული, სამართლიანი, ბუნებით კეთილშობილ და პირდაპირი ადამიანის დევიზად გამოდგებოდა. ამ სიტყვებში დიდი სულიერი ტკივილი იფარება. კაცი ვერ ითმენს ძალადობას, უსამართლობას, ქვეყნის წახდენას, აშკარად ამბობს „გულფიცხელი“ ვარო და ეს პოეტს მრავალ უსიამოვნებას გადაჰკიდებს ხოლმე.

ჩვენი ხანდაზმულობით დაბრძენებული მკვლევარები გულისხმა-ჰყო დავით გურამიშვილის პოეზიის სიბრძნემ და სიდინჯემ — სიბერის ბეჭედი აზითო ამ ლექსებს, თქვეს. მაგრამ მარტო სიბერით ვერ ავხსნით დავითის პოეზიის სიბრძნესა და სიღრმეს. ცხოვრებამ მეტად ადრე დასცადა ის, ცეცხლის კვერი დაუტრიალა თავზე და, ბუნებით ფიქრიანს, აფორისტული მეტყველების ნიმუშები დააწერინა.

კარგ საქმეზე მიბაძვა „არა რა დასაძრახია“. უწვრთნელი რეგვენი საქმეს ვერ პოულობს, დედ-მამას აგინებს, იწყევლება, ლალას ლანძღავს... სწავლული კაცი წყნარია და მშვიდი, ბრძენი და გამგები. სწავლის გზა მძიმეა, მაგრამ ესაა ერთადერთი სწორი გზა.

* * *

საინტერესოა დავითის მსჯელობა ჭკუისა და ცოდნის, ბედის და ჭკუის ურთიერთობის შესახებ. პირველზე უკვე ითქვა. მეორე საკითხს პოეტი ეხება თავში „საქონლის შეკრებისათვის“. მისი აზრით, ჭკუა პურია შესარგებელი, ცოდნა მარილი დასაწებელი. ბედს აქებენ, და არ ვიცი, რა არის საქებელი: „ბედმა შეკრიბოს, ჭკვამ ფანტოს, შექნების რა სარგებელი?“ ეს მართლაც საგულისხმო კითხვაა. განა ცოტაა ისეთი, ნიჭით და ჯაფით რომ ბევრს შოულობს, მაგრამ ათას უსარგებლო წვრილმანზე ფანტავს და წინ ვერ წაუწევია?“

პოეტი სამართლიანად უცხადებს ეჭვს ცვალებად ბედს, რაც წუთიერი ამბავია: „დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამად არა მაქვს შინდობაო“. თვალახვეული ქალის სახით დადის ბედი, ხელის ცეცებით დაეძებს ქმარს, ვისაც ხელს მოჰკრავს, ნახავს და აიყვანს, მერე კი თვალს გაახელს: თუ მოეწონა, დაიჭერს, თუ არა — დასცემს ძირსაო.

ცხოვრების სიბრძნის, გამოცდილების შეძენის ინტერესი ვისაც აქვს, ეს მსჯელობა ნამდვილად ღირსია აღტაცებისა და აქ ყოველივე ისევე მაღალ პოეტურ რანგშია აყვანილი, როგორც აღმოსავლეთის ბრძენ პოეტთა — საადის, ჰაფეზის, ჯამის და სხვათა ქმნილებებში მიმოფანტული ბრძნული აზრები და შეგონებანი.

ბედი, ამრიგად, დროებითი, წარმავალი, მუხთალი თანამგზავრია.

კაცი ჭკუით დარჩება, ჭკუა და ცოდნაა საიმედო მეგზური ცხოვრების გზაზე, მხოლოდ ჭკუა უზრუნველყოფს მტკიცე და ხანგრძლივ ბედნიერებას. აქ შემთხვევითობა გამორიცხულია და ადამიანი თანდათან გეგმაზომიერად, დაჟინებით აღწევს წარმატებას, რაც მყარი და საამაყოა. ამიტომ გასაგებია:

ჭკვის უკეთესი საქონლად არარა საქონელია,
მაგრამ თუ ნდობა გულს აბრმობს, არ ადვილ საშოვნელია...

ასეთი სიბრძნე პარალელს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც პოულობს: „ვინც არასაჭირო ნივთს იყიდის, მალე საჭიროსაც გაყიდისო“, „თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო“ და სხვ.

პოეტი დიდ მნიშვნელობას აძლევს ნდომას, სურვილს, „ტყუილ გატაცებას“, „ნდომა ბნელს ნათლად აჩვენებს“. „მხდალს გახდის მამაცად“, ნდომა სირცხვილს შეამთხვევს ადამიანს... მართლაც, ახირების, იაფფასიანი სურვილის აყოლა ყოველ საქმეში მავნე და საზიანოა. მთავარია ჭკუა-გონება, შეერთებული ნებისყოფასთან, რომ ყოველ წვრილმან გატაცებას არ მიეცეს გასაქანი, ადამიანი ჩიხში არ მოექცეს.

ეს საქმე პოემაში გაუმაძღრობის ცნებასაც უკავშირდება. „თუ კაცი ნდომას მიჰყვება, მიდღეში არ გამდიდრდება“, რადგან ღობეყორეს ედება, სიხარბე შეაცდენს, „როცა პატარას იშოვნის, მერე დიდს მაეკიდება“. ნდომა-სიხარბე კაცს სწორი გზიდან გადააცდენს, მხოლოდ თავის მოსაწონსა ცნობს, სხვას არას მოიწონებს, „ვარდის კონას დაფუშავს, ენძელას დაიკონებსა“, ერთგულ მიჯნურს ზურგს აქცევს, წუთიერს შეიტკბობს და შეისისხლხორცებს.

პოემის ათობით გვერდი ერთიანი აფორისტული მდინარეა, სიბრძნის სიტყვის ნაკადია, და ეს მით უფრო კარგია, რომ მაღალპოეტური ღირსების წყალობით მოსაწყენი არაა, ყოველ ახალ სიტყვას ინტერესით ვეცნობით და ვუფიქრდებით. „საქონლის შეკრებისათვის“ საგულისხმოა დავითის მორიგი მსჯელობაც ხარბ და უთავბოლო ადამიანებზე, რომელნიც ღალატობენ საბრძნეს, საქმეს, ოჯახს:

ერთს კიდევ ვიტყვი იგავსა, თქვენგნით დამერთვის თუ ნება:
ზოგს კაცსა საკლმად მიუჩანს თვისი სიმყრალის სუნება;
რაგინდ ბევრს ავსა შვრებოდეს, არა აქვს მისი წუნება,
ხარჯას გულ-ტკბილად უყოვებს და ცოლს კი ებუზღუნება.

სიბრძნისმეტყველმა დავითმა სხვაზე კარგად იცის, რომ „უგვანოდ დიდთა მძებნელსა მცირედიც დაეკარგების“, ამიტომ კრძალვით ამბობს თავის სათქმელს და თუ „მერანთ ჯოგში გარევენ, თუ შესძლო „გაჯაგჯაგება“, ესეც წყალობად მიაჩნია, თუმცა არის მომენტები, როცა თავისი სიდიადის შეგნება ფრთას შეასხამს, „დავითის მცნებით“ ამაყობს,

თავისი ძალისა სჯერა და სითამამით აცხადებს: „ჩემს თეთრ თუღუნს არავინ გაცვლის შენს შავს არაბზეო“.

„ქართლის ჭირი“ ისეა დამშვენებული აფორიზმებით, როგორც სამეფო გვირგვინი — ძვირფასი ქვებით; ყველა მდგომარეობის ადამიანი იპოვის აქ გულის პასუხს:

კაცს მართებს დაბლაც დახედვა, რაგინდ მაღლამდის აროსა.
შენ თუ შენს უფალს არ უსმენ, ნურც შენს მონას ეპვ სმენასა,
იტყვიან, სარწმუნოებით პეტრეს იუდა სჯობდაო!
თავს ასეთზედ ნუ იხარებ, ბოლოს ინანდეო.
ასეთს ნურას მოივაჭრებ, რომ დასზიანდეო.
ნუ ხვალ გზასა უკეთურსა, ნუ გარდიქაჯეო,
რაც გზა დავით წინ დაგიდვა, მაზედ აბიჯეო.
არც მომკალ, არც დამარჩინე, მატარე ზერე-ქვერეო.
ამად შემძულდი, ყოფილხარ ცუდი.
ამას ვწუინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ,
ბრძენის ურიგოს ქცევითა ბაძით წახდების ერიო.
გზასა, რომელსა ხვიდოდე, წინ დაიხედეო.
ერთი დრო არვის შერჩების, კარგი სთქვა, გინდა ავია.
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო.
ვინც რომ ძრახვას ჰსთაკილობდეს, ნურასა იქმს საძრახავსა,
ზოგს კაცსა საკმლად მიუჩანს თვისი სიმყრალის სუნება.
თქმულა: სიბრძნესთან სირეგვნე, ვითა ცოცხალთან მკვდარია.
თუ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
თბილა თუ ცივა, ორივე მტკივა.
თვით კარგ-კაცობა არ ძალუძს, სხვისა შურს კარგი კაცობა.
კაინის ამბის სმენასა სჯობს ყურში თითის დაცობა.
მე ამად ვტირი, არა გვაქვს პირი.
მოკვდა და თვისი ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარიო
მე ეს ხიდი სავლელად, დიახ, სწორედ გავდეო,
შენ თუ მრუდედ გაიელი, მე რა წყალში ვარდეო?
მე მტრად სხვანიც მეყოფიან, ძმასა რადღა დავმტერდები?
ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი ნაყოფთა თვისთა ჰამოსა!
ნუ გსურს ქალთ ქმრობა შავ-თვალ-წარბისა,
რომლისა გული სხვასთან წარბისა.
ნამუსიანად მქცეველი ქალი არს მარგალიტი, ძვირფასი თვალი.
რაზომცა ნათობ, სულ მუხანათობ.
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო.
საძაგს საქმეს კაცს ვერ ვუქებ, კაცი კარგ საქმით იქება.
სიტყვით ანგელოზს ემსგავსის, გულით კი ეშმაკ-ფლიდობსო.
სად მაღალი არსად იყოს, მუნ მდაბალი ამაღლდების.
უგვანოდ დიდის მძებნელსა პატარაც დაეკარგების.
ყველამ იცის, რომ ჯაბანს კაცს გულს უკლავს სხვის მამაცობა.
ცუდსა მეთევზეს შერჩება უბრალოდ წყალთა მღვრევანი.
წაღმა მბრუნავმა დრო-ჟამმა უკუღმა შექმნა ტრიალი.
კაცმან უნდა სიწმინდით თავი შაინახოსა,
არაფერი ბოროტი გულს არ განიძრახოსა,

თვით ერიდოს საძრახავს, სხვასა არა საძრახოსა.
ვით სწადს, სხვამ არ უმარცხოს, თვით სხვას არ უმარცხოსა,
რაც თვით ეხნას-ეთესოს, ანუ დაეფარცხოსა,
ის მოიმკოს, გალეწოს, დაიფქოს და აცხოსა,
უნდა კაცმან კეთილად სწავლა შეირაცხოსა,
ათი მცნების სიტყვები გულში დაიმარხოსა.

პოეტმა დაგმო სიავე და სიკეთის გზაზე სვლა უანდერძა შთამომავლობას: „ნუ ხვალ გზასა უკეთურსა, ნუ გარდიქაჯეო! რაც გზა დავით წინ დაგიდო, მაზე აბიჯეო!“ ამავე აზრს ადასტურებს აფორიზმი:

ავს ნუ იქმ და ავისაგან,
თქმულა, ნუღარა გაქვს შიში.

* * *

„ქაცვია მწყემსში“ ბრძნულადაა დახასიათებული ერთგული და მოღალატე ცოლები. ორგული ცოლი ქმარს ძილს დაუფრთხობს, ხოლო

თუ კაცს არა აქვს მართალი ძილი,
სიკვდილი არის მისთვის ღვიძილი;
ვარდების გონებას, დაიწყებს ღონებას,
წაიღებს ფიქრი.

ამას შედეგად ის მოსდევს, რომ:

ჯავრი უდროოთ კაცს დანაბერებს,
ასეთს ლახვარსა გულს დანაძგერებს,
მასაც არ აჯერებს, მოჰკლავს, არ აბერებს
მეტი ნაღველი.

მთლიანობა, პიროვნული სისრულე, ამასთან სრული სილაღე და სრული კმაყოფილებაა პოეტის იდეალი.

თუ კაცსა გული არა აქვს მთელი,
ცუდია მისთვის თვალთა ნათელი.

კაცს ბევრი ფიქრი და ნაღველი აბეჩავებს, ჩაგრავს, უდროოდ აბერებს.

სიბრძე უდროოდ კაცს არ აბერებს,
თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამღერებს.
თუ გულს რამ ეწყინა, სატკენი ეტკინა,
მალე მოკვდების,
თვალთ სიამოვნე არს ერთი წამი,
გულთ სიამოვნე — მრავალი ჟამი,
თვალთ ნამუშაკევი არს ნაუშმაკევი,
გონება ღვთისა.

სიხარბე ჭირთა მსგავსია. თვალს მოეწონება, გულს მოუნდება, კაცი ვერ იშოვნის, ჯავრს მისცემს გონებას, „წაიხდენს თავსა“, თვალთა ნდომამ ევა შეაცდინა. ეშმაკის რჩევა ისმინა. ვიდრე ადამი ბრმა იყო, ესე იგი, ხე ცნობადისას ნაყოფი არ ჰქონდა ნაგემი, უდარდელად ეძინა, მერე კი სულის სიმშვიდე დაკარგა.

დავითს ისევ ადამის და ევას მაგალითი მოჰყავს. სიბრძნის ხის ნაყოფი რომ ჭამა, ადამმა შიში და სირცხვილი იგრძნო, ღმერთს დაემალა, და როგორც ბიბლიაშია:

უწოდა ღმერთმან: ადამ, ადამო!
სად დამალულხარ, აქ ჩვენთან გამო!
...ჰრქვა ღმერთმან ადამს: რად ხარ მშიშველი?
ვინ გითხრა შენა, რომ ხარ შიშველი?

ადამი ევამ შეაცდინა, ევა — გველმა.

ღმერთმა გველს მუცლით ხოხვა დააწყევლა, ადამის შთამომავალთა და გველს შორის მტრობა დააწესა... ცნობილი ბიბლიური ეპიზოდი დავითს თავისი მოძღვრების დასადასტურებლად აქვს გამოყენებული „ქაცვია მწყემსში“. ქალი ქმარს უნდა უგონებდეს და არა პირიქით, მაშინ არ მოხდება ასეთი ამბებიო.

„ბრმა, ცალთვალა ხარო, ეგეც არ მოსთხარო“, რომლითაც ხედავო, — ურჩევს მამას ქაცვია მწყემსი, გრძელ ნაწერს არავინ წაიკითხავს, მოკლედ მითხარიო.

სულაც არა ვართ იმ აზრისა, თითქოს დავითს არ ჰქონდეს მძიმე, ზოგჯერ ძნელად შესათვისებელი სტრიქონები. მისი ლოცვები „დავითის შესხმა პირველი“ („მოიქცა დავით კაის სადავით... კისტრინის ომში ჭაობში ცხენითურთ ჩაფლობის ამბავი, ხარების დღის შესხმა, ანბანთქებანი, „ღვთისმშობლის მიცვალების დღის შესხმა, თავისის ცოდვის მოგონება, „ობოლნი“, დიდება შენდა, უფალო,“), „ეშმაკეულთ ახოსა ანგელოზმან მნახოსა“ და სხვ. ზოგიერთი თვალსაზრისით ვერა დგას დავითის სხვა ნაწარმოებთა დონეზე.

მაგრამ გამონაკლისები აქაც არის. მაგალითად სიტყვა ესე ღვთისა („ეეო-მეო, ქალო, ქალთა-მზეო“) საოცრად მდიდარია სიბრძნის მარგალიტებით, აფორიზმებით, მისი ძირითადი ნაწილი კი მაინც ისევ ბიბლიური თქმულებაა, შექმნათა, ადამისა და ევას ამბავი, მერე ისევ ავტობიოგრაფიული დეტალებია, რჩევა და დარიგება...

ამრიგად, თვით იმ შაბლონურ სტროფებშიც კი (შექმნა უშრეტი, უნაყოფო... 558—560 და სხვ.), გაიელვებს ხოლმე ავტორის მეტაფორული აზროვნების ძალა: „ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, შვილდს კი მალავს“ და სხვ.

სწავლა-განათლების მგზნებარე ქადაგება საერთო დაქვეითებისა და

სიბნელის საუკუნეებში — ეს იყო დიდი პროგრესული, ნათელი მოვლენა, და ის მომდინარეობდა პოეტის უკვდავი გულიდან.

სვეგამწარებულმა ბრძენმა გურამიშვილმა მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა:

„ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა გამიხსენებსო“, —წამოსცდა.

სწორედ „მკვდარი“ პოეტის დიდებაა მისგან დანთებული ის ჩაუქრობელი ბაზმა, რაც ელექტრონით გაჩირაღდნებულ საუკუნეშიაც კი თვალისმომჭრელ სხივებს გამოსცემს და შთამომავალთ სავალ გზას უნათებს.

დავითის ფილოსოფიური შეხედულებანი

ვახტანგ მეექვსე იყო თავისი დროის გამოჩენილი პოეტი, დიდად განათლებული პიროვნება, მეცნიერი-სწავლული, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა იმდროინდელი მსოფლიოს საეკლესიო და საერო მწერლობა, ქართული, ბერძნული, სპარსული და სომხური ენები. რაღა თქმა უნდა, მეფესთან დაახლოებულ პირთა და პირადად მისი ამალის წევრებისათვის უცხო ხილი არ შეიძლება ყოფილიყო ანტიკურობა, ძველი ისტორია, კლასიკური ხანის ბერძენთა განსწავლულობა, ნატურფილოსოფოსთა კულტურა და სხვა. ყოველივე ეს ქონავს კიდეც სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბატონიშვილის, მამუკა ბარათაშვილის, დავით გურამიშვილისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შრომებში. ვახტანგის სამეფო კარი მისი ქართლში გამგებლობის წლებში და შემდგომ მოსკოვში ერთგვარი აკადემია იყო ქართველ მოღვაწეთათვის.

ამ სამეფო კარზე მოღვაწეთათვის ცნობილი იყო ჰომეროსის, ჰესიოდეს, თალესის, ანაქსაგორის, ანაქსიმანდრეს, ჰიპოკრატეს, დიოგენის, დემოსთენეს, ჰერაკლიტე ეფესელის, პარმენიდეს, ანაქსიმენის, პითაგორას, ლუკრეციუსის, სოკრატეს, ფალონის, ემპედოკლეს, ისუ ზირაქის, ეპიკურეს და სხვათა სახელები. გურამიშვილისათვის ცნობილია, რომ:

...ღმერთმან რომ კაცი დაბადა, ოთხ ნივთით აღაშენაო,
მიწით, წყლით, ცეცხლით, ქარითა, ჩაბერვით მისცა ქმნაო.

„სულის ამბავში“ პოეტი კიდევ უფრო აზუსტებს:

დაბადებითგან მე, კაცის სული,
ღვთის პირით გამო ვარ გამოსული,
არსთ ნაწილობით უკვდავ-უბერი,

მიწას, წყალს, ჭარს, ცეცხლს შიგ ჩანაბერი.
ეს ოთხი ნივთი ღმერთმან შემზადა,
კაცი ამისგან შექმნა, დაბადა...

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ უძველესი ბერძნული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა ონტოლოგიური საკითხის გადაწყვეტა იყო (საკითხი ყოფიერების რაობისა, არსზე და საგანთა სამყაროში განლაგებაზე). ღვთისა, ადამიანის წარმოშობისა და მისი შინაგანი სამყაროს საკითხებიც ონტოლოგიის საკითხთა რიგს განეკუთვნებოდა. ძველ ბერძენთა წარმოდგენით, სამყაროში ყველაფერი უბრალოდ იყო გადაწყვეტილი, სამყაროს და ადამიანების შემქმნელნი იყვნენ ოლიმპიელი ღმერთები, ისინი განაგებდნენ ქვეყნად ყოველივეს და ადამიანთა ბედი და უბედობაც მათ ხელთ იყო. მაგრამ გაჩნდნენ ქვეყნად ისეთი მეამბოხური სულის პატრონი ადამიანები, როგორიც იყვნენ: თალესი, ჰერაკლიტე, ანაქსიმენე, ქსენოფანე, პროთაგორა, და სხვები, რომელთაც გაბატონებული შეხედულებანი გადასინჯეს, გადააყენეს ოლიმპიელი ღმერთები და ბუნების კანონების შესწავლა მოითხოვეს. თალესის მიხედვით ყოველივეს დასაბამი წყალია, ჰერაკლიტეს ყოველივეს საწყისად ცეცხლი მიაჩნია: „მარადიული ცეცხლი, რომელიც თავისით ინთება და ქრება, რომელიც იქცევა ყველაფრად და ის ყველაფერი ისევ ცეცხლად, ისევე როგორც ოქრო იცვლება ყოველივეზე და პირუკუ“. ჰერაკლიტეს ცეცხლი მისივე ლოგოსის ექვივალენტია, ჰერაკლიტეს ცეცხლი გონიერიცაა და ის მართავს ყოველივეს. ჰერაკლიტეს მარადიული ცეცხლი მატერიაა, მამოძრავებელი ძალაა, საყოველთაო სამყაროს ლოგოსია (წესრიგი, განახლებული ჰარმონიაა), პირველდასაბამია, პირველბიძგის მიმცემია, თვითმოქმედი-რიგებელია.

ყოველივეს საწყისად და ყოველივეს ბიძგის მიმცემად თვითონ კოსმოსისაც, ანაქსიმანდრემ აპეირონი გამოაცხადა.

ანაქსიმენესათვის კი ყოვლის საწყისი ჰაერია (კონკრეტული მატერია) უსაზღვრო, უსასრულო, მუდმივ მოძრაობაში მყოფი. „ის რომ არ მოძრაობდეს, მაშინ ვერც შესცვლიდა ყოველივეს, რასაც სცვლის“. ჰაერის შემჭიდროება, შესქელება, შედედება წარმოშობს ქარებს, ღრუბლებს, სეტყვას, დაცილება-შეჯახება ცეცხლს. ანაქსიმენის მიხედვით, შეკუმშვა იწვევს სიცივეს, ხოლო გაფართოება-გაშლა-დაცილება თბობას.

მილეთელი ნატურფილოსოფოსებისათვის, ისევე როგორც იონიელთათვის, ღვთიური ბუნებრიობა თანაფარდია, იგი არც წარმოიშობა და არც კვდება, იგი მუდმივია, უკვდავია. თალესის მიხედვით, ღვთაებას არც საწყისი აქვს და არც ბოლო, იგი უსასრულოა, ასეთად კი

მას მიაჩნია წყალი — სითხე, რომლისაგანაც, ბოლოს და ბოლოს, წარმოსდგება ყოველი და ის, რაც ყოველივეს ბოლო თვითონაა.

ემპედოკლეს აზრითაც სამყაროს ოთხი ფესვი გააჩნია (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი).

ეს აზრი მხატვრული ფორმით გადმოცემული დ. გურამიშვილს რუსთაველთანაც შეეძლო ენახა:

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
ღრისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

შეგვიძლია კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ სამყაროს საფუძვლად ოთხი ელემენტის (მიწის, წყლის, ჰაერის და ცეცხლის) გამოცხადებას გურამიშვილი თეოლოგიის ფუძემდებელთა შრომებში, მათს მოძღვრებებსა და ქადაგებებში ვერ ამოიკითხავდა. აშკარაა, რომ იგი ზედმიწევნით ღრმად იცნობდა ბერძენ კლასიკოს სწავლულთა შრომებს, ელინისტური კულტურის მოღვაწეთა ფილოსოფიურ შეხედულებებს და ანტიკური ხანის მწერალთა და მოაზროვნეთა ნამოღვაწარზეც მიუწვდებოდა ხელი.

ამასვე გვიდასტურებს გურამიშვილის მიერ „წიგნი ესე მხიარული ზაფხულის“ ტექსტში ბერძნულ მითოლოგიასა და მწერლობაში კარგად ცნობილი ქარების ბერძნულივე სახელწოდებით ხმარება:

ჯართ მყვანებელად, ევროს ამირად
ყვანდა კეკიას მოპირდაპირად;
შემდეგად მას ლიფსი,
ზეფიროს, ფვინიქსი,
ბორია, ნოტოს...
ზაფხულს ამირად ყვანდა კეკია,
სად ევროს იდგა ნაცარქექია:
შემდეგად არგესტის
აპილი ერღასტი,
თრასკე ლივონტოს.

ზეფიროსი ბერძენთათვის ჩრდილოეთის ან ჩრდილო-დასავლეთის ქარია, ფვინიქსი სამხრეთ-დასავლეთის ქარი — ფინიკიის ქარი, ბორეასი ჩრდილოეთის სუსხიანი ქარია, მას ჯერ კიდევ ჰომეროსის ილიადაში ვხვდებით:

«Словно как снег из тучи, иль град холодный обрушась
Быстро летит, уносясь проясняющим воздух Бореем».
(XV, 170-171. перевод В. Вересаева)

ნოტოსი — ბორეასის საპირისპირო სამხრეთის ქარია, კეკია ჩრდილო-აღმოსავლეთისა, აპილი — აღმოსავლეთისა, ერღასტიც — ქარის

სახელია. თრასკე — ბერძენთათვის ჩრდილო-დასავლეთიდან — თრაკიიდან მჭროლავი ქარი, ლივონტოც ქარის სახელია.

გურამიშვილი ასევე კარგად იცნობს სოლომონ მეფის სიბრძნის-მეტყველებას, იცის, რომ ბევრი რამ კარგი დასწერა წიგნები ღვთის ბრძანებისა:

სოლომონ ბრძენი სიბრძნითა თავი არს ყოვლის ბრძნებისა,
ბევრი რამ კარგი დასწერა წიგნები ღვთის ბრძანებისა,
ერთი იმასაც მოუხდა გატეხა რამე მცნებისა.
თუ გიჯობთ, ნურცა მას უსმენთ, სიტყვა დამირთავს ნებისა...

მაგრამ ეს მაინც ბიბლიური სოლომონია და თეოლოგიაში დავითის განსწავლულობას არავინა ხდის საეჭვოდ.

წიგნი „ა"-ს სამოცდამერვე სტროფი ასე იკითხება:

ფილოსოფოსი ეპიკურ გვაუწყებს, ამას გვპირდება:
აგებულებით მყოფელი აროდეს გაღარიბდება,
თუ კაცი ნდომას მიჰყვების, მიდღეში არ გამდიდრდება,
როცა პატარას იშოვნის, მერმე დიდს მაეკიდება.

ჩვენი დაკვირვებით, ეს აზრი ეპიკურეს გამოთქმული აქვს ამ სახით: „ის, ვინც მისდევს ბუნებას და არა ფუჭ შეხედულებებს, ყველგან კმაყოფილია იმითაც, რაც აქვს, რადგან იმის მიმართ, რაც ბუნებისათვის საკმარისია, ყოველი ქონება არის სიმდიდრე, ხოლო განუსაზღვრელი სურვილების მიმართ უდიდესი სიმდიდრეც კი არის არა სიმდიდრე, არამედ სიღარიბე".[1]

ხოლო დავით გურამიშვილის მოტანილი სტროფის ბოლო ტაეპი: „როცა პატარას იშოვნის, მერმე დიდს მაეკიდება", — უკავშირდება ეპიკურეს ნათქვამს: „ვისთვისაც მცირედი საკმარისი არაა, მისთვის არაფერი არაა საკმარისი".

ანდა: „ხშირად შეხვდებით ადამიანს, რომელიც ღარიბია ბუნების საბოლოო მიზნის მიხედვით, ხოლო მდიდარი ფუჭი შეხედულებების მიხედვით, რადგან არც ერთი უგუნურისათვის არ არის საკმარისი ის, რაც აქვს, პირიქით, ის მეტად სწუხს იმაზე, რაც არა აქვს".

როგორც ვხედავთ, გურამიშვილი კარგად იცნობს ფილოსოფოს ეპიკურეს თხზულებებსა და მოძღვრებას.

ეპიკურე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის უდიდესი მოაზროვნეა.

მისთვის ბედნიერების საზომია გონივრული, ზნეობრივი, სამართლიანი ცხოვრება. ეპიკურესათვის არ არსებობს სასიამოვნო ცხოვრება გონივრული, ზნეობრივი, სამართლიანი ცხოვრებას გარეშე და პირ-

---

[1] დემოკრატე, ეპიკურე, „ფრაგმენტები წერილები", თბილისი, 1959. გვ. 232.

უკუ. მისი დასკვნის მიხედვით, ვინც გონივრული, ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრებით არ ცოცხლობს, მას არა აქვს სასიამოვნო ცხოვრება. დავით გურამიშვილიც ასევე ესწრაფოდა ბედნიერებასა და სასიამოვნო ცხოვრებას. ისიც ბოროტებად თვლიდა ყოველივეს, რაც გზაზე დაბრკოლებად ეღობება ადამიანს ბედნიერების მიღწევაში. ზოგად ხაზებში ესაა უაღრესად ნათელი და ბრძნული ფილოსოფია. ქართლის ჭირი ბოროტებაა, რადგან ესაა საპირისპირო რამ უზენაესი მიწიერი სიამოვნებისა, თავისუფლებისა, სიბრძნისა და აზრის ტრიუმფისა ამქვეყნად.

თუ ერთ ცნობილ სენტენციას დავუჯერებთ, ფილოსოფოსი ის კაცია, ვინც ბედნიერებისაკენ ისწრაფვის. ეპიკურეს აზრით კი: „ბედნიერსა და უკვდავ არსებას არც თვითონ აქვს საზრუნავი და არც სხვას უქმნის. ასე რომ, მისთვის უცხოა როგორც რისხვა, ისე წყალობა, რადგან ყოველივე ამდაგვარი უძლურს ახასიათებს“.

როცა გურამიშვილის პოზიტიურ დებულებებსა და ოპტიმისტური განწყობილებების, ძიების, რწმენისა და მისწრაფებების გამომსახველ სტრიქონებს ვკითხულობთ, ძალაუნებურად გვაგონდება მისი თანამედროვე, ცოტა ადრინდელი, თუ გვიანდელი ხანის პოეტების შემოქმედება, რომელთაც სიკვდილისა და სასოწარკვეთილების, სკეპსისისა და ხელჩაქნეულობის, წყვდიადისა და სიძნელის ფილოსოფია შექმნეს, სიცოცხლე სიკვდილის ნაწილად გამოაცხადეს და ევროპის ხსნა შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულობის აღდგენაში დაინახეს. მთელი თავისი პირადი ძნელბედობის მიუხედავად, რასაც, რაც მთავარია, ზედ ერთვოდა სამშობლო ქვეყნის ძნელბედობა და გასაჭირი, გურამიშვილი მაინც ერთგული დარჩა სიბრძნისა და სიამისა, სიყვარულისა და გაზაფხულისა. ჰედონიზმისა და მზეთამზისაკენ სწრაფვით და ტოროლასავით ეულად მაღლა აჭრის სურვილით „დათრგუნა სიკვდილი“. დავითი ეპიკურეს ეთანხმება, როგორც სიბრძნისმეტყველს, დადი გონების მსოფლიო ადამიანს, განათლებითა და ზნეობით სრულყოფილს, ეს არის და ეს.

ეპიკურეზე ჯერ კიდევ ციცერონი ამბობდა: „ჩვენ ყველა საშინელებათაგან (იგულისხმება ღმერთები — ე. მ.) გაგვათავისუფლა ეპიკურემ და საკუთარ თავისუფლებაზე დაყრდნობილებს, არ გვეშინია მათი“.

მეცნიერული კომუნიზმის მამამთავარს კარლ მარქსს ეპიკურე მიაჩნდა რადიკალურ განმანათლებლად: „იგი აშკარად ესხმოდა თავს ანტიკურ რელიგიას და მისგანვე მომდინარეობდა რომაელთა ათეიზმი. ამიტომაც ასხამდა მას ხოტბას ლუკრეციუსი, როგორც გმირს, ვინც პირველმა დაამხო ღმერთები და ფეხით გათელა რელიგია. ამი-

ტომ იყო, რომ საეკლესიო მამებს, პლუტარქედან მოყოლებული ლეთერამდე, იგი უღმერთო ფილოსოფოსად მიაჩნდათ".

ვ. ი. ლენინს ეპიკურეს უდიდეს დამსახურებად მიაჩნდა: „საგნების არსებობის აღიარება ადამიანის ცნობიერებას გარეთ და მისგან დამოუკიდებლად".

დავით გურამიშვილმა კარგად იცის ცოდნას — სიბრძნისა და გონების აღმნიშვნელი ექსის ცნებაც. დიდი სულხან-საბა ექსის ცნებას ასე განმარტავს: ექსი არს სიბრძნე სწრაფად მომგონებელი, ექსი არს გონიერებათა და სიბრძნეთა მიერ გაგება და დიათედონში ნახეთო, — გვმოძღვრის.

გურამიშვილი კი „დავითიანის" 75-ე სტროფში წერს:

მოდი, მსმენელო, ისმინე, დაჩუმდი, ვიტყვი, სუ, რასა,
უკვდავებისა წყაროთი მოგართმევ საუსე სურასა,
იხმარე ექსი, დაეხედე ბრძნად ბრძენთგან ნაექსურასა,
გაშინჯე, სახით ვინც მე შრტოდ გითხარ, მიჰბძია თუ რასა.

ანდა:

ესე სიტყვანი მე მაქვს ასე შეტყობილი,
მწყობრი არსო სიტყვანი ლექსად შეწყობილი.
ამისთვის კანუნად არ მიჩანს თქმა ლექსისა,
და მოძიება რიტორთ საზომი ექსისა.

ბევრია შეხვედრები დავით გურამიშვილის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნილ ნაწარმოებთა სტრიქონებისა — დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების ტექსტთან:

დავით წინასწარმეტყველი:

უფალო, აღმოიყვანე
ჯოჯოხეთით სული ჩემი და მიხსენ მე
მათგან, როველნი შთავლენან მღვიმესა.

გურამიშვილი:

უფალო, შეისმინე დავითისა თქმული,
ამოიყვანე სულით ჯოჯოხეთს დანთქმული.

მაგრამ ყველაზე მეტი ასეთი შეხვედრები მაინც ქართული სიტყვისა და აზრის მეუფესთან — რუსთაველთანაა საძიებელი.

რუსთაველი:

ამა მონათა ჩემზედა გარდაუხდელი გულია...
ამოდ მმსახურეს, თქვენიმცა გული ამათთვის სრულია!
ქება რად უნდა მას, ვინცა თქვენთანა ხან-დაზმულია,
მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია.

დავით გურამიშვილის სტროფი, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, ან აქედან უნდა ამოდიოდეს, ანდა უნდა ვივარაუდოთ, რომ დავითმა

მოძებნა იმ საგულვებელი ბრძენის ნათქვამი პირველი წყარო, ვისზეც დიდი შოთა ბრძანებს, — „მსგავსა ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“-ო.

გურამიშვილი:

თუ ვისმე ჩემი ნათქვამი შაირი ენასებიან,
მეც უთხრა მისი პასუხი, თუ გული ენას ებმიან,
ყოველი წული მშობელთა, მსგავსი მსგავსს ემსგავსებიან
გინდ იყოს კოჭლ-ბრმა, ქაჩალი, დედმამათ ეთავსებიან.

დემოკრიტე ამბობს, „რომ... როგორც ყველგან, სითხეშიც მსგავსი ნაწილები მსგავსისაკენ ისწრაფვიან და ასე წარმოიშვა ზღვა და ყოველგვარი სხვა მლაშე წყალი, მსგავსი ნივთიერებათა ერთად შეგროვების შედეგად.[1]

მარკუს ავრელიუსი: „რაიმე საერთოსთან წილნაყარი ყოველი არსი თავისი თანამონაწილისაკენ ილტვის, მიწიერს მიწა იზიდავს, თხიერი თხიერს ერთვის, ისევე როგორც ჰაეროვანი-ჰაეროვანს, ასე რომ, მათ გასათიშად საჭიროა რაღაც გამყოფი, საჭიროა რაიმე ძალა... რაც უფრო სრულქმნილია არსი, მით უფრო მძაფრად ვლინდება მასში თავისივე მსგავსთან შერწყმისა და მასთან ერთარსად ქცევის სურვილი. უგონო არსნი რომ უგონო არსნი არიან, ისინიც კი ხშირად ერთად ცხოვრობენ — ხროვებად თუ ჯოგებად, ერთად ზრდიან თავიანთ ნაშიერთ და, ასე გასინჯეთ, ჰყვარობენ კიდეც ერთიმეორეს. ეს იმიტომ, რომ მათაც აქვთ სული და, როგორც სულდგმულნი, უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებენ თანაცხოვრების წესის მიმართ, ვიდრე მცენარეები ან ქვები. რაც შეეხება გონიერ არსთ, მათი თანაცხოვრების წესი უფრო რთულია: სახელმწიფონი და თანამეგობრობანი, ოჯახური ურთიერთობანი და სათათბირონი, ომები, საომარი კავშირნი და დაზავებანი. ხოლო უფრო სრულქმნილ არსთა ერთიანობის გათიშვა თვით უსასრულო სივრცეს არ ძალუძს, მათ შორის განფენილს: ასეთია ვარსკვლავთ ერთობა. ასე რომ, უზენაესი სრულქმნილების წყურვილს და მისკენ სწრაფვას შეუძლია ერთსულოვანება დაბადოს თვით ერთმანეთს დაშორებულ არსთა შორისაც. მაგრამ როგორც არ უნდა გაურბოდნენ ისინი ამ ერთიანობას, მაინც ვერსად წაუვლენ მას, რადგან ბუნება უფრო ძლიერია მათზე“.[2]

დავით გურამიშვილი ამავე აზრს იმეორებს:

მზგავსად — მზგავსადმან იპოვა ტოლი,
ყველამ დანერგა თავისი ცოლი,
გამოვიდა დოლი,
გაიზარდა მოლი

---

[1] დემოკრიტე, ეპიკურე „ფრაგმენტები წერილები“, თბილისი, 1959, გვ. 87.

[2] მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, გვ. 218. თარგმანი ბ. ბრეგვაძისა.

ხეთა ფოთოლი.
შენ ყური უგდე ჩემს ლაპარაკსა,
მე მართალს გეტყვი, არ თუ არაკსა:
ყოველს ხორციელს
ვერ ნახავ ტიელსა,
არ ყვანდეს ტოლი.

დემოკრიტეს ფილოსოფიით, ან მარკუს ავრელიუსის სიბრძნით უნდა იყოს დავალებული ი. ჭავჭავაძის შემდეგი სტრიქონებიც:

სულს-სული იცნობს და ღონეს-ღონე,
მენდე გაგიყო ჭირი და ლხენა.

შოთა რუსთაველის:

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

და:

რა ესმოდენ მღერა ყრმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან.

რემინისცენციებს იწვევს დავით გურამიშვილის „მხიარული ზაფხულის“ შემდეგი სტრიქონები:

სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა,
ქვემძრომთ ხმა ესმით, სახლს ხდიან ბანსა.
ჩაყრილნი ხაროდა
ზე გასახაროდა
ამოძვრენ ველად.

რუსთაველის 653-ე სტროფს ეხმიანება დავით გურამიშვილის „დავითიანის“ მესამოცე სტროფი.

რუსთაველი:

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყუებარი.
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

გურამიშვილი:

რაგინდ ბრძენ იყოს მკურნალი, კარგად ატყობდეს მაჯასა,
სხვისას შეიტყობს, თავისას ვერას გაიგებს ხვანჯასა:
თვით სხვას უწამლებს, თავისთვის სხვაზე მიჰყუდებს ბარჯასა,
მე ვერ ვირგე და თქვენ გარგე, ამად რად მიზამთ ჯაჯასა.

რუსთაველი:

თუ ბრძენი ხარ, ყოელნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა,
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა.

გურამიშვილი:

კაცი თავს ვერას გაუვა ცრუის საწუთროს მდურვასა,
უნდა, რომ კაცმა გაუძლოს, ჭირს შეყრის ცხრასა თუ რვასა!
სჯობია ისევ მოლხენა წუხილსა, ჭმუნვა-ურვასა,
გირჩევ დაეხსენ მაგდენსა ცრემლსა და ოფლში ცურვასა.

რუსთაველი:

ვერ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა.

გურამიშვილი:

კაცი ხომ ვერსად წაუვა სიკვდილსა, ღვთის ბრძანებასა.

რუსთაველი:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგშცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

გურამიშვილი:

ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო!..

ან:

ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,
სად კაცს არ უნდა წარიყვანს, ყელზე საბელი უბია...

ან კიდევ:

ვინც მოგენდობის, არ ინდობ, არა გაქვს ერთი პირია,
ასეთის საქმის მქნელი ხარ, ხან ვიმღერ, ხან კი ვსტირია.

რუსთაველი:

არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

გურამიშვილი:

შენი ვარდისა კონები გულზედ მკვლად დანაჭირია.

დავითიანის ტექსტის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თამამად თქვას, რომ გურამიშვილმა კარგად იცის ბერძნული მითებიც — „საზოგადოებრივი ცნობიერების ეს უძველესი ფორმა — აღსავსე ფანტაზიით, ჯადოსნური ამბებით და მშვენიერებით. ის, რაც ყოველივეს აცოცხლებს და სულს შთაბერავს“.

ერთი ძველი ბერძნული მითის მიხედვით, ოლიმპოს მომავალ მეუფეს და ქვეყნიერების მპყრობელს — ზევსს, როცა ის პატარა იყო, კუნძულ კრიტოსზე ძუძუს თხა აწოვებდა. ოლიმპოს მბრძანებელი რომ შეიქმნა, ზევსმა თხა ცაში წაიყვანა და ვარსკვლავად გადააქცია. მითის მიხედვით, ამალთეას რქას ჰქონდა ჯადოსნური ძალა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მისი მფლობელისათვის ყველაფერი სასურ-

ველი შეიძლებოდა მიეცა. სიუხვის რქა ითვლებოდა დიდი სიმდიდრისა და მატერიალური დოვლათის სიმბოლოდ.

გურამიშვილს, ეტყობა, კარგად სცოდნია მითი სიუხვის რქაზე და ერთ ბედნიერ დღეს, როცა მის ბატონებს ვახტანგსა და ბაქარს გურამიშვილისათვის ხალათი უბოძებიათ, იმის მუნასიბად დავითს ლექსი უთქვამს:

„სიუხვის კოკა ბატონსა წინ უდგას, ვითა კულადა,
იქ უდგას მოწყალებანი ღარიბთა გასაკურნადა.
ახალ უხილავს, ძველთ მცმელთა გულს არ გაუხდის წყლულრადა,
აქ ათი ბიჭი ვახლავართ, მარტო მე გულნაკლულადა!“

როგორც უკრაინელი მკვლევარი დმიტრო კოსარიკი ვარაუდობს თავის ნაშრომში დავით გურამიშვილზე და გამოჩენილი უკრაინელი საბჭოთა პოეტი პავლო ტიჩინა წერს დრამატულ პოემაში, დასაშვებია, გულისხმასაყოფი და სავსებით შესაძლებელი, რომ გურამიშვილი პირადად იცნობდა უკრაინელ პოეტსა და მოაზროვნე გრიგოლ საბას ძე სკოვოროდას. მათი იდეალები ძირითად ხაზებში თითქმის ერთნაირი იყო. ესინი ერთნაირად იყვნენ აღფრთოვანებულნი ეპიკურეთი და მისი სიცოცხლის დამამკვიდრებელი დებულებებით. „ჩვენი სიცოცხლე მაშინ იფურჩქნება, როცა ჩვენი აზრი შეიყვარებს ჰეშმარიტებას,“ — გრიგოლ სკოვოროდას ეს აზრი სავსებით ეთანხმება დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთას“ დედააზრს.

უკრაინელი დიდი განმანათლებლის დარად დავით გურამიშვილიც თახაუგრძნობს მიუსაფარებსა და ღარიბ-ღატაკთა, ადიდებს შრომას, აშიშვლებს უსაქმურობის და მუქთახორული ცხოვრების ნირს, დიდკაცთა ყოფის ყოველგვარ ბილწ კუთხე-კუნჭულს გადმოგვიშლის. მთელი პირდაპირობით, მოუწოდებს ხალხს სწავლა-განათლებისაკენ, ზნეობრივი სრულყოფისაკენ. ასეთია ის კარდინალური გზები, რომლებზეც ორი ხალხის ორი დიდი თანამედროვე ერთად ვიდოდა.

თითქოს ამ ორი დიდი მოაზროვნის მისტიკური ხაზებიც ემთხვევა ერთიმეორეს. ბიბლიური სამყარო ორივესათვის — რაღაც სიმბოლური, თავისებური სამყარო იყო.

ხატოვანი სიტყვით რომ ვთქვათ, გურამიშვილის ფილოსოფია ჯვარცმული ოპტიმისტის ნააზრევ-ნამუშაკევია. რამდენჯერაც კი ხელში აიღო მზის ყვავილი, იმდენჯერ მოუსწრო ყინვამ, დააზრო... ის კი მაინც სიცოცხლის სიამის მაძიებლად, მაღიარებლად და დამამტკიცებლად დარჩა ცხოვრებასა თუ პოეზიაში.

უმეცრება ყველასათვის სამარცხვინო ლაქაა. უპირველეს ღირსებად და საზომად კაცისა ბრძენთ ჰკუა-გონება, სწავლა-განათლება, სიბრძნე მიუჩნევიათ. ეს დიდაქტიკური მორალური საკითხი კი დავით გურამიშვილს ფილოსოფიურ რანგში აუყვანია.

პოეტის რწმენა

„ეს წიგნი წმინდად სახმარი არავინ გამიჩირქოსა".

დავით გურამიშვილი

თურქი და სპარსი დამპყრობლები ძალით რომ ველარას აწყობდნენ, ფანდებს მიმართავდნენ: დაპყრობილ ქვეყანას უყვავებდნენ, რათა ქვეყნის შიგნით გამოენახათ ისეთი ადამიანები, რომლებიც მათ სჯულს მიიღებდნენ და დამშვიდებული ცხოვრების იმედით თავიანთ თანამოძმეთ რისხვად დაატყდებოდნენ. ასეთი ზნედაცემულნი კი ყოველ ერს ჰყოლია სხვადასხვა დროსა და ვითარებაში და ქართველობაც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. ქართველთა და ოდესღაც ქართველობას მიტმასნილთა შორისაც აღმოჩნდნენ ჟამთამქვრეტნი, რომელნიც გადაუდგნენ ქრისტეს სჯულს, მაჰმადი აღიარეს, ათასგვარი არმაღანებით აღივსნენ მტერთაგან და შვება-ლხენა, განცხრომა, მრუშება, სიძვა-მეძაობა გაიხადეს ერთადერთ ხელობად. საშინელი და სასირცხოს იყო, რომ მედროვეთა საქციელს ბევრი ადრე კეთილი ზნის ადამიანი აჰყვა და ერი და ბერი გარყვნილების წუმპეში ჩათრეული აღმოჩნდა. ქვეყანა პირაშკმული უფსკრულის წინ იდგა და მშველელი და მწე არსაიდან ჩანდა.

იმდროინდელი საქართველოს უდიდესი ჭირისუფალი დიდი სულხან-საბა კარგად გაერკვა მტრის თითლაბაზურად დაგებულ ხვანჯებში და გარეჯის უდაბნოს მრავალმთის ნათლისმცემლის სახელზე აგებული სამონასტრო კათედრა, სადაც იგი ბერად აღიკვეცა, ცთუნების გზაზე დამდგარ თანამოძმეთა გასაფრთხილებლად, გამოსაფხიზლებლად და უკუღმართ გზებზე მარებთა ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად გამოიყენა. ქვეყნისათვის თავგადაკლულმა, მგზნებარე მამულისშვილმა კარგად შეამჩნია საითაც იხრებოდა, „ვითა ლერწამი ქარში", ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი ფენა და ისიც განჭვრიტა, რომ მათი ბაძვით შეიძლებოდა „ერიც სრულიად წამხდარიყო". რა შეიძლებოდა დაეპირისპირებინა მოყვრულად მოსული, მტრის კარგად შენიღბული, მზაკვრული პოლიტიკისათვის მრავალმხრივ განსწავლულ სულხან-საბას? ერთადერთ იარაღად და სულიერ საზრდოდ ერისათვის, ქვეყნის გადასარჩენად და დუღაბად, რითაც ქართველობის კვლავ შეკავშირება, ივერიელთა სულიერი ძალების მკვდრეთით აღდგენა-აღორძინება შეიძლებოდა, სულხან-საბამ ქრისტიანული სარწმუნოება და ქრისტეს სჯული მიიჩნია. ქრისტეს სჯული, მისი აზრით, იყო ერის სიმტკიცის ბურჯი, ქრისტეს სჯულისათვის ბრძოლა, სულხან-საბას მოძღვრების თანახმად, იყო სამშობლოსათვის ბრძოლა, ხოლო ის, ვინც ქრისტეს განუდგებოდა, იყო არა მარტო სჯულის, არამედ ქვეყ-

ნის მოღალატეც. სულხან-საბა ქადაგებებში მოითხოვდა ქრისტეს სჯულის დოგმათა განუხრელ დაცვას, როგორც სასულიერო მოღვაწეთაგან, ისე ფეოდალური არისტოკრატიისა და ხალხისაგან. სულხან-საბას ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებით სურს ქართული სახელმწიფოებრიობის და მისთვის სანუკვარი დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

„მრავალნი მინახავნ მე მგმობარნი ქრისტესნი, ოდეს მოვიდიან ეკლესიად, იწყიან ლოცვად და ვედრებად და რეცა ქრისტიანე ყოფად, ოდეს იხილონ ურჯულონი, და წესსავე მათსავე ზედა მიიქციან.

ამისათვის იტყვის მაცხოვარი: „რომელი შეექცა ნათხევარსა თვისსა და ღორმან ინწობა სანგორელსა თვისთა“.

ერთი ვინმე უარის-მყოფელთაგანი მელიზღებოდა და მე ვარქუ: „განმეშორე, შვილო ჯოჯოხეთისაო-მეთქი“, ხოლო მან მომიგო და მრქვა: „არა ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფეველისაო“. მე ვკითხე: „ვითარ?“ მან მომიგო: „ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსლვას. უკეთუ იგი არს ძე ღმრთისა და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მათ მირონისა მისისაითა და, უკეთუ მოჰმადი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისისა წინდაცვეთილებისასა. და ანუ ერთი აღმიყვანს ზეცად ანუ მეორეო“. და აცინოდა ფრიად...

ვაი, უგუნურება ასეთი, კაცნო ცოდვათა აღსავსენო და ურჯულოებითა გარდამატებულნო!

თქვენ უკეთუ მონათაგანი ვისმე წარგივიდეს და მიუვიდეს მტერთა თქვენთაგანსა, იხილე, რაისა გულითა იქმნება მას ზედა, ანუ რაოდენი მეხვაიშნენი აღადგინონ, ვიდრე ხილვადმდე პირისა შენისა, და ვითარ სირცხვილეულ იყოს შენთანა? აწ შენ რაღა გიხმს მონისა შენისა უფლისა, რომელმან თვით დამბადებელი შენი განარისხე და რომელმან შენთვის ჯვარითა სიკვდილი დაითმინა, იგი უარ-ჰყავ და შენ აწცა ორგულებ და არა ინანი, არა იცემ მკერდთა ორითვე მჯიღითა, არა განბან სარეცელთა შენთა ცრემლითა, არა ოხრავ და სულთქმავ დღე და ღამე?

აჰა, განვლო დღემან და ღამემან! აჰა, წარხდა მსგეფსი, თვე და წელიწადი! აჰა, მოაწია სიკვდილი! აჰა, შეგედვათ სნეულება ღვიძლთა, ანუ ტვინთა, ანუ თირკმელთა და მობერა მაკვდინებელმან ქარმან და იავარ-იქმნა შენი სულითა მოსყიდული ნაანგარევნი სამოსლები და უნჯნი!

ქრისტემან დადვა სული თვისი და მოგიყიდათ სულითა თვისითა და მამისა თანა მიყვანება შენი ნებავს ძღვნად, შენ დასდევ სული შენი ქრისტესაგან მოსყიდული სასყიდლად სამოსელთა და ვეცხლთა განჭარვებადთა და იგი დაუტევეთ ძღვნად ეშმაკთა.

ნუ, საყვარელნო, შეიწყალენით სულნი თქვენნი, მოწყალე ექმენით ჰაბუკობასა თქვენსა, რამეთუ სიკვდილი მოახლოებულ არს, ჯოჯოხეთი პირაშკმულ არს, ტარტაროზი განუძლობელ არს, ნუ მიისწრაფვით ფართოთა გზათა ზედა, რამეთუ მუნ მიგიყვანებსთ, არამედ მოიქეცით და იწყეთ სინანული, ეძიეთ გზა სწორად სავალი და ბჭე ვიწრო, რომელ არს სინანული, რომელი მიგიყვანებს სასუფეველსა ცათასა, სადა არიან წმინდანი ღმრთისანი და ცოდვილნი მონანულნი და მოქცეულნი ცოდვათა მათგან, რომელ სუფევენ უკუნისამდე და ადიდებენ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა აწ და მარადის უკუნისამდე. ამინ"[1].

მოტანილი სტრიქონებიდან ჩვენ თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ, როგორი შემართებით ებრძოდა სულხან-საბა ყოველგვარ მანკიერებათ, რასაც ქრისტეს სჯულიდან ოდნავი გადახრა ერქვა ამ დიდი სწავლულის გონითი ნაღვაწი, მის მიერ ქრისტეს სჯულისა სიწმინდისათვის გარდახდილი ბრძოლები და ამ ბრძოლებში გაწეული შრომა, გარჯა და რუდუნება მართლაც საარაკოა. ერისა და ქვეყნის საკურთხეველზე ზვარაკად მიტანა არა მარტო პირადი კეთილდღეობისა, არამედ საკუთარი სიცოცხლისა, განზრახ თვალებაბმულთაც კი, ვისაც გონების თვალი მაინც შერჩენია, აშკარად დაანახვებს, რომ ისეთი დიდი სწავლულისა, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწისათვის, როგორიც სულხან-საბა იყო, ქრისტეს სჯული და მცნება სამშობლო ქვეყნის, ივერიელთა ქვეყნის მცნებისაგან განუყოფელი რამ გახლდათ.

სწორედ ასეთივე ტრადიციებზეა აღზრდილი დავით გურამიშვილიც. იგი უშუალო მიმდევარია თავის უფროსი სულიერი შოძღვრისა, მისი იდეის პოეზიაში სულისჩამდგმელი და ხორციშემსხმელი. ამიტომ არის, რომ დავით გურამიშვილის სამების ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ლოცვა და მაცხოვრისადმი გამოხატული სიყვარული გვესმის, როგორც პოეტის გულწრფელი ლირიკული აღსარება და საკუთარი ქვეყნისადმი ენითუთქმელი გრძნობის ღაღადისი.

დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ქრისტე ღმერთის სიყვარულს ისეთივე ახსნა აქვს, როგორც ეს მისი წინამორბედის სულხან-საბა ორბელიანის სწავლანში ვნახეთ. რაღა თქმა უნდა, ყოველი გონება განხმული ადამიანი სხვანაირად არც გარჯის აზრს. აქ ამ ორ დიდ მოღვაწეზეა ლაპარაკი, რადგან დიდ ადამიანთა ცხოვრება ერის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების გამომსახველია, თორემ ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულს მაშინ ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი აიგივებდა სამშობლოს ქვეყნის სიყვარულთან. ასეთივე ახსნა აქვს ყოველი ქართველი გლეხკაცის მეფეთათვის განწირულ სიცოცხ-

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. III. 178 გვ.

ლესაც. ქართველ მოლაშქრეთა მიერ ყოველი ბრძოლის წინ გულიდან აღმომსკდარ სიტყვებს: „ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით, ოღონდ შენ იყავ, მეფევ, დღეგრძელიო“, — ჭეშმარიტად სამშობლო ქვეყნის სიყვარული ედო იდუმალ საფუძვლად და არა რომელიმე მპყრობელისათვის თავგანწირვის გრძნობა. სამშობლო ქვეყნისათვის გულანთებული ქართველნი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ბრძოლებში, სხვადასხვა სახელებს შეეწირნენ, მაგრამ არსებითად ყველანი ერთი დროშის — სამშობლოს დროშის ქვეშ იდგნენ და თითოეულს სიცოცხლე ზვარაკად მხოლოდ საკუთარი ქვეყნის სამსხვერპლოზე აქვს მიტანილი. ისევე როგორც სამშობლოდან შორს მყოფმა გურამიშვილმა ბრძოლითა და ხმლით რომ ვეღარა არგო რა მამულს, „დავითიანიც“ სამშობლოს საკურთხეველზე მიიტანა მოწიწებითა და რიდით, „დავითიანი“ — მისი ერთადერთი პირმშო, ვისი და რისი ქვეყნის სამსახურში გაგზავნაც იყო პოეტის ბოლო განზრახვა და სასოება. ხოლო „დავითიანში“ მრავალგზის ნახსენები სიყვარულაღვლენილი ქრისტე მისი მაცხოვარივით ჯვარზე გაკრული და განაწამები ქვეყანაა. სწორედ ამიტომ, არსებითად, ქრისტეს მცნების მიღმა მის გონით ნაღვაწში მისი სამშობლო უნდა ვიგულვოთ. გურამიშვილი რუსეთსა და უკრაინაშიც ქრისტეს დროშის ქვეშ იდგა, ქრისტეს მცნებათათვის დაღვარა საკუთარი სისხლი, იგი მართლმადიდებელ ქრისტიანად იშვა და ასევე აღესრულა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, თუ მის წიგნში ქრისტე ღმერთის სახელს ასე ხშირად ვხვდებით.

ამჟამად სწავლულნი აღიარებენ, რომ კლასიკურ ბერძნულ და ელინისტურ კულტურასაც ბოლო ქრისტიანობამ მოუღო (ეს ამბები კარგად აქვს აღწერილი ფ. კესიდის, რომლის წიგნიდანაც ჩვენ ვისარგებლეთ) და მოხდა მას შემდეგ, რაც სიცოცხლის შეფრფანვით მოსურნე წარმართობა, ქრისტიანული განდეგილობა, ანტიკური რაციონალისტური ფილოსოფია და ქრისტიანული დოგმატიზმი რადიკალურად შეურიგებელი აღმოჩნდა. რომაელთა მიერ დაპყრობილ ბერძნებს ქრისტიანობის გავრცელების ხანაში ჯერ კიდევ ჰქონიათ შენარჩუნებული ყოველივეს კრიტიკულად განსჯის უნარი. მათ ქრისტიანობა და მისი დოგმები სიბრძნედ არ მიუჩნევიათ და ახალ მოძღვრებას აგდებულად შეხვედრიან. ამაზე აღშფოთებულ პავლე მოციქულს კორინთელთა მიმართ გაგზავნილ თავის პირველ ეპისტოლეში ჩაუწერია: „რამეთუ ვინაითგან სიბრძნითა მით ღმრთისაითა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თვისითა ღმერთი... ვინაითგან ჰურიანიცა სასწაულსა ითხოვენ, და წარმართნი (ელინელნი ე. მ.) სიბრძნესა ეძიებენ. ხოლო ჩვენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცუმულსა: ჰურიათა სამეცაცხურ, და წარმართთა (ელინთა ე. მ.) სისულელე“ ესე იგი ჩვენ ვქადაგებთ ქრისტეს მოძღვრებას, რომელიც ჰურიებს მიაჩნიათ საცთუ-

რად, ხოლო ელინელთ — წარმართთ სისულელედო. აქედან აშკარად დასტურდება, რომ ელინნი ახალ მოძღვრებას ეჭვით შესცქეროდნენ.

ამისდა მიუხედავად, ქრისტიანობამ ხალხის მასებში გზა მაინც იოლად გაიკვლია, რადგან ფილოსოფიური განსჯის უნარი მხოლოდ განათლებულთ შესწევდათ, ხოლო საიქიო ცხოვრების მიმადლებისა და მარადიული სასუფევლის მინიჭების აღთქმას ბევრი მოუხიბლავს. ახალ მოძღვრებას თან ახალი იდეალები დაუმკვიდრებია: წმინდანობის კულტი, სულიერი სიწმინდე, ცხონება, საუკუნო ნეტარება, სულის ხსნა ამ ქვეყნად ჩადენილ ცოდვათათვის, ზნეობრივი ამაღლება, რომლის საწყისს აქ, ცოდვილ მიწაზე, მიიღებდა ადამიანი და რაც იმქვეყნად — საიქიოს — მარადიულ ნეტარებად უნდა ქცეულიყო. ქრისტიანობა თავიდან უუფლებოთა, უპოვართა და გლახაკთა მოძღვრება ყოფილა. ამ მოძღვრების მიმდევართ მაშინ ხალხთა შორის ძმობა უქადაგნიათ, განურჩევლად ყოველგვარი რასობრივი, სქესობრივი, საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ქრისტიანეთათვის ერთნი ყოფილან თავისუფალნი და დამონებულნი, მამაკაცები და ქალები, ბერძენნი და იუდეველნი, ამ მოძღვრების თანახმად, ყველა ხალხი და ყოველი ხალხის შვილები ღვთის მიერ თანასწორად შექმნილად ყოფილან გამოცხადებული.

ანტიკურ რაციონალისტურ ფილოსოფიას ვერაფერი დაუპირისპირებია ახალი რელიგიური ანტიინტელექტუალური აზროვნებისათვის, რომელსაც გონებისა და ლოგიკის ნაცვლად რწმენა, ზებუნებრივი უხილავი ძალები და კულტი გაუფეტიშებია.

მრავალი ღმერთის თაყვანისმცემელ ბერძნულ-რომაულ რელიგიას, თავისი მოძველებული კულტებით იმ პერიოდისათვის, როცა ქრისტიანობა ვრცელდებოდა, თავისი დრო მოჭმული ჰქონია. იგი ვეღარ გამომდგარა თვალუწვდენელი იმპერიის ყველა ხალხების გონების დამატყვევებელ ბანგად და საცთურად. ცუდუბრალოდ დამაშვრალან რომის ხელისუფალნიც, რომელთაც მპყრობელი იმპერატორებისა და რომაულ ღვთაებათა ერთიანი, საყოველთაო, სახელმწიფო კულტის შექმნა მოუწადინებიათ. ერთადერთი რელიგია, რომელსაც იმხანად მთელს სამყაროზე გადაუწვდენია ხელი, ქრისტიანობა ყოფილა.

ძმობის, მოყვასის სიყვარულისა და გაჭირვების ჟამს თანადგომის, ურთიერთდახმარების, მოვალეობის გრძნობის, სულიერი ამაღლების ქადაგებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ქრისტიანობა მოუწოდებდა ადამიანს, ღრმად ჩაეხედა საკუთარი სულის ლაბირინთში, შეეცნო თავისი სულიერი პიროვნული არსება და ეგრძნო, რომ ადამიანი გარესამყაროს წესრიგისაგან თავისუფალი იყო. ქრისტიანობამ ძველი სამ-

ყაროს მგლურ თეზისს: „homo hominis lupus est“ დაუპირისპირა მშვიდობის, სიკეთის, თანაარსებობისა და მოყვასისადმი სიყვარულის იდეები. და რაკი პრინციპმა: „... სისხლი სისხლისა წილ, კბილი კბილისა წილ“ ვერ შეუქმნა ადამიანებს მშვიდობისა და სამართლიანობის სუფევა, ვერ აღმოფხვრა ბოროტება, მოციქულებმა მას სრულიად საწინააღმდეგო ლოზუნგები დაუპირისპირეს. მმართველი წრეების მორალურ დაცემას, თვითნებობას, აღვირახსნილობას, გრძნობათა გაშიშვლებას, ქვენა ვნებათა აყოლასა და ტკბობის კულტს, საერთოდ, „ცოდვილი“ ადამიანის ბუნებას, მოციქულებმა დაუპირისპირეს ასკეტობისა და უმანკო ქალწულის იდეალი. ანტიკურ სამყაროში ადამიანი გაგებული იყო, როგორც სულიერ და გრძნობით საწყისთა ჰარმონიულობა. აქედან მოციქულებმა დატოვეს ადამიანის, როგორც მხოლოდ წმინდა სულიერი არსების გაგება. ქრისტიანობამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რომაული საზოგადოების მთელი ცხოვრების ნირი და ანტიკურობის იდეალები.

დააყენა რა რწმენა გონებაზე მაღლა, ქრისტიანობამ თავის თავსაც იქვე გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. იგი შემოქმედებითად ვეღარ განვითარდა. ეკლესია იქცა საზოგადოებრივი განვითარების ხუნდად, საეკლესიო სწავლულნი კი თანდათანობით სრულიად გადაგვარდნენ. ვერც ქრისტეს მსახურმა წმინდა მამებმა გაუძლეს ხელისუფლებით გამოცდას. ეს ყველასათვის დიდი საცთური მათთვისაც აჭილევსის ქუსლი აღმოჩნდა. როგორც ყოველმა გონებაგანხმულმა სწავლულმა, დავით გურამიშვილმაც იგრძნო და განიცადა ეკლესიის მესვეურ მამათა ქადაგებებსა და სინამდვილეს შორის წინააღმდეგობა. მისი აზრით: „ხუცესი უნდა მამაცი, არ თუ ჯაბანი მხრდალია. ხუცესს არ ეთქმის: ჭირშიგან ვერ შევალ, სარიდალია. ხუცესმან უნდა დამარხოს, თუ კაცმან სული დალია, ხუცესიც ბევრს რიგს დანაკლებს, თუ მეტი ღვინო დალია!“ სასულიერო პირნი ხანდახან სრულიად აშკარად მრევლის თვალწინ სჩადიოდნენ აუგს. ამან ათქმევინა, ალბათ, პოეტს დაურიდებლად შემდეგი სტრიქონები:

მღვრდელო, რაც ღმერთმან მადლი მოგმადლა,
არც აგიწონა, არც განგიადლა,
დაუფასებელს არ დასდვა ფასი
არცა ერთი და არცა ათასი.
უსასყიდლოდა მღრდლობის კურთხევა,
მოგცა ღირსებით მარჯვენის მთხვევა,
ასე გიბრძანა: ეით შენ მოგეცა,
უსასყიდლოდა სხვათ მიეც შენცა.
ახლა მე თქვენა ამასა გეედრებ,
ღეთის ნაწყალობევს ნუ დამაყეედრებ.
მკეღრისა პატრონსა სიკვდილის დროსა

ბევრს ნუ შეუკვეთთ სამარხს-სამკვდროსა!
რაც განვიძრახე აწ მე განძრახვა,
აწ თქვენცა გმართებსთ თვალით დანახვა.
როგორც მკვდარს უნდა კარგად დამარხვა,
აგრევ ქვრივ-ობოლთ უნდა შანახვა.
ცოცხალი რომე პატარად ვღირდი,
მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?
მღვრდელო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი, —
რაც მოგითვალო, მას მიითვლიდი!

სოციალურად სხვადასხვა კიბეზე მდგომ ეკლესიის მსახურთა თავაშვებულობა, თვითნებობა, მორალური გახრწნილება და სიმდაბლე, მორწმუნე ქრისტიანეთა შორის ბადებდა ღრმა პესიმიზმსა და ცინიზმს, რადგანაც, ის ვინც მორწმუნეს მიაჩნდა სიწმინდის, სათნოებისა, სიკეთისა და კეთილშობილების განსახიერებად, თვითონ გადადიოდა ღვთის მცნებებს, უხეშად თელავდა ფეხქვეშ სხვათა რწმენას და მოახლოებული იყო „განდრეკასა თანა სარწმუნოებისასა, კანონნიცა ეკლესიისანი დაიხსნეს და უგულებელს იქმნნეს“.

ყოველივე ეს ძალიან კარგად იცოდა დავით გურამიშვილმა. იცოდა ისიც, რომ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში გამოჩნდა საქართველოში კანონიკური კრებული, მცირე სჯულისკანონი, შედგენილი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ, რომლითაც წესრიგდებოდა საეკლესიო სამართალი. დავითმა კარგად უწყოდა ისიც, რომ დროთა დაისაჭიროვა და ექვთიმეს „მცირე სჯულისკანონს“ მალე თან მოჰყვა არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი „დიდი სჯულისკანონიც“, მაგრამ პოეტმა (როგორც აღვნიშნეთ) თავისი ქვეყნისათვის ხსნის სხვა გზა ვერ ჰპოვა და სამშობლო ქვეყნის მკვიდრად დგომის, ურყევად დგომის საფუძვლად და ბურჯად ისევ ქრისტეს სჯული მიიჩნია. დასაწყისში ქრისტიანობამ პიროვნების ფასი ცამდე აამაღლა. პიროვნება მოციქულებმა წარმოადგინეს, როგორც ღვთისაგან შობილი ზებუნებრივი თავისუფალი არსება, რომელიც არ უნდა დამორჩილებოდა ბუნებრივსა და სოციალურ წესრიგს. ასეთი იყო ქრისტიანულ-სპირიტუალისტური გაგება პიროვნებისა და თავისუფლებისა. ფ. კესიდი ამის თაობაზე წერს: „უაზრობა იქნებოდა კაცობრიობის განვითარების ისტორიაზე ქრისტიანული ჰუმანიზმის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გავლენის უარყოფა. ქრისტიანობის მიერ იმისი ქადაგება, რომ პიროვნება იყო დაბადებით თავისუფალი და არ უნდა დამორჩილებოდა ბუნებრივსა და სოციალურ წესრიგს — თავის საწყისში შეიცავდა ბუნტარულ განწყობილებასა და პროტესტს, მიმართულს მონათმფლობელური სოციალური სისტემის წინააღმდეგ, იმ წყობილების წინააღმდეგ, რომლის მესვეურნიც მონას საგანთან აიგივებდნენ“. როგორც ცნობილია, დასაწყისში ქრისტიანობა წარმოსდგა როგორც მონათა,

უპოვართა, გლახაკთა და ჩაგრულთა რელიგია. ამიტომ იყო, რომ ყოველი ჩაგრული ადამიანი და დამონებული ერის შვილი ქრისტიანულ დოგმებში ეძიებდა ხსნის გზას და ამ ცთომილ, ქრისტიანული თავისუფლების ნავსაყუდელის მოპოვების მოიმედე მორწმუნეთა შორის იყო ჩვენი სასიქადულო მგოსანიც.

გურამიშვილი ბუნებით ისეთივე მორწმუნე იყო, როგორიც ბუნებით პოეტი. მის პოეზიაში უდავო და თვალსაჩინოა სასულიერო ნაკადი, მაგრამ ეს არ უშლის ემსახუროს საერო მწერლობას. მეტიც: სიცოცხლის მოტრფიალე პოეტისათვის სასულიერო პოეზია, ეტყობა, მხოლოდ ხარკია დროისა, ყოველ თავისუფალ წუთს კი საერო წალკოტში ატარებს:

აწ მე საერო წალკოტი მგონია პატიოსანი.
მიყვარს და მალ-მალ მსურიან მისთა ყვავილთა ყნოსანი;
გავშორდი საღმთოს ბაღნარსა, ვსთმე მის ბულბულთა ოსანი,
მივჰყევ საწუთროს ზღაპართა, შევიქმენ არაკოსანი.

რაც გინდ დამძიმებული იყოს „დავითიანი“ რელიგიური მოტივებითა და მისტიკური ნისლით, მისი გაბუნდოვნების ყოველი ცდა ინგრევა მარტოოდენ თვით პოეტის ამ ერთი განცხადებით.

ეს ასე გვესმის: მორწმუნე პოეტი ბოდიშს იხდის ღმერთის წინაშე, მაგრამ წუთისოფლის სიამეთ არ უარყოფს.

აუცილებელია ითქვას: „საღმრთო“ და საერო პოეზიისადმი ერთდროული სამსახური მაშინდელ საქართველოში უცხო რამ ხილი არ გახლდათ. ასევე ემსახურებოდნენ „საღვთო და საკაცო“ პოეზიას გვირგვინოსანი პოეტები: თეიმურაზ პირველი, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე და სხვანი.

გურამიშვილიც ორივე „საღვთო და საკაცო“ მუზების მსახურია, ისიც ვერ თმობს საერო წალკოტს, ხდება არაკოსანი, ესაა საუნჯის შეკრება. პოეტი „წალკოტს იშენებს“, უმჯობეს ხილს ამყნობს „მარგედ, არა თუ საწყენად“, და თუ მასაც „მერანთ ჯოგში“ რევენ, ეს სწორედ მისი პოეზიის მონაპოვარია და არა მარტოოდენ მისი ლოცვა-ვედრებისა.

გურამიშვილმა არჩილ მეფეზე ნაკლებად არ იცოდა, რომ საღმრთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით, საშაიროს კი ინახავდნენ „სტავრის ბუდით“. პოეტისათვის უფალი არის „ანი და ჰაე, პირველი და უკანასკნელი“, მაგრამ თავსა და ბოლოს შორის გაშლილია მთელი ბაღი, მთელი ცხოვრება, და პოეტს სურს ის ისე იყოს მოწყობილი, როგორც ადამის ძეს უხარია.

* * *

გურამიშვილის რელიგიური მრწამსის ძირები საძიებელია არა მარტო ორთოდოქსალურ ქრისტიანულ სარწმუნოებაში, არამედ წარმართულ სარწმუნოებრივ მითებში, ფოლკლორში, ძველ კულტში.

წარმართული გმირი, „ცამდინ მაღალი და ზღვამდინ მაგარი“ კოპალა ყოფილა ქართველ ტომთა ღვთაება. ფიქრობენ, რომ ესაა ბერძნულ-რომაული ნაყოფიერების ღვთაების ფრიგიელთა დედათა დედის, „დიდი დედის“ — კიბელეს ორეული. მაგრამ კიბელე ქალია, თუმცა შესაძლებელია სქესის მეტამორფოზაც.

არსებობდა ძველი ქართული სიმღერა „აჰა, წმინდა კოპალე“. ვაჟას აქვს პოემა „კოპალა“ („ძველი ამბავი“). ქვეყნიერებას შავი წყვდიადი დაუფლებია, ველ-მინდვრები გადახმა, „ლამის სიკვდილმა სიცოცხლის დაისაკუთრა სახელი“. ამ დროს გამოჩნდება მოხუცი კოპალა და შავნაბდიან დევს მოკლავს, ქვეყნად ისევ სიცოცხლე იმარჯვებს. ეს შინაარსი ძლიერ უახლოვდება ფრიგიული ნაყოფიერების ქალღმერთის ამბავს, სახელი კი მათ თითქმის ერთნაირი აქვთ. ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს სიცოცხლის ჭომაგთან, შუქისა და ნაყოფიერების ღვთაებასთან.

დავით გურამიშვილს ძველი წარმართული საგალობელი გადაუკეთებია, შიგ ქრისტიანული შინაარსი ჩაუქსოვია, მარიამისა და ხარების ამბავი გადმოუცია იმავე კილოზე და ყველაფერი ახალ სამოსელში გაუხვევია. ეს თითქმის ისეთივე ამბავია, როგორიც „არანანინა, თარანანინას“ შეცვლა „ალილუიათი“. მორწმუნე ქრისტიანი პოეტი იყენებს წარმართულ სიუჟეტებს, ფოლკლორულ სახეებს, მაგრამ ქრისტიანულ სამოსელში ახვევს მათ, და ეს სრულიად ბუნებრივია.

გურამიშვილის შემოქმედებაში გაპიროვნებულია ბუნების მოვლენები, აფთარივით ჯავრიანი ზამთარი ტახტზე ზის, ზაფხული მრისხანე მბრძანებელს ლაშქრით უახლოვდება, ქარები ზამთრის მეუფეს ემორჩილებიან, ბორიო იბრძვის, ზეფიროსი თრთვილით ლაშქრავს სითბოს სამეფოს, მზე თრთვილს ადნობს, მხიარული ზაფხული იმარჯვებს, ზურმუხტის ტახტზე დაჯდება. ეს საშინელი წარმართული სტიქიები და სიცოცხლის მომნიჭებელი ძალები — დღე და ღამე, სიკვდილი და სიცოცხლე — ცოცხალი გმირებივით იბრძვიან და ამ ქაოტურ ჰიდილში კაცი ხშირად ვერც გაარჩევს, სად თავდება წარმართობა, სად იწყება ქრისტიანობა.

ეს წარმართული წარმოდგენებიც და სახეებიც ძველ ბერძნულ, რომაულ, ფრიგიულ, ბაბილონურ და სხვა სარწმუნოებრივ მითებსა და თქმულებებში ვრცლად და დეტალურად დამუშავებული მოვლენები გურამიშვილს რაღაც წყაროებიდან სცოდნია და თავისებურად

გამოუყენებია. სიკვდილისა და სიცოცხლის, ბნელისა და ნათელის, დღისა და ღამის, ზაფხულისა და ზამთრის ბრძოლები ასახულია დასავლეთის მითოლოგიაში და ფიქსირებულია ხალხურ თამაშობა-სანახაობებში. ჰანს საქსთან ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლა ზამთრის გამარჯვებით თავდება და ეს ბუნებრივია: მოქმედება შემოდგომაზე ხდება. დავით გურამიშვილმა გაზაფხული აირჩია, რაც მეტი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. გვირგვინების დადგმის საზეიმო ცერემონიალიც ცნობილია, მისი საფუძველი უძველესი ხალხების მითოლოგიაშია საძიებელი.

პოეტის შემოქმედებაში ძველი მითი ხელახლა იბადება. გურამიშვილს ეს წეს-ჩვეულებები უშუალოდ უკრაინაში უნახავს ან სმენია, თუმცა არც ნატროშვილის ვარაუდია უსაფუძვლო: იქნებ გერმანიაში ყოფნის დროს ნახა ან გაიგონა? სამწუხაროდ, გურამიშვილის მიერ გერმანული ფოლკლორისა და ლიტერატურული წყაროების გაცნობის ფაქტი არსად დასტურდება. პრუსიაში ტყვედპყრობილ მგოსანს პოეზიისათვის ძალიან ცოტა დრო დარჩებოდა. თარგმნილი კი მაშინ ცოტა რამ იყო.

გურამიშვილის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მზეს, მზეთამზეს, მზის კულტს. ეს თემაც უძველესია და მის შემოქმედებაში ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. წარმართული მზე აქაც ქრისტიანულ სამოსელში ეხვევა, ოღონდ მას შემდეგ, რაც თავისუფალი წიალსვლით ამ პოეტურ სახეს მეტისმეტად შორეულს წარსულში გადავყავართ. ქრისტიანობა აქაც ერთგვარი „სადავეა“, რაც სარწმუნოების წიაღში აბრუნებს „წარმართ“ პოეტს.

„ქართლის ჭირის“ შინაარსის გადმოცემის დროს შევეხეთ გურამიშვილის მისწრაფებას, რომ მზე თუ მზეთამზე უზენაესის სინონიმებად წარმოგვიდგინოს. ასე, მაგალითად:

> სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზედ ითქოსა,
> ძე ღვთისა მხოლოდ-შობილი მზე სიმართლისა იქოსა.
> მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ირქოსა...

მაგრამ ეს, ჩვენის ღრმა რწმენით, გახლავთ ისევ პოეტური აზროვნების მასალა, ერთგვარი სარწმუნოებრივი „ეთიკებით“ ნაკარნახევი და მეტი მნიშვნელობა მას არ უნდა მიეცეს.

ამაში გვარწმუნებს თვით თხრობის მორიგი პოეტური აღმავლობა. დავითი ისევ იმ პირველ სახეებს უბრუნდება:

> რაგინდ მე ასრე გავგიჟდე, თავი ვახალო ტინზედა,
> მხეცნი, ფრინველნი ვასერო ჩემსა ხორცსა და ტვინზედა;
> იგ მარგალიტი თაღლითზე, ოქრო გავცვალო სინზედა,
> ვგონებ არც მაშინ გავცვალო იგი მზე თინათინზედა.

გურამიშვილის „კოსმოგონიური პოეზია“ გვხიბლავს და გვაჯერებს, რომ საქმე გვაქვს დიდ შემოქმედთან, მერე კი, სახეების ახსნაზე რომ გადადის მგოსანი, უცებ მოვიწყენთ ხოლმე, „გაღვთაებრივების“ პროცესი ხელოვნური და ნაძალადევი გვეჩვენება.

გურამიშვილი აქაც ძველ ქრისტიან მწერალთა, კერძოდ, ქართველ ჰიმნოგრაფთა ტრადიციას აცოცხლებს.

დავითი გაარჩევს ძველსა და ახალ დღეს — ძველსა და ახალ აღთქმას, იელოჰიმ — რაბაოთსა და იესო ქრისტეს, მაგრამ ხშირად ვერ ეტევა ამ ჩარჩოებში და დიდი კოსმოგონიის მომღერლად გვევლინება. საერთოდ, ის მეტისმეტად დიდია იმისათვის, რომ რაიმე ჩარჩოებში მოთავსდეს სავსებით.

აი, პოეტი უმღერის მზეთამზეს: სჯობს ვეტრფიალო მზეთამზეს, მზესათვინ თავი ვახელო, ნათლისა გავხდე მიჯნურიო...“ და იქვე განმარტავს:

ისმინე, ლექსთა მკითხველო, სიტყვა აგიხსნა წინადა,
ძე ღმერთს კაცებით მზედ ვსახავ, სახით მზეს თინათინადა,
ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზე მამას ვსახ თქმად სასმინადა.

აქ სადავოც არაფერია. მზეთამზეა უზენაესი, ღვთაებრივი მიჯნური, და განა ცოტაა მსოფლიო პოეზიაში მაგალითები, როცა ასეთი კილოთი უმღეროდნენ სატრფოს — ქრისტეს, ეკლესიას და ა. შ.

არც დავითს სურს შარი მოსდონ, წიგნი შეურყვნან: „ეს წიგნი წმინდად საბმარი არავინ გამიჩირქოსაო“, — დაგვიტოვა ანდერძად.

* * *

ვინც გურამიშვილის „რელიგიურ—მისტიკურ პოეზიაზე“ ლაპარაკობს, არ უნდა დაივიწყოს მისი ფონი, ქვეყნის მძიმე ბედი, პირადი ტრაგედია... რაც არ უნდა იყოს, ეს არაა ისეთი უსაშველო მისტიკა, როგორიც არის ლეოპარდის, ნოვალისის, შატობრიანის შემოქმედებაში. ქართული ლიტერატურა, რასაც საფუძვლად ქართველი კაცის ოპტიმისტური ბუნება უდევს, არასოდეს არ დაშვებულა სიკვდილისა და ჩამუქებული წარსულის აპოლოგიამდე.

გურამიშვილი რომ ორთოდოქსალური, მორწმუნე ქრისტიანია, ამაზე არ ვდავობთ. მაგრამ ეს პოეტს სულაც არ უშლის, რომ ამხილოს სასულიეროთა სიხარბე, გაუტანლობა და სიმდაბლე ყოველნაირი. სატირის ოშვიათ ნიმუშად ჩაითვლება „მღვრდელთ ვედრება დავით გურამიშვილისა“, სადაც მათრახივით მწველი სტრიქონებია. ხანდაზმული პოეტი ულმობელი სარკაზმითა და ირონიით მუსრავს „კეთილმსახურებს“:

ცოცხალი რომე პატარად ვღირდი, მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?
მღვრდელო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი,— რაც მოგითვალონ, მას მიითვლიდი.

დარდით დაღდასმული პოეტი ხშირად არ ინდობს მსახურთ იმ ღვთისა, რომელსაც თვითონ ესავს და თავგამოდებით იცავს:

მამაო, თავსა მფარავი დაგედგა კარგი კარავი,
განიარი და მაღალი ხელთაგან მიუკარავი.
შიგ ვიყავ, რადღა გამაგდე. პანღური ამამკარ ავი,
მით ცრემლი ჩემი ზღვად გახდა, თვალთაგან ნაწანწკარავი.

წუთისოფელს ვინ არ ემდუროდა, მაგრამ დავითის სამდურავი სრულიად თავისებური, გულსაკლავი და იოლად გამოსარჩევია. მისი მრუდე ბედი განაპირობებს მის სამდურავს: „ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!“ — ესაა ხალხური უბრალოებით და დიდი გამომსახველობით ნათქვამი გმობა უსამართლობისა. ამისი მკვებავი წყარო ხომ მამულზე დარდია („ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა...“).

წუთისოფლის სამდურავს რომ მორჩა, მგოსანმა თითქოს ამით გული იჯერა, დაშოშმინდა, საიერიშო განწყობილება მორჩილების, ღვთისადმი მოწიწების გრძნობამ შეცვალა. თუ იმ ცოტა ხნის წინ კაცი მუხანათ წუთისოფელს ხმლით გაკვეთას უპირებდა, ახლა ხმალს ქარქაშში აგებს და აღიარებს: მართალი ხარ, ადამისა და ევას შეცოდების შემდეგ ჩვენ დავიმსახურეთ მარტვილობა და ვერაფერს დაგემდურებითო. ამრიგად, სოფლის სიმრუდე გამართლებას პოულობს „პირველი შეცოდების“ ქრისტიანული დოგმის წყალობით:

კაცსა რა ესმა, დაფიქრდა, თქვა: ასე იყოს აგებო,
არ შემომაკვდეს უბრალოდ, ხმალსა ქარქაშში ვაგებო;
ბოდიშს მოვიხდი თავდამბლად, მასთან დაგებას ვაგებო,
კვლავ ვკითხავ წვრილად ამბავსა, ვაუბნებ, ვაქადაგებო.

არა, დამნაშავე ადამიანია! ღმერთმა შექმნა, სამოთხეში დაასახლა, მან პატივი ვერ შეიფერა და ახლა ამისათვის იტანჯება. არა თუ კაცის უბედურება, თვით ქვეყნის ძნელბედობა, ქართლის ჭირიც თურმე „საწყაულის მოწყვაა, ღვთისაგან“, პირველი ცოდვის სამაგიეროა. ასეთი რელიგიურ-მისტიკური ახსნით პოეტი, თითქოს ამცირებს თავისი დიდი პოეტური ქმნილების ღირსებას, მაგრამ წმინდა ისტორიული ნაწილის თხრობა იმდენად რეალისტურია, სწორი და მაღალპოეტურია, რომ ამ გარემოებას ვერც კი გრძნობთ.

ქართველთა ტრაგედიას პოეტი ძველი ტრადიციული წესით ღმერთს მიაწერს.

მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ, პასუხი უყო ცოდვისა,
ცა რისხვით შუვა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა.
ჰმუნვიდნენ, არად შესწევდათ ცოდვით უნანლად წუხილი...

ამავე ცოდვის გამოხატულებაა ისიც, რომ ქართველები ქრისტეს გადაუდგნენ, მაჰმადის მადლსა ესავენ, „გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხარჭასთან შექმნეს რბოლანი“.

ქართველთა შეცოდება პოეტს ისე მძიმედ მიაჩნია, რომ ზღაპრულ სახეებსაც იშველიებს. უცხო რამ მხეცი გამოჩენილა, ცხოველებს არ ერჩის, ადამიანებს მუსრს ავლებს, მკვდრებს საფლავებიდან თხრის. ეს საშინელი სახე გვაძრწუნებს და გვაოცებს კიდეც, ისე დამაჯერებლად ჩაურთავს პოეტს თავის პოემაში:

გამოუვლინის ნადირნი, მჭამელნი კაცთა ხორცისა,
მოთხარის მკვდარნი საფლავით, ცოცხალიც ბევრი ხოცისა;
ხმალ-კაპარჭთ რიდი არ აქვნდის, არცა ხელმახას ტყორცისა...
უცხო რამ აქვნდის მას მხეცსა, ხერხი და მეცნიერობა,
საცხოვარს არას აწყენდის, ვერ ვსცნი, რა აქვნდის ფერობა.
საცა რომ კაცსა შემოხვდის, მედგარ იხმარის მტერობა,
ანაზდად ეცის, დაფლითის, მოკლის და შექმნის სერობა.

ეს საზარელი მხეცი, რაც დიდ გოიას არაერთხელ დაუხატავს იმავე ეპოქაში, პოეტს იმისათვის დასჭირდა, რომ თავის თანამემამულეთა ცოდვის განკითხვა თავისებურად ახსნას. ცხადია, რამდენადმე ეს სისხლიანი მხეცი ყიზილბაშებსა და შაჰის ჯარებს მოგვაგონებს.

პოეტი თითქოს ბიბლიურ ამბავს იმეორებს თავისებურ სახეებში, როცა უძღებმა მხეცმა ქართველები ვერ მოაქცია, ღმერთმა მათ ახალი სასჯელი დაატეხა:

არც მით მოიქცნენ! შეჰყარა უცხო, უწყალო სენები,
ხოცნა კაცნი და პირუტყვნი; ცხვარნი, ძროხა და ცხენები.
კვლავ შეაყენა, მახვილთა სისხლით აღივსო ხევნები,
სრულად აღსრულდა მათზედა დავითის მონახსენები.

ამრიგად, მთელი საქართველოსა და პირადად დავითის უბედურება ბიბლიურ შეცოდებათა და ქართველთა მიერ ღვთისაგან განდგომის საზღაურად ცხადდება. აქედან მოდის მისი რელიგიური ჰიმნები, ბედის გმობა, მერე ბედის უარყოფა და ყოველივეს გამგებლად ღმერთის გამოცხადება:

საწუთროს სოფლის ჟამთა ცვლილება, დღეს შერიგება, ხვალ აშლილობა,
გლახობა, მეფობა, სიძვირ-იეფობა, ღვთით არს, არ ბედით...

ეს თანმიმდევრული ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი კონცეფცია მთელს „დავითიანს“ გასდევს.

დავითი რომ ბიბლიის ღრმა მცოდნეა, ეს ჩანს ყოველი დეტალიდან. თავისუფლად იყენებს სოლომონის იგავებს, დავითის სიბრძნეს, სახარებას.

მეტისმეტად თავგამოდებული მორწმუნეაო, რომ ქადაგებენ,

მკვლევარები საკმაო ანგარიშს არ უწევენ დროს, ეპოქას, ტრადიციას, რაც თვით რუსთაველს აიძულებს ხშირად მიმართოს უზენაესს: „ილოცავს, იტყვის: მაღალო ღმერთო...“, „ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვეყნათ-ზესა“; „ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე“ და სხვ.

• • •

გურამიშვილი დასავლეთ ევროპაში გავრცელებული თავისებური საღვთო მიჯნურობის მჭადაგებელია.

გურამიშვილმა შექმნა უსასრულო სიყვარულის მარადიული სიმბოლო — მზეთამზე, თეთრი მიმინო, „უსასყიდლო მარგალიტი“, ციური ნეტარების მომნიშვნელი რაღაც მაგიური ძალა. შესაძლოა ეს მართლაც ვახტანგ მეფის ზეგავლენაც იყოს, გვირგვინოსანი (და უტახტო) პოეტისა, რომელმაც მთელი ვეფხისტყაოსანი ციური სიყვარულის სიმბოლოდ გამოაცხადა და მიჯნურში ყველგან ქრისტე იგულისხმა, რაც ფრიად თავისებური ახსნაა.

ასეთი გაგება მიჯნურობისა მართლაც არსებობდა შუა საუკუნეებში. რაინდი სატრფოდ ღვთისმშობელს აცხადებდა და სიკვდილამდე ერთგულების ფიცს აძლევდა. სიკვდილი კი არ იყო შორს იმ დროს, როცა ყოველთვის ომი ან ომის მოლოდინი ჰქონდათ. რაინდი კვდებოდა ქრისტეს დედისთვის და „ციურ სასუფეველს“ იმკვიდრებდა. მბრძანებელთათვის — თუნდაც ჯალათთათვის — სიკვდილი ხომ მუდამ გმირობად ითვლებოდა. დიახ, სიკვდილი გმირობად ითვლებოდა იმათ თვალში, ვისთვისაც კვდებოდნენ!

გურამიშვილის ბევრი რელიგიური ჰიმნი, ლოცვა, სიმღერა მოგვაგონებს მიქაელ მოდრეკილის, სტეფანე მტბევარის, იოანე-ზოსიმეს და სხვა ძველ ჰიმნოგრაფებს. ოღონდ ჩვენი პოეზიის პატრიარქებს უფრო ხალასი, მარტივი, გულუბრყვილო რწმენით ნაკარნახევი ჰიმნები უწერიათ, გურამიშვილი კი მაინც ახალი დროის პოეტია და რაღაც ეჭვი, შფოთი, ირონიაც კი შეპარულა მის „სასულიერო პოეზიაში“.

მართალია, ჰიმნები და ლოცვები „დავითიანში“ მეტია, ვიდრე ვისურვებდით, მაგრამ გულუბრყვილობა იქნება აქედან ისეთი კატეგორიული დასკვნების გაკეთება, რომ ჩვენი პოეტი „ასკეტური მორალითაა გაჟღენთილი, ვითომ მართლაც უარყოფს ხორცს, რომელსაც „მყრალ ჭურჭელს“ ეძახის... მართალია, პოეტი ქადაგებს, ჩემსავით ნუ მოსცდებით, სული აცხონეთო, მაგრამ ესეც ერთგვარი მობოდიშებაა ღმერთის წინაშე, სწორედ იმისათვის, რომ ბევრი „ცოდვა“ ჩა-

უდენია, ჰყვარებია, სოფლის სიამაყის ყვავილები უკრეფია, სატრფიალო ლექსები უწერია და ა. შ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მშიერ-მწყურვალ პოეტს სადღაც დაღესტნის მთებში ჰგონია, ღმერთი პურს მისცემს, „გააძღებს მშიერს“, დაიცავს, დაიფარავს, „ასმევს მწყურვალს“, „სიმართლის გზას“ ასწავლის, მოწყალების კარს გაუღებს, ტყვეობიდან გამოიხსნის და ა. შ.

ეს მოთაფლული სიტყვებიც, ისევე როგორც ბიბლიის ეპიზოდების გალექსვა, ქრისტიანი პოეტის ვალია, გულში კი ალბათ მაინც თავისი მისწრაფებების ერთგული რჩებოდა.

ცხადია, ქრისტიანი პოეტი „ესავს იესოს“, ყოველნაირად გამოხატავს მისადმი მოწიწებას, თითქმის გულწრფელია:

ტკივილით ვიღრენ კბილსაო!
ვესავ იესოს ტკბილსაო!
რომელმან ივნო ჯვარია,
დანსთხია სისხლის ღვარია...

მაგრამ ერთი რამეც უნდა გავიხსენოთ: ქრისტეს ტანჯვაზე რომ ამდენს ლაპარაკობს, პოეტს თითქოს პირადი ტანჯვა-ვნება უფრო აკავშირებს ჯვარცმულ ღმერთთან, და ეს ერთიანი პოეტური საგალობელი თითქოს ბედის მოზიარისადმი მიმართული ჰიმნია და არა მარტო მორწმუნის ლოცვა.

პოეტის ცხოვრების წვრილმანები ჟამთა სიავემ შთანთქა და დაგვიკარგა. სამაგიეროდ, მდიდარი ვართ მისი სულიერი ბიოგრაფიული ცნობებით, რომლებიც ჩაქსოვილია მისსავე პოეტურ მატიანეში, ავტობიოგრაფიაში, საგალობლებში და ა. შ. ტანჯული, ბედგამრუდებული მგოსნის მდგომარეობა მძაფრი პოეტური საღებავებითაა დახატული თუნდაც მის „არიაში“:

ნაწლევნი, ღვიძლი და გული შემქმნია ცეცხლით დაგული;
პირი შემკვრია წყენითა, ვერა მითქვამს რა ენითა!

დე, იყოს ეს იგივე მარადიული „ახ, კაკ სკუჩნო“, იგივე ქრისტეს ტანჯვის ამსახველი ლექსი, — მაინც მის სტრიქონებს შორის ვხედავთ, იმ ტანჯვას, რასაც საკუთრივ დავით გურამიშვილი განიცდის.

თუ ასე გავიგებთ, ბევრი რამ იხსნება და პირველ რიგში გაწბილდებიან სკეპტიკოსები, რომლებიც ტექსტს ზედაპირულად კითხულობენ და ყველაფერში მისტიკას ხედავენ.

ასეთ გაგებას კი თვით პოეტიც გვიდასტურებს:

მე ამ წიგნის გამლექსველი, ტვინთა მფანტველ-გამქსაქსველი,
ამად ვსტირ, ვარ ცრემლით სველი, საწუთროს კარგს არას ველი.
ცრუ არს წუთისოფელი...

პოეტი ხშირად იმეორებს ღვთისმეტყველებისათვის ცნობილ გაცვეთილ სიბრძნეს, სულის მარადიულობასა და ხორცის წარმავლობაზე არსებულ დოგმას და ა. შ.

ხორცი მკედარ-სმელი ბალახი,
აყოებულად ნანახი,
სული ცხოერების მპყრობელი,
ეით ბაზმა გაუქრობელი.

ან ამ ტიპისა:

აქე, ადიდე შენაო,
ეინცა შენ აღგაშენაო,
შენ — შაეი მიწა ტალახი —
რომ აგრე დაგაშეენაო...

დავითი წუთითაც არ ივიწყებს მისებრ წამებულ ქრისტეს, უმამოდ და უდედოდ შობილ „ჭირთა მკურნავს", ვინც „დასთხია სისხლის ღვარია".

მე მისთვის თავს ვიდებ, ვაქებ და ვადიდებ,
მრწამს და აღვიარებ, ვდგები თუ ვიარებ, უგალობ მე მას
მდიდარ ვარ თუ მწირი, ლხინი მაქვს თუ ჭირი,
ვიმღერი თუ ვსტირი, ქნარი მაქვს თუ სტვირი.

მაგრამ, თუ ღრმად დავაკვირდებით, გურამიშვილის პოეზიაში ეს ახსნა, ღმერთის პრიორიტეტი, მაინც დროისა და გარემოების ნაკარნახევი აუცილებლობაა, რასთან შეტაკებაც პოეტმა არ ისურვა ან არ შეეძლო. სინამდვილეში მისი პოეზია ისე უხვად შეიცავს რეალიზმს, ისე გაჟღენთილია სიცოცხლის სიამეთა გრძნობებით, ბუნებისა და ადამიანების სიახლოვით, სიბრძნის ქებით, სწავლისა და საქმიანობის ქადაგებით, რომ ბევრგან გვავიწყდება კიდეც ღმერთიცა და მისი მოძღვრებაც. ეს საერთოდ ქართული საერო პოეზიის ტრადიციებიდან გამოდის და ძალუმ ნაკადს ვერც ალბათ ღრმად მორწმუნე გურამიშვილი უვლის გვერდს.

ჩვენ არ ვივიწყებთ პოეტის გამონათქვამებს ბედსა და ღმერთზე, არც მის ფორმულას „სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჟურჟელი მყრალია". არც მის ლოცვასა და ვედრებას. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ჩვენ პოეტი მხოლოდ კეთილ ქრისტიანად წარმოგვიდგება, რომელსაც სწამს და ქადაგებს იმას, რაც მარადიულ სასუფეველს დაუმკვიდრებს. ის თითქოს ტაძარშია და ლოცულობს იმას, რაც ასწავლეს, რაც ესმის. მაგრამ გამოდის ტაძრიდან და იმ ისევ საერო კაცია.

პატრიოტი, ქვეყნის ბედზე მტირალი, ცხოვრების სიამეთა მოტრფიალე, მართალია, წერს: „ამად სჯობს ხორცი უვარ-ჰყო, სულსა ულოცო, უწირო", მაგრამ თვითონ ბერად არ აღკვეცილა და სიყვა-

რულზე ხელი არ აუღია. ვერც იმ შეხედულებას მივიღებთ, ვითომ გურამიშვილის „პოეზიაში იშლება ბოჰემური მსოფლმხედველობა“ (ვალერიან გაფრინდაშვილი), უფრო მისაღებია თვალსაზრისი, რომ მისი კილო „ქვეყნისაგან განდეგილის კილო არ არის“ (პეტრე უმიკაშვილი), მაგრამ ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, რასაც თავის პოეზიაში, ზოგიერთთა შეხედულებით, ნამდვილად ქადაგებს — უკომპრომისო ასკეტიზმს — ის ცხოვრებაში მაინც ითრგუნება და საერო მოტივებს, ცხოვრების მოთხოვნილებებს მაინც თავს ვერ აღწევს, ვერ უარყოფს. ქადაგება ქადაგებად რჩება, ცხოვრება კი თავისას ითხოვს.

დავითი მორწმუნეებს ლოცვასა და სინანულს უქადაგებს:

ისევ ხორცით შეინანე, რაც ხორცით სცოდეო,
თორემ სულით ვერას ირგებ, შენ ეს იცოდეო.

ცხადია, ერთი შეხედვით, როგორც ზემოთ გვითქვამს, „ასკეტური მორალით გაჟღენთილი დავითი უარყოფს ქვეყანას, ხორცს, „საკმევლის კმევას“ ქადაგებს და მორწმუნეს პირდაპირ ურჩევს: „თუ სულით გსურს განსვენება, ხორცი გასარჯეო“, მაგრამ სულიერი ცხოვრების ეს ჰიმნი მიზნად ისახავს არა ოფიციალური ეკლესიის — კათოლიკურისა თუ მართლმადიდებლის — დიდებას, მის ქებასა და ღვთისმსახურთა სისპეტაკის ქადაგებას, არამედ თვით ეკლესიის შერყეული ავტორიტეტის აღდგენას, შერყვნილი ქრისტიანობის განსპეტაკებასა და ქრისტეს სჯულის ერის სამსახურში ჩაყენებას. ქრისტეს დროშის ქვეშ ქართველობის დარაზმვას და მაჰმადიანურ სამყაროსთან უკომპრომისო ბრძოლას.

ხალხურ კილოზე გამართული ლამაზი ლექსით რომ გადმოგვცემს ბიბლიური ლეგენდების შინაარსს, ამით დავითი გლეხსა თუ თავადს აიძულებს ისევ ჩაუჯდეს, წაიკითხოს საღვთო წიგნი, რადგან მისთვისაც, ცხადია, ცნობილია, რომ ბიბლიას მტევრი ედება, „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“.

ასეთია გურამიშვილის ზოგადი სურვილი, თორემ პირადად ეკლესიის მსახურებს რომ ირონიულად უყურებს, ეს თუნდაც მისი ცნობილი სტრიქონებიდან ჩანს:

„თუმცა შეადგა ლამაზი ბოზი, ძნელად გადურჩეს კათალიკოზი“...

* * *

გურამიშვილმა ღვთის ქება-დიდება თქვა გამიზნულად, ერის გასაჯანსაღებლად, გამოსაფხიზლებლად და, რაც უფრო მაღალმხატვრულია მისი ბიბლიური ოდები, მით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო

ეკლესიისათვის, საბოლოო ანგარიშით კი ქართველებისათვის. მისი სამშობლოსათვის, რომელიც მაჰმადიანური ქვეყნებით იყო გარშემორტყმული. სულ სხვა ამბავია, რომ ეს ოდები გვიან დაიბეჭდა და ხელნაწერი ვიწრო წრეებისათვის თუ იქნებოდა მისაწვდომი.

ბიბლიის გალექსილი ეპიზოდების ჩამოთვლაც კმარა იმის წარმოსადგენად, რამდენად დიდი ადგილი უჭირავს ძველ აღთქმას პოეტის შემოქმედებაში: ადამისა და ევას ამბავი, ნოეს კიდობანი და მსოფლიო წარღვნა, ბაბილონის გოდოლის ეპიზოდი, დავითის როკვა სჯულის კიდობნის წინ, მოციქულთა საქმე, იუდას ღალატი, ქრისტეს ჯვარცმა, აღდგომა, ხარება და ა. შ. დავითი აფრთხილებს მორწმუნეებს, არ გაიმეორონ ბიბლიური ცოდვები, არ იწამონ სხვა ღმერთი — ბაალი და მისი მსგავსები:

ღვთად ნუ გწამს გამობერილი დასია, ბილ და გონია;
ის გწამდეს, ვინც რომ დაგბადა, მოგცა ჰკუა და გონია.
... შორს წამსულელი ხარ, გზად გქონდეს, ნუზღი და საბარკონია,
დავითის მცნება ისმინე, განაგე გასაგონია.

ვრცელ ლექსში „სიტყვა ესე ღვთისა“, შემოქმედი პოეტს ადამის და ევას ლეგენდას მოუთხრობს და მერე არიგებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ ჯოჯოხეთში არ მოხვდეს. ეს რჩევა-დარიგება იმითაა საინტერესო, რომ უთუოდ თვით პოეტის აზრთა მსვლელობასა და მორალურ სისპეტაკეს გამოხატავს...

მაგ შენს წერილსა წიგნებსა წაიკითხევდეო;
რაც რომ ანდერძად დამეგდოს, აღასრულებდეო:
ღარიბს აჭმევდე, მშიერსა, მწყურვალს ასმევდეო,
შიშველს შემოსდე, უძლურსა, სნეულს ნახევდეო.
საპყრობილეში მჯმუნვართა ნუგეშსა სცემდეო,
პატიმარს, ტყვესა, უცხოსა შეიწყნარებდეო.
შეისუბუქე ცოდვანი, ვირემ აცსწონდეო,
ისეთის საბით მეჩვენე, გნახო, მამწონდეო.
ასეთს ცოდვილს ნუმცა გნახავ, რომ გაგირისხდეო.
მაქვს საპყრობილე ასეთი, თუ შიგ შეგაგდეო
დაუშრეტელის ცეცხლითა უნდა იწოდეო...

ს. ურუშაძე აღნიშნავდა:

„დაცვეთილი ბიბლიის ფურცლები გურამიშვილის პოეზიაში ახალ სახეს პოულობენ და გრძნობის სამოსით დაფერილნი მორალურად დაავადებულ საქართველოს სულში ახალ სხივს აშუქებენ“[1]. საკვირველია, როგორ აშუქებენ ახალ სხივს „მორალურად დაავადებულ საქართველოს სულში“ რელიგიური ჰიმნები. ეს დებულება მხოლოდ

[1] გაზ. „ხომლი“, 1923, 4.

იმდენად არის გასაგები, რამდენადაც კრიტიკოსი გურამიშვილის რელიგიური ჰიმნების წმინდა მხატვრულ ღირებულებას გულისხმობს, თორემ მორალურად სნეულს რელიგიური ჰიმნები რომ მუდამ საწამლავად, ოპიუმად ევლინებოდნენ და არა მალამოდ, ეს ბავშვმაც კი იცის.

* * *

„მაშ მართებს კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს: თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღვთის სააშიყო, ეკლესიისა და წმინდათა ამბავი გალექსოს".

მამუკა ბარათაშვილის ეს ცნობილი დებულება, რასაც „ჭაშნიკში" ამბობს, საფუძვლად დაედო იმ შეხედულებას, რომ გურამიშვილის, ერთი შეხედვით, სამიჯნურო ლექსები სინამდვილეში ღვთის სამიჯნურო პოეზიის ნიმუშებია. ცხადია, თვითონაც გარკვევით იძლევა საამისო საფუძველს. პოეტს ორი უვის სამიჯნურო, ორივე უნდა გასინჯოს და რომელიც უფრო „მკვიდრად უჩანს", მას ებღაუჭება. მკვიდრი მიჯნური კი მისივე თქმით, მარადიული, უზენაესი, ღვთაებრივი მიჯნურია: ერთ-ერთ სარწმუნოებრივ ჰიმნში გარკვევით წერს:

„არანანინას", „თარანანინას"
ესა სჯობია, ღვთის სამკობია: ალილულია!

რელიგიურ-ასკეტური სიყვარულის ნიმუშია გურამიშვილის ცნობილი სტრიქონები:

„ხარ ჩემი მყვარი, მრწამს შენი ჯვარი სარწმუნოებით",
„იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა;
აჰა, მისთვის გამიჯნურდა გული, მისთვის ხურსა".

ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, „ტკბილ იესოს" თუ მართლა მიწიერ მიჯნურს? მკვლევარებს უჭირთ გარჩევა, თუ სად თავდება ციური და სად იწყება მიწიერი ან პირიქით.

„უკვდავების წყაროს ამბავი" რელიგიური შინაარსისაა. ესაა პოეტური მოთხრობა იმაზე, „ვისგან ცა იგი, სამყარო არს ნათლად აღნაკვეთები", ბიბლიურ ღმერთზე — დავითის სიბრძნეზე, მის ძედ წოდებულ იესო ქრისტეზე, რომელიც სნეულს კურნავდა, ბრმას თვალს უხელდა ქვეყნად და ვერც კი ცნობდნენ („კაციც ძნელია საცნობლად, ღმერთს ვინ იცნობდა გულითა!"). ლაპარაკია თორმეტ მეცნიერზე — თორმეტ მოციქულზე, რომელთაგან ერთმა (იუდამ) ღალატი იკისრა, ოცდაათ ვერცხლად გაყიდა მოძღვარი, „სისხლი იტვირთა", ქრისტეს მტერი დაესია, „დაუწყეს ჭრა და კოდება", მერე ჯვარს აცვეს, ვიღაც ვიგინდარამ ჯვარცმულ მაცხოვარს შუბი უგმირა, სისხლი გადმოსკდა.

მაშინ კი დაიწყო უაზროდ ცქერა საქციელწამხდარმა ურწმუნომ და თქვა: „ჭეშმარიტად, მე ეს კაცი ღვთის ძედ მჯერაო“. ეს ათასჯერ გამეორებული მოთხრობა მაინც საყურადღებოა თავისი პოეტურობითა და ზოგიერთი დეტალით. საერთოდ კი ესეც და მისი მომდევნო „ჯვარცმის ამბავიც“, „ტირილი ღვთისმშობლისა“, ჯვარცმული უფლის იესოს გასაუბრება დედასთან — ნუ ტირი, ჩემს მაგიერ იოანე გყავდესო და ა. შ. მაინც ჩვეულებრივი ღვთისმეტყველური გაკვეთილია, გალექსილი და ლამაზ შაირად გაწყობილი. ამდენად მისი მნიშვნელობა შედარებით, ცხადია, ბევრად ნაკლებია.

ქრისტე ცად ამაღლდა, მისგან ცხოვრების წყარომ იწყო ჩვენთვის დინება, დაშრიტა ჯოჯოხეთის ცეცხლის ალები... აქ კი პოეტი ხსნის უკვდავების წყაროს იგავს და ურჩევს მკითხველს, სუფთა წყარო აიღოს წმინდა სურით, მყრალი ჭურით არ მოიკლას თავი.

ამრიგად, სახარების იგავსაც თავისი გამართლება ეძლევა, ესეც ადამიანთა კეთილი ზნეობისა და სათნო რწმენის მასალადაა გამოყენებული. პოეტი ჩამოთვლის ყოველ ცოცხალ და არაცოცხალ ძალას, ცხოველს, მცენარესა და სტიქიებს, რომელნიც ქრისტეს ადიდებენ (აქ სახეები ფსალმუნიდანაა აღებული).

ეს პოეტური განვრცობანი, ცხადია, მნიშვნელოვანნი არიან როგორც მეტაფორული აზროვნების ნიმუშები, და თუმცა შინაარსი რელიგიურია, „დავითიანის“ ამ ნაწილსაც თავისი ღირებულება აქვს, ისევე როგორც რელიგიურ თემებზე შექმნილ ცნობილ პოემებს — მილტონის „დაკარგულ სამოთხეს“, კლოპშტოკის „მესიადას“ და ა. შ.

* * *

პოეტის რწმენის ნათელსაყოფად საინტერესოა მის ლექსებში წარმოსახული სიკვდილის სახე.

პოეტის გაგებით, სიკვდილი კოხტად „მოკაზმულია“ დიბის ქათიბით. მორთული, წითელი ფეხსაცმელი აცვია, ტურფაა, თვალადი, „ცელი კარგ მთიბავს უგავს...“ სიკვდილი შეუცნობელი და უძლეველი სულია, ავი და დაუნდობელი, ღმერთის გამოგზავნილი, და მაინც გმობს, წყევლის მას. დრო-ჟამის ამ მონაკვეთში ის დიდ მორიდებას არ იჩენს არც ღმერთისადმი! ასე უნებურად იჩენს ხოლმე თავს პოეტის მეამბოხური სულისკვეთება ღმერთის მიმართ. ეს არ უნდა დაივიწყონ იმ მიმომხილველებმა, რომელნიც პოეტის ქრისტიანულ ჰიმნებს მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

გურამიშვილის ღმერთი დაუსაბამო და უსასრულო დესპოტია, თა-

ვის ნებაზე ატრიალებს ადამიანთა ბედს, და პოეტიც საკმაოდ თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრებს არსთაგამრიგის მისამართით.

შენ, ღმერთო, ერთო, ხილულთა
მე ვერას დაგადარებო,
არ ვიცი, ზიხარ თუ სწევხარ,
ფრინავ თუ ფეხზე დარებო.
... უკვდავხარ, გნებავს ვისიცა,
აცოცხლებ და ამკვდარებო.

გურამიშვილისათვის არაა დიდი ნუგეში არც საიქიო სასუფეველი:

ჩანს, შენი მხსნელი აღარცადაო,
აღარც ქვეყნადა, აღარც ცადაო!

აქედან ბუნებრივად გამოდის დასკვნა: გურამიშვილი მარტოოდენ ღვთის რწმენაში ვერ პოულობს პასუხს იმ თავსატეხ კითხვებზე, რომელთაც მისი მაძიებელი, განხმული გონება აყენებს, და ამაზეა აგებული მთელი მისი ფაუსტისებური ტანჯვა, ქენჯნა, ძიება....

გულუბრყვილობაა რაიმე განსაკუთრებული ზეგავლენებისა თუ სტანდარტული იზმების ძიება გურამიშვილის რწმენაში და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში. მან, მართალია, ვერ მიიღო სისტემატური კლასიკური განათლება, ევროპაში ფეხი შედგა როგორც ჯარისკაცმა და ტყვემ, — ღრმად ჰქონდა შესწავლილ-შეთვისებული ქრისტიანული დოგმები, სარწმუნოება, რიტუალი, წიგნები, სწამდა, ესავდა ღმერთს და სასოებით შესცქეროდა მომავალს, ან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა იმის კვალობაზე, თუ რა განწყობილების საფუძველს აძლევდა შექმნილი ვითარება. დავითს სისტემატური განათლების მისაღებად არც თუ დრო ჰქონია, არც მოცალეობა, მაგრამ ეს ნაკლი თვითგანათლებით შეივსო. იგი ღრმა ფილოსოფიური განათლების პატრონი ჩანს. რწმენა, ღმერთი, ქრისტიანობა მისი პოეზიისათვის მხოლოდ ფონია — ძალზე ძლიერი, შთამბეჭდავი, მაგრამ მაინც თავისებური ფონი.

დავითი უნაკლოდ ასრულებს შემოქმედის მთავარ მოთხოვნას:

„მე შენ სხვას არას გენუკვი, ღმერთი ადიდეო, მე შენთვის ნებსით მომკვდარსა მომიგონებდეო“.

პრუსიის ფრონტიდან დაბრუნებული პოეტი რომ მწარედ ტირის, უველაფერი უკან დარჩენია, სახლ-კარი აოხრებული დახვედრია და მრავალ პოეტურ ხმაზე შესთხოვს ღმერთს შეწევნას, ეს აშკარაა. გასაგებია მთელი ის მწარე სინამდვილეც, რამაც ერთ-ერთ საგალობელში (რუსული სიმღერის ხმაზე „ჩთო ზა პრიჩინა, ვსეგდა კრუჩინა“) ქვლავ გოდება ათქმევინა.

გურამიშვილი ერთი შეხედვით უქრისტიანესი პოეტია და მაინც

მეამბოხე წარმართი, როგორც ყოველი გიგანტი შემოქმედი, რომელიც ერთ ჩარჩოში ვერ თავსდება. მას გაუწყვეტია კავშირი ღმერთთან, თაყვანსა სცემს ღვთისმშობელს, შველას შესთხოვს მზეთამზეს, რწმენის სიმბოლოს, მაგრამ არც მიწიერ სიამეს თმობს, არც სიცოცხლის მშვენიერ ყვავილებზე ამბობს უარს:

აწ მე საერო წალკოტი მგონია პატიოსანი,
მიყვარს და მალ-მალ მსურიან მისთა ყვავილთა ყნოსვანი...

ამრიგად, პოეტი ბოლომდე აღიარებს ამქვეყნიურ ცხოვრებასა და მის ყველა სიამეს. აი, ესაა გურამიშვილის მონაპოვარი, მისი მიღწევა.

ამ ნათელ, უძლეველ, დროებით მიჩქმალულ, დაჩაგრულ, სანუკვარ გრძნობასაც ვგულისხმობთ, როცა ვლაპარაკობთ გურამიშვილის რწმენაზე. საბოლოოდ ეს უფრო ძალუმი, ყოველ შემთხვევაში, პერსპექტიული გრძნობაა, ვიდრე ღმერთის რწმენა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. პოეტმა ძალზე ნიჭიერად იქადაგა ბიბლიური ღმერთის რწმენა და ამავე დროს საფუძველიც შექმნა ადამიანის, სიცოცხლის რწმენის უკვდავსაყოფად.

სულიერი სათავეები

„მე ვარ ძირი ლექსის თქმისა..."
არჩილ მეფე — „გაბაასება".

დავით გურამიშვილი დიდად განათლებული და აღორძინების ეპოქის შვილი, გადაჭრით ემიჯნება სპარსულ-აღმოსავლურ მოტივებს და დგება ეროვნულ-ქართული ლიტერატურის პოზიციებზე. ეროვნულისაკენ დაბრუნება საერთოდ იყო აღორძინების ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი, მიუხედავად იმისა, რომ თვით ამ ცნებაში — „აღორძინება" — იგულისხმება ანტიკური კულტურისაკენ დაბრუნება. ადამიანის დანიშნულების ამაღლება, ფეხქვეშ ურცხვად გათელილი უფლებების აღდგენა, ეროვნული კულტურის აღმავლობა, თავისუფლების ცნების ახლებურად აჟღერება, — ასეთი იყო რენესანსის მთავარი გეზი ყველა ქვეყანაში და აქ არც საქართველოა გამონაკლისი.

მართლაც, რაღა აზრი ჰქონდა ჩვენთვის გაცვეთილ ვარდბულბულიანობას, ამ განყენებულ პოეტურ ვარჯიშს და იმ ქვეყნის კულტურის ბრმად მიბაძვას, სადაც ველურად აწამეს ქეთევან დედოფალი, გაირეკეს ნახევარი საქართველო, ვერაგულად გამოასალმეს წუთისოფელს ბევრი ჩვენი მამულისშვილი, საბელით მოაშთეს ლუარსაბ მე-

ფე, თავი მოჰკვეთეს პაატა სააკაძეს და აბუჩად აიგდეს ქართველი ქალის ნამუსი? საოცარია, რა ამღერებდა მეფე პოეტს თეიმურაზ პირველს იმ შაჰის ენაზე, რომელმაც დედამისი შანთით აწამა? აკი თვითონაც ჩივის, არჩილიც დრტვინავს, სხვებიც ცდილობენ მიბაძვისა და სტილიზაციის ჩარჩოებისა და ბორკილების დამსხვრევას, მაგრამ, ალბათ, საჭირო იყო გურამიშვილის მასშტაბისა და გაქანების პოეტი, რომ ტრადიციის მძიმე ბორკილები დაელეწა და სპარსთა დაშაქრულ-დაშარბათებული პოეზიის გავლენისაგან თავი დაეღწია.

ჩვენ დიდად ვაფასებთ მამუკა ბარათაშვილს, რომელმაც თავის ცნობილ „ჭაშნიკში“ დაგმო ყველა, ვისაც „თათრის ზღაპრები გაულექსავს მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საუგოდ“; უდიდესი სასიკეთო ზეგავლენა ჰქონდა საბას ლექსიკონსა და მის დახვეწილ სალიტერატურო ენას. საბას ლექსი ნიმუში იყო, მას ბევრ რამეს დაესესხა დავითი. მეორე ძლიერი წყარო მისი პოეზიისა არის ხალხური ლექსი, რამაც მისცა ორი მთავარი ფენომენი: კილო და ლექსიკური მასალა.

ორი ძირითადი წყარო მისი პოეზიისა, — აღნიშნა გ. ნატროშვილმა, — არის ვეფხისტყაოსანი და ბიბლია (დაბადება).

გურამიშვილისათვის, ისევე როგორც ქართველი ხალხისათვის, ვეფხისტყაოსანი სიბრძნის კოდექსია, მისაბაძი ნიმუშია — უკეთ — მეორე ბიბლიაა და კიდევ მეტი. ხოლო მისი ავტორი — ბრძენი რიტორი, ქართული მწერლობის მარადმწვანე ხის დამრგველ-გამხარებელი, მიუბაძავი მეფე პოეზიისა და მიუწვდომელი სიმაღლე.

გურამიშვილი რუსთველის დიდი თაყვანისმცემელია. ყოველ ნაბიჯზე იგრძნობთ, რომ ის მიაჩნია არა მარტო ჩვენი პოეზიის, არამედ ჩვენი სიბრძნისა და ეროვნული სიდიადის მეუფედაც, ლექსძს თქმის საძირკვლადაც, თავისი თავი კი — იმის ფესვებზე ამოსულ ყლორტად.

ოდესღაც ბრძენმან რიტორმა შოთამ რგო იგავთ ხეო და...
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და...

დავითი თავს არ თვლის იმის ღირსად, შოთას მიბაძოს. როგორც ყრმა ამაოდ ასდევნებია წკეპლის ცხენით ცხენოსანს, ასევე მეც „ცუდად მომიხდა გვაჯითა ბაძით უმზგავსო ნდომანიო“, — აცხადებს პოეტი. ამაოდ გავერიე მონადირეთა შორის, ამაოდ ვიხეტიალე, ვერც ხილი ვპოვე, ვერც ნადირი და „ვა შემრჩა ცუდსა მეთევზეს უბრალოდ წყალთა მღვრევანიო“.

მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს — ჩალის ძირსა...

მაგრამ ნუგეშობს იმით, რომ:

ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა,
დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად სჭამენ პანტის ჩირსა.

მოკლედ, თავისი უკვდავი წიგნი დავითს მიაჩნდა რუსთაველის მხოლოდ სუსტ იმიტაციად, „დიდის ჭირით გაზრდილ ობლად“. თვალად ნასად, რაც ლამაზად გამოჩნდება მის წინაშე, „ვის ლამაზი არ ახლდებისა“.

უკეთესის დაწერა მინდოდა,

ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა, არა მეცადაო, —

ეს მოკრძალებული მსჯელობა მხოლოდ ამაღლებს „დავითიანის“ ავტორს.

მართლაც, რუსთაველი ის პიროვნებაა, რომელმაც ქართველი ხალხის შეგნებაში თვით ბიბლია, თვითონ იესო ქრისტე დაჩრდილა. სხვა რა უნდა ითქვას იმაზე, რაც ჩვენმა პოეტმა აღნიშნა: „არვის უნდა საბარება, არც წიგნი მოციქულთა“? არც საბარება, არც დავითის ფსალმუნი, არც წინასწარმეტყველთა წიგნები, არც სოლომონის იგავნი — თავისთავად უაღრესად ცნობილნი, აღიარებულნი და ხატოვანნი — ისე არ იკითხებოდა, როგორც შოთას პოემა. ბუნებრივია, გურამიშვილის შთაგონების წყაროც ვეფხისტყაოსანია და მერე „დაბადება“.

ვეფხისტყაოსნის სული დაჰქრის „დავითიანის“ სტრიქონებში, რაც ხან იოლად შესამჩნევია, ხანაც ძნელად მისაკვლეველი. ეროვნული პოეზიის მყარ ნიადაგზე აღმართული, რტოებნაყარი და ფესვებგაბარჯღლული დიდი მუხა ირხევა და გვხიბლავს, თანაც თავის ჩრდილში ადგილს აძლევს მრავალ მგოსანს, უთვალავ მკითხველთან ერთად.

ერთხელ კიდევ გადავიკითხოთ ვეფხისტყაოსნის დასაწყისიდან ცნობილი სტროფები და გურამიშვილის მიჯნურობაზე დაწერილს შევუპირისპიროთ:

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა...

გურამიშვილი:

მიჯნურმან უნდა ტრფიალი
გულმართლად შეიყვაროსა,
მუდამ გვერდს ახლდეს სურვილით
აროდეს გაეყაროსა...

რუსთაველი ბოლომდე დარჩა გურამიშვილისათვის პოეტურ მწვერვალად, იდეალად და მანათობელ ვარსკვლავად.

გურამიშვილი უაღრესად დიდ ანგარიშს უწევს „ჭაშნიკის“ ავტორს და გარსევან ჩოლოყაშვილს — ქართული ლექსის რეფორმატორებს, თვითონ პირველთაგანი რადიკალურად ემიჯნება რუსთველის

შაირს თავისი ოცმარცვლოვანი ჩახრუხაულით, ხუთ, ექვს, შვიდ, თერთმეტ, თორმეტ და თოთხმეტ მარცვლოვანი, აგრეთვე ცვალებადრიტმიანი ლექსებით.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ გურამიშვილს ფორმა არ მიაჩნია გადამწყვეტ ფაქტორად. მთავარია კარდინალური ხაზი, შინაარსი, სიმართლე და ამაღლებული იდეა. ფორმის შეცვლა კი არ შეურაცხყოფს შოთას პოეტურ გენიას, მით უფრო, დავითს შაირი მთლიანად როდი უარუყვია.

დავითს, როგორც პოეტს, უფრო ვეფხისტყაოსანი ასაზრდოებს, ხოლო, როგორც მორწმუნეს — ბიბლია.

თვითონვე აღიარებს: „მხნე იყავ და გაძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია“. ეს ხომ დავითის ფსალმუნის სიტყვებია: „მხნედ იყავ და გასძლიერდინ გული შენი“ (26, 14). ერთი დავითი მეორეს ცვლის, იმეორებს, მაგრამ ერთია რამის გამეორება და მეორე — მისი შემოქმედებითი შევსება, საკუთარი ნააზრევით გამდიდრება.

ზოგჯერ გურამიშვილი აღთქმის ცალკეულ ადგილებს ლექსავს ხოლმე და საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებს, რომ საქმე წმინდა ორიგინალურ ნაწარმოებთან აქვს. მაგალითად:

დავით მეფე:

> აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა.
> აქებდით მას ყოველნი ანგელოსნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი;
> აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელნი;
> აქებდით მას ცანი ცათანი და წყალი ზესკნელს ცათანი.
> ...ცეცხლი, სეტყვა, თოვლი, მყინვარი, სული ნიავქარისა, რომელნი ჰყოფენ სიტყვასა მისსა...

გურამიშვილი:

> მას[1] აქებენ: ანგელოსნი, ცა, ქვეყანა, ბნელ ნათელნი,
> ზღვა, ხმელეთი, ხე — ბალახნი, მთა, ბორცვი, ტყე, მაღნარ—ველნი,
> პირუტყვ-მხეცნი, მფრინველ-თევზნი, ვეშაპ, ყოვლნი ქვემძრომელნი,
> ცეცხლი, ქარი, წყალი, მიწა, კაცნი ცხოვლად პირმეტყველნი!
>
> მზე და მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბელ-ნისლი, ცისარტყელი,
> ზამთარ-ზაფხულ, ყინვა-სიცხე, თოვლი, წვიმა, მწყურნებთ მრწყველი.
> ელვა-ქუხილ, მეხ-ტატანი, ხორშაკ, სეტყვა ხილთ მბერტყველი[2].

მარტო სათაურებიც მოწმობენ, რომ დავითს ბიბლიის მთელი ეპიზოდები აქვს გალექსილი, მთელი თავები აქვს გამოყენებული, და

---

[1] ღმერთს (ე. მ.)

[2] „უკუდავების წყაროს იგავთ ახსნა“.

ესეც „დაბადების“ დიდ ზეგავლენაზე მეტყველებს. უფრო დაწვრილებით ამ საგანზე ცალკე თავში ვამბობთ.

დავითი რომ ბიბლიის ყველა წიგნს ზედმიწევნით იცნობდა, ეს ჩანს მისი ჰიმნების, ლოცვების, პოემების, ლირიკული ლექსების ცნობილი სტრიქონებიდან. ხოლო ქართული მწერლობის ძეგლების ღრმა ცოდნა აშკარა ხდება არა მარტო თვით მისი პოეტური სულის და ფორმების განხილვისას, არამედ წინამორბედ მწერალთა, პოეტთა, მოღვაწეთა ჩამოთვლიდანაც:

შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ბმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ დაბლა ზილს მიეტკბურება,
ბეგთაბეგ ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
დვრინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება.

პოეტს ახარებს თავის სახელოვან თანამემამულეთა ყურება, მოსმენა, და ამის კიდევ ერთ მაგალითს აძლევს მეშურნე, თვითგანდიდებით „გამორჩეულ“ მწერლებს, რომელთაც ვერ მოუნელებიათ სხვათა წარმატებები, იქადნებიან, და შმაგობენ ხოლმე: „უჩემოდ რად იმღერეთო!“ აქ დამოწმებულ ცნობილ სტრიქონში ჩამოთვლილი მოღვაწეები — არჩილი, თეიმურაზი, ვახტანგ VI, იაკობ სამებელ-შემოქმედელი, ბეგთაბეგ თანიაშვილი, ნოდარ ციციშვილი, ონანა ქობულაშვილი (კახთა მეფის მდივანი), ოთარ თუმანიშვილი (თუ არაგვის ერისთავი, მამუკა ბარათაშვილი და სხვები სათითაოდ გურამიშვილს, ცხადია, ვერ შეედრებიან, მაგრამ დიდი პოეტი ასახელებს, აღიარებს, პატივისცემით ახსენებს ყველას და ამაშიც ჩანს მისი სისადავე.

დიდ პოეტებს მოსდგამთ სხვათა აღიარებაც და უღირსთა ვერ შემჩნევაც.

გურამიშვილის თავმდაბლობა და დიდსულოვნება მრავალ დეტალში იჩენს თავს. თუ ვინმეს გააჯიბრებს, კი არ იბღინძება, ხუმრობით აყენებს თავის თავს მოქიშპის დონეზე: „ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსაო“; თუ ვინმეს დაესესხა, ამას კი არ მალავს, გულახდილად აღიარებს და თავის უპირატესობასაც უწყინარი ხუმრობით გვაგრძნობინებს.

გურამიშვილი, თავად წყარო პოეტურ შთაგონებათა, მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ საზომებს იღებს, ამკვიდრებს, და რაც მთავარია, იზიარებს მის რელიგიურ, მორალურ ნორმებს, ან როგორც პეტრე უმიკაშვილი წერდა, „ჭაშნიკში“ გამოთქმულ აზრებს შეუპყრია“. ამას არც პოეტი მალავს:

თომავ, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმევო,
წაიკითხე, შენ გასინჯე, კარგად შეიტყეო,
რომელიც ხმა შენ შეგეწყო, მეც ის შევაწყეო,
თუ რამ შენთვის მამეპაროს. შენთვის გარდიწყეო...

პოეტის თავმდაბლობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სწორედ ვერ აფასებს თავის ქმნილებათა ღირებულებას. იგი ირონიანარევი სიამაყით მიმართავს იმავე თომას:

უკაცრაოდ ნუ ვიქნები, ძმაო, ამაზე,
რომ ეს სიტყვა შემოგკადრე, ვერ გითავაზეო,
შენს ქალთამზეს ბევრითა სჯობს ჩემი მზეთამზეო,
ქვეყანაზედ არცად არის იმ სილამაზეო
... ჩემს თეთრ თუღუნს არვინ გასცვლის შენს შავ არაბზეო!

მიმართვა თომასადმი დიდებული ლექსია და სიმბოლური მნიშვნელობითაც გამოირჩევა: ცხადია, თომა ბარათაშვილის ქალთამზე ვერ მივიდოდა გურამიშვილის მზეთამზესთან. თავმდაბალი პოეტი არც თავის სიმაღლეს მალავს: „ჩემს თეთრ თუღუნს არვინ გაცვლის შენს შავს არაბზეო“.

ვინ არის ეს თომა, ვისაც პოეტი ზომას დასჭსნებია? ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ესაა იგივე მამუკა ბარათაშვილი (პირველად ეს აზრი გ. ლეონიძემ გამოთქვა, კ. კეკელიძემ კი ეს თვალსაზრისი ეჭვქვეშ დააყენა). მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია, მეტადრე, რომ „ჯიმშედიანის“ ერთ მამუკასეულ ხელნაწერს ასეთი მინაწერი ჰქონია: „ბარათაშვილის თომასაგან ისმენდით ამა თქმულებსაო“.

სხვა ვარაუდით, ლექსის ადრესატია მამუკა ბარათაშვილის ძმა, თომა, რომელიც აგრეთვე პოეტი იყო.

და ვინც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტი ყოველმხრივ საინტერესოა. ვარაუდობენ, რომ მზეთამზესა და ქალთამზეს დაპირისპირებას დავით გურამიშვილი რელიგიური გაგებით იძლეოდა. თითქოს ბარათაშვილის „ქალთამზე“ მიწიერ, ვნებიან სიყვარულს ადიდებდა, გურამიშვილის მზეთამზე კი ღვთაებრივ მიჯნურს გულისხმობსო, მაგრამ ჯერ ერთი, ეს ვარაუდი რამდენადმე საეჭვოა. მერე და, თუნდაც ისე იყოს გურამიშვილის თამამი განცხადება: „შენს ქალთამზეს ბევრადა სჯობს ჩემი მზეთამზეო“ სულ სხვა ჟღერადობისაა და მეტყველებს პოეტის მხრივ საკუთარი შემოქმედებითი ძალების რწმენაზე. მართლაც, თუნდაც ეს თომა იგივე მამუკა ბარათაშვილი იყოს, იგი მხოლოდ ჩრდილია გურამიშვილისა, თუმცა დავითი ხანდახან ამ ჩრდილსაც ეფარება.

მამუკა არ არის ერთადერთი პოეტი, რომლისგანაც გურამიშვილს ზოგი რამ გადაუღია. საგრძნობია არჩილ მეფის, თეიმურაზ პირველისა და ვახტანგ მეფის ზეგავლენაც. მაგრამ ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ გურამიშვილი პირმშო შვილია თავისი დროისა, თავისი ხალხისა და არა ცით მოწყვეტილი კომეტა. ეროვნული პოეზიის ნოყიერ ნიადაგზე აღიზარდა ეს ახალი პოეტური ბუმბერაზი და თვი-

თონვე დაჩრდილა იგავთ ხის ფესვებზე მასზე ადრე ამოყრილი ყლორტები.

დავითიანის ლიტერატურულ წყაროთაგან ფრიად თვალსაჩინოა არჩილ მეფე, ბეტადრე მისი „საქართველოს ზნეობანი“. კ. კეკელიძემ ამ საკითხს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა. მართლაც, მისი მაგალითებიც და დამატებით მიკვლეული მასალებიც ნათელჰყოფენ ასეთი შეხვედრების რეალობას. დავითის მსჯელობანი სიბრძნის სიკეთეზე, სხვადასხვა სოციალური წრისა და განსხვავებული ინტელექტუალური დონის ადამიანთა (ხელმწიფის, ვაჭრის, მუშაკის, მხედრის, ოსტატის, სიბრძნისმეტყველის, მიჯნურთა, მწყემსთა) „ზნეობაზე“, ესე იგი მათი ქცევისა და მოვალეობის შესახებ მეტად თვალსაჩინოდ ემთხვევა ხელმწიფეთა „ზნეობანის“ ადგილებს.

არჩილის მიხედვით:

> ამასთან სჯულის სიმტკიცე, სიფრთხილე, სამართალისა,
> მცოდველთა ზომით შერისხვა, ჩვენება მრუდად თვალისა,
> ერთგულთ წყალობა, პატივი ბევრგვარად დანათვალისა,
> სიბრძნე, გონება, ჰკვით ცოდნა საქმისა მომავალისა.

დავითის მიხედვით:

> ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია,
> ბრძენი, უხვი და მოწყალე, მრისხველი ზომიერია:
> სჯულ-მტკიცედ, სწორეს სამართლით იყოს და ჰყუანდეს ერია,
> მწყსიდეს, მწყემსობის ნიშანი ხელთ სკიპტრა მას უჭერია.

ცხადია, დავითიც მოახერხებდა იმის თქმას, რაც მეფეს მოეთხოვება, მაგრამ ასეთ რამეში დიდ ორიგინალობას ის არ დაეძებს, მხოლოდ თავის მხრივ და თავის სიტყვებით იმეორებს იმას, რაც თვით მეფე-მგოსანს უთქვამს.

აქ მხოლოდ ლიტერატურულ წყაროს, შთაგონების, პოეტური ტრადიციის საკითხი დგას, და ცალკეული ეპითეტების, თუნდაც აზრის და ფორმის განმეორება ზიანს ოდნავადაც არ აყენებს მომდევნო თაობის ან თუნდაც თანამედროვე პოეტის რეპუტაციას. ეს, ასე ვთქვათ, წმინდა შემოქმედებითი საკითხებია, რომლებიც თაობიდან თაობაში გადადის და მეორდება. პოეტის სიდიადე სხვა რამეშია. წყარო პატარაა, მაგრამ მერე წყარო წყაროს ემატება, ნაკადი მდინარედ იქცევა, ეროვნული კულტურის ზღვას ერთვის და ავსებს მას.

ვახტანგის პიროვნებისა და მეტადრე მისი პოეზიის მნიშვნელობა გურამიშვილისათვის აშკარაა. ეს საკითხი ღრმად გააშუქა ალ. ბარამიძემ თავის გამოკვლევაში. უბრალოდ შედარებები ნათელჰყოფენ მათ შორის არსებულ პარალელებს.

ვახტანგი:

ნუ დღეს აღუარე ნაქნარი...

დავითი:

რაც გეცადოს, შეინანე, მღვდელს აღიარეო.

ვახტანგი:

სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგვცემს ბოლოჲ ტკბილსა.

დავითი:

სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

ვახტანგი:

მოწაფის მეტის ცემისთვის გმობისა ვინმე მთქმელია?

დავითი:

ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი.

ვახტანგი:

უნაყოფობა ბევრით სჯობს, ბოროტის შვილის ყოლასა.

დავითი:

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთელის შვილის ყოლასა.

ვახტანგი:

ჰირთ მყოფნი ლხინსა შესულნი მას აღარ მოიჩვენებენ.

დავითი:

ჰირს მყოფი, ლხინში შესული შვებად მიითვლის ვნებასა.

შეხვედრები თვალსაჩინო და აშკარაა, მაგრამ ვინც დააკვირდება, ამ ცალკეული სტრიქონების დავითისეული ვარიაციები თითქოს რედაქტირებული, გაუმჯობესებული სახეებია ვახტანგის სტრიქონებისა.

ანალოგიური შეხვედრის ძიება დაუსრულებლივ შეიძლება ყოველ ეროვნულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. მთავარია არა ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების ან აზრების ურთიერთდამთხვევა, არამედ მხატვრული გამომსახველობა, შემოქმედებითი დონე და სიმაღლე.

ამ მხრივ დავითი, რა თქმა უნდა, ისევე მაღლა დგას თავის უფროს თანამოკალმეზე და მბრძანებელზე, როგორც მთა გორაკზე. დიდი პოეტები ითვისებენ ყოველივე კარგს, რაც წინამორბედებს შეუქმნიათ და, თავის მხრივ, ამკვიდრებენ ახალ სიტყვას, ახალ სიმაღლეებს.

აქა-იქ საბას ზეგავლენაც შეიცნობა. მაგალითად, საბასეულია: „საცა რომ ვირი დაეფლვის, იმ გზაზედ აღარ წარებსა“.

გურამიშვილის შემოქმედების მთავარი წყარო მაინც ხალხის სიბრძნე და პოეზიაა. „დავითიანის“ ხალხურობას და მელოდიურობას, სინათლესა და მრავალმხრივობას ერთხმად აღნიშნავენ ქ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, გ. ჩიქოვანი, ლ. ასათიანი, ს. ჩიქოვანი, გ. ნატროშვილი, ალ. ბარამიძე...

გურამიშვილის ლიტერატურული წყაროებიდან უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს რუსულ და უკრაინულ პოეზიას.

გურამიშვილის ლექსების დიდ ნაწილს თან ახლავს მითითება რუსული და უკრაინული სიმღერების მოტივებზე: „ულეტელა ზაზულიხკო ჩერეს დუბინუ“, „ნე დამ პოკოიუ, პოიდუ სტაბოიუ“, „ჩთო ხა პრიჩინა, ვსეღდა კრუჩინა“, „ახ კაკ სკუშნო“ და სხვ.

ამით გურამიშვილი წმინდად იცავს XVIII საუკუნის ტრადიციებს და ამასთან აღიარებს თავის სიყვარულს რუსული და უკრაინული სიმღერებისადმი.

ყველა აქ დასახელებული თუ დაუსახელებელი, ნაცნობი თუ ჯერაც მიუკვლეველი წყარო გურამიშვილის პოეტური ზეგიწაა, თავისთავად მტკიცე, ნოყიერ, სასიცოცხლო ნიადაგიდან მოდის. ისინი ცხადჰყოფენ, რომ გურამიშვილი ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი კი არ არის, არამედ თავისი ეპოქის ნათელი გენიაა, რომელმაც შეისწავლა, შეისისხლხორცა და საკუთარ პოეტურ ასპექტში გარდატეხა ყოველივე ამაღლებული და მშვენიერი, რაც მასზე ადრე და მის დროს შექმნილა.

სოფლის სამღურავი

„ფუ, შენ ცრუო საწუთროვო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი,
შენ ყოფილხარ მწარე შხნაკვი, მე მეგონე ტკბილი ყანდი“...

დავით გურამიშვილი

წუთისოფლის სამღურავის მოტივი ახალი არ არის არც ქართულ და არც მსოფლიო პოეზიაში.

სამშობლოდან იძულებით მოწყვეტილ ქართველ პოეტსა და მამულიშვილს საამისოდ ყველაზე მეტი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ გურამიშვილის უსასრულო გოდების, ლოცვისა და სიკვდილთან პაექრობის საფუძველი ამასთან მრავალ სხვა წინააღმდეგობებშიც არის საძიებელი. პოეტი ბნელ უფსკრულში გადაუგდია ქვეყნის უკუღმართობას და იქ ჩასაფრებულ სიკვდილთან მართავს პაექრობას. ოდესღაც ისიც უმღეროდა განცხრომასა და შვებას, ცდილობდა, ხელიდან არ გაეშვა წამი, მაგრამ მერე დრო იცვალა, სიკვდილის აჩრდილი აედევ-

ნა... ეპიგრაფად აღებულ სიტყვებში ჩანს არა ხელჩაქნეული პესიმისტი, არამედ გაუტეხელი ადამიანი, რომელსაც გაბედულად უვლია ცხოვრების მრუდე გზებზე, უღმერთებია სიცოცხლის სიდიადე, უბრძოლია, გული არ გასტეხია და რაკი მაინც მხოლოდ ძნელბედობა ყოფილა ყოველივეს ბოლო, საყვედურის სიტყვა წამოსცდენია, როგორც ღირსეულ შვილს სასტიკი მამისადმი.

გურამიშვილის პესიმიზმი ციდან კი არ ჩამოვარდნილა, არც ძველი ფოლიანტებიდან შეუწოვია პოეტს. ეს მისი მამულის ძნელბედობისა და პირადი უბედურების უშუალო ანარეკლია: ლეკთა ტყვევნა, თურქებთან ბრძოლა, პრუსთა ტყვეობა სასტიკი ომების მთელი დავიდარაბა, „ძალაუნებლივ“ სხვაგან წაყვანა, უშვილობა, სიბერე, სიღარიბე, — აი, დაახლოებით მთელი ის სიმწრის ჯაჭვი, რაც წუთისოფელმა დავითს თავს მოახვია. პოეტი მაძღარია „მწარე შხნაკვით“ და მისი სამდურავიც სამართლიან რისხვად ატყდება თავს „ცრუ, გაუტანელ სოფელს“.

საქმე რომ მარტო პირად, ფიზიკურ ტკივილებსა და სიღარიბეს ეხებოდეს, კიდევ შეიძლებოდა ვინმეს პოეტის სულმოკლეობაზე ან ნებისყოფის ნაკლებობაზე ჩამოეგდო სიტყვა. მაგრამ დავითის პესიმიზმი — საყოველთაო დარდია, სამშობლოს უბედობით ნაკარნახევი. ამდენად ის საკაცობრიო სევდის რანგში მაღლდება და განსაკუთრებით მისახვედრი და ადვილად გასაგები ხდება ყოველი ერისათვის, რომელსაც ასეთივე ეკლიანი გზა გაუვლია.

სოფლის სამდურავი ნაკარნახევია თვით ცხოვრების სიმკაცრით, იმ წინააღმდეგობით, რაც გამოწვეულია ცხოვრების მოუწყობლობით, კონტრასტით, რაც მარად არსებობს სურვილსა და შესაძლებლობას შორის, სასურველსა და სინამდვილეს შორის.

პოეტს ასეთი სამდურავი მრავალ ნაწარმოებში გამოუთქვამს: „გოდება დავითისა. საწუთროს სოფლის გამო ტირილი“, „სოფლის და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება...“

მთავარი დავა ათ კითხვა-მიგებას შეიცავს. ოპტიმიზმი და პესიმიზმი, იმედი და უიმედობა, ნათელი და ბნელი ჭიშპობენ და, სამწუხაროდ, ბოროტი იმარჯვებს — სიკვდილის სახით. რაც ბოლოს უღებს ყველა ამაღლებულ სულისკვეთებას, თუმცა ეს ჯერ კიდევ სულაც არაა ქედის მოხრა და სიცოცხლის აღსასრული.

საქმე ისაა, რომ, დავითის კონცეფციით, ღმერთმა ჩვენს წინაპრებს ადამსა და ევას მისცა სამოთხე, ყოველი სიკეთე, მათ კი ეს ვერ დააფასეს, აკრძალული ხილი იგემეს, გონების თვალი აეხილათ და ბედი კი დაკარგეს. მას შემდეგ ადამის მოდგმისათვის ცხოვრება მწარეა, წუთისოფელი გლოვის ველი, გაუტანელი, ცრუ, მუხთალი, მზაკვარი

და ორპირი. ღმერთმან ბოძებული ეს ქვეყანა ადამიანს სატანჯველად უქცია.

ასე ესმოდათ ეს საკითხი სხვა ქრისტიან პოეტებსაც, მათ შორის არჩილ მეფესაც, რომლის „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ არსებითად მხოლოდ მხატვრული დონითა და მოცულობით განსხვავდება დავითის „სამდურავისაგან“ (არჩილს მთელი პოემა აქვს ამ სახელწოდებით, მოტივები და სარჩულიც იგივეა). სოფლის სამდურავის მოტივი ხომ ვახტანგ მეფესაც მწვერვალამდე აუყვანია. ჟამთა სიავე მუდამ აძლიერებს პოეტების პროტესტს. განა ისინი მუდამ ერთნაირად უიმედონი იყვნენ?

მართალია, გურამიშვილს ხშირად უიმედოდ აქვს გატეხილი გული, ერთთავად ჩივის, გმობს, ემდურის, წყევლის, მარტოა მუდამ სარბიელშეზღუდულ თავის სამყაროში, მყუდრო ნავსაყუდელის ძიებამ უქმად ჩაუარა, და მაინც ერთგვარი საამო სიმშვიდე გიპყრობთ მისი ლექსების კითხვის დროს, ისეთი გრძნობა გეუფლებათ, თითქოს თავისთვის და თავისთავად პოეტი მაინც მშვიდი და კმაყოფილია იმ მცირე ნობათით, რომელსაც ცხოვრება იმეტებს. ასეთი უჩვეულო გრძნობა მიღწეულია დავითის პოეტური ბუნების ბრძნული სიდიადით და იმ ჰუმანური ლმობიერებით, რითაც სულის უმწვავეს მდგომარეობას გადმოგვცემს. პოეტის პესიმისტურ ყვავილნარში მორცხვად, რაღაც უთქმელი იმედის გაფერმკრთალებული სუსტი ყვავილებიც იშლებიან და თუმცა ტონს ვერ ქმნიან, მაგრამ ერთგვარი ჰარმონია მაინც შეაქვთ საყოველთაო სიმწრის სავანეში.

გურამიშვილის პესიმისტურ პოეზიას თავისი სიძლიერით მხოლოდ თეიმურაზ პირველის მეფური გოდება თუ შეედრება (ვახტანგ მეფისას უჭირს ასეთ სიმაღლეებზე მტკიცედ დგომა). დავითის ყოველი სიტყვა გულწრფელია, უშუალო და დამაჯერებელი. სამშობლოს ბედის სიმრუდეა წყარო პოეტის კაეშნისა: ნაღველში ნალესია მისი გრძნობა, თავისთავად კვნესის მისი კალამი, წყნარად ირწევა მგოსნის ნავი უკუღმართობის ზღვაში, სოფლის ქარტეხილი მძვინვარებს...

„ამად გემდური, ვარ უბედური“...

გურამიშვილი ათასნაირი ეპითეტით ამკობს უწყალო, მუხთალ, ორპირ, მუხანათ, ბნელ და გაუტანელ წუთისოფელს, მის ნავს რომ ხან აქეთ ახლის, ხან იქით, და მრისხანე მსაჯულივით დამაჯერებლად ხდის ფარდას მის მატყუარობას, ლიზღს, ღალატიანობას.

ერთ უდავოდ ადრინდელ მხიარულ ლექსში „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზადყოფნისა“ გურამიშვილი ჯერ კიდევ იმედიანად შესცქერის მომავალს, საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევს ახალგაზრდობას, წამლის მიღების, შრომისა და სიბრძნის დაუფლების თაობაზე... თანაც დასცინის „გამობერილ ბილსა“ და სხვა

წარმართ ღვთაებებს. მისი კილოც ხალისიანია, მხნე და შემტევი („სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია...“). ჩანს, მისთვის ჯერ სოფელს არ დაეკრა მუხთალი ხელი.

თანამედროვეობის პოზიციებიდან მსჯელობა იოლია, მაგრამ როგორ უნდა დარჩენილიყო ბოლომდე ოპტიმისტად პოეტი, რომელიც განდევნეს, დაატყვევეს, მოაშორეს თავისიანებს, ნაჩუქარ მამულშიც არ მოასვენეს, მერე კი არ მიეცა შვილი და არ ეღირსა მამულის განთავისუფლება! არაფერი ისე ბუნებრივი არაა, როგორც ასეთ პირობებში პოეტის აღშფოთება და პროტესტი წუთისოფლის უკუღმართობის წინააღმდეგ. აქედან მოდის სოფლის სამდურავი, მთელი იერემიადა.

ისიც იჯდა სიჭაბუკის ბაღში, დარდი არ იცოდა, შეჰხაროდა მას, ვინც უყვარდა, მხნეობდა, გაძლიერებაზე ფიქრობდა, მთის ნაკადს ედრებოდა, გზას რომ მიარღვევს და წამს არ ჩერდება, არ გუბდება, არ შმორდება... ეს ოპტიმიზმის ნათელი დღეები იყო, მაგრამ ყველაფერი გაქრა სიზმარივით და წინ აღიმართა სალი კლდე, ძირს პირი დააღო უფსკრულმა. მაშინ გადაჭრით შეედავა პოეტი სოფელს.

ქართლის ჰირით დაღდასმული პოეტი თავისი მთავარი პოემის სტრიქონებს შორის ხშირად აძლევს თავს უფლებას გააკეთოს ლირიკული წიაღსვლები და ხან თავის პირად თავგადასავალზე ილაპარაკოს, ხან ილოცოს, ხანაც საწუთრო სოფლის სამდურავი თქვას. ამ მიმართებებსა და ლოცვებში პოეტს მთელი სისტემა აქვს გადმოშლილი:

ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანია და უპირო!
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბრჭყალი უჭირო;
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობს ხორცი უვარჭყო, სულსა ულოცო, უწირო.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა და საზრუნავით სავსე, ერთი დრო არავის შერჩება, ამიტომ ხორციელ სიამეს სულიერი სიწმინდე უნდა ვამჯობინოთ.

თავისი პოეზიის ერთგვარი გამართლება მოგვცა გურამიშვილმა „საწუთრო სოფლის სამდურავში“: სოფელმა დამჩაგრა, გზა შემიკრა, დამშრიტა, ყელზე საბელი მომაბა, უშვილობა დამაწყევლა, მაშინ „დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვთქვი, თუ ვიშვილებ ამასო“. ჩვენ გვხიბლავს მისი კლასიკური უბრალოება და ბრძნული სიდინჯე.

განსაკუთრებით ძლიერია და შემაძრწუნებელი „სოფლის სამდურავის“ ის ადგილი, „სიკვდილის სცენებს“ რომ მოგვაგონებს:

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს!
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს.

„დავითიანის“ ავტორს რომ მარტო ეს სტროფი დაეწერა, მაშინაც ვიგრძნობდით პოეტის ფრთების სიძლიერეს. ესაა სურათი, რაც სენეკას, ლეოპარდის და სხვათა სიკვდილის სურათებს მოგვაგონებს.

არანაკლებ ძლიერია და მეტყველი მორიგი სტროფი, მარგალიტი მაჯამური წყობისა:

ნაღელით ღენი შემიმოკლდა, აღარა მაქეს, დამელია,
ყველა მწარედ გარდამექცა, რაც რამ ტკბილად დამელია.
მძორთა ჩემთა შესაჭმელად, მზას არს ტერა და მელია,
აწ წამოვალ მეც თქვენთანა, სად ძმა მიცდის და მელია.

„გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“ ნამდვილი შედევრია. არ შეიძლება ხსოვნაში არ ჩარჩეს ადამიანს მისი დასაწყისი, რაც ასე მაღალ პოეტურ რანგში, ბიბლიურ საშინელებაში გადადის:

გული ღონდება, ეიწყო გოდება ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც მაგონდება: ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
სული მშორდება, ხორცი შმორდება, ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
რად მშვა დედამან, შავმა ბედამან, ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!

ყოველ ტაეპს ასეთი გოდება და გამოძახილი მოსდევს... სიტყვის თამაშს, შინაგან რითმას აზრიც შესაფერისი ახლავს — სოფლის სრული გმობა, წყევლა, სამდურავი და განქიქება მისი უპირობისა, უნდო. მრუდე საქმისა:

ხარ სატირალი, არ საცინარი, ხარ საჭირალი, არ სალხინარი...

მართლაც, წუთისოფელმა დაიმსახურა ასეთი გმობა, ჯერ ძუ მგელივით მიუხტა შინ, მერე ქურდულად მიეპარა, სულ ჩააშხამა, რაც რამ აჭამა, დაუქცია ვან-კარავ-სევანი, დედ-მამა, ძმანი, გაუყარა დანი... მერე ავტობიოგრაფიული ფრაგმენტებია...

წუთისოფლის გმობის სხვა ხერხიც აქვს პოეტს: ხატოვანი შეპირისპირებით, დამცინავი კონტრასტებით ასაბუთებს მის ორპირობასა და გაუტანლობას. ამისი ნიმუშია მამხილებელი სტროფი:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

„ერთ-ერთი“ ქვეყნად არაფერია, სიკეთეს სიავე სჭარბობს, მადლს — ცოდვა, და პოეტსაც „ცოდვანი სძლევენ, ცეცხლს მიაძლევენ!..“ მკითხველს ქანცავს ამ მარადიული გოდების მოსმენაც კი, მაგრამ პოეტმა ის თავის თავზე გამოსცადა.

ტირის პოეტი, „ტვინთა მფარველ-გამქსასველი“, საწუთროსაგან „კარგს არას ელის“, რადგან „ცრუ არს წუთი-სოფელი, ანაზდისა მყოფელი, არის დაუნდობელი“.

ერთი ფიქრი უტრიალებს თავში უშვილო პოეტს:

მე საწუთრომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კომბლად:
ძე არ მომცა, არც ასული, შემქმნა სახლ-კარ დასამხობლად...

მერე ის იყო, „ცრუის საწუთროს ყბედობა“ — ლექსები იშვილა და ობლად შთენილი გაზარდა.

მე უშვილომ ეს ობოლი ძლივს გავზარდე დიდის ჭირით:
რაც ვიცოდი საცოდნელი, მას ვასწავლე სიბრძნე-მცირით.
მოვკვდი, დამრჩა უნათლავი, ვერ შევიძელ მე სიმწირით,
ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ ცოდვილისა ჩემის პირით.

აქ მგოსანი ბრძენს ეხვეწება, ეს ობოლი მოუნათლოს და თუ მატყუარა გამოდგეს, გაუმართლოს, თუ სხვა რჯულის — გაუქართლოს.

რას ელოდა, რად ვერა თქვა, რისიცა გრძლად თქმა ეწადა! მოცლას უცდიდა, ნეტამცა, არა ეცადა! სხვა ყველაფერი განქარდა, ერთი ეს ობოლი დარჩება, და ისიც ნაწამები, მუდამ მოლოდინით აღბეჭდილი დამწვარი და ვნებული!

გურამიშვილმა, თეიმურაზ პირველმა, ვახტანგ მეექვსემ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, კლასიკურად სრულჰყვეს „სოფლის სამდურავის“ მოტივი. „ქართლის ჭირში“ მთელი პამფლეტებია დართული მუხთალი სოფლის მისამართით:

წყეულმან, ცრუვმან, მაცდურმან ფეხთქვეშ ილინჯა მომიგო:
პირველად მოყვრად მეჩვენა, ტკბილი რამ სიტყვა მომიგო;
გამეთამაშა, მაცდინა, საცხოვრებელი მომიგო,
რა წამახდინა, გამკიცხა: „რად ჰქენო“, ნიშნიც მომიგო!

აი, თურმე რა ყოფილა სოფლის სამდურავის მიზეზი:

სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო?
ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?

ვერაგია და ულმობელი, დედ-მამას, და-ძმას თვალით ვერ უხილავთ თავისიანნი, ძე და ასული არ მისცა, ღირსეული უღირსად აქცია, ქონება წაართვა, იმედები გაუქარწყლა. არც ეს აკმარა:

მშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო“,
მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო.
... სულ მატირა ჩემი ღღენი, არასოდეს არ მამღერა...
თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა.

სწორედ ეს გამხდარა გურამიშვილის პოეტური შემოქმედების სტიმული:

დავჯექ და ლექსეა დავიწყე, ვთქვი, თუ ვიშვილებ ამასო!

ცხადია, ეს უფრო ზერელე მორალური „გამართლებაა", ვიდრე არსებითი, „დავითიანის" ავტორი დაბადებულია პოეტად, ამასთან, ცხადია, ეს დიდი ლექსთაკრებულიც დამაჯერებელი საპროტესტო ძეგლია სოფლის სიმრუდისათვის დაწერილი.

აქ ერთხელ კიდევ იელვებს სამდურავი სოფლისა, რომელმაც პოეტს „შეყარა ძნელი ილინჯა" — ჭირი...

ერთხელ კიდევ დაძრავს დარდის დოლაბს და ამოიკვნესებს თავის უშვილოდ გადაგების გამო, მაგრამ ისევ თავის წიგნზე ამყარებს იმედს და საბოლოოდ უზენაესს შესთხოვს: „ღმერთო, ნუ გასტეხ სიტყვას დავითის პირისას".

ეს ერთი თხოვნა კი ღმერთმა უიღბლო პოეტსაც შეუსრულა.

სიკვდილ-სიცოცხლის ცილობა

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე,
ვაი სიკვდილო, მწარე სიკვდილო".

ვახტანგ VI

მეფე-მგოსანი ვახტანგ VI ცხოვრებაზე მეტისმეტად გულარძნილი, ხელჩაქნეული მგლოვიარეა. გურამიშვილი, მისი ერთგული ქვეშევრდომი, სოფლის სიავესა და მუხანათ სიკვდილს მეტ წინააღმდეგობას უწევს. აქ გენია ებრძვის წარმავლობას ქვეშეცნეულად.

პოეტის სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილ ნაწარმოებთა თემატური მრავალფეროვნება და მხატვრული ძალა სულაც არ მეტყველებს მის სიბერეზე.

„დავითიანის" მესამე წიგნში ძირითადად სამ პოემას ვგულისხმობთ: „გოდება დავითის საწუთროს სოფლის გამო ტირილი", „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა", „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა..." ეს პოეტურ-ფილოსოფიური ტრაქტატებია სიცოცხლისა და სიკვდილის რაობაზე, სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილზე. დიდი მოქალაქე და შემოქმედი, თუნდაც ძლეული, ფარ-ხმალს არა ყრის და თამამად შებმია ბორგნეულ ძალებს.

პოეტის ფანტაზია ფართოა და სახეებით მდიდარი. აქ ერთმანეთს ცვლის ფანტასტიკური და რეალური, ბიბლიური და ამქვეყნიურ-ყო-

ველდღიური, ნათელი და ბნელი. მზიურ ფერთა სამყაროში უეცრად ღრუბელი გამოჩნდება, ზღვის ურჩხული ამოიგრაგნება და დაიწყება შემაძრწუნებელი ქაოსის მძვინვარება. ეს ცვალებადობა თვით ბუნების წესია და პოეტიც ხომ ბუნების მესაიდუმლეა.

ასეთ შინაგან ჰიდილს განსაზღვრავს არა მარტო ბუნება, არამედ სამი დიდი უბედურება — ეროვნული, ფილოსოფიური (სიცოცხლისა და სიკვდილის დრამა) და პირადი. ეს ჰიდილი ადგილს პოულობს ლირიკულ ლექსებშიც, რელიგიურ ჰიმნებშიც და ვრცელ პოემებშიც.

სიცოცხლის, მზეთამზის, გაზაფხულის მოტრფიალე პოეტს თვითონ მხიარულ ლექსებშიც ნაღველი და მოუსვენრობა შეეპარება ხოლმე, და რაღაც მისტიკური ნისლი ბურავს მის ნათელ რეალისტურ პოეზიას. ესეც ჟამთა სიავის კვალია. მისტიკა, ფანტასტიკა, საშინელებათა მითი და ზმანება ნაყოფია ქვეყნის უბედურებისა, ჩაგვრისა და გაპარტახებისა.

მისტიკა წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან — მისტიკოს, რაც იდუმალებით მოცულს ნიშნავს. ესაა რეაქციული თეოლოგიური თვალსაზრისი, რომელიც აღიარებს მიღმაქვეყნიური, ფანტასტიკური ძალების არსებობას და მათთან ადამიანის დაკავშირების შესაძლებლობას. შუა საუკუნეებში ის ხშირად ერესის მსგავსად გამოხატავდა ხალხის ერთგვარ პროტესტს, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულს. უკეთ — ეს იყო ამ მოძრაობის გარსი, საფარველი, სუსტი მხარე. ბურჟუაზიის იდეოლოგებს დღესაც კი დასაშვებად მიაჩნიათ, მაგალითად, მისტიკური „მეოთხე განზომილების“ არსებობა, ელექტრონში მოკალათებული მისტიკური სული და ა. შ.

მისტიკური თავის გამოვლინებას პოულობს ხელოვნებაშიც, მაგალითად, გოიას მრავალი სურათი საშინელი მისტიკური ბურუსითაა გაბუნდოვნებული. ხმელეთზე უზარმაზარი მხეცი მიაბოტებს, ფრთოსანი ურჩხულები კაცობრიობას ჩანთქმით ემუქრებიან, მძინარე ადამიანს ფანტასტიკური მოჩვენებანი დასტრიალებენ და ა. შ.

ასეთ შთაგონებათა წყაროდ გვევლინება თუნდაც იოანე მოციქულის ჩვენებანი, მაგალითად, ოთხი ცხოველის ხილვა ეკლესიასთან: „და პირველი იგი ცხოველი მსგავსი ლომისა და მეორე ცხოველი მსგავსი კუროსა და მესამესა ცხოველსა აქვნდა, ვითარცა პირი კაცისა, და მეოთხე ცხოველი მსგავსი არწივსა მფრინვალსა...“

ამ კეთილ ჩვენებათა გარდა იოანე ღვთისმეტყველმა უფრო საშიშარელი მხეციც იხილა: „და ვსდეგ მე ქვიშასა ზედა ზღვისასა; და ვიხილე მხეცი ერთი აღმომავალი ზღვით, რომელსა აქვნდეს შვიდი თავნი და ათნი რქანი და რქათა ზედა მისთა ათნი გვირგვინნი... და მხეცი იგი, რომელი ვიხილე, იყო მსგავსი ვეფხვისა, და ფერხნი მისნი ვითარცა დათვისანი და პირი მისი ვითარცა პირი ლომისა და მისცა მას

ვეშაპმან მან ძალი თვისი და საყდარი თვისი და ხელმწიფება თვისი, და თაყვანის სცეს ვეშაპსა..!"[1]

აი, ეს მხეცი დაეუფლა ქვეყნებს, ერებს, გაძლიერდა და „მიეცა მას ხელმწიფება ყოველსა ზედა ტომსა და ერსა და ენასა". ეს საშინელი სურათი ასაზრდოებს და აღაშფოთებს გურამიშვილის პოეტურ წარმოდგენებს, როცა აღწერს თავის ფანტასტიკურ ნადირს, რომელიც საქართველოს აოხრებს. მარტო ეს საოცარი სისრულით მიგნებული შედარება ცხადჰყოფს გურამიშვილის მაღალ პოეტურ კულტურას, დანტესებრი ფანტაზიის გაქანების უნარს და თანაც ხსნის მისი მისტიკური გადახვევების მთელს არსს: ნათელი ძლეულია ბნელისაგან და პოეტი წუხს... გოდებს და ვალალებს.

ეს მხეცი, რომელიც ცოცხლებსაც ჭამს და მკვდრებსაც იღებს საფლავებიდან — განსახიერებაა უსაზიზღრესი ტირანებისა, გონებაჩლუნგი და ხეპრე მტარვალებისა, რომლებიც ძალაუფლების სათავეში მოხვედრილან და ხალხების სისხლს ღვრიან. კერძოდ, აქ იგულისხმება თურქეთის სულთანი, რომელიც სხვა ურჯულო ტირანებზე კიდევ უარესია, ერთნი თუ ცოცხლებს სანსლავენ, ეს მკვდრებსაც იღებს საფლავებიდან.

ქრისტიანული მსოფლიოს ბიბლიურ ტრაგედიას, ქრისტეს ჯვარცმას, ლაზარეს ტანჯვას, პოეტი ქართლის ჭირისა და ქრისტიანი მეფის — ვახტანგის განდევნას ადარებს. ასეთი კონცეფცია მახვილგონივრულიცაა, ორიგინალურიც და მიგნებულიც. იქნებ საქართველოც ლაზარესავით აღსდგესო, სასოებით იმედოვნებს პოეტი.

* * *

„სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა" ჩვენთვის საინტერესოა სიტყვა-პასუხის მახვილგონიერებითა და პოეტური პაექრობით, რაც სიკვდილსა და სიცოცხლეს გაუმართავთ.

რომელი ხალხის ფოლკლორსა და მწერლობაში არ შევხვედრივართ ამ მოტივს!

„სიკვდილისა და სიცოცხლის დავა" ერთი ანგლო-საქსური ხალხური ბალადის სათაურიცაა. იქაც სასტიკი პაექრობაა გამართული:

— ქვეყანა ჩემია!
სიძღერა, სიცილი, ჭორწილი ჩემია!
მე მზე ვარ, შუქი ვარ, ნათელი მცემია.
სიცოცხლემ ასე თქვა:
— ქვეყანა ჩემია!

[1] გამოცხადება იოანესი, 13, 1—4.

სიკვდილმა ასე თქვა:
— ქვეყანა ჩემია!
სიმღერა, სიცოცხლე მიწაში წვებიან,
უკუნეთ ღამეში ვარდები ჰკნებიან.
სიკვდილმა ასე თქვა:
— ქვეყანა ჩემია!

ასე გრძელდება ბოლომდე. ფოლკლორში სიცოცხლე იმარჯვებს!

შეიძლებოდა ანალოგიური მაგალითები დაგვემოწმებინა, სხვა ხალხთა გენიით შექმნილი ლიტერატურული ნიმუშებიც დაგვეძებნა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

გურამიშვილი ამ მარადიულ თემას მაინც თავისებურად ასხამს ხორცს.

გავიხსენოთ თუნდაც ის სტროფი, რაც დიდი მხატვრის ჰოლბაინის სიკვდილის სცენებს მოგვაგონებს:

მიდის-მოდის ეს სოფელი, ჭარ-ტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, გურამიშვილი ცხოვრების დიდი მოტრფიალეა და მით უფრო აშინებს სიკვდილის მოახლოება, ძრწოლითა და ზიზღით შესცქერის ამ ქვესკნელის ჩონჩხს, ცელით რომ მოსდგომია. სწორედ ამ შუქ-ჩრდილის, სიცოცხლისა და სიკვდილის შეხვედრაზე იჩენს თავს სიცოცხლის განუზომელი სიყვარული. იგი ნამდვილად სიცოცხლის ტრფიალია, თორემ რატომ უნდა აშინებდეს მორწმუნე ქრისტიანს მარადიულობაში გადასვლა და ცად დავანება?

სიკვდილისა და კაცის ცილობა ყველა ხალხის ფოლკლორსა თუ პოეზიაში თავისი ლაიტმოტივით თითქმის ყველგან ერთნაირია:

ყველას გვეწვევის სიკვდილი, გვმართებს დაუხვდეთ მზათაო,
ის ჩვენსკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერსად აუქცევთ გზასაო.

ჩვეულებრივი ამბავია: საითაც უნდა გაიქცე, სიკვდილი დაგეწევა, ვერც ცხენი გიშველის, ვერც ოქრო-ვერცხლი, ვერც ხმალი...

კაცი მაინც ეპაექრება:

სიკვდილო, მიკვირს მე შენი, ნეტა, რაში გაქვს ძალები?
ტანზედა ხორცი არ გაკრავს, ხარ ცარიელი ძვალები,
თაგვის სოროებს მიგიგავს ცხვირი, პირი და თვალები...

სიკვდილი ნირს არ იტეხს: გეყოფა, ბერიკაცო, რაც იტარტარე, ყმაწვილიც ბევრი მიხოცია, შენისთანა ბებრები კი არაო! ჯერ მაცალე, ცელი გავლესო, მერე წაგაჭრი თავსაო, „სულ ამოგიწყვეტ მოყვასსა, გვარსა და ნათესავსაო“.

პოეტს სიკვდილი მტკიცედ ჩამოყალიბებული სახით წარმოუდგენია: ესაა ცელით აღჭურვილი მჭლე მთიბავი, გაუმაძღარი ყასაბი და ძვალტყავა ჩონჩხი, რომელიც კაცობრიობას ისე ცელავს, როგორც კარგ სათიბ ბალახს მთიბავი. ამასთან არც სიძულვილსა და სამდურავს ფარავს მისადმი:

სიკვდილო, დიდად გემდური ათთათვის, განა ცხრისათვის,
ბარსა და ნიჩაბს ამზადებ ჩემის საფლავის თხრისათვის.
მატლნი, გველნი და ბაყაყნი მიმელის გამოხვრისათვის;
რომ არ გაძაგო, რად გაქო ცელით თავისა ჭრისათვის?

პოეტს მთელი არსებით სძაგს სიკვდილი, აიძულებს მას, თავიც კი იმართლოს, და აქ საინტერესო მომენტია ჩარეული: სიკვდილი არ თვლის თავს მთიბავად, თვითონ ადამიანებს აბრალებს დაღუპვას: გაუმაძღარნი, მსუნაგები, სულწასულები არიან, ცივ სასმელს ეტანებიან, გულ-ღვიძლს ისნეულებენ და ტყუილად ჩემზე ჩივიანო.

კაცი არ ცნობს მთიბავ-მხვეტელის, ყოველთა ამომწყვეტელის საბუთს და უკვირს, როგორ ასწრებს აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში ამდენი ხალხის ჟლეტას, როცა მარტოა. სიკვდილი ამ ბრალდებასაც უარყოფს, ღვთის სამსახურს ვასრულებო. მარტო არა ვარ, მრავალი სენი მახლავსო, თანაც ადამიანები მეხმარებიან, ერთიმეორეს რომ ხოცავენო. ეს უდავოდ დახვეწილი, მართებული დაცინვაა, რითაც პოეტი უაზრო ომსა და მკვლელობას გმობს. გურამიშვილი მხოლოდ ახლა ხდება ლმობიერი და სიკვდილის ქებასაც კი იწყებს, ამკობს და ალამაზებს. სიკვდილი გრძნობს ირონიას და შეტევაზე გადადის: შენი თავი რა ლამაზი გგონია, მალე თავს წაგაცლი, ხორცი და ტვინი გამოგეცლება თუ არა, ჩემსავით მჭლე და უსახური გახდებიო.

კაცი არ ცხრება, ჯიუტობს, წინააღმდეგობას უწევს სიკვდილს: ვერ დამეუფლები, სული ჩემი ცაში ავა და იქიდან ზიზღით გადმოგხედავსო.

ამრიგად, ბოლო სიტყვა სიცოცხლისაა. მართალია, ბერიკაცი კვდება, მაგრამ ბოლომდე სიცოცხლის სიყვარულითა და გამარჯვების რწმენით სულდგმულობს.

სიკვდილისა და კაცის ცილობას მოსდევს საწუთროსა და სოფლის ცილობა და ბჭობა. არსებითად ესეც იგივე მოტივია, იგივე ფილოსოფიური პაექრობა ბნელისა და ნათელისა, დღისა და ღამისა, სიკვდილისა და სიცოცხლისა, ბოროტისა და კეთილისა. ეს მარადიული ჭიდილი განსაზღვრავს პოეტის თითქმის მთელს შემოქმედებას, და როგორც ჯარისკაცი სამშობლოს, ისე იცავს პოეტი სიცოცხლის იდეას. პოეტი ცნობს წუთისოფლის სიამესაც და სიაფესაც. მაგ-

რამ საბოლოოდ ის მაინც მკაცრია, მუდმივი ჯაფა-განსაცდელი და ბოლოს სიკვდილია ადამიანის ხვედრი და ეს აღონებს მგოსანს.

კაცისა და საწუთროს ცილობა საყურადღებო ბიბლიური დეტალით თავდება. ღმერთმა კაენის მსხვერპლი უარყო, ხოლო აბელის ნასუქი ზვარაკი სიამოვნებით მიიღო. განრისხებული კაენი ძმას თავს დაესხა:

კაინ ჰრქვა აბელს: შენ ღმერთსა რად უძღვენ ჩემზედ მეტია?
— მოუქნივა და დანარტყა უეცრად თავში კეტია,
აბელის თავის ნახეთქი ცას მოხვდა ანასხლეტია,
მისგან ცის მშვილდზედ სისხლი წვეთს, ჯერაცა არ შესწყვეტია.

ეს სისხლის კვალი, ძმათა შუღლის ნიშნად რომ ცას გაევლო და დღემდე წვეთავს, გურამიშვილისეული სიმბოლიური სახეა, რაც ქართლის ჭირსაც გამოხატავს და ადამიანური ცხოვრების ტრაგედიასაც ზოგადად. ამ უაზრო შუღლის დასაგმობად პოეტი ბიბლიურ სიუჟეტსაც იყენებს.

ბოლოს და ბოლოს პოეტი მიწიერი და ხორციელი უკვდავებისათვის მლოცველია, მას არ სურს ბუნებასთან განშორება, გაჭრობა, არარად ქცევა, ამიტომაც აშინებს სიკვდილი, რაც სწორედ არარად აქცევს ადამიანს.

ჩვენ ვიცით, რომ საბოლოოდ ამ პაექრობაში მაინც პოეტი იმარჯვებს: სიკვდილმა ვერ აქცია ის არარად, ვერაფერი ავნო მის უკვდავებას.

დიდი იუმორისტი

„უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდების“.

დავით გურამიშვილი.

დავით გურამიშვილს ყველგან და ყველაფერში თანდაყოლილი აქვს იუმორისა და სატირის ცხოველი გრძნობა. სამართლიანად აღინიშნა ადრევე, რომ გურამიშვილმა „პირველად შემოიტანა ქართულ პოეზიაში კომიზმის ელემენტი“.

მისი მოსწრებული სიტყვა, მწარე ოხუნჯობა, იუმორი და სატირა ხან პოემებში ვაიელვებს, ხან ლექსებში, ხან სხვას, ხან საკუთარ თავს დასცინის. ყველაზე ხშირად კი ღორმუცელა, ცუნდრუკა ხუცებს ატყდება თავს.

მახვილი სიტყვა, ნაკვესი, ხუმრობის ნიჭი — საერთოდ ერთ-ერთი უზენაესი წყალობაა და მუზებმა გურამიშვილს არც ეს წყალობა დააკლეს.

„დავითიანში“ სერიოზულ მსჯელობას უეცრად გაერევა ხოლმე ირონია, მხიარული გახუმრება, რაიმე სათქმელის ეზოპური შედარება, ნაკვესი და ა. შ.

ასე: გურამიშვილს სურს თავისი ადგილის გარკვევა, „მომხსენებელი არ მრჩებისო“, — ჩივის და მერე განაგრძობს:

ერთბამად ფრინველთ უწოდენ შევარდენსა და ძერასა:
არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა, ბულბულთა ტკბილად მღერასა,
ფარშავანგისა შვენებას, ბუკიოტისა ბღვერასა, —
აწ რომ არ მიხმონ მელექსედ, მემართლებიან მე რასა?

მეტაფორულ სახეში ჩასმული ეს შეფარვით ნათქვამი — ირონიული და მოულოდნელია: რაკი ფარშავანგსა და ბუკიოტს ერთნაირად უწოდებენ ფრინველს, მე რაღას მემართლებიან, რომ სხვათა თანაბრად პოეტი არ მიწოდონო! მეც ბანს შევუწყობ შოთას, თეიმურაზს, არჩილს და ვახტანგს, ბეგთაბეგს, ოთარს და ონანას, — დამგმობენ ამაზე რაბაო?

ხუცესისაგან დავითი სიმამაცეს მოითხოვს, მოძღვარი ჯაბანი არ უნდა იყოსო, მკვდარიც დამარხოს და პატიოსნებაც არ დაივიწყოსო, „ხუცესიც ბევრს რიგს დანაკლებს, თუ მეტი ღვინო დალია“. ეს უკვე მათრახია, რომელსაც ალბათ პოეტის თანამედროვე ღვთის ზოგიერთი მსახური თავისი აღვირახსნილი მოქმედების საფასურად იმკიდა.

დ. გურამიშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენია ეკლესიის მსახურთა სიხარბე, ანგარება და მღვდელს აფრთხილებს:

მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროსა,
ბევრს ნუ შეუკვეთ სამარხ-სამკვდროსა!

დავითი შემთხვევას არ უშვებს, რომ არ დასცინოს ეკლესიის უღირს მსახურთ. ქართველთა შეორგულებაზე და უღმერთობაზე რომ წერს, ხუცეს-ბერებსაც გადაჰკრავს:

თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ჭნეს ვერები.
დაბცირდნენ მაღლით მოყვრები, ცოდვით გამრავლდნენ მტერები.

კონსტანტინე კახთა ბატონი რომ დიაკვნებს უგზავნის ქართლის მეფეს ვახტანგს, ღვთისმსახურნი საკუთარ გამორჩენაზე ფიქრობენ. საქართველოს ბედის სასწორი ქვესკნელში გადახრილა, ამათ კი უხარიათ:

მიუწაროდათ ღიაკვნებს საქართლოდ გაჩაფრულებსა:
გვაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალ ფრულებსა;
საქონლით სავსეს მოვასხამთ ჯორ-აქლემთ დაყათრულებსა...
ერთმა იხუმრა: ვიბანებ, თიფლის აბანოს ნურითა,
მეორემ — თევზით გავძღები ზურგიელ გელაქნურითა.
მესამემ — მივიბრუჟები ღვინითა ატენურითა,
მეოთხემ — კიდეც დაგვთოკენ, საბლითა მაზმანურითა.

პოეტის დაცინვა სარკასტულობაში გადადის, როდესაც მღვდლებს ეუდრება, მკვდარს კარგად დამარხვა უნდა, „აგრეთ ქვრივ-ობოლთ უნდა შანახვა“. თავის თავზე კი ასე უბარებს:

ცოცხალი რომე პატარად ვღირდი, მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?
ძღრდელო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი, რაც მოგითვალონ, მას მიითვლიდი!

სათანადო ადგილზე ჩვენ არაერთი იუმორისტული მარგალიტი ამოგვიღია „დავითიანის“ საგანძურიდან. რად ღირს მარტო ის მრისხანე შემტევი სტროფი, რითაც დავითი უღირს ბერებს მიმართავს:

რად არა ხართ მონასტერში, არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ?
გამოსულხართ და დადიხართ, ჭორაობთ და შუღლსა სთესავთ!

ასევე ულმობელი და მამხილებელია დავითი მთელს იმ დიდ პოემაში, სადაც ქართლის ჭირზე ლაპარაკობს და უღირსს თავადებს აშიშვლებს, ტყუილად რომ ჰგონიათ თავი კახაბერები.

ცნობილია, როგორ დაამარცხა დავითმა პაექრობაში „მისებრ ცუდი მოშაირე“ — ჯავახიშვილი.

თავისი თავისათვის ურგები, სხვის სამსახურში მყოფი უმეცარი და უნდილი მამულიშვილნი ხომ სამარცხვინო ბოძზე გააკრა ერთი მოკლე იგავად ნათქვამი სტროფით:

მინახავს ერთი პირუტყვი გორსა თუ ახალგორსაო,
თავისთვის მუტრუკს აკეთებს, სხვათ კი უკეთებს ჯორსაო.

გურამიშვილის სატირა მძაფრია და ულმობელი, მისი იუმორი — გამჭვირვალეა, ღვარძლს მოკლებული და ადამიანურობით გამთბარი, ამასთან განსაკუთრებული პატრიოტული ჟღერადობისა. ერთიც და მეორეც ეხმარებოდა ხალხს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში და გვეხმარება დღესაც.

ასე ადიდებენ სიტყვის ოსტატები

„დავით გურამიშვილმა მწარედ გადაგვიხადა. ჩვენ ის მხოლოდ ორი წელიწადი გვყავდა ტყვედ, თვითონ კი სამუდამოდ დაგვატყვევა“.

რახულ გამზათოვი.

დაღესტნის სახალხო პოეტი უბრალო ნაკვესით გამოხატავს საყოველთაო ჭეშმარიტებას: დიდი პოეტები სამუდამოდ ატყვევებენ ყველა დროის, ერისა და მდგომარეობის ადამიანებს. ამიტომაც შემოქმედი საყოველთაო სიყვარულითაა გარეშოცული. მკითხველს ის უბრა-

ლოდ უყვარს, სიტყვის ოსტატები კი ამ სიყვარულს ხორცს ასხამენ და საქვეყნო სამსჯავროზე გამოჰყავთ კიდეც.

ამ შარავანდედითაა მოსილი გურამიშვილიც.

ჯერ კიდევ პირველმა გამომცემელმა გიორგი წერეთელმა აღნიშნა ასი წლის წინათ: „გურამიშვილის თხზულებებში მოჰარბებული არა არის რა“, ესაა „თავის თანამედროული სურათი ერის ცხოვრებისაო“[1]. ცხადია, ეს სურათი უბრალო ქრონიკა არაა, მაღალ პოეტურ ხარისხშია აყვანილი და გულუბრყვილო რეალიზმის ფარგლებს სცილდება.

დ. გურამიშვილის „დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდაც ლუკრეციის, ვერგილის და ჰორაციის დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ, და მისი სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასული.[2]

გურამიშვილი ადრევე აღიარა XIX საუკუნის ქართული მწერლობის წამყვანმა ბირთვმა — ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ. საგულისხმოა, რომ ვაჟა მას თავის წინამორბედად თვლის:

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო!

ვაჟა-ფშაველამ, რომელიც თავისი დროის გამოჩენილ პოეტებზე „სამი გაფრენით მაღლა იდგა“, ვინც დიდმა ილიამ აღიარა, როგორც ახალი ბუმბერაზი, ბარათაშვილის რანგის პოეტური გენია, — ვაჟა-ფშაველამ თავის წინამორბედად გაბედულად ცნო დავით გურამიშვილი, „ნამდვილი მამულიშვილი“, „უძვირფასესი პაპა“ უწოდა მას.

დიდი ვაჟა ქედს იხრის დავითის აჩრდილის წინაშე და თავმდაბლურად აცხადებს:

პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო,
ჩემისთანები ბაგებზე
ასი ათასი აბაო...
დაჩოქილი ვარ თქვენ წინა,
ვით ერთი ვინმე გლახაო...

ტიციან ტაბიძემ გარკვევით აღნიშნა გურამიშვილის და ვაჟას შეხვედრის ორი კარდინალური ხაზი: ეროვნული და ხალხური. სამშობლოს დამკარგავ პოეტს ჭეშმარიტად შეჰყვარებია და გამოუტირებია კიდეც ტანჯული სამშობლო.

დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა წარ-

---

[1] დავითიანი, 1870 წ.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებული, ტ. IV, გვ. 162, თბ., 1927.

მოადგენენ ჩვენი კულტურული წარსულის უდიდეს ნათლისსვეტებს, ქართლის ჭირის მოზარეებს, რომელნიც უშუალოდ განაგრძობენ ერთიმეორის საქმეს, საბრძოლო იარაღს ესტაფეტით გადასცემენ ერთმანეთს და თაობიდან თაობაში გადააქვთ.

ვაჟა თავის თავს „ლაბა ხარს“ ეძახის, ამაზე ტიციან ტაბიძე შენიშნავს: „ხოლო ცნობილია, რომ ხარი სეისმოგრაფზე ადრე გრძნობს მიწისძვრის მოახლოებას და მისი ბღავილი უერთდება დედამიწის ოხშივარის ტრიალს“[1].

გურამიშვილის მემკვიდრედ თავის გამოცხადებით ვაჟამ „თვითონ გახსნა თავისი პოეზიის შიფრი“ და თავი „დავითიანის“ ავტორს დაუნათესავა, რაც დიდი ლიტერატურული ფაქტია. თუ ამ ეროვნულ გზაზე „დიდი ტრიუმვირატის“ მესამე წევრი ბარათაშვილიც დგას, ხალხური ენის საკითხში ვაჟა უშუალოდ გურამიშვილის მოწაფეა, რაც სრულიადაც არ უკარგავს მას დამოუკიდებელი პოეტური გენიის კანონიერ ტახტზე მორჩმით ჯდომის უფლებას.

გიორგი ლეონიძემ მთელი ჰიმნი უძღვნა გურამიშვილის საფლავის პოვნას:

შენმა სახელმა, შენმა დიდებამ
საქართველოში ახლად იხარა,
ცრემლი, შორიდან ქართლს რომ ადენდი,
თვით სიკვდილმაც ვერ გადაგვიღვარა.

განა ჩააქრობს გულის ცეცხლს მიწა?
განა დამიწდა ის, რაც დაიწვა?
ვანა დაკარგე სახლი, სამკვიდრო,
და წინაპართა წმინდა ალაგი?
უკრაინაში ქართლი იპოვე
და ზუბოვკაში მოსჩქეფს არაგვი!
იხარე, დავით! ქართლის ჭირს და ცრემლს
უკვე გასვლია ყველა ვადები,
საქართველოში გაზაფხულია,
უკრაინაში ჰყვავის ვარდები...

ქართველი მგოსნები ერთიმეორეს ეჯიბრებიან გურამიშვილის ღვაწლის ღირსეულად დაფასებაში. იოსებ გრიშაშვილს ისევ გურამიშვილის იარაღი მოუმარჯვებია, და მისებრ თავმდაბლურად მიმართავს „მეორე რუსთაველს“.

შენ, მეორე რუსთაველო,
გაჭო, მაგრამ როგორ გაჭო!
კალმისტარი შორს მისხლტება,
უკბილო და უბარაქო.

[1] მნათობი, 1956, 2.

დავითის, „მეორე რუსთაველის“, პატრიოტიზმითა და ნათელი პოეზიით შთაგონებული მგოსანი წერს:

მსურს იმ ადგილს დავენაცვლო,
სადაც ბუდობს ჩვენი ერი,
სადაც ჰყვავის ქართლის მიწა
მწყაზარი და მშვენიერი.
ბევრმა წყალმა ჩაიარა,
რაც, პოეტო, ჩვენგან წახველ,
მაგრამ ვწყინობ: ავნი ავსა
თვით იქმენ და სხვას კი ძრახვენ.

ამ ლექსში აშკარად ჩანს გურამიშვილის პოეტური სიბრძნის მზედაუვალობა, მისი საანდაზო თქმების უკვდავება და რეზონანსი თანადროულობისა.

ს. ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ კარგა ხანია დაიბეჭდა ჩვენს პერიოდიკაში და ცალკე წიგნებადაც გამოქვეყნდა. ესაა გადამღერება გურამიშვილის პოემისა, პოეტის მონათხრობზე აგებული ლექსთაკრებული. პოემის მთავარი ღირსებაა დაუფარავად გამოხატული სიყვარული და ლირიკული სითბო:

ფიქრი, ფიქრი შენსკენ ილტვის,
რომ პერანგი გაგიცია,
ტანჯვა როგორ გამოითქმის,
ჩემი სიტყვა ღარიბია.
შენი ცრემლის მლაშე წვეთი
შთაგონებით ნაყიდია.

ს. ჩიქოვანი თავის ლირიკულ პასაჟებში აღწერს ლეკთა ტყვეობის მძიმე ეპიზოდებს, პოეტის რუსეთში ჩასვლას და ხაზს უსვამს მის მეტად საგულისხმო ისტორიულ-სოციალურ მნიშვნელობას.

შენ რუსი შეგხვდა ნამდვილი,
ვახტანგს რომ შეხვდა — ის არა,
შენებრ ვარამში გაწვრთნილი,
შენებრ რომ სწვავდა იარა...

ამ რუსმა პური მისცა, წყალი მიაწოდა, ბინა გაუჩინა...
მერე ავტორი ხელახლა დაბრუნდება ვახტანგ მეექვსეს, მაშვრალს მელექსეს, რომელიც გურამიშვილმა უკვე გამოიტირა.
დამაჯერებლად ხატავს მლოცველი პოეტის პორტრეტს:

სანთელივით ცად აწვდილო დავით,
შენ გოდებდი ასტრახანში ღამით.
ქართლის ჰირით გადაიწვი ლამის,
სიხარული ვერ შეიპყარ წამით...

მერე პოეტთან ერთად გადადის პრუსიის ფრონტზე („რა მელექსება, ომის ცეცხლია...“).

ცხადია, ყველა ლექსი ერთნაირად ნათელი და მომხიბვლელი ვერაა, მაგრამ პოემის ძირითადი ნაწილი თავისი ემოციურობით, ხალასი გრძნობით, სალექსო ზომათა ნაირფერობით ამაღლებულად, მძაფრად განგვაცდევინებს ყოველივეს, რამაც ავტორს ეს ნაწარმოები შთააგონა.

ჩვენს თვალწინ ჩაიქროლებენ უკრაინის ველები, გუგულები, ომის გზები, მაგდებურგის ციხე, წისქვილი, საბას აჩრდილი. სიკვდილის ლანდი, რასაც გურამიშვილი ებაასება, ისევ სამშობლო, სიბერე და... მეოცნებე მგოსნის აღსასრული.

„სიმღერას დავით გურამიშვილზე“ სამამულო ომის წლებში სა-გრძნობი რეზონანსი ჰქონდა, როგორც ხალხთა ძმობის დიდ ბალადას, და ის შესულია ჩვენი პოეზიის საგანძურში, როგორც ერთ-ერთი ნიმუში იმ შთაგონებისა, რასაც დიდი პოეტები შთამომავალთ უანდერძებენ ხოლმე.

სიმონ ჩიქოვანი აღფრთოვანებით უგალობს პოეტ-მეომარს, რომელსაც იარაღი არ დაუყრია, თუმცა ჰუნე ჭაობში ჩაეფლო, თუმცა მტერმა ტყვედ იგდო...

ადექი, ძმაო, ხელი ხმალს იკარ,
თუნდაც წაგართვან განცდილი სითბოც,
თუმცა დაჭრილი ციხეში ზიხარ,
მაინც ჭურანა ჰიხვინით გიხმობს..

ანა კალანდაძემ ლექსების ციკლი უძღვნა გურამიშვილს. „ლამისყანაში“ დაჰქრის მგოსანი ქალი ფიქრით, დავითის ვენახის ქოხს დასტრიალებს და ოცნებობს იმ დროზე, როცა იქ წვიმაში წუთით შეიპარება... დიდი წინაპარი ფანტაზიის დაუშრეტელ წყაროს აძლევს ყველა თაობის პოეტებს.

გურამიშვილის სევდიანი სახე შემოგვცქერის ამ სტრიქონებიდან, და ისევ დაღესტნის ბილიკების მწუხრი გვასევდიანებს:

ეს ბილიკები გადამატარეს
და შორეული ჩემი ქედები...
ლამისყანაში ცისკრის ვარსკვლავი
შენი თვალებით თუ იხედება?

უთუოდ ყოველი ქართველის ფიქრი გამოხატა პოეტმა ხარიტონ ვარდოშვილმა გურამიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში:

მე შენი წიგნი სასთუმალს მიდევს
და ვით დიადი განძი ფარული,—
ყრმობიდან გულში ღამეებს ითევს
გრძნობა შენდამი ღრმა სიყვარულის.

* * *

ქართველი პოეტის უანგარო სიყვარულისა და დაფასების ნიმუშია კოსარიკის წიგნი, რაც არაერთხელ დაგვიმოწმებია. ესაა ნამდვილი ჰიმნი საქართველოს დიდი მგოსნისადმი მიძღვნილი: „გურამიშვილის მხატვრულმა სახეებმა დროთა გამოცდა ჩააბარეს, ძნელი და მკაცრი ორი საუკუნის გამოცდა“.

უკრაინელი მწერლების პოეტურ, პროზაულ თუ დრამატულ ნაწარმოებებში გამოთქმულია უაღრესად ხალასი, გულითადი, ჰუმანური სიყვარული ქართველი ხალხისა და მისი სახელოვანი შვილისადმი. ესაა არა შაბლონი, არამედ სიტყვა, რაც ადამიანს გჯერა და გაღელვებს, როგორც საქმე.

გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავს უკრაინელი სახელმოხვეჭილი პოეტი პავლო ტიჩინა შეხვდა დიდი საქმით და ცნობილი ლექსით:

გვაქვს ოჯახი ერთიანი,
მეგობრობის მზით რომ ბრწყინავს,—
შენი ღვიძლი საქართველო,
რუსეთი და უკრაინა.
ერთი აზრი გვაკავშირებს—
განვამტკიცოთ ჩვენი მხარე,
ჩვენთანა ხარ დღესაც, დავით,
ჩვენთან ერთად იმქუხარე!

პავლო ტიჩინასაც ხახანაშვილის წიგნიდან შეუსწავლია ქართული ლიტერატურის ისტორია. თავის პიესაში „ფეოდალის უღელი“ მან პირველმა დახატა გურამიშვილის ნათელი პიროვნება.

პავლო ტიჩინა ჯერ კიდევ 1928—34 წლებში სწავლობდა ქართულ ენას. ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა უანგარო მოღვაწეს, მხცოვან გიორგი ნამორაძეს მან თავისი ლექსების წიგნი აჩუქა ასეთი წარწერით: „ძვირფას გიორგი ნამორაძეს, რომელიც ჯერ კიდევ ხარკოვში (დიდი, დიდი ხნის წინათ) მეხმარებოდა მეგრძნო დავით გურამიშვილის ნამდვილი სახე. ჩვენ ერთად ვთარგმნიდით ქართულიდან და ვკითხულობდით. მე მაშინ უკვე ვეძებდი დავით გურამიშვილის საფლავს“.

იცნობდა თუ არა დავით გურამიშვილი გრიგოლ სკოვოროდას? მეცნიერები დუმან, პოეტები ამტკიცებენ.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა პავლო ტიჩინას ლექსი „დავით გურამიშვილი უკითხავს გრიგოლ სკოვოროდას „ვეფხისტყაოსანს“:

ყურს უგდებდა სკოვოროდა
გურამიშვილს დავითს:
„ქალი ვნახე წყლის ნაპირას,
ვერ მოვწყვიტე თვალი...

სკოვოროდა შორს იჭერს: შექეიფიანებული ხომ არა ხარო! „მე სიხარულს სულში ვეძებ, განა ქალის თვალში!“

Тут Сковорода підвівся:
„слова тві ис ярі!
шастя я в душі шукаю—
не платському чарі
що мені дівччі очі
голубіі, карі?—
Зачіпів ч світ я двері
„Ме давхуре карі...“

დავითი ედავება: ასე ნუ მაცინებ, ცისკენ ლტოლვაში მიწის მადლიც გაითვალისწინეო და რუსთაველს იმოწმებს: „რუსთაველი — ჩვენი ხატი, გაიხსენე შოთა“!

სკოვოროდა ეცნობა რუსთაველის პოემას და სრულიად გარდაიქმნება, ქედს იხრის დიდი ქმნილების წინაშე. „მონებს თავისუფლებაო!“ — გააოცა ამ სიტყვამ. და ბოლოს:

ზე წამოდგა სკოვოროდა,
ააჟღერა ქნარი:
„რუსთაველის სიტყვამ გულში
ჩამიყენა დარი!
ჰოი, გმადლობ, რუსთაველო,
გამაცოცხლე მკვდარი,
დახშულ გულში შემოიჭრა
სიყვარულის ქნარი,
წუთისოფლის სიამისთვის
მე გავაღე კარი!

ამრიგად, ტიჩინას გურამიშვილი გამოჰყავს იმედიან, წუთისოფლის სიამეთა მაღიარებელ პოეტად, რომელმაც უკრაინელი მოძმე და თანამოკალმე აიძულა წუთისოფლის სიამისათვის კარი გაეღო.

ასეთი გაგება გურამიშვილისა გამოჩენილი უკარინელი პოეტისაგან დიდად საყურადღებო და საფუძვლიანია. შემოქმედი ერთბაშად ფანტავს პესიმისტურ ბურუსს, რაც გურამიშვილის ნათელ სახეზე ჩამოწოლილა ზოგი ჩვენი მკვლევარის ზედმეტი გულმოდგინებისა და პედანტური ვითომდა პუნქტუალობის გამო. პოეტის ალღო უტყუარია. დავითიანი მთელი თავისი უიმედობისა და სევდის მოტივების მიუხედავად იძლევა ასეთი დასკვნის საფუძველს.

ვლადიმერ სოსიურამ ბრწყინვალედ გამოხატა ქართველი პოეტის ტრაგედია, მისი ჩასვლა უკრაინაში:

საზი სად იყო, წუხდნენ ჭოხები,
ცა გუგუნებდა გოლვიან დარში
შენ აქ ცხოვრების ღრუბლებს მოჰყევი
და საუკუნოდ ჩვენთანვე დარჩი.

ჩვენს შორის იყავ, ჩვენს შორის მოკვდი,
ჩვენთანვე ცოცხლობ ტკბილ სიმღერებში.
შენ მიჰყვებოდი რუსეთის პოლკებს
ომის ქარბუქში, ცეცხლის ჩქერებში.
... თავისუფლების აფრააშლილი
დგას კავკასია ქედმოუხრელი,
წინ მივალთ და შენც, გურამიშვილო;
ჩვენთან მოდიხარ მუხლმოუხრელი.[1]

გულწრფელი ლირიკული სტრიქონები უძღვნა ალექსანდრე პიდსუხამ გურამიშვილის ხსოვნას:

სუფთა და თეთრი სახლები,
დახუნძლულ ბაღთა ნიავი...
ოდესღაც გურამიშვილმა
აქ შექმნა „დავითიანი“...

მშვენიერი ლექსი უძღვნა გურამიშვილის ხსოვნას მაქსიმ რილსკიმ, უანგარო ძმისა და მემკვიდრის გულწრფელობით უმღერა მას.

ვინც დაგვიტოვა ჩვენდა სამკვიდროდ
„დავითიანის“ ნაჭედი რვალი,
მას, ვინც ატარა დიადი გული
ნისლიან გზებზე, ღრუბლიან გზებზე,
ქართლის დიდმა და ერთგულმა შვილმა
აქ თქვა სიმღერა სამშობლოს ბედზე.
თქვა, ვით ეხეტა მთებში მშიერი,
როგორ გაექცა ტყვეობას, ჯვარცმას,
ის იხსნა რუსთა მეფემ კი არა,
რუსმა გლეხკაცმა, უბრალო კაცმა.
თვით საქართველო — ელვა-ქუხილის
ზარდაცემული, მტრისგან გვემული,
დასამონებლად, დასამცირებლად
და სასიკვდილოდ მტერს მიცემული,
ვისი იმედის ფესვიც არ გახმა,
იხსნა რუსეთის უკვდავმა ხალხმა.
იყო პოეტი და მეომარი,
და დაუღლელი ჰქონდა გონება,
განა თუ მარტო ბრძნული ლექსები
და სიმღერები ჰქონდა ქონებად?
იგი აგებდა წისქილს და სარწყავს,
გლეხკაცის გულს რომ მოეფონება.
ქართველის საფლავს ყვავილით ამკობს
უკრაინელი ლამაზი ქალი.
რომ შესძლოს ჩვენი ძმობის დარღვევა,
არსად არ არის ძალა იმგვარი.

[1] ლექსების თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა.

რუსმა პოეტმა ვიშესლავსკიმ ხოროლის ლერწმის ჭალებში ჩაკარგულ მგოსნის სამარეს უმღერა. მისი ლაღი ლექსი ასე თავდება:

თელის ხეები, ტოტებგაშლილნი
ცაში აწვდილან,
მგოსანს საფლავში ჩასჩურჩულებს
თელა ბებერი...
მის სამარესთან ჩვენ მოვედით
არა სატირლად, —
მოვედით, რათა
ვთქვათ სიცოცხლის სადიდებელი.

* * *

გერმანულ ჟურნალში „ზინნ უნდ ფორმში“ გამოქვეყნდა ა. ენდლერის წერილი „ზოგი რამ ქართული პოეზიის შესახებ“ [1], რომელშიაც გერმანელი მთარგმნელი და მკვლევარი გურამიშვილს ადარებს ფრანგ ფრანსუა ვიიონსა და გერმანელ იოჰან ქრისტიან გუნთერს. ორივე გარდამავალი ხანის პოეტია.

რამდენად სწორია ეს პარალელი?

ვიიონი, შუა საუკუნეების საფრანგეთის უკანასკნელი უდიდესი პოეტი, 1431 წელს დაიბადა (მისი ნამდვილი გვარია დე მონკორბიე). მღვდლის აღზრდილმა კარგი განათლება და მაგისტრის წოდება მიიღო, მაგრამ პარიზის ბოჰემაში მოხვდა და სისხლის სამართლის დამნაშავედ იქცა, ძარცვა-რბევა დაიწყო და გაქცევა მოუხდა პარიზიდან. იმ ხანებში დაწერა „მცირე ანდერძი“. არც პოეტურ სამყაროში გამოჩენამ უშველა, მთელს სიცოცხლეში ნაძირალებს შორის ცხოვრობდა და ეხეტებოდა. 1461 წელს სიკვდილის განაჩენიც კი გამოუტანეს, მაგრამ ამნისტიამ იხსნა. მერე მისი კვალი იკარგება.

ვიიონი ფრიად საინტერესო, დიდი და სახელოვანი პოეტია.

მთავარი მისი ნაწარმოებია „ანდერძი“ (დიდი და მცირე), ყველა ლექსიც შემთხვევაზე აქვს დაწერილი; შემთხვევების სიწმინდით ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ შეუდარებელი ოსტატია. მისი ლექსების თემაა ნადიმი, შეხლა-შემოხლა, თავგადასავლები, უყვარს ირონია, პაროდია, უფულობაზე ჩივილი და ა. შ. ალაპარაკებს ჩამოხრჩობილებს, რომელთა თვალებსაც ყორნები კორტნიან... მისთვის ჩვეულებრივია გადასვლები რეალურიდან გროტესკისაკენ, ლოცვიდან ფილოსოფიურ მსჯელობისაკენ... ხან ტირის, ხან იცინის, ხან პესიმისტია, ხან მეოცნებე... სასტიკად დასცინის კარისკაცებს, მღვდლებს, ბატონებს.

[1] 1917, № 6.

რა შეიძლება ვნახოთ ფრანგი პოეტის მთელს ამ გარეგნულ ფორმასა და გურამიშვილის უსპეტაკეს პოეზიას შორის საერთო? პესიმიზმი, ფილოსოფიური მსჯელობანი, ლოცვა, თავისი კლასის დაკარგვითა თუ დეგრადაციით გამოწვეული ნაღველი... ვიიონმა დიდი ზეგავლენა მოახდინა გრენგუარზე, რაბლეზე, ლაფონტენსა და მოლიერზეც კი. ვიიონს აფასებდნენ ბუალო, ბომარშე, ვოლტერი, ჰიუგო, გოტიე, ვერლენი... ეს იყო უდავოდ დიდი ტალანტი, მაგრამ გურამიშვილის ბედიც, თვალთახედვაც და ლექსის სახეც, შინაარსიც, მისწრაფებაც სულ სხვაა და შეხვედრები მხოლოდ ცალკეულ მომენტებს ეხება, ისიც ზოგადად — შემთხვევითსა და არაარსებითს.

იოჰან ქრისტიან გუნთერს უკანასკნელ სილეზიელს ეძახიან: ის დაიბადა 1695 წელს, ათი წლით ადრე გურამიშვილზე. მისებრ მღელვარე ბუნების ყმაწვილმა ათი წლიდან დაიწყო ლექსების წერა, რაც სასტიკმა მამამ აუკრძალა და ძალით მიაბარა სამედიცინო სკოლაში. ჰაბუკი თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა, ვერც კარის პოეტად მოეწყო, ძვირფასი სატრფო ლეონორაც მეტოქემ წაართვა და გააუბედურა. ეს სიყვარული გუნთერმა გამოიტირა („ლეონორას სიმღერებში"): ვთმობ შენს თავს, ოღონდ უკანასკნელად მაკოცე ამ გამოსათხოვარ სადილზე, სიყვარულით სიკვდილმისჯილსო! ასეთი გრძნობიერი, ინტიმური სტრიქონები გერმანიაში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არავის დაეწერა. მერე ლეონორა დაქვრივდა, გუნთერს იმედი მიეცა, მაგრამ ეს იმედიც გაუქარწყლდა, ვეღარც სამედიცინო სწავლა დაასრულა და სნეული, მარტოხელა მგოსანი 28 წლისა გარდაიცვალა იენაში 1723 წელს. არც დრომ, არც ბედმა მისი ნიჭი არ დაამწიფაო, ასე წააწერეს საფლავის ქვაზე. პოეტი მუდამ ებრძოდა შიმშილს, ბევრი სასულიერო და საერო ლექსი უწერია ლუკმა-პურისათვის, მათში ჩანს მაღალი ნიჭი, ხალასი გრძნობა, დიდი ტანჯვა და თანაც ნეტარება. „თავის გრძნობებს ვერ მოერია და მისი პოეზია ბუნდოვანი დარჩაო", — ამბობდა გოეთე გუნთერზე. ასე თუ ისე, ამ გენიალურმა ჰაბუკმა დასაბამი მისცა ახალ ლექსს გერმანულ პოეზიაში, და ამ ნოვატორულ მომენტს თუ გულისხმობენ, როცა ჰაბუკ გერმანელს ბრძენ ქართველ პოეტს ადარებენ.

გურამიშვილისადმი მიძღვნილი ყველა ლექსი და მთელი პროზა რომ შეკრიბოთ, ერთი კარგა მოზრდილი ტომი გამოვა. ალბათ კიდევ მეტი დაიწერება. სულ ერთ წიგნში თავსდება „დავითიანი", მაგრამ ეს არაა ისეთი წიგნი, რომელიც ჟამთა სიავის ფოლიანტებში ჩაიკარგება. მარად იცოცხლებს ის მკითხველისათვის და მუდამ შთაგონების წყარო იქნება შემოქმედთა თაობებისათვის.

ბოლოთქმა

დავით გურამიშვილის პოეტიკას ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს. გურამიშვილი ქართული პოეტური სიტყვის და ლექსის უდიდესი რეფორმატორია. თავისი უაღრესად ორიგინალური შემოქმედებით და პოეტური აზროვნებით მან გაამდიდრა და გააფართოვა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის თვალსაწიერი. მისი შემოქმედებით ჰეშმარიტად ახალი ერა დაიწყო ქართულ პოეზიაში. გურამიშვილის მდიდარი და უაღრესად თავისთავადი პოეტიკა ცალკე კვლევის საგანია და ნაწილობრივ შეიძლება ამ წიგნის ძირეულ მიზანს არ შეადგენდეს, მაგრამ გაკვრით მაინც უნდა აღვნიშნოთ ის განუზომელი დამსახურება და ღვაწლი, რაც ამ მიმართებით მიუძღვის პოეტს.

საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების დამკვიდრებიდან ქართული პოეტური სიტყვა და ლექსი, რამდენადმე უფრო ძველი, ბერძნულ-რომაული ქრისტიანული პოეზიის გავლენით იყო აღბეჭდილი, როგორც ფორმით, ისე აზრობრივადაც. ამის საუკეთესო საბუთია ჩვენი სასულიერო ლირიკა. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველებს ქრისტეს მოძღვრების მღაღადებელთა საგალობლებამდე ლექსი არ ჰქონოდეთ. ძველი ხალხური წარმართული პოეზიის ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი და ის ხელშესახებია არა მარტო ხალხური ყოფიერების, ქართველი ხალხის უძველესი მატერიალური და სულიერი კულტურის მკვლევართათვის. მაგრამ, რაც საქართველოში ქრისტიანულმა სასულიერო ლირიკამ მოიკიდა ფეხი, როგორც ვთქვით, ქართულ პოეზიას უფრო იმდროინდელი დასავლური იერი მიეცა. ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებელი პოეტები აშკარად ბერძნულ-რომაული პოეზიის გავლენით ქმნიდნენ საგალობლებს.

ძველი აღმოსავლური წარმართული მოტივები მწერლობაში წინანდებურად ფრთებგაშლილად ვეღარ ბატონობდა, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების მიჯნაზე კი საქართველომ, როგორც ცნობილია, აბსოლუტურ ერთმმართველობას მიაღწია, ქარიული მოდგმის პატარა სახელმწიფოები ერთ დიდ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანდა და,

ბუნებრივია, ქართული პოეტური სიტყვაც უფრო განფენილი და ეროვნული გახდა.

ამ დროს აღჩნდა ქართული პოეზიის ცის კაბადონზე ღვთაებრივი შოთა. მან თავისი უბადლო ეპიური თხზულების დასაწერად, სასულიერო საგალობლებისა, იმდროინდელი სახოტბო ლირიკისა თუ პოემების ავტორთაგან განსხვავებით, სწორედ ქართული ეროვნული, ხალხური შაირის ფორმა აირჩია, რომელიც იმჟამად ქართულ პოეზიაში თითქმის მივიწყებული იყო და მხოლოდ ხალხში ცოცხლობდა.

დიდმა ნათელმხილველმა პოეტმა იმთავითვე შეუმცდარი ინტუიციით განჭვრიტა ხალხური, ელასტიკური, მოქნილი შაირის მასშტაბი ვრცელი ეპიური ამბის მოსათხრობად.

ქართული ეროვნული პოეზია, როგორც ვენახი საქართველოისა, პირველად რუსთაველის ხელში აყვავდა და უნეტარესი მათრობელა სურნელი მიმოაფრქვია.

ვეფხისტყაოსანში ჰპოვა ქართულმა პოეტურმა სიტყვამ პირველად უზენაესი სრულყოფა და სისავსე. რუსთაველმა ქართული ხალხური შაირი საკუთარი სულის წიაღში ისე განასპეტაკა, ისეთ ემბაზში განათლა, რომ სავსებით ახალი შარავანდით შემოსა, ახალი პეწი და ელვარება მისცა შაირით გამართულ პოეტურ ფრაზას. მერმე იგავმიუწვდომელი ოსტატობით მოგვითხრო ნესტანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის ვრცელი რომანტიული ამბავი. „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისაო“, უთქვამს პოეტს და მართლაც მომეტებულად ხელამოდ უქსოვია მჭიდრო და ლბილი პოეტური ფრაზა, ხან ფოლადივით მტკიცედ უჭედია ჯიუტი ქართული სიტყვა და ისე ჩამოუსხამს, დაუგრაგნია რვალივით მაგარი, უკვეთელი სტრიქონები, რომელთაც განუშორებლად თან ახლავთ გავარვარებული ფოლადის სიკაშკაშე და სიმტკიცე.

რუსთაველმა დაბალი და მაღალი შაირის დროული და მოხდენილი მონაცვლეობით სრულყოფილად გამოძერწა ამაღლებულ კეთილშობილ გმირთა ბრწყინვალე სახეები. უნაკლო სისავსით წარმოგვისახა დაბალი, ჭვენა გრძნობების მჭონე მცონარა ადამიანები, ბოროტებისა და ბნელეთის მოციქულები. დიდი ეპიური სიდინჯითა და ტიტანური შემართებით იქადაგა საკაცობრიო პროგრესული იდეები.

ამიტომაც სწორედ რუსთაველის ვეფხისტყაოსანი გახდა ქართველთათვის ჭირსა და ლხინში მუდამ თანამდევი საყვარელი საკითხავი წიგნი, ხოლო მისი დიდებული ავტორი — მწიგნობართა და სწავლულთათვის გემოვნებისა და სიბრძნის მეტრი და საზომი.

ამიერიდან საქართველოში ნაკლებად ეტანებოდნენ ჰაგიოგრაფიული ძეგლებისა და სასულიერო საგალობლების თხზვას, ყველას რუსთველური სიტყვისა და შაირის თქმა სწყუროდა, ყველას რუსთველუ-

რი სიტყვის მომაჯადოებელი ძალა და სინატიფე ხიბლავდა—მას ბაძავდა მცირე და დიდი, ერი და ბერი.

ღვთის მსახურებმა რუსთველის შაირით საღვთო სჯულის გალექსვაც კი სცადეს, რომ ხალხში უფრო ადვილად გაეტანათ და დაენერგათ ქრისტეს მცნებანი. ხოლო ჩვენი ღვთისმოსავი მეფეები ხშირად სამეფო — სახელმწიფოებრივ საქმეებს თავს ანებებდნენ და პოეზიის ღმერთს ეჭიდებოდნენ, სამეფო გვირგვინს, რუსთაველის გვირგვინს, პოეზიის გვირგვინს ამჯობინებდნენ ვეფხისტყაოსნის გრძნეული სტრიქონებით მონუსხულნი.

ერთი სიტყვით, რუსთაველის დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე და კეთილშობილური, მაღალი საკაცობრიო იდეალები, რუსთველის პოეტური სიტყვის ფხა და ელვარება სახარებასავით მოევლინა ხალხს. ვეფხისტყაოსანი პირველობას ეცილებოდა საქართველოში ბიბლიასა და წმინდა მამების ვრცელ ეპისტოლეებს. ალბათ, ამიტომ იყო, დიდად განათლებული ღვთისმოსავი ბრძენი ანტონ კათალიკოსი ასე ცივად, თავშეკავებით განსჯიდა რუსთაველის უკვდავ პოეტურ ქმნილებას. მაგრამ „ამაოდ დაშვრა"... კათალიკოსმა ვერც ავტორიტეტითა და ვერც თავისი ძლიერი ლოგიკით ვერაფერი დააკლო რუსთაველსა და მის გენიალურ ნახელავს. რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი უკვე ხალხის კუთვნილება იყო და ხალხსვე დარჩა სათაყვანებელ ხატად. ვეფხისტყაოსანმა კი თითქმის დაასამარა ყველა სხვა სალექსო ფორმა საქართველოში, ვიდრე არ მოვიდა მეორე დიდი პოეტი დავით გურამიშვილი.

როცა დავით გურამიშვილის უაღრესად ეროვნულ პოეზიას ვეცნობით, უპირველეს ყოვლისა, გვანცვიფრებს მისი პოეტური სიტყვის ძალა, ცხოვრებისეული სიბრძნე, აზრობრივი სიღრმე. იგი ჰეშმარიტად სასწაულებრივი სიდინჯითა და სიმშვიდით წარმოგვისახავს თავისი იავარქმნილი ქვეყნის ტრაგიკულ წარსულსა და აწმყოს... პოეტის გონებას მახვილი და დაკვირვებული თვალის წყალობით შეუმჩნეველი არაფერი რჩება და დიდი რეალისტური სიზუსტით მწარედ მოსთქვამს:

მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!

ძნელი წარმოსადგენია ამაზე უფრო ტრაგიკულად გადმოეცეს ვინმეს თავისი სულიერი მრწამსი ლირიკული სტრიქონებით. როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობთ, გვთნევს პოეტის ის მოსაზრება, რომ ადამიანი ხშირად უმწეოა შესცვალოს წუთისოფლის განჩინება. უმალვე ჩვენც ტანში გვზარავს, აფორიაქებულ სულს ვეღარ ვიმშვიდებთ,

ყელში რაღაც გვაწვება, თითქოს გვაღრჩობს, ხმის ამოღება გვიჭირს და იდუმალ ვიმეორებთ: „ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს“...

დავით გურამიშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, სამშობლოს, ქართულ გარემოს, ადრევე, სიყმაწვილიდანვე მოსწყდა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე უცხო ქვეყანაში, უცხოობაში გაატარა. ალბათ, ამიტომაა, სამშობლოს დანატრებული ასე მძაფრად, დიდი სულიერი ტკივილებით რომ განიცდის მოგონებასა და წარმოსახვაში ყოველივე ქართულს— ქართულ ყოფას, ქართულ სიტყვას... ქართული სიტყვა დავით გურამიშვილისათვის იგივე საქართველოა. ამიტომაც ქართული სიტყვის, ენის ფენომენს მის შემოქმედებაში უდიდესი ადგილი უჭირავს. იგი ქართულ სიტყვას ისე ხელშესახებად განიცდის, როგორც ცოცხალ საყვარელ არსებას.

გაოცებას იწვევს მისი პოეტური ლექსიკის სიმდიდრე. მისი ლირიკული ლექსებისა და პოემების ყოველი ხელახალი გადაკითხვა გვარწმუნებს, რომ პოეტი ზედმიწევნით იცნობდა ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებს, პოეზიას და პროზას, სასულიერო საგალობლებს, საღვთო წიგნებს—დაბადებიდან მოყოლებული... მაგრამ, ეტყობა, მან უფრო მეტი ქართული ხალხური ზღაპრებისა და იგავებისაგან შეითვისა და შეისისხლხორცა. ამაზე მეტყველებს დავით გურამიშვილის პოეტური სიტყვის ნათელი მიმოხრა, მისი დიდი უშუალობა და სისადავე. დავითი მთელი სისავსით ფლობს ქართული ენის მდიდარ ლექსიკონს. იგი დიდი სიზუსტითა და სიფრთხილით იყენებს ქართული ენის ყველა კილოკავს... შესაშური ოსტატობით ახერხებს სალიტერატურო და სასაუბრო ენის შერწყმას და ამაშია სწორედ დავით გურამიშვილის პოეზიის მომხიბვლელობა, მისი პოეტიკის იდუმალება, რითაც მუდამ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე...

დავით გურამიშვილის ხანგრძლივი სიცოცხლე, მისი ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება ერთი მწუხარე რომანია მე-18 საუკუნის საქართველოზე, იმდროინდელი ქართველი კაცის ყოფაზე, რომელშიც სამოთხის გრძნეული ბაღივითაა აყვავებული ქართული პოეზია, ჩვენი ეროვნული პოეტური სიტყვა, სადაც მეტყველი ფერებითაა აღწერილი და შემონახული ჩვენი წარსული, იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი აზრი, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, სადღესასწაულო რიტუალები, სამეურნეო და სამხედრო ხელოვნება — ქართველი ერის ხასიათი, უკეთ, ქართული სული...

პოეტურ აზრს, სათქმელს, დავითი ისე უშუალოდ განიცდის, ისე უბრალოდ გამოხატავს, ეჭვებთ, იქნებ მხოლოდ თავის შესაქცევად, ფიქრთ გასართველად წერსო. მაგრამ ანაზდად სიტყვას ისე მოიქნევს, პოეტურ ფრაზას, სტრიქონს ისე დაარხევს, დაატრიალებს და დაკვან-

წავს, უმალვე სულში უზენაეს სიამოვნებასთან ერთად გულისმომწყვლელ სევდას გვაწვეთებს და ჰეშმარიტად მაღალი პოეზიის უხილავ მხარეში გვასახლებს.

დავით გურამიშვილის პოეტური ფრაზა მეტად გამჭვირვალეა და ნათელი. მისთვის არ არსებობს კეთილხმოვანი და არაკეთილხმოვანი სიტყვა. იგი პოეტურ ფრაზას მეტისმეტი სითამამით ეკიდება და თავისი დიდი არტისტიზმით მოუხეშავ, ტლანქ სიტყვასაც კი. მძაფრი განცდების წყალობით სინატიფესა და სილბოს ანიჭებს. მას არც ტლანქი, მოუხეშავი სიტყვისა ეშინია და არც ჩვეულებრივი სიტყვის უჩვეულოდ გაუცხოებისა. რაგინდ პროზაულ საგანზეც არ უნდა წერდეს, პოეტურ ფრთიან ფრაზას მუდამ დიდი არტისტულობით აშენებს და მოულოდნელი ემოციურობით ტვირთავს. ვახტანგ მეფის გარდაცვალებით შეწუხებული პოეტი ამბობს:

მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა და ჭყურტიალი;
მოგვწყდა წელ-გული, შევქენით, ვით უმხროდ ჩიტმან ფრტიალი,
დავიწყეთ, ვითა წიწილთა უკრუხობითა, წკრტიალი.

ცალკე რომ ავიღოთ სიტყვები: ჭყურტიალი, ფრტიალი, წკრტიალი, ქართულ სალიტერატურო ენის ლექსიკონში შეიძლება გაგვიჭირდეს მათი მოძებნა, მაგრამ გურამიშვილის სტროფში სამივე თავის ადგილზეზის და მშვენივრად გამოხატავს პოეტის სათქმელს, პოეტურ აზრს. ამგვარი მაგალითების ამოკრება გურამიშვილის პოეზიიდან დაუსრულებლად შეიძლება.

სამშობლოსაგან მოწყვეტილს მხოლოდ ქართული სიტყვაღა შერჩენოდა სულის საოხად და სიკვდილამდე პოეზიაზე თავგადამკვდარი უზომო სევდითა და ირონიით ზომიერად შეზავებული, ულოსავით დაქნილი სტრიქონების ხელრთვაში ჰპოებდა შვებას:

კახთ ნაჩინჩხლთ წინწკალთ დაერთო ქართველთა ქარი ალზედა:
რა იგი ორნი შეშუღლდენ, ვით ქორნი გარიალზედა,
გამოეღვიძა არწივსა ჩხუბსა და მათს ყრიალზედა,
გარიელს კლანჭი მან უკრა, სხდენ ქორნივ ცარიალზედა.

წერდა პოეტი უბრალოდ, სადად, ყოველნაირი სტილიზების გარეშე და ჰეშმარიტად მაღალი პოეზიის ხატს უკრაინის თვალუწვდენელ სტეპებში, კავკასიონის მწვერვალებს მიღმა დარჩენილ სამშობლოს უმშვენიერეს ხატებად წარმოიდგენდა. მშობლიური საგურამოს სანახებს იხსენებდა, გულში შიო მღვიმის საგვარეულო „ძვალთ შასალაგს“, წინაპართა საფლავებს ეფერებოდა და სამშობლოსათვის უკვდავ ლირიკულ პოემებსა და ლექსებს ქმნიდა, ქართულ სიტყვას შეჰფოფინებდა, სათუთად, სასოებით უვლიდა, ეფერებოდა. სამშობლოს უბედობით გამოწ-

ვეულ ტკივილს, ქართველი ხალხის სიყვარულს, ქართული სიტყვის უკვდავებისათვის იასკეცებდა. თავს პოეტური სიტყვის ხორცშესხმითა და სრულყოფით ინუგეშებდა. საწუთროს სიავითა და გაუტანლობით გამოწვეულ მოურევნელ სევდასა და მწუხარებას პოეზიის სიყვარულით იქარწყლებდა. ქართულ პოეტურ სიტყვას სიკვდილამდე მოუქანცველად ეთამაშებოდა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ხან ზომაზე მეტად ნაღვლიანი, ხან ზომაზე მეტად მხიარული მელოდიებით იხალისებდა და მარცვლიდა.

დავით გურამიშვილის მხატვრულ ქმნილებაში ხშირად უცხო, არა ქართული სიტყვებიც გვხვდება, მაგრამ მისი დიდი პოეტური ენერგიისა და ძალისხმევის წყალობით მის პოეტურ ქურაში ნაწრთობი, შემოქმედებით დარჯაკში გამოვლილი ეს სიტყვები უმალვე ეროვნულ ელფერსა და შინაარსს იძენენ. პოეტი ხშირად ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმისას საყოველთაოდ აღიარებულ ორთოგრაფიულ წესებსაც არღვევს, მაგრამ ამით მაღალი პოეზიის ხატს არასოდეს ბღალავს. პირიქით: ზოგჯერ ამით უფრო აძლიერებს ცალკეული სიტყვისა და სტროფის შინაარსს, სიტყვასა და სტრიქონს უფრო ემოციურს ხდის, სათქმელს უფრო ფხიანად, ცოცხლად გამოხატავს და ლექსს თავისუფალ, გურამიშვილისეულ იერს ანიჭებს.

დავით გურამიშვილი იმითაცაა განსაცვიფრებელი პოეტი, თუგინდ უცხოური წარმოშობის, თუგინდ ქართული მჭლე სიტყვა მოხვდეს ხელში, რაღაცნაირად ბარაქითა და დოვლათით დატვირთავს, ახალ სისხლს გადაუსხამს, სულს ჩაუდგამს, სრულყოფილს გახდის, ძვალს დაუმსხვილებს, ფერს დაუსრულებს, კეთილად დაამწიფებს და სამოთხის უცხო ნაყოფს დაამგვანებს. პოეტი მეტად თავისუფლად, გაბედულად მოგზაურობს მშობლიური ენის უსიერ ტევრში. სიტყვას საჭიროებისამებრ ათასნაირ მოზაიკაში განალაგებს და მუდამ სასურველ ეფექტს აღწევს. იგი ერთნაირი სიმპათიით ეკიდება როგორც ხალხურ სადა, სასაუბრო მეტყველებას, ისე წმინდა, დახვეწილ სალიტერატურო ენას. უბრალოდ რომ ვთქვათ, დავით გურამიშვილი არაა ერთხელვე დაკანონებული სალიტერატურო ენის, უკეთ, გრამატიკის ტყვე და ძირითადად სალიტერატურო ქართულს არასოდეს ღალატობს... პირიქით: პოეტმა ამ დაუცხრომელი მაძიებლობით დიდად შეუწყო ხელი ქართული პოეტური მეტყველების გამრავალფეროვნებას და საერთოდ ქართული ენის განვითარებას.

დავით გურამიშვილის პოეტური თავისებურება იმაშიც მჟღავნდება, რომ დიდი პოეტური ნიჭის მეოხებით იმთავითვე ერთბაშად წაშალა ზღვარი ეგრეთწოდებულ მაღალი „შტილის“ მეტყველებასა და სადა გამჭვირვალე ხალხურ მეტყველებას შორის. მის მრავალწაირ პოეტურ გამომსახველობით საშუალებებს შორის ყველაზე ნიშან-

დობლივია, რომ იგი მხატვრული, ფიგურალური აზრის სიმკვეთრით განწყობილების ხელშესახები დახვეწით ცდილობს ყოველთვის უბრალო, ჩვეულებრივი, არა ესთეტიკურ სიტყვების განსპეტაკებასა და გაპატიოსნებას. მერე ამ სიტყვებს რაღაცნაირი იდუმალი ხელოვნებით მტკიცედ აკავშირებს, ადუღაბებს ერთმანეთთან, რათა მკითხველს უბრალო, უპრეტენზიო სტრიქონებითაც კი დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს:

ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს საძრახავსა:
თავისიცა განიმაგროს, ნუ აფოთნებს სხვის ნიფხავსა.
ჰეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ, ავს ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა!
ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ;
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.
ვინ დაჰფარავს მათს ნათესსა. თვით უმიწოდ ქვიშას ფარცხვენ,
ქვე საწუთროს ქვიტკირსა ზდგმენ, ზე სამკვიდროს ფიჩხით ფაცხვენ.

ქართველი ხალხის ეროვნული ტრაგედია, ოდესღაც ერთი მთლიანი დიდი საქართველოს დაცემა, დაქუცმაცება და გაპარტახება ისე მწარედ, სულის შინაგანი წეწვითა და გოდებით არავის განუცდია და დაუხატავს ქართულ პოეზიაში, როგორც დავით გურამიშვილს. მართალია, იგი მწუხარებით მოგვითხრობს საკუთარ ბიოგრაფიაზე, ბედნიერ ყმაწვილკაცობაზე, მერე ათასნაირი ფათერაკებით აღსავსე თავის ხანგრძლივ სიცოცხლეზე, მაგრამ უფრო მეტს სამშობლოზე სწუხს, ქართველი ხალხის გარდასულ დიდებასა და ძლიერებაზე მოსთქვამს. წყევლითა და კრულვით იგონებს უგნურთა, სამშობლოს ორგულთა სახელებს, შარავანდით მოსავს კახაბერის ღვთაებრივ სახეს, სამშობლოსათვის თავდადებულ ჭკვიან მოღვაწეებს და დიდი სიმართლით გადმოგვცემს მე-18 საუკუნის საქართველოს მდგომარეობას, მის შინაგან სულიერსა და პოლიტიკურ უმწეობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ღალატს და გამცემლობას. „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი“, — ამბობს პოეტი და სულ რამდენიმე სტრიქონში განსაცვიფრებელი ოსტატობით, ლაკონიურად, ხორცსხმულად ხატავს მაშინდელი საქართველოს მართლაცდა შემაძრწუნებელ ტრაგედიას:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი,
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

ასეთი სხარტი, უაღრესად ტევადი, პოხიერი პოეტური სიტყვით, გამომსახველი პოეტური ფერებით აზავებდა გურამიშვილი თავის ლირიკულ მონოლოგებს. თვალწინ მუდამ ღვთისმშობლის სათნო სახება

ედგა, მაგრამ გულით სამშობლოს ხატზე ლოცულობდა ქართველი ერის უბედობითა და დაკნინებით გულდამწვარი.

გურამიშვილის ბობოქარი სული ვერ თავსდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თეოლოგიის ჩარჩოებში. მის სულს შეუბრალებლად წეწენ შინაგანი წინააღმდეგობანი. იგი ხან ღვთისმოსავი ქრისტიანია და ხან არსთა გამრიგის წინააღმდეგ ამბოხებული მოჯანყე. საწუთროს გაუტანლობითა და პირადული უბედობით ყველაფერში დაეჭვებული თითქოს მიწაზე ვერ ეტევა, მსოფლიო სევდითა და მჭმუნვარებით აღტყინებული თავისი გენიალური შთამომავალივით ცათა მიღმა ეძიებს სადგურს სულისას. იდუმალებით მოცული, შეუცნობელი სამყაროს საიდუმლოების ამოხსნისა და აღქმის წყურვილი კლავს და ხშირად ზენაარისაკენ მისტიციზმით დამძიმებულ ეგზალტირებულ ლოცვებს აღავლენს, რათა წუთით მაინც იგრძნოს რწმენით დაცხრომა და სულის სიმშვიდე. აქედანაა აღმოცენებული მისი საგალობლები, ზოგან გულწრფელად ღვთისმავედრებელი, ზოგან ალეგორიული და სამშობლოზე მლოცველი. ლექსის ეს ფორმა მეტად საინტერესო სიახლეა, რომელმაც შემდგომში, განსაკუთრებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში, თავისი განვითარება ჰპოვა. გურაძიშვილი საწუთროს, ადამიანის ყოფას უმეტესად რეალისტურად აღიქვამს. უზენაესის მარადიულ სხივმოსილებასა და მუდმივ სიკეთეზე ზოგჯერ ეჭვიც ეპარება, ედავება საწუთროს და საწუთროს შემოქმედს, რომელმაც სიჭაბუკის კეთილი ოცნებები დაუმსხვრია, სამშობლო დაუკარგა, იმედი გაუცამტვერა, ესეც არ აკმარა და ბოლოს „თავში სიბერწე კომბლად დააბალა“... ამიტომაც ქართული სიტყვა იშვილა, მას ეფერება, ზრდის, ამდიდრებს, მისით უნდა სიკეთე თესოს, მშობელი ხალხის სული განწმინდოს და აამაღლოს. წინ ჰეშმარიტად მაღალი პოეზიის ხატი წაუმძღვარებია და ქრისტეს მოუხმობს ურჯულო მტერთაგან ღვთისმშობლის წილხვდომილ სამშობლოს სახსნელად. მისთვის ახლა სამშობლო და პოეზია, ქართული სიტყვა, ქართველი ხალხის მომავალი ქცეულა ხსნის გზად და უმაღლეს რელიგიად. ამიტომაც ხან რწმენით აღსავსე, გონიერებით აღჭურვილი, ბრძენი, დიდი რეალისტი მოაზროვნეა, ხან კი გრძნობამოჭარბებული რელიგიური მისტიციზმითა და ემოციებით გათანგული, ეჭვებითა და წინააღმდეგობებით, თავისთავისთვისაც კი შეუცნობელი განცდებით აღვსილი, ეპოქისათვის უცხო, გაორებული პიროვნება, რომელმაც ვერა და ვერ შეჰკრა დარღვეული დროთა კავშირი, ვერა და ვერ დათრგუნა გონების მღრღნელი ეჭვი, არსთა გამრიგის სრულყოფილ, ერთიან სათნოებასა და სიკეთეზე. პოეტი კარგად ხედავდა, რომ საქართველოს უფალთ უჭირდათ იმ ეპოქალური საკითხების მოგვარება, რისი გადაწყვეტაც ბედისაგან მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. ვერც თვითონ პოეტმა გამონახა რაიმე საშუალება და ვერ

უჩვენა თავისიანებს ხსნის გზა. ვერ იქნა და ვერ დასძლიეს ის ეპოქალური შეცდომები, რომლებიც გამოწვეული იყო ქართველ მეფეთა თვითნებობით, ხუშტურიანობითა და მათი ქვეშევრდომი თავნება თავადების შეორგულებითა და გამყიდველობით. მაგრამ იგი მაინც შინაგანი ტიტანური გზნებით ცდილობს შეათანხმოს სამშობლოს სიყვარული გათანგული შემოქმედის წინააღმდეგობებით აღსავსე ბუნება და მეამბოხური სული რეალურ სამყაროსთან, დათრგუნოს საკუთარი აჯანყებული სულისკვეთება და ქრისტიანის ღვთისმოსაობით შეეგუოს დრო-ჟამს, შეკრას დროთა დარღვეული კავშირი, წინააღმდეგობებით დაწეწილი სული და გაორება არ გაუმხილოს შთამომავლობას, რათა, სრული უფლება ჰქონდეს ქრისტიან ხალხში სიბრძნისა და სიკეთის ქადაგებისა. თუმცა ეს წინააღმდეგობანი მაინც აშკარად ჟონავს მის მიერ მტკიცედ ნაშენ ციხე-კოშკის ბალავრიდან...

დავით გურამიშვილი თავის დროის უდიდესი მოაზროვნეა. რუსთაველისა და საბა-სულხან ორბელიანის შემოქმედებით გონებაგაწვრთნილმა თავისი ლირიკული პოემებითა და ლექსებით საოცარი სიზუსტით ასახა მაშინდელი საქართველოს აწეწილ-დაწეწილი, პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, კულტურული ყოფა და ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტად დიდ რეალისტურ-ეროვნულ პოეზიას დაუდო სათავე.

გურამიშვილი პირველი პოეტია, რომელმაც გაბედულად დააღწია თავი აღმოსავლურ მოტივებს და ქართულ პოეტურ სიტყვას სულ სხვა, ახალი ინტონაციური ელერადობა მისცა. მისი ლექსის მდიდარი ვერსიფიკაციული ნაირსახეობა დღემდე გვაოცებს. გაექცა რა ექვსი საუკუნის მანძილზე გაბატონებულ რუსთველის პოეტურ ფორმას, ქართული პოეზია მრავალნაირი მეტრითა და რიტმით გაამდიდრა. გურამიშვილის პოეზია დაედო საფუძვლად მეცხრამეტე საუკუნის მდიდარ ეროვნულ პოეზიას. რუსთველის შემდეგ დავით გურამიშვილი ქართული ლექსის და პოეტური აზროვნების უპირველესი რეფორმატორი და ვერსიფიკატორია. რუსთველის შემდეგ პირველად გურამიშვილის შემოქმედებაში გამომჟღავნდა ქართული პოეტური ენის ამოუწურავი შესაძლებლობანი — სილბო, სისხლხორციანობა, სიმტკიცე და სინატიფე.

დავით გურამიშვილი არ ყოფილა ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის ორთოდოქსალური უსიტყვო მონამიმდევარი, როგორადაც ზოგიერთნი ცდილობენ დაგვიხატონ. იგი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა და ყველაფერში ჭეშმარიტებას ეძიებდა. მზითა და მთვარით განათებულ სამყაროს მეტწილად დიდი შორსმჭვრეტელი ფართო თვალებით უმზერდა, შეჰხაროდა ბუნებას, სიცოცხლისა და მშვენიერების შემოქმედს, როგორც ხსნის იმედს, სასოებასა და ნავთსაყუდელს, მაგრამ მისი სრულყოფილება კი არ სწამდა. მშიერსა და

მწყურვალს რომ წყალმა კიტრები მოსტაცა, განაწყენებულმა საყვედურიც აკადრა და შეჰღაღადა: „თუ მომეც, რაღად წამართვიო“. სამკვიდროს მოწყვეტილი, უცხო მიწაზე უთვისტომოდ მარები, ჩალაბულაში მძრომელი, თითქოს ერთგვარი რიდით, მაგრამ საკმაოდ მკვახედ მიმართავს ღმერთს: „რად გძინავს, აღზდეგ, უფალო, აწ განიღვიძეო!“

თუ ღმერთი არსებობს, თუ იგი ყოვლისშემძლეა, რასაკვირველია, მას შეუძლია კიდეც გაიღვიძოს და კიდეც დაიძინოს, მაგრამ სადაა მარადიული სასუფეველი მისი?! ალბათ, უსახსრულო სამყაროში, სადღაც მარადიულ წალკოტში, მაგრამ რა საერთო აქვს მას მიწასთან, მიწიერ ცხოვრებასთან? თუ ყოველივე მისი შექმნილია უსასრულო სამყაროში და ჩვენს პლანეტასაც მისი გონების თვალი მართავს, რატომ შექმნა ამდენ სიკეთესთან ერთად ამდენი ბოროტება და უკუღმართობა, ადამიანის სიცოცხლეს, მის ყოფას სიკეთესთან ერთად რატომ სდევს თან ათასნაირი ფათერაკი, განსაცდელი და გამოცდა? ასეთი კითხვები დავით გურამიშვილის მგრძნობიარე გულსა და ნათელ გონებას ჯერ კიდევ სიყრმიდანვე აედევნა და სიკვდილამდე არ გაშორებია. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოიარა, მიწიერი ცხოვრების ყოველნაირი სიტკბო და სიმწარე იგემა, მაგრამ ბუნების აუხსნელი საიდუმლო მაინც ვერ ამოხსნა, ადამიანის ყოფას, სიცოცხლის არსს მაინც ვერ ჩასწვდა და ფაუსტური სევდა უფრო მწარედ შემოაწვა, თუმცა საწუთროს ამაოებით დასეტყვილი გული დანიის პრინცივით ეჭვებით შუაზე არ გაპობია. პირიქით, უფრო მწვავედ შეიყვარა სიცოცხლე, ადამიანი... თავისი სათაყვანებელი სამშობლოს ხატი წინ დაისვენა და მაღალადამიანურ სიკეთეზე დაიწყო ლოცვა. ადამიანის უმშვენიერესსა და ულამაზეს სულში დაიწყო ძიება ყოვლისშემძლე არსებისა, რომ თვით აემაღლებინა ადამიანი ღმერთის ცნებამდე. არსთაგამრიგის შექმნილ ქვეყნიერების წესრიგზე დაეჭვებულმა კიდევ უფრო მწარედ და მწვავედ შეიყვარა მიწიერი ცხოვრება, სიცოცხლე და „ქართლის ჭირზე“ უკვდავი სიმღერებით რომ მოიოხა გული, მერე ცხოვრებისეული მშვენიერების, მიწიერი სილამაზისა და სიყვარულის დაუვიწყარი, ჭეშმარიტად სრულყოფილი მხატვრული სახეები შექმნა. საქართველოს ერთ-ერთი მხიარული ზაფხულის ამბავი ლირიკული მონოლოგებით ოსტატურად მოგვითხრო და წუთისოფლის საიდუმლოც უბრალოდ ამოხსნა.

როცა დავით გურამიშვილის პოეზიას დაკვირვებით ვეცნობით და მის უბადლო სტრიქონებს შორის მოქცეულ დაუწერელ სტრიქონებსაც გონების თვალით ეჭვრეტთ, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ პოეტს შინაგანად უფრო მიწიერი სწამდა, ვიდრე ზეციური და პირიქით. მართალია, მის საგალობლებში, ლირიკულ ქმნილებებსა და პოემებში ხშირად ისმის „ალილუია“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ქრისტ-

იანული მოძღვრების, ღვთაების ბრმა თაყვანისმცემელი, „მონა“ ყოფილიყოს. იგი სამშობლოსა და მშობელი ხალხის ხსნისათვის იღვწის და ხილულ სამყაროს, ბუნების შემოქმედ ძალას, შეღაღადებს თავის სანუკვარ ფიქრს და როცა უხილავ „მზიან ღამესა“ და „გრძელ დღეს“ ევედრება, თვალწინ სამშობლოსა და მშობელი ხალხის ხატება უდგას მუდამ. მისი წადილია ამ ხატებას წაუძღვეს წინ და ბიბლიურ მოსესავით მშობელი ხალხი სამშვიდობოს გაიყვანოს. მისი სურვილია რაიმე კეთილი შესძინოს მოყვასთ და შორსმყოფი რაიმეთი მაინც წაადგეს თვისტომთ.

განა ასე არ იქცეოდა უფრო გვიან, მეცხრამეტე საუკუნეში მისი ღირსეული მემკვიდრე—ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავიდანვე საქვეყნოდ განაცხადა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა!“ დიახ, დავით გურამიშვილი ჩვენს სინამდვილეში პირველი პოეტია, რომელმაც, როგორც შემდგომში ილია ჭავჭავაძემ, ერის წყლული საკუთარ წყლულად მიჩნია და მთელი სიცოცხლე სამშობლოზე გოდებასა და რუდუნებაში გაატარა. მშობლიურ შემოგარენსა და ქართულ, დინჯ, დარბაისლურ საუბარს დანატრებულმა, უცხო მიწაზე ქართული ენა აღმერთა და ეროვნული პოეზიის ლირიკული შედევრები შექმნა.

მას წამითაც კი არ უცხოვრია ქვეყანაზე გულხელდაკრეფილს. მუდამ გაფაციცებით ადევნებდა თვალს ცხოვრებისეულ მოვლენებს და ადამიანის სულს მუდამ მაღლა ეწეოდა, სიკეთისაკენ. ჭეშმარიტებას ეძიებდა ბოროტების დასათრგუნავად. ქართველი ერის ტანჯვასა და შეჭირვებას, დაუფარავად და მოურიდებლად, საწუთროს გამრიგეს აყვედრიდა. წუთისოფლის მრუდე გზის სწორად გაკვლევას მხოლოდ ნათელი გონების თვალით ცდილობდა: „მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს“, ღაღადებდა ბრძნულად და იმდროინდელი დუხჭირი ცხოვრებისაგან დაფლეთილი გულიდან გასისხლული სტრიქონები ამოჰქონდა შეჭირვებული სულის შვებად და მეოხად:

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას იქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!

ამისთვისა ვარ ფაციცად, ვითა თავს მტერ დანასხამი,
მისი ცეცხლით გული ჩემი ვალს ჰირისოფლ დანასხამი.
მოწყვეტილი მოსაგრილად წყლურზე წყალი დანასხამი;
გული ასე დაუკაწრავს, ვით გალესილ დანას ხამი.

წუთისოფელზე უღმერთოდ გამწარებული, წუთისოფელშივე ეძებს ნუგეშს სულისას. როცა ზამთარს ნირი წაუხდება, ზურმუხტის ტახტზე

ზაფხული დაბრძანდება, სოფელი მინდვრებში ნახირს გარეკავს, პოეტი გახარებული თვალებით შესცქერის ბუნებას; სიცოცხლესა და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, მიწიერ ყოფაზე შეყვარებული, სოფლის სიუხვითა და ნაყოფიერებით აღფრთოვანებული, მწყემსებს ძველი რომაელივით მშვენიერი, ყვავილოვანი ლექსებით უმღერის. პოეტი ცოლქმრული სიყვარულის მფარველ ნაზ ღვთაებებს მოუხმობს, აყვავებულ ბუნების წიაღში მხიარულ გოგო-ბიჭების ურთიერთ ალერსს თანაუგრძნობს, მათ ვნებათაღელვას უკვდავ სტრიქონებს უძღვნის, ადამიანის სულის ღრმა ფსიქოლოგიურ ცოდნას ამჟღავნებს და ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობის საგალობლებს პოეტური ხატოვანებით გადმოგვცემს:

ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული;
შაშვი ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დვრინავს ქედანი.

ქაცვია მწყემსი „პირველი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც უბრალო, მშრომელი ხალხის ყოფას ასახავს: ალბათ აქედან გამომდინარეობს მასში ჩაქსოვილი მჩქეფარე ოპტიმიზმი... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ფორმითაც სრულიად ახალი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში.

სამყაროს, სიცოცხლის, ბუნების და მიწიერი ცხოვრების ამგვარი ჰარმონიული აღქმა აიტაცეს სწორედ მეცხრამეტე საუკუნის დიდმა რეალისტმა მწერლებმა—ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ...

სწორედ რომ განცვიფრებას იწვევს გურამიშვილის მიერ მოწესრიგებული სამყაროს, ბუნების აღქმა, მისი მარად ამოუხსნელი იდუმალების შეგრძნება. „მხიარული ზაფხულის“ შესავალში, სადაც ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლას აღწერს, პოეტის ლირიკულ წარმოსახვებს, ჩანაფიქრს, საოცრად ეხმაურება ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონები: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

ეჭვი არაა, დავით გურამიშვილის უზარმაზარი, ამბოხი სული, იდუმალებით მოცული ბუნების ყოველ კუთხე-კუნჭულში იჭვრიტებოდა და იქ—მოკვდავი ადამიანის სულის საოხად, სიყვარულს, ნუგეშს და სასოებას ეძიებდა. ოდესღაც აღზევებული სამშობლოს დაცემითა და განადგურებით, საწუთროს გაუტანლობით გულარძნილ პოეტს ისევ მიწიერი ცხოვრების, სიცოცხლის ამაღლებული სიყვარულის ძალით ეწადა დარღვეულ დროთა კავშირის აღდგენა, ადამიანის სულისა და

გონების განწმენდა, განსპეტაკება, ზებუნებრივისა და მიწიერი, რეალური ცხოვრების ჰარმონიული შეთანხმება.

დავით გურამიშვილის „მხიარული ზაფხული“ სიცოცხლისა და სიყვარულის გაბმული, უკვდავი ჰიმნია. „ცრუ საწუთროში“ ბედისგან განაწირი, მრავალჭირნახული პოეტი აღტაცებული შესცქერის ბუნების გამოღვიძებას, რომელშიც სიცოცხლისა და სიყვარულის აყვავებას ხედავს. შეუცნობელი, იდუმალი ბუნების ამგვარი შეგრძნება უდევს საფუძვლად აკაკი წერეთლის უბრწყინვალეს ლირიკულ შედევრებსაც:

ძალთა დიდება
შექმნათა ქება
არს საიდუმლო მათი ვედრება.
ჭვეყნის ბუნება
ბანს ეუბნება
და ეს ბანია „ქებათა-ქება“.
ყვავილთა ენა—
სურნელთა ფშვენა
საგალობელად აღმა—კმეული,
წყალთა ჩქრიალი,
ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი, რაღაც გრძნეული.
ბუნების მაყრულს,
საქორწილოდ სრულს
ეკავშირება, ზე ემატება.
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!

წერდა დიდი პოეტი და გაოცებული სვამდა კითხვას: „რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა? და იქვე დასძენდა აღფრთოვანებული: „შენ, სიყვარულო! ცისა და ქვეყნის კავშირო და თან შუამავალო!..“ და საინტერესო აქ ის არის, რომ აკაკი წერეთელიც, როგორც დავით გურამიშვილი, თვით ადამიანის სულში ეძიებს ღვთიურ ძალას, ღვთის ხატებას, რომლის საუცხოო, უმშვენიერეს, სრულყოფილ გამოსხივებად, გამოხატულებად თუ გამოსახვად სიყვარულს აღიარებს, რომელიც ცისა და ქვეყნის მტკიცე კავშირად მიაჩნია.

ვაჟა-ფშაველამ დავით გურამიშვილი თვით აღიარა თავის დიდ წინაპრად და მართლაც, გურამიშვილის შინაგანი სულიერი მრწამსი, იდუმალი პოეტური ხილვები სრულიადაც არაა უცხო ვაჟასათვის. მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, აკაკი წერეთლის უაღრესად მდიდარ, მომეტებულად თავისებურ პოეტიკასაც, უსათუოდ დავით გურამიშვილის დიდ

პოეზიაში უდევს სათავე. ეს იგრძნობა არა მარტო აკაკი წერეთლის პოეტური ენის ღვთაებრივ სიმსუბუქესა და სისადავეში, პოეტური ფრაზის მიმოხრასა და მხატვრული სიტყვის მიმოქცევაში, არამედ შინაარსობრივ ელფერშიც.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოს“ შემოქმედის დაუდგრომელი, მშფოთვარე გენია, რომელსაც სამშობლო საყვარელ ხატად, ხოლო ქვეყნიერება ამ სანუკველი ხატის წმინდა სავანედ მიაჩნია ილიასთან და ვაჟასთან ერთად, დავით გურამიშვილის სახელოვანი მემკვიდრეა. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი მოქალაქეობრივი-პატრიოტული მოტივები, რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის ქვაკუთხედია, დავით გურამიშვილის პოეზიიდან მომდინარეობს. ქვრივ-ობლების, ღარიბ-ღატაკთა გამოსარჩლება, ხალხში სიმართლისა და პატიოსნების ქადაგება, ცბიერი სასულიერო პირების თვალთმაქცობის სააშკარაოზე გამოტანა დავით გურამიშვილის პატრიოტული პოეზიის ერთ-ერთი სურნელოვანი დაფნის შტოა, რომელზეც შესაშური ოსტატობითაა ასხმული დავითის ლირიკული ლექსები.

მღვრდელო, რაც ღმერთმან მადლი მოგმადლა,
არც აგიწონა, არც განგიადლა;
დაუფასებელს არ დასდვა ფასი
არცა ერთი და არცა ათასი.

უსასყიდლოდა მღრდლობის კუთხევა,
მოგცა ღირსებით მარჯვენის მთხევა,
ასე გიბრძანა: ვით შენ მოგეცა,
უსასყიდლოდა სხვათ მიეც შენცა.

ახლა მე თქვენა ამასა გვედრებ,
ღვთის ნაწყალობებს ნუ დანაყვედრებ:
მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროსა
ბევრს ნუ შეუკვეთთ სამარხს-სამკვდროსა!

რაც განვიძრახე აწ მე განძრახვა,
აწ თქვენცა გმართებსთ თვალით დანახვა.
როგორც მკვდარს უნდა კარგად დამარხვა,
აგრევ ქვრივს-ობოლთ უნდა შანახვა.

ცოცხალი რომე პატარად ვღირდი,
მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?
მღვრდელო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი,—
რაც მოგითვალონ, მას მიითვლიდი!

ამგვარი მწვავე იუმორით შეზავებული ადგილები უხვადაა დავით გურამიშვილის პოეზიაში, სადაც პოეტი დაუნდობლად ამათრახებს არა მარტო ღვთისმოსავ ბერ-მონაზვნებსა და სამღვდელოებას, არამედ ყველა ჯურის მომხვეჭელსა და მძარცველს, ვინც კი საქვეყნო საქმეზე მაღლა პირადულს აყენებდა და მშობელ ხალხს არას შეეწეოდა. დავით

გურამიშვილის ამ მოქალაქეობრივი, ეროვნულ-პატრიოტული მოტივებით მოხიბლული იყო აკაკი წერეთელი. აკაკი, რომელმაც გურამიშვილივით უმწიკლოდ მთელი სიცოცხლე სამშობლოსათვის ლოცვასა და გოდებაში დაასრულა და ბოლოს მადლიერ მშობელ ხალხს მეტის-მეტი მოწიწებითა და თავმდაბლობით უბრალოდ დაუგდო ანდერძი:

ოთხი ფიცარი კუბოსთვის,
უბრალო, შეუმკველადა,
და ოთხი მუშაც წამღები,
რომ გამასვენონ ხელადა.

განა ეს სტრიქონები არ ეხმაურება დავით გურამიშვილის ანდერძს, სადაც სიკვდილის პირად მისული პოეტი მშვიდად ამბობს: „მანვე დამშალა, ვინც აღმაშენა“. და ბოლოს უბრალოდ ითხოვს:

ყველას გაფიცებ ამ საფიცარსა:
თუ ღმერთი გწამდეს, ამ სამ ფიცარსა
ნუ გაიძნელებთ ასაშენებლად.
გარს ნურას უზამთ დასაშვენებლად.

აკაკი წერეთლის ლირიკული შედევრები ინტონაციურად ხშირად ეხმიანება დავით გურამიშვილის ლირიკულ ქმნილებებს, აკაკის საქვეყნოდ განთქმული „იავ-ნანა“ და „იმერული ნანინა“ უთუოდ გურამიშვილის „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცვლოდ სათქმელის“ ინტონაციურ ქარგაზეა შექმნილი:

ყრმავ, გონება უგნური აგონიარეო,
თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიარეო;
იქით-აქეთ მიიხედე, ათვალიარეო,
სცან საწუთრო მუხანათი, სალმობიარეო.

დ. გურამიშვილი

გაპუტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?

. . . . . .

ყური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო,
თვალ-ხილულად დააკვირდი, იცან ქვეყანაო..

აკაკი

ასევე შესამჩნევად ეხმიანება ინტონაციურად დავით გურამიშვილის ზოგიერთ ლექსს ილია ჭავჭავაძის ლირიკული შედევრები:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალი ხომ შენია..
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

ამგვარი ინტონაციის ლექსები მრავლად აქვს დავით გურამიშვილს. მაგალითად: „ქალ-ქალწულმან მარიამ წმინდად თავი ატარა: ყოვლის ქაი საქმითა თავი ღმერთსა აყვარა“ გაცილებით ადრე, ილიას აქ მოტანილი ლექსის ტონალობითაა შესრულებული. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ დავით გურამიშვილის პოეტურმა მეტყველებამ, მისეულმა ენობრივმა ქსოვილმა და ლექსიკამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ილიასა და აკაკის — ამ ორ აბსოლუტურად განსხვავებული შემოქმედის პოეტიკაზე. დავით გურამიშვილის ღონიერმა, ხორციანმა და ნაჭედმა სიტყვამ ისევე კეთილად იმოქმედა ილია ჭავჭავაძის პოეტური ენის მხატვრული სტიმულის შექმნაზე, როგორც მეორე მხრივ, აკაკის პოეტური სტილისა და მეტყველების ჩამოყალიბებაში დავითის პოეტური ენის ხალხურობამ, სისადავემ და პოეტური ფრაზის ფრთიანობამ, რომ არაფერი ვთქვათ ვაჟა-ფშაველაზე.

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს სიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!—

ვკითხულობთ „დავითიანში“ საწუთროზე გულამღვრეული პოეტის სტრიქონებს და პოეტის ვერსიფიკაციის ნაირსახეობა, ამოუწურავი პოეტური გამომსახველობითი საშუალებანი ერთხელ კიდევ გვანცვიფრებს.

დავით გურამიშვილმა რუსთაველისა და რუსთაველის დროის პოეტურ კულტურაზე დაამყნო თავისი პოეზია და მასვე შეუსისხლხორცა მთელი ქართული ხალხური პოეზიის მონაპოვარი; როგორც აზროვნების, ისე ვერსიფიკაციის თვალსაზრისით, გურამიშვილმა შექმნა მეტად ორიგინალური პოეზია, და მე-18 საუკუნის ქართულ სინამდვილეში უდიდეს რეფორმატორად მოგვევლინა. მისი პოეტური ხმის ექო დღესაც პირველქმნილი მშვენიერებით ჟღერს ჩვენს პოეზიაში, ხოლო მისი ვერსიფიკაციული მიღწევები, ზოგ შემთხვევაში, დღესაც სანიმუშოდ რჩება.

დავით გურამიშვილის პოხიერი პოეტური სიტყვა დღემდე არ მოძველებულა. ქართულ პოეზიაში იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი სალექსო საზომი, რომელიც გურამიშვილს არ ეხმაროს. ამ მხრივ გურამიშვილს მეოცე საუკუნის დიდი პოეტებიც ვერ გაექცნენ.
დავით გურამიშვილი:

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, მშვენიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა, ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.

გალაკტიონ ტაბიძე:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი...

დავით გურამიშვილი:

თაყვანსა გცემ, გეაჯები, ვითხოვ შემიწყნარო,
მიმკვდარებულს მამაშველო უკვდავების წყარო,
მასვა, მკვდარი განმაცოცხლო, შენს ძეს შემამყარო,
ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო;

გალაკტიონ ტაბიძე:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო...

დ. გურამიშვილი:

მე გაჭმევდი, მე გასმევდი, მე გაცმევდი ტანთ,
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა სხვისგან მონატანთ.
მე ესე მკლავს, მით ლახვარი გულს გამიყარე,
ჩემგან თვალად უვარესი შენ შეიყვარე.

ნოე ჩხიკვაძე:

ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?
აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი, ხმა გამე!
ირგვლივ ცივა...სისხლიანი ღამეა, ღამე,
გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე!

სიმონ ჩიქოვანის პოეზიიდან მაგალითებს არ მოვიტანთ, იგი საერთოდ დიდად არის დავალებული დავით გურამიშვილის პოეზიით. სიმონ ჩიქოვანი ხშირად მიმართავს დავითის პოეტური ხატოვანი თქმების პერიფრაზს, ეს იგრძნობა არა მარტო იმ ლექსებში, რომელიც პოეტს დავითისადმი აქვს მიძღვნილი...

როდესაც დავით გურამიშვილის პოეტიკაზე ვმსჯელობთ, მის პოეტურ ხილვებსა და წარმოსახვებს ვეცნობით, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მისთვის მისტიციზმიც არაა უცხო. გურამიშვილის რელიგიური, ეგზალტირებული ლირიკული მონოლოგების შორეული ექო უსათუოდ ისმის გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა მოდერნისტი ქართველი პოეტების პოეზიაში.

დავით გურამიშვილი, როგორც ქართული ლექსის უდიდესი რეფორმატორი, ჩვენი ცისფერყანწელების უსაყვარლესი პოეტი იყო უთუოდ. ტიციან ტაბიძეს თავის ლირიკულ პოემებში ხშირად შეჰქონდა სტრიქონები დავით გურამიშვილის პოემიდან „ქართლის ჭირი“.

ცისფერყანწელებს დავით გურამიშვილი ალბათ იმიტომაც უყვარ-

დათ, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა ქართული ლექსის ევროპეიზაცია, გაიშინაურა რუსული და უკრაინული ხალხური პოეზიის კილოები და ხმები; შემდეგ ყოველივე ეს შეუსისხლხორცა ქართულ მელოდიებს, კილოებს და უაღრესად დიდი და მდიდარი პოლიფონიური პოეზია შექმნა; ქართული სამეტყველო ენა, ლექსიკა, ამომწურავად გამოიყენა, ყოველ სიტყვაში გული ჩააწურა, ყოველ სტრიქონს სული პატრუქად დაუნთო და ქართული ლექსი ისე გაასხივოსნა, დღემდე არც შუქი აკლდება და არც სიბერე ეკიდება, ჩვენს თანამედროვე პოეზიას ძველი პოეტებიდან ისე ორგანულად არავინ ეხმიანება, როგორც დავით გურამიშვილი. მისი სიტყვიერი ფაქტურა, პოეტური აქსესუარები, ლექსის რიტმული რხევა, ტონალობა, ინტონაცია თანამედროვე ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაშიც შესამჩნევი ხდება. რომ ეს ასეა, კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ:

რა გამოსცილდნენ მცხეთას—
თქვა დიდ ვაჭარმა ერთმა:
—იცოცხლე,
ღდინზე ვიბანო
ჰრელ აბანოში ნურითო.
მეორემ:
—გაგიხარია!
გამოეთვრე ატენურითო!
მესამემ:
—ოქროდ გავყიდი—
ნაყიდსა ასპანურითო!

მ. მაჭავარიანი

დავით გურამიშვილი:

ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს ნურითა,
მეორემ: თევზით გავძღები ზურგიელ გელაქნურითა,
მესამემ: მივიბრუეები ღვინითა ატენურითა;
მეოთხემ: კიდეც დაგვთოკენ საბლითა მაზმანურითა!

ასეთი კეთილი გავლენა მოახდინა დავით გურამიშვილის დიდმა პოეზიამ ქართული პოეტური კულტურისა და აზროვნების განვითარებაზე. მისი პოეტური მეტყველება, მისი გენიალური ლირიკული და ეპიკური ქმნილებები დაედო საფუძვლად, როგორც დავინახეთ, მეცხრამეტე საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას.

დავით გურამიშვილის პოეზია და პოეტური ენა ახლაც ცხოველმყოფელობით მოქმედებს და დიდად უწყობს ხელს ქართული პოეტური კულტურის განვითარებას. განუმეორებელია დავით გურამიშვილი თავის ბედით და პირადი ცხოვრებით, ჰეშმარიტად, ასევე განუმეორებელია დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედება.

Маградзе Элгуджа Самуйлович
Жизнь Давида Гурамишвили
(на грузинском языке)

რედაქტორი ნ. გიორგობიანი
მხატვრული რედაქტორი ს. ბოტკოველი
ტექნიკური რედაქტორი რ. გოგიშვილი
კორექტორი ე. მუზაშვილი
გამომშვები მ. ყულოშვილი

გადაეცა წარმოებას 2/II-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VI-76 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 1. ნაბეჭდი თაბახი 21,75. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20,54.
ტირაჟი 20 000 შეკვ. № 184.
ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5
1976

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати, Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.